14
1997/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

III

99

3-4

1997

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 73-Ე № 3–4 1997 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲨᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲑᲘᲑᲚᲘᲐ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲗᲥᲛᲐ. გაგრძელება 3

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲝᲗᲐᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ — ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲕᲐᲜᲔ (ხასიათები და პორტრეტი) 15

ᲓᲐᲚᲘᲚᲐ ᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔ — ᲐᲠᲐ, (პუბლიცისტური პოემა) 63

ᲜᲐᲜᲐ ᲔᲮᲕᲐᲘᲐ — ᲠᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ. მოთხრობები 69

ᲓᲝᲓᲝ ᲮᲐᲜᲗᲐᲫᲔ — ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲑᲐᲓᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲑᲕᲐᲠᲔᲑᲘ. ლექსი. 93

ᲘᲝᲰᲐᲜ ᲕᲝᲚᲤᲒᲐᲜᲒ ᲑᲝᲔᲗᲔ — ᲤᲐᲣᲡᲢᲘ. გერმანულიდან თარგმნა **დავით ᲬᲔᲠᲔᲓᲘᲐᲜᲛᲐ** . 94

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲙᲕᲐᲰᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ — ᲝᲗᲐᲠ ᲰᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ 116

ᲛᲐᲘᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ — ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ-ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ 133

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲙᲕᲔᲠᲔᲜᲩᲮᲘᲚᲐᲫᲔ — ᲡᲐᲙᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲑᲝᲜᲠᲝᲑᲐ . 141

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ — 147

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲔᲕᲡᲔᲑᲘ ᲙᲔᲡᲐᲠᲘᲔᲚᲘ — ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲗᲒᲘᲡ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲢᲕᲘᲠᲝᲡᲔᲚᲗᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲞᲐᲕᲚᲘᲜᲘᲝᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ძველ ბერძნულიდან თარგმნა **ᲚᲔᲚᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔᲛ** 164

ᲛᲐᲘᲐ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ — ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ — „ᲝᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲘ“ 173

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ — 1054 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲒᲐᲬᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲐ 186

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ გვერდწითელი, ალექსანდრე გოგიაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, გენო კალანდია, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრელაშვილი, გიორგი ნატროშვილი, რამაზ პატარიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორდელი (პასუხისმგებელი მდივანი), ნოდარ ფულეისკირი, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული, რევაზ ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლია

20801

ძველი აღთქმა

მეორე მაკაბელთა

თავი მეათე

1. ხოლო მაკაბელმა და მისმა თანამზრახველებმა, როცა უფალმა ძლავიბრუნა მათკენ პირი, ტაძარიცა და ქალაქიც დაიბრუნეს, 2. მოედანზე კი უცხო ტომთა ნაგები სამსხვერპლოები და საკერპოები გაანადგურეს 3. ტაძარი რომ განწმინდეს, ახალი სამსხვერპლო ააგეს. მერე კაუებიდან დააკვესეს ცეცხლი. და ორწლიანი შუალედის შემდეგ მსხვერპლი შესწირეს, აკმიეს საკმეველი, [აანთეს]სასანთლეები და მიიტანეს დასადებელი პურები. 4. აღასრულებდნენ ამ წესს და ეველრებოდნენ ღმერთს ქვედამხობილნი, აღარ დასტეხოდათ თავს ამგვარი უბედურებები. ხოლო კვლავ თუ შესცოდავდნენ, დიდსულოვნებით დარიგებულიყვნენ მისგან და არ ჩაცვენილიყვნენ ღვთისმგმობელთა და ბარბაროსთა ხელში. 5. ერთსადაიმავე დღეს მოუწია ტაძარს უცხო ტომთაგან შეგინებამაც და განწმედამაც — ეს მოხდა ქისლევის თვის ოცდამეხუთე დღეს. 6. რვა დღეს ზეიმობდნენ მას, როგორც კარვობის დღესასწაულს; იხსენებდნენ, რომ ცოტა ხნის წინ კარვობის დღესასწაულზე მთებსა და მღვიმეებში ველის მხეცებივით დაეხეტებოდნენ. 7. ეპყრათ კვერთხები და მთის მცენარეთა ტოტები, აგრეთვე პალმის რტოები და მადლს სწირავდნენ მას, ვინც თავისი წმიდა ადგილი გააწმედინა მათ. 8. დაწესეს საერთო დადგენილებითა და კენჭისყრით, რომ იუდაელთა მთელ მოდგმას ყოველწლიურად აღენიშნა ეს დღეები. 9. ასეთი იყო აღსასრული ეპიფანედ წოდებული ანტიოქოსისა. 10. ახლა კი ანტიოქოს ევპატორის, ულვთო კაცის შვილის დროს მომხდარ ამბებს მოგახსენებთ და მხოლოდ ომების დროს მომხდარ ბოროტებათა აღწერით შემოვიფარგლებით. 11. როცა ანტიოქოსმა სამეფო მიიღო, საქმეები ჩაბარა ვინმე ლისიას, კოილე-სირიისა და ფინიკიის მთავარსარდალს. 12. რაკი პტოლემეოსი, მაკრონად წოდებული, სამართლიანობას იჩენდა იუდაელთა მიმართ მათ წინააღმდეგ ჩადენილ უსამართლობათა სანაცვლოდ და ცდილობდა მათთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას, 13. ამიტომ მეფის მეგობრებმა მას ევპატორთან ცილი დასწამეს; ყველამ მოღალატედ აღიარა იგი, რადგან მან დატოვა კი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროსი, რომელიც ფილომეტორმა ჩაბარა მას და ანტიოქოს ეპიფანესთან გადავიდა. ლისიამაც, ღირსეულად რომ ვერ წარმართა მისდამი რწმუნებული განმგებლობა, მოიწამლა თავი და ასე დაასრულა სიცოცხლე. 14. ხოლო გორგია, რომელიც ამ ადგილების სტრატეგოსი გახდა, ინახავდა უცხოელთა დაქირავებულ ჯარს და იუდაელებთან ომისთვის მუდამ მზად იყო. 15. ამასთან ერთად, ედომელნიც, რომელთაც მთავარი ციხე-სიმაგრეები ეჭირათ, უსაფრთებოდნენ იუდაელებს, ისინი იერუსალიმელ ლტოლვილებს თავშესაფარს სთავაზობდნენ და მზად იყვნენ საომრად. 16. მაკაბელის მეომრებმა, მას შემდეგ რაც ილოცეს და შეევედრნენ ღმერთს, რომ მათი თანამებრძოლი გამხდარიყო, ედომის ციხე-სიმაგრეებს შეუტიეს. 17. იერიშით საბოლოოდ იგდეს ხელთ ყველა ადგილი და გალავანზე მებრძოლი, ყველა შემუსრეს. კლავდნენ,, ვინც კი გზად შეხვდებოდათ, გაწყვიტეს არანაკლებ ოციათასი კაცისა, 18. როცა ცხრაათასამდე კაცმა თავი შეაფარა ორ გოდოლს, რომლებიც საკმაოდ იყო გამაგრებული, რომ ალყისთვის გაეძლოთ, 19. მაკაბელმა დატოვა სიმონი და იოსეფი, აგრეთვე ზაკქეოსი და მისი ხალხი, საკმარისნი იმისათვის რომ გოდლები ალყაში მოექციათ, თავად კი წავიდა. 20. მაგრამ სიმონის ხალხი, ვერცხლის სიყვარულით აღგზნებული, ზოგიერთებმა მეციხოვნეთაგან ვერცხლით მოისყიდეს და მათაც სამოცდაათიათასიანი დრაქმის საფასუარად გაპარეს ზოგი მათგანი. 21. როცა მაკაბელს ეს ამბავი აუწყეს მან შეკრიბა ხალხის წინამბრძოლები და ბრალი დასდო ამ კაცებს, რომელთაც ფულზე გაყიდეს მოძმენი და მტრებს ხელი გაუხსნეს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. 22. მან სიკვდილით დასაჯა დამნაშავენი, როგორც მოღალატეები, და მაშინვე ორ გოდოლზე წარმატებით მიიტანა იერიში. 23. აიღო გოდლები გამარჯვების მომხვეჭელი ბრალით, გაანადგურა მათში მსხდომი ოციათასამდე მეტი კაცი. 24. ახლა ტიმოთემ, რომელიც ადრე იუდაელებმა დაამარცხეს, შეკრიბა დიდძალი დაქირავებული ჯარი და აზიიდანაც არამცირედი რაოდენობის ცხენოსნები შეაგროვა, და დაიძრა იუდას დასალაშქრავად. 25. როცა მოახლოვდნენ ისინი, მაკაბელის ხალხმა თავზე მიწის მტვერი დაიყარეს ჯვალო შემოირტყეს წელზე და ლოცვა ვედრება აღავლინეს ღვთისადმი. 26. სამსხვერპლოს კვარცხლბეკთან დამხობილნი ევედრებოდნენ ღმერთს წყალობის თვალიო მიეხედა მათთვის, მათი მტრების მტერი და მათ წინამდექთა წინამდექი გამხდარიყო, როგორც ამას რჯული აცხადებს. 27. ღვთისმსახურების შემდეგ იარაღი აისხეს და კარგა მანძილზე გაშორდნენ ქალაქს, მიუახლოვდნენ მათზე წამოსულ მტერს. 28. განთიადისას ორი ლაშქარი შეება ერთმანეთს. ერთნი, ვინც გამარჯვების იმედს თავის ძალაზე კი არა, არამედ უფლის შეწევნაზე ამყარებდა, და მეორენი, ვინც ბრძოლაში წინამძღოლად მძვინვარება დააყენა. 29. ბრძოლა რომ შენივთდა, მოწინააღმდეგეს ციდან მოეჩვენა ოქროს მოსართავებით შეკაზმულ ცხენებზე ამხედრებული ხუთი ღირსეული კაცი, რომლებიც გაუძღვნენ იუდაელებს. 30. მათ შუაში მოექციეს მაკაბელების ლაშქარი, თავიანთი იარაღით იცავდნენ მათ და დაჭრისგან იფარავდნენ. მტრის ლაშქარს კი სტყორცნიდნენ ისრებსა და მეხს, და თავგზააბნეულნი და დაბრმავებულნი აქეთ-იქით იფანტებოდნენ. 31. გაწყდა ორიათას ხუთასი კაცი, მხედარი კი ექვსასი. 32. თავად ტიმოთემ კი მიაშურა გაზარად წოდებულ ციხე-სიმაგრეს, რომელიც ქერეახ ჰქონდა ჩაბარებული და კარგად იყო მომარაგებული. 33. ხოლო მაკაბელის ხალხი, გამარჯვებით გახალისებული, ოთხი დღე ალყით ადგა ციხეს. 34. ციხეში მყოფნი, მიუვალი ადგილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმედებულნი, ღმერთს გმობდნენ და უკადრის სიტყვებს გაჰყვიროდნენ. 35. მეხუთე დღე რომ გათენდა, ოცი ახალგაზრდა მაკაბელის რიგებიდან ღვთისმგმობელობის გამო შურით ანთებული, ვაჟკაცურად მიეჭრა გალავანს და რისხვით გამძვინვარებული მუსრავდა ყველა დამხვდურს. 36. სხვებმაც მათ მსგავსად ციხეზე იერიში მიიტანეს. წაუკიდეს ცეცხლი გოდლებს და ცოცხლად წვავდნენ ღვთის მგმობელთ ცეცხლში. სხვებმა კარიბჭე შელეწეს და დანარჩენი რაზმებიც ციხეში შეუშვეს. ასე აიღეს ქალაქი. 37. მოკლეს ტიმოთე, რომელიც ჭაში იყო დამალული, ასევე მისი ძმა ქერეა, და აპოლოფანეც 38. ამის შემდეგ საგალობლებითა და სამადლობლებით დალოცეს უფალი, რომელმაც დიდი სიკეთე მომადლა ისრაელს და გაამარჯვებინა.

თავი მეთერთმეტე

1. სულ მცირე ხნის შემდეგ ლისიამ, მეფის მცველმა და ნათესავმა, მომხდარი ამბებით ძლიერ შეწუხებულმა, 2. შეაგროვა ოთხმოციათასამდე ქვეითი ჯარი და მთელი მხედრობა და იუდაელებზე გამოილაშქრა, რაკი იმედოვნებდა, რომ მათ ქალაქს ელინთა სამკვიდრებლად გადააქცევდა. 3. ტაძარს გადასახადით დაბეგრავდა წარმართთა სხვა საკერპოების მსგავსად, მღვდელმთავრობას კი ყოველწლიურად გასაყიდად აქცევდა. 4. არაფრად ჩააგდო ღვთის ძალა თავისი ათიათასი ქვეითის, ათასი ცხენოსნის და ოთხმოცი სპილოს იმედით. 5. შემოვიდა იუდაში, მიუახლოვდა ბეთ-ცურს, გამაგრებულ ადგილს, რომელიც იერუსალიმიდან ხუთი სტადიონით იყო დაშორებული, და ძლიერ შეავიწროვა იგი. 6. როცა მაკაბელმა და მისმა თანამდგომებმა გაიგეს, რომ ლისიამ იერიში მიიტანა სიმაგრეზე, ხალხთან ერთად გოდებითა და ცრემლებით შესთხოვდნენ უფალს, 7. რომ კეთილი ანგელოზი მოელინებინა ისრაელის დასახსნელად, 7. პირველად მაკაბელმა აიხსა იარაღი და სხვებს არწმუნებდა, საფრთხეს არ დარიდებოდნენ მასავით და ძმებს დახმარებოდნენ. და ყველანი ერთად დაიძრნენ. 8. იერუსალიმს რომ მიუახლოვდნენ, უცებ წინამძღოლად გამოეცხადათ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მხედარი, რომელიც ოქროს იარაღს არხევდა. 9. მაშინ ყველამ ერთიანად შესწირა მადლი მოწყალე ღმერთს და სული გაიმაგრეს, მზად იყვნენ, არა მარტო ადამიანები, არამედ სასტიკი მხეცები ან თვით რკინის კედლებიც კი შეემუსრათ. 10. წამოვიდნენ საბრძოლო წყობით ცით მოვლენილი თანამებრძოლის მფარველობით, რადგან უფალმა მოიღო მათზე წყალობა. 11. ლომებივით დაეძგერენ მტერს და გაანადგურეს იგი — თერთმეტი ათასი ქვეითი, და ათასექვსასი ცხენოსანი, დანარჩენი ყველა უკუაქციეს. 12. ბევრი მათგანი შიშველი და დაჭრილი გაიქცა, თავად ლისიამაც სამარცხვინო უკუქცევით უშველა თავს. 13. რაკი უგნური კაცი არ იყო და თავისით ასწონ-დასწონა მის თავს მოწეული მარცხი, მიხვდა, რომ უძლეველნი არიან ებრაელები, რადგან ძლიერი ღმერთი იბრძვის მათ მხარეზე. 14. ამიტომ მოციქულები გაუგზავნა მათ და არწმუნებდა, რომ ყველა კანონიერ მოთხოვნაზე დაყაბულდებოდა და მეფესაც დაარწმუნებდა იუდაელებთან მეგობრობა დაემყარებინა. 15. რაკი მაკაბელს საერთო სიკეთე სურდა, დათანხმდა ყველაფერზე, რასაც ლისია სთავაზობდა. მეფემაც დაკმაყოფილა ყველა მოთხოვნა, რაც მაკაბელმა წარუდგინა წერილობით ლისიას იუდაელებთან დაკავშირებით. 16. იუდაელებისადმი გამოგზავნილ ლისიას წერილში კი ეს იყო ნათქვამი: ლისია ყველა იუდაელს სალამს უთვლის. 17. იოანემ და აბესალომმა, თქვენმა მოციქულებმა, გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვცეს თქვენი ხელმოწერილი სიგელი
და იზრუნეს გაეცნოთ, რაც წერილშია
წარმოდგენილი. 18. მე მოვახსენე მეფეს
ყველაფერი, რაც კი საჭიროა მისთვის
წარსადგენად და რაზეც შეიძლებოდა
დათანხმება, მეფე დათანხმდა. 19. თუ
კეთილგანწყობილებას შეინარჩუნებთ
ხელისუფლების შიმართ, მომავალშიც
ვეცდები შეგეწიოთ სასიკეთოდ. 20.
რაც კერძო საკითხებს შეეხება, მე დავ-
ავალე თქვენს მოციქულებს და ჩემს რწ-
მუნებულთ მოილაპარაკონ თქვენთან ერ-
თად. 21. დღეგრძელი იყავით. ასორ-
მოცდარვა წელი, დიოს კორინთიოსის
ოცდაოთხი. 22. მეფის წერილში კი ეს
ეწერა: მეფე ანტიოქოსი ძმას, ლისიას,
სალამს უთვლის. 23. მას შემდეგ, რაც
მამაჩვენი ღმერთებთან გადავიდა, ჩვენ
მოვისურვეთ სამეფოს ქვეშევრდომთ
უშფოთველად წარემართათ თავიანთი
საქმეები. 24. როცა გავიგეთ, რომ იუ-
დაელები არ ეთანხმებიან მამა ჩვენის
ახლადშემოღებულ ელინურ წეს-ჩვეუ-
ლებებს, საკუთარ წეს-ჩვეულებებს ანი-
ჭებენ უპირატესობას და მოითხოვენ,
ნება მიეცეთ საკუთარი რჯულის დაც-
ვისა, 25. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ
ხალხმა უდრტვინველად უნდა იცხოვ-
როს, და დავადგინეთ: აღდგენილ იქნას
მათი ტაძარი და იცხოვრონ თავიანთი
მამაპაპეული რჯულის თანახმად. 26.
შენ კი კარგს იზამ, თუ მოციქულებს
გაუგზავნი და დაუზავდები მათ, რათა
ჩვენს კეთილმოსურნეობაში დარწმუნე-
ბულებმა, სიხარულით და ხალისით აკ-
ეთონ თავიანთი საქმეები. 27. ხოლო
იუდაელი ხალხისადმი მეფის
წერილი ამას გვაუწყებდა: მეფე ანტიო-
ქოსი იუდაელთა უხუცესთა საბჭოს
და ყველა იუდაელს სალამს უთვლის.
28. ჯანმრთელად თუ ხართ, ჩვენც ეს
გვინდა. ჩვენც კარგად ვართ. 29. მენე-
ლაოსმა გვაუწყა, რომ შინ დაბრუნე-
ბას აპირებთ თქვენი საქმეების მისა-
ხედად. 30. და ვინც ქსანთიკოსის ოც-
დამეათე დღემდე ჩამოვა, ყველა უზრუ-
ნველყოფილი იქნება მეგობრებითა და
სრული ნებართვით. 31. იუდაელთათ-
ვის, რომ წინანდებურად ჭამონ თავია-
ნთი საჭმელები და დაიცვან თავიანთი
რჯული, რომ არავის, არავითარ შემთ-
ხვევაში არ შეაწუხებენ, რაც არ უნდა
ჩაიდინონ თავიანთი უმეცრებით. 32.
ვაგზავნი თქვენთან მოსალაპარაკებ-
ლად მენელაოსს. 33. ჯანმრთელად იყ-
ავით. ასორმოცდარვა წელი, ქსანთი-
კოსის თხუთმეტი. 34. რომაელებმაც
გაუგზავნეს იუდაელებს წერილი, რო-
მელშიც ეწერა. კვინტუს მემიუსი, ტი-
ტუს მანიუსი, რომაელთა უხუცესნი
სალამს უთვლიან იუდაელ ხალხს. 35.
რაც ლისიამ, მეფის ნათესავმა, თქვენ
დაგითმოთ, ამას ჩვენც ვადასტურებთ.
36. რასაც იგი გადაწყვეტს მოახსენოს
მეფეს, მყისვე აწონ-დაწონეთ და ჩვენც
გაგვაგებინეთ, რომ შეგეწიოთ თქვენ-
თვის საჭირო საქმეში, რადგან ანტიო-
ქიაში მოვდივართ. 37. ამიტომ იჩქა-
რეთ, გვაუწყეთ ამბავი, რომ ჩვენც
ვიცოდეთ, რა აზრს დაადექით. 38. ჯა-
ნმრთელად იყავით. ასორმოცდარვა
წელი, ქსანთიკოსის თხუთმეტი.

თავი მეთორმეტე

1. როცა შეთანხმება დადებული იქ-
ნა, ლისია დაბრუნდა მეფესთან, იუდა-
ელებმა კი მიწის დამუშავებას მიჰყ-
ვეს ხელი. 2. მაგრამ იქაური სარდლე-
ბი — ტიმოთე და აპოლონიოს გენეოსის
ძე, ასევე იერონიმუსი და მათ გარდა
დემოფონი, ასევე ნიკანორიც — კვიპ-
როსის განმგებელი, არ აძლევდნენ
მათ წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრე-
ბის საშუალებას. 3. იაფოელებმა კი
ასეთი უღვთოება ჩაიდინეს: შესთავა-
ზეს მეზობლად მოსახლე იუდაელებს
ასულიყვნენ მათი ხელით დამზადებულ
ნავებზე დედაწულიანად, თითქოს მათ-
დამი უკეთური ზრახვა არ სდებოდეთ
გულში. 4. როცა ისინი დათანხმდნენ,
რაკი მშვიდობა სურდათ და თან არც

არაფერზე დაეჭვებულან, მაშინ იაფოელებმა, ქალაქის საერთო დადგენილებით, ნაპირს რომ მოშორდნენ, ყველანი წყალში ჩაძირეს, არანაკლებ ორასი კაცისა. 5. როცა იუდამ თვისტომთა მიმართ ჩადენილი ასეთი სისასტიკე გაიგო, გამოუცხადა ეს თავისიანებს, 6. მოუხმო სამართლიან მსაჯულს ღმერთს და გაილაშქრა ძმათა მკლელების წინააღმდეგ. ნავსადგურს ღამე ცეცხლი წაუკიდა და გადაწვა ნავები, ხოლო ვინც ნავსადგურში მოვარდა, ყველა ამოჟლიტა. 7. რაკი გადაკეტილი იყო ეს ადგილი, იუდამ დატოვა იაფო. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ კვლავ მობრუნებულიყო და ერთიანად გაევლო მუსრი იაფოელებისთვის. 8. იუდამ ისიც შეიტყო, რომ იამნიას მკვიდრნიც ამასვე უპირებდნენ იქაურ იუდაელებს, 9. ღამით თავს დაესხა იამნიელებს და გადაწვა მათი ნავსადგურები ხომალდებთან ერთად, ისე რომ ცეცხლის ალი იერუსალიმიდან ორასორმოცი სტადიონის მანძილზე ჩანდა. 10. ტიმოთესკენ რომ წამოვიდნენ, ცხრა სტადიოზე არაბები დაესხნენ მათ თავს, არანაკლებ ხუთი ათასი ქვეითისა და ხუთასი ცხენოსნისა. 11. გაიმართა სასტიკი ბრძოლა და იუდამ და მისმა თანამებრძოლებმა ღვთის შეწევნით წარმატებას რომ მიაღწიეს, დამარცხებულმა მოხეტიალე არაბებმა გადაწყვიტეს დაზავებოდნენ იუდას, დაპირდნენ ჯოგებს და ყოველმხრივ დახარებოდნენ მის ხალხს. 12. იუდამაც. გაითვალისწინა, რომ მართლაც დიდად სასარგებლონი იქნებოდნენ მათთვის არაბები და დათანხმდა, მათთან ზავი დაედო. დაზავდნენ და თავ-თავიანთ კარვებში დაბრუნდნენ. 13. გარდა ამისა, იუდამ აიღო ერთი ხიდებით გამაგრებული და კედლებით გარშემოვლებული, სხვადასხვა ტომით დასახლებული ქალაქი, რომელსაც ეწოდებოდა კასპინი. 14. ქალაქის მკვიდრნი, მტკიცე გალავნებითა და სურსათ-საწოვაგით გულმოცემულნი, ერთობ უკმეხად იქცეოდნენ. შეურაცხყოფდნენ იუდას, ღმერთს გმობდნენ და ილანძღებოდნენ. 15. ხოლო იუდას ხალხმა მოუხმო სამყაროს დიდ მეუფეს, რომელმაც იესოს დროს საიერიშო ტარანებისა და საალყო მანქანების გარეშე დაამხო იერიქონი და დიდი შემართებით შეუტია კედლებს. 16. როცა ღვთის შეწევნით ქალაქი აიღეს, ატყდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა, ისე რომ მიმდებარე ტბაშიც კი, რომელსაც ორი სტადიონის სიგანე ჰქონდა, თითქოს სისხლი იყო ჩაგუბებული. 17. აქედან წამოვიდნენ შვიდასორმოცდაათი სტადიონის მანძილზე და შევიდნენ ქარაკში, ეგრეთწოდებულ ტუბიის იუდაელებთან. 18. მაგრამ ვერ მოიხელთეს ამ ადგილებში ტიმოთე, რომელიც ისე გაშორდა ამ მხარეს, რომ ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, მხოლოდ ერთ ადგილას დატოვა მტკიცე დაცვა. 19. ამიტომ დოსითეოსი და სოსიპატროსი, მაკაბელთა წინამძღოლები, წამოვიდნენ და ამოწყვიტეს ტიმოთეს ჩაყენებული მეციხოვნეები — ათიათასზე მეტი კაცი.20. მაკაბელმა კი თავისი ჯარი რაზმებად დაყო და ტიმოთეზე მოიტანა იერიში, მის ასოციათას ქვეითზე, ორიათას ხუთას მხედარზე. 21. ტიმოთემ იუდას მოახლოება რომ გაიგო ქალები, ბავშვები და ჯარის ყოველგვარი აღალი გახიზნა ეგრეთწოდებულ კარნაიონში. რადგან ეს სიმაგრე მოუხერხებელი იყო ალყისთვის მიუდგომელი მდებარეობის გამო. 22. იუდას პირველი რაზმი რომ გამოჩნდა, შიში ჩამოვარდა მტრებში და თავზარი დასცა მათ ყოვლისმჭვრეტელის ხილვამ. მაშინვე უკუიქცნენ, ვინ სად გარბოდა და ვინ სად, ისე რომ მეტ წილს თვითონვე თავისიანები ხოცავდნენ, ჩხვლეტდნენ და კაწრავდნენ მახვილთა წვერებით. 23. იუდა დაუნდობლად დევნიდა მტერს, ერთიანად მუსრს ავლებდა უწმინდურთ, ოცდაათიათასამდე კაცი გაანადგურა. 24. თავად ტიმოთე ხელთ ჩაუვარდა დოსით-

ეოსსა და სოსიპატროსს და მათ ხალხს
და ათასგვარი ხრიკებით ევედრებოდა
მათ ცოცხალი გაეშვათ იგი, რადგან
ბევრი იუდაელის მამა, ზოგისაც ძმა
მძევლებად ჰყავდათ ანტიოქელებს და
არ დაინდობდნენ მათ, თუ ტიმოთე
მოკვდებოდა. 25. როცა მრავალი საბუ-
თით დაარწმუნა ტიმოთემ, რომ მძევ-
ლებს უვნებლად გაათავისუფლებდა,
მათაც გამოუშვეს იგი, რათა ამით თა-
ვიანთი მოძმეები დაეხსნათ. 26. ხოლო
კარნიონსა და ასტერგატიონთან ლაშ-
ქრით გამოსულმა იუდამ ოცდახუთი
ათასი კაცი გაწყვიტა. 27. მათი დამა-
რცხებისა და შემუსვრის შემდეგ მან
ქალაქი ეფრონიც დალაშქრა, გამაგრე-
ბული ადგილი, სადაც სახლობდა ლი-
სია და მრავალი სხვადასხვა ტომი.
აქ, კედლების წინ, მედგრად იბრძოდ-
ნენ ძლიერი ჭაბუკები. მათ ქალაქის
კედლებთან მოზიდეს ბევრი საიერიშო
მანქანა და სატყორცნი მოწყობილობა.
28. მაკაბელის ხალხი კი ხმამაღლა მო-
უხმობდა მეუფეს, მტრის სიმაგრეთა და-
მაქცეველს, და აიღეს ქალაქი. გაანად-
გურეს ოცდახუთიათასამდე კაცი. 29.
აქედან იერიშით წამოსულები მიადგ-
ნენ სკვითოპოლისს, იერუსალიმიდან
სამოცი სტადიონით დაშორებულს. 30.
მაგრამ იქაურმა იუდაელებმა დაუმო-
წმეს, რომ სკვითოპოლოსელები მათდა-
მი კეთილად არიან განწყობილნი და
გასაჭირში მოკრძალებულ დამოკიდებუ-
ლებას ამჟღავნებენ ხოლმე. 31. ამისა-
თვის მათ მადლობა მოახსენეს და და-
არწმუნეს, რომ მომავალშიც მათი
მოდგმისადმი კეთილად იქნებოდნენ
განწყობილნი. შემდეგ წამოვიდნენ იე-
რუსალიმში, რადგან ახლოვდებოდა
შვიდეულთა დღესასწაული. 32. ხოლო
ორმოცდაათების დღესასწაულის შემ-
დეგ გამოილაშქრეს გორგიაზე, ედო-
მის განმგებელზე. 33. მაკაბელი სამი-
ათასი ქვეითითა და ოთხასი მხედრით
გამოვიდა. 34. ბრძოლაში იუდაელთა
მცირედი ნაწილი დაეცა. 35. ხოლო
ვინმე დოსითეოსმა, ბაკქენორის ერთ-
ერთმა ქვეშევრდომმა, ცხენოსანმა და
ძლიერმა კაცმა, შეიპყრო გორგია, ხე-
ლი ჩაავლო მას მოსასხამზე და მძლა-
ვრად დაითრია. უნდოდა ცოცხლად
დაეტყვევებინა ის წყეული, მაგრამ დო-
სითეოსს თავს დაესხა ერთ-ერთი თრა-
კიელი მხედარი და მხარი მოაკვეთა,
ხოლო გორგია მარისაში გაიქცა. 36.
როცა ესდრისთან გაგრძელდა ბრძო-
ლა და მეომრებსაც გამოეცალათ ძალა,
მოუხმო იუდამ უფალს, შეწეოდა მათ
და ომში წინამძღოლობა გაეწია. 37.
როცა დასჭექა მშობლიურ ენაზე საბ-
რძოლო ყიჟინა და საგალობლები და
მოულოდნელად დააცხრა გორგიას და
უკუაქცია მისი ლაშქარი. 38. ხოლო
იუდამ წამოიყვანა თავისი ლაშქარი და
შევიდა ქალაქ ყალულამში. და, რაკი
დამდგარი იყო შვიდეულთა დღესასწა-
ული, რჯულისამებრ განწმენდილმა
იუდაელებმა აქ გაატარეს შაბათი. 39.
მეორე დღეს, რადგან ეს აუცილებელი
იყო იმ დროისთვის, მოვიდა იუდას
ხალხი, რომ წამოესვენებინათ ბრძოლა-
ში დაცემულთა გვამები და ნათესავე-
ბთან ერთად მშობლიური სამარხები-
სთვის მიებარებინათ ისინი. 40. ყოველ
მოკლულს ქიტონის ქვეშ იამნიის კერ-
პთათვის შეწირული საგნები აღმოუ-
ჩინეს, რასაც უკრძალავს რჯული იუ-
დაელებს. ყველასთვის ცხადი გახდა,
რა მიზეზითაც დაიღუპა ეს ხალხი. 41.
და ყველამ განადიდა მართლმსაჯული
უფალი, რომელმაც დაფარული განუც-
ხადა მათ. 42. დაიწყეს ლოცვა, ევედ-
რებოდნენ ღმერთს, სრულად მიეტევე-
ბინა მათთვის ეს შეცოდება. ხოლო
კეთილშობილი იუდა ჩააგონებდა ყვე-
ლას, ცოდვებს მორიდებოდნენ, რაკი
თავისი თვალით ნახეს, თუ რა დაატყ-
დათ თავს ბრძოლაში დაცემულ იუდა-
ელებს შეცოდების მიზეზით. 43. შეკ-
რიბა თითოეული კაცისგან ორიათასა-
მდე ვერცხლის დრაქმა და იერუსალიმ-
ში გაგზავნა, რათა ჩადენილი ცოდვის
გამო მსხვერპლი შეეწირათ. მეტად
ღირსეულად და პატივისცემით მოიქცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან აღდგომაზე ფიქრობდა. 44. ბრძოლაში დაცემულთა აღდგომის იმედი რომ არ ჰქონოდა იუდას, ზედმეტად და ამაოდ მიიჩნევდა იგი მიცვალებულთათვის ლოცვას. 45. იმედი ჰქონდა, რომ ღვთისმოსავობაში გარდაცვლილთ დიდებული საზღაური მოელის. წმიდაა და ღვთიური ასეთი ფიქრი. ამიტომაც მოიტანა მაკაბელმა მკვდართათვის გამოსასყიდი მსხვერპლი ცოდვათაგან მათ სახსნელად.

თავი მეცამეტე

1. ასორმოცდაცხრა წელს იუდას ყურამდე მივიდა ამბავი, რომ ანტიოქოს ევპატორი დიდი ლაშქრით მოდის იუდაში, 2. და რომ მასთან ერთადაა ლისიაც, მეფის მეურვე და სახელმწიფო საქმეთა გამრიგე. თითოეული მათგანის ხელში იყო ელინთა სამხედრო ძალა — ასათიათასი ქვეითი და ხუთიათას სამასი ცხენოსანი, ოცდაორი სპილო და სამასი ეტლი, ცელებით შეიარაღებული. 3. მათ შემოუერთდა მენელაოსიც და დიდის თვალთმაქცობით აქეზებდა ანტიოქოსს იუდაელთა წინააღმდეგ — არა სამშობლოს ხსნისთვის, არამედ ხელისუფლების ხელში ჩაგდების იმედით. 4. ხოლო მეუფეთა მეუფემ აღაგზნო ამ უწმიდურის წინააღმდეგ ანტიოქოსის რისხვა და ლისიამაც დაუსაბუთა მეფეს, რომ მენელაოსია ყოველივე ბოროტების მიზეზი. ანტიოქოსმაც გადაწყვიტა მენელაოსი ბერეაში წაეყვანათ და ადგილობრივი რჯულის მიხედვით დაესაჯათ. 5. ამ ადგილას არის ორმოცდაათი წყრთის სიმაღლის ბოდოლი, ნაცრით სავსე; მასზე მოწყობილია იარაღი წრიულად მბრუნავი და ნაცრის მიმართ დამრეცელად მოქცეული. 6. აქ მოჰყავდათ ხოლმე სიკვდილმისჯილნი — ტაძრის მძარცველები ან სხვა რამ ზღვარგადასული ბოროტების ჩამდენნი. 7. ასეთი სიკვდილით მოკვდა უწმინდური მელენაოსი, მიწაც არ ღირსებია მას სამარედ და სავსებით სამართლიანად. 8. რადგან ბევრჯერ შესცოდა მან სამსხვერპლოებს, სადაც წმინდაა ცეცხლი და ნაცარი. ამიტომაც უწია ნაცარში სიკვდილმა. 9. ხოლო მეფემ, რისხვით თავგზაბნეულმა, განიზრახა თავის მამაზე უარესი საქმეები დაეტეხა იუდაელებისათვის. 10. ეს იუდამაც გაიგო და უბრძანა თავის ხალხს დღედაღამ ლოცვები აღევლინათ უფლისათვის, რომ როგორც ყოველთვის, ახლაც შეწევნა მოევლინა რჯულის, სამშობლოსა და წმიდა ტაძრის დაცვის მსურველთათვის, 11. არ ჩაეგდო უღვთოთა ხელში ხალხი, რომელმაც ეს-ესაა სული მოითქვა. 12. როცა ეს ბრძანება ერთსულოვნად აღასრულეს, ლოცვები აღუვლინეს მოწყალე უფალს, სამი დღის მანძილზე განუწყვეტლივ გოდებდნენ, მარხულობდნენ და მუხლმოდრეკით იდგნენ. მერე მოუხმო ხალხს იუდამ და მზადყოფნისაკენ მოუწოდა. 13. უხუცესებთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა, გასულიყვნენ ქალაქიდან და ღვთის შეწევნით წარემართათ საქმე, ვიდრე მეფის ლაშქარი იუდაში შემოიჭრებოდა. 14. სამყაროს შემოქმედის მფარველობას რომ მიენდო, მაკაბელმა მოუწოდა თავისიანებს ღირსეულად ებრძოლათ რჯულისთვის, ტაძრისთვის, ქალაქისთვის, სამშობლოსთვის და მოქალაქეობისთვის, და მოდეინის მიადმოებში განალაგა ბანაკი. 15. მისცა პირობით ნიშნად სიტყვები — ღვთის გამარჯვება და უმამაცესი ჭაბუკების რაზმით მეფის კარავს დაეცა ღამით, და ორიათასამდე კაცი გაწყვიტა ბანაკში. მოკლეს მეთაური სპილო და მისი მხედარი. 16. ბოლოს, შიში და აღრეულობა რომ შეიტანეს მტრის ბანაკში, გამარჯვებულნი უკან მობრუნდნენ. 17. უკვე გათენდა, როცა ეს ამბავი მოხდა ღვთის შეწევნით. 18. ხოლო მეფემ, იუდაელთა სიმამაცე რომ იწვნია თავის თავზე, სცადა ხრიკებითა და მოტყუებით დაეკავებინა ადგილები. 19. მიადგა ბეთ-ცურს, იუდაელთა ციხე-სიმაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს, მაგრამ უკუაქციეს იგი, მარცხი აგემეს, დაამცირეს. 20. მეციხოვნეებს კი იუდამ აუცილებელი სახსარი შეუგზავნა. 21. აუწყა მტერს ეს საიდუმლოება როდოკოსმა იუდაელთა ბანაკიდან, მაგრამ იგი ამხილეს, შეიპყრეს, ჩაამწყვდიეს. 22. მეორეჯერ წამოუწყო მოლაპარაკება მეფემ ბეთ-ცურში გამაგრებულთ, ზავი შესთავაზა, მძევლები გაცვალეს, უკან გამობრუნდა, თავს დაესხა იუდას რაზმებს და დამარცხდა. 23. შეიტყო, რომ ფილიპე, რომელიც ანტიოქიაში იყო დატოვებული სახელმწიფო საქმეებისთვის, აჯანყდა. იგი დაიბნა, თხოვნით იუდაელებს მიადგა, მათ დამორჩილდა და ფიცით აღუთქვა ყველაფერი, რაც სამართლიანად ეკუთვნოდათ, შეეშვა მათ და, მსხვერპლიც კი შესწირა. პატივი მიაგო ტაძარს და მკვიდრი ხალხისადმი სიყვარულით განეწყო. 24. მან მაკაბელიც მიიღო და დატოვა განმგებლად ჰეგემონიდე პტოლემაისიდან გერენაიმდე. 25. მერე პტოლემაისში წავიდა. პტოლემაისის მკვიდრნი კი მოლაპარაკებით უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და დადგენილების გაუქმება სურდათ. 26. ლისია საჯაროდ გამოვიდა და თავი გაიმართლა. ხალხი დაარწმუნა, დაამშვიდა, კეთილად განაწყო და ანტიოქიისკენ გაემართა. ასე დასრულდა მეფის შეტევა და უკდახევა.

თავი მეთოთხმეტე

1. სამი წლის შემდეგ იუდამდე მოვიდა ხმა, რომ დემეტრიოს სელევკოსი ძე მადგაა ტრიპოლის ნავსადგომს ძლიერი ჯარითა და მრავალი ხომალდით. 2. დაიპყრო ქვეყანა და მოკლა ანტიოქოსი და მისი მეურვე ლისია. 3. ხოლო ვინმე ალკიმოსი, რომელიც ადრე მღვდელმთავარი იყო, მაგრამ აღრეულობის ჟამს ნებით წაიბილწა თავი, მიხვდა, რომ არასგზით არ იქნებოდა არც ხსნა, არც წმინდა სამსხვერპლოსთან მისადგომი, 4. ას ორმოცდათერთმეტ წელს ეახლა მეფე დემეტრიოსს, მიართვა მას ოქროს გვირგვინი, პალმის რტო და, გარდა ამისა, ზეთისხილის რტოები, ტაძრიდან წამოღებული, იმ დღეს მეტი აღარაფერი უღონია. 5. და როცა თავისი უგუნურების აღსასრულებლად ხელსაყრელი დრო მოიხელთა, როცა იგი დემეტრემ სათათბიროდ მოიხმო, შეკითხვაზე, რა განწყობა და სულისკვეთება სუფევსო იუდაელებში, ეს უპასუხა: 6. ხასიდიანებად წოდებული იუდაელები, რომელთაც სათავეში უდგას იუდა მაკაბელი, ომისთვის არიან განწყობილნი და ამბოხებისთვის შემართულნი და მოსვენებას არ აძლევენ სამეფოს. 7. მათ მე ამყარეს პატივი, საგვარეულო ანუ მღვდელმთავრობა, ამიტომ მოვსულვარ აქ, 8. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ პირუთვნელად ვზრუნავ მეფის კუთვნილებაზე, მეორეც, ჩემს თანამოქალაქეებს ვუფრთხილდები, რადგან ზემოხსენებული ხალხის უგუნურობით დიდად დაზარალდა მთელი ჩვენი მოდგმა. 9. რაკი ყოველივე უკვე გაიგე, მეფეო, იზრუნე ჩვენს ქვეყანაზე და ჩვენს დაბეჩავებულ ხალხზე შენი ყოვლადმოწყალე სიკეთით. 10. ვიდრე ცოცხალია იუდა, სამეფო სიმშვიდეს ვერ ეღირსება. 11. ეს რომ თქვა, მეფის სხვა მრჩევლებმა, რომლებიც იუდასადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი, კიდევ უფრო მეტად გააქეზეს დემეტრე. 12. მეფემაც მაშინვე მოიხმო ნიკანორი, სპილოთა განმგებელი, მთავარსარდლად განაწესა იუდეაში. 13. და დაავალა, თავად იუდა მოეკლა, მისი ხალხი გაეფანტა, ხოლო ალკიმე დიდი ტაძრის მღვდელმთავრად დაესვა. 14. ხოლო იუდადან ლტოლვილი წარმართები, რომლებიც იუდას გამოქცეოდნენ, ჯოგივით აწყდებოდნენ ნიკანორს, და იმედოვნებდნენ, რომ იუდეველთა ბედუკულმართობა და ავბედობა მათთვის სასიკეთო იქნებოდა. 15. იუდაელებმა რომ გაიგეს ნიკანორის გამოლაშქრების ამბავი და ისიც, რომ მას წარმარ-

თებიც შემოუერთდნენ, მიწა დაიყარეს
თავზე და ევედრებოდნენ მას , ვინც
უკუნისამდე დაამკვიდრა თავისი ხალხი
და მუდამ ხილულად შეეწეოდა თავის
წილხვედრილთ. 16. წინამძღოლის
ბრძანებაზე ფიცხლად დაიძრნენ და
სოფელ დესაუსთან შეებნენ მათ. 17.
სიმონი, იუდას ძმა, ნიკანორთან ომში
ჩაება, მაგრამ მალე, მტრის უეცარი
თავდასხმის გამო, მცირეოდენი მარცხი
განიცადა. 18. თუმცა ნიკანორსაც გა-
გონილი ჰქონდა, თუ რა ვაჟკაცობით იყო
იუდას ხალხი გამორჩეული და რა გა-
ბედულად იბრძოდნენ სამშობლოსათ-
ვის, ბრძოლაში, ამიტომ მოერიდა სი-
სხლისღვრამდე მიეყვანა საქმე 19. და
გააგზავნა ჰოსიდონიოსი, თეოდიტე და
მატათია იუდეველებთან დასაზავებლად,
20. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ, როცა
წინამძღოლმა ამის შესახებ აუწყა
ხალხს, მოლაპარაკების პირობები ერ-
თხმად მოიწონეს და დათანხმდნენ და-
ზავებაზე. 21. დანიშნეს დღეც, როცა
პირისპირ უნდა შეხვედროდნენ ერთ-
მანეთს, და დათქმული დღეც რომ და-
დგა, თითოეულს საგანგებო სავარძლე-
ბი დაუდგეს. 22. იუდამ მოხერხებულ
ადგილებში შეიარაღებული ხალხი და-
აყენა, რომ მზად ყოფილიყვნენ, თუ
მტერი მოულოდნელად რაიმე მზაკვრო-
ბას განიზრახავდა, — და მშვიდობია-
ნი მოლაპარაკება ჰქონდათ. 23. ნიკა-
ნორმა ერთი ხანი იერუსალიმში დაჰყო
და უადგილო არაფერი ჩაუდენია, და
შემოკრებილი ხალხი დაშალა. 24. იუ-
დას თავიდან არ იშორებდა და გული-
თადად განეწყო მისდამი. 25. დაიყო-
ლია, რომ დაქორწინებულიყო და შვი-
ლები გაეჩინა. იუდაც დაქორწინდა,
დამშვიდდა და ცხოვრებით ტკბებოდა.
26. ხოლო ალკიმემ რომ დაინახა მათი
ერთმანეთისადმი კეთილგანწყობა და
ურთიერთდაზავება, მოიკრიბა გამბედა-
ობა, ეახლა დემეტრეს და მოახსენა,
რომ ნიკანორს სამეფოს მიმართ სიავე
აქვს განზრახული, რაკი მან იუდა თა-
ვის მემკვიდრედ დასვა სამეფოზე ავის-
მზრახველი იუდა. 27. მეფეს, —
ბოროტმოქმედის ასეთი ცილისწამებით
გაღიზიანებულმა და განრისხებულმა,
მისწერა ნიკანორს, რომ უმძიმს ამგვა-
რი მოლაპარაკების ატანა და ბრძანებს
მაკაბელი სასწრაფოდ, ბორკილგაყრი-
ლი მიჰგვაროს ანტიოქიაში. 28. წერი-
ლმა ნიკანორამდე რომ მოაღწია, შეც-
ბუნდა, მეტადრე იმან ატკინა გული,
რომ უნდა დაერღვია. მოკავშირეობა
კაცთან, რომელსაც უმართებულო არა-
ფერი ჩაუდენია. 29. მაგრამ მეფეს
რომ ვერ ეურჩებოდა, ხელსაყრელ შემ-
თხვევას უცდიდა, რომ ეშმაკურად მო-
ეგვარებინა საქმე. 30. მაკაბელმაც რომ
დაინახა, რომ ნიკანორი მის მიმართ
მკაცრი გახდა და შეხვედრაზეც ჩვეუ-
ულებრივზე მეტად უხეშობდა, და მიხვ-
და, რომ ეს სიმკაცრე კარგს არაფერს
მოასწავებდა—შეკრიბა თავის თანმხლებ-
თაგან არცთუ მცირერიცხოვანი ხალხი
და დაემალა ნიკანორს. 31. როცა ამ უკა-
ნასკნელმა გაიგო, რომ ეშმაკობით მას
მაკაბელმა აჯობა, მივიდა დიდ და წმიდა
ტაძართან და, როცა მღვდლებს დაწესე-
ბული მსხვერპლი მიჰქონდათ, ბრძანა
გადაეცათ მისთვის ეს კაცი. 32. რაკი
მღვდლები ეუბნებოდნენ და ეფიცე-
ბოდნენ, არ ვიცითო იმ კაცის ადგილ-
სამყოფელი, ვისაც შენ ეძებო, 33. ნი-
კანორმა ტაძრისკენ გაიწვდინა მარ-
ჯვენა და ფიცით წარმოთქვა: თუ არ
გადმომცემთ იუდას ბორკილებში, ამ
საღვთო ტაძარს მიწასთან გავასწორებ,
სამსხვერპლოს ამოვთხრი და ამ ად-
გილას დიონისეს დიდებულ ტაძარს
აღვმართავ. 34. ეს თქვა და წავიდა.
მღვდლები კი აღაპყრობდნენ ზეცისკენ
ხელებს, ევედრებოდნენ ჩვენი ხალხის
მარადიულ შემწეს და ამბობდნენ: 35.
შენ, უფალო, არავითარი გასაჭირი
რომ არ გქონია, კეთილ ინებე, რომ ეს
ტაძარი ყოფილიყო შენი სამკვიდრო
ჩვენს შორის. 36. და ახლაც, ყველა
სიწმიდის წმიდა უფალო, დაიცავი
უკუნისამდე შეურყვნელად ეს ახლად-
განწმენდილი სახლი და დახშე უწმი-
ნდური ბაგეები. 37. ხოლო ნიკანორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახსენეს ვინმე რაზისზე, ერთ-ერთ იერუსალიმელ უხუცესზე, როგორც თავის თანამოქალაქეთა მეგობარზე, რომელსაც ყველგან კეთილი სახელი ჰქონდა გავარდნილი და თავისი კეთილმოსურნეობის გამო იუდაელთა მამად აღიარებდნენ. 38. მას ადრე, ადრეულობის ჟამს იუდაელობის მხარე ეჭირა და მზად იყო იუდაელობისათვის სულიცა და სხეულიც შეეწირა. 39. ნიკანორმა იმის სურვილით, რომ ეჩვენებინა, თუ რაოდენ ეზიზღება იუდაელები, გააგზავნა ორმოცდაათზე მეტი ჯარისკაცი რაზისის შესაპყრობად, 40. რადგან, მისი აზრით, რაზისის დატყვევებით უბედურება დატრიალდებოდა იუდაელებში. 41. მაგრამ ხალხის ბრბომ ციხის აღება რომ დააპირა ეზოს კარიბჭეს მოაწყდა, და უკვე განკარგულებაც გაიცა ცეცხლი მოეტანათ, რომ ჭიშკრისთვის წაეკიდებინათ, მაშინ რაზისმა, რაკი დაინახა უცილობლად მტერს უვარდებოდა ხელთ, თვითონვე განიგმირა მახვილით თავი, 42. რადგან არჩია ვაჟკაცურად მომკვდარიყო, ვიდრე ურჯულოებს ჩავარდნოდა ხელში და თავისი ღირსება დაემცირებინა. 43. მაგრამ რაკი სიჩქარეში დარტყმა მიზანს ააცდინა, და ბრბოც უკვე შემოსასვლელებში შემოიჭრა, იგი უშიშრად აიჭრა გალავანზე და იქიდან ზედ ხალხზე გადმოეშვა. 44. შეჯგუფებულმა ხალხმა სასწრაფოდ მიიწ-მოიწია, ადგილი დაცარიელდა და რაზისი შუაგულს დაასკდა მუცლით. 45. ჯერ კიდევ ცოცხალი, იგი ფეხზე აღიმართა და რისხვით ანთებულმა ჩაურბინა ხალხის ხროვას, თუმცა სისხლი ღვარებად სდიოდა და ჭრილობებიც აწუხებდა, დადგა ერთ ციცაბო კლდეზე. 46. და სისხლისგან მთლად დაცლილმა, ამოიგლიჯა შიგნეულობა, ასწია იგი ორივე ხელით და შიგ ხალხში გადაისროლა, თან სიცოცხლისა და სულის მეუფეს ავედრებდა, კვლავ ებოძებინა მისთვის სიცოცხლე და სუნთქვა, და ასე დალია სული.

თავი მეთხუთმეტე

1. ხოლო ნიკანორმა გაიგო, რომ იუდა და მისი თანამებრძოლნი იმყოფებოდნენ სამარიას მიდამოებში და განიზრახა თავს დასხმოდა მათ ყოვლად უსაფრთხოდ, მათი დღესასწაულის დღეს. 2. იუდაელები, ვინც იძულებით თან ახლდა მას, ეუბნებოდნენ: ნუ ამოწყვეტ მათ ასე სასტიკად და არაადამიანურად, პატივი მიაგე ყოვლისმხილველის მიერ ნაკურთხ დღეს. 3. მაშინ ამ უწმიდურმა იკითხა: არსებობს კი მეუფე ცაში, შაბათი დღის აღნიშვნა ვინც განაწესა. 4. როცა განუცხადეს: არის ცოცხალი ღმერთი, ზეციური მეუფე, ვინც გვიბრძანა დავიცვათ მეშვიდე დღე, 5. მან უპასუხა: მე კი, მიწიერი მეუფე, გიბრძანებთ აიხსნათ იარაღი და შეასრულოთ, რასაც კი მეფე გიბრძანებთ. მაგრამ ვერ მოახერხა განზრახულის განხორციელება. 6. ნიკანორმა, ქედმაღლობითა და კადნიერებით თავგასულმა, განიზრახა იუდაზე და მის მომხრეებზე საბოლოო გამარჯვება ეზეიმა. 7. ხოლო მაკაბელს ღვთის შეწევნის შეურყეველი იმედი ასაზრდოებდა, 8. იგი თავის ხალხს მოუწოდებდა, წარმართების შემოტევას არ შეშინებოდნენ, მოეგონებინათ ზეციური თანადგომის უწინდელი შემთხვევები და კვლავაც ჰქონებოდათ გამარჯვებისა და ყოვლისმპყრობელის შემწეობის მოლოდინი. 9. ამხნევებდა რჯულისა და წინასწარმეტყველთა კანონებით, ახსენებდა თვითონ მათ მიერვე ჩადენილ გმირობებს და ვაჟკაცობისთვის აღანთებდა მათ. 10. ამასთან, უღვივებდა რა საბრძოლო სულიკვეთებას წარმართა ერერაგობასა და ფიცის გატეხვასაც აუწყებდა თავისიანებს. 11. და აღჭურვა ისინი არა იმდენად მტკიცე ფარებითა და შუბებით, რამდენადაც გამამხნევებელი კეთილი მოწოდებებით, და ყველანი გაახარა, როცა ღირსასახდენი სიზმარიც უამბო. 12. ხილვა კი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც მას მოევლინა, ასეთი იყო: ონია, ყოფილი მღვდელმთავარი, ღირსებითა და სიკეთით შემკული კაცი, სიტყვა-პასუხში მოკრძალებული, მშვიდი საქციელითაც, და მეტყველებითაც, კაცი, რომელიც სიყრმიდანვე ხარბად ითვისებდა ყოველგვარ სათნოებას, ხელაპყრობილი ლოცულობდა მთელი იუდაელი ხალხისათვის. 13. შემდეგ გამოეცხადა მაკაბელს სხვა კაცი, ჭაღარითა და დიდებით შემკული, უცხო და უჩვეულო დიდებულებით გარემოსილი. 14. და თქვა ონიამ: ეს არის კაცი, ძმათა მოყვარული, ვინც ბევრს ლოცულობს ხალხისა და წმიდა ქალაქისთვის — იერემია, უფლის წინასწარმეტყველი. 15. იერემიამ კი გაიწვდინა მარჯვენა, გადასცა იუდას ოქროს მახვილი და გადაცემისას უთხრა: 16. აიღე ეს წმინდა მახვილი, ღმერთისგან მოძღვნილი, ამით დასძლევ მტრებს. 17. ხალხმაც გამხნევებულმა იუდას მშვენიერი და შთამბეჭდავი სიტყვით, მებრძოლებს — გმირობისკენ, ახალგაზრდებს კი ვაჟკაცობისკენ რომ მოუწოდებდა, გადაწყვიტა კი არ დაბანაკებულიყო, არამედ იერიში შეეტანა მტერზე და მთელი სიმამაცით ჩაბმულიყო ბრძოლაში, რადგან ქალაქსა და წმინდა ტაძარს საფრთხე ემუქრებოდა. 18. ქალებისა და ბავშვების, ძმებისა და ნათესავების ბედი მათ ნაკლებად აწუხებდათ, უფრო მეტად ღვთივკურთხეული ტაძრისთვის ზრუნავდნენ. 19. ხოლო ვინც ქალაქში დარჩა, არც მათ ჰქონდათ ნაკლები სადარდელი, რადგან ბრძოლის ბედი აწუხებდათ, რომელიც მინდვრად იყო გაჩაღებული. 20. და როცა ყველანი უკვე მოელოდნენ, რომ საქმე გადაწყდებოდა, როცა მტრები გაერთიანდნენ და მეომრებიც მწყობრად განალაგეს, კუთვნილი ადგილი მიუჩინეს სპილოებს და აქეთ-იქით ცხენოსნები ამოუყენეს, 21. მაკაბელმა რომ შეხედა საიერიშოდ გამზადებულ მრავალრიცხოვან ლაშქარს, საჭურველთა სიჭრელეს და მხეცების მძვინვარებას, ცისკენ აღაპყრო ხელები და მოუხმო უფალს, სასწაულმოქმედს და ყოვლისმხილველს, რაკი იცოდა, რომ იარაღით კი არ მოიხვეჭება გამარჯვება, არამედ იგი თავისი არჩევანით ანიჭებს გამარჯვებას ღირსეულათ. 22. ამას ამბობდა მავედრებელი: შენ, მეუფეო, ანგელოზი მოუვლინე ხიზკიას, იუდას მეფეს, და შემუსრა მან სანქერიბის ჯარი-ასოთხმოცდახუთიათასი კაცი 23. ახლაც ზეცათა განმგებელო, მოგვივლინე კეთილი ანგელოზი, წინ რომ გაგვიძღვეს და შიშის ზარი და ძრწოლა მოჰგვაროს მტერს. 24. შენი მკლავის სიძლიერით დაამხე შენს წმიდა ხალხზე აღმდგარი მკრეხელები. ამ სიტყვებით დაამთავრა მან თავისი ლოცვა. 25. საყვირებითა და საბრძოლო ყიჟინით მოდიოდა ნიკანორის ჯარი. 26. იუდას ხალხი კი ღმერთის მოხმობითა და ლოცვებით ეკვეთა მტერს 27. მარჯვენა ბრძოლისთვის, გული კი ღმერთისთვის ლოცვად ჰქონდათ გადადებული. ასე, ღვთიური გამოცხადების ხილვით დიდად გახალისებულებმა გაანადგურეს სულ ცოტა ოცდათხუთმეტი ათასი კაცი. 28. როცა აღასრულეს საქმე და სიხარულით შემობრუნდნენ, შეიტყეს, რომ ნიკანორი ბრძოლაში დაღუპულიყო თავისი სრული აღჭურვილობით. 29. ყიჟინა და ხმაური რომ ჩაცხრა, სამადლობელი აღუვლინეს უფალს თავიანთ მამა-პაპათა ენაზე, 30. მაშინ იუდამ, სულითა და ხორცით თავის ხალხზე გადაგებულმა, ვისაც მთელი თავისი ახალგაზრდული კეთილგონიერება თვისტომებისთვის ჰქონდა შემონახული, ბრძანა, ნიკანორისთვის თავი და მკლავი მოეკვეთათ და იერუსალიმში წაელოთ. 31. რომ მივიდა, მოიხმო თვისტომები დაა სამსხვერპლოს წინ მღვდლები დააყენა, დაგზავნა ხალხი სიშაგრეთა დამცველთათვის ამბის საუწყებლად, ციხე-სიმაგრის დამცველებიც გამოიხმო თავისთან. 32. და როდესაც ყველას უჩვენა უწმინდური ნიკანორის თავი და უღვთოს ხელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც იგი, თავგასული, ყოვლის-მპყრობელის წმიდა სახლისკენ იწვდიდა, 33. ბრძანა ამოეკვეთათ უწმიდური ნიკანორისათვის ენა, ნაწილ-ნაწილ აეკუწათ და ჩიტებისთვის მიეგდოთ, უგუნურის მკლავი კი ტაძრის წინ დაეკიდათ 34. და ყველანი, ცისკენ თვალაპყრობილნი, განადიდებდნენ უფალს, მათ რომ გამოეცხადა, და ამბობდნენ: კურთხეულ იყოს, რომელმაც დაიცვა შეურყვნელად თავისი ადგილი. 35. და მან ციხიდან გადმოკიდა ნიკანორის თავი, როგორც ნათელი და თვალსაჩინო ნიშანი ღვთიური შეწევნისა. 36. საყოველთაო კენჭისყრით დაადგინეს: რომ არ დარჩეს აღუნიშნავი, მეთორმეტე თვის მეცამეტე დღე გამოცხადდეს დღესასწაულად. სირიულ ენაზე ამ დღეს ეწოდებოდა ადარ, მორდეხაის დღეს ერთი დღით უსწრებს წინ. 37. ასე აღსრულდა ნიკანორის საქმენი. და ამიერიდან ებრაელებმა დაიმკვიდრეს ქალაქი, მეც ამით დავასრულებ სათქმელს. 38. და თუ მწყობრად და გონივრულად დავალაგე სიტყვა, მეც ეს მინდოდა. როგორც შემეძლო, ისე ვქმენ და თუ მწირად და უღიმღამოდ, ის ვქმენ, რაც ძალმედვა. 39. ღვინოც ხომ, გაუზავებელს თუ დალევ, მავნეა. ასევე მავნეა მარტო წყალიც. მაგრამ კარგია ღვინო წყალს შეზავებული, სიამოვნებისა და მადლის მომგვრელი და სიტყვის ჯეროვანი წყობაც თავისი წყობით გვანიჭებს მადლს. ხოლო აქ იყოს ამბის დასასრული.

□ბაბრძელება იქნება□

პროზა, პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

ჩემი სავანე

ხასიათები და პორტრეტები

აქ არაფერია სხვაგან ნათქვამი, გამოგონილიც არაფერია.

ფრენსის ბეკონი

I

ყველაფერს თავისი შესავალი აქვსო, მაგრამ არ მინდა აქ შესავალი, მირჩევნიან რო პირდაპირ დავიწყო:

1949 წელი.

პირველი სექტემბერი.

პირველი ხელფასი ახალი სასწავლო წლისა.

ექვსი დღის ხელფასია: ოცდაექვსი აგვისტოდან პირველ სექტემბრამდისა. პირველი ხელფასია. ყველამ მიიღო. მე ისე დავრჩი. ვიკითხე. ამიხსნეს: ალბათ ხელი არ მოაწერეო. არ ვიცოდი, ოცდაექვს აგვისტოს ხელს რო აწერდნენ კანცელარიაში, განსაკუთრებულ რვეულშია, უსათუოდ ოცდაექვს აგვისტოსა და მხოლოდ ოცდაექვს აგვისტოსა,, არ ვიცოდი, მერე იმ რვეულს შეინახავდნენ და აღარაფერი გიშველიდა, აღარაფერი, აღარც რო ხელფასს მოგცემდნენ იმ ექვსი დღისასა, აღარც რო მოგასვენებდნენ იმ წელიწადსა, არ ვიცოდი; არ ვიცოდი, რო წინ ედებოდა ის რვეული რექტორსა, წინ ედებოდა და მალიმალ წაავლებდა ხელსა, თათბირები იქნებოდა თუ სხდომები იქნებოდა თუ კრებები იქნებოდა თუ რაც იქნებოდა, მალიმალ წაავლებდა, თუ რო რაიმე შეგცდებოდა, თუ მოითხოვდი რაიმესა, წაავლებდა და ააფრიალებდა, არაფერია გასაკვირველი ამის შემდეგაო, ააფრიალებდა და დაატრიალებდა. მე რა ვიცოდი!.. ყველამ იცოდა. ყველა გამოცხადდა. ხელი მოაწერა და წავიდა. წავიდა. მე დავდიოდი თითქმის ყოველ დღესა. ცხრილი ვერ გავარკვიე. უნდა გამერკვია. დავდიოდი. და. დავდიოდი. მოვიდოდი და წავიდოდი. მეტი არაფერი. ვერც გავარკვიე და იმდენიც ვერ გავიგე, ხელი რო უნდა მომეწერა, სად რო მომეწერა და რატომაც უნდა მომეწერა. იმდენიც ვერ გავიგე. ყველამ იცოდა. მე არ ვიცოდი. მე პირველად ვიწყებდი ამ ინსტიტუტში. მე ერთი გახლდი ახალი იმ წელიწადისა. ყველა ძველი იყო. ყველამ იცოდა. ესეც იცოდა, ისიც იცოდა—ტყუილად რო ივლიდა, ტყუილად რო იკითხავდა ცხრილსა,იცოდა, კარგახანი რო გავიდოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ცხრილები დადგინდებოდა, იცოდა ყველამა, იცოდა და არცა ნაღვლობდა, არასა ნაღვლობდა; იცოდა ყველამა. თავის დროზე რო ალბათ გადახდათ იმ-ათაცა გადასახდენი, გადახდათ და გამ-ოცდილიყვნენ, გამობრძმედილიყვნენ, მოწესრიგებულიყვნენ. დიახ, დიახაც რო მოწესრიგებულიყვნენ. აწყობილი-ყვნენ. ეს ერთი აღმოჩნდი უწესრიგოი, ერთი ახალი და ისიც უწესრიგოი. სა-სჯელიც მივიღე, პირველი სასჯელი: სხვებმა მიითვალეს ექვსი დღის ხელ-ფასი, მე გამომაბრუნეს ხელცარიელი. თუმცა არც ისე, — რჩევით რო მაინც მირჩია მოლარემა, ბუღალტერიას მია-კითხეო. არ მივაკითხე. ისიც ვინანე, სალაროს რატომ მივადექი მეთქი. ვინა-ნე. არც არსად თათბირს გავკარებივარ, არც არსად სხდომასა თუ კრებასა, არც არაფერი მითხოვნია და არც შეცდომა მომსვლია ისეთი, რო გამოსდგომოდეს ის რვეული რექტორსა, იმ წალიწადსა რაღა თქმა უნდა, მე ერთი რო აღმოვ-ჩნდი დამნაშავეი და ერთი სასჯელიც რო მაშინვე მივიღე.

ასე მირჩევნიან, რო დავიწყო, ასე პირდაპირა.

თუმცა შეიძლება, რომ აქ ეს იყოს შესავალი, რახან ყველაფერს თავისი შესავალი აქვსო, — შეიძლება.

რაც არის, იყოს, ასე დავიწყე და ასე-ვე გავყვები.

გორში დაიწყო ასე, —

გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

არცთუ ისე შორეული თუ უცნობი გახლდა ეს ინსტიტუტი ჩემთვისა, თუ-მცა მართალია ცხვირიც არ შემეყო შიგა მანამდისა, მაგრამ ბევრი რამ გა-მეგონა მაინცა რექტორის სიმკაცრესა თუ თავისებურებაზედა, ჰო, ჰო, ბევრი რამ გამეგონა, ზღაპრულიც და ანეკდო-ტურიცა, გაზვიადებული რაღა თქმა უნდა, როგორც რო სჩვევია ხალხსა ერთი თუ ვინმეს გამოსდო კლანჭია; კიდევაც გამეგონა და კიდევაც დამენახა ქუჩაშია და სახე თუ გარეგნობა კიდევაც ადასტურებდა ყველაფერს იმასა, რასაც რო ჰყვებოდნენ, ადასტურებდა, როგ-ორც რო ესეც ჩვეულებრივია, როცა ხმა უსწრებს უშუალო გაცნობასა. ჯმუ-ხი, პირქუში, მიუვალი კაცი სჩანდა, ტლანქი, ვეებაი, ყოველდღე რთ თავსიპ-არსევდა სამართებლითა, წვერულვაშსა-ცა. რაღა თქმა უნდა. ილის ცხრისნახე-ვარზე უკვე თავის კაბინეტში იჯდა და ფეხს აღარ გაადგამდა გარეთა, ვიდრე არ გაიცლებოდა ინსტიტუტი. ადვილად ვერავინ შეჰბედავდა კაბინეტშია, ხოლო თუ ვინმეს გამოიძახებდა, რისხვა ელ-ოდა უსათუოდა. ისე არა, არავის იხ-მობდა მისაფერებლადა თუ სამადლობ-ლოდა, არა, არავისა, არც რო მიფერება სჩვეოდა თუ არც იცოდა, არც რო მა-დლობა სჩვეოდა თუ არც იცოდა. დაი-რეკებოდა ზარი თუ არა, დაერჭობოდა მთავარ ვესტიბულში, დაერჭობოდა, ჩა-იკეტებოდა კარი ინსტიტუტისა, ჩაი-კეტებოდა, ვეღარაავინ შევიდოდა, ვე-ღარავინ გავიდოდა. შელაგდებოდნენ აუ-დიტორიებში [1] პროფესორ-მასწავლებ-ლები თუ სტუდენტები ერთიმეორეზე ფაცხაფუცხითა, ვინ ვის შეასწრებდა, შელაგდებოდნენ, და დაისადგურებდა სრული დუმილი, მონასტრული დუმი-ლი, სასწავლებელს რო შეეფერებოდა. ამაზე უკეთესი რაღა იქნებოდა, — ყო-ფილიყო მკაცრი, პირქუში, მიუვალი, რაც უნდა ყოფილიყო, თავპირიც ეპარ-სა როგორც რო ენება ოღონდ წესრიგი არ დარღვეულიყო, ასეთი წესრიგი, უც-ებ მოსულ კაცს რო ეამებოდა, გაუკვი-რდებოდა და ეამებოდა, — ამაზე უკე-თესი რაღა იქნებოდა. და მერე, ცოტა ახლოსაც რო გავიცანი, აღარც ისეთი პირქუში თუ მიუვალი მეჩვენა, — ცო-ტა ახლოსამეთქი, რადგან რო მაინც არცთუ ისე დავახლოებულვართ, მაინც რო უკარება კაცი გახლდა და მეც რო არავის მივანგრევდი კარსა და ბანსა.

და მაინც ამ იდეალურ წესრიგში ერ-თი რამ მაინც თავიდანვე მიკვირდა: ვერ-რა და ვერ დადგინდა ჩემი ცხრილი, სხვებისაც ვერა რაღა თქმა უნდა, დღე-ები გადიოდა, კვირეები გადიოდა, ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგინდა, ვერ გაიმართა. დღეს ასე იყო, ხვალ ისე იყო, ამ კვირას ასე გახლდა, იმ კვირას დაგვხვდებოდა სხვაგვარადა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, ცოტა რო ძნელად მოსავლელი მიზეზი. მიზეზი ჰქონდა. უმრავლესობა ლექტორებისა თბილისიდან დაბრძანდებოდა, მატარებლით დაბრძანდებოდა, ჯერ საკუთარი მანქანა არა ჰქონდა არავისა, ვერც ავტობუსები აწყობილიყო წესრიგზედა. რკინიგზის განრიგი დასწოლოდა ცხრილებსა, დასწოლოდა ვეშაპივითა. და სცურავდნენ დეკანები ჭირისოფლშია. ზოგი მათგანის მადლობელი არც უნდა ვიყო, ჯიბრიც იცოდნენ იმ საცოდავებმა, მაგრამ აქ მაინც, ამ შემთხვევაში, უსათუოდ შეგეცოდებოდნენ. უნდა დაეცვათ ცხრილის წესებიცა, კათედრებიც როგორმე უნდა დაეჯგუფებინათ, როგორმე ერთადაც რო მოეყარათ თავი კათედრის წევრებსა, ერთხელ მაინცა, ერთ დღეს მაინცა, ორიოდე საათით მაინცა, ანთუ შუალედებში მაინცა, — აბარგებულნი და ჩამომსვლელნი დერეფანში რო მაინც გადაჰყროდნენ ერთიმეორესა. და სცურავდნენ დეკანები ჭირისოფლშია. რექტორს ამას ვერ გააგონებდნენ, მუშტს შემართავდა, ვეება მუშტსა, გეგონებაოდა, ურო ასწიაო, შემართავდა და დაატრიალებდა დაატრიალებდა და დაუშვებდა მაგიდაზედა, თითქოს გრდემლზედაო, შეგეშინდებოდა, აი და ჩალეწავსო, — ვერ გააგონებდნენ და არც გამაგონოთო, ბრძანებდა:

„ადგილობრივი“ და „ჩამომსვლელი“ არ გამაგონოთო, ბრძანებდა, თანამშრომელი თანამშრომელია, სხვა სახელი არ დამირქვათო, ბრძანებდა; ცხრილი კანონია, ცხრილი ბატონია, არ შეიძლება, რო ემორჩილებოდეს ვინმეს ნებასურვილსაო, ბრძანებდა; ბრძანებდა და გრგვინავდა: მე რაღაცას მოვკარი ყურიო, გრგვინავდა, გრგვინავდა.

არაფერი ისეთი არა ყოფილაო, შესძახებდნენ დეკანები, არაფერი ისეთი არა ყოფილაო, შესძახებდნენ სხვანიცა.

2201

არც დავუშვებო, დაიბრაგუნებდა ... მუშტი.

მაშინ, ცხრილები უკვე გამართული გახლდა, კინკლაობანი ჩაშუშებული, დეკანებთან კინკლაობანი, პატარპატარა კინკლაობანი, ჩამცხრალი, ჩაშუშებული.

და ჩამოდიოდნენ და ბრუნდებოდნენ ლექტორები, ჩამოდიოდნენ ზლაზვნითა დაზარებითა, წელათრეულნი ჩამოდიოდნენ, და ბრუნდებოდნენ ოთხამოღებულნი, მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ.

ცოტა ნელა მაინც იარეთო, იტყოდა რექტორი, ხან რო დადგებოდა ხუმრობის ხასიათზედა, ხანა, ხანა იშვიათადა, ისე გარბიხართ, ლამის რო ხიდზედაც აღარ მოუაროთ, ლამის პირდაპირ გატოპოთო.

ეს როცა ხიდი ცოტა შორს გახლდა, მერე სადგურის პირდაპირ გავიდა და მერე ასე ხუმრობდა ხოლმე:

გეშველათ და ეგაა, მტკვარში მაინც აღარ გადაცვივითო.

ხუმრობდა ასე, მეტად არა. ესეც დიდიდი იუმორი გახლდა. იჭაჭებოდნენ სიცილითა. უხაროდათ, მართლა, უხაროდათ, მართლა იცინოდნენ, ოღონდ ამანაც გაიხუმროსო.

ხუმრობა ხუმრობადა, ოღონდ ეს უფრო მათრახებსა ჰგავდა, მოკლემოკლე მათრახებსა, რო შეახსენებდა რექტორი, დრომდის სამსახურში ვერ მოგიცდიათო, შეახსენებდა და დაანამუსებდა გამუდმებითა, გამუდმებითა. ხანაც მათრახებს დაიგრძელებდა, დროგამოშვებითა, დაიგრძელებდა და დაიგრძელებდა, დროგამოშვებითა-მეთქი, მოკლემოკლეს ჰო არ გამოულევდა და არა. არა. გამოცდილიყო, ხერხი გახლდა თუ ბუნებრივი ნიჭი იმისი, ეს არ მიკვლევია არასოდესა, ოღონდ და მაინც ისე ეტყობოდა რო ბევრი რამ ბუნებრივი იყო მასში, ისე ეტყობოდა, ბუნებით რო მოსდგამდა ეშმაკობანი ასე ამდაგვარი: სხვას რო ამბობდა და სხვას რო გულისხმობდა და რო ვერ მიუხვდებოდი რა უნდოდა და რას გულისხმობდა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევაში მაგალითადა, — ასე რო სძრახავდა, ლამის წყალში გადაცვივდეთო, გუნებაში არ ეპიტნავებოდა, ცოტა მეტ ხანსაც რო დარჩენილიყვნე ის ეგრეთწოდებული ჩამომსვლელები, ძირითადი კადრი ინსტიტუტისა, ღირსებაი ინსტიტუტისა, გავლენიანი პიროვნებანა ინსტიტუტშიცა და ისედაცა, გამოცდილი, გამობრძმედილი ხალხი, ჭიპი რო მოეჭრათ სამეცნიეროსა თუ პედაგოგიურ ასპარეზზედა, ადვილად რო არავის არაფერს დაუთმობდნენ, ადვილად რო არავის შეეპოებოდნენ, არც ეპიტნავებოდა, არც უნდოდა, რადგან რო თვითონ განაგებდა ინსტიტუტსა, თვითონა, თვითონა, თვითონ ეკიდა ხელი ყველაფერზედა,ყველაფერზედა, მისაღები გამოცდები იყო თუ კადრების შერჩევა იყო, ზარისდარეკვა იყო თუ„მასტიკის“ განაწილება იყო დამლაგებელთა შორისა, თვითონ ეკიდა, ხელი, თვითონ განაგებდა და არ ჩაირევდა არავისა, ერთი ბრძანებდა, და დანარჩენნი შემსრულებელნი გახლდნენ, — ყველანი, ყველაი, არავინ რო არავის ეხელქვეიბოდა, არავისა, გარდა რექტორისა, არავისა, არა, არავისა, — პრორექტორები თუ დეკანები, ბუღალტერიის მუშაკები თუ კანცელარიის მუშაკები თუ ლაბარანტები თუ დარაჯები თუ დამლაგებლები თუ ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, ერთ ხაზზე იდგნენ რექტორის წინაშე,

ამათ ლექტორებიც ემატებოდნენ, ე. წ. ადგილობრივნი, გორში მცხოვრებნი, ახალგაზრდა ლექტორები, გორის ინსტუტი რო დაემთავრებინათ, რო დაეტოვათ ინსტიტუტშია. რექტორის ბრძანებითა, რექტორის წყალობითა რაღა თქმა უნდა და რო შეჰყურებდნენ სასოებითა მწყალობელსა თავიანთსასა ცხადია და რაღა თქმა უნდა, — ისინიც იმავე ხაზზე იდგნენ.

და მეტი აღარც აღარავინა სჭირდებოდა ბატონ რექტორსა ახლომახლოსა, აღარავინა, — იმათ წაეკითხათ თავიანთი ლექციები, ჩაეტარებინათ ის რაღაცრაღაც ღონისძიებანი, წესები, თუ რაც იყო ამდაგვარი, და მერე კისერი ეტეხათ, საითაც ენებათ, იქით გაქცეულიყვნენ თუ გადავარდნილიყვნენ, თუნდაც რო მართლაც გადაცვენილიყვნენ მტკვარშია კისერი ეტეხათ, ოღონდ ფეხებში არ გამობლანდებოდნენ, ოღონდ აქ აღარ შეეშალათ ხელი, არაფერში შეეშალათ ხელი. მაშინ ის თავის სტიქიაში გახლდა, როგორც იტყვიან, მართლაც რო თავის სტიქიაში გახლდა. აქ მომწონს ეს გამოთქმა, მომწონს და ვიმეორებ: და ძრწოდა ინსტიტუტიძ დაე გაზვიადებული იყოს. და იყო წესრიგი, იყო, მართლაც რო იყო, სანიმუშო წესრიგი სუფევდა ინსტიტუტში.

კათედრის გამგეები არ მიხსენებეია ამ სათვალავშია.

კათედრის გამგეები.

ისინიც ჩამომსვლელნი გახლდნენ, ერთი-ორის გარდა, ჩამომსვლელნი, — ისინიც მირბოდნენ, ისინიც მორბოდნენ, ისინიც იტანდნენ დაცინვასა თუ შენიშვნებსა სხვებთან ერთადა, ოღონდ რო გაესწროთ, იტადნენ, იტანდნენ, ოღონდ რო დროზე დაბრუნებულიყვნენ თბილისში, ოღონდ რო დროზე დაბრუნებულიყვნენ; და არ ედარდებოდათ თუ არას აკითხებდა რექტორი, რაც ეკითხებოდათ, რო არ აკითხებდა იმასაცა რაღა თქმა უნდა, როგორც რო ენება, ისეც რო განაგებდა კათედრებსა, არ — ედარდებოდათ, არ ენაღვლებოდათ, ოღონდ გაესწროთმეთქი. გაესწროთ. გაესწროთ. მატარებელშიმაინც მოითქვამდნენ სულსა, ცოტას წაიქილიკებდნენ, ცოტას წაიბუზღუნებდნენ, მოიოხებდნენ დარდასა თუ ვარამსა, მოითქვამდნენ, მოიოხებდნენ.

ვთქვათ გადააყენებდნენ გამგეობიდანა, — გადაეყენებინათ, არც რო ამაზე აიტკივებდნენ თავსა.

ვთქვამეთქი.

მაგრამ არაო, არ გადააყენებდნენ.

თუ რატომაო, ბარეღამ ვიტყვი.

ვიტყვი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მომძლავრებულიყვნენ ის ე. წ. ადგილობრივი ჯერ იმდენადა, არ მომძლავრებულიყვნენ, არ მოლონიერებულიყვნენ, არც რო შინაგანადა, არც საბუთებითა: ხარისხებითა თუ წოდებებითა, ჯერ ესა ჰქონდათ საძიებელი.

არ გაადააყენებდნენ ერთისიტყვითა. არ გაამწვავებდა საქმესა რექტორი, არა ასე არ გაამწვავებდა. ესენიც უნდოდა,— სწორეთ ასეთნი ენება რექტორსა: არას აკითხებდა და არც მათრახებს გამოულევდა: კათედრის გამგეები!.. კათედრის გამგეები!.. კათედრის გამგეები!.. გაისმოდა ყოველ კრებაზედა, ყოველ თათბირზედა ძირითადი რგოლი... დასაყრდენი ინსტიტუტისა.. მეტი თავგამოდებაᲐ საჭირო... მეტი დროა საჭირო... მაგრამ... მაგრამ... მაგრამ... და ჩაელუნათ თავი კათედრის გამგეებსა, მერე ისეთებსა, რო არ ჩაღუნავდნენ თავსა ადვილადა, ბოღმა რო მოაწვებოდათ ყელშია, მაგრამ ისევე ჩაიბრუნებდნენ, ჩაიბრუნებდნენ რაღა თქმა უნდა, რო არ ეთქმოდათ არაფერი და რო მაინც იმასა ნატრობდნენ, კრება რო მალე დამთავრებულიყო, რო არ გაესწრო მატარებელსა. ატყობდა რექტორიცა, ანდაზებიც უყვარდა ხოლმე, უყვარდა და გამოურევდა: შეაყარე კედელს ცერცვიო... მგლის თავზე სახარებასა კითხულობდნენო... გამოურევდა, ოღონდ ისე, ისე რბილადა, მოხვდეთ და არ ეტკინოთ, მოისუსხონ და არ ემწვავოთო, ისე რბილადა და ისე თბილადა. ხმის ამომღები არავინ იყო. მერე ებუზღუნათ მატარებელში, რექტორს ეს აღარ ენაღვლებოდა. კრება მორჩილობდა ინსტიტუტი მორჩილობდა. მატარებელი არ ეკითხებოდა. ანთუ კრებაზედვე, შეიძლება რო ვინმეს მაინც წამოეძახნა: დაასახელეთო, ვინმესა ვიღაცასა, რო ეგონა რო თვითონ მაინც რაღაცას აკეთებდა, ანთუ მე მაინც ვერასა მკადრებსო, რო ეგონა რაღა თქმა უნდა, არ აჰყვებოდა რექტორი ადვილადა, არა, არ აჰყვებოდა, არც ადვილადა და არც ძნელადა, არ აჰყვებოდა, იმისთვის ყველა რო ერთი გახლდა, ერთი, ბანურჩელი, რო მოითხოვდა ყველასგან ერთნაირადა, რო ჰკიცხავდა ყველას ერთგვარადა, რო არ გამოჰყოფდა ცალკე არავისა, პიროვნებას არ შეეხებოდა, არ გააღიზიანებდა ცალკე არავისა არ გაახელებდა, არა არა, არავითარ შემთხვევაში. კათედრის გამგეებიო... კათედრის გამგეებიო... კათედრის გამგეებიო... თუმცა ყველა არაო, მოადევნებდა შიგადაშიგა და მოხერხებულად გამოდიოდა, მოხერხებულადა, ხმა არავის ამოელებოდა ასე საერთო შეკრებებზედა. მართალია რო ნაცადი ხერხია, ძველია, ნაცნობია, მაგრამ ისევა ჭრის, ანთუ ზოგს უჭრის, ყოველ შემთხვევაში ჩვენს რექტორს უჭრიდა იმ პირველ ხანებში რაღა თქმა უნდა.

მერე მერეა.

იმ პირველ ხანებშიმეთქი.

და იდგა რექტორი შეუვალი. იდგა და იდგა. იჯდა თუ იჯდა შეუვალი. დიდი მუშტები დაებღუჯა მაგიდაზედა. მოაბრუნებდა ოდნავადა თავპირსა, გაბურთულ თავპირსა, ოდნავადა, რო არ დაანებებდა სქელი კისერი, მოაბრუნებდა ოდნავადა, აბა თუ ვინ არის, ვინ წამოდგებაო. არავინ არ წამოდგებოდა, კათედრის გამგეებიდანა რაღა თქმა უნდა. გაზეპირებულ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ პრორექტორები და დეკანები, — როგორც რო ბრძანა ბატონ გიორგიმაო, წარმოსთქვამდნენ, და კრებაც დაიშლებოდა, და მოჰკურცხლავდნენ ის ე. წ. ჩამომსვლელები.

მოჰკურცხლავდნენ.

და გაჰყურებდა რექტორი.

და ქირქილებდა, ოდნავა, ოდნავა, ოდნავ გაიტანდა ტუჩებსა განზედა.

და გამოიხმობდა ლაბორანტებსა: შეჰხედეთ, შეჰხედეთ თქვენს გამგეებსაო.

და კისკისებდნენ ლაბორანტები. კიკისებდნენ.

ისინი რაო, — ცოტას ჰო გზაშიც მოიოხებდნენ გულსა, დაწყნარდებოდნენ მერე შინა, დაისვენებდნენ, გაიბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყავდნენ საერთო საცხოვრებლის სუნსა, დამე დარჩენა მაინც რო უწევდათ, — ამოირეცხავდნენ კუჭსა, შეშინებულსა თუ გაღიზიანებულსა ინსტიტუტის სასადილოსგანა, დაისვენებდნენ დაშოშმინდებოდნენ და ჩამობრუნდებოდნენ დაშოშმინებულნი, ჩამობრუნდებოდნენ და განაგრძობდნენ თავიანთ საქმესა წესიერადა, პატიოსნადა, უანგაროდა. განაგრძობდნენ. განაგრძნობდა. ამას იმ თაობაზე ვამბობ, ვინც რო დამხვდა, წესრიგი რო სუფევდა გორის ინსტიტუტში, სანიმუშოდ რო ითვლებოდა, სანიმუშობდა და ერთადერთადა, არა ერთერთადა, — ერთადერთადა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, ერთადერთადა, როგორც ამბობდნენ, სადაც რო ინტრიგას ადგილი არა ჰქონდა. როგორც ამბობდნენ. და მართალსაც ამბობდნენ. აკადემიური მოსწრებაც სანიმუშო გახლდა, სპორტული მიღწევებიც სანიმუშოი, ოლიმპიადებზედაც გამოიჩენდა თავსა ინსტიტუტი, გუნდებითა მცირე ჯგუფებითა თუ ცალკეული შემსრულებლებითა; სხვა თუ რამ მოეპოვებოდა ინსტიტუტსა, — ეს კვალიფიკაციის ამაღლებაო, ეს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაო, ესკაბინეტ-ლაბორატორიებიო, ეს ბიბლიოთეკაო, ან თუ რა ჩამოვთვალო, ყველაფერში სამაგალითოდ გამოდიოდა და ამაყად გვიკითხავდა რექტორი სამინისტროდან მოსულ ბრძანებებსა თუ დადგენილებებსა, პირველ რიგში რო გორის ინსტიტუტი ეწერა, — (რექტორი დოც. გ. ხარაული) — ო, ამასაც რო არ გამოსტოვებდა, ფრჩხილებშიო, იტყოდა ასე, იტყოდა და მიაყოლებდა, მიაყოლებდა და მიადევნებდა მერე ვრცელ სიტყვასაცა ვრცელსა, ვრცელსა, სულ ცოტა, ორი აკადემიური საათი რო მაინც გადაებმოდა ერთიმეორესა, გადაებმოდა და დასრულდებოდა უსათუოდ ასე ამგვარადა: წარმატებები უფრო მეტი გვექნებოდაო, ყველა რო ერთნაირ ერთგულებას იჩენდეს საქმისადმიო, მაგალითადაო, ზოგიერთი კათედრის გამგეო...

ვინმე მაინც ვერ მოითმენდა:

დაასახელეთო.

დავასახელებო.

—დამუქრებოდა რექტორი. ახლავე დავასახელებო. აიძუძგებოდნენ მოლოდინშია. მაგრამ არაო, არ დაასახელებდა: ისე დაღლიდა კრებასა, ისე გაუშვებდა, რო აღარ ახსოვდათ აღარაფერი.

შეიძლება რო ესეც საჭიროდ მიაჩნდა რექტორსა, — კრებაზე ვამბობ, შეკრებილთა დაღლაზე ვამბობ, შეიძლება შეიძლება.

ანთუ რაც იყო, ყველაფერს უმადლიდნენ იმის ადმინისტრაციულ ნიჭსა, როგორც რო ბრძანებდნენ სამინისტროშიცა და ქალაქშიცა, გორში ცხადია.

გორში.

გორში ჰო ლეგენდები დადიოდამეთქი.

ისინი ჰქმნიდნენ, ის ე. წ. ადგილობრივები იმა ლეგენდებსა, ანთუ თავიანთი შიში თუ მორიდება გაჰქონდათ ქალაქშია, შემთხვევები თუ ეპიზოდები გაჰქონდათ და გაჰქონდათ და მერე აზვიადებდა ქალაქი, ანთუ როგორც იყო, მეც გამეგონა მანამდისაცამეთქი, ქუჩაშიაც მომეკრა თვალი რექტორისათვისა, მანამდისაცცამეთქი, და მჯეროდა ყველაფერი, გაზვიადებულიცა, შიშვლად ნათქვამიცა, მჯეროდა.

მჯეროდა.

მეც წესრიგი მერჩივნა ყველაფერსა. წესრიგს მივეტანე.

ასე ვმსჯელობდი ჩემი მაშინდელი ჭკუითა: სადაც წესრიგია, საქმეც ადვილია მეთქი; ლექციებსაც ადვილად გავუძღვები, დროც დამრჩებამეთქი; ყელქცეულში განვმარტოვდები, ვწერ და ვწერ, დავწერ თუ რამე შემიძლია მეთქი; სიმშვიდე მექნება, მყუდროება მექნება შინაცა და ინსტიტუტშიცა მეთქი; სიმშვიდეც მექნება და დროც მექნება მეთქი; ასე ვფიქრობდი ჩემი მაშინდელი ჭკუითა; ხან იმათაც გავეკიდები, იმ ე. წ. ჩამომსვლელებსამეთქი, თბილისმაც რო არ დამივიწყოს, რო არ გამიუცხოოს მეთქი; ასე ვფიქრობდი ჩემი მეშინდელი ჭკუითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

ეს ანდაზა მაშინაც ვიცოდი რაღა თქმა უნდა, მაგრამ წესრიგმა მაინც მიმიზიდა, მაინც წამიტყუა წესრიგმა.

რაც უნდა იყოს, ერთხანს მაინც არა მიჭირდა რაი.

ის არაფერი, რო დამეკარგა ის პირველი ხელფასი, თუმცა ვინ უწყის,ნიშანი გახლდა ბედისწერისა, ვინ იცის ვინ უწყის,მე ვერ მივუხდი და არც არაფრად არ ჩამიგდია,სხვა რო არაფერი აღარ შემხვედრია იმ პირველ ხანებში რაღა თქმა უნდა. მერე დროს ყველაფერი მოაქვს... ავიცა და კარგიცა, — ანთუ ავი მოაქვს, კარგი რო ისეა მოდევნებული, დასამშვიდებლადა რაღა თქმა უნდა. რაც უნდა იყოს, რაც რო მომეწია, მევე რო შევცდი, ალბათ იმიტომა.

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო;

ეს ანდაზაც მაშინაც ვიცოდი.

კაცი რო თავის თავს უზამს, მტერი არ მოეკიდებაო,

ესეცა ცხადია, — დავითას მაინც ესა სჯობიან, ხოლო შეცდომას რაც შეეხება, მეტი დატვირთვა არ უნდა ამეღო, არ უნდა ავცილებოდი ნახევარ შტატსა, შემთავსებელი რო ეწოდება, — ასე გადავწყვიტე თავიდანვე, ასე დავიწყე, ასე დავიფიცე. და გავტეხე ფიცი, ანთუ გამატეხინეს, — შეძახილმა ხე გაახმოო, — თანაც მინდა რო თავი ვიმართლო. გავტეხე ფიცი. გავტეხე თუ გამატეხინეს, შუაში მაინც მე მოვექეცი: ჯერ მთელ შტატზე გადამიყვანეს, სხვანაირად არ შეიძლებაო, მერე ამკიდეს კათედრაცა, სხვანაირად არ შეიძლებაო, მარწმუნებდნენ და მეც დავიჯერე; ვხედავდი ჭაობში რო ვეშვებოდი, მაინც დავიჯერე, დავთანხმდი მაინცა; ვხედავდი, ვხედავდი, დავიჯერე მაინცა, ვითომ სხვანაირად რო არ შეიძლებოდა, ვითომ უჩემობა რო არ შეიძლებოდა, დავიჯერე, რას იზამ, ბედისწერა ბედისწერააო.

ბედისწერააო.

ბედისწერა სწორედ ისაა, თვალი რო აგეხვევაო.

მანამდე მაინც არა მიჭირდა, მართლაც რო ადვილად ვუსწორდებოდი ნახევარი შტატის საათებსა, სულ ადვილადა, ერთ-ორ დღეს გორს ჩავირბენდი, დანარჩენს ვიჯექი ჩემს ყელქცეულშია, ჩემს საქმეს ვადექი, არაფერი რო ხელს არ მიშლიდა. თუმცა... ინსტიტუტი არ მიშლიდამეთქი. სხვა დანარჩენი სხვაგან სათქმელია, აქ არ მინდა რო სხვაც ავიხლართო. ჩემს საქმეს ვადექი ერთისიტყვითა. ასე გადავჭერი და ასეც გამოდიოდა. და მიკვირდა, არასოდეს რო არ ამსრულებოდა სულ მცირე სურვილიცა, მიკვირდა. თურმე შეიძლებოდა. თურმე. და მიკვირდა. მიკვირდა.

თუმცა რა მოხელეა ეს გადახვევანი, ეს ლირიკული თუ სენტიმენტალური გადახვევანი, — არაფერი რაღა თქმა უნდა.

იმას ვამბობდი:

სამინისტროშიც რო კმაყოფილი გახლდა ჩვენი ინტიტუტისა, ჩვენი რექტორისა განსაკუთრებითა, კმაყოფილი ყოველისმხრითა, იმას ვამბობდი, მხოლოდ ეს ერთი არ მოსწონდათ, ცოტა სიძუნწის სახელიც რო გაეგდო, ანეკდოტები რო დადიოდა იმის სიმკაცრესა და ცოტა სიძუნწეზედა,—სიმკაცრე არაფერი, სიძუნწე არ მოსწონდათ. იქ ყველა ანეკდოტური თუ მართალი ეგონათ, იქა, სამინისტროშიმეთქი; მიჰქონდათ და მოჰქონდათ ამბავი იმა ე. წ. ჩამომსვლელებსა, სამინისტროშიც რო ხშირად შეირბენდნენ ხოლმე, ანთუ წიგნის გამოცემა რო ენებათ, ანთუ გადასვლა რო ენებათ თბილისში, შეირბენდნენ და მოაბნევდნენ ახალ ამბებსა, იმათ ნათქვამსაც გამოიყოლებდნენ ხოლმე. არ მოსწონდათ, არა, ჯერ რო ხუმრობითა, მერე ცოტა ნაწყენობითა,ც ბევრი სტუმარი რო მოაწყდა ჩვენს მხარესა, მოსკოველები რო ბუზებივით ეხვეოდნენ, დასავლეთის კარიც რო გაიღო და რო აღარ იცოდნენ თუ საით წაეყვანათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საით თუ როგორ გაენაწილებინათ, რო აღარ იცოდნენ . აღარ იცოდნენ. როცა არ უნდა გასჭირებოდათ, როცა ასეთი სანიმუშო ინსტიტუტი ეგულებოდათ იქვე ახლოსა, თბილისთან ახლოსა, როცა ასე განთქმულიყო გორი პურადობითა, ძველთაგანაცა და ახლაც ისევე, ისევ ისევე, არა, არ უნდა გასჭირებოდათ რაღა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ერიდებოდნენ ისეთ კაცსა, რომელიც თურმე „მასტიკის“ ქილებს თითებით უზომავდა დამლაგებლებსა, ბაზარში თურმე რგოლი დ ჰქ ნდა, საგანგებო რგოლი, კვერცხებს რო ზომავდა თურმე იმითი, ერიდებოდნენ, ერიდებოდნენ და მოერიდბოდნენ რაღა თქმა უნდა, მართალი თუ გახლდა, ტყუილიც ყოფილიყო, მოერიდებოდნენ. მოერიდებოდნენ.

II

მაგრამ ძნელდებოდა მორიდებაცა. ეტყობა, ძნელდებოდა, ნელნელა ამასაც რო შემოაპარეს, ნელნელა და ფრთხილადა, ბოლოსდაბოლოს გაცნობა უნდათ სანიმუშო ინსტიტუტისაო, შემოაპარეს, შემოაპარეს, და შეიშმუშნა რექტორი, ცოტა შეიშმუშნა.

შეიშმუშნაო, ოღონდ და მაინც მხურვალედ მოეკიდა ამ საქმესაცა, მხურვალედა, რო არ ეგონათ, ისე მხურვალედა.

დაავალეს.

დავალება დავალება გახლდა.

დავალებას კანონის ძალა ჰქონდა. ეს ჰო ისედაცა, იმისთვის ჰო!.. ნუღარ იკითხავ!.. მხურვალედ მოეკიდა ერთისიტყვითა.

და აქ მინდა, რო ერთი ადრინდელი ჩანაწერი მოვიტანო, ჩემი ჩანაწერი რაღა თქმა უნდა, ისევე, როგორც ჩამიწერია, აღარ მინდა რო შევასწორო თუ შევალამაზო, ნიმუშად მოვიტანო, თვალსაჩინოებადა, პედაგოგებისა არ იყოს, როგორც რო სჩვევიათ, მეც რო აგრეთვე იმათვე ვეკუთვნი, იქ ... ინსტიტუტში რო გამომაღამდა ჩემი დღე და წუთისოფელი.

ჰო:

სასწრაფო თათბირია რექტორთანა რაღა თქმა უნდა. პრორექტორები. დეკანები. პარტბიუროს მდივანი. პროფკომი. სასწრაფო თათბირია.

„სტუმრები მოდიან. დარეკეს. თავი არ უნდა შევირცხვინოთ. არც შეგვირცხვენია და არც შევირცხვენთ. — ბრძანებს რექტორი. — უნდა მოვემზადოთ. რას იტყვით?.. მოვემზადოთ!.. — ბრძანებს და განაგრძობს, — ერთი მანქანით იქნებიან. სამი სტუმარი, ერთი მძღოლი. ოთხნი იქნებიან. ოთხნი. სამნი ჰო არ ჩაიჭედებიან უკანა?!.. არც ცხადია. ორი უკანა, ორი წინა, მძღოლიანადა. ოთხი. ეს ოთხი!.. — და ჩადის ოთხსა საანგარიშოში. წინ უდევს ვეება საანგარიშოი. ჯერ ოთხს ჩადის. ოთხ კაცსა. — ოთხ კაცზე ჯერ ღვინო ავიღოთ. თავიდათავი ღვინოა, არა?.. ღვინოა, ღვინოა!.. — უმატებს იმდენსაცა, ჩვენცა ვართ!.. — უმატებს იმდენსაცა, რამდენიც არიან, საანგარიშოში რაღა თქმა უნდა. უმატებს და მერე: „მე არა ვსვამ.“ გამოდის ერთსა.

„არც მე...“

„არც მე...“

„არც მე...“

„არც მე...“

„არც მე...“

მიყრიან დანარჩენებიცა. გამოდის, გამოდის კოჭებსა ცხადია, რექტორი ცხადია.

„მძღოლიც ჰო არ დალევს?.. — განაგრძობს რექტორი, — არ დალევს, არა!.. — გამოდის კიდევა, კოჭებსა ცხადია, — დარჩება სამი. იმ სამიდანაცა ერთი მაინც ჰო ქალი იქნება?.. შეიძლება ორიცა?.. ჩვენ ერთი ვთქვათ, ორიღა დარჩება, ორი კაცი. ორი კაცი — ორი ბოთლი, არა?.. ორი!. ორი!.. ორი ბოთლი. ორი „საერო“, ორიმანეთი. ჩავიდეთ აჰა, ორ „საერო“, ორი მანეთი. აჰა ჩავედი. ორი მანეთი. სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვითხოვოთ?.. არა!.. „საერო“ იყოს, მსუბუქია, ისე არ ათრობს. არც ვარგა, რო დაათრო სტუმარი, არ ვარგა. ჩვენ, ქართველებმა ეს ცუდი ვიცით. ყველაფერი კარგი გვაქვს, ეს ცუად ვიცით, უნდა დავათროთ უსათუოდა, უნდა გამოვახრჩოთ, იქამდის მივიყვანოთ, რო გზა ველარ გაიგნოს. ცუდად ვიცით. გაიგნონ, წავიდნენ, ისიამოვნონ და წავიდნენ, სახლიკაცებად ჰო არ უნდა შემოგვეყარონ, წავიდნენ, წავიდნენ, გაიგნონ გზაი. ეს ასე, სასმელი. ახლა საჭმელი?... ქათამი ალბათა?.. ქათამი!.. იყოს. მე არა ვჭამ...“

არც მე, არცა მეო, მიაყრიან ისევ ისევე.

„სწორეა!.. — მოუწონებს რექტორიც ისევე, — სტუმრებს ჰო არ დავეშურებით?!. სწორეა, ეგრე უნდა!.. ვჭამოთ და მოვიდეთ ისე, სახლი წყალში ჰო არ გვიდგია?!. ეს გამოვიდეთ... ოთხიღა რჩება, ოთხი სტუმარი. ერთი ქათამი საკმარისია. ოთხად გაიჭრება. ოთხი ოთხზედა, საკმარისია. მართლა რა ისეთი მჭამელები იქნებიან, შიმშილობა ჰო არ არის, ჰა?!.. საუზმეულიც ჰო გვექნება, ყველი, მწვანილი, წნილი?!.. ოღონდ ქათამი პატარა არ უნდა იყოს, არც დიდი ძვარგებს, ასე საშუალო რო ავირჩიოთ, ალბათ ხუთ მანეთს გვიანგარიშებენ, ჰა?.. ჰო!.. საუზმეული, პური?.. პური ბლომადა, ბლომადა, ორი მანეთისა ავიღოთ. ბევრი ჰო არ იქნება?.. არა, არა, რახანა ვხვდებით, უნდა დავხვდეთ. ასეა. ან უნდა დაჰხვდე, დახვედრა რო ჰქვიან, ან არ უნდა დაჰხვდე, ასე არ არის?.. ასეა!.. ისე, კაცმა რო თქვას, ოჯახში სჯობიან. ოჯახი ოჯახია. რაღა რესტორანში შევიჭედოთ. უფრო იაფიც დაგვიჯდება. ბაზარზე გავიდეთ. ჩვენვე გავაკეთებინოთ. აგერა ცოტანი არიან?.. გავაკეთებინოთ და მივიდეთ სადმე ჩვენი პურმარილითა. რა სჯობიან!.. მე ახლა შინ ცოტა ვერა ვარ ისე...“

აქ ცოტა ენას მოუკიდებს რექტორი.

ვერც მეო, ვერც მეო, ვერც მეო, მიაყრიან თანამებრძოლნიცა სინანულითა თუ ბოდიშობითა, წუხილითა თუ შეძრწუნებითა, მიაყრიან და მიაყოლებენ.

„მოიცათ!.. — ისევ რექტორი ბრძანებს, მდივანს გამოიხმობს, ასანიძეს დამიძახეო, მანამდე ამათვე მიუბრუნდება რაღა თქმა უნდა, მიუბრუნდება, — ისევ მე, თორემ თქვენ სხვაში რაში უქნიხართ ღმერთსა!.. ყველაფერი მე უნდა ვაკეთო, მე უნდა გათრიოთ. ჭკუა თქვენ არა გაქვთ და მოფიქრება თქვენ არ შეგიძლიანთ. რა გეშველებათ, ავად რო გავხდე?!.. ჰო შეიძლება რო მეც ავად გავხდე?!.“

როგორ შეიძლებაო, ღმერთმა ნუ ჰქნასო, რასა ბრძანებთო, მიადევნებენ შიშიანადა, რაკარუკით მიადევნებენ.

გაიქნევს ხელსა, რექტორი ცხადია, მძულვარედ გაიქნევს, აშკარად მძულვარებდა, გაიქნევს და მიყუჩდებიან.

ისიც შემოდის, ვინც რო იხმო — ასანიძე, შოთა ასანიძე შემოდის. „სტუმრებს ველოდებით!..“

ახარებს რექტორი.

„მე უნდა ამკიდონ“, გაიფიქრებს შოთაი, არაფერს ამბობს, გაიფიქრებს, იღიმება.

„მზადა ვართ ყველაფრითა. მოვიდნენ და დავხვდებით, აგერა რესტორანი, არა? ჰოო, მაგრამა ესენი ამბობენ ოჯახში სჯობიანო, შენ რას იტყვი?..

ამათ რაო, კერა გაუცივდათ თუ რა არისო, ფიქრობს შოთაი, არაფერს ამბობს, ფიქრობს, იღიმება.

„სჯობიან და!.. სხვა, რას იტყვი?!. ისე, ყველაფერი ჩვენი იქნება.“

ამხნევებს რექტორი.

ამხნევებს და მხნევდება ესეცა:

„რატომ გაირჯებით, რა საკადრისია?!. სტუმარს სტუმრობა მართებს, მასპინძელს მასპინძლობაი.“

„აი სიტყვა ამასა ჰქვიან!.. — მოუწონებს რექტორი, — ახლა შენ იცი, მიჰხედე ყველაფერსა. ოღონდა... ჰოოო... აქ ემანდ ლექცია არ გაგიცივდეს!.. სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვა სიტყვაა და საქმე საქმეა, ყველაფერი უნდა მოასწრო... უნდა მოასწრო, სიტყვა და საქმე რო ერთი იყოს.“

ასე ჩამიწერია.

თარიღი არ უზის, ალბათ რო ფულის რეფორმის მერე უნდა მომხდარიყოს, თანაც მაშინვე, მახლობელ ხანებშია, ფასების მიხედვითა რაღა თქმა უნდა. „საეროც“ ჰო მაშინ გამოჩნდა, ეს ყოვლად მდარე, მდარე ღვინოი, ყურძნისა რო არ ურევია ალბათ არაფერი, ანთუ წვეთები. ისე, ნამუსის მოსახდელადა, ღვინის ქარხნებშიც თუ მოეკითხებოდათ ნამუსი. ასე რო თარიღი დადგენილად ითქმის. თუმცა არც არის თარიღი საჭიროი, ეს ასე იყო, ასე მეორდებოდა. თვითონ რო მართლაც არა სვამდა ღვინოსა, სუფრას მართლაც არ ეტანებოდა. ითქმის: გაურბოდა. გაურბოდა: იმიტომაცა, რო ღვინოს არა სვამდა, იმიტომაცა, რო არ არეულიყო ხელქვეითებშია. აქედან პირველი ადვილადაც აიხსნებოდა, ანთუ თვითონვე ბრძანებდა ხოლმე, ავადა ვარო, თანაც გულმუცელზედაც მოისვამდა ხელსა, უფრო მუცელზედა, კუჭნაწლავს უჩიოდა, თუმცა არასოდეს ავად არ გამხდარა, არასოდესა, დღე არ ყოფილა, ცხრისნახევარზე რო არ შეელო თავისი კაბინეტის კარი, დილის ცხრისნახევარზე ცხადია და რაღა თქმა უნდა, დღე არა ყოფილა, — გარდა ერთი შემთხვევისა, შემთხვევისა, — თუნდაც სადმე რო დაებარებინოთ, მაინც ინსტიტუტში გამოივლიდა, უსათუოდა, უსიკვდილოდა. გაურბოდა დაბარებებსაცა, ცდილობდა, სხვები რო გაეგზავნა, თუ შეიძლებოდა თუ არა და რაღას იზამდა, წავიდოდა და აქა რჩებოდა, ინსტიტუტში რჩებოდა გული და სული, თან შიში მისდევდა, შიში, შიში, ვაი თუ უჩემოდ რამე მოხდესო. მერე უკვირდა, რო დაბრუნდებოდა, ბიჭოს, არაფერიც არ მომხდარაო. ეჭვი მაინც არა შორდებოდა, ლექციას მაინც გამომაპარებდნენო. გავიგებო. თუ არა და შერჩეთო. აღარც ისე გამოეკიდებოდა. „ერჩეთო“.

ეს ჰო განსაკუთრებულ შემთხვევაში მეთქი თუ უსათუოდ უნდა წასულიყო სადმე. ჰო განსაკუთრებულ შემთხვევაში... და განსაკუთრებულ შემთხვევაში ღვინოსაც დალევდა ხოლმე, თამადობდა კიდევაცა, თუმცა იშვიათადა, მაგრამ განსაკუთრებულიც ჰო იშვიათად გამოერეოდა. მაშინ აღარც კუჭი ახსოვდა, აღარც ნაწლავები, აღარც სხვა აღარაფერს აღარ უჩიოდა, მერე ცოტასაც წაიტრაბახებდა, მარტო თქვენი თავი ჰო არა გგონიათო, წაიტრაბახებდა, ცოტაოდნავადა, ფრთხილადა, ფრთხილადა, მაგრამ მაინც შეეტყობოდა. ავადმყოფობა რო არაფერ შუაში გახლდა, ანთუ მხოლოდ საბაბი იყო, საბაბი მხოლოდ, რო არ დაელია, რო არ დამთვრალიყო. რო არ არეულიყო ხელქვევითებშია.

რაც შეეხება მეორე მიზეზსა, მოლხენა რო არ შეეძლო მეთქი — მართლაც არ შეეძლო. ზოგჯერ მიფიქრია, ეგება აქაც თავს იკავებსმეთქი, მაგრამ არაო: რო დაულევია ღვინოცა, რო უთამადნია კიდევაცა, მოლხენაც უცდია, ხუმრობაც უცდია, არ გამოსვლია არაფერი, უხერხულობა თვითონვე უგრძვნია თავისი ხუმრობისა, თავისი მოლხენისა, უგრძვნია, მიმხვდარა, ჩადინჯებულა ისევ ისევე, თითქოს თავისსავე კაბინეტშია, თითქოს თათბირი აქვს, ვიწრო თათბირიო, თავის უშუალო ხელქვევითებთანა, ჩადინჯებულა, მოუყრია კოპები. მოლხენის ნიჭი არ ებოძებინა ღმერთსა, ხალისის ნიჭი არ ებოძებინა, ხუმრობასაც არა, უთუოდ მოიწყენდა, სადაც თუ მოილხენდნენ, ველარ მოითმენდა, გაქცევა ერჩივნა და გაურბოდა კიდევაცა.

გაურბოდა.

და ეს იყო ყველაფერი, აქედანა მოდიოდა ის იმისი განთქმული ადმინისტრაციული ნიჭი, ამ შემთხვევაში, ნიჭი თუ ხერხი, ეს სულერთია, აქედანა, სწორედ ამ ბუნებრივი თვისებებიდანა, თორემ ისე ვერ გადარჩებოდა იმდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრიანობასა თუ იმდენ ღვინის სმასა, ლამის თავს რო იხრჩობდნენ ღვინოში ჩვენი ლექტორები, ლამისა, ლამისა, თითქოს რო ისე ვერც გაუძლებდნენ იმდენ წანწალსა და იმდენ ჯაფასა, მართლაც რო იმდენსა, მართლაც რო მძიმესა, ზედიზედ, მიჯრით რო უნდა წაეკითხათ ლქციბი, გგრვვე მიჯრით რო უნდა ჩატარებინათ სხვადასხვა ღონისძიებანი, სავალდებულო, საზოგადოებრივი ღონისძიებანი; მიჯრითა, მიჯრითა; და თუნდაც გაეჭიმათ მთელს კვირაზედა, მაინც მძიმე რო გამოდიოდა: დოცენტის დატვირთვა რო ცხრაას საათამდის აღწევდა, მარტო სასწავლო საათები, მასწავლებლისა რო გადადიოდა ათასს იქითა, მხოლოდ სასწავლო საათები, ისე ჰო საზღვარი არა ჰქონდა; პროფესორებს ცოტა არა უჭირდა რაი, ოღონდ ისინი ცოტანი გახლდნენ, ისიც მერე, ბოლო ხანებშია, ხოლო იმ პირველად, საიდანაც რო ამბავი იუწყება, ეს ამბავი რაღა თქმა უნდა, პროფესორი ერთადერთი გახლდა ინსტიტუტში, ერთი, ერთადერთი, — სერგი მაკალათიაი; ერთადერთი გახლდა, და ხუმრობდნენ ხოლმე „საპროფესორო“ რო ეწერა ლექტორთა დასასვენებელ ოთახსა: აქ მარტო სერგი უნდა ბრძანდებოდესო, ჩვენ რა უფლებით შემოვდივართო; ანდა, — ბარემ „სამაკალათიო“ დააწერენო, ხუმრობდნენ ასე ამგვარადაცა. შეღავათი ჰქონდა ფილოსოფიის ლექტორებსა, პარტისტორიის ლექტორებსა, პოლიტეკონომიის ლექტორებსა, ისტორიის ლექტორებსა, ათეიზმის ლექტორებსა, მართლაც რო შეღავათი ჰქონდათ დატვირთვის მხრივა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ისინიც არა სვამდნენ ნაკლებსა, ანთუ უფრო მეტსაცა სვამდნენ და გაგიკვირდებოდა, ნეტავი ამათ თუ რაღა ღლითო, ანთუ რაღა აჯავრებთ ამათაო, გაგიკვირდებოდა.

და უნდა ითქვას აგრეთვე ისიცა, ცუდად რო არავის არაფერი ენიშნოს, ეს ყველაფრეი მერე ჰხდებოდა, ლექციების მერე, ლექციების მერე, საღამოს ფაკულტეტები არც იყო იმხანადა, ლექციების მერე და მერე ყველა სხვა ღონისძიებებისა, ანთუ რო ამოსწურავდნენ მთელი კვირის საქმესა, რო ამოსწურავდნენ და რო თვითონაცა; ამოიქექავდნენ ჯიბე-უბესა, ფსონის პურსა ჭამდნენ, ზოგი ღვინოს არცთუ ისე ეტანებოდა, სულერთიაო, თანაბრად უნდა გავინაწილოთო, იტყოდნენ და სვამდა და სვამდა ზაქარია კიკნაძეცა, იფშხალებოდა და სვამდა. თავს ნუ იკლავ ზაქარიაო, წყალია და შაქარიაო, ეუმღეროდა ვალოდია კაკაბაძეი. ნუთუ გორელებიც იკადრებენო, გაიკვირვებდა ზაქარიაო, ოღონდ ისე რო კარგად იცოდა, გორი რო არ იყო არაფერ შუაში, სვირიც რო არ იყო არაფერ შუაში, არც რო კარდანახი რაღა თქმა უნდა, რესტორანში რო სვამდნენ, დანომრილ ღვინოებს რო სვამდნენ, ქარხნის ღვინოებსა რაღა თქმა უნდა, ქარხნისასა და დანომრილსა, — ესეც რო უცნაური გახლდა, სახელები რო წაართვეს ქართულ ღვინოებსა და ნომრები დაადეს, სათარეშოდაც ადვილი გახლდა, გასაქარწყლებლადაც ადვილი ცხადია. სვამდნენ რაც იყო, უკეთესი რო აღარ გააჩნდათ, სვამდნენ, ლხინობდნენ ძველქართულადა, მამაპაპურადა, მაინც ისევ მამაპაპურადა, დარბაისული სადღეგრძელოებითა, ზომიერი ქებითა ერთმანეთისა, სიმღერითა, ცეკვითა, ყოვლივეთი და ყველაფრითა, რაც ქართულ სუფრას რო შეეფეროდა. აღწერით არ აღვწერ, არც თუ ჩამოვთვლი მონაწილეთა—, ოღონდ ერთს შევნიშნავ: იცვლებოდა. იცვლებოდა გუნდი იგი თავდაპირველი, იცვლებოდა და იცვლებოდა დროთა განმავლობაში, როგორც რო იცვლება გუნდი ყოველი,ყოველი და ყოველნაირი, იცვლებოდა ისიცა და ზნეც იცვლებოდა, ანთუ აქ უფრო იხატებოდა სირთულენი თუ წინააღმდეგობანი, ინსტიტუტს რო წამოეწია თანდათანობითა; ამას შევნიშნავ და კიდევ იმასა, რო თავისებური ელფერი რო შეჰქონდა ვახტანგ ჟღენტსა იმა პირვანდელივე პურობაზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცა. არავის უცდიდა და არაფერს უცდიდა, — ეს, პირველი პური უფროსმა უნდა გასტეხოსო, ეს, თამადა უნდა ავირჩიოთო, ეს, სადღეგრძელოები რიგისად უნდა ითქვასო, — არა არ უცდიდა, პურსაც გასტეხავდა, ჭიქასაც ასწევდა თამადის არჩევამდისა, თამადის არჩევასაც აჭყვებოდა, არ გამორჩებოდა არც რო იქა, სადღეგრძელოებსაც გამოეხმაურებოდა, არ გამოსტოვებდა არც რო იმასა, ოღონდ არ იტყოდა ვრცლადა, გაუმარჯოსო და გაგიმარჯოსო, რუსივითა, მეტს არც იტყოდა, წინაც გაუსწრებდა მერე, მერე და მერე, რო არა სტოებდა ჭიქაში არცერთ წვეთსა, არა, არავითარ შემთხვევაში, არცა სტოვებდა და წინაც გაუსწრებდა, ეს იმასა ვსვამ, მერე რო იტყვითო, წინაც გაუსწრებდა ერთისიტყვითა, სიმღერასაც მოაყოლებდა, არც რო დამწყებს მოითხოვდა, არც რო ბანსაო, ლამის რო გუნდიც თვითონვე იყო. სოლო სიმღერებს ჰო სხვა არც უნდოდა,მოაყოლებდა მერე ცეკვასაცა, სკამზე შეჰხტებოდა, თავის სკამზედა რაღა თქმა უნდა, გაშლიდა ხელებსა, ცეკვავდა, ცეკვავდა, მერე ერთ ჭიქას კიდევ მოითხოვდა, ჩემი წილი ღმერთი შეგეწიოთო, და წავიდოდა კმაყოფილი, ჯერ რო სუფრა რო შუაგზაზედაც არ იყო, წავიდოდა მოსასვენებლადა; წავიდოდა და მოისვენებდა, ისე კარგადა, ისე დიდებულადა, მეორეო ღესაც რო ხასიათზე იყო ქეიფისა, სხვებს რო დანა არ უხსნიდა კრიჭასა, რო აღარც ჭამა არ უნდოდა არავისა, რო აღარც სმა აღარავის უნდოდა, ის ისე გახლდა, ჩიტივითაო, ტოროლასავითაო. აი ქეიფი ასე უნდაო, შურდათ ვახტანგისა. აბა მოიკალით თავიო, ნიშნს მოუგებდა და დილიდანვე იფშვნეტდა ხელებსა, დილიდანვე, საღამომდის ოქვენც გაგივლითო, ანუგეშებდა.

ანუგეშებდა და ღიღინებდა წინასწაჟღენტს თუ იცნობო, ერთხელაც იყო რო მკითხეს ლენტეხშია.

მე ცოტა მოვიქუშე, — რომელ ჟღენტსამეთქი.

ვახტანგ ჟღენტსაო.

გულსაც მომეშვა და გამეხსნა შუბლიცა, — ვიცნობ რომელია, აი კაცი ისაა და მეგობარი იასაამეთქი.

კაი დაემართოს იმასაცაო და იმის მეგობრებსაცაო, და მისდგა ერთი ყმაწვილი, მისდგა და მისდგა, საჭესთან იჯდა, მიახრიგინებდა ავტომანქანასა ქვემოსვანეთის მაშინდელ გზებზედა, ზემოსვანეთში რო უნდა გადავსულიყავით, მისდგა და მისდგა, სამჯერ ვაბარებდი გორის ინსტიტუტშიო, სამჯერვე ჩამჭრაო, — მათემატიკის კათედრას განაგებდა ვახტანგი, — ახლა აგერაა და ვზილავ ამ გზებსაო.

რა მეთქვა, — ვახტაგს ვერ გამოვესარჩლებოდი: კოტაობდა სატვირთო მანქანაი იმა ღადალუდა გზებზედა და დაბლა, დაბლა, დაბლა და ღრმადა ცხენისწყალი ქშუოდა. ვერ გამოვესარჩლებოდი, ჩემი თავი თუ არ მებრალებოდა, ძარაზე სხვებიც აჩონჩხილიყვნენ. ვერ გამოვესარჩლებოდი.

ვახტანგს მოვუყევი, აი ასეთი დღე დამადგამეთქი.

ალბათ არ იცოდაო, დაასკვნა ვახტანგმა, მეტი არაფერი,დაასკვნა მშვდადა, თითქოს რო არც გაუგონია თუ როგორა ქშუოდა ცხენისწყალი თუ როგორ ადდადიოდა მანქანის ძარაი, — აი და გადავცალო თუ არაო, გადავცალო თუ არაო, — ვითომ არც მეთქვას და ვითომ არც გაეგონოს, იფშვნეტდა ხელებსა და ღიღინებდა, დაბალ ხმაზედა, დაბალ ხმაზედა. გაიშლებოდა ფსონის პური, გაიშლებოდა, აბა მაშ რაო, მოშივდებოდათ და გაიშლებოდა .

და მიმიწვიეს ფსონის პურზედა პირველადვე რაღა თქმა უნდა. და მოითხოვეს დანახარჯი. და აუწყეს რო გადახდილიაო. ვინ გადიხადაო. ანიშნეს ჩემზედა. გამოვედით. ფეხი აითრია ემილიანე გოგინავამა, ფეხი აითრია და ჩამომარჩინა მეცა. რომელი საათი იქნებაო. ვიკითხავეთქი.

„საათი არა გაქვს?..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამეთქი. მაინც ჩამომართვა მაჯაი, სახელო გადამიწია, თითქოს რა არის, რო არ მიჯერისო, მერე თვითონაც გადაიწია მაჯაი, —

„არც მე...“

თქვა სინანულითა თუ ნიშნისმოგებითა, ანთუ ორივეთი ერთდროულადა: ჩემი ცხოვრების ნატვრა ეს იყო და ესევე დამრჩა სანატრელადაო. ვერ იქნა ამ ნატვრას ვერ გავშორდიო. ბავშვობიდანვე ჯერ საათი მელანდებოდა, ყმაწვილობაშიც ისევ ისე, ისევ საათი მელანდებოდა, პირველი ხელფასის იმედი მქონდა, მგონა მაშინ მეშველებოდაო. მეშველებოდაო, მაგრამ გადავდეო, პირველი ხელფასი მეგობრებში შევჭამე, პირველ ხელფასს რო დალოცვა უნდაო მეორეთი ვიყიდემეთქი, მესამეთი ვიყიდემეთქი,.. შვებულების ფულიდან დამრჩებამეთქი, მერე იყოსმეთქი, მისევ მერემეთქი და აქამდე ნატვრად შემრჩაო. და ალბათ ასეც ჩავალ სამარეშიო. იყიდე საათიო, მირჩია ემილიანემა, ჯერ საათი იყიდეო.

თუმცა სად წავედი?.. ოღონდ თუ არც თუ ისე შორსაო, — რექტორი ამ სუფრებს არ ესწრებოდა, არა, არა რა სათქმელია!.. განსაკუთრებული სუფრა უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებული, ეგრეთწოდებული, ოფიციალური, რო ევალებოდა სამსახურებრივად, სხვა შემთხვევაში უარს აცხადებდა, უარსა და ისეთ უარსა, მეორედ რო ვეღარ შეჰკადრებდი, თუმცა რო ჰხდებოდა ბევრი რამ ისეთი ინსტიტუტშია, — განხილვები თუ შეხვედრები თუ სალიტერატურო საღამოები თუ სხვადასხვაგვარი მოწვევანი, — მერე სუფრა რო უნდა მოჰყოლოდა, გაერიდებოდა უსათუოდა, გაერიდებოდა. შევთავაზე ერთორჯერა იმ პირველ ხანებში. თითქოს გაუკვირდა. მაინც დამითმო, ახალიაო, მაინც ამიხსნა: მე ჰო იციო, მომახსენა და დაიხედა, დაიხედა და მოისვა ხელი მუცელზედა. ჰო იციო. ოღონდ მე მაინც ჯერ არ ვიცოდი. მერე გავიგე. მერე აღარც შემიწუხებია, ისე, უბრალოდა, თავაზიანობისთვისაც აღარ შემიწუხებია, აღარც რო სუფრაზე მიმიწვევია, აღარც ის მიკითხავს წინასწარა, ანთუ წინასწარ აღარც შემიტყობინება, ვისა ვხვდებოდით თუ რასა ვმართავდით, აღარა.

შეგვქონდა გეგმებში.

გეგმები მტკიცდებოდა წესისამებრა, შეიძლება რო დაუხედავადაცა არ მეკითხებოდა. არ ვეკითხებოდი:

თვითონ იცოდა რაღა თქმა უნდა: რა კეთდებოდა თუ როგორა კეთდებოდა, იცოდა, იცოდა, მაშ რისთვის იჯდა ინსტიტუტშია დილიდან გვიან დაღამებამდისა, — იცოდა ცხადია და იცოდა აგრეთვე ისიცა: თუ აკეთებდი, არ ჩაგერეოდა, არც სხვას არავის ამეტიჩრებდა შენს საქმეშია, თუ აკეთებდი რაღა თქმა უნდა.

ზოგი რამ ამიტომაც უფრო კეთდებოდა ინსტიტუტშია, ზოგიცა და ბევრიცა.

ყოველშეთხვევაში მე მაინც თუ რამ გამიკეთებია ინსტიტუტში, სწორედ ამიტომა, რექტორის ამ თვისების გამო, ისე ხალისი არ მეყოფოდა, არც ძალონე არ მეყოფოდა, არა, არაფერი არ მეყოფოდა, ჩავიქნევდი ხელსა, ჩავიქნევდი და შევაქცევდი ზურგსა.

რას იზამ?.. თვითონვე იცოდა ხოლმე, ერთი ნაკლი ყველასა აქვსო, მე რო მე ვარ, მეცა მაქვსო. ერთხელ გამოტყდა კიდევაცა. ერთხელა. სიტყვა მოიტანს ალბათ იმასაცა, თუმცა რო აი მოიტანა სიტყვამა და ესაა, მაგრამ ჯერ ჰო სხვა რამეს ვამბობ, ჩემს თავზე ვამბობ, ანთუ ჯრა, ისევ რექტორზე, ანთუ სუფრებზე, საღამოებზე, — რო ერიდებოდა სუფრასამეთქი, ისევ იმაზე: ერიდებოდა.

ესაა ოღონდ არ გამოსტოვებდა ე. წ. გამოსაშვებ საღამოებსა. არ გამოსტოვებდა.

ამას აწყობდნენ სტუდენტები დამთავრების აღსანიშნავადა, უკანასკნელი გამოცდის შემდეგა, სახელმწიფო გამოცდისა, ოღონდ ისე, რო არ დამთხვეოდა ერთიმეორესა, არ დამთხვეოდა, რო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრებოდა რექტორი ყველასა სათითაოდა, რიგრიგადა, უსათუოდა, უსიკვდილოდა.

რო დასწრებოდა და ესწრებოდა რაღა თქმა უნდა.

პირველი სადღეგრძელოც იმისი გახლდა რაღა თქმა უნდა.

აიჭრებოდნენ ფეხზე ყველანი რაღა თქმა უნდა, სტუდენტებიცა, ლექტორებიცა.

ისიც ადგებოდა.

სთხოვდნენ დაბრძანდიო, არ დაბრძანდებოდა, იდგა და ისმენდა სადღეგრძელოსა, სადღეგრძელოებსა, ხოტბასა, დიდებასა, ზოგსა თუ წრფელსა, ალბათ ეს უფრო იშვიათადა, მომეტებულად ფარისევლურსა და მომეტებულად უახლოეს ქვეშევრდომთაგანა, იდგა და ისმენდა, რო არაფერი შეერხეოდა სახეზედა, რო ვერ შეატყობდი თუ სწყინდა თუ ეამებოდა, ვერ შეატყობდი, შეიფერებდა ისეთი ღირსებითა, ისმენდა ისეთი ყურადღებითა, თითქოს ესაა, პირველად რო გაიგონაო, ისმენდა დიდხანსა, ერთიმეორეს რო ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთესად ასიამოვნებსო, აბა თუ ვინ გაიღიმებსო. ვერ იტყოდი, რო ტყუვდებოდა, ვერა, ვერ იტყოდი, უფრო ისაა, რო საჭიროდ მიაჩნდა. მიაჩნდა. ასე უნდა ექოთ და ქედი მოეხარათ თავიანთივე სიტყვების წინაშე. ცრუობდნენ თუ გულწრფელნი გახლდნენ, არ განსხვავდებოდა, არ გამოარჩევდა, არც რო აშკარადა, არც ისე, თავისთვისა, ეკმარებოდა, რო ადიდებდნენ, რო გამოსთქვამდნენ, ეკმარებოდა; რასაც გამოსთქვამდნენ, მოწონებასა, მორჩილებასა, თაყვანებასა, რო გამოსთქვამდნენ, ეკმარებოდა; რასაც გამოსთქვამდნენ, ისეც იქცეოდნენ, ისეცა, ისეცა, იმნაირადა, აქ სხვა არაფერიც აღარ ენება, აქა, თავის საუფლოშია; იმად იქცეოდნენ და ისედაც ჩაუნერგავდნენ სტუდენტებსა, აი ესაა რო დაემთავრებინათ და რო მოეფინებოდნენ ზღვიდან ზღვამდისაო თუ ველარა, ზღვიდან ნახევარ ამიერკავკასიონამდისა, მოეფინებოდნენ და წაიღებდნენ შთაბეჭდილებასა იმა უკანასკნელი სალამოსი, წაიღებდნენ და მოჰფენდნენ სახელსა თავიანთი უბადლო აღმზრდელისა, უბადლო რექტორისა, წაიღებდნენ და მოჰფენდნენ. გულში რაც უნდა სდებოდათ მაქებართა, გული მიწის ულუფა არისო, იტყოდა რექტორი, ენაა, ენაა, ენაა, რაც არისო, იტყოდა რექტორი, იტყოდა და იმეორებდა.

ენაა, რაც არისო. არაკებსაც მოაყოლებდა.

ეს ჰო ხშირადა.

ხოლო იქ სიტყვას თვითონაც წარმოსთქვამდა, სამადლობელო სიტყვასა, საათნახევრიან სიტყვას წარმოსთქვამდა. არას ვაჭარბებ: ორი ორმოცდახუთი წუთი, ორი აკადემიური საათი, ერთი ლექცია უნდა ჩაეტარებინა უსათუოდა სამადლობლოდაცა დღეგრძელობისა არას ვაჭარბებ. ისე არც ადგებოდა, ისე არც დაჯდებოდა.

იქ აღარც დაჯდებოდა, წარმოსთქვამდა და წავიდოდა. ახლა თქვენ იცით, როგორც მოილხენთო.

თან გაჰყვებოდა უახლოესი ამალაცა.

ახლა თქვენ იცითო.

ისე, რო ითქვას, მოლხენის თავი აღარც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მოილხენდნენ მაინცა, ახალგაზრდობა რო მაინც ახალგაზრდობაა, გადაიქარვებდნენ იმ მძიმე წუთებსა, ანთუ საათებსა რაღა თქმა უნდა, გადაიქარვებდნენ და მოილხენდნენ. შერჩებოდნენ ლექტორებიცა, ვისაც აგრეთვე მოლხენა შეეძლო, ამდენს რო აღარ მოერიდებოდნენ რექტორსა, ანთუ თვითონაც რო საჭიროდ მიაჩნდა: ზოგი დარჩესო, თვალყური ეჭიროთო. ლხინი და თვალყური!.. რას იზამ, თვალს არაფერს მოაცილებდა. ვიღაცა უთუოდ ეახლებოდა მეორე დღესა და „ჩააბარებდა ანგარიშსა," როგორც იტყვიან ხოლმე. ოღონდ ეტყობა, მანამდეც რო იცოდა ყველაფერი, სხვა უფრო ადრე რო მოახსენებდა, უფრო ადრე და უფრო დაწვრილებითა. ეტყობა. ერთხელაც ასე რო „ჩააბარეს ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიში“, ზოგი რამ გამოსტოვეს, ზოგი რამ დაუმალეს, უსმინა, უსმინა მოთმინებითა, უსმინა ბოლომდისა, მერე გაიღიმა ცივადა, ცივადა, თბილი ღიმილი რო არ უხერხდებოდა, გაიღიმა და თვითონვე დაასკვნა:

ჰოოოოო... კარგი დრო გაგიტარებიათო.

დაასკვნა ვითომ მოწონებითაცა.

„კარგი!.. კარგი!..“

შესძახეს იმათაცა, გაეხარდათ რო მოგვიწონაო.

და ვითომც აჰყვა რექტორიც იმათაო:

„კარგი!.. — აუწია ხმასა, — და კარგადაც გიმაიმუნიათ!..“

აუწია და მოსჭრა ისე განრისხებულმა, ვის საით გაესწრო რო აღარ იცოდა.

ოღონდ ეს მაინც მერეღა იყო, რო ეტყობოდა, რო მონასტერი აირეოდა. მერეღამეთქი. რო დასცინოდნენ უკვე რექტორსა, ზურგთუკან დასცინოდნენ, — ჯერ ზურგთუკანა.

III

მანამდე ის ისე მიედინებოდა ნირუშლელადა, წესუშლელადა, ,ისიცა და სხვაცა, რექტორის ნებისადა, ყველაფერი ისე და იმგვარადა.

ხოლო ის მაინცა, საათნახევრიანი სიტყვა რო ვახსენე ერთხელაცა თუ ბარე ორჯერაცა, ის ჰო არასოდეს შეშლია. საათს შეეშლებოდა, იმას არა. მე ამას განვიცდიდი საბჭოს სხდომებზედა, საინსტიტუტო სამეცნიერო საბჭოს ცსხდომებზედა. სხვა სხდომებს გავურბოდი, რამდენადაც შემეძლო თუ როგორც რო შემეძლო. საბჭოს სხდომებს ვერ გაექცეოდი. დაგვიანებაც არ შეიძლებოდა, ეს ჰო ცხადია, დავიწყებაც არ შეიძლებოდა, ისე გვამზადებდნენ წინასწარა: ხელს მოგვაწერინებდნენ ორი კვირით ადრე, მერე შეგვახსენებდნენ ყოველ დღიურადა, ანთუ ვინ უწყის დღეში ათჯერაცა, წაგვასწრებდნენ თუ არა თვალსა, სადაც რო [illegible] ბდნენ თვალსა. ხალხი ჰყავდა [illegible] სოდა. დავიწყება არ შეიძლებოდა.

სხდომა სამ საათზე იწყებოდა, სამშაბათ დღესა.

სამ საათზე.

ორზე გამოვიდოდა კაბინეტიდანა. შინ წავიდოდა. სახლიც იქავე ჰქონდა. დასანაყრებლად მიდიოდა. დასასვენებლად არა. დასვენება ალბათ რო არც იცოდა. გავიდოდა პურის საჭმელადა, მერე დასაძინებლადა. ეს იყო და ესა. სხვა არაფრისთვის არ დაჰკარგავდა დროსა, სხვა არაფრისთვის არ გაეცლებოდა ინსტიტუტსა. ჭამის წინ არაყს გადაჰკრავდა, როგორც ამბობდნენ, დასათრობად არა, ისე, ძველებურადა, მადისა თუ ჭამის ეშხისათვისა, პატარა ჭიქითა, რო არც მოუჩანდა ვეება ხელშია. როგორც ამბობდნენმეთქი. ვისგან გაეგონათ, ამდენი აღარ ვიცი. შინ არავინ მიუყოლებია არასოდესაო, არავის შეუღია იმისი კარი, არავის გაუტეხია პური იმის ჭერქვეშაო. ასე გადაჰკრავდა არაყსა და ნიორიც უყვარდა, რო მოედებოდა გრიპის ეპიდემიაი, — მაშინ ჰო მაშინ განსაკუთრებითა, მაშინ კიდევაც ურჩევდა სხვებსაცა, ანთუ ბრაზობდა. რო ეტყოდნენ, ავად არისო: „მერე და გაუწყვა ერთი ჭიქა არაყი და ერთი თავი ნიორი?!. ავად რამ გახადა?!.“ ბრაზობდა და ლამის რო ბრძანებაც გამოეცა ამის თაობაზედა, თვითონ რო მართლაც არ შეჰხვედრია თუ არ გაჰკარებია არცერთი ვირუსი იმა უამრავ ვირუსთაგანა; მედიკოსები რო ჩამოგვითვლიდნენ, და რო მძვინვარებდნენ. იმისთვის არა მძვინვარებდნენ, ის თვითონა მძვინვარებდა: „გაუწყვათ?!. მოვიდნენ ჩემთანა!..“ მძვინვარებდა და იწვევდა ასე, მაგრამ არავინ არ დასწვევიაო. დანაყრდებოდა საგულდაგულოდა, მარტო, თავისთვისა. და მობრუნდებოდა თავის დროზედა. არ დაიგვიანებდა არცერთი წუთითა, არა, არავითარ შემთხვევაშია. მობრუნდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწორდებოდა მაგიდასთანა. გასწორდებოდა, რო გასწორდებიან ხოლმე როიალთანა საუცხოო შემსრულებელნი. ისეც განელაგებინა, რაც რო სჭირდებოდა: დადგენილებანი, ბრძანებანი, მიმართვანი, ცნობები, დაანგარიშებანი, ფაკულტეტების მიხედვითა, კათედრების მიხედვითა, რაც რო სჭირდებოდა ერთისიტყვითა. ზოგჯერ ისეთ ქაღალდსაც ამოაფრიალებდა, რო აღარავის ახსოვდა, ვინმე თუ კამათს წამოიწყებდა, რო არ ეამებოდა, ამოაფრიალებდა და ააფარებდა თვალებზედა. უცბადაც მისწვდებოდა ხოლმე, თვალხუჭულადა თუ თვალმინაბული, ისევე, ისე, პიანისტივით. ოღონდ წინ მაინც ძველი „ბლოკნოტი" ედო, ყდა რო ჩასტეხოდა, შემოსცვეთოდა კუნჭულები ბევრი ფურცვლითა, უკვე შემოსცვეთოდა, მე რო პირველად ევასწარი თვალი. იმ თავისი პირველი საბჭოსათვის რო შეედგინა, ბოლოსაბჭომდის აღარ გაუგდია ხელიდანა, თავისივე საბჭომდისა რაღა თქმა უნდა, სამ ათეულ წელიწადზე მეტი, ლამის ოთხი ათეული წელიწადი, ლამისა თუ თითქმისა თუ ის ოთხი ათეულიც გადაიცურა მხრებზედა, — აღარ დამიბეჯითებია, რაც უნდა იყოს, თან გადაიყოლა ის „ბლოკნოტიცა", გადაიყოლა და გაიდევნებდა კიდევ კარგა ხანსა, გარეგან მოვლენებს რო არ დაეჩქარებინა შინაგანი წინააღმდეგობანი, გაიდევნებდა, გაუძლებდა, მოერეოდა აშლილობასა შინაგანსა, მოერეოდა. ბოლომდე ის ედო წინა. ბოლომდე ის ეჭირა ხელში. იცვლებოდა რიცხვები, სხვა არაფერი არ იცვლებოდა. ვიცოდით: თუ როგორ დაიწყებდა, რომელ ფურცელს თუ რა მოჰყვებოდა, ვიცოდით, თუ სად აუწევდა ხმასა, სად დაუდაბლებდა, სად შეუტევდა, სად დაცხრებოდა, როგორ-გავიდოდა ბოლომდისა, როგორ დაამთავრებდა, ვიცოდით, ზეპირად ვიცოდით. ჩემამდეც იცოდნენ. მეც დავისწავლე. თვითონაც იცოდა რაღა თქმა უნდა, ზეპირად იცოდა რაღა ოქმა უნდა, იმას ისე ფურცლავდა, ლაპარაკობდა ზეპირადა, გადაიხრებოდა ცნობებისათვისა აქეთ-იქითა, ახალახალი ცნობებისა, და დადგენილებისა თუ რიცხვებისათვისა, მრავლად რო ელაგა მაგიდაზედა, გადაიხრებოდა და აიღებდა, აიღებდა და ასაბუთებდა ძველ თადარიგსა თუ ძველ აზრებსა, ახალი რიცხვებით ასაბუთებდა. ამტკიცებდა და ასაბუთებდა.

ეს უფრო მაშინა, გაფართოებულ სხდომებს რო იწვევდა.

ისედაცა და მაშინ მაინც მომეტებულადა, ანთუ უფრო ეშხიანადა, ანთუ მართლაც რო არტისტულადა, თუმცა ყველაფერი ბუნებრივად რო გამოსდიოდა. ბუნებრივადა.

მაშინამეთქი:

სექტემბრის დასაწყისში, ანთუ სასწავლო წლის დასაწყისისასა,

თებერვლის შუაწელში, ანთუ პირველი სემესტრის შედგების საბაბითა, და

ივლისისა პირველსა თუ სამში, ანთუ ოთხში, ანთუ ხუთში, ანთუ ექვსში, ეს იმის მიხედვითა თუ როდის გასცემდა შვებულების ფულსა ბანკი, იმის მიხედვითა.

ბარემ და ფულსაც მიიღებთო, იტყოდა რექტორი.

და იდო ფული ინსტიტუტის სალაროშია და ისხდა ხალხი რექტორის კაბინეტში, ლამის ერთმანეთზე ისხდა. გამოთქმა ვერ არის ლაზათიანი, მაგრამ სწორია, მართებულია. თუმცა კაბინეტი მოზრდილი გახლდა, დარბაზად ითქმოდა, მაგრამ მაინც ვერ ეტეოდნენ. უფრო დიდ დარბაზში რექტორს არ ენება, აქ იყო მორგებული, აქ იყო „ეშხში", — ანთუ აქ ბრჭყალები არც რო საჭიროა, — მართლაც რო — ეშხში. და ისხდნენ და ელოდნენ თუ როდის ჩათავდებოდა „ბლოკნოტი", როდის გამოვიდოდნენ ნაფიცნი მოკამათენი, ანთუ პრორექტორი, დეკანები, ერთი თუ ორი კათედრის გამგეი, პარტბიუროს მდივანი, ელოდნენ და იხუთებოდნენ. გააიღებდნენ მერე კარ-ფანჯრებსა გააღებდნენ და დაუბერავდა ქარი, გორის ქარი, დაუბერავდა და აცემინებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირსა, აცემინებდნენ და ცხარობდა რექტორი, ფაფისანი ხართ, რანი ხართო, ცხარობდა, უკვირდა, მე სულ აქა ვარ და აბა ერთი მეც დამაცემინოს ცხვირიო. მაინც დახურავდნენ. იხუთებოდნენ. მაინც გააღებდნენ. აცემინებდნენ ცხვირსა. ეს ასე უნდა ყოფილიყო, ისე ვერ მიიღებდნენ ფულსა, ისე ვერ ეწეოდნენ შვებულებასა.

კართან თუ ახლოს ვინმე მოხვდებოდა, ნებას ითხოვდა გასვლისასა, მხოლოდ ეს მერე, მოხსენების მერე, ნებას ითხოვდა და გავიდოდა, მოასწრებდა ფულის აღებასა. შიგნიდან ვერავინ გავიდოდა. ვერ გააღწევდა, ვერა. არც გაუშვებდა შიგნითასა რექტორი, ხალხი რო არ აიშალოსო. და ამიტომაცა, ვინც მოასწრებდა, ადგილს იბევებდა კარებთანვე, ვინც ვერა შურით იბერებოდა, მერე რო რიგი გაიმართებოდა სალაროსთანა, ლამის რო ყველა მატარებელი გაასწრებდა. ლამისა. ლამისა. ის ე. წ. ადგილობრივნი აქ დიდ თავაზიანობას იჩენდნენ, რიგს უთმობდნენ ჩამომსვლელებსა, და ყალიბდებოდა ადათები, ახალი, საკუთარი ადათები ყალიბდებოდა. ადგილობრივნი ხვალაც მოვიდოდნენ და შესცქეროდნენ უფრო მოთმინებითა თუ როდის ჩათავდებოდა „ბლოკნოტი“, ანთუ როდის იტყოდა რექტორი, ესაა და ბიბლიოთეკაღა დაგვრჩაო, — მაშინ ჩათავდებოდა: დაკეცავდა, დასდებდა „ბლოკნოტსა“ და კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, რადგან რო სულ გასაჭირი ადგა ბიბლიოთეკასა, სულ ეს გვესმოდა, ვიდრე რო რექტორი ისა ბრძანდებოდა, მერე აღარაო, მერე აღარავის გახსნებია, ანთუ უფრო მკაფიოდ რო ითქვას, ერთერთმა იმათგანმა, რექტორთაგანმა, ვინც რო დაჰხურა პედაგოგიური ინსტიტუტი, ისიც არ იცოდა თუ რა მოხელე რა იყო ბიბლიოთეკაი, ვის რაში არგოდა, ისიც არ იცოდა, მე ამას ვამბობ დაბეჯითებითა, დამშვიდებით ვამტკიცებ, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ცხადია.

ჰო ეს არც მინდოდა, რო ეს ... არც მინდოდა. სიტყვამ მოიტანა. დავეხსნები.

ისევ იმ სხდომებს დავუბრუნდები, რასაც ვესწრებოდი, რასაც რო ველარ გავერიდებოდი.

ის ჰო ისე გაფართოებულიო, რიგითი სხდომებიც არ გახლდა იოლი: ისევ ისე სამშაბათობითა, ისევ ისე სამ საოზედა, ყუათიანი სამხარის მერე, ეს ცხადია და რაღა თქმა უნდა, სიტყვებიც ვრცელი, ბარაქიანი, ოქმებიც ვრცელი რო უყვარდა რექტორსა, მდივნებიც რო ისეთი აჰყავდა, სიტყვასიტყვით რო ჩაეწერათ. მოსწონდათ ის ოქმები რევიზორებსა თუ სხვადასხვა სახის შემმოწმებლებსა, აღნიშნავდნენ ხოლმე ეგრეთწოდებულ ანგარიშებშიცა. გვიკითხავდა იმ მოწონებებსაცა რექტორი, არას დაგვიმალავდა თუ მოსწონდათ ცხადია თუ არ მოსწონდათ, არც იმას გვიმალავდა რაღა თქმა უნდა. ეს ჰო ასეო და ვრცელ სიტყვებს მოითხოვდა სხვებისგანაცა, ოქმებისათვისა რაღა თქმა უნდა. ვრცელსიტყვაობა მოდად შემოდიოდა ინსტიტუტშია. რექტორი მოითხოვდა, დიახ, რექტორი, ოღონდ ვრცელსიტყვაობას, ხანგრძლივ გაუთავებელ ლაპარაკს მაინც სხვისი სახელი ეწოდა, მაშინდელი ერთერთი დეკანის სახელი განზოგადდა: გერონტი ერქვა და გერონტომანია შეერქვა. სხვა მოითხოვდა, სხვა ნერგავდა, სახელი მაინც სხვისა ეწოდა. რას იზამთ, ჰხდებაო, ამერიკისა არ იყოსო, სხვამ აღმოიჩინა და სხვისი სახელითა თავმომწონეობსო. თუ როგორ განზოგადდა, თუ როგორ იმატეს გერონტომანებმა, იმატეს, იმრავლეს, როგორ გაიწაფნენ მოვყვები ამასაცა, თუ დრო ვიხელთე, მოვყვები ცხადია, თუ არა და რა ვუყოთ, ისედაც ბევრი რამ გამომრჩება, გამომრჩებიან ბევრნი ისედაცა, ამბავი ვისაც რო ვერ მოიყოლებს. გამომრჩებიან. მე ჩემსას ვეცდები,

ოღონდ ჯერ მაინც:

32 ო

ნენ წესის მიხედვითა რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. განაცხადებდნენ კიდევაცა, მიღებულია ერთხმადაო, მიღებული რო იქნებოდა უამისოდაცა, და ვინ უწყის თუ რამდენჯერ იქნებოდა მიღებული, ვინ იცის, ვინ უწყის, ჩემამდისაცა, ჩემს მერეცა, რახან რო იწერდნენ, იწერდნენ, და იწერდნენ, ერთხელ რო ვიღაცას დაეწერა რაღა თქმა უნდა, იმ მადლიანსა, ვიღაცასა, რო აღარც აღარავინ მოიხსენიებდა, იმ მადლიანსა.

ცოტა უფრო გამოცოცხლდებოდა ის ე. წ. გაფართოებული სხდომები.

ცოტა, ცოტათი.

შედეგები რო განიხილებოდა, გაცდენებზე რო მიდგებოდა, ლექტორთა გაცდენებზედა, — აი თუ როდის გამოცოცხლდებოდა.

იშმუშნებოდა ყველა თავისთვისა.

დასახელება არავის უნდოდა.

ჰო არც ასახელებდა რექტორი, — საგანს თუ იტყოდა, ამდენი გაცდა ამ საგანშიო, იტყოდა ისე, იქით რო არც გაიხედებოდა, ვითომაც რო არც დაუნახავს იმ საგნის პატრონიო. ისე იტყოდა. გადაივლიდა დაუყოვნებლადა, ყურადღება რო არ შეეჩერებინა. და მაინც ჩამინიშნავს თავის დროზედა და ვიწერ ისევე, როგორც ჩამინიშნია. და ეს მახსენებს, კიდევ ორი გაფართოებული სხდომაც რო ემატებოდა, საბჭოსი ცხადია: სამზადისი სესიებისთვისაო. მახსენდება, ემატებოდა. იქ განიხილებოდა გეგმების შესრულება, პროგრამების მდგომარეობა, გარღვევები, გაცდენები, იქ განიხილებოდა. და აი:

გარღვევები გვაქვს გეგმებშიო, იღუშება რექტორი, იღუშება და ჩამოთვლის: ორი საათი... ოთხი საათი... ორი საათი... ოთხი საათი... თუმცა დრო გვაქვსო, გამოვასწორებთო, დამშვიდებაც არ შეიძლებაო, უნდა დავირაზმოთ, მთელი ძალები უნდა დავძაბოთო. მაგრამაო... მოიცათო, მოიცათო, ეს რა არისო, ოცი საათი მათემატიკის სწავლების მეთოდიკაშიო, ოცი საათი, — და იხსნის სათვალესა რექტორი, საცრისოდენა თვალებს აბრიალებს, ანთუ მართლა რო საცრისოდენასა, ანთუ ასე მოეჩვენებათ, აბრიალებს, წაიხრება თავები, არ უნდათ თვალი რო გაუსწორონ. წაიხრება თავები. და აღიმართება ხელი თავებს ზევითა, წახრილ თავებს ზევითა, აღიმართება:

„მერე და მე ავადა როდის ვიყავი?!,"

აღიმართება და ქანაობს ხელი, პასუხს მოითხოვს, ისე ქანაობს. ხელი ხელია, ოღონდ ხმა მაინც უფრო ნაცნობია, ეს ხმა შოთა ასანიძისაა, თავისებური, ცოტა დახშული თუ მოგუდული, გაბრაზებულიც თუ გახლავს, გახარებულიც თუ გახლავს, მაინც ერთნაირი, მაინც უშლელი, ერთგვაროვანი.

და მოიმარჯვებს რექტორი სათვალესა, მუქარით მოიმარჯვებს, მუქარით ჩაჰხედავს ცნობებსა თავისასა:

„მათემატიკის სწავლების მეთოდიკა — ოცი საათი?!"

და აუწევს ხმასა რექტორი, აუწევს, რას მიხირდები, რო მიხირდებიო.

და დაუწევს ხმასა შოთაი, ხელი ისევე აღმართულა, მხოლოდ ხმას დაუწევს მიღრეჯს კისერსა, მეუღლე იქ უზის იმას ეკითხება:

„როდის ვიყავი მე ავადა?!"

მეუღლე ხელს იქნევს, მტკიცედა, საუაროდა, არც არასოდესაო. და მაინც უფრო ბეჯითად იმეორებს რექტორი:

„მათემატიკის სწავლების მეთოდიკა, მეხუთე კურსი, — ოცი საათი!.."

უფრო ბეჯითადაც იმეორებს, უფრო ხმამაღლადაც იმეორებს, მუშტიც შეუმართია, მართალიაო უდასტურებს პროექტორი, მართალიაო, დეკანიც უდასტურებს.

„მერე და მეხუთე კურსზე მე როდისა ვკითხულობ?!."

უკვირს შოთასა. ის არა კითხულობს, მეხუთე კურსზე სხვა კითხულობს.

და უკვირს რექტორსაცა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაშ რა გინდა შენა?!.“

„მე რა... მე ავად არა ვყოფილვარ და!..“

და დაეშვება ხელი, ჯერ თავს ზევით შემოივლის, შოთას თავს ზევითა, მერეღა დაეშვება.

და აღიმართება თავები, ხელი დაეშვება და თავები აღიმართება, გამოჩნდება თვალები გაღიმებული, ლოყები ცოტა გადაშუქებული, ესაა და ესა, უფრო მეტად რო ვერ წათამამდებიან, ვერ გაერთობიან უფრო მეტადა, დაიოკებენ, შეინახავენ, გავლენ და მერე გაერთობიან, შოთა რო ისევე გაიმორებს, მე ავად არა ვყოფილვარო. გაერთობიან. რას იქნებოდიო, მოწაფე ხარ მაგისი, სანიმუშო მწაფეიო, რეცეპტიც იცი, — ერთი ჭიქა არაყი და ერთი თავი ნიორიო, აუხსნიან და გაერთობიან, გაიცინებენ, გაიცინებენ შემონახული სიცილითაო, სიცილიც კარგია შემონახულიო.

ასე ჩამიწერია.

და ჩაწერაც არ მინდოდა იმდენჯერ მომისმენია, იმდენს იმეორებდნენ, მით უფრო შოთა რო ისევე იცავდა თავსა, ისევე და ისევე: მე რაო, მე ავად არა ვყოფილვარო. თითქოს იმდენი არაფერიო, ოღონდ ეს მაშინ ლამის რო გამოხდომადაც ჩაითვლებოდა. აბა!.. კიდევაც უკვირდათ, რა მოხდა, როგორ მოუთმინაო. უკვირდათ. კიდევაც აჰხსნიდნენ: მაგისი სტუდენტი გახლდა, მაგისივე დაწინაურებულია, ამაგი აქვს და არ ეთმობაო. უყვარსო. უყვარსო. აჰხსნიდნენ და დაუჯერებდნენ. ურწმუნო მაინც გამოერეოდა: მაგან რა იცის სიყვარულისაო. უფრო ისაა, უფრო ისაა, რო არ უყვარს ნიკოლოზ ჯულაბიშვილი, და კიდევაც გაეხარდა, საბაბი რო მიეცა იმისი გამოჭენებისაო, გამოერეოდა და გამოუჩნდებოდნენ ამყოლნი ამასაცა. ყველას გამოუჩნდებოდნენ ამყოლნი, ავსაცა, კარგსაცა, სწორსაცა, მრუდესაცა, ყველასა, ყველასა რაღა თქმა უნდა.

შური იძიაო ერთისიტყვითა.

IV

მართლაც რო იმას ეკუთვნოდა მეხუთე კურსი, — ნიკო, ნიკოლოზ ჯულაბიშვილსა. ძველი მასწავლებელი გახლდა, სახელმოხვეჭილი, გიმნაზიობის დროინდელი. სკოლაშიც ასევე ასწავლიდა. ინსტიტუტში მოეწვიათ შეთავსებითა. კარგადაც უძღვებოდა თავის საგანსა. თუმცა კარგადაც მოხუცებულიყო, ჭარმაგობდა მაინცა, არც დააგვიანებდა, არც გააცდენდა, არც იტყოდა ზედმეტ სიტყვასა, ვერცა ნახავდით საპროფესოროში ჩამომჯდარსა უსაქმოდა თუ სალაყბოდა, ვერცა ნახავდით; შემოვიდოდა ზართან ერთადა, აუდიტორიას არ დასტოვებდა, არც შესვენებისასა, იპყრობდა, იმორჩილებდა, ანთუ სჯობიან ასე რო ითქვას, ხიბლავდა სტუდენტებსა, არ გაურბოდნენ, უსმენდნენ, უჯერებდნენ, თითქოს ვერც იგებდნენ, დრო როგორ გადიოდა; მოათავებდა და წავიდოდა, ანთუ ჩაიქროლებდა თითქოსაო, მხოლოდ ულვაშებს თუ მოჰკრავდნენ თვალსა, ძველებურ ულვაშებსა, ბოლოებშეგრეხილ, თეთრ ულვაშებსა.

იმასთან ესწავლა, ვისაც თუ მათემატიკა ესწავლა გორში.

ამ ჩვენს რექტორსაც იმასთან ესწავლა.

ძველი გორის კათოლიკური ოჯახის შვილი გახლდა. იქვე ცხოვრობდა კათოლიკურ ეკლესიასთანა. თვითონაც სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდა, გადმოსცემოდა რო ძველთაგანა. ხშირად თავს იყრიდნენ იქ ჩვენი მოღვაწენი, თბილისიდან თუ ჩამობრძანდებოდნენ გორშია. რჩებოდნენ კიდევაცა, რამდენხანსაც რო უნდა დარჩენილიყვნენ, ბარემ იმასთანა რჩებოდნენ, რჩებოდნენ და ეწეოდნენ თავიანთ საქმიანობასა, კომპოზიტორები გახლდნენ, მხატვრები გახლდნენ, მწერლები იყვნენ თუ მეცნიერები.

რამდენიმე მოგონება კიდევაც გამოვაქვეყნე გორის კრებულში, მისი ვაჟისა, ლეონარდ ჯულაბიშვილისა. და-

სანანია, რო ველარ მოაბა თავი, დაიწყო და ისაა, ველარ გააგრძელა, თავის მობმა ჰო რაღა სათქმელია. მერე რამდენს ვეჩიჩინებოდი, — ანთუ ის იყო რო მეჩიჩინებოდა, მე მხოლოდ ისაა, რო შევაწყვეტინებდი და ჩავაცივდებოდი, დაწერემეთქი. დამპირდებოდა მხურვალედა. დაწერილიცა მაქვსო, ცოტა ტყუოდა. რას იზამ, ერთი ნაკლი ყველასა აქვსო. რას იზამ.

იმხანად უკვე შემოჰფანტოდა ოჯახი, ნიკოლოზზე ვამბობ, მარტოღა ცხოვრობდა, ისევე მხნეი, დაუდეგარი, დაუზარელი, სკოლაშიც რო ასწავლიდამეთქი, ინსტიტუტშიცა, პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაჰყავდა სტუდენტები სოფლის სკოლაშიცა, — ამათ ჰო სოფლებში უნდა ასწავლონო, იქაც დაჰყავდა, ჯერ რო ამდენიც ველარ გაეთვალისწინებინათ მეცნიერ-მეთოდისტებსა,, დადგენილებებშიც არსად ჩაეწერათ. ჩვენთან ეს წესადაც შემოიღეს თანდათანობითა, ვიდრე დადგენილება გამოჩნდებოდა. და ეს აღარ მოსწონდათ ახალგაზრდა მეთოდისტებსა, არც მოსწონდათ და გულიც მოსდიოდათ, წადი და ახლა იწანწალე სოფელსოფელაო, ეგღა გვაკლდაო. ის ისედაც „დაწანწალებდა“, ისედაც რო აუცილებლად მიაჩნდა, რო არ ელოდებოდა ბრძანებებსა თუ განმარტებებსა.

ოღონდ და აი, კაცი რო მაინც კაცია კაცთაგანი, სიბერე მაინც რო სიბერეა, გასტეხს ქვასაცაცა მაგარსაო, ისიც გამხდარიყო ავადა. ანთუ სიბერეც არ უნდოდა ავადმყოფობასა რაღა თქმა უნდა, იმას მაინც სიბერეც მოსწეოდა, ავად გამხდარიყო, გაეცდინა, ის იმ პირველად გაეცდინა თავის ცხოვრებაში და ისიც როდი აპატიაო, გამოაჭენა და შური იძიაო. ხელზე დაიხვიეს.

მიზეზსაც ამბობდნენ შურისძიებისა: მათემატიკას შენ ვერ ჩასწვდებიო, ასე უწინასწარმეტყველებდა ნიკოლოზი ამ თავის მოწაფესაო, გიმნაზიაშიო თუ სკოლაშიო, ეს სულერთია რაღა თქმა უნდა, და თუ შევცდიო, მათემატიკას თუ მაინც ჩასწვდიო, კაცობას მაინც ვერ გასწვდებიო, ამაში მაინც ვერ შეცდებიო.

ასე უწინასწარმეტყველებდაო.

მართალი გახლდა თუ ჭორად დაეყარათ, ძნელი სათქმელია, არავის უჩერდებოდა ნიკოლოზი სალაპარაკოდა, არავისა, შემოვარდებოდა და გავარდებოდა, რექტორსაც ცხადია ვერავინა ჰკითხავდა, ცხადია და რაღა თქმა უნდა. კითხვაც არ უნდოდათ. ხმა დაიყარა და ეამებოდათ. ხმა დაიყარა და იმეორებდნენ, თვითონ იძიებდნენ შურსა და იმ იმდენი კრებებისთვისა, იმა სიტყვაშეუბრუნებელი მბრძანებლობისათვისა. და იმეორებდნენ. და იმეორებდნენ. არც მოწაფე სწამს და არც მასწავლებელიო, არც შინაური იცის და არც გარეულიო, იმეორებდნენ და იმეორებდნენ, არც ავი იცის და არც კარგიო, არც არაფერი სწამს და ვერც ვერასოდეს ვერაფერს იწამებსო, იმეორებდნენ და იმეორებდნენ, მარტო ესაა, უბრძანებენ და ეგეცა ბრძანებსო, რო არც დაფიქრდება, არც არავის დააფიქრებსო, იმეორებდნენ, და იმეორებდნენ, გული ჰო არა აქვსდა არც გულისმაგიერი არაფერი გააჩნიაო, იმეორებდნენ, და თითქოს თვითონვე ხელს უწყობდა ასეთ ხმებსაო. თითქოსაო. თითქოსაო. იმისი მოგვარენიც რო ეტანებოდნენ გორის ინსტიტუტსა, რაღა თქმა უნდა ეტანებოდნენ, მოუხაროდათ, ეიმედებოდათ, იჭრებოდნენ ‹უსათუოდა, იჭრებოდნენ პირველივე გამოცდაზედა. და თავი მოჰქონდა ამითი რექტორსა, თავი მოჰქონდა და იკითხავდა ამაყადა:

„ჰხედავთ?!. აბა!.. აი ჯიგარი მეწვის... მეწვის!.. მაგრამ მე რა ვქნა?! მოემზადონ უკეთესადა და ისე მოვიდნენ!.. მე რა ვქნა, მე სხვა რა შემიძლიან?!“

და არცა ვნახო, ვინმემ თავისიანი თავს მოგვახვიოსო, არცა ვნახოო, და შემართავდა მუშტსა და დაუშვებდა მაგიდაზედა, დაუშვებდა, დასცხებდა ... ბეჭდავდა. დაიზრიალებდა ... წავიდოდა, წავიდოოა, მიილეოდა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა, როგორღაც ისე, რო მიადევ-
ნებდნენ ყურსა, იქიდან რისხვად ამო-
ვარდებაო. მეტ განმარტებას აღარ
მოჰყვებოდა, ბრძანებდა, მორჩა, გან-
მარტებები მერეღა დაიწყო, ბრძანება-
ნი რო ვეღარა სჭრიდა უყოყმანოდა
თუ უდრტვინველადა, მერეღა დაიწყო
და სწორადაც განმარტავდა, აღარ უჯე-
რებდნენ, მხოლოდ ესაა, სწორ განმარ-
ტებასაც აღარ უჯერებდნენ. მაგრამ
წინ გავრბივარ. აქედან ასეა, ასე მო-
სჩანს, ადვილად მოსჩანს ყველა და
ყველაფერი. ისევ იქიდან უნდა მოჰყვე,
ისე სჯობიან.

და არცა ვნახოო ერთისიტყვითა.

და ფრთხილობდნენ. თუ შემოაპარე-
ბდნენ, დიდი შიშითა, დიდი გულისხე-
თქებითა

მაინც შემოპარებოდნენ, ეშმაკი მა-
ინც ეშმაკი გახლდა, შიშიც გაიტანდა
თავისასა. მაგრამ და მაინც, რაც უნდა
იყოს, ჯერ მაინც გამოცდებიც გაემოც-
დებსა ჰგავდა, ყველანაირი გამოცდები,
მით უფრო მისაღები, ჯერ მაინც მტკი-
ცედ ეჭირა ინსტიტუტი, მტკიცედა,
მყარადა. შვილებს მაინც ვერ შემოაპა-
რებდნენ თუ მართლაც ღირსეული არ
გახლდა, თუ მართლაც არ აღემატებო-
და სხვა აბიტურიენტებსა—თვითონვე
სჩხრეკდა ნაწერებს, თვითონვე ესწრე-
ბოდა გამოცდებსა, თვითონვე თვითონვე,
არაფერს დასთმობდა არაფრის გულისთ-
ვისა. ერჩივნათ, სხვაგან წაეყვანათ შვი-
ლები, თბილისსა თუ თბილისს იქითა,
ერჩივნათ და მიჰყავდათ კიდევაცა, იქ
ვერაფრით დაეხმარებოდნენ. ეს რო ე.
წ. ადგილობრივნიო, ჩამომსვლელები
ჰო მით უფროო, — კრინტსაც ვერ დას-
ძრავდნენ, სულაც რო გარეთ დარჩენო-
დათ შვილები. იცავდა, იცავდა, მტკი-
ცედ იცავდა, ვიდრე შეეძლო რაღა
თქმა უნდა.

არ ითქმის, რო ეგუებოდნენ, არა
ცხადია.

ხმამაღლა ჯერ მაინც არაფერს ამ-
ბობდნენ.

ჯერ მაინც ფიქრობდნენ, ყველას თუ
არა, ზოგს მაინც დაგვითმობსო. და ალ-
ბათ ასევე ფიქრობდა თამარა სიხარუ-
ლიძეცა. და ალბათ ასეც უნდა ეფიქრა,
თუ რო დასთმობდა რაღა თქმა უნდა;

ალბათ ასეც უნდა ეფიქრა.

დეკანი გახლდა ისტორია-გეოგრაფ-
იის ფაკულტეტისა. დეკანი. ერთადერ-
თი ასული შერჩენოდა. მეუღლე გადა-
ჰყოლოდა იმ მძიმეს წლებსა, ბევრი რო
გადაჰყვა. სათნო რამ გახლდა, თამარი
ცხადია, სათნო და მგრძნობიარე, ცრე-
მლი სდიოდა წამდაუწუმა. ჩქროლავდა
ყველაფერზე, სულ მცირეზედაცა, სულ
ცხვირსახოცი ეჭირა ხელში, სულ სვე-
ლი ეჭირა, სულ რო იწმინდავდა ცრემ-
ლსა. ჩურჩულის ზევით ხმას არ უწევ-
და, ოდნავ, სულ ოდნავ თუ გაჰხსნიდა
ბაგესა, ძლივს რო ამოეთქვა მთრთოლ-
ვარე სიტყვები. ქალებს მოსდიოდათ
გული: გარეთ ეგრეა, ოღონდ განახვათ,
რო მოითავხელებს სტუდენტებსა კაბი-
ნეტშიო, ოღონდ განახვათ. რა დღეს
აყრისო, როგორ დაჰკივისო, როგორ
დასწიოკებსო, ოღონდ განახვათო. რა
მოგახსენო; სტუდენტებიც ერიან და
სტუდენტებიცა, ეგება აქამდისაც მიიყვა-
ნდა ზოგი მათგანი, რა მოგახსენო, მაგ-
რამ და მაინც ითქმოდა უფრო მგრძნო-
ბიარედა, ისე ვერ დაჰღვრიდა იმოდენ
ცრემლსა. ალბათა. ალბათა. რა მოგა-
ხსენო. არა, ვერ დაჰღვრიდა, ისე ვერ
დაჰღვრიდა.

ცრემლით აევსო მეუღლის ბარათე-
ბიცა, სატრფიალო ბარათები, — მეუღ-
ლეობამდისა. მერე აღარა. აღარაო. აღ-
არც აღარაფერი გაეგონა. ყველას წაე-
კითხა ის წერილები ჩემამდისა. მეც
წამაკითხა. გამეცნო თუ არა, აღმითქვა,
უნდა წაგაკითხოო. კიდევაც მომიტანა
მეორე დღესვე. და მომამზადეს წინას-
წარაცა, წერილები გელის ასეთი და
ასეთი, აბა შენ იცი, როგორ დაჰხვდე-
ბიო. მართალი გითხრა, ცოტა გამიკ-
ვირდა, სხვას ველოდი და სხვაგვარი
აღმოჩნდა ის წერილები: უფრო ისეთი,
ეგნატე რო სწერდა ნადასისა, უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი, ხოლო ეს კაცი, მეუღლე თამარისა, „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი გახლდა სწორედ იმ ხანებში 37-ში და ეხმაურებოდა მთელს იმ მოვლენებსა, როგორც რო მოითხოვდნენ, ანთუ ლამის რო უფრო სიმძაფრითაცა. და თანაც გადაჰყვა. მაგრამ ეს მაინც სხვა ასახსნელია, ახლა სხვას ვამბობ: ალბათ ასე უნდა ეფიქრამეთქი.

და განარისხდა რექტორი.

განრისხდა და ბრძანა რექტორმა:

აქ არ შემოიტანო განცხადებაო.

სად წავიყვანოო.

ქვეყანა დიდიაო.

მე აქა ვარ დღედაღამეო.

შენ აქ უნდა იყვე დღედაღამეო.

კეთილიო, დაეთანხმა თამარი, ოღონდ ისე რო განცხადება მაინც შეიტანა გორის ინსტიტუტში, შვილისაი რაღა თქმა უნდა. გაუკვირდათ, რის იმედი აქვსო. როგორ გაჰბედაო, ისიც გაუკვირდათ, მერე თამარმაო, გაუკვირდათ რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეტყობა, რო სჯეროდა თავისი შვილისაი, იმისი ნიჭისა თუ მომზადებისა სჯეროდა, რა აბიტურიენტებიც რო მოდიოდნენ, იცოდა, რა სტუდენტებიც ეხვევნენ გარსა, იმათაც იცნობდა რაღა თქმა უნდა; სჯეროდა აგრეთვე სამართლიანობისაი, ეტყობა სჯეროდა, ობიექტურობისა სჯეროდა ცხადია, ანთუ ეტყობა სჯეროდა, გამომცდელების ობიექტურობისაი, თვით რექტორის ობიექტურობისაი მით უფრო ცხადია, სჯეროდა, სჯეროდა, თუმცა რო ისე რო მრისხანებდა, ოღონდ ეს იმიტომ, მხოლოდ იმიტომა, პროტექციონიზმი რო არ დაეშვა ინსტიტუტშია, მხოლოდ იმიტომა, თორემ ისე ჰო არ დაბრკოლებდა მომზადებულსა თუ ნიჭიერ ახალგაზრდასა, — არა ცხადია, არავითარ შემთხვევაშია, სჯეროდა თამარსა, ასე სჯეროდა; ეტყობა, სჯეროდა.

სჯეროდა, მაგრამ ასე არ აუხდა.

ბავშვი გარეთ დარჩა და იცემდა თავშია, ნეტავი მართლა სადმე სხვაგან წამეყვანაო, მეც წავსულიყავი და ვცილდებოდი აქაობასაო. ეს იყო პირველი პროტესტი, როგორც რო მაგონდება, ისიც ასეთი მორჩილი თუ დამთმობი ადამიანისაგანა. სხვა ვერ იტყოდა, აქ რა მინდაო; სხვა ყველა ამბობდა, ბედი მქონია აქ რო მოვხვდიო. თამარიც ამბობდა მანამდისა, — ბედი მქონიაო. რექტორი ამბობდა და შთააგონებდა ამგვარადა, იმეორებდნენ ისინიცა, ბედი გვქონიაო.

ისე, თამარიც ერთხანს „ჩამომსვლელი“ გახლდა. დაეტოვებინათ, დაეთანხმებინათ ფაკულტეტის დეკანობაზედა. დაეტოვებინათ. დაექირავებინა ერთი პატარა ოთახი, უხეირო ოთახი, კარი გამოდიოდა ტროტუარზედა, უდერეფნოდა, უშუალოდა, ტროტუარზედა, ისეთი ოთახი დაექირავებინა. სიკეთისაგან არ გახლდა ცხადია. ბინები ჭირდა მაშინდელ გორშია. თვითონაც რაო... ოღონდაც რაო, თვითონ მაინც თავს იმართლებდა: ინსტიტუტთანაც მარჯვე არის და სადგურთანაცაო, ხანდახან მაინც ჰო უნდა გავიქცეო. დედა და ქალიშვილი თბილისში დაეტოვებინა, გაჭრილიყო ასე, გაყოფილიყო. გაყოფილიყო. და ალბათ იმედი რამ გამოსჩენოდა, იმედი თუ ფიქრი, რახან წამოეზარდა შვილი, რახან გორის ინსტიტუტში განაგრძობდა სწავლასა, ეგება ბარემ გადმოსახლებაც ეწადა, ეგება?!.. რაც იყო, იყო, ნეტავი მეც წავსულიყავიო და წავიდა მართლაცა, დიდხანს აღარ დაყოვნებულა.

ოღონდ მანამდე,და ისიც სულ მალე, გული მოიოხა თამარმა. მოიოხა.

თუმცა არაო, ცრემლებს იწმენდდა ამაზედაცა.

ცრემლი მაინც ცრემლია და ადამიანი ადამიანია, ყველას არ შეუძლიან დატკბეს შურისძიებითა, ანთუ განცდაც არა აქვს შურისძიებისა, სათნოება ისე ძლიერია, მართლაც რო ძლიერია, თუმცა რო სისუსტედ მიუჩნევიათ.

რაც უნდა იყოს, შეეძლო რო მოეოხებინა გული. შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოეზარდა შვილი რექტორსაცა. ქალიშვილი. ალბათ გორში რო არც დაიტოვებდა. უფროსი მართლაც გაისტუმრა თბილისსა. აქებდნენ. გაისტუმრა. ამასაც აქებდნენ. არ შეეშინდებოდა, სადაც არ უნდა ჩაბმულიყო კონკურსში, თბილისსა თუ თბილისს იქითაცა. მოსკოვსაც ამბობდნენ. ასეც ერჩივნა რექტორსა, ასე უჯობდა რაღა თქმა უნდა. მაგრამ ინება და დაიტოვა შინა, დაიტოვა და კინაღამ დარჩა გარეთა, ინსტიტუტს გარეთა, ყველასათვის მოულოდნელადა, თავისთავისაცა რაღა თქმა უნდა. კინაღამ დარჩა.

ყურებს არ უჯერებდნენ.

არ ეგონათ თუ ვინმე შეჰბედავდა რექტორსა.

არ ეგონათ და უცებ შეჰბედეს: ქიმიაში დამაკმაყოფილებელი დაუწერეს რექტორის ასულსა. ეს გარეთ დარჩენას უდრიდა. ლამისა. ლამისა. საქმე კინკიბურად დგებოდა. კინკიბურადა. შეურაცხყოფა. შეურაცხყოფდა. სიამაყე სიამაყედა. მოულოდნელობა მოულოდნელობადა. აიბურდა ერთმანეთშია. ალექსიმ აბურდა, ალექსი ტივაძემა. განგებ არა რაღა თქმა უნდა. ობიექტურობას მოითხოვდნენ და ობიექტური გახლდა, არც მეტი, არ ნაკლები, — ობიექტური. გამოჰკითხა. გამოაკითხვინა. დარწმუნდა, მეტი არ ეკუთვნისო. დარწმუნდა და დაუწერა დამაკმაყოფილებელი. ობიექტურადაო. ასეცა ბრძანებდა რექტორი. ბრძანებდა და დაუშვებდა მუშტსა მაგიდაზედა. დაბეჭდავდა მუშტითა. გაძლება ეთქმოდა მაგიდასა. ძველებურიც იყო, სქელი, მკვიდრი, მაგარი ჯიშისაი. უძლებდა. ახალი ვერა, ვერ გაუძლებდა, შემოეფშხვნებოდა ხელშია. მაშინ ჰო მაშინ ნაკუწებად აქცევდაო, რო აუწყესო, დამაკმაყოფილებელიო.

ქიმიის კაბინეტი მეორე სართულზე მოეთავსებინათ, ბოლოში თითქმისა, რექტორის კაბინეტი პირველზედა, ცენტრში, მაგიდის ბრახუნი ჩემამდის აღწეულაო, ალექსი ამბობდა, ამბობდა და იღიმებოდა უზრუნველადა, ვითომც, რო არაფერიც არ მომხდარაო.

მოხდა ცხადია, მოხდა. ამანაც იცოდა, იმანაცა, — რექტორმაც იცოდა, ალექსიმაცა.

მაგიდის ბრახუნი ჩემამდის აღწევდაო.

მაშინვეც დაიბარა რექტორმა. ძრწოდნენ ყველანი, ვაი ახლა ამისი ბრალიო. ოღონდ თვითონ არც შეფიქრიანებულა. ფეხიც არ მოუცვლია ადგილიდანაცა გამოცდების დამთავრებამდისა, — ის ჯგუფი ვიდრე ჩაათავებდა. მერელა ეახლა. ეახლა და ჩამიჩუმიც აღარ გამოსულა რექტორის კაბინეტიდანაო. ამბობდნენ. არც გამოვიდოდა, ისე ჩურჩულებდა რექტორი:

„რას ვიზამთ... შვილია!..“

„შვილია...“

დაუდასტურა ალექსიმაცა.

„თქვენც გეყოლებათ და...“

„ჰაჰაჰა...“

გაიცინა ალექსიმაცა.

„მაშინ გაიგებთ... უფრო გაიგებთ...“

„ჰო...“

დათანხმდა ალექსი.

„შვილი...“

ისევ წამოიწყო რექტორმა.

„თამარის შვილი?.. შვილი არ არის?!.“

პასუხისათვის აღარ მომიცდიაო, ამბობდა ალექსი, გამოვბრუნდი და წამოვედიო. და იცრემლებოდა თამარი. როგორ შეიძლებოდა, რექტორი რექტორია, როგორ შეიძლებოდაო. იცრემლებოდა და იწმენდდა თვალებსა გასაწური ხელსახოცითა

აქ სიტყვა მოუჭრა, თორემ განა თუ თამარისათვის იძიებდა შურსა, — არა ცხადია, არც არაფრისათვის იძიებდა შურსა, არც არას ერჩოდა რექტორსა: მეტი არ ეკუთვნოდაო, უთქვამს, ცალკე რო დავრჩენილვართ, სამართლიანობა ამას მოითხოვდა, ობიექტურობა ამას მოითხოვდა, მე სხვანაირი ობიექტურობა არც ვიციო. დამაკმაყოფილებელი ითაკილეს, თორემ ქულები ჰო ეყოთ, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს იმართლებდა ალექსი. შეიძლება რო ჩაგეთვალათ ორტოდოქსალურ მიმდევრადა თვით რექტორისა, ისე ლაპარაკობდა, ისე, ისე, მართლაც ისე ლაპარაკობდა, მაგრამ არ გახლდა მოწაფეი იმისი, არცა თვალთმაქცობდა, არა ცხადია და რაღა თქმა უნდა. ბუნებით იყო ასეთი მკაცრი, ანთუ მტკიცეი ასეთი, დაუთმობელი, გაუტეხელი, პირუთვნელი, შეუპოვარი.

ერთიც ეყოფოდა ამ თვისებათაგანა.

და თუ შევჩერდები გაუტეხელზე: გატეხილი და გაუტეხლიო. ახლა ასე ითქმის. ორივე ითქმის: ხანი რო შეეტყო და უფრო ეტყობა, რაც უფრო ხანგამოშვებით შევხვდები. იმან ჩემი თქვასო. მაგრამ მე ვამბობ იმაზე: თმა შესთხელებია და ჭაღარა გამორევია. კბილიც ჩასტეხია. რა მოხდა მერეო, სიბერე მოდისო თუ კარს მომხტომიაო. გასტეხს ქვასაცა მაგარსაო. მართალი ბრძანებაა. ოღონდ როცა შემხვდებამეთქი, ისიც მხოლოდ ხანგამოშვებითა, ხოლო ისე ისევე მახსოვს, ჩვენთან რო მოვიდა, გორის ინსტიტუტში რაღა თქმა უნდა, ისევე მახსოვს: გრუზა თმა ეყარა, შავი კუნაპეტი, ხშირი, ხშირი, დავარცხნა უჭირდა. კბილის ტკივილი ჯერ არ ვიცი, ტრაბახობდა თუ ელოდა თუ ნატრობდა, ნეტავი ისიც განმაცდევინაო. ნეტავიო.

ნეტავი ისიცაო, — გამოეცადა რო ბევრი რამა, თუნდაც რო მხოლოდ ომი რო ითქვას: მთელი ის ომი გადაეტანა, დღიდან დაწყებისა დამთავრებამდისა, წინა ხაზიდან რო არ გამოსულა, რო არც გაკაწრულა, ჰოსპიტალში მაინც რო მოხვედრილიყო მცირე ხანს მაინცა, არც გაკაწრულა, ფრჩხილიც რო არ წამოსტკიებია, ისე გადაეტანა. ისე განეცადა ყველა სხვა განსაცდელი ომს რო თან ახლავს, საშინელ ომსა. მაგრამ თურმე რო ის იმდენი არაფერიო, თურმეო, თურმეო, იცინოდა და ისე ჰყვებოდა, შინ რო მელოდაო. გადაჰკიდებოდა ცნობილი ქიმიკოსი,ცნობილი,ცნობილი, სახელმოხვეჭილი. ადგილი დაეკარგა ქიმიის ინსტიტუტში. ველარც ველარსად ეშოვნა ადგილი. იცინოდა და ისე ჰყვებოდა. მწარედ იცინოდა.

და იქაც, ჩვენთანაც, კონკურენტი არ აღმოაჩნდა?!..

რო არა ჰყოლია კონკურენტი მანამდე არავისა, არავისა, არავისა, კენჭს რო იყრიდნენ და მხოლოდ ერთი რო იყრიდა კენჭსა. ეს იყო კონკურსი. ამას მართლაც კონკურსი შეჰხვდა.

ჩვენ ამას არ ვიცნობდით, არც რო კონკურენტს ვიცნობდით ამისასა, ხმა ამას მივეცით მალხაზ ზაალიშვილის რჩევითა. მაშინ ის განაგებდა კათედრასა, ბიოლოგია-ქიმიის კათედრასა. დავუჯერეთ. კმაყოფილნიც გახლდით. აგვყვა. ავყევით. გარეთა ცხადია, ლექციების მერე, შიგნით, ინსტიტუტში ყველას თავისი თავსაცემი ჰქონდა. ის თუ მაინც რად გადაკედიაო, ის ქიმიკოსიო, შეეკითხებოდნენ, რო იცინოდა ისე მწარედა. შეეკითხებოდნენ. აემღვრეოდა პირისფერი, მოღუნავდა სახესა ისე, სხვა გეგონებოდა. გააკრაჭუნებდა კბილებსაცა ისე, თითქოს აი და ჩამოიფშხვნისაო, ჩამოიფხშვნის და გადმოჰყრის კენჭებივითაო. მაინც მოერეოდა თავსა: დიატომიტმა გადაგვკიდაო, ქისათიბის დიატომიტმაო.

დიატომიტის საკითხებზე მუშაობდა, როგორცა ბრძანებდნენ მეცნიერული სტილის მიხედვითა, ანთუ განაგრძობდა მუშაობასა. მოვიდა თუ არა ლაბორატორიაც მოაწყო, პატარა ლაბორატორიაი. — ანთუ და ვითომ რა ლაბორატორიაო, — მეც გავუტიე რაღა,—ქიმიის კაბინეტში, აუდიტორიაც რო გახლდა, კუთხეში მისდგა თავისი აპარატი. ჩართო. მუშაობდა. აკვირდებოდა. აქვეყნებდა თეზისებსა. მოხსენებებით გამოდიოდა. ქიმიის რამდენიმე კურსს რო კითხულობდა, ეს კიდევ სხვა არის. რაც იყო, მაინც დიატომიტი იყო, დიატომიტს არ ეშვებოდა, და უხაროდა თუ შეიტყობდა, რო ამის თეზისებს კიდევ გაეხელებინა მეტოქეი ამისი. უხაროდა. ჰყვებოდა, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეგო თუ როგორ რა ეთქვათ. მეტოქეიო. ანთუ ნეტავი რა მეტოქეიო, ის რო აკადემიკოსი ბრძანდებოდა ეს დოცენტი, კანდიდატი, ფარდი ფარდზე ვერ მოდიოდა, ტიტულებითა რაღა თქმა უნდა, თანამდებობანი კიდევ სხვა იყო, გავლენა სხვაი, ის კიდევ სხვაი: იმას რო უახლესი, უძლიერესი, უცხოური აპარატები ედგა, ამას უბრალო, თავისივე აწყობილი, პატარა აპარატი, იმას რო ეხვია ასისტენტები, ყველა წოდების ასისტენტები, ყველა ხარისხის ასისტენტები; ამას რო ერთი ლაბორანტი დაჰხვდა, ერთი, ერთადერთი და ისიც რო ისე გაბმულიყო ინსტიტუტისა თუ ქალაქის ჭორებში, ქიმია რო აღარც აგონდებოდა მისაღები გამოცდებიდან (მისაღებ გამოცდებამდისა, — აგვისტოდან აგვისტომდისა.

აი ასეთი მეტოქენი გახლდნენ.

მერე უკეთესი ლაბორატორიაც მოაწყო ალექსიმა.

ეს უკვე თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. წავიდა ჩვენგანა.

ოთახი დაუთმეს, პატარა, ოღონდ ცალკე ოთახი. მეტი საშუალება მიეცა, მეტი გატაცებითაც შეუდგა მუშაობასა, ანთუ განაგრძო, — განაგრძო ცხადია. ისევ ლექციებიცა რაღა თქმა უნდა. აუდიტორიაც იქავე ჰქონდა, აუდიტორიიდან გადიოდა ლაბორატორიაში. აქა ვარო, სულ აქა ვარო, ამბობდა, ეგაა ლოგინიღა მაკლიაო. ხუმრობაც იყო, მართალიც გახლდა. როგორლაც მაინც იქ მერჩივნაო, გორშიო ცხადია, აქ ამ ხელა ინსტიტუტია და უფრო მარტო ვარო.

ანა ნიკოლაძეს უმაღლიდა გადასვლასაცა, ლაბორატორიასაცა, კიდევ ის თუ დამხედავს ხოლმეო.

მაშინ ჯერ კიდევ ანა ნიკოლაძე განაგებდა იმათს კათედრასა. ისევა ყოჩაღობდა ხანდაზმულობის მიუხედავადა. ალექსისაცა მფარველობდა და გადაარჩენდა კიდევაცა შემდგომი ფათერაკისაგანა, ცოტა კიდევ რო დაეცლია ღმერთსა.

ალექსი ვერც ასცდებოდა ფათერაკსა ვერა: არაფერს დაგიშავებდა და არც არავის არაფერს აპატიებდა, არც ეცრუებოდა და არც მოითმენდა სიცრუესა, ასწავლიდა და უნდა ესწავლა, უნდა ესწავლა, უნდა ესწავლა, სხვა არაფერი არ გაეგებოდა, სხვა ვერაფერი გამოიხსნიდა იმისი ხელიდანა; უსამართლოს ვერაფერს ჩაადენინებდი, უზნეოს ვერაფერს ჩაადენინებდი, ვერაფრით ვერ მოახდენდი ზემოქმედებასა, ვერაფრითა, ვერაფრითა, ასეთი ძალა არ არსებობდა, ასეთი ხერხი არ არსებობდა, არც რო პირდაპირი, არც რო მაცდური.

ხშირადაცა მონაწილეობდა მისაღებ გამოცდებში, გორშიცა, თბილისშიცა, ყველაზე რთულ პერიოდებშიცა, ყველაზე რთულ გამოცდებშიცა, თუნდაც რო სამედიცინო ინსტიტუტისა, მონაწილეობდა მტკიცედა, შეუვალადა, დაუთმობლადა, — დაუთმობლადა. ადვილი არ გახლდა. გადაუკიდებია უფროსები, ბრძანებანი რო არ შეუსრულებია, დაუმდურებია მეგობრები, ნათესავები, თხოვნა-მუდარა რო არ შეუსმენია, დაუცავს და გაუყვანია ე. წ. უპატრონო ბავშვები, მხოლოდ რო მცოდნე, მხოლოდ რო ნიჭიერი ბავშვები, გაუყვანია და ხელი შეუშლია სხვადასხვა გათვლებისა თუ სხვადასხვა გარიგებებისათვისა. ადვილი არ გახლდა, არც რო ადვილად აპატიებდნენ რაღა თქმა უნდა.

ყველაფერს ამას გადატანა უნდოდა.

ფრონტზე უფრო ადვილი იყოო, იცინოდა და იფშვნეტდა ხელებსა, იქ იცი თუ საიდან გაიმიზნებენ, აქ არ იცი, ვერც გაიგებო.

გამოცდებს სულაც ჩამოაშორეს, — მოვისვენეო, — მისაღებ გამოცდებსა.

ოღონდ თავისი?...

შერჩა ცხადია საკურსო გამოცდები, ცხადია და რაღა თქმა უნდა, შერჩა და კვლავაც გაგრძელდა იგივეი: გასწავლი და უნდა იცოდეო, სხვა ურთიერთობა არ შეუძლიან.

არ შეუძლიან და?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა და ძნელია ეს ურთიერთობა ახლა სტუდენტებთანა, რო ერევიან მშომშობლებიცა, ათასი ზნის შუაკაცებიცა, ძნელია აგრეთვე კათედრასთანაცა, ფაკულტეტთანაცა, ძნელია, ძნელი, მეტად ძნელია, ყველასთან ძნელია, და მიდის მაინც ამ ძნელ გზაზედა, დაადგა და მიდის, არც აქეთ იხედება, არც იქითა.

ცხოვრება ისედაც გაურთულდა. ურთიერთობაც გაურთულდა ადამიანებთანა. გაურთულდა. გაურთულდა. ცოტა ფილოსოფიურ-თეორიული მიდრეკილებანიც აღმოაჩნდა. მარტოც დარჩა. მარტო. მარტო.დიატომიტი. ლაბორატორია. და მარტო.რო ელოდა ცდების შედეგებსა, ელოდა, ელოდა.ჩამოუყალიბდა თავისებური შეხედულებანი. მარტოკაცის შეხედულებანი. დაჯდა და დაწერა. ვრცელი წერილი გამოუვიდა. ვერ ჩაეტეოდა რო ჩვეულებრივ კონვერტებშია, თვითონვე გამოსჭრა შესაფერისი, გადააწება, წერილი ჩასდო, პარტიული ბილეთიც თან მიაყოლა. როგორ რო სჯობდა, არავისა ჰკითხავდა, არც არავის დაუჯერებდა, ყველა რო აეჭვებდა, რო ვეღარავის ვერ ენდობოდა. მიაყოლა. გაუგზავნა მაშინდლ ხელმძღვანესა: ვასილ მჟავანაძესა. ურჩევდა, როგორც რო თვითონ ეგონა; ანთუ ასეო; ანთუ მე ეგრე ვერ გამოგყვებიო.

ბილეთი დაუბრუნეს. არ მიიღო. სთხოვეს. იუარა. დააცადეს. არ გატყდა. ჯიუტად მოითხოვდა პასუხსა.

ჯაზ-ანსამბლის რეპეტიციები დაუნიშნეს აუდიტორიაში.

სხვა ადგილი ვეღარ გვიპოვნიაო. ცოტა ხანსაო. ვეცდებითო. გამოვძებნითო.

ტიხრი წამოსწია მეზობელმა კათედრამა. გადმოსწია. მანამდე ლაბორატორიამდე აღწევდა ტიხრი, დერეფნის მხრითა, — აიღგა ფეხი, აიდგა, გადმოუარა ლაბორატორიასა, აუდიტორიასაცა, კარიღა დაუტოვა შესასვლელადა თუ შესაძრომადა, ალყა შემოარტყა, ვერ ვეტევითო, ვერ გავშლილვართო, უმნიშვნელოვანესი ექსპერიმენტი გვეშლებაო. უმნიშვნელოვანესიო.

ანა ნიკოლაძე აღარ იყო ამ ქვეყანადა.

აღარავინ უსმენდა, ალექსისა, აღარავინა.

გაუფანტეს ლექციებიცა კორპუსებიდან კორპუსებშია, რაც შეიძლება რო დაშორებითა, გაუფანტეს, გაუშალეს. მირბოდა და მორბოდა, რო არ დაეგვიანა, მირბოდა და მორბოდა. იქ ჯაზ-ანსამბლი მეცადინეობდა. ცოტა ხანსაო. გამოვუძებნით ადგილასაო.

ალყა გრძელდებოდა.

ეს პასუხს ელოდა მოთმინებითა, ჯიუტადა და მოთმინებითა.

იქ მოთმინება იწურებოდა, ანთუ არაო, — უახლოვდებოდა ლოგიკურ შედეგსა: არ ესწრებოდა პარტიულ კრებებსა, ალექსი ცხადია, აღარ იხდიდა საწევროსა, არ ასრულებდა არავითარ დავალებასა, — უახლოვდებოდა ლოგიკურ შედეგსა. უახლოვდებოდა და მიუახლოვდა. და ერთიც ვნახოთ, კრების დღისწესრიგში შეიტანეს პერსონალური საკითხი. ამას ჩაეცინა. იმსჯელებენ ჩემს წერილზეო. ჩაეცინა. ჩაეცინა მაგრამ და რაო, — ამაზე იმსჯელეს, ამის პარტიულ დისციპლინაზე და გარიცხეს ცხადია, გარიცხეს როგორც რო უდისციპლინოი. გარიცხეს. მომისმინეთო. ეჭირა ასლი თავისი წერილისა. წაგიკითხავთო. ვიღა მოუსმენდა?..

და მერე ხელმძღვანელობა რო შეიცვალა ჩვენში, რო გააკრიტიკეს წინარე ხელმძღვანელი, — ორმოცდაათიანი წლების ბოლოდან სამოცდაათიანის დასაწყისამდე მკაცრად რო გააკრიტიკეს: ჰე ბიჭო, შეუძახეს ალექსისა, — დადგა შენი დროიო,შეუძახეს, და შეუძახეს, სწორედ იმათა, ვინც რო თაოსნობდა ამის გარიცხვასა, შეუძახეს და შემოეხვივნენ, აბა ახლა შენ იცი და ჩვენ შენთანა ვართო.

და შეძრწუნდა ალექსი, შეძრწუნდა და გატყდა, მაშინღა გატყდა თითქოს რო გაუტეხელი კაცი:

„ჰხედავ, რა ხალხია!. მაშინ ორივე ხელსა სწევდნენ, გაირიცხოსო, ფეხებსაც ასწევდნენ... ჰხედავ რა ხალხია!?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობდა ისე, ღიმილი რო აღარ გაუხსნიდა სახესა, როგორღაც ასე აღარა ვარგოდა, აღარა ვარგოდა უღიმილოდა, მაგრამ და რას იზამ, — დაჰკარგა ღიმილი.

იქ იმ კათედრამ აიღო ამისი აუდიტორიაცა, გამოასახლა თუ რო გამოაპანღურა ჯაზ-ანსამბლი, ადვილადაც გამოაპანღურა. ლაბორატორიაც შიგნით მოიქცია, — ოთახი, ოთახი, თორემ აპარატურა ალბათ თან გაჰყვა რემონტის ნარჩენებსა. ალბათა. ამდენი თვითონაც აღარ იცის. აღარც უკითხავს.

პატარა სუფრას გაშლის ხოლმე ცხრამაისობასა, ასწევს ხოლმე მოსაგონარსა, ვინც სწორედ ამ დღეს დაეცაო, ცხრა მაისსაო, ჩემს გვერდით დაეცნენო, ჩემი მოსაგონარიც იმათთან იყოსო.

სამი კაცი უზის იმ სუფრასა: თვითონა და ორი გორიდანა, ანთუ ისინიც რო იქა მუშაობდნენ, იმათთვისაც რო მოგონებაღაა გორის ინსტიტუტი, მოგონებაღაა. იქ ამან უფრო ცოტახანს დაჰყო. მაინც იქ მირჩევნიაო. სხვაგან ველარავის დაახლოებია აღარც აღარარავის გაუტანია ისე. მაინც რა დიდსულოვნად მომექცაო, რექტორზე ამბობს, გორის ინსტიტუტის რექტორზე, მართლაც რო შვილი შვილიაო და ესეც არ იყოს ავტორიტეტიც ავტორიტეტიაო. მაგრამ რას ვიზამთ, მეც არ შემეძლო სხვანაირადაო. ახლა დრო რო შემოაბრუნა, ალბათ ისევე მოვიქცევიო. ალბათაო, კაცი ბოლომდე უნდა იყოს მართალი, ბოლომდე, ბოლომდე, ბოლო წერტილამდისაო.

თუმცა ამბობდნენ, რექტორმა მაინც შური იძიაო. ვითომ: აიძულაო. მაგრამ თვითონვე უკეთესად იცოდა, რო არ იძია შური რექტორმა, იცოდა ცხადია, თავისით წავიდა გორის ინსტიტუტიდანა, თავისითა, უკეთესი პირობები რო შესთავაზეს, წავიდა, თბილისს გადავიდა, ბოლოსდაბოლოს ისიც ჰო ჩამომსვლელი ბრძანდებოდა, ისევე დასდევდა გორის მატარებელსა, იჭედებოდა მესამე ვაგონში ისევ ... გვარადა, ანთუ ადგილს შეუნახავდნენ, ანთუ ესეც შეუნახავდა თუ მიასწრებდა, ანთუ დაუთმობდა ადგილსა უფროს კოლეგებსა, ხანდაზმულ კოლეგებსა, ანთუ მშვენიერ მასწავლებლებს დაუთმობდა ადგილსა, გორის მუსიკალური სკოლისა და მუსიკალური სასწავლბლის მშვენიერ მასწავლებლებსა, — ისინიც რო დაჰყვებოდნენ მატარებელსა — ანთუ ექიმებსა, დამწყებ ექიმებსა, მშვენიებსა და მომხიბლავებსა იმათაცა, მაგრამ მგზავრობა მაინც მგზავრობა გახლდა, მაინც დამღლელი, დამქანცველი, გამომფიტველი გახლდა.

არ უნდოდა გამოფიტულიყო, ნაადრევად გამოფიტულიყო.

თვითონვე გადავიდა ერთისიტყვითა.

თვითონ უკეთესად იცოდა ერთისიტყვითა.

ესეცა და ისიცა, თითქოს რო ფაკულტეტის დეკანობა უნდოდა და თითქოს რო რექტორმა შეუშალა ხელიო, ვითომ რო თვითონ არ იცოდა თუ რა უნდოდა და რა არა, ვითომდა სხვებმა უკეთესად იცოდნენ.

V

ისე კაცმა რო თქვას, რექტორი მართლაც არ მოინდომებდა, რადგან რო არაფრის შეცვლა არ უნდოდა ინსტიტუტში, არაფრისაი, მით უფრო სხვის ნებისადა რაღა თქმა უნდა. ის შეჯახება აქ არაფერ შუაში გახლდა, არა რა თქმა უნდა, არა.

ანთუ უფრო მკაფიოდ რო ითქვას: წესდების მიხედვითა, საინსტიტუტო წესდებისა ცხადია, ხუთ წელიწადში ერთხელ რო აირჩეოდა ფაკულტეტის დეკანი, ჩვენთანაც ასე აირჩეოდა, აირჩეოდა და აირჩეოდა, ვინც იყო იგივეი, ვინც რექტორს ენება. წესი წესადა სრულდებოდა, ნება ნებადა. არავის ეს არც აწუხებდა, არც რო ასარჩევსა, არც რო ამრჩევთა. არავისა. მიაჩეჩებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურცლებსა. ჩაჰყრიდნენ ფურცლებსა, ეს იყო და ესა, მეტი არაფერი. იყო და იყო.

და ერთიცა ვნახოთ, კიდევ გამოცხადდა არჩევნები, მორიგი არჩევნები და მოულოდნელად წამოაყენეს მეორე კანდიდატიცა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის ადგილზედა. მოულოდნელადა. ალექსი ტივაძე წამოაყენეს.

„ეი!.. ჰე!..“ ამოუძახნია რექტორსა ეს რო შეუტყვია, მეტი არაფერი, აღარც აღარაფერი უთქვამს, აღარც არავის ალაპარაკებდა ამაზედა, თავისთანა ცხადია, ყურს მოიყრუებდა, ბანზე აუგდებდა სიტყვასა.

არა და სალაპარაკოდ იქცა, მოულოდნელობამ რო იცის, იმგვარ სალაპარაკოდა, იმგვარ მითქმამოთქმადა.

არ შეიძლებოდა რო შემთხვევითი ყოფილიყო ესა თუ ამგვარი წამოყენებანი, არ შეიძლებოდა. დადგენილი წესი ირღვოდა, დადგენილი, დამკვიდრებული ინსტიტუტშია. ირღვეოდა. მიზეზი ექნებოდა უსათუოდა, რადგან რო არაფერი არ ირღვეოდა თავისთავადა, არც რო არაფერი არ იქმნებოდა თავისთავადა. მიზეზი იქნებოდა. წინააღმდეგობა ყალიბდებოდა თუ ჩამოყალიბებულიყო, ასე თვალდათვალა, თვალსა და ხელს შუა. არ შეიძლებოდა რო არ მიმხვდარიყო რექტორი, მანამდის თუ არა, ახლა მაინცა, არ შეიძლებოდა. ის ამოძახილიც ალბათ ამას თუ მოასწავებდა.

ნებითა თუ უნებლიედა თვითონ რექტორი უწყობდა ხელსა.

თვითონვე რექტორი, —

ნებითა თუ უნებლიედა:

„ადგილობრივი კადრების საკითხი“ ანთუ „კადრების დამაგრების საკითხი“ ჰო ხშირად წამოიწევდა ხოლმე სამეცნიერო საბჭოს სხდომაზედა, სხვა სხდომებზედა, — წამოიწევდა და თვითონვე წამოსწევდა ხოლმე; საბოლოო სიტყვას ისე არ წარმოსთქვამდა, შესავალ სიტყვასაც არ წარმოსთქვამდა ისე, უამისოდა, მეთაურ საკითხადაც იგივე ეწერა იმ სახელგანთქმულ თავის „ბლოკნოტშიცა“. სარფიანი საკითხი გახლდა. სარფიანი. და ეგება საკითხი საკითხად უნდოდა, მხოლოდ საკითხადა, ვინ იცის, ვინ უწყის, მსჯელობას იწვევდა, თანაგრძნობას გამოჰხატავდა, წარმოითქმოდა მღელვარედაცა, წარმოითქმოდა, — ხმასაც აუწევდა ხოლმე, აჰყვებოდა ხმასაცა, კარგად გამოსდიოდა თავს უქნევდნენ. ეთანხმებოდნენ. და ეს იყო რაც იყო, თანხმობა იყო ყველაფერი რაღა თქმა უნდა.

საკითხი მერე რეალობად იქცა, თანდათანობით იქცა რეალობადა, შეუმჩნევლადაო, თუ ძლივს შეამჩნევდა, როგორც თუ რა იყო, რეალობად იქცა: ზოგი რო „დამაგრადა“ ჩამომსვლელთაგანა, ზოგიც რო ცოტა წამოიზარდა თუ წამოიფხორა იქაურთაგანა, იზარდა ბირთვი ადგილობრივთა, იზარდა რაოდენობა ე. წ. ადგილობრივებისა, ხარისხებიც რო მიიღეს, წოდებებიც რო მიიღეს და თანამდებობების მიღებაც რო ინებს ცხადია და რაღა თქმა უნდა. ინებეს და ელოდნენ მიწვევასა. ელოდნენ. და. ელოდნენ. და ელოდნენ. და სწორდ აქ გახლდა საბუდარი მომავალი უკმაყოფილებისა.

არ შეიძლებოდა რო არ მიმხვდარიყო რექტორი, უფრო ადრეცა, ვიდრე ბუზღუნი დაიწყებოდა, არ შეიძლებოდა და მიმხვდარიყო კიდევაცა, ვიდრე რო თუნდაც პირველი მოკრძალებული შენიშვნები გაისმოდა რომელიღაცა პატარა კრებაზედა, პატარასა და ვმნიშვნელოზედა.

მიმხვდარიყო.

ერთხელ ის იყო, კინაღამ რო დეკანობაც წამომკიდეს ზურგზედა. მაშინ ჯერ სრული სიმშვიდე სუფევდა. ძალიან ვიუცხოვე, ძალიან ვიუარე, აღარც გავამეორებინე. და რო გამოვდიოდი, მაინც რო ნაწყენი არ დარჩენილიყო, ვნახოთ მერემეთქი, ჩავიბურტყუნე.

„მერე!..“

წარმოსთქვა რექტორმა მრავალმნიშვნელოვნადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მერე!..“

გაიმეორა და ჩაიქნია ხელი.

„ისეთი ხალხი მოდის, ეგება გორშიც აღარ დაგვაყენონ მერე...“

ოდნავად ჩაიცინა, ანთუ მომეჩვენა, რო ჩაიცინა, ანთუ უნდა ჩაეცინა რაღა თქმა უნდა, რაც უნდა იყოს, მომხვდარიყო რაღა თქმა უნდა. მოდისო. მიმხვდარიყო. მოდისო და მოსულიყო. მოსულიყო.

ალექსი არ გახლდა იმათთაგანი. ალექსიმ გავლენა მოიპოვა ინსტიტუტში. ალექსის გამოყენება უნდოდათ. ალექსი იცინოდა. იცინოდა და ეგრედაც წამოვიდა სიცილ-სიცილითა. ვერ გამოიყენეს რაღა თქმა უნდა. ვერც გამოიყენებდნენ. და არც არაფერი უღონია რექტორსა. დარჩა ისევ იგივე დეკანი, იმავე წესითა, იმავე რიგითა. მაინც ამბობდნენ, აიძულაო, შური იძიაო, არავის არაფერს აპატიებსო, მაინც ამბობდნენ. ამბობდნენ, იტყოდნენ, რაღას არ იტყოდნენ, რახან რო ერთი მოჰხსნეს პირი, რახან რო ერთი აიმღვრა წყალი.

მონასტერს დავეხსენი, წყალის ამღვრევა ვითომ რო სხვა იყოს.

მონასტერი მაინც უფრო საფრთხილოა, წყალი წყალია, ყველაფერს აიტანს.

რახან რო ერთი აიმღვრა წყალიო.

ყველა ყველა და ლეონარდიც იმეორებდა, — ლეონარდი, ლონარდ ჯულბიშვილი, რახან რო ერთი მოჰხსნეს პირიო.

და ეს ვკვე ბოლო წლები გახლდა მისი რექტორობისა, კიდევ ერთი დიდი შეტევა რო გადაიტანა, ანთუ მრისხანე, გადამწყვეტი ბრძოლა რო მოიგო, და ცოტა რო მიწყნარდნენ, ანთუ ცოტა კიდევ რო დააცადეს მოწინააღმდეგებმა, თუ ასე ვერა ძალის ძალადა, წესდებით მაინც ჩვენსას გავიტანთო. წესდებაც ის ეჭირათ ხელში: ხელმძღვანელ სამუშაოზე აღარ შეიძლება და რჩეს ვინმეო — ხანდაზმულობასა გულისხმობდნენ, განსაკუთრებული შემთხვევის გარდაო, აუცილებელი შემთხვევის გარდაო. ამ შენიშვნისა [illegible] დათ, ამაზე არ გავრცელდებოდა, ანთუ არ მისცემდნენ საშუალებასა, ბარემ აიკლებდნენ ინსტიტუტსა, სულ აიკლებდნენ, — ვიღა გააჩერებდა?!. და ცოტაც დააცადეს.

ლეონარდიც მაშინ მოგვევლინა, იმ დადანებაზე.

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო.

აკლდაო და მოგვევლინა. თანაც რო რიხითა, ისეთი რიხითა, რო გვაყვედრიდა: დავბრუნდიო, დავბრუნდიო. ყველა მომძახოდა და აი აჰა, აქ გახლავართო. აბა მაშ რაო, კერას ჰო არ გავაცივებო. ძირს ჰო არ დავუშვებ მამაჩემის ანდერძსაო, — კერა არ გააცივოო, — ძირს არ დავუშვებო. არაო. ყაჩაღო, აქეზებდნენ. გარდაცვლილილიყო ნიკოლოზი. გარდაიცვალა. ჩამოვიდა და დაიტირა შვილმა, ლეონარდმა, დაიტირა გულმდუღარდედა. ეგრე ტირილი არას გარგებსო, მაშინ ანუგეშეს, შენ აქ კერა არ გააცივო, მაგითი აცოცხლებ მამაშენსაო, ურჩიეს, დაარიგეს, აღარსად წახვიდე, ფეხი აღარ მოიცვალოო. ურჩიეს და დარჩა, მართალი რო ითქვას, რო აღარსად რო წაესვლებოდა; რო იარა, იწოწიალა, აღმა თუ დაღმა, სწორადა თუ ბრუნდათა, რო ვერას ეწია, რო მიუბრუნდა ისევ კერიაასა, მოშლილსა, მორღვეულსა, მოფუტკვნილსა, მისაპატრონებელსა, მიუბრუნდა, რო აღარცა ჰქონდა თავი მიპატრონობისა, ანთუ აღარც გააჩნდა და არცა ჰქონდა თავი ახალგაზრდობაშიცა, როცა რო აითათა, როცა რო წავიდა ბედის საძიებლადა; ალბათ, ალბათა, რო დაბრუნდა ხელცარიელი, მარტოდმარტოდა, ხანშიშესული, ჯანგატეხილი ესაა რიხი რო არ გასტეხოდა. რიხით ის იყო ძველი ლეონარდი. როგორც რო ახსოვდათ და მეც რო მახსოვდა.

აი დავბრუნდი და ახლა მე ვიციო.

მე ვიციო.

უნდა აღვადგინო ძველი სალონი, გორის სალონი, აქ უნდა მოვუყარო თავი

ნაღებსა ქართული ინტელიგენციისაო.

ნაღებსაო. შრატს არ გაიკარებდა. როგორცა ბრძანებდა რაღა თქმა უნდა. ადრევეც იცოდა ასეთები. ადრევეცა. მომატებოდა.

იდეალურითა ცხოვრობდა თავისი დღენი, შეჰფანცქალებდა იდეალურსა; ცუდი არ იყო რაღა თქმა უნდა, ერჩივნა, უჯობდა, ოღონდ ესაა, რო სამსახურიც უნდა ეძია, აიძულებდა მოთხოვნილებანი ყოველდღიური. მანამდე მამა ეხმარებოდა, როგორც ამბობდნენ, ეგება ეწიოს რამესაო, დაე ეწიოსო. მამა ვეღარას დაეხმარებოდა რაღა თქმა უნდა. ეძებნა სამსახური. და მოადგა ინსტიტუტსა.

ინსტიტუტიდან წავიდა და უბრუნდებოდა ინსტიტუტსა, ალბათ რო ასე — ოცდახუთი წლის შემდგომა. წავიდა როგორც ხაზვის მასწავლებელი, დაბრუნებული მოითხოვდა გერმანული ენის საათებსა. მოითხოვდა.

გეკუთვნისო, მიდიო, რექტორთან მიდიო, ყველა ეუბნებოდა, ყველა აქეზებდა, ვინც იცნობდა თუ ვინც არ იცნობდა, თვითონ რო ყველას გაეცნობოდა, გაეცნობოდა და შეჰყვებოდა მსუყე, გულითად საუბარშია, მაშინვე, პირველ შეხვედრისთანავე.

ყველა აქეზებდა ერთისიტყვითა, უნდა მივიდეო, რო იმეორებდა, მიდიო ისინიც რო უმეორებდნენ.

მივიდა, ეახლა ბოლოსდაბოლოსა, რექტორსა ცხადია.

ცივი უარით გამოისტუმრა.

და აი მაშინ გაიხსენა, ანთუ გაახსენეს, ანთუ ჩააგონეს, — ეგრე იქნებოდა, აბა მაშ რაო, რას გაპატიებდა მამაშენის იმ მწარე ნათქვამსაო, — ჩააგონეს, — ჩააგონეს და იმეორებდა: მამაჩემის ვალს მიხდისო, მამაჩემმა რო უწინასწარმეტყველაო, იმეორებდა: და იმეორებდა: გაჩერდებოდა ინსტიტუტის წინა, შემოიკრებდა ამვლელსა, ჩამვლელსა, შემოიკრებდა და იმეორებდა, იმეორებდა, იმეორებდა და იმეორებდა.

ერთხელ ვკითხე, რო შეეტყვა თანაკაი პირი აღარ უჩანდა ამდენ ანიმეებსა: შენთვის თუ უთქვამს მამაშენსამეთქი.

მთელმა გორმა იცისო.

შენთვის თუ უთქვამსმეთქი, არ მოვეშვი.

მთელმა გორმა იცისო, მაინც ასე ამიგდო სიტყვაი.

არ გინდა, დაეხსენი, თუ გინდა მართლა ფეხი მოიკიდო ინსტიტუტშიმეთქი.

დამიჯერა. ოღონდ ისე, რო ჩემთან აღარ იმეორებდა. სხვები მაინც შეახსენებდნენ, ისიც ისევე მოიქარგებოდა. სხვები ერთობოდნენ, ანთუ უნდოდათ რო სახელი გაეტეხათ რექტორისათვისა, შეახსენებდნენ, წააქეზებდნენ და ტკბებოდნენ, ტკბებოდნენ, იკლავდნენ ჟინსა. ამასაც უნდოდა რო ესიამოვნებინა, უნდოდა ყველასთვის რო ესიამოვნებინა, ასეთი გახლდა, ასე უნდოდა, და სხვა რა შეეძლო, ისევ სიტყვით თუ ასიამოვნებდა, მხოლოდ რო სიტყვითა, არც რო ეზარებოდა ლაპარაკი, არც რო სიტყვები ეზოგებოდა. უწინასწარმეტყველა მამაჩემმაო, აი მე მიყელა და ჩემზე იძია შურიო. პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილისშვილს მოსჭრა კბილიო. ვიღაცა დასძენდა, თვითონაც რო რაიმე ჩაერთო იმა ქარბუქში სიტყვებისა და ასოციაციებისა, სადღაც და სადღაც რო გაიჭრებოდა, რო გეგონებოდა, გადაიკარგაო, უცებ იქვე რო დაერჭობოდა. მერე ეს შეჰქონდათ ანონიმურ წერილებშიაცა, — ტყემალი არა რაღა უნდა, არც რო ამისი ასოციაციები, — შური იძიაო, შეჰქონდათ, განცხადებებსაც დაურთავდნენ, დაურთავდნენ საჩივრებსაცა. არ დაჰკარგავდნენ ასეთ მოწმესა, მოწმესა და მოწამესა: რო დადიოდა და რო ითხოვდა საათებსა, დადიოდა და ჩაჩანაკდებოდა ყველას თვალწინა, — უჭირდა, უჭირდა რაღა თქმა უნდა.

ერთი თხისკენაო და ერთი მგლისკენაო.

წავიდა როგორც რო ხაზვის მასწავლებელი, დაბრუნდა და რო ითხოვდა გერმანული ენის საათებსა, ამასაც თავის ახსნა უნდა რაღა თქმა უნდა, რახან რო სიტყვამ მოიტანა.

ახსნა უნდა.

ინჟინერი გახლდა განათლებითა, მშენებელი ინჟინერი.

თავისი მაშინდელი ამხანაგები აღარც ახსოვდა, ანთუ იმათ აღარ ახსოვდათ ლეონარდი, აღარ ახსოვდათ, წინ მოჰქცეოდნენ ცხოვრებასა დრო იყო სწორედ რო მშენებელი ინჟინრებისა.

ამას ამ საქმისათვის არასოდეს მოეკიდა ხელი. ხაზვას ასწავლიდა, მამის ხათრით რო ძიეღოთ ინსტიტუტში, და გერმანულ ენასაც ასწავლიდა სკოლაში, უცხო ენების კურსები რო დაემთავრებინა. კურსები კურსები გახლდა, ენებს ასწავლიდა, თუ ასწავლიდა ანთუ ვისაც თუ როგორ შეეძლო, კვალიფიკაციას არ აძლევდა ოფიციალურსა, ასწავლიდა და ესიყო. თუ ასწავლიდა მეთქი,— ამას ისე შევნიშნავ, გაკვეთილები მაინც მიეცათ ლეონარდოსთვისა, რო არა ჰყოფნიდათ უცხო ენების მასწავლებლები მაშინა, ორმოციან წლებში თუ უფრო ადრეცა; ეს რომ მაშინა, — ახლა მომრავლებულიყვნენ დიპლომოსანი მასწავლებლები, უნივერსიტეტი რო დაემთავრებინათ, უცხო ენების ინსტიტუტი რო დაემთავრებინათ, უცხო ენების ფაკულტეტები რო დაემთავრებინათ კიდევ სხვადასხვა ინსტიტუტებშია, მომრავლებულიყვნენ, მომრავლებულიყვნენ, დაუფლებოდნენ სკოლებსაცა თუ აღარცა ჰყოფნიდათ, და ინსტიტუტსაც უტალახებდნენ კარსა, დიპლომოსანნი, შეიარაღებულნი მინიმუმის ფურცლებითაცა. ჯერ იმათთანაც უჭირდა ინსტიტუტსა ახსნა-განმარტებანი. ლეონარდს რა შეეძლო, — ვერ დაუპირისპირღებოდა ვერავისა, — ლაპარაკი შეეძლო, იცოცხლე, ტრაბახი შეეძლო, მაგრამ ცხადია რო ეს არა კმაროდა. რექტორი იცნობდა, ახლოს იცნობდა, იცოდა ყველაფერი იმისი, საბუთებიც არ მოუთხოვია, განცხადების დაწერაც არ უთქვამს, სხვებსა ეტყოდა, — დატოვე განცხადება, ვნახოთ რა იქნებაო, — ისე გულის დასაამებლადა თუ დასაშოშმინებლადა; ლეონარდისა დაშოშმინებაც არ უცდია: შენ ჰო ინჟინერი ხარო, ინჟინერი ხარო, შეახსენა, მიდი და მიჰხედე შენს ხელობასაო. ასე გამოისტუმრა, ასე ასე ცივადა, უიმედოდ ასე.

„მე ვარ ინჟინერი?!“.

გაოცებულიყო ლეონარდი, მართლაც გაოცებულიყო, რო აღარც ახსოვდა ინჟინრობაი თავისი, რო აღარც თვითონა, აღარც რო სხვას აღარავის ახსოვდა.

თავისი დღენი ფილოლოგობდა. ლეონარდი, ხაზვას რო ასწავლიდა ინსტიტუტში მაშინაცა ფილოლოგობდა. შემემფეთებოდა ვეებერთელა სახაზავებითა, ფარგლებითა, კუთხედებითა, ანთუ მიექანებოდა აუდიტორიისკენა, ანთუ გამოდიოდა აუდიტორიიდანა ცარცში ამოვლებული, მებოდიშებოდა თითქოსაო, აი ცოტაცა და მივხედავ ჩემს საქმესა, აქაც კაცი ვერ უშოვიათო. მებოდიშებოდა თითქოსაო, მებოდიშებოდა და მეც გამიკვირდა ცოტა არ იყოს, პირველად ისე რო დავინახე, რადგან რო სწორედ ასე გამეცნო თუ გავიცანი, როგორც რო ფილოლოგი, ასე გამეცნო და ასედაცა ტრაბახობდა: ერთი ეს დამრჩა, პარიზს უნდა გადავარბინო, პატარა დეტალი უნდა დავაზუსტო, მე ისე ჰო არაფერს დავწერ, თვალი თუ არ დავადგი, ხელი თუ არ შევახეო, რა სათქმელიაო; აი გადავარბენ და ჩავაბარებ დისერტაციასო; ფრანგულ-ქართული ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა შესახებაო; ჯვაროსნებიდან მოვყვებიო; მხოლოდ ესაა, გადავარბენ ამ დღეებშიო.

გადავარბენო. მივარბენო.

ახლა რო ვითომც არაფერიო. მაშინ ორმოცდაექვსი თუ ორმოცდაშვიდი წელი გახლდა, პარიზს გადარბენი არც ისე ადვილი გახლდა, მაგრამ უნდა დამეჯერებინა, ისე, ლაპარაკობდა ეს ჩემთვის უცნობი თუ ის ისაა გაცნობილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიხიანი კაცი ისეთი რიხითა, ისეთი რწმენითა უნდა დამეჯერებინა სხვა გზა არ იყო.

სუფრაზე გავიცანი ინსტიტუტამდისა.

თამადად გავიცანი, თამადის რიხიც რო ემატებოდა.

შავი კოსტუმი ემოსა, ჰალსტუხი ეკეთა წითელი, ღაჟღაჟაი. წარმოსთქვამდა ვრცელ სადღეგრძელოებსა და მრავალი პარალელითა თუ შედარებითა თუ მეტაფორით აღავსებდა ანტიკური თუ აღმოსავლური მითოსიდანა; აფრიკული მითოსი მაშინ ჯერ ისე არ შემოსულიყო ჩვენშია. სიმღერასაც აუბამდა მხარსა, ცეკვასაცა. მართავდა სუფრასა ერთისიტყვითა. ჯანიც ერჩოდა და სიტყვაც მოსდევდა. აი და პარიზსაც გადავარბენ ამ დღეებშიო. მოდი და აუხირდი, მოდი და ნუ დაიჯერებ!..

და ცოტა არ იყოს მართლაც გამიკვირდამეთქი, ასე რო შემეფეთა სახაზავებითა თუ ფარგლებითა. ცარცში ამოვლებული რო შემეფეთა, მე გამიკვირდა და იმანაც ბოდიშობა დამიწყომეთქი: მთხოვეს და შევრჩი ცოტახანსაო, ჰო იცი რა კაცია ჩვენი რექტორი, უარს ვერ ეტყვი ვერაფერზედაო; დამიწყო და მებოდიშებოდა დღეში ათჯერაცა, დღეში ათჯერ თუ შევეფეთებოდი: მორჩა უკვე, პირობა პირობაა, რაც უნდათ ისა ჰქნან, მე მალე წავალო; როდის აქეთია დისერტაცია მზადა მაქვსო, როდისაქეთიაო, ოღონდ ესაა, ერთი შოტლანდიასაც უნდა შემოვუქროლოო, ჰო იცი, მე ისე არაფერს დავწერო, ჩემი თვალით თუ არა ვნახეო; წიგნი წიგნია, ოღონდ თვალი წიგნის წიგნიაო.

და მართლაც წავიდა.

მალე წავიდა. შოტლანდიაში არა რაღა თქმა უნდა, ინსტიტუტიდან წავიდა. გორიდანაც წავიდა.

და ბურტყუნებდა ხოლმე ნიკოლოზი, —გამენდობოდა ხოლმე, ერთი წუთით თუ დროს იშოვიდა, — სად არის, რა უნდა, რას დაეძებსო, თუ უნდა რამე რო გააკეთოს, განა აქ ცოტა საქმეა ისო.

რაღაც რაღაცა ჰო დაბეჭდამეთქი, ვანუგეშებდი ნიკოლოზსა.

რაღაც ორი ცინგლიანი წერილიო, აქაურ გაზეთშიც დაბეჭდავდა იმასაო, შენთან ჰო უფრო მეტის გაკეთებაც მოუხერხდებოდაო.

მაშინ უკვე „მერანი“ გამოდიოდა. გეგონებოდა, მათემატიკის მეტი არაფერი ახსოვს ნიკოლოზსაო თურმე ესეც არ გამოჰპარებოდა.

ის წერილები, ლეონარდისაი რაღა თქმა უნდა, მართლაც კულტურულ ურთიერთობებს შეეხებოდა, მართლაცა, მართლაცა, ოღონდ არა რო იმა მასშტაბების შესაფერისადა, არა იმა ბაქიბუქის შესაფერისადა. არა. ცხადია. ვერც რო პარიზს გადაარბინა, ვერც რო გიბრალტარს შემოუქროლა, თუმცა რო გახდა შესაძლებელი მერე და მერე, ბევრმა მართლაც რო გადაარბინა, ბევრმა მართლაც რო შემოუქროლა, ეს ისევ ისე შესცქეროდა თავის ოცნებასა, ისევ ისე და აღარც რო ისე, — როგორღაც ცოტა სინანულითა: ერთი ამ რომს ვეღარ ჩავედიო, დისერტაციაც ასე გამიჭიანურდაო, ეს სიკვდილიც ასე გამოტყვრა უდროუდროსაო, — მამის სიკვდილსა გულისხმობდა. ალბათ ეგონა, რო სულ იცოცხლებდა მამამისი, ის სულ მამა იქნებოდა, ეს სულ შვილი იქნებოდა, ეს მარადიული შვილობა თუ უფრო მოსწონდა ლეონარდსა. მაგრამ რას იზამ, —გამოტყვრაო. გამოტყვრა, სიკვდილი გამოტყვრაო.

რომი მაინც კარგად მოგიფიქრებიამეთქი, ერთხელ ვუთხარი, პაპსაც ეახლები და პატრადაც გაკურთხებს, მოჰხედავ ამ თქვენს ეკლესიასმეთქი. მაინც ეს ერთი ეკლესიაღა გადარჩა გორში, ისიც კათოლიკურიმეთქი; მართლმადიდებელმა გორელებმა დანარჩენი ოცდაცამეტი ეკლესია, თავიანთი, მართლმადიდებლულური ჰო მიწასთან გაასწორესმეთქი; მეტი პატივისცემა ჰო არც გაგონილამეთქი.

ირიბად შემომხედა. არაფერი უთქვამს.

ხუმრობა არ უყვარდა ლეონარდსა, ირონია არ უყვარდა, არც რო თვითონა სჩვეოდა, არც აჰყვებოდა არავისა, უფრო ამაღლებული საუბარი იზიდავდა, რომანტიზირებული სიტყვაპასუხი იზიდავდა, ისიც თვითონ თუ ლაპარაკობდა, — მოსმენაც არ უყვარდა, მოიწყენდა თუ ვინმე წაუსწრებდა, თუ ვინმე წაართმევდა სიტყვასა.

არც არავის არაფერს ეკითხებოდა. ყოველთვის თვითონა ჰქონდა სათქმელი. ესაა რო თითქოს უჩემობა აღარ შეეძლო ბოლო დროსა. მაინც არაფერს მეკითხებოდა. მოვიდოდა და მომაჩერდებოდა. ვიცოდი, რაც უნდოდა, იცოდა, რო ვიცოდი; იცოდა, რო ღონეს არ დავიშურებდი, ოღონდ თუ რას ვეწიე, ჯერ იმისი გაგება უნდოდა. ეს უკვე ნიშნავდა, რო გაუჭირდა, გაუჭირდა ყოველისმხრითა.

გაუჭირდა. და იმასაც მიჰხვდა, შტატზე ლაპარაკი რო ზედმეტი იყო ჯერჯერობით მაინცა. მიჰხვდა. შეეძლო იმედი ჰქონოდა, შეეძლო ეოცნება ოცნება ოცნებადა. შეეძლო ოღონდ ცოტა რეალისტიც გაჰხდა და ოღონდ ერთი ფეხი მოვიკიდოო, ოღონდა, ყველაფერზე თანახმა იყო.

ვცადეთ ბიბლიოთეკაში ჩაგვეჭედა როგორმე. ყველაფერს ბედი უნდაო. იქაც იმ ხანებში შტატების შემცირება მოითხოვეს, ანთუ მეტი გაქვთ შტატი, წიგნთა ფონდი საკმარისი არ არისო. ეს მაინც გადარჩა, ეს შტატები. სწორედ იმ ხანებში დიდძალი წიგნი მიიღო ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ მოსკოვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდანა. მოლაპარაკება სწარმოებდა მანამდისა, როგორც იტყვიან. მოესწრო დროზედა. ლეონარდს მაინც ვერაფერი ეშველა, არაფერი არ მოემატა, გადარჩა, რაც იყო.

ბედი უნდა ყველაფერსაო.

სხვა რაღა მეღონა, — გამოვყავი საათები ე. წ. საათობრივი ანაზღაურების წესითა, გამოვყავი და ლეონარდი შევიტანე განაწილებაში. არ დამიმტკიცეს, ანთუ გვარი გადაგვაბეს და ისე დამიმტკიცეს. გვარი აღარ მიმითითებია მერე, „ვაკანტურში“ გავიტანე. მომდევნო წელსა. ეს ისე ადვილად არც მოგვარდებოდა. განაწილება დაამტკიცეს, ვაკანტური ვაკანტურად მიიღეს, მერედა ჩავწერე ლეონარდი. მაგრამ ეს ჯერ არაფერსა ნიშნავდა. ამას მერე წესი მოსდევდა თავისი წესი: ცალკე წარდგინებით უნდა შესულიყო კათედრა-რექტორატის წინაშე, — მოიწვიეთ ესესენი და ესენი საათობრივი ანაზღაურების წესითაო, სასწავლო წლის დასაწყისშივე, ჩვეულებრივ გვაგვიანდებოდა ხოლმე. რამდენჯერმე უნდა შეეხსენებინათ. მაინც მოგვიანებით უნაზღაურებდნენ გასამრჯელოსა, მოესწრებოდა. იმჯერად უფრო დავაგვიანე.

განგებ დავაგვიანე.

რაღაც პატარა იმედი მქონდა.

რექტორი შვებულებას ნოემბერში აიღებდა ხოლმე. მოიკმიერებდა ყველაფერსა და ისე მიდიოდა. აღარაფერს არ უტოებდა პრორექტორსა გასარკვევსა თუ გადასაწყვეტსა. გარკვეული იყო, გადაწყვეტილი იყო ყველაფერი. ესეც გადაწყვეტილი გახლდა თუ ვინ უნდა მოგვეწვია ამ ე. წ. საათობრივი ანაზღაურების წესითა. ვიწვევდით ერთიდაიგივეთა. მცირე ცვლილებებში აღარ ერეოდა. ამისი იმედი მქონდა. ამისი დამტკიცება შეეძლო პრორექტორსა. იყო შემთხვევები. არაფერი უთქვამს რექტორსა. ამისი იმედი მქონდა, პატარა, პატარა, ერთი ციცქნა ციცქნა იმედი.

არ გამიმართლდა, ჯერ დიდი იმედი რა არის, ერთი ციცქნა რა უნდა იყოსო.

პრორექტორმა არ მოაწერა ხელი კათედრის წარდგინებასა. ლეონარდი ამოიღეო. ეგ მერეო, ცალკე შევუთანხმოთო. მე თვითონ შევუთანხმებო. ეს აღარ მეგონა, ისე უჭერდა მხარსა, ისე მხურვალედა, ისე ჰპირდებოდა, ყველაფერს ვიღონებო, თანაც ისეთი იმედი ჰქონდა ლეონარდსა იმ პროტექტორისა, — ისეთი იმედი, ისე შეეტკბო, ისე შეეთვისა, ნანობდა, აქამდის რატომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცნობდიო, ესა ყოფილა, რაცა ყოფილა, ჩემი პირველი გულშემატკივარი ესა ყოფილაო. ისეთი იმედი ჰქონდა. მაინც არ ამოვიღე ლეონარდი, ბარემ ერთად წარუდგინეთეთმეთქი. არაო, ცალკეო. არა, ერთადამეთქი. აღარც დაველოდე, აღარც გავკარებივარ, ვიდრე რო რექტორი არ დაბრუნდა შვებულებიდანა.

დაბრუნდა და თვითონვე განმიცხადა პრორექტორმა, მე სიტყვას ვეღარ შეეუბრუნებო, ცეცხლი დაანთოო.

ცეცხლი მართლაც დაენთო, ოღონდ თვითონ როდი გადაეცა, სხვა ქაღალდებთან ერთად შეეტანათ კანცელარიის თანამშრომლებსა.

კარგია, ცეცხლი დაანთოო, კარგია, ოღონდ მეტაფორაა, და მართლაც რო დაენთო ცეცხლი, ის კიდევ უკეთესი იქნებოდა, უკეთესი, ისე ციოდა ინსტიტუტში. რადა ცივაო, ამაზე ცალკე დაენთო ცეცხლი.

პრორექტორი ხელებს ითბობდა ელქურაზედა და მირჩევდა, ამოიღეო, შეცვალეო. შევიდეთმეთქი. რექტორთანა ცხადია.

არაო, შენ შედიო. მე არცა მცალიანო, გადაუდებელი საქმე მაქვსო.

აღარც დამიყოვნებია.

ჩვეულებრივ ასე თავაღებული არც შევდიოდი რექტორთანა. არც თვითონ გვიძახდა წამდაუწუმა. ის იმსიგრძე საბჭოს სხდომები ყველაფრადა კმაროდა. მაგრამ სხდომებზე ასეთი რამ არ გადაწყდებოდა. თანაც სხდომაზე უფრო გაუტეხელი ბრძანდებოდა რექტორი. უფრო გაუტეხელი, ვიწრო თეთბირებზე დაცა გაუტეხელი. გაუტეხელი.

აღარც დამიყოვნებია ერთისიტყვითა.

პრორექტორიც შემომყვა ცოტა ხნის შემდგომა, რო ივარაუდა, უკვე დრო არისო, კაი სეირს შევესწრებიო.

VI

არ გაუმართლდა.

თუმცა რო მოსალოდნელი იყო ყველაფერი, კაი სეირიცა და კაი რისხვაცა, როგორც მოფრთხილებდნენ და როგორც რო შემხვდა რექტორიცა. არც შერხეულა. არც შეირხეოდა ხოლმე. სალამზე პასუხსაც ვერ მოისმენდი გარკვევითა, ისე რაღაცას ჩაიბურტყუნებდა, უნდა ჩაგეთვალა მხურვალე შეგებებადა. მაშინ ტუჩიც არ გაურხევია, თვალიც არაო, არც რო თვალი არ დაუხამხამებია, თითქოს ბრინჯაოს ბიუსტიაო. ისედაც გადაჰკრავდა ფერი ბრინჯაოსი, მაშინ მთლად ბრინჯაოდ წარმომესახა, თითქოს ისაა, რო ჩამოუსხამთ, თითქოს ისაა, რო მოუტანიათ ქარხნიდანამეთქი, ჯერ აქ შემოუდგამთ, მერე ადგილს ეიუჩენენმეთქი. მაინც ქაღალდი დავუდე წინა, თუმცა ბიუსტს არავინ მიმართავს. დავუდე ქაღალდი.

არც დაუხედია.

დაველოდე.

არც ჩემთვის შემოუხედია.

მივჩვეულიყავით, დაჯდომას არავისა სთხოვდა, უფრო ახლობლები, სამსახურებრივადა, თვითონვე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე, ხშირად რო შედიოდნენ, დიდხანს რო რჩებოდნენ, ჩამოსხდებოდნენ. აბა მაშ რაო, ჰო არ ჩამოშეშდებოდნენ ფეხზედა. ჩვენ ასე გვერჩივნა, ვისაც პასუხი მალე უნდა მიგვეღო. ზოგჯერა წყრებოდა:

„მაპატიჟებანეთ თავი!.. გნებავთ დაბრძანდით, გნებავთ იდექით. იდექით.“

ეს ზოგჯერაო, მაშინ არაო რაღა თქმა უნდა, — თვალი რა არის თვალიც რო არ დაუხამხამებია.

მნებავდა ვმდგარიყავი, უნდა ვმდგარიყავი, თუნდაც რო მართლაც ჩამოვშვებულიყავი ფეხზედა, გადადება აღარ იქნებოდა. ვეღარ შევხედავდი ლეონარდსა, სხვა იყო და სხვად იქცეოდა ასე თვალდათვალა. ვეღარ შევხედავდი.

სწორედ რო მაშინ შემოვიდა პრორექტორიცა. არ ეჭაშნიკა, დუმილი რო დაჰხვდა. ახლოს ჩამოუჯდა. კოპები

მოიყარა. მზად გახლდა, აჰყოლოდა როგორც რო მოიმართებოდა ისე აჰყოლოდა რაღა თქმა უნდა. ელოდა ცხადია მრისხანებასა, უკვირდა რუ რად აგვიანებსო.

„იცნობ?!.“

იკითხა უცებ ბრინჯაოს ბიუსტმა, ტუჩებიც რო არ შეურხევია, ანთუ მე რო არც შემიმჩნევია, ანთუ ვინ უწყის რო სულაც მომეყურა.

მაინც მივუგე, —

ვიცნობმეთქი;

მომეყურა თუ მომეჩვენა, მაინც მივუგდე დაბეჯითებითა.

„კარგად იცნობ?!.“

ისევ მომესმა, ანთუ უფრო უკმაყოფილოდა, ბიუსტი რო მაინც არ შერხეულა.

კარგადმეთქი,—

მყისვე დავატანე. ნუმც შეირხევა, ამას აღარად მივიჩნევმეთქი.

„ჰოო... ენა უჭრის. ერთი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლიან. ერთისა. ერთისა. უცებ შეიძლება თავბრუ დაახვიოს კაცსა. მერე?! მერე?!.“

ეს იმსიგრძე ნათქვამი გახლდა, ალბათ რო უნდა შერხეულიყო, შეირხა თუ შექანდა კიდევაცა, აი მოწყდება და გრგვინვად წამოვაო. მომეჩვენა, რო ხელი აიფარა პრორექტორმა.

მერეც შეიძლება თავბრუ დაახვიოს, ვისაც რო თავბრუ ეხვევამეთქი.

„აი და მეცა მანდა ვარ!..“

აღარ დააყოვნა რექტორმა. აღარც დააყოვნა და მოადევნა კიდევაცა:

„თუ იცნობ, თავბრუ არ უნდა დაგეხვეს. და კარგადაც თუ იცნობ, შუამდგომლობა აღარ უნდა იკისრო. ასე არ არის?! ასეა!..“

დაიდასტურა რო თვითონვე, პრორექტორმაც დაუდასტურა: სწორედ რო ასეაო.

მეც დავუდასტურე, ეგრეამეთქი; ეგ ეგრეა და სპორტსმენებთან რო ცოტა გვიჭირს, იქ ეს მისწრება იქნებამეთქი.

„ჰა?!.“

იკითხა რექტორმა, რო დაეჭიმამა თვალიცა, ბაგეც რო შეაბზინა, ისე იკითხა.

ეს რო რექტორიო, პრორექტორი დაფრთხა, წამოხტა, ვერც გაიქცა, დაჯდა და ვეღარ ეტეოდა სკამზედა.

ეს არ უნდა სცოდნოდა რექტორსა. არ უნდა სცოდნოდა. ანთუ არავის არ უნდა დაეძრა კრინტი ამაზე, — იმასთან არ უნდა დაეძრა კრინტი. რო იცოდა, ყველამ იცოდა, მაინც არ უნდა დაეძრათ კრინტი. ტაბუ ედო, ედო ზოგ რამესა, ამასაც ედო.

მეც ცოტას გამოვტყდი: ცოტა გვიჭირსმეთქი. ცოტა მაინც ცოტაა. ხოლო ამბავი მაინც ისაა, რო ვერ ესწრებოდნენ ლექციებსა სპორტსმენები, სულ რო შეკრებებზე იყვნენ თუ შეჯიბრებებზე იყვნენ, ინსტიტუტის სახელით რო ისინი გამოდიოდნენ, ქალაქის სახელით რო ისინი გამოდიოდნენ, რესპუბლიკის სახელით რო ისინი გამოდიოდნენ, საბჭოთა კავშირის სახელითაცა, მერედამერე, მოჭიდავეები, ჩვენი მოჭიდავები, საერთაშორისო ასპარეზზედაც რო გავიდნენ. მერედამერემეთქი და სწორედაც იმ დროსა, რო დაგვიბრუნდა ლეონარდიცა. ცალცალკე უნდა გვემეცადინა, ინდივიდუალურ გრაფიკს უდგენდნენ. ზოგი იმასაც ვეღარ ესწრებოდა, ან აღარც შეეძლო, ვეღარ დაეყარა გული წიგნზედა, კონსპექტებზე ვეღარ დაეყარა გული. ზოგი გაყოყოჩდა კიდვაცა, თუმცა რო უნერგავდნენ თავმდაბლობასა, უბრალოებასა, უნერგავდნენ და უნერგავდნენ, მაგრამ რას იზამ, ზოგზე თუ სჭრიდა, ზოგზე ვერაო, ანთუ გასჭრიდა, ვინ უწყის როდისაო; ანთუ ისიც იყო: აღარაფერი აღარ ახსოვდათ, გარდა სპორტისა, აღარ ახსოვდათ აღარც რო ჩათვლები, კალთები უნდა შეგეხია, მოდით როგორმე რო ჩაგითვალოთო.

გული მოსდიოდათ ლექტორებსა. ბრაზობდნენ. ინდივიდუალური გრაფიკი ისედაც აბრაზებდათ. ისედაცა. ტყუილად სიარული უფრო აბრაზებდათ. რო უნდა ჩაეთვალათ უსათუოდა, ეს კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო აბრაზებდათ. და ახელებდათ. ვერ მიმართავდნენ უკიდურეს ზომებსა. ვერა. შტატი გაითვლებოდა სტუდენტთა რაოდენობაზედა, ეს რო საერთოდა, სპორტსმენი სტუდენტი კიდევ სხვა იყო, — სხვა იყო!.. აუხსნიდნენ, გააგებინებდნენ, გაიგებდნენ, მაინც გაჯიქდებოდა ზოგი ლექტორი, გაიგებდა და მაინც გაჯიქდებოდა, ლამის რო ქანცი გასწყვეტოდათ დეკანებსა, კათედრის გამგეებსა, პრორექტორსა. აქ ერთად იყვნენ, თანხმდებოდნენ ამ ერთ რამეში, ლამის რო ქანცი გასწყვეტოდათ.

რექტორი გვრგვინავდა, — არა, იმას არაფერი არ უნდა სცოდნოდა და ვითომც არც იცოდა, გრგვინავდა ისე:

„ესენი ჩვენს სახელს იცავენ, თქვენ არც გინდათ რო ცოტა მეტი წაიმუშაოთ?!. კარგია მე და ჩემმა ღმერთმა!.. არ ვიცი!.. ღამეები გაათენეთ და ასწავლეთ, თავში ქვა იეცით და ასწავლეთ, ასწავლეთ და ისე ჩაიბარეთ. საუკეთესო სპოტსმენი, აკადემიურადაც წარჩინებული უნდა იყოს. უნდა იყოს თუ არა? უნდა იყოს!.. ჩვენთან რა გამოდის?!. არ გინდათ რო თავი შეიწუხოთ, არ გინდათ. კეთილი ინებეთ და შეიწუხეთ თავი. ჩაუჯექით და ასწავლეთ. ასწავლეთ. შეღავათი არ შეიძლება. არც იკადრებენ ჩვენი სპორტსმენები. ლიბერალიზმი არავის ეპატიება“.

ლიბერალიზმიო, — სალანძღავ სიტყვა გადაქცეულიყო, საშიშრადაც გადაქცეულიყო, დროდადრო ხმა რო ჩამოივლიდა, შტატების შემცირებას მოითხოვენო.

და აღარ იცოდნენ თუ რა ეღონათ ლექტორებსა. მოვიდნენ და ვასწავლითო. ზოგმა არ იცოდა რა ექნა მართლაცა, ზოგმა იცოდა და გაჯიქებულიყო. და იდგა ერთი გაწამაწიაი. როგორც იქნებოდა ჩაშოშმინდებოდა, დიდი დავიდარაბითა, ჩაშოშმინდებოდა, ყველა ვადა რო ამოიწურებოდა, სამინისტრო რო ცალკე გვანგრევდა კარსა და ბანსა, ჩქარა, ჩქარა ჩქარა მოგვაწოდეთ წარმატების შედეგებიო, განსაკუთრებით სპორტსმენებისაო, აბა მაშ რაო, — სანიმუშონი უნდა ყოფილიყვნენ სპორტსმენები რაღა თქმა უნდა.

ჩაშოშმინდებოდა ერთისიტყვითა, მერე ისევ რო განმეორებულიყო, მერე ისევა და მერე ისევ. და ბრუნავდა ასე დაუმთავრებლადა, მომაბეზრებლადა ბრუნავდა ასე. გაბეზრებულიყო რექტორიცა ცხადია, თუმცა რო ვითომც არაფერი იცოდა, გაბეზრებულიყო და წაეტანებოდა სულ მცირე რამ შეღავათსაცა.

„ჰა?!.“

ამიტომაც იკითხა რექტორმა, თვალიც ამიტომ დაახამხამა.

„ოღონდ შენზე იყოს, იცოდე...“

თქვა ისე, რო ვითომც არცა თქვაო, თქვა და მოაწერა ხელი.

ქაღალდი პრორექტორმა დაითრია. გახარებულმა დაითრია, მსვლელობას მე მივცემო. ცხადია და რაღა თქმა უნდა. ოღონდ ესაა, რო მერე ქაქანით რო ამოვარდა ლეონარდი კათედრაზედა, გულამოვარდინილი და მუხლდამძიმებული, — უკვე უჩიოდა ფეხების ტკივილსა, — გულამოვარდნილი და გაბრწყინებული რო ამოვარდა, ძლივსღა იბრუნებდა ენასა: პირდაპირ შენთან გამოვიქეცი, ვიცი, რო შენ ყველაზედ მეტად გაგეხარდებაო, საათები მომცესო.

სკამი მიაშველეს. ხელიც მიაშველეს. ძლივას ჩამოჯდა.

და ატყდა მერე ლეონარდიცა:

არ დადიანო, ჩემი კვალი მინდა დავამჩნიოო; უნდა გადავცე, მე რაც ვიციო, უნდა გადავცეო, თან ჰო არ წავიღებ სამარეშიო.

ვამშვიდებდი, რაც რო შემეძლო.

რა დროს ეგ არისმეთქი, შენ კიდევ დაამჩნევ შენს კვალსა, მერანისა არ იყოსმეთქი; შენს საქმეს მიჰხედე, აქ ჰო ცოტა გული დაიმშვიდემეთქი.

ეს თავისი საქმე თუ დაიყოლიებდა:

მართალი ხარო. აგერა ესპანეთისკენაც ჰო გაიხსნა გზაო, ბარემ ჩავარბენ იმ ჩემს ბასკებთანაცაო და დისერტა-

ციასაც წერტილს დავუსვამო. არაო. როდისაქეთია დავამთავრეო, ოღონდ ეს ერთი დეტალიღა დამრჩაო. ბარემ დავუსვამ წერტილსაო.

ტრაბახობდა რო თავისი არქივითაცა, საოჯახო არქივითა, ოციანი წლების გორის ცოდნითაც რო ტრაბახობდა, არც ვეშვებოდი, მოგონებანი დაწერემეთქი: აგერა „ლიახვი“, რამდენსაც მეტყვი, იმდენ ფურცელს შეგინახავ-მეთქი.

უხაროდა. მპირდებოდა. მპირდებოდადადა მპირდებოდა. რაც უნდა იყოს, ურიგდებოდა და იმ თავის ძიუდოისტებსა თუ სიმბისტებსა თანდაათანობითა, ურიგდებოდა; გადაეყრებოდა დერეფანში მაინცა, აუდიტორიაში თუ ვერაო, რო დაბრუნდებოდნენ საიდან თუ საიდან აღარაო, ნაირნაირი ქურთუკები რო წამოეცვათ, ნაირნაირი ჩანთებიც რო გადაეგდოთ მხარზედა, გადაეყრებოდა და ეკითხებოდა, ეკითხებოდა და აღარ დააცდიდა, თვითონვე უყვებოა იქაურ ამბებსა, ისინი საიდანაც რო დაბრუნებულიყვნენ, უყვებოდა რაღაც შორეულსა, სადღაც თუ ოდესღაც ამოკითხულსა თუ განაგონსა, უყვებოდა და უყვებოდა, თვითონ უყვებოდა და თვითონვე ხარობდა, თუნდაც რო იმათ თავი გაექნიათ, ეგრეთი არაფერი არ გვინახავსო. გაექნიათ თავი, ის მაინც განაგრძნობდა თავისასა. მისმენენო, მოსწონდა. მოსწონდა და ურიგდებოდა.

ხანდახან ვინმე შეახსენებდა, ის როგორაო, მამაშენმაო, რექტორსაო, შეახსენებდა თუ გადაუგდებდა ანკესსა და წამოეგებოდა ისიცა მაშინვე, თვალსაც რო არ დაახამხამებდა, აჰყვებოდა მაშინვე, აჰყვებოდა და ჰყვებოდა სულ სხვაგვარადა და სხვადასხვანაირადა, იმწუთს თუ როგორც რო გაუჭრიდა აზრი თუ ფიქრი, — ბევრნაირადაც გაუჭრიდა, ბევრნაირადაცა ჰყვებოდა. ენა უჭრიდა, კალამი ჰო ვერა, იმდენად ვერა. კალამი უნდოდა მჭრელი, ისე ვერ მოსდევდა. უნდოდა. ვერ მოსდევდა. აი აქ ცოტა გაწვალებულიყო. რა ვუყოთ მერეო, ჯავრს მაინც იქარვებდა ლაპარაკითა, იქარვებდა და იქარვებდა.

იქარვებდა, ოღონდ მე როგორღაც ველარ ვიცდიდი ინსტიტუტში და ნაღვლობდა, გული ვერ ვიჯერე შენთან საუბრითაო; ერთი როგორმე დავლაგდები და ჩემთან მოგიწვევო; ბარემ ერთ ოთახს შენთვის მოვაწყობ, იქვე დაბინავდი, იქვე იმუშავეო; ერთი დავლაგდე, ერთი დავლაგდეო. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დალაგდა.

ერთხელ თედო ჟორდანიასაცა ვთხოვე, ეგება ერთად დამიწეროთ რამე მიწისძვრამდელ გორზედამეთქი. ერთადამეთქი. ხან რო წავასწრებდი, ტკბილად რო ჭუკჭუკებდნენ.

თედოს იმდენი არც ეცალა, მაინც იშოვნიდა დროსა, წუთებს იშოვნიდა, შეიცდიდა, გაიგონებდა, მოიგონებდა.

მოიგონებდა და მერე თუნდაც დაავიანდესო, არაგვიანისა არ იყოს, იგი ამაზე აღარა ნაღვლობდა.

მოიგონებდა და ჰქონდა მოსაგონარიცა, — სამეფო კარი პეტროგრადისა თუ მოსკოვისა, „ოლგა ილინიშნა“, „ბარონ დებაი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ხიდი ევროპასთან“, მოიგონებდა და გამოსთქვამდა ისეთ ხმაზედა, ისეთ კილოზედა, გეგონებოდა, რო მართლაც იქაა, სამეფო კარზეაო.

ჰო სამეფო კარზედაო, —

რომანოვებისა არ იგულისხმება რაღა თქმა უნდა არა, — ბაგრატიონებისა იგულისხმება, ანთუ შთამომავლობისა ბაგრატიონთა, გრუზინსკებისა, მოგონებადღა რო შერჩენოდათ სამეფო კარი, ფიქრადღა თუ მოგონებადღა, სადაც რო თედოც მოხვედრილიყო ყმაწვილკაცობაში, მამასთან ერთადა, ცნობილ ისტორიკოსთან თედო ჟორდანიასთან ერთადა. მამაშვილი მოსახელენი გახლდნენ.

მოხვედრილიყო ერთისიტყვითა, გაიხსენებდა მრავალსიტყვითა, ოღონდ ესაა, რო არ დააცდიდნენ, უკეთ რო ითქვას, ცხრილი არ აცდიდა არაფერსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ეს რო კითხულობდა თითქმის ყველა საგანსა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზედ, თითქმის ყველასამეთქი, თითქმისა, რაშიც რო ლექტორი არ აღმოაჩნდებოდათ, ამას რო დააწერდნენ უყოყმანოდა და დაუფიქრებლადა. დააწერდნენ და შედიოოა ესეცა, თუმცა რო უყოყმანოდ არა, შეუსიტყვებლად არა, დაარწმუნებდნენ ადვილადა, სხვა გამოსავალი არ არისო შენზე უკეთესად მაინც ვერავინ წაიკითხავსო, დაარწმუნებდნენ ასე ადვილადა და შედიოდა ესეცა, ანთუ გადაიოდა საგნიდან საგანზედა, ერთი საგნიდან მეორეზედა, და აღარ გამოდიოდა კურსიდანა, ანთუ ვეღარ გამოდიოდა, ვეღარა, ვეღარა. მობეზრდებოდა თვითონაცა, დაღლა იქით იყოს, მობეზრდებოდა, მაგრამ იტანდა, ძველი წრთობისა და ძველი პატიოსნების ადამიანი გახლდა, იტანდა, მხნეობდა.

მობეზრდებოდათ სტუდენტებსაცა, უძლებდნენ, უძლებდნენ, ვეღარ გაუძლებდნენ ანთუ ზოგჯერ გაეპარებოდნენ.

და დაიჩივლებდა თედოცა.

დაიჩივლებდა იმასაცა, რო ვერა სტევდნენ ცხრილშია, ვერა, ვეღარა სტევდნენ

ვერა სტევდნენ ცხრილშია და ამას ედავებოდა დეკანი, — კათედრის გამგეს ვერა, ვერ ედავებოდა დეკანი კათედრის გამგესა, პრორექტორი — (ეს მანამდელი, ის მერე ბრძანდებოდაო—) რო ითავსებდა კათედრის გამგის თანამდებობასაცა იმხანადა, — ვინ იცის რა მოხდესო და ისიც არ დავკარგოო, შორსმჭვრეტელია ხალხი; მერე ასეც მოჰხდა და მერე ის მაინც შერჩა, შორსმჭვრეტელია ხალხი. შორსმჭვრეტელია. ანთუ ყველა არცაა შორსმჭვრეტელი, ანთუ ყველას არც გაუღიმებს ბედი. ოღონდ აქ მაინც იმას ვამბობდი, რო ვეღარცა სტევდნენ ცხრილშია, რო ამასვე ამუნათებდნენ, რო ამას მიუგდებდნენ ყველაფერსა, დიდი თავი გაქვს და იტირეო, ყვავისა და ბუის იგავისა არ იყოსო.

ჰო ვითომც რო დიდი თავი გაქვსო.

თავი მაინც პატარა ჰქონდა თედოსა. თხელი მომცრო კაცი ბრძანდებოდა და ადვილად მიჰქროდა აუდიტორიიდან აუდორიისაკენა, ინსტიტუტიდან სკოლისაკენა, ანთუ სკოლებისაკენა, სკოლებიდან ისევ ინსტიტუტისაკენა, მერე ჰო მერე სადგურისაკენა და ასე, ასე დაჰქროდა კვირიდან კვირამდისა, ერთი საათიც რო არ შერჩენოდა თავისუფალი, რო არც გააცდენდა არც ერთ საათსა, არც რო არ დაიგვიანებდა არც ერთ წუთსა, არც ერთსა, არც ერთსა, არც ერთსამეთქი და მაინც ამას ედავებოდა დეკანი და მაინც ამას უხსნიდა კათედრის გამგეი, ანთუ პრორექტორი ერთხანობასა, რახან იტვირთე, უნდა გასწვდეო, სიტყვა სიტყვაა, პირი პირიაო. შეახსენებდნენ.

რაღა თქმა უნდაო, თანხმდებოდა ბატონი თედოი, თანხმდებოდა და იხვევწებოდა, ოღონდ ცხრილი მომიგვარეთო, როგორმე ცხრილი მომიგვარეთო.

ცხრილს წუნი არ დაედებაო, ბრძანებდა დეკანი და კვერს დასცემდა პრორექტორიცა.

მართლაც რო წუნი არ დაედებოდა ცხრილსა, ოღონდ ესაა რო თედო ვერ ასწრებდა, პირველ კურსზედაც რო ყოფილიყო და მეოთხე კურსზედაცა, მეორეზედაცა ყოფილიყო და მესამეზედაც თან პრაქტიკაზედაც რო გაჭრილიყო, მერე ისიც და სოფლის სკოლაშია, ისიც რო სწორედ იმ აზრისა გახლდა, ჩვენმა სტუდენტებმა პედპრაქტიკა სოფლის სკოლებში უნდა გაიარონო. იმ აზრისა გახლდა და ერთგულადაც იცავდა.

და მიჰქროდა.

მიჰქროდა.

ხან რომელ ავტობუსში შეიჭრებოდა და ხან რომელში, ხან რომელი ავტობუსიდან გამოძვრებოდა, ხან რომლიდანა, მართლაც რო გამოძვრებოდა, კალათებს შორისა თუ ჩანთებს ჩორისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იღლიებს ქვეშიდანა, გამოძვრებოდა თუ გამოაძრობდნენ და უკანაც აღარ მიიხედებოდა, ისე მირბოდა, მირბოდა, ისე მირბოდა, მირბოდა, რო არ დაეგვიანა. და არც იგვიანებდამეთქი. არა. არასოდესა.

ოღონდ ის მაინც ეგება ცოტა გავაზვიადე, რო ჩამოვთვალე ყველა კურსი ფაკულტეტისა, — ჰო შეიძლება, მაგრამ

სინამდვილე მაინც ისაა, რო ვერა სტევდნენ თედოსა ცხრილშია, ვერა სტევდნენ და არც ებოდიშებოდნენ, ცხადი ისაა და ჭეშმარიტი ისაა, რადგან რო ხარისხი იმას არ გააჩნდა, წოდება იმას არ გააჩნდა, არ ეზრუნა და არ გააჩნდა, მასწავლებლად დარჩენილიყო, ხოლო წესითა დებულებისა მასწავლებელი ოტვირთებოდა ათასორასი და მეტი საათითა. მეტიცაო. არც ებოდიშებოდნენ რაღა თქმა უნდა. არც ებოდიშებოდნენ, მაგრამ ველარცა სტევდნენ ცხრილშია, ანთუ თედო ველარ ეტეოდა, თედოი, თედოი, ველარ ეტეოდა და სტყუოდა ცხადია, სტყუოდა და სტყუოდა ცხადია, სტყუოდა და უსაყვედურებდნენ. სტყუოდა, ლოგიკურად ასე გამოდიოდა, ანთუ რწმუნდებოდნენ ასე,ამგვარადა, უფროსები რწმუდებოდნენ ასე, თედო სიტყვას რო არ შეუბრუნებდა. დაელუნა ქედი და შებმულიყო ნიკორა ხარივითა.

ზოგჯერ მაინც დაიწუწუნებდა, თუ გადაეყრებოდა მოწუწუნეთა, იმასაც თავისი წამოსცდებოდა, ოღონდ მაშინვე, საიდან სადაო, სიტყვას მოჰყვებოდა ისევ იგივე „ოლგა ილიშნა“, ისევ იგივე „ბარონ დებაი“, ისევ იგივე სამეფო კარი, გაქარწყლებული თუ გადავიწყებული სამეფო კარი, ისევ იგივე პეტროგრადი ცხრაასიანი თუ ათიანი წლებისა, მოსკოვიც ისევე, იმავე ხანებისა, გორიც ისევე ცხრაასიანი წლებისა, გორიცა, ოციანი წლებისაცა, ოცდაათიანზე რო თვითონ დაედო თავი, ლეონარდსა, ოცდაათიანზედაცა, აღარ გამოუშვებდა ოციანის აქეთა, თვითონ დაიხევდა უკანუკანა, ათიანსაც დაეპატრონებოდა, ცხრანსიანსაცა, გორისასაცა, ბეტრიოვ რადისასაცა, მოსკოვისასაცა, რო დაეხსომებინა თედოს მონაყოლი, რო იმეორებდა უფრო მგზნებარედა, როგორც რო თავის თავგადასავალსა, საკუთარსა, საკუთარსა, რო აკვირვებდა სხვებსა და სხვებსა, თედოსაც აგრეთვე რო აკვირვებდაა:

„ჰოოოოოოოო?!!.“

გადმოუბრუნდებოდა თვალები თედოსა, ლამის რო მართლაც გადმოუბრუნდებოდა. ველარც დაეცვა საკუთარი მოგონებანი, დიდხანს რო აღარც გააჩერებდნენ საპროფესოროში, შევიდოდა და თან შეჰყვებოდნენ ასისტენტები თუ ლაბარანტები თუ სკოლის მასწავლებლები, რო მოაკითხავდნენ რჩევისათვისა ინსტიტუტსა და ყველანი რო თეთედოსაკენ უშვერდნენ ხელსა, თან შეჰყვებოდნენ და თავზე ადგნენ, ხელი ვერ გაენძრიათ უიმისოდა.

კინაღამ დამავიწყდა, საველე პრაქტიკაც რო ამის კისერზე იყო.

მიუძღოდა სტუდენტებსა ხრიოკებზედა. ხვლიკებს დასდევდა, მწერებს დასდევდა. გადადიოდა ციცაბოებზე. ამოათრევდა ნაირნაირ გველებსა. ჩამოჰქონდა. აღწერდა. წამლებში ინახავდა თუ ფიტულებად ინახავდა თუ რაღას აღარა სჩადიოდა, როგორმე რო შეექმნა პატარა მუზეუმი, ზოოლოგიური მუზეუმი თუ კუთხე ზოოლოგიური, რაღაც ისეთი, თვალსაჩინო რო ყოფილიყო, მაგრამ ოთახი არავინ მისცა, კუთხე არავინ გამოუყო კარგახანსა, დიდხანსა. ეყარა და ეყარა ერთიმეორეზედა. მერე თითქოს რაღაცა მაინც მოაგვარა თუ მოუგვარეს. ვიღაცას რო დასჭირდა თავის გამოსადებადა. ვიღაცასა, რატომღაცა. დერეფანი გადაუკეტლეს. ახმაურდნენ. შეუძახეს, შემოუძახეს, რაღა თქმა უნდა. ესეც დაფაცურდა, დატრიალდა, დაკოწიაწყდა, მაგრამ ბევრი ველარაფერი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩენოდა, მიმოფანტოდა თუ გაჰფუჭდებოდა, ანთუ ახროვილი მოსჩანდა ბევრი თუ რა მოსვლოდა ძნელი სათქმელია, მთავარი ისაა, ისეთი რამ ვერ გამოვიდა, როგორსაც ელოდა თუ ელოდნენ, არც არავინ ხელი წაახმარა, არც არავინ არაფრით ანუგეშა, ვგონებ რო უხაროდათ კიდევაცა, ეგეც თქვენი ბატონი თედოო, დიდი ვინმეც რო გგონიათო, ეგ არის და მეტი არაფერიო.

იმხანად ისედაც აფორიაქებულიყო.

სადღაც უცნაური ობობა ეპოვნა, ჩვენში უცნაური, — შხამიანი ობობა არისო, საქონელსა მტრობსო. კოლოფში შეენახა. ვიღაცას აეხადა კოლოფი. ობობა დაჰკარგოდა. ამიტომაც აფორიაქებულიყო თუ გაღიზიანებულიყო. ქირქილებდნენ ლაბარანტები: თურმე მამალი ობობა ყოფილაო, რო არ დაკოდა, იმასა ნაღვლობსო; შიშობს ახლა რო სადღაც დედალს გადაეყრება, მომრავლდება და ვაი ჩვენი საქონლის ბრალიცაო; ეძებს და ვეღარ უპოვნიაო; ლანცეტი თან დააქვს, სადაც მიაგნებს, იქვე დაჰკოდავსო. ერთობოდნენ ლაბარანტები.

აქ ერთი შემთხვევაც უნდა ავღნიშნო.

ეტიუდებისათვის მინდოდა თავის დროზედა. ხან გადავდე, ხან მიმავიწყდა, ახლა ალბათ მესამე წიგნში თუ გამოვიყენებ.

ეს ის შემთხვევაა უფლისციხეში, მთავარი გზიდან რო სერგი მაკალათია მიუძღოდა თავის სტუდენტებსა, არქიტექტურას რო უხსნიდა უფლისციხისა, ისტორიას რო უხსნიდა უფლისციხისა, გმირულ ისტორიასა, გასაოცარ ისტორიასა, გამძლეობასა საქართველოსი, შემართებასა ქართველებისა, ხოლო ეს, თედოი, მიიბობღებოდა რო ფრიალოებიდანა, სტუდენტებთან ერთადა რაღა თქმა უნდა, ხვრელებს ასწავლიდა ქვეწარმავლებისა, ცხოვრებას უხსნიდა ქვემძრომებისა, ეს ის შემთხვევაა, და მერე იქ, ზევითა რო შეიყრებოდნენ თეატრისაო თუ სამეფო დარბაზთანაო თუ თამარის ეკლესიის ბანზედა, — სერგი დაყურსული ისტორიითა, თედო დატვირთული ჯოჯოებითა, ხვლიკებითა, ნაირნაირი რეპტილიებითა, ეს ის შემთხვევაა. და გამოვიყენებმეთქი.

თედო ერთხელაც გამომადგა პროტოტიპადა. რომანში. „ნაკრძალში“.

თავისებური კაცი გახლდა, თავისებური. ხმაც ისეთი თავისებური ჰქონდა. გამოარჩევდი ათას კაცშია, დახვეწილი სმენაც რო არა გქონდა, გამოარჩევდი. ქარშიცა, ქარშიცა, გორის ქარშიც გამოარჩევდი.

გორის ქარშიცაო.

მაინც რა იქნა მერე ის ქარი, გორის ქარიო, რო დატრიალდებოდა და დაგვატრიალებდა, დაგვაბზრიალებდა, მიწას მოგვწყვეტდა, აგვაგლეჯდა, დაგვარჭობდა მერე სადღაცა, ისევ ისე რო დავებზრიალებინეთ, რო ავეტაცნეთ ისევ ისევე, ავეტაცნეთ და გავეტაცნეთ, რა იქნა მაინცა?!..

ანთუ გადაირეკა ისეთი ქარები, გაგადაირეკა სამუდამოდ, ანთუ ისევე შემობრუნდება, ანთუ რაც იქნება, ერთხანს მაინც ჩამომყუდროვდა, ოღონდ ესაა, რო თედომ ვერც გაიგო, დადიოდა ისევ ისევე, თითქოს ესაა რო გაიტაცებს ქარიო.

ქარი რო ჰქროდა ჰო...

ანთუ სულერთია: მიფარფატებდა, მიფარფატებდა, მიფრიალებდა. ანთუ ცოტას დაახანებდა ისე იმგვარადა, თითქოს ქარს ზურგი მიაყუდაო, მოიმყუდროვა ცოტა ოდნავაო, მაჯები რო დაიორთქლოსო, აწითლებული თუ აბრაწული ქარისაგანაო, გაასპიტებული ქარისაგანაო.

ასეც წამოვეწიე იმა ერთ დღესა, ქარიან დღესა გაზაფხულისა, ავი, ავი გაზაფხულისა, ხიდს რო გადასცდა, ძველსა ცხადია, რო გადაურჩა, ქარსა, ცხადია, მტკვარში რო არ გადააუძახ.

ჩემამდე სოსო წამოსწეოდა, — სოსო ხარშილაძეი, — მოემყუდროებინა იმასაც იქვე, იმასაც ისევე, თედოსავითა, ლამის რო თავი თავზე მიედოთ.

გრიალებდა ქარი. დაირხეოდა ვერხვი ხიდის ქვეშიდან ამოვარდნილი ვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვი, ხიდის ყურეში ამოვარდნილი, დაირხეოდა, დაიწევდა, დაიზნიქებოდა და გაძვრებოდა ხიდის ქვეშა, გაძვრებოდა და გამოძვრებოდა, გაძვრებოდა და გამოძვრებოდა, თითქოს უნდა, რო გაექცეს როგორმეო, ანთუ სულაც დაემალოსო, ქარსაო ცხადია, რო ვერც ვერსაით გაექცეოდა, რო ვერც ვერსად დაემალვოდა, ამოვარდებოდა და ჩავარდებოდა, გაძვრებოდა და გამოძვრებოდა, ხან ხიდსაც რო შემოერტყმოდა, არ გამიტაცოსო, აქედან მაინც არ გამიტაცოსო, ცხადია ქარმაო, ცხადია და რაღა თქმა უნდა.

იყო ამდღეში ვერხვი ხიდთანა, ეგრევე რიყიდან ამოვარდნილი, და გრიალებდა ქარი ულმობელი, ულმობელი და გაგულისებული, თითქოს ახლა იმიტომაცაო, რო გადაასწრო ჯერ რო თედომა, მერე სოსომაც რო გადაასწროო, თითქოს მართლა იმიტომაცაო, გაგულისებული, გააფთრებული, ჯავრს რო ვერხვზედა ამოიყრისო.

და გუგუნებდა,

და ქშუოდა,

და გრიალებდა,

ვერხვი ხრჭიალებდა და ტორტმანებდა ხიდი, ის ძველი ხიდი, ახალი რო ჯერ არსად იყო, ანთუ პროექტებში რო ჩახაზულიყო, ეწყო, ელაგა ნაჭერნაჭერა, პროექტებშიო, მივიწყებულ პროექტებშიო, — და ტორტმანებდა თუ მიჰქონდა ქარსა, აეგლიჯა და მიჰქონდა ქარსა, ქარსა და მტკვარსა, მიჰქონდა, მიჰქონდა.

აი ამ ხმაურსაც გაჰკვეთდა ხმაი, ხმაი თედოსი, გაჰკვეთდა და მესმოდა, ვიდრე მივატანდი, ვიდრე გავაღწევდი გაქანებულსა თუ გატაცებულ ხიდსა, მესმოდა, მესმოდა და თან მომყვებოდა მერეცა ცხადია, უფრო მჭახედა თუ უფრო მკვეთრადა, ქარს რო მივაპობდით მერე ერთადა, სამივენი ერთადა, ანთუ სამივეს რო დაგვაბზრიალებდა ქარი, ანთუ რო შემოვეხვეოდით სამივენი ერთიმეორესა, რო არა ვნებდებოდით და რო არ გვეშვებოდა ქარი.

ქარი ქარადაო და თედოს ჩაბღაჯავასა:

„რაღაცა დაემართათ ამ ახალგაზრდებსა. არც ვიცი რა დაემართათ. სწავლა აღარ უნდათ. ლექციები აღარ უნდათ. აღარაფერი აღარ უნდათ. შევჩივი დეკანსა და შენი ბრალიაო, მეუბნება. შევჩივი პრორექტორსა და შენი ბრალიაო, მეუბნებოდა. რა ჩემი ბრალია, ვერ გამიგია!..“

ქშუოდა ქარი და ჰკვეთავდა ხმაი, ზუოდა ქარი და ჰკვეთავდა ხმაი, ხმაი თედოსი, რო გამწყრალიყო, მით უფრო ჰკვეთავდა.

„მა ვისი ბრალია?!.“

დასწიოდა სოსოცა თუ ქარი დასწიოდა.

„თავიანთი ბრალია. თვითონ აირივნენ და იმისი ბრალია. წყალი სათავეში იმღვრევაო. აიმღვრნენ და გადაედოთ სტუდენტებსაცა“.

„ე გცოდნია და რაღად ეკითხები იმათა?!.“

„რამე რო იღონონ, იმად ვეკითხები.“

„რა უნდა იღონონ?!.“

„თვითონ იციან...“

„არაფერი იმათ არ იციან. გაგიყვანენ საბჭოზე და ტყავს გაგაძრობენ, მეტი არაფერი იციან.“

დატრიალდებოდა ქარი და უტყლაშუნებდა ყოველ სიტყვასა, უტყლაშუნებდა და უტყლაშუნებდა.

„მე რა შუაში ვარ?!.“

უკვირდა თედოსა, მაინც რო იმას უტყლაშუნებდა ქარი.

„შუაში ხარ და შუაში იქნები, ენას თუ კბილი არ დააჭირე“.

„ჭირს რო თქმა უნდა?!.“

„თქვი თუ წერას აუტანიხარ.“

„რექტორს ვეახლები. რექტორს მოვახსენებ.“

„ჰო... ჰო... ჰა... ჰო... ჰა... ჰა... ის მთლად შარავანდედს დაგადგამს თავზედა. მოახსენე. მოახსენე. ჰეჰეჰეჰე...“

ჩაიხითხითებდა ქარი თუ სოსოი, ანთუ ორივე ჩაიხითხითებდა, თუ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიც ერთი იყო თუ უამრავი არ იყო ქარი.

აუჟრიალდება ყურები თედოსა. დიდი თათმანები აცვია თედოსა. | ყურებზე აიფარებს დიდი თათმანებსა, სახესაც ჩარგავს დიდი თათმანებში, პატარა პატარა გალეულ სახესა და ეგრე ჩიფ-ჩიფებს:

„მაშ საშველი აღარა ყოფილა... აღარა ყოფილა...“

სოსო ანუგეშებს, გადაჰხვევს ხელსა, ქარიც შემოეხვევა, ქარიც ანუგეშებს:

უსაშველო არაფერია. ოღონდ ჭკუა მოიკრიფე. მოიკრიფე. ქკუა უნდა ყველფერსა. არ უნდათ და ნუ უნდათ. შენ რაღა ძალას იტან?!. არ დადიან და ნუ დადიან. არ უნდათ და ნუ უნდათ. გაუშვი. შენ თვითონ გაუშვი. მიკეტე კარი აუდიტორიისა და მოუსვი შინისაკენა. მოუსვი. რა გაყვირებს, რა გაჩაჩხანებს, ამდენი ჭკუა როგორ ვერ შეგრჩა?!. წადი. მოუსვი. სტუდენტებიც მადლობლები გეყოლება, დეკანიცა და პრორექტორიცა. შენ ოღონდ მოუსვი, მოუსვი და კბილი დააჭირე ენასა. მეტი არაფერი გინდა. საშველიც ესაა და ხსნაც ესაა. მეტი არაფერია.“

„ჰაჰაჰაჰაჰა... რასა ბრძანებს ეს კაცი, ჰაჰაჰაჰაჰაჰა...“

ხითხითებს თედოი თუ ქარი ხითხითებს. თვალებიდანაც მოიშორებს დიდ ხელთათმანებსა, თედოი ცხადია, ქარი არა რაღა თქმა უნდა, დასწითლებია თვალები ქარსა, — ო, არა, — თედოსა, თედოსა რაღა თქმა უნდა, დასწითლებია თვალები თედოსა, უელავს რიგორღაც უცნაურადა, დაუჯერებლადა, ურწმუნოდა, უფრო ურწმუნოდა, მეხუმრებიან და არ უნდა ავყვეი, არც რო ქარსაო, არც რო სოსოსაო, თუმცა თითქოს თუ ვერც გაურკვევია, სოსო ხითხითებს თუ ქარი ხითხითებს, სოსო ურჩევს თუ ურჩევს ქარიო, ვერც გამოურჩევია თითქოსაო.

„ჭკუა მოიკრიფე, ისე ვერ მიჰხვდები, ჭკუა მოიკრიფე, ის გირჩევნიან.“

არ ეშვება ქარი თუ სოსო ... ბა.

„შენ მოიკრიფე?!.“

იკითხავს თედოი, შეჰყურებს სოსოსა და ქარსაც შეჰყურებს, რომელს რო ჰკითხოს რო არ იცის თითქოსა.

„როდის აქეთია!..“

მიუგებს ქარი თუ სოსო მიუგებს. გაშლის ხელებსა, — ეს სოსო გაშლის, უნდა გაფრინდეს თუ უნდა ასცდეს კედელყორესა, არ შეეჭყლიტოს, არ შეეგლისოს, ისეთი ქარი შემოუბერავს. გაშლის თედოცა, ხელებსა ცხადია. მიჰქრის. მიჰქრიან. მივქრივართ. მივქრივართ, თითქოს ჩვენ მივქრივართ და ქარი თითქოს უკან მოგვდევსო, უნდა დაგვეწიოს და ვერ გვეწევაო, ვითომაო, ვითომაო რაღა თქმა უნდა.

ქარი ქარადაო, ისევ ქარადაო და მერე იცინოდა თედოი, დაინახავდა თუ არა სოსოსა, იცინოდა, ჩაბჟირდებოდა, რანაირი ხუმრობა იცისო, უცებ ვერც მიხვდები, მერე მიხვდები და მერე იცინებო, რანაირი ხუმრობა იცისო.

და გახმაურდა ის საუბარი. გახმაურდა . იზარდა. ცოტა ანეკდოტური ხასიათიც მიიღო: თითქოს რო კიდევ წამოეწია სოსოი თედოსა, ისევ ხიდზედა თითქოსაო, იმავე ხიდზეო, ისევ ქარშიო თუ თოვლჭყაპშიო თუ თავსხმაშიო თითქოსაო, წამოეწია და ჩაუქროლაო, ჩაუქროლა და აღარც დაუცადაო. თედო გაეკიდაო. გაეხარდა და გაეკიდაო: ის რა კარგი რამ მასწავლეო, გაეკიდა და მისძახოდაო. რა გასწავლეო. ჰაჰაჰაჰაჰა... რო მასწავლეო. რაიო რაიო, რა გასწავლეო...

ჭკუა მოიკრიფეო.

მერეო.

მოვიკრიფეო.

მერეო.

გავუშვიო, ჰაჰაჰაჰაჰა... გავუშვიო.

აუდიტორიასაც მივხედეო.

მერეო. მერეო.

მოვუსვიო.

მერეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკანიც მადლობელია და პრორექტორიცაო, ჰაჰაჰაჰაჰაო. სტუდენტებიცაო. მეცაო, მეცაო, მეც მადლობელი ვარო.

VII

დეკანი გაიბუსხა. გაიბუსხა პრორექტორიცა. ის პრორექტორი ისედაც გაბუსხული გეგონებოდა, ისე წამობურცოდა ლოყები ტუჩებზედა, ისედაც გაბუსხული გეგონებოდა, მართლა გაბუსხული გეგონებოდა, მართლა გაბუსხული მით უარესიო.

თედო უარობდა.

ვინ უჯერებდა.

ერთობოდნენ. ერთობოდნენ.

დეკანი არაო, პრორექტორიც არაო ცხადია და რაღა თქმა უნდა, ოღონდ ესაა, რო ვერც შურს იძიებდნენ მომეტებულად: ყველაფერი რო იმის კისერზე იყო, ლექციები თუ სემინარები ჰო ითქვა, საველე თუ პედაგოგიური პრაქტიკაც ჰო ითქვა, ახლა სამეცნიერო წრეც დაუმატე სტუდენტებისაი, შედგენაცა თუ გასწორებაცა ყველა სახის ჩანაწერებისა, რაც რო სრულდებოდა კათედრაზედა, დაუმატე, დაუმატე. და ერთი მითხარი, მეტი როგორღა უნდა ეძიათ შური?.. მარტო ესაა თუ ილოცებდნენ იმისთვისა, თუ რამე ხწამდათ, თუ ილოცებდნენ, ემანდ ბრჩხილი არ წამოსტკივდესო. ლოცვაც არ უნდოდა, კენჭივით იყო ბატონი თედოი, ანთუ ისე გამოყვანილიყო, გრიპიც რო არ გაჰკარებია ყველაზე მძვინვარე შემოტევისასაცა. არც ის გაიფიქრო, ის პროფილაქტიკური ღონისძიებანი არაყითა და ნივრითა, არა, ამასაც არ მიმართავდა. არც გაიფიქრო. ის ისე გახლდა, ისე გამოყვანილიყო.

მიჰქროდა და მოჰქროდა.

იტყოდი, სული რაში უდგიაო.

მაინც ჰო ასდიოდა თუ როგორღაც ასდიოდა თავის საქმესა.

ასდიოდა, როგორღაც ასდიოდა.

ხელოვნებითაც გატაცებულიყო, შეაატყობდი, რო გატაცებულიყო, ლიტერატურითაც გატაცებულიყო. სად იყო სად არა და მოგვისწრებდა სალიტერატურო ღონისძიებებზედა. გულითადად მოიკითხავდა სტუმრებსა. არც რო სუფრას იუცხოებდა თავს თავისად მოითავხელებდა, იქაც მიმართავდა სტუმრებსა, სადღეგრძელოში, სადღეგრძელოში მხოლოდდამხოლოდა, ზოგადად არა რაღა თქმა უნდა, არა რო ვალის მოსახდელადა, რო კარგად იცნობდა, ასე მიმართავდა.

საჯარო ლექსებსაცა კითხულობდა.

თავის საგანსა თუ თავის საგნებში არა არა.

ლიტერატურაში კითხულობდა, — „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებითა.

ნანობდა რო გამორჩა დისკუსიაი აბსტრაქციონიზმის შესახება, ნანობდა და ითხოვდა, ეგება კიდევ გაიმეოროთო, უსათუოდ დავესწრებიო.

დავესწრებიო. მაგრამ ეტყობოდა, კამათსაც აპირებდა.

ჰხატავდა.

სოსო ირწმუნებოდა, ლექსებსაც წერსო.

სოსო ტყუილს არ იტყოდა თუ არა ხუმრობდა, ოღონდ ესაა, რო ზოგჯერ უცებაც ვერ მიუხვდებოდი, ხუმრობს თუ არაო, იცოდა ასეთი ქართლური ხუმრობაცა, თუმცა რო იმერელი ბრძანდებოდა. ასეც იცოდა. ისეც იცოდა.

ჰო ლექსებსაო.

ალბათ ახალგაზრდობაში წერდამეთქი.

არაო, ახლაცაო, სოსო ირწმუნებოდა, თორემაო ახალგაზრდობაში ჰო მეც დავწერდიო.

არაო, ამას მაინც ვერ დაიჯერებდნენ, — სოსო არ იყო ლექსის დამწერი, ახალგაზრდობაშიც რო არა, არც არასოდესა რაღა თქმა უნდა; არც გაეკარებოდა ლექსი, არც გაიკარებდა ლექსსა, ისეთი გამომწვევი, ისეთი მკაცრი, ისეთი დამცინავი, ისეთი გამქირდავი, შეუპოვარი და დაუთმობელი გახლდა. იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასთან სიახლოვე ძალიან უჭირდათ, თუ-
მცა რო თვითონვე ეტანებოდა, ვინც
უნდა ყოფილიყო, თვითონვე ეტანებო-
და და თვითონვე იშორებდა თავმობეზ-
რებული თვითონვე, — თვითონვე.

თედოს ადვილად ურიგდებოდა.

თედოსთან ერთობოდა.

სიალალე და პატიოსნება მოსწონდა
მისი, მოსწონდა კიდევაცა, ართობდა
კიდევაცა, ხან წააქეზებდა კიდევაცა,
ხან აშოშმინებდა კიდევაცა: ყველაფერ-
ზე თავს ნუ გადაიკლავო, ყველაფერს
მაინც ვერ გასწვდებიო. ყველა ყველა
და ე აბსტრაქციონიზმი რაღას გეკითხე-
ბაო. დაეხსენიო.

აშოშმინებდა თუ ურჩევდა და აღარ
უსმენდა, რო თავისებურ მოვლენად მი-
აჩნდა აბსტრაქციონიზმი თედოსა და
რო არ შეიძლებოდა ხელაღებითი უარ-
ყოფაი მისი, თედოს აზრითა, — აღარ
უსმენდა.

აღარ უსმენდა და უხსნიდა კიდევაცა,
რო უაზრობაა ლაპარაკი, როცა არავინ
არაფერს გისმენსო, როცა არავინ არა-
ფერსა გკითხავსო, როცა არავინ არა-
ფერს გიჯერებსო, უხსნიდა და ერთობ-
ოდა, რომ არ დაიშლიდა თავისასა თე-
დოი;

არ დაიშლიდა:

თუ გააგებინებ, მოგისმენსო.

ეს ამგვარი ლოგიკა ართობდა სოსო-
სა. ლოგიკური ყველაფერი ართობდა.
წინააღმდეგობანი ართობდა ლოგიკურ-
ისა. დაბნეულობანი ართობდა ლოგი-
კურისა. ართობდა, ართობდა, ვის რაიო
და ვის რაით,

სოსოს ეს ართობდა.

ართობდა და იმეორებდა საუბარსა,
„ააბსტრაქციონო" აფიშასთან რო გა-
ემართა თედოსა.

ეს იმხანადაო: რო გადაეკიდა ერთი
ვინმე უფლებამოსილი, ერთხანსა, ერთ-
ხანს უფლებამოსილი, რო გადაეკიდა
აბსტრაქციონიზმსა და ჯაზსაცა მაშინ-
ვე ერთდროულად რო გადაეკიდა, რო
მოითხოვა გააძევეთო, ამ სამყაროდან
გააძევეთო, ჯაზიცაო და აბსტრაქციო-
ნიზმიცა. ხრუშჩოვი ბატონობდა.

ვინ აუხირდებოდა?!.

რა ბრძანებაა!..

ოღონდ ბანიც ჰო უნდა დაეწიათ ყვე-
ლგანა და აქაცა ცხადია, ჩვენს ინსტი-
ტუტშიცა, — უნდა დაეწიათ ბანი ცხა-
დია, ცხადია.

და აი დაფაცურდნენო ესთეტიკოსე-
ბიო თუ ფილოსოფოსებიო, საზოგადო-
ებათმცოდნეებიო თუ კიდევ რაღაცმცო-
დნეებიო, ფიზიკოსებიცაო თუ მათემა-
ტიკოსებიცაო, ყველანი, ყველანიო, კუმ
ფეხი გამოყოო, იმისი არ იყოსო, დაფა-
ცურდნენ და საღამო გამართეს, ანთუ
მოაწყეს დისკუსიაო, ოღონდ ისეთი
დისკუსიაიო, რო ელანძღა ყველასა, ხე-
ლაღებითა, ელანძღა და ეთათხა ჯაზი-
ცა და აბსტრაქციონიზმიცა, ეთათხა და
ლაფში ამოესვარა, ისე რო არც ენახათ
აბსტრაქციონისტული არაფერი, არაფ-
ერი, არაფერი, ჯაზიც არ ენახა და არც
გაეგონა. იცოდნენ ასეთი დისკუსიებიცა
ჩვენს ინსტიტუტში. პირველი არ გახ-
ლდა, ალბათ ბოლოც რო არ იქნებოდა.
იცოდნენ. იცოდნენ. იყვნენ სწავლულ-
ნი სხვადასხვა დარგისანი, სხვადასხვა-
ნაირნი, მოესთეტიკოსონი ერთნაირადა.
სხვადასხვაგვარნი და ერთნაირნი. იყვ-
ნენ.

და მოაწყვეს ერთისიტყვითა.

უნდა ეთათხათო და თათხეს ვალი მო-
იხადეს.

ვალი მოიხადეს.

დაშოშმინდნენ.

დაკმაყოფილდნენ.

დაკმაყოფილდნენ და აფიშა დარჩათ,
ანთუ დასტოვეს, განგებაც დასტოვეს,
ვინც რო დაესწრო იმან ჰო გაიგო, ვინც
რო არ დაესწრო, იმანაც გაიგოს,
ვინც თუ გვეწვევა შესამოწმებლადა,
ჩაიკითხოს თავითბოლომდისა, გაიგოს
თუ რა დროულად ვეხმაურებით აქტუა-
ლურ პრობლემებსო. გაიგოსო. გაიგოსო.
განგებაც დასტოვესო.

დასტოვესო და მიადგა თედოცა. მი-
ადგა და ვეღარცა შორდებოდა. უნდოდა
ეკითხა. ვისა ვკითხოო. მიაცეცებდა
თვალსა. მიდიოდნენ. მოდიოდნენ. მირ-
ბოდნენ. მორბოდნენ, კორპუსიდან კორ-

პუსში. შესვენება გახლდა. ესალმებოდნენ. ესალმებოდა. ყველას არ ეტყოდა თავის სათქმელსა. ყველას არც არას შეეკითხებოდა. არც შეჰხედავდა თუ არ ენება, ჩაღუნავდა თავსა, ფიქრშია თითქოსაო, ანთუ რაღაცას ჩაჰკირკიტებსო, — იმწუთას აფიშასა რაღა თქმა უნდა, მართლაც რო მართლაც ჩაჰკირკიტებდა. ისევ სოსო გადაეყარა, ისევ სოსო იგონებდა ხოლმე:

რა ამბავი იყო წუხელისაო.

ეცა თედიი, ამდენი ხანი რო მოეთმინა და მეტს რო ველარ მოითმენდა, რო არ გაეგო.

სადაო.

აი აქაო.

ეგ რა არისო.

ვერა ჰხედავო.

დავინახავ თუ გინდაო.

თედო ჩამოეცალა და ჩაიკითხა სოსომაცა თვითბოლომდისა, ჩაიკითხა და გაუმეორა თუ აუხსნა, ესა ყოფილაო.

ეგ ჰო მეც წავიკითხეო.

აბა ჩემგან რაღა გინდაო.

რა ბრძანა ბატონმა ჩხეიძემაო.

იკითხა ისე, იქვე რო კამათი უნდა გაემართა ჩემთანა, ანთუ სოსოსთანა, ჩემს წინააღმდეგა, ისე გამოსთქვა „ბატონი ჩხეიძეო“, სოსო ბრძანებდა რაღა თქმა უნდა.

აბა რა გითხრაო, ეს ჰო მე ახლა გავიგეო.

ესეიგი არ დასწრებიხარო.

არ დავსწრებივარო.

ესეიგი არც მოგისმენიაო.

არც მომისმენიაო.

ვინმე მაინც იტყოდაო.

არც არავისთვის ყური არ დამიგდიაო.

მაინც გეცოდინება, რას იტყოდაო.

მგონი რო ისიც არ დასწრებიაო.

აქ რო წერიაო.

რამდენი რამე წერიაო.

მაინც, რა აზრისა არისო.

აბა რა ვიციო. არც მიკითხევს და არც მეკითხებაო.

მაშ როგორ გავიგოო.

აგერა ესენიო. მიდი და ჰკითხეო.

მიუთითა დანარჩენებზედა, აფიშაზედაც რო გამოხატულიყვნენ, იქაც რო გახლდნენ თუ ტრიალებდნენ იქა თუ მიმოდიოდნენ ცოტა აქარებული თუ ცოტა ამჩატებულნი, დიდი ამბები რო გადაეტანათ, დიდი დისკუსია რო გადაეტანათ, რო გაემარჯვნათ, რო არა ჰყავდათ შემპასუხებელი, — მიდი და ჰკითხეო.

მაგათ ჰო არაფერიც არ გაეგებათო, მაგათ როგორა ვკითხოო.

აბა რა ვუყო, რა გირჩიოო.

მე რა უნდა მირჩიო, შენვე დაფიქრდიო, ე რა წესიაო, რო არაფერი იციან და არც არავის არ აცდიან სიტყვასაო, რო არავინ არას უჯერით და მაინც არ ეშვებიანო, რო არაფერი სწამთ და სხვისა რო უკვირთ, რატო არა სწამთ არაფერიო.

მე რად მეკითხებიო.

წუხელის ჰო იქ იყავიო.

აკი გითხარი, რო არა ვყოფილვარო.

ჰოოოოოო... მითხარიო.

ჩემთვის მაინც არაფერი უკითხავს თედოსა, ალბათ თუ ვერ შევხვდით იმ ხანებშია. მერე ამან გადაიარა. მერე სხვა რამ წამოგვეწია, მერე სხვა რამა, გადაიარა იმანაცა და იმანაცა, კიდევ სხვა ბევრმა გადაიარა, ზოგმა რო დასტოვა ღრმა კვალიცაო, ზოგმა იმდენიც არაფერიაო, ზოგი აღარც რო მოაგონდებათო, ოღონდ რო მრისხანედ გაისმოდა თავის დროზედაო, მრისხანედაო. მრისხანედაო.

ხოლო რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანსა“, — დაჰქონდა ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“, უნიკალური ხელნაწერი თავისი ღრმა რწმენითა, დაჰქონდა და ედავებოდა რუსთველოლოგებსა, მართლა რო უნიკალურად არ მიაჩნდათ ის ხელნაწერი, თავისებურებანი რო შეცდომებად მიაჩნდათ, რო არ უნდოდათ დაედოთ საფუძვლადა აკადემიური გამოცემისათვისა. ედავებოდა და ედავებოდა. თავის საჯარო ლექციებზე ედავებოდა რაღა თქმა უნდა, სტუდენტებთანა, მოწაფეებთანა, კანცელარიების მოსამსახურეებთანა, მუშებთანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციისა თუ უნივერმაღის თანამშრომლებთანა, სადაც რო მიუთითებდა თუ გაამწესებდა ე.წ. ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებაი, — ედავებოდა, რუსთველოლოგები რო იქ არა ბრძანდებოდნენ რაღა თქმა უნდა, ედავებოდა და ცხარედაც ედავებოდა, იქაცა ყოფილიყვნენ, არ მოერიდებოდა, არა, არა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ არ იყვნენ და სწუხდა, სწუხდა და ცხარობდა, ცხარობდა და სიტყვა გაიტაცებდა, ვითომ რო მართლაც რო რუსთველოლოგები უსხედან წინაო და არა ძლივსძლივობისას შეგროვებული ხალხიო. ლექციის მერე გულს იმშვიდებდა, ეს იმათანაც ნათქვამი მაქვსო, — რუსთველოლოგებთანა რაღა თქმა უნდა.

ოღონდ ის მაინცა: ძლივსძლივობისასამეთქი, — რო უნდა წაკითხულიყო ლექციები უსათუოდა, საჯარო ლექციები, რო უჭირდა დაწესებულებებსა ხალხის შეგროვებაი, უჭირდა, თავიანთი საქმე რო ჰქონდათ, იმასაც რო ძლივს ასდიოდნენ, და რო ერჩივნათ, ათასჯერ ერჩივნათ, შეევსოთ უწყისები, ბეჭედი დაერტყათ, ისე, ისე, თავის შეუწუხებლადა, ტყუილადა ერთი სიტყვითა, ერჩივნათ ცხადია და რაღა თქმა უნდა; ერჩივნათ და თანხმდებოდნენ უყოყმანოდა დაწესებულებების ხელმძღვანელებიცა, ლექტორებიცა, ე.წ. ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორები, თანხმდებოდნენ ულაპარაკოდა, ავტომატურადა, — ასედაც ითქმის.

თედო არაო.

ვერ შეჰბედავდნენ ასეთს ვერაფერსა. ათჯერაც რო დაებარებინათ, ხალხმა თავი არ მოიყარაო.ათჯერვე მივიდოდა, მეთერმეტედაცა, მივიდოდა, მეთორმეტედაცა, ანთუ რას ვითველი: ივლიდა, ივლიდა, ვიდრე არ შეუკრებდნენ ხალხსა, ბევრსა თუ ცოტასაო, არ ეკითხებოდა, ცოტა ყოფილიყო, სულერთია, მიუჯდებოდა და უხსნიდა ბეჯითადა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, უხსნიდა ბეჯითადა, თუ როგორი იყო ნამდვილი რუსთაველური სტროფი, თუ რას არ უჯერებდნენ რუსთველოლოგები, უხსნიდა და უკითხავდა ხელნაწერსა ცოტა შემღერებული ხმითა, წინათ როგორც რო კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსანსა“.

მე არც ის ხელნაწერი მინახავს და ვერც ვიტყვი თუ რამდენად მართალი ბრძანდებოდა ბატონი თედო თუ რამდენადა სტყუოდნენ რუსთველოლოგები, ვერ ვიტყვი ვერაფერსა დაბეჯითებითა, არ მინახავს, ანთუ უფრო სწორად რო ითქვას, არ ჩავჯდომივარ, ანთუ ერთად არ ჩავსხდომივართ — შევთანხმდებოდით, ვეღარ ვახერხებდით ვეღარ ვახერხებდით და გადავდებდით, იმას რო არ ეცალა და რო არც მე მეცალა ინსტიტუტშია, გადავდებდით და გადავდებდით, იქამდე, ვიდრე რო სულაც არ გადაიდო. ასეა, რას ვიზამთ. ოღონდ ისიცაა რო ჩემი ჩახედვაც არ უნდოდა რაღა თქმა უნდა: თუ რო რაიმე ღირებულება ჰქონდა იმ ხელნაწერსა, თუ ჰქონდა, თუ აქვს უყურადღებოდ არ დასტოვებენ რუსთველოლოგები რაღა თქმა უნდა.

და ახლა, ვიდრე გავცილდებოდე ბატონ თედოსა, მინდა ერთი რამ კიდევ გავიხსენო;

ერთიცა და მეტიცა;

ერთი მაინც უსათუოდა:

დაიგვიანა მატარებელმა. დაიგვიანა.

იმ ჩამომსვლელებმა დემონსტრაციას ვეღარ მოუსწრეს. საგრძნობი გახლდა. ბევრნი რო იყვნენ ჩამომსვლელები, ჯერ რო არ ემძლავრათ ადგილობრივთა, საგრძნობი გახლდა; მატარებელს ეს არ ეკითხებოდა, მატარებელმა დაიგვიანა. დაიგვიანა. დემონსტრაცია უნდა დაწყებულიყო. მოედანი შეკრული დაჰხვდათ. ვეღარ გადასჭრიდნენ, როგორც რო გადასჭრიდნენ ხოლმე, შორს უნდა მოევლოთ, ამასობაში ვეღარ მიუსწრებდნენ ინსტიტუტსა. ვეღარ მიუსწრებდნენ. პირველთაშორის გამოდიოდა ინსტიტუტი. ვეღარ მიუსწრებდნენ..

შეღონდნენ.

შედგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითათბირეს.

მანასე მიხელაშვილმა თქვა, მე მომყევითო, მოკლეზე გაგიყვანთო, მივუსწრებთო. მანასე პარტისტორიასა კითხულობდა ინსტიტუტში.

თედოს არაფერი უთქვამს, თედო ჟორდანიასა რაღა თქმა უნდა, არც რო ფეხი შეუყოვნებია, წავიდა, წაცუხცუხდა, სხვა შუკას დაადგა, სწორედ რო მანასეს საპირისპიროდა.

ამას მივყვეთო, თედოსაო, ჟორდანიასაო, ძველი გორელიაო, თქვეს და აედევნენ თედოსა. აედევნენ და იარეს, იარეს გაიხლართნენ შუკებსა თუ ჩიხებში, გაიხლართნენ, გაებნენ, მოემწყვდნენ, დაიბნენ. დაიბნა თედოცა, ახალმა მოედანმა, პროსპექტმა ახალმა რო გასჩეხა გორი, ძველი გორი რო გასჩეხა შუაზედა, გასჩეხა თუ მიურმოურია ძველი, ძველი, ძველი ცხადია, დაიბნა თედოცა, ძველი გორელიც დაიბნა ცხადია; მაინც იარა, მაინც არ დაიშალა, მაინც გაიტანა თავისი, იარა, ატარა, იარა, ატარა, ატარა, ატარა და იქავეს გაიყვანა, სადაც რო გავყარნენ მანასესა. იქვე გაიყვანა და იქიდანვე მოსჩანდა ტრიბუნაცა, ინსტიტუტიცა, რო უკვე გასწორებოდა ტრიბუნასა, მანასეს რო უკვე მიესწრო, რო გამოჭიმულიყო პირველ რიგშია, ორივე ხელი რო გაეშალა და მხურვალედ რო შესძახოდა ვაშასა, — მოსჩანდა, მოისმოდა.

„ჰხედავთ!“

თითი გაიშვირა ნიკო მილორავამა, გაიშვირა, გაიშვერდა ხოლმე, ოღონდ მოხრილი, მოღუნული ჰქონდა საჩვენებელი თითი, ომში მოსტეხოდა თუ მოჰღუნოდა.

ვხედავთო.

ჩაჰკიდეს თავი.

„მანასეს უნდა გავყოლოდით... ძევცდით, ჟორდანიას გზას რო დავადექით... მაშ რა იქნებოდა!.. ჩამოვრჩებოდით რევოლუციასა...“

დაასკვნა ნიკო მილორავამა, სინანულითა. სინანულითა.

„ეგრე მოკლეზე ჭრიდა...“

თედო მაინც თავს იმართლებდა.

„ეგ როდისაო?! მას მერე დაგრძელდა ყველაფერი, დაგრძელდა, დასასრული რო აღარ უჩანს“.

უხსნიდა სოსოი.

ეს, სოსო უხსნიდამეთქი, ოღონდ საიდან სადაო, მილორავაც ამოტივტივდა. ამას მაინც აღარ ველოდი, მაგრამ რახან რო ამოტივტივდა, ალბათ უნდა ითქვას რამეცა. თუმცა მანამდე:

ჰო მანამდე.

საყვედურს ვერ ასცდნენ ჩამომსვლელები რაღა თქმა უნდა. დემონსტრაციაზე არ გამოცხადდენო, — უცხო აქცენტით გამოსთქვამდა რექტორი, წყრებოდა, იფშვნეტდა თანაც რო ხელებსა, იფშვნეტდაო თუ ლამის რო იმტვრევდა, — შევრცხვითო, თავი მოგვეჭრაო.

მატარებელმა დაიგვიანაო, თავს იმართლებდნენ ჩამომსვლელები.

ჩამობრძანებულიყავით წინა დღესაო, ან სულაც აქ დარჩენილიყავითო, ან ამდენს რას დაეხეტებითო, დაეტიეთ ერთ ადგილზედაო.

წყრებოდა რექტორი, წყრებოდა, ბუხუნებდა.

პასუხი ველარ მოეხერხებინათ.

მართლაც თუ რას დაეხეტებოდნენ, მართლაც თუ რატომ ვერ დატეულიყვნენ ერთ ადგილზედა, — მართლაცა და მართლაცაო.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დალილა ბედიანიძე

ᲐᲠᲐ

(პუბლიცისტური პოემა)

**„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია.
ბრიყვნი ამბობენ. კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“**

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, 1861 Წ.

თბილისიდან საგურმომდე იგივე მანძილი იქნებოდა,
რაც საგურამოდან — თბილისამდე, მაგრამ გზაზე წიწამურია
და წიწამური, ისე, როგორც საგურამო ერთი არ არის,
გზაც არასდროს არ დამთავრდება.
იარაღს არ ასამართლებენ — აღარც კი არის საკითხავი, ვინ რით მოკლა.
ზოგჯერ მკვლელი არც კი ტყუის — მან აღასრულა!
აი, ის ტყუის, ვინც მართალ კაცს მოაკვლევინებს.
ო, ადამიანთა გულგრილობავ! ადამიანთა განუსჯელობავ!
შენ ხარ ყველა მკვლელობაზე უფრო დიდი დანაშაული.
უნდა იხმაურო! უნდა რეკო! ყველა მძინარე უნდა გააღვიძო,
რომ მკვლელი ვერ მოგეკაროს, თუ არა და — კიდევ ახალი ჰეროსტრატე დაწვავს
კიდევ ერთ ახალ ტაძარს.
ერის კულტურა მას არ ადარდებს, ის საკუთარ სახელზე ზრუნავს!
ვის უნდა ლინჩი? ანდა — ვის ვისგან როდის რა უნდა?
დავიმახსოვროთ, ყველაფერი დავიმახსოვროთ, რომ მსხვერპლმა იკლოს,
რომ არავინ არავისში არ შეგვეშალოს, რომ დაიჯეროს ადამიანმა:
დაუსჯელი არ დარჩება ბოროტება, სიკეთე კი — დაუნახავი!
აი, მივდივართ ექსკურსიაზე.
საგურამოსკენ მიგვყავს სტუმრები (საგურამო კი ერთი არ არის)
ცხელა. გლეხის ხელისგულივით დამსკდარა მიწა
და მასავით ჩივის, ჩიქის პირდაღებული.
გზის ნაპირას ნაგავია და ბუზები დაბზუიან — უკვდავი სცენა!
ადრე სტუმრებს ასეთი გზით არ ვატარებდით,
ან ვართობდით, რომ იქით არ გაეხედათ,
ახლა მხოლოდ ბოდიშს ვუხდით — რაც გვაქვს, არ ვმალავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობუსში ყველაფერია: ამინდიც, სპორტიც, ვიდეოც, მოდაც,
ლაპარაკობენ, რომ კარგ მასპინძელს ასევე კარგი სტუმარი უნდა,
რომ სხვა დრო დადგა, სტუმარი უნდა მოშინაურდეს...
რაო, ოდესმე იოლი დროც ყოფილა განა?
განა ოდესმე ადამიანებს არ აწუხებდათ, რაც ჩვენ გვაწუხებს?
„რატომ დამბადე ღმერთო, ქალად!“ — სიტყვა ჩაიგდო ერთმა ქალმა —
„მე კაცი უნდა ვყოფილიყავი,
რომ ამდენ სისხლისმაძებარ კაცთან კაცურ ენაზე მელაპარაკა.
იმათ ქალის ენა არ ესმით. ჩვენ ვაჩენთ, ისინი — კლავენ.
იმათ ქალები მხოლოდ კაცთა სულელ ნახევრად მიუჩნევიათ
და არ იციან — თუკი თავს ისულელებს,
ეს — იმიტომ, რომ თავის კაცს თავი გენიოსად აგრძნობინოს.
რატომ კაცი არა ვარ, რომ კაცურ ენაზე მოვითხოვო პასუხი ყველა შავი
კაბისათვის,
ყველა უმამო ბავშვისათვის, ყველა ცოცხლად მკვდარი მამისათვის,
ყველა გულგატეხილი გოგოსათვის... შიშს ხომ მუდამ კაცის სახე და სახელი
აქვს!
რამდენი ცუდი უკეთებიათ და გეტყვიან — დაივიწყეო!
არა და — მთელი ისტორია მხოლოდ კაცების ისტორიაა,
შეგიწირავენ და თან არც კი მოგიხსენებენ.
საუკეთესო თავდაცვა ხომ თავდასხმაა! რადგან ყვირის, ტყუის!
რატომ კაცი არა ვარ, ღმერთო, რატომ გამწირე!..
„კაცი რომ იყო, ასე აღარ იჭიკჭიკებდი! გვაცალე კაცებს!“ —
უთხრეს კაცებმა ვითომ სიცილით. ჩაფიქრდნენ კი.
„კი— ბატონო! აი, ილია კაცი იყო! დააცადეთ?“ — იკითხა ქალმა.
პატარა ბიჭი დაინტერესდა — „ვინ იყო ილია?“
„ილია დიდი ადამიანი იყო!“ — მოკლედ აუხსნა ბებიამისმა.
„მეც მინდა, დიდი ადამიანი გამოვიდე!“ — ითხოვა ბიჭმა.
აქეთ-იქიდან ბიჭს მიეფერნენ: „ნეტავ, დიდი ადამიანობა რად გინდაო?“
„იმიტომ, რომ, ისიც უნდა გავიგო, როგორია დიდი ადამიანობა“ —
პასუხობს ბიჭი. იგი უბრალო ბიჭი არ არის, დიდი ბიჭია.
„მალე კვდებიან! ან ტყვია ჰკლავთ, ანდა — ინფარქტი!“ — ვითომდა უშნოდ
ხუმრობს ვიღაცა.
„მე მინდა, დიდხანს ვიცოცხლო და დიდიც ვიყო!“ — გაბრაზდა ბიჭი.
ავტობუსმა სიცილისგან შეიკუნტრუშა. ყაყანი ატყდა..
ბიჭი დაიბნა, გაჭირვეულდა: „მინდა, ბებო! ბებო, უთხარი!“
თითქოს დიდი ადამიანობა ნაყინი იყოს და ქუჩაში იყიდებოდეს.
უფროსებს საქმე გამოუჩნდათ, მაგრამ ბიჭიც უფროსია თანატოლებში.
არის, რაღაც, რისი სწავლაც არ შეიძლება,
რაც უნდა ფრიადოსანი იყო, რამდენი მასწავლებელიც უნდა
მოგესიოს, რისი ყიდვა და ჩუქებაც არ შეიძლება,
რაც უნდა შემძლე იყო, დაბადებით თან რაც არ დაგყვა, ვერ მიიტმასნებ.
მომაგონდა ამ ბავშვის დედა; თამბაქოს ბოლში გახვეული მთელი ქალაქი,
სამზარეულოს ზანტი სიცხე, ცხარე კამათი.
ოვალმოჭუტული მანდილოსნები ყავას ჩასცქერენ ჩუმად, ოცნებით.
აი, აი, მოიფიქრეს! აი, წამოჭრეს თავისუფალი დროის პრობლემა,
აბა, აქ თავს ვინ გამოიჩენს? სტილი არაქართული, რაღაც ბამბანერკული,
სიტყვები არამდგრადი, როგორიც მითში მერკური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჰ, შენი ბრალი, თუ, კამათში მათთან ჩაები! მყისვე მიწასთან გაგასწორებენ
ეს ლუარსაბის დარეჯანები.
აღარც ოჯახებს არგიან და აღარც — სამსახურს,
სამსახურში ოჯახისგან ისვენებენ, ოჯახებში — „სამსახურისგან“.
ნამდვილი საქმე? უკაცრავად, ეგ რა ჩვენი საქმეაო.
გვერდით სკამზე ერთი მეორეს ესაუბრება: თვრამეტი წლის ვარ. მთელი
წელია, სკოლა დავამთავრე.
სუფთა ჰაერზე ქალაქგარეთ მიმიხარია. დამპატიჟეს. ივნისის დილა.
თვრამეტის ვარ და დიდი ხნის უნახავი თანატოლები მიყვარს ბავშვურად,
განუსჯელად.
უცბად შევნიშნე, რომ ეს „ბავშვები“ სიტყვებს საღეჭ რეზინასავით
ატკაცუნებდნენ
და ერთ ენას მარჯვედ ურევდნენ მეორეში.
რა ქართველებად მოჰქონდათ თავი! რა მფარველობის ძებნა-ძიება!..
ოქროს საწმისით ხელში დასდევენ ყოველ სტუმარს და ავიწყდებათ —
რა მიიღო კოლხმა მედეამ! აქ რა დათესეს და ვერ მოიმკეს?
თუ სადმე მკიან, მკიან რამეს თუ — მათხოვრობენ?
განა ყველა, ვინც ჯვარს ატარებს და პირჯვარს იწერს, ქრისტიანია?
ეჰ! ვინ ცხოვრობს, ვინ კი ერთობა, მეორეჯერ აღარ გავყევი — საქმე
მაქვს-მეთქი.
„იმუშავე, გენაცვალე, იმუშავეო!“ — დაცინვით მითხრეს — „და გახსოვდესო
ჩვენთვის მუშაობ!“
„ჰო, ასეა— თქვა მეორემ — ვინც ბავშვობისას არ გვიყვარდა, არ ვიცოდით,
როგორ მოვქცეოდით,
ახლა კარგად ვიცით, როგორ მოვექცეთ, მაგრამ გვიანია.
და განა ვინმე არ გვიყვარდა? ჩვენ უბრალოდ გული გვტკიოდა...
გახსოვს ჩვენი საბავშვო ბაღის სურათები? კლასის სურათები?
აბა, ახლა დავდგეთ ერთად და გადავიღოთ.ბავშვობის შემდეგ ჩვენ გრძნობები
არ გვისწავლია,
ჩვენ გრძნობების გამოხატვა ვისწავლეთ მხოლოდ“.
„რამდენიც გინდა, გამოხატე! “ — იცინის მისი მეზობელი —
ო, ღმერთო, რატომ არ იცვლება ულამაზესი ლეგენდა გმირზე?
ლეგენდა მუდამ სისხლითაა დაწერილი და წერტილის ნაცვლად
ტყვიით მთავრდება.
აი, მივედით მუზეუმშიც და დარბაზებს ჩამოვუარეთ (მუზეუმი ერთი არ არის).
ისე ვიგონებ ყოველ დეტალს, თითქოს საცაა, ჩავერეოდე, რამეს შევცვლიდე,
თითქოს რამეს შევასწორებდე. ჩათრევას ჩაყოლა არ სჯობს.
ილიას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.
წყალნი წავლენ და წამოვლენო! განა მხოლოდ ილია დარჩა?
მაგრამ მე ვიცი, რომ ცოცხალია ილიას მკვლელი და ბევრი მკვლელი,
მაგრამ მე ვიცი, რომ ცოცხალია ბევრი მყიდველი და გამყიდველი.
მიიმალება... თვალსაც ვერ მოჰკრავ... ირგვლივ კი დღეა, მზიანი დღეა
და მერე რჩება ბალიშზე ტყვია, ჩვეულებრივი ბერდენკის ტყვია,
ტყვია რომელმაც ილია მოკლა.
არა ყოფილა არასდროს მჩატე საქართველოსთვის ნასროლი ქვები
და იმისთვის, რომ სიმართლე ჩანდეს, როგორ სჭირდებათ მარტოდენ
მსხვერპლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რჩეულთათვის ნასროლი ტყვია ბევრს ერგო, ვისაც სახელი ერქვა.
და მკვლელობებმა მეტი თქვა, დიახ, ვიდრე წიგნთა და არქივთა ქექვამ.
და კაცად მოკვდი, თუ მაინც კვდები, თორემ სიკვდილიც ველარ გიშველის.
ხომ ხედავ, დგანან ობელისკები, ვით განრისხების მძიმე ნიშნები
ამ ქვეყნად ყველას თავისი ადგილი აქვს.
ვერავინ ვერავის ვერ შეცვლის.
ტყუილსაც მოკლე ფეხები აქვს და მალე ირკვევა,
სად მეგობრობაა, სად — სხვა კავშირი: ისინი ხომ ბოლოს ერთმანეთსაც
დაერევიან ხოლმე.
რატომ არ უყვარს ბოროტს კეთილი? რატომ არ უყვარს მახინჯს — ლამაზი?
უგუნურს რატომ სძულს გაკვეთილი — პასუხს ვინ აგებს აბა, ამაზე?
გულღია კაცი ღჯუს რად არ უყვარს და ძუნწი გულუხვს რად ვერ ეწყობა?
რატომ ვერ შეძლებს კაცი საუბარს მასთან, ვისაც სთვლის წასულ
მეგობრად?
რატომ არ უყვარს უმეცარს მცოდნე? რატომ არ მოსწონს უნიჭოს ნიჭი?
რატომ ვერ ამჩნევს საკუთარ ცოდვებს და თვალს სტკენს სხვისი პატარა
ხიჭვი?
რატომ არ უყვარს ზარმაცს მშრომელი?
რატომ არ უყვარს ჩლუნგს — შემოქმედი?
ის რატომ უყვართ, მოკვდა რომელიც ცოცხალს კი რად ვერ იტანენ გვერდით?
მწიფე თავთავი თავს რატომ გვიხრის? ფშუტე თავთავი ცხვირს რატომ იწევს?
თანაც ქანაობს ისეთი რიხით, რომ ვერ აკავებს ვერც დრო, ვერც
სივრცე;
რატომ არ უყვარს მტყუანს მოწმე და მართალს რად უყვარს მოწმის
დანახვა?
ცილისწამებით ბრალის მოწმენდა კაცს ვინ ასწავლა? ღმერთო, სადა ხარ!
რატომ არ უყვარს რეგვენს ჭკვიანი? საკითხი ძველზე უფრო ძველია
და რაც არსებობს ადამიანი, პასუხი არ ჩანს, თუმცა — ელიან.
მემორიალური დაფა... ქუჩის სახელწოდება... ხშირად უნდა ვიაროთ ხოლმე
ისეთ ადგილებში,
სადაც გული გვეტკინება, რომ ბევრი რამის ფასი გვახსოვდეს,
იმათიც, ვინც არ დაბრუნდება აღარასოდეს.
ადამიანს ბევრჯერ სჭირდება დახმარება,
რომ გაიხსენოს — ადამიანია!
ოთახებში ჰაერიც კი გაქვავებულა მოკრძალებისგან.
შევყურებ პორტრეტს. ვერაფერს ვიტყვი. იგი თვითონ ამბობს ყველაფერს.
მთელი სახლი თითქოს პატრონის გამოჩენას ელოდებაო.
ტურისტები თავდახრით დგანან. ზოგი იწერს.
ყველას თავისი აგონდება, ყველას თავისი ჰყავს სატირელი.
სწორედ ამიტომ დგანან ჩვენთან ერთად, თუმც შეიძლება, მათ ამდენი არც
კი იცოდნენ.
ერთად, ერთად უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე არ განმეორდეს.
შუა ოთახში დგას მინის ყუთი, ყუთში — ბალიში
და ბალიშზე — ჩვეულებრივი ბერდენკის ტყვია.
ექვსკურსიამძღოლმა საჩვენებელი ჯოხი დადო და დასასრულს ამოიოხრა.
ისეთი სიჩუმეა, თითქოს სროლის ხმას ელიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს როგორ გრძნობთ სიკვდილის შემდეგ? მიწა ძალიან გემძიმებათ?
დაე, მსუბუქი ყოფილიყოს საქართველოს მიწა იმისთვის,
ვინც შეეწირა, ვინც მარტოდენ მას მიემატა!
გვაპატიეთ, ვინც ვერ გიშველეთ! გვაპატიეთ, ბატონებო!

ასწლოვანი მუხა ეზოში. გამვლელებს ზემოდან ათვალიერებს.
ზემოდან კი არ გვიყურებს, უბრალოდ — მაღალია!
ასეთ მუხას თუ ვერ მიწვდი, ქედმაღლობა არ დააბრალო, არ აჩეხო!
დედამიწა ხომ იმითაა მშვენიერი, რომ ზოგი მუხაა, ზოგი-ბალახი და ყველა
თავის საქმეს აკეთებს!
ფეხათრევით აბრძანდნენ ავტობუსში „მანდილოსნებიც", „ჰალსტუხოსნებიც".
ცოდვები დრომ ჩამოსწმინდათ, გაასუფთავათ,
საკუთარი დავიწყებიათ და ახლა სხვებს მისდგომიან,
არ შეარგებენ ახალგაზრდობას. მათ სულაც არ აინტერესებთ, ილიამ რა
დაწერა.
„ვეფხისტყაოსანიც" კი არა აქვს წაკითხული.
უფრო ილიას სახელი მოსწონთ და კიდევ ის, რომ ხვალ მოჰყვებიან
სად იარეს, ვისთან ერთად, ვის რა ეცვა, ვინ რა შეჭამა, ვინ ვინ შეჭამა.
ცოცხალ ილიას ალბათ წყალსაც არ მიაწვდიდნენ — ბევრი მტერი ჰყავს და
ვინმეს არ გადაგვკიდოსო, სიკვდილის ამბით და სეირით კი გაერთვნენ.
ლექსიც, თეატრიც, მუსიკაც მათთვის მხოლოდ გასართობია
და თუ კარგად ვერ გაართე და ჩაფიქრება აიძულე, ვაი შენს დღეს!
ესენი მკვლელობის დანახვაზე შეჰკივლებენ
და თვალზე ხელს აიფარებენ, მკვლელს კი არ ეცემიან.
აი, გასვენებაში კი ნამდვილად წავლენ! პრესტიჟულია იქ ვიშვიში და
გამოჩენა.
ადამიანები ერთმანეთს ვერ აფასებენ, საკუთარ მხსნელსაც ვერ აფასებენ,
სიკვდილი და დრო აფასებს ადამიანებს.
ღმერთო, მოგვეცი ისეთი თვალი, რომ მხსნელი ვიცნოთ
(თუკი მან მაინც ინება და მოგვევლინა, კაცთა მცნობელი)!
ერთ მხარეს დგანან ცოცხალი მკვდრები, მეორე მხარეს — მკვდარი ცოცხლები,
შუაში კი ვინ იტანჯება? ხმა ამოიღოს! ითხოვოს და მიიღებს
დააკაკუნოს და კარი გაეღება.
მხოლოდ მანამ უნდა მოითხოვდე სანამ არ მიიღებ
და მანამ უნდა აკაკუნებდე, სანამ არ გაიღება!

ბედნიერებას ვინღა ჩივის, გვიხარია, ცოცხლები რომ ვართ,
რომ დღეს მაინც გადავრჩით და ვმხიარულობთ:
გვინდა, სიკვდილი დავივიწყოთ, ხანდახან მაინც დავივიწყოთ!

ბევრი მოდის საგურამოში? არ დამითვლია.
საგურამო კი ერთი არ არის და არც მხოლოდ საგურამოშია.
რაც უფრო მეტი გაგვეცნობა, იქნებ, უფრო მეტს მოვეწონოთ.
კარგი ადამიანი ყველგან იმდენია, რომ ცხოვრება შეჯიბრი კი არ უნდა იყოს,
ერთმანეთის გაცნობა და ერთმანეთის დაფასება. მოდით, გავიცნოთ ერთმანეთი!
მოკლულთა ფონზე ცხოვრება უკვე სხვანაირად იზომება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც კი ხდება, ვინც ჩვენ გვიცნობს, სირცხვილისგან გვერიდება,
რადგან ახლა ახალს დაეძებს, რომ მიეტმასნოს, სანამ გაიცნობდნენ.
ადამიანს რომ ადამიანის არ ეშინოდეს და შეხვედრები ბრძოლის ველზე რომ
არ ხდებოდეს..

იქნებ, დავფიქრდეთ, რას შეუძლია, შეულახოს ადამიანს მისი სახელი?
იქნებ, დავფიქრდეთ, რით შეიყვარებს საქართველოს მისი მნახველი?
თბილისიდან საგურამომდე იგივე მანძილი უნდა იყოს,
რაც საგურამოდან — თბილისამდეა, მაგრამ გზაზე წიწამურია,
არც საგურამო, არც — წიწამური ერთი არ არის.
გისაუბრია მოკლულის ცოლთან ან დედასთან, გყოფნია ძალა?
მერე — რაო? ერთადერთი სიტყვა მასწავლეს:
ა რ ა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა ეხვაია

რაც რომ აფხაზეთში დამრჩა

მოთხრობები

ოტობაია

წართმეულ დედულეთს

ნოემბრის ენგური სუსხიან ტალღებს მოაქანებს. ერთ დროს მუდმივად ბობქარი მდინარე, კარგახანია, მერყევი ცხოვრებით ცხოვრობს-სადღაც, თითქმის სათავესთან, ორმხრივად მთებით შემოსაზღვრულს ელექტროსადგურის კაშხლით გადაუღობეს გზა. ეს იყო „დამკვრელური გიგანტური მშენებლობების ეპოქაში“ — უცხო თუ შინაური დუდუკ-ზურნის დამკვრელები რომ ბლომად იყვნენ და იმ დაკრულთა დაკრულებზე დავლურის მობუქნავენიც არ ჰყავდათ ცოტანი... ცოტა მხოლოდ ჭკუა და წინდახედულება იყო. წინ კი ის დაგვხვდა, რაც წინა-უკუ ხნულებად ვავლეთ... მას მერე ენგური ენგურს აღარ ჰგავს — კალაპოტშეცვლილი მდინარე პირველყოფილ გზაზე უმთავრესად გამეჩხერებულ-გაბლანტებული და ბაყაყებმომრავლებული ძლივს მოიზლაზნება... იშვიათად: კოკისპირული წვიმებისაგან აბობოქრებული ძველ კალაპოტს დაუნდობლად და ბრაზით ასკდება და ბელტებად შლის კიდეებმორყეულ ნაპირებს.

ამჯერად: ნოემბრის ენგური სუსხიან ტალღებს მოაქანებს. ახლა ენგური მრავალმხრივად საბედისწერო მდინარედ იქცა — მრავლისმომსწრე და მოწმე ჯერაც არნახულ ცოდვისტრიალში თვითონვე გახდა უპირველესი და უმთავრესი მოქმედი პირი...

ენგურსგაღმა: უკვე აღარაა საქართველო... ენგურსგაღმა: ჯერაც გაურკვევლობის ბურუსში ჩაძირული ქართული ტერიტორია ინთქმება ცეცხლში... ტანჯვაში... ღალატში... უცხო სტომაქში... შინაურთა აღვირახსნილობაში... შინაურულ სიბეცეში... ბედოვლობაში... მუდმივად მოწოლილ გარეშე ძალმომრეობაში... საერთაშორისო ამაო და არაგულწრფელ თანაგრძნობაში, რადგან ამქვეყნად ყველა ქვეყნის ძალაუფლებას მხოლოდ ძალაუფლების გავრცელების რადიუსის გაზრდა აინტერესებს და მარადიულია ეს საერთაშორისო ანგარიშიანი თამაში... ...

ენგური კი: მოედინება სახეცვლილი — და კალაპოტ ცვლილი რასაც კი ადამიანმა შეახო თავისი ბეცი გონება, რისი ღვთითგაჩენილი ბუნების შებრუნებაც მოინდომა, თვითონ ადამიანს უბრუნდება თავისივე სიბეცის სასჯელად, მაგრამ ადამიანი ბუნებაზე მბრძანებლობის იდეას შეუპყრია და... ღმერთი მას როგორ დაანებებს ასეთი სისულელის აღსრულებას?

ჯერჯერობით: ცვალებადია ენგურის ცხოვრება—როცა კაშხლის სარქველებს

ასწევენ, პირველყოფილი ჩვეულებრიობით უბრუნდება ძველ კალაპოტს... როცა გზას ისევ ჩაუხერგავენ, გამეჩხერებულ — გაბლანტებული და ბაყაყებმომრავლებული სულმღაფავად მოიზლაზნება ენებამოცარული...

ახლა: ენგურსგაღმა ჩამოსხეპილი ქართული ტერიტორიაა — აფხაზეთი... აფხაზეთის ტერიტორიაზეა ენგურჰესის სამართავი პულტები და ტურბინები, რომლებსაც მწვანეთასმიანები განაგებენ... ენგურსგამოღმაა კაშხალი და მისი მართვის უფლება: ჯერაც ვერ მორიგებულან ურთიერთმტრები ენგურჰესის მთლიანი ამუშავების პრინციპებზე და ენგურსგაღმა უმოქმედო ტურბინებსა და პულტებს განაგებენ... ენგურსგამოღმა: ტურბინების მსახურებისაგან გამოთავისუფლებული ენგური ძველ კალაპოტში აბობოქრებული მოედინება... იგი ზღუდეცაა მწვანეთასმიანთა შესაკავებლად... იგი დაბრკოლებაცაა საკუთარ სამშობლოშივე დევნილთათვისგაწამებულ ადამიანებს ადიდებულ ენგურში ტანჯვითა და წვალებით გადმოაქვთ შერჩენილი სარჩო-საბადებელი: უბრალო საოჯახო ნივთები... წინა შემოდგომიდან გამოზოგილი სიმინდი... გადმოჰყავთ საქონელი და ყოველივე: სიცოცხლის საფრთხის ფასად (სათავისოდ წინდახედულთა კატეგორიამ კი აფხაზეთი ადრევე მიატოვა და წამოსვლისას, ზოგიერთებმა, სხვათა ქონებაც „გამოაყოლეს ხელს...“ არც მარადიორთა არმია იყო გულხელდაკრეფილი). მწვანეთასმიანი პატრულები და მოთარეშე ჯგუფები ფხიზლად ადევნებენ თვალს ენგურსგაღმა ქართველთა ფარულ გადასვლებს. თუკი ვინმე იგდეს, ხელთ, ზოგი დატყვევებულისგან გამოსასყიდს მოითხოვენ (ფარულად: გამოღმა მყოფი ქართველებიც მონაწილეობენ „ტყვეებით ვაჭრობაში“ — ესეც სარფიანი ბიზნესი აღმოჩნდა ტვინგადაგვარებულთათვის)... ზოგს ცემით ასახიჩრებენ (უმთავრესად: გამოსასყიდის ვერმიმტანებს)... შემწინაღმდეგეებს ადგილზე ხვრეტენ...

ადიდებული ენგური მრისხანედ მოთამაშეებს მღვრიე ტალღებს და ამ ტალღებს შერწყმული ასეულ ათასობით გატანჯული ქართველის ცრემლი და სისხლი ამაოდ შეჰღაღადებს ზეცას... ამჯერად: ადამიანის უგნური ნება-ღა ზეიმობს დედინაცვლადქცეულ დედამიწაზე...

ენგურის ტანს შებინდების ბურუსი აწევს. გაცრეცილჯინსიანი და თბილ ქურთუკში სახეჩამალული ახალგაზრდა ქალი თხმელიანში ჩაწოლილი გაჰყურებს გაღმა ნაპირს. მთელი დღის მანძილზე რამდენჯერმე მოინაცვლა ადგილი: ძველი ნაბორნალი ვერ გამოდგებოდა-საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი იყო. არადა, ბორნის მავთულის გამოყენებით უფრო ადვილი იქნებოდა გაღმა გაღწევა. ახსოვდა: ბავშვობაში ბიჭები ტროპიკული ტყეების მაიმუნთა სიმარდით როგორ ერთობოდნენ ამ მავთულზე. თვითონაც: არაერთხელ გამოდევნებია იმათ თავქარიანობას — მართალია, სულ რამდენიმე მეტრზელა ჰყოფნიდა ძალა... ახლა: სხვა გამოსავლის ვერპოვნის შემთხვევაში, ნამდვილად გარისკავდა... ბავშვობის ტკბილმწარე მოგონებები მიაჩნდა საკუთარი არსებობის უპირველეს ქომაგად, საზრდოდ და თავშესაფრად... ის ბავშვობა გაღმა იყო გარჩენილი და იმ ბავშვობის ნაფეხურებს სოფლის ორღობესა და ენგურის პირას ახლა უცხო და მტრული ჯილაგების ერთიანი ძალმომრეობა შემაგინებელი ჩექმებით თელავდა, როგორც ქალწულურ ხელშეუხებლობას ჯგუფური მოძალადეები...

ახალგაზრდა ქალმა ნაცნობი ფონიც შეათვალიერა — ესეც უიმედო განზრახვა იყო — იმ ნაცნობ ფონთან ბოლოდროს სამშენებლო ხრეშს იღებდნენ ბულდოზერებით და ფონის კვალიც წაშლილიყო, ადიდებული ენგურის გამომითუმეტეს. ერთადერთი გამოსავალიღა რჩებოდა: თუნდაც ყველაზე ღრმა, მაგრამ უსაფრთხო ადგილას ცურვით გა-

ღწევა. ახსოვდა: ცურვით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა. ბავშვობისას ენგურზე აღამებდნენ და მაინც, მდინარის ტალღების შიში დიდხანს დამთრგუნველად მოქმედებდა — ერთხელ მოულოდნელად ჩააყვინთვინეს საბანაოდ შესულს და კარგახანი წყალი ზარავდა. სტუდენტობისას სცადა და ნაწილობრივ აღიდგინა ცურვის უცოდინრობით ხანგრძლივად დაკარგული სიამოვნება...

მთელი დღე გამოღმა ნაპირზე ნაბორიალევმა შესაფერისი ადგილი შეარჩია და შებინდებას უცდიდა. თხმელიანში ჩაწოლილი გარინდული გარემოს ფარულ რიტმს აყურადებდა. არემარის ძველებური სიმშვიდე მოჩვენებითი იყო. ეს მხოლოდ დროებით სიწყნარეს ჰგავდა. ადამიანის ბეცი გონების პირმშო: ჯავშნოსნებისა და საზენიტო ქვემეხების, სიკვდილის ხმაზე მოკაკანე ავტომატური უჯიშობების გაუმაძღარი მადა დროებით ისვენებდა და დაჩეხილ პეიზაჟებს, ადამიანთა ბედიღბალს, მათ გამეტებულ სულსა და სხეულს აცლიდა ახალ მსხვერპლად შემზადებას... სამყაროს უფაქიზეს, პირველყოფილ რიტმს თავის თვითნებობას უმორჩილებდა დენთი...

ახალგაზრდა ქალმა გვერდი მოინაცელა. ბალახის ღერო მოწყვიტა — კბილებით უწყო წიწკნა. თბილ ქურთუკში კიდევ უფრო შეიფუთნა. შეციებული ფეხები მოკუნტა და კვლავ გახედა გაღმა ნაპირს...

პირველკლასელი თაკარა მზეში სოფლის გზაზე მიაბიჯებს. სკოლის რუხი ფორმა აცვია. თეთრი გეტრები. ქერა თმაზე დიდი თეთრი ბაბთები უკეთია. მიდის სხვებთან ერთად — მთელი უბნის უფროს-უმცროსი გოგო-ბიჭები დილით ერთად იკრიბებიან და ერთად მიემართებიან სკოლისაკენ. გზადაგზა: ჯერაც შინ მყოფებთან გადაძახილ-გადმოძახილი... მეზობლის ჭიშკართან მდგარი წაბლის ხისთვის ტოტების შესხეპვა ქვებით... ღობიდან თხილის ან მანდარინის ნაყოფისთვის ხელისგადაწვდენა — ზოგჯერ სახელოს ზედ შეფხრეწაც... სიცილი... გამოჯავრება... გაბუტვა... კვლავ სიცილი... კვლავ თაკარა მზე... კვლავ შემოდგომა... ზამთარი... კვლავ სოფლის გზა... გზაზე: საბალახოდ გადენილი საქონელი... ჭიშკრებთან: ფუნის ასაკრეფად თოხმომარჯვებული ბიცოლა-ქალებისა და ბიძია-კაცების შემოხმიანება-შემოხუმრება... შუბლის მოჩრდილვითა და კითხვებით ვინაობის დადგენა... ეს და კიდევ მრავალი რამ არის ბავშვობა... სოფელი... ტკბილ-მწარე სევდა, რომელსაც დაუბრუნებელი წარსული ჰქვია... წარსული, რომელიც ტანჯვაში გადაიზრდება, როცა იმ შენს ბავშვობას... იმ შენს სოფელს... იმ შენს თაკარა მზით გათანგულ გზას ულმობელი სისასტიკით შეგიგინებს უგნური ნება...

ენგურის ტანს შებინდების ბურუსი აწევს. ახალგაზრდა ქალი იხდის თბილ ქურთუკს, რეზინის ბოტებს, ჯინსის გაცრეცილ შარვალს. მძიმე ქურთუკს ბუჩქებში მალავს. პულოვერსა და შარვალს სიგრძეზე გრეხს და თავზე ყაბალახურად კვანძავს. სუსხისგან აჟრჟოლებს. ფრთხილად მიიპარება ბუჩქებში. ჩადის ხრეშიან ნაპირზე. ხრეში სილაში მონაცვლეობს. სილა-ყინულოვან წყალში კოჭებამდე ჩადის. ტანზე ხორკლებს აყრის. ახალგაზრდა ქალი ცდილობს მდინარეში მთელი სხეულის სწრაფ ჩამალვას — სიცივის ატანამდე თუ ვერ მოასწრო ტალღებში მხრების ამუშავება, წინასწარშემცივნულზე კრუნჩხვებს ვერ აიცდენს... საცურაო აუზშიც ემართებოდა... წყლისადმი შიში რაღაც დოზით ყოველი შეხებისას დასაძლევი აქვს...

ნოემბრის ენგური ეწინააღმდეგება... ახალგაზრდა ქალი მხარულით მიაპობს მღვრიე ტალღებს. თავზე ყაბალახური კვანძი უჭერს. უშლის კისრის მოძრაობას — ჟანგბადის ჩასუნთქვა უგვიანდება. ფრუტუნებს. ყინულოვან წყალში სხეული უმძიმდება. ფეხზე შუათითები კრუნჩხვისმაგვარი გაშეშებით ღალა-

ტობენ. ახალგაზრდა ქალი გრძნობს მხოლოდ ყინულოვან წყალს და თავზე მოჭერილ ყაბალახურ კვანძს. საფეთქლების ტკივილი ახსენებს, რომ მისი არსებობა სხეულზეა დამოკიდებული... სხეულში ბინადრობს სულის მრავალხმიანი ნება, რომელიც ახლა ერთადერთ სურვილშიღა ცხადდება—ჩქარა... ჩქარა... ჩქარა... ნაპირზე... ნაპირზე... ნაპირ... ბოლო ძალდატანებას უნებლიედ გადაყლაპული წყლის დიდი ულუფა ერთვის... მთელი მონდომებით ძაბავს კისერს და წყლის ზედაპირიდან მაქსიმალურად თავაწეული ისუნთქავს ჟანგბადს. მერე: სახით წყალს ეხება და ნახშირორჟანგს წყალშივე აბუყბუყებს. ცვლის ცურვის სტილს ბავშვობაში „ბაყაყურს“ ეძახოდნენ და ყველაზე მდაბიურ სტილად ითვლებოდა. ახლა: არა აქვს არისტოკრატობის თავი. მთავარია: ჩქარა... ნაპირზე...

ფეხქვეშ სიმყარე იგრძნო. არ ენდოკიდევ რამდენჯერმე გაიქნია ხელ-ფეხი. აშკარა იყო: ნაპირი...

გალურჯებული და ხორკლებამობურცული ერთხანს მუხლებში ვერ გაიმართა. ყაბალახურმა კვანძმა კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ სხეული ჰქონდა და ამ სხეულში ბინადრობდა სულის მრავალხმიანი ნება. აძაგძაგებულმა ჩაიცვა ჯინსის შარვალი და პულოვერი. შიშველი ფეხები ენერგიულად დაისრესა. აჩქარება იყო საჭირო-წინასწარი გამოკითხვით იცოდა: მწვანეთასმიანებს მოსაზღვრე სოფელში ჰქონდათ შტაბი. აქ დროდადრო შემოივლიდნენ და თავიანთი ახალი საბრძანებლის შემოვლით კმაყოფილნი მალევე ‘ბრუნდებოდნენ’ უკან, თუკი რამე წინააღმდეგობას არ წააწყდებოდნენ...

ყველა ბილიკი ნაცნობი იყო. ეზოები და თხილნარები ისე ესაზღვრებოდნენ ერთმანეთს, რომ მიყოლებით გადაივლიდი ნახევარ სოფელს და თემშარაზე ვასვლა აღარც დაგჭირდებოდა.

გონების თვალით მთელ სოფელს გადასწვდა:

საჩიტაიო-საფაცურიო-სასექანიო-საბელიო-სასოტკილავო-საშონიო-სატაბალუო-საგაბელიო... უბნები და საგვარეულოები აღიდგინა... ბავშვობა აღიდგინა... დედულეთი აღიდგინა...

სახლების ნაწილი გადაეწვათ... ნაწილი უპატრონობით გავერანებულიყო...

ახალგაზრდა ქალი ეზოდან ეზოში, თხილნარიდან თხილნარში გადადიოდა... აღარ ჰქონდა: დედულეთი... მრთელი სამშობლო...

ბევრი აქაური მწვანეთასმიანების თარეშს შეეწირა — მამაკაცების ნაწილი პარტიზანულად ებრძოდა მათ... ცრემლები უკვე ნებაზე მიუშვა... გზადაგზა: ლამის ყველა ბუჩქსა და ყველა ხეს ხელისგულებით ეხებოდა — ეფერებოდა წართმეულ ყველა ტოტს... ყველა ფოთოლს... ბალახებში აუკრეფავად ჩარჩენილი თხილი გახურებულ ქუსლებზე კენჭებივით ჩხვლეტდა. ციტრუსების ბაღებში: ნაყოფს ტოტები დაეზნიქა— ახალ პლანტატორებს ჯერ ვერ მოესწროთ მოსავლის აღება... ფარულად გადმოსული მოსახლეობა უფრო მყარი ქონების გადაზიდვასაც კი იშვიათად ახერხებდა...

პატარა ფიცრული ოდა. ნალია. საღორე. „ბროლიას“ ჯიხური და პალოს გამობმული ცარიელი ჯაჭვი... უშვილო ცოლ-ქმარი საყოველთაო ტრაგედიამდე დიდიხნით ადრე მიიცვალა:

„ტატი დო პილა.

პილა დო ტატი.“

მოხუცი ცოლ-ქმარი საყვარლად ღიმილისმომგვრელი იყო თავისი სიმარტივითა და, ალბათ, ამის გამო-გულწრფელობითაც.

— პილა ბაბუ... უუ... —დასდევდნენ სოფლის ბავშვები მის ოთხთვალას და პილას ბებერ ფაშატზე ამხედრება არ იყო ურიგო პატივი...

— ვო დოდო... ოო... ვო ლუიზა... აა... ვო ამალი... ii... ვო მთვარია... აა... ვო ემირი... ii... — მრავალშვილიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლის ქალი მთელი დღე დაფანტული შვილების მოხმობას უნდებოდა...

— ირმა თუმა ისირია, — გაახსენდა ბავშვური გამოჯავრებები და გაახსენდა ამ გამოჯავრების ადრესატი — მეზობლის გამხდარი და დიდთვალება გოგო, ქერა თმა მართლა ისლივით რომ ეფინა საფეთქლებსა და კეფაზე...

გაახსენდა ყველა: ვის ეზოსა და თხილნარზეც გადაიარა... გაახსენდა ყველა: ვის ეზოსა და თხილნარზეც ვერ გადაიარა...

გაახსენდა ყველა: მთელი სოფელი...

ყველა სადღაც მიმოფანტულიყო: ზოგი — საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში... ზოგი — საქართველოდანაც გადახვეწილიყო... ზოგი —უგზოუკვლოდ იყო დაკარგული... თითო-ოროლა მოსახლე მტრის ნამალევად ბინადრობდა საკუთარ ოფლჩაღვრილ ეზო-ყურეში...

ზეიმობდა: დენთი და სიბეცე... ზეიმობდა: მოძალადეთა ჯილაგი...

რკინის ჭიშკარი სუნთქვაშეკრულმა შეაღო:

კოინდრიანი განიერი ეზოს ორივე მხარეს მანდარინის ასაკოვანი ბაღი იმზირებოდა. ბაღებს ეზოსგან დაფნის ცოცხალი ღობე ჰყოფდა ჭიშკართან: გულაბი მსხლის უზარმაზარი ხე გაყვითლებული ფოთლებისგანაც კი განძარცულიყო...

ისევ ბავშვობაში შებრუნდა და... ნიკაპზე ზოლად ჩამოწურული მსხლის წებოვანი სიტკბო ისევე აშკარად იგრძნო, როგორი აშკარაც იყო იგი იმ შორეულ ბავშვობაში...

გულაბის სურნელი დაჰკრავდა წარსულს...

ძელებზე შემდგარ ოდას გახედა — დარაბებგამოხურულსა და უპატრონოდ დარჩენილს ერთადერთი ბინადარიღა ჰყავდა: განუსაზღვრელი სევდა... ტროპიკული პალმის რიტმულ შრიალში თავის მრავალფეროვან წარსულსა და გამქრალ მომავალს მისტიროდა რიკულებიანი აივანი...

შუახნის ბიძა ტოტებგაშლილი ჯარალიოკების ჩრდილში ჩამომჯდარა. შვილები და დისშვილები გუნდურად ეთამაშებიან ნარდს. ბიძა გამუდმებით იგებს. მოწინააღმდეგეთა გუნდი ბრაზდება. ეძებს დამარცხების მიზეზებს. პოულობს: ბიძა თურმე ცუღლუტობს — ნარდის დაფაზე მაგნიტი აქვს უჩუმრად ამოკრული და თავის სვლაზე ასევე მაგნიტიან კამათლებს აგორებს... ამიტომაც: ზედიზედ ამდენი დუშაში... ბავშვები ესევიან და ფერება-ბრაზით ეჭიდავებიან... ბიძა ხმამაღლა იცინის და იგერიებს შვილებისა და დისშვილების გაერთიანებულ გუნდს...

ტკბილხმიანი ბიცოლა სადილად ეძახის ბავშვებს. ბავშვები: ტოვებენ ვაშლის ხეზე დაკიდებულ საქანელას და თხილნარიდან თავ-პირის მტვრევით გამორბიან. დროზე მისულს სიყოჩაღეს უქებს ტკბილხმიანი ბიცოლა. ეს კი ყველაზე დიდი ჯილდოა...

ძროხა ცოტას იწველება — ჭყინტი ყველი ძლივსაა ერთი მუჭა. ბიცოლა კეცზე აცხობს პურხაჭაპურს — ნახევარი გული ყველითაა გამოტენილი, მეორე ნახევარი — ცარიელი პურია. სადილად: ყველიან ნაწილს მულისშვილებს უყოფს, ცარიელა პურს — საკუთარ შვილებს. ბავშვები არ კამათობენ ამ გაუგონარ სამართალზე, არც უკვირთ და მშვიდად ილუკმებიან...

ნამტირალევი ბრუნდება სკოლიდან. შეთხვევით გადმობრუნებულმა სამელნემ თეთრი გეტრები დაუსვარა. ბიცოლა ხდის გეტრებს, ბანს ფეხებს. მეორე დილით: აცმევს ახალ, ქათქათა გეტრებს...

თხილნარის სიღრმეში შევიდა. ვაშლის ხე ჯერაც დგას. ოღონდ: ტოტებშეთხელებული. საქანელას კვალიც კი აღარაა..

რამდენჯერ დარწეულან ამ ხის ქვეშ ბიძაშვილ-მამდაშვილები... ბიძაშვილები ახლა უკვე ლტოლვილები... მოხუცი ბიცოლა — ამ ეზო-კარში ოფლჩანთხეული და აქაურობას გარჯაშელეული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ქალაქში, მისთვის უცხო ცხოვრების რიტმში-დარდისაგან შაკიკგაჩენილი... შუახნის ბიძა: სოხუმის დაცემამდე ორიოდე კვირით ადრე გარდაცვლილი — წლების მანძილზე ხელ-ფეხ დადამბლავებული და წუთისოფელზე ისედაც მომჩივანი... სოფლის სასაფლაოზე დაკრძალული და უპატრონოდ დარჩენილი მისი ცხედარიც კი ბორგავდა, ალბათ,.. ახალგაზრდა ქალმა ბიძის დატირება ვეღარც შეძლო: დედაქალაქიდან ვერ ჩამოაღწია — რიკოთზე მოძრაობა შეწყვეტილი იყო: სამოქალაქო ომის ტრაგიკომიკურმა მასხარაობებმა არათუ ცალკეული ადამიანების, არამედ მთელი ქვეყნის ისედაც გამრუდებული ბედ-იღბალი კიდევ უფრო გაამრუდა...

დაბორიალობდა. უმზერდა: ხეებს... ბუჩქებს... სახლებს... სოფელს... უმზერდა: წარსულს... გარკვეული იყო: ბავშვობა... სიყმაწვილე... გაურკვეველი— მოწიფულობა... მომავალი...

სადღაც, გულის სიღრმეში, ჩნდებოდა და თითქოს, მთელი სამყარო ექოდ უბრუნებდა სულ ახლახანამდე ულამაზესი დედულეთის ამჟამად უმოწყალოდ გადათვლილ სახელს: ო ტ ო ბ ა ი ა... აა...

ხმაურმა გამოაღვიძა — გათენებულიყო. ენგურსგამოღმა უკვე სასაზღვროდ მიჩნეული ქალაქი იღვიძებდა. იღვიძებდა მშობლების სახლი, რომელსაც ტრაგიკულად გარდაცვლილი დედამისი კარგახანია აკლდა... იღვიძებდნენ: შემოკედლებული ლტოლვილები — შორებელი თუ ახლობელი ნათესავები. ოჯახის ახალგაზრდა რძალი უსიტყვოდ დიასახლისობდა — ზამთრის მწირი ულუფა სათითაოდ ყველასთვის უნდა გაენაწილებინა და ღამის ჯადოქრობას ჰგავდა ყოველდღიური საუზმე-სადილ-ვახშამი...

ახალგაზრდა ქალი ლოგინში შეიშმუშნა. საფეთქლებში ამტვრევდა და სხეული ისე დამძიმებოდა, რომ მთელ ამ ტანჯვიან თავგადასავალში სიზმრისა და ცხადის ზღვარი ვერ გაერჩია... კარგახანია: სიზმარი და ცხადი ერთმანეთისაგან განუსხვავებელი გახდა ამ ახალგაზრდა ქალისთვისაც... ამ სახლის ყველა ბინადრისათვის... ასეულ ათასობით უსახლკარო და უმწეო ქართველთათვის...

ზეიმობდა: საყოველთაო სიბეცე... ქვეყნის სხეული და სული კი: ინთქმებოდა გაუმაძღარ უცხო სტომაქში...

ციებცხელებიანის ბოდვას ჰგავდა ნატვრა: ს ა მ შ ო ბ ლ ო...

მეტოქე

ცოლი რომ შევირთე, მის წარსულზე თითქმის არაფერი ვიცოდი, თუმცა, დიდი ხნის გრძნობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან. თაფლობის თვეები განმარტოებით გავატარეთ და მერეც თითქმის მარტონი ვცხოვრობდით. თანდათან გვეძლეოდა საშუალება, ერთმანეთს უკეთ გავცნობოდით. ის იყო შავთვალება, ბავშვურად მიამიტი გარეგნობის მიმზიდველი ქალი. სიჯიუტეს მიახლოებული ზუსტი აზროვნებისა და იმავდროულად, კრავივით თვინიერი სასიყვარულო ურთიერთობებში. მისი გულმოდგინების ადამიანი ნებისმიერ პროფესიას აითვისებდა სრულყოფილად და წარმატებებიც ექნებოდა ყველაფერში, თვითონ რომ ჩაეთვალა მნიშვნელოვნად საკუთარი უნარი და ნიჭი. მისივე თქმით, ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სიყვარული იყო და ქორწინებამდეც არაერთხელ უთქვამს:

—ქალისთვის ყველაზე კარგი პროფესია და ყველაზე დიდი თანამდებობა ეგაა: იყოს ცოლი, დედა, დიასახლისი... უბრალოდ, ქალი...

მე მის საერთო გონიერებასაც ვითვალისწინებდი და ვეუბნებოდი:

— შენისთანა ქალს მხოლოდ დიასახლისობა ვერ ეყოფა.

— მე არ ვამბობ, ქალი მხოლოდდამხოლოდ ქვაბების ხეხვა-რეცხვას უნდა მიაკვდეს-თქო. თუკი რამე სხვა, პროფესიული უნარიც ექნება, ქალს იმ უნარის გამოსაყენებლადაც უნდა ეცალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია, ყველაფერს ერთბაშად და სრულად გასწვდეს, — მე ქალების საზოგადოებრივ აქტივობას არ ვიწუნებდი, მაგრამ იმ აზრისა ვიყავი, რომ ძალთა გადანაწილება ქალებს უფრო უჭირთ ხოლმე, ვიდრე მამაკაცებს.

— სხვათა შორის, ეგ მამაკაცების ბრალია, — მპასუხობდა ჩემი მშვენიერი ცოლი და ასეთ დროს ჩვენი საუბარი ქალისა და მამაკაცის როლის ზოგადსაკაცობრიო განსაზღვრის რკვევამდე მიდიოდა.

მე ჩემი სქესის ადვოკატობას ვცდილობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ქალის არგუმენტები უფრო უახლოვდებოდა ჭეშმარიტებას: —ოჯახის, სახელმწიფოს, საერთოდ სამყაროს კეთილგონივრული მოწყობის ძირითადი სადავეები უმთავრესად თქვენს ხელშია. სწორედ მამაკაცები ვერ უვლით სამყაროს, სახელმწიფოს, ოჯახს იმგვარად, რომ ქალს მხოლოდ ქალად ყოფნისთვის ეცალოს და მას არსებობისთვის ბრძოლის მძიმე ტვირთი არ ჰქონდეს საზიდი. თუნდაც ჩვენს ქვეყანას შეხედე-სიღატაკის შემზარავ გარემოში მამაკაცები რამდენად უუნარონი და პასიურები არიან, „მარჩენალის“ ფუნქცია ქალებს გადაულოცეს და ტვირთმზიდავ მუშებად აქციეს ისინი...

ვერაფერს ვპასუხობდი. ქვეყნის მოუწყობლობამ მართლა აუტანელ დღეში ჩააგდო ჩვენი თანამემამულე ქალები და სავარაუდო იმედიც არ არსებობდა, რომ უახლეს დროში რამე შეიცვლებოდა მათ სასარგებლოდ. სიმართლე გითხრათ, ჩემს მამაკაცურ თავმოყვარეობაზეც ეს ზოგადი ტრაგედია დამთრგუნველად მოქმედებდა. ქვეყანაში, სადაც მატერიალური მინიმუმის მოპოვებაც ძალზე ჭირდა, ოჯახის შექმნაზე ფიქრი ზედმეტი იყო. უამრავი შეყვარებული წყვილი მხოლოდ ამის გამო რჩებოდა უერთმანეთოდ.

ჩემი მომავალი მეუღლე ჩემთვის ყველაზე ხანგრძლივი, დიდი გრძნობის საგანი იყო და უიმისოდ ფუჭი იქნებოდა ჩემი ცხოვრება. თვითონაც არანაკლები გრძნობებით იყო ჩემთან დაკავშირებული და მიუხედავად მომავლის შიშისა, მაინც დავქორწინდით.

ქორწინების მერე ახალი ძალით ვიპოვეთ ერთმანეთი და უფრო მეტად აღმოვჩნდით საერთმანეთონი, ვიდრე წარმოგვედგინა.

ერთი სიტყვით, გრძნობებისა და სულიერი თუ ფიზიკური სიახლოვის თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე გვქონდა. მხოლოდ მატერიალურის უქონლობა იყო შემაწუხებელი. შვილის შეძენამდე ესეც ასატანად მიგვაჩნდა. შვილი კი იგვიანებდა — ასაკით ბავშვებიც არ ვიყავით და ბუნებრივად სავარაუდო იყო ამგვარი გართულება.

— ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება, — ვეალერსებოდი სევდამორეულ ცოლს, რომელსაც თავისი ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში განსაკუთრებული სიმძაფრით სწყუროდა დედობა.

ძალზე ლაღი შეხედულებების მიუხედავად, ჩემი ცოლი საკმაოდ მისტიკოსიც გახლდათ. ამიტომ, პასუხისა ეშინოდა და სამედიცინო გამოკვლევაზე ვერ ვითანხმებდი. ისღა დამრჩენოდა, რომ ალერსი და სითბო არ დამეკლო და ჩემი რამდენიმე წლით უმცროსობის უპირატესობით დამეიმედებინა.

საერთოდ სიტყვაძუნწი კაცი ვიყავი, მაგრამ როცა ვითარება მოითხოვდა, სიტყვამრავლობაც შემეძლო ცოლქმრულ ურთიერთობაში ცოლის მოკრძალებიდან გამომდინარე, ხშირად მე მიწევდა სასაუბრო ინიციატივის გამოჩენა. მას ჩემი მოსმენა სიამოვნებდა და მეც ბევრ რამეს ვუყვებოდი ისეთს, რაზეც სხვებთან არასოდეს მისაუბრია.

ერთხელ რამდენიმე ეპიზოდი მოვუყევი აფხაზეთის ომში ჩემი მონაწილეობიდან. ეს ომი იმდენად უთავბოლო იყო, იმდენად ჰგავდა და არც ჰგავდა ომს, რომ ამ თემაზე საუბარს ვერიდებოდი. ცოლთან კი გავტეხე ნავსი-ეტყობა, ამ ომთან დაკავშირებული განცდებით დამძიმებული ჩემი არსება თავისთავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითხოვდა მათგან გათავისუფლებას. ცოლი ჩემი მონაყოლიდან ერთ-ერთმა ეპიზოდმა ძალზე ააფორიაქა და როგორც თანდათან დავაკვირდი, ჩემთვის გაურკვეველი სევდაც გაუჩინა.

თავად ეპიზოდი ლოგიკური და ჩვეულებრივია იმნაირი ომისთვის, როგორიც იყო აფხაზეთის ომი, სადაც, მონაწილეთა დიდი ნაწილი უშუალო ნათესავად ერგებოდა ერთმანეთს — ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლებიდან ნაწილი აფხაზობას იჩემებდა, ნაწილი კი ქართველი გახლდათ; ხშირად, შერეული ქორწინების შედეგად დედით აფხაზი ქართველი ან დედით ქართველი აფხაზი ბიძაშვილ-მამიდაშვილობის მადლსაც ივიწყებდა და ტყვიას არ ზოგავდა მოწინააღმდეგისათვის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ნათესაური სიახლოვის გამო ორივე ბანაკის ბევრმა წარმომადგენელმა საერთოდ აარიდა თავი ბრძოლას და ეს ჩათვალა ყველაზე სინდისიერ ნაბიჯად ასეთ ვითარებაში.

ამ ომის დროს მე გარკვეული სამხედრო წოდება მქონდა და საკმაოდ ხშირად მიწევდა საბრძოლო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება (თუმცა, ზემდგომი ჩინებისაგან იმდენად არადანმიმდევრული ბრძანებები მოდიოდა, რომ ძნელი იყო რამე სწორი არჩევანის დამოუკიდებელი უფლება მოგეპოვებინა). ერთხელ, ღამის გამოუღწეველ ალყაში მყოფებს, რამდენიმე რიგითმა ქართველმა მებრძოლმა მოწინააღმდეგის დატყვევებული ჯარისკაცი მომიყვანა. იმ ვითარებაში დაწვრილებითი რკვევის არც საშუალება იყო და არც აუცილებლობა. სიზუსტით ის დამამახსოვრდა, რომ ტყვე ჩემი მოგვარე აღმოჩნდა, ქართულის ბაიბურში არ იყო რუსულ-აფხაზურად მეტყველებდა. მახსოვს ისიც, რომ ვუთხარი, მე ქართველი ვარ და ჩემი მოგვარე აფხაზი როგორ აღმოჩნდი-თქო, მან ცეცხლაკვესებული თვალები მომაპყრო და მიპასუხა:

— Я таким родился и таким умру!

სიკვდილმა კი მართლა მალე იპოვა-ჩვენ ალყის გარღვევას ვცდილობდით და ტყვის ტარების საშუალება არ გვქონდა. ამჯერად სხვებმა მიიღეს საჭირო გადაწყვეტილება და მე ხელი არ შემიშლია.

ამ შემზარავი ომის სინამდვილიდან ჩემი მოგვარე მტრის ეპიზოდი განსაკუთრებული სიმბოლურობით იტევდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრაგიკულობას. თვითონ მე ამ ომში მონაწილეობის ფაქტმა მშვიდი ძილის უნარი დამიკარგა, თუმცა, იქაური ვიყავი და განზე განდგომის უფლებაც არ მქონდა...

უკვე ვთქვი, რომ ამ ეპიზოდის მოსმენამ ჩემი ცოლი ააფორიაქა და თავდაპირველად ეს მის გულჩვილობას მივაწერე. მერე, როცა რამდენჯერმე მთხოვა იმ აფხაზის გარეგნობის აღწერა და ვიგუმანე, რომ რაღაცას ამოწმებდა თუ აზუსტებდა, ვერ მოვითმინე და ჩავე-

— კი მაგრამ, ასე ძალიან რატომ გაინტერესებს მისი ვინაობა?

თავდაპირველად ვერ ვათქმევინე, მაგრამ როცა საკმაოდ გაღიზიანებულმა მკაცრად მოვსთხოვე, ატირებული მომვარდა, მკლავები მომხვია და მიამბო:

— სოხუმში ხშირად ვიყავი ხოლმე. მყავდა აფხაზი მეგობრებიც, ერთხელ მათთან გავიცანი ქერათმიანი, ცისფერთვალება ახალგაზრდა კაცი. ძალიან მალე მან გამომიცხადა, რომ ჩემი ცოლად შერთვა გადაეწყვიტა. მე ჩემს გრძნობებში დარწმუნებული არ ვიყავი და გადაწყვეტით არაფერს ვეუბნებოდი. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და რაც უფრო ვყოყმანობდი მე, მითუფრო მტკიცე იყო მისი გადაწყვეტილება — თუ ნებით არ დავთანხმდებოდი, უსათუოდ მომიტაცებდა. თავდავიწყებით მიხსნიდა, რომ მე მისთვის ბევრი შვილი უნდა გამეჩინა, სიყვარულითა და ერთგულებით დამეთრო მისი რთული ცხოვრება... მერე, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზებით, ის დააპატიმრეს. აფხაზეთის უთავბოლო ომმა კი საერთოდ აურია ადამიანებს გზა-კვალი. ის ჩემი თაყვანისმცემელი აფხაზი სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ შენი მოგვარე იყო, მხოლოდ რუსულ-აფხაზურად მეტყველებდა და სწორედ იმნაირი გარეგნობისა, როგორიც შენი აღწერილი ტყვე...

ქალი უღონოდ დაეშვა ტახტზე და სახეზე ხელები აიფარა.

მე თვალი ავარიდე. სიგარეტს მოვუკიდე და ფანჯარასთან მივედი.

შორს, ცისა და მიწის მოჩვენებით გადაკვეთასთან, ჩამავალი მზის უზარმაზარი დისკო სისხლისფრად ხასხასებდა და მრავალმნიშვნელოვნად გადმოჰყურებდა თავის მოურჯულებელ საბრძანებელს.

სიჩუმეს ქალის გულამომჯდარი ქვითინი არღვევდა. ის თავის შვიდი-რვა წლის უწინდელ მოუმთავრებელ გრძნობებს მისტიროდა და ხელიდან გამსხლტარი შესაძლო ბედნიერების აჩრდილს სინანულის ცრემლებით ალბობდა-შეუძლებელი იყო დაკარგულის დაბრუნებაც და ვარაუდების მოსასპობად, ჩემგან განწირული ტყვის ვინაობის დაზუსტებაც...

ცოლს შევხედე და მტკიცედ გადავწყვიტე: თუნდაც მუქარის ძალით, სამედიცინო გამოკვლევაზე დამეთანხმებინა და გულისმომკვლელი პასუხის შემთხვევაშიც, ჩვენი ურთიერთობის სითბო შემენარჩუნებინა.

ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებოდით ისეთნი, როგორებიც ჩვენმა ბედისწერამ მიგვიყვანა ერთმანეთთაან.

ბრენადა-იბერია

საფარიდან კარგად ჩანდა მოწინააღმდეგის საცეცხლე პოზიცია. სოფელი გორაკზე იყო. შორიშორ მდგარი სახლები ამ მხარისთვის ჩვეულებრივ მწვანეში იყვნენ ჩამალულები. ცა სადღაც, მაგრამ არც ისე შორს, ზღვის უსასრულობას დამხობოდა სარქველივით. უბრალო, საავდრო ღრუბლების სიმძიმეს დენთის ბურანი უფრო აპირქუშებდა. მოწინააღმდეგე არც ისე სულელი იყო, თავისი მოდგმის მოსახლეობა დაეცხრილა — უმრავლესობა ადრევე გაეხიზნათ. ზოგმა მერეც მოასწრო ეს. გახიზნული იყო მეორე მოდგმის მოსახლეობაც. პირველმეორეობა რა შუაშია (ეგ მერე გახდა სადაო) — ესენი იყვნენ აქ მთავარნი . უხსოვარი დროიდან. ახლა დარქმეოდათ ეპითეტი — მოწინააღმდეგე. ბოროტი ეპითეტი. სიბრიყვის მოლოგინებული — უცხოზე უცხო მოდგმის პირველი გამოჩენისთანავე გაჩენილი. ის უცხოზე უცხო აქაურობაზე გი...იჟდებოდა კარგახანია: «Прекрасный край солнечного Черноморя...» და სათავისოდ ეგულობდა... კარგახანია...

საერთო: ყველა გახიზნულს ერთადლტოლვილი ერქვა. ბევრს აღარაფრის იმედი დარჩენოდა. ერთადერთი, გაშმაგებით რომ ესწრაფვოდა შემზარავობის უფრო და უფრო მაღალ მწვერვალებს, უფრო კი, უღრმეს ქვესკნელებს, იყო დენთი — უგნურობის ლაღი ნებათანება. თვითდამკვიდრების დაუოკებელი სისხლიან-ცხედრიანი ჟინი. სხვაზე ზეაღმატებულობის დასტურის ძიება.

იჯდა საფარში. ზორბა სხეულით კუნძსმიწოლილი. სრული სამხედრო აღჭურვილობით. გამონაცადი სისტემის ავტომატისთვის მარჯვენა ჩაევლო. საიზოლაციო ლენტით გადაბმული ორი სათადარიგო მჭიდე ქამარში გაერჭო-მჭიდეების გადაბმა მოხერხებული იყო ბრძოლისას — დრო არ გეკარგებოდა და უფრო სწრაფად მოძრაობდი. ომში ყოფნა კი არა, სოლოლაკის აღმართის სწრაფად ავლაც აკრძალული ჰქონდა. გული, სერიოზულად აწუხებდა. ავტობუსიდან ჭონქაძეზე ჩამოსული მთელი საათი ვერ აღწევდა შინამდე. იქვე, მეორე მოსახვევამდე.

სიგარეტი მოუნდა. ესეც კარგახნის აკრძალული ჰქონდა.

წინადღით ბიჭებმა პრესა მოიტანეს. გასული თვის ლიტერატურულ გაზეთში თავისი გვარი ამოიკითხა: „გაცნობებთ, რომ მწერალმა..., რომელიც 23-ე ბრიგადის მე-3 ასეულის მსროლელია, ქა-

ლაქ სოხუმის დაცვისას, ფრონტის წინა ხაზზე მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიებისას, ასევე დივერსანტთა ჯგუფების უვნებელყოფისას, თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა, პროფესიულმა მებრძოლმა და ღირსეულმა მამულიშვილმა.

მე-3 ბატალიონის მეთაური...
23 აპრილი 1993."

ქების სვეტი რომ ჩაიკითხეს, ორი კოლეგა ქალი შეძრწუნდა:

— ის, თავისი გულის პატრონი...ომში?

მეორე:

— ისედაც საცოდაობაა, ჩვენი ინსტიტუტის სადარბაზოდან გასული კაცი ამ ომს სჭირდებოდეს. ის — მითუმეტეს.

კოლეგა ქალებმა: იბერიულ-კავკასიური ნათესაობის საკითხებზე მისი შეხედულებები გაიხსენეს.

ისევ პირველი:

— საერთოდაც, იმის გაკეთება დაგჭირდეს, რაც ზოგადად ადამიანურს ეწინააღმდეგება...

ღრუბლებმა მიიწ-მოიწიეს და მზის ხანმოკლე სხივებსაც დაადგათ საშველი. კარგად შენიღბული საფარის ჩრდილსაც შეუჩნდნენ ცოტახნით. მსროლელმა საათს დახედა. შუადღე ახლოვდებოდა. სადღაც, მაგრამ არც ისე შორს, ზღვის უსასრულობა ხმაურობდა. საფარში მყოფამდე ყურსმიდებული ნიჟარის შხუილივით აღწევდა. ლორკა გაახსენდა. უყვარდა მისი ლექსების კასტანიეტების ქარიშხალიც, ინტიმური ვნებათსიმაძღრეც, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც: „გრენადა, გრენადა, გრენადავ ჩემო!" უსასურველესი ქალის ბარათმა კი საშინლად დაზაფრა. მოსვენება დაუკარგა: „ორი დღეა, ფრაზად ჩამოყალიბებულ შენდამი ჩემს ამჟამინდელ დამოკიდებულებაზე ვფიქრობ, მახსოვს ცხედრების დანახვაზე გულისრევას ვეღარ იხშობდი. გინდ ერთი კაცი მოგიკლავს, გინდ ასი. გინდაც მტერი და გინდაც — მტრადქცეული მოყვარე. ამაზე დიდი ცოდვა რა უნდა იყოს. თუკი ამბობენ, რომ ყოველთვის უნდა არსებობდეს ის, ვინც განაჩენს არ გამოიტანს, ერთერთი ასეთი — (თუ ერთადერთი არა) შემოქმედი არ უნდა იყოს?.. და ის ამოჩემებული ფრაზაა: ჯერაც გული გერევა, თუ უკვე პროფესიონალი მკვლელი ხარ?.."

ნიჟარამ განაგრძო შხუილი. კეფას გაუერთგულდა. მსროლელს გულისკოვზთან მოადგა რაღაც შემაწუხებელი. იმდენად შემაწუხებელი, რომ ერთი პირობა, თითების მოშველიებაც კი იფიქრა შეგრძნებისაგან გასათავისუფლებლად. რამდენიმეჯერ ღრმად ჩაისუნთქა. ნესტოებით. პირით ამოსუნთქვის პროცედურა გაახანგრძლივა და მალე გულისკოვზმაც თავი დაავიწყა.

— შვილო! — ეს ინდოევროპელია და უფრო შორებელი... ეს: იბერიელ-კავკასიელი და უახლოესზეუახლოესი ქართველებივით: ამათაც არ გააჩნიათ სხვა სამშობლო-მიწა-ტერიტორია... — მოზრდილი ბიჭუნა მამის პიროვნულ-პროფესიული დაკვირვებების დასკვნებს გულმოდგინედ უსმენდა...

ახლა კი: მსროლელისათვის სხვებზემეტად ძნელი იყო სნაიპერის ლულიდან დაფრქვეული სიკვდილის ჟინით სწორედ იმ „იბერიელ-კავკასიელი უახლოესზეუახლოესის" გაგორებული თავების დათვლა...

„იბერიელ-კავკასიელი უახლოესუზენაესის" უსაფუძვლო პრეტენზიების სტომაქი კი: ორი აბორიგენი მოდგმის გაგორებულ თავებს ითხოვდა...

მზე უკვე საფუძვლიანად გამოჩნდა. ირგვლივ კვლავ სიჩუმე იდგა. მოწინააღმდეგეს, შეიძლება, დღეისთვის აღარც ჰქონდა რამე სერიოზული ჩანაფიქრი. ხანმოკლე და უმნიშვნელო გასროლგამოსროლა უკვე აღარც იყო სათვალავში ჩასაგდები მთელი ეს ომი ხშირად გავდა ორი მამლაყინწის გულგამაწვრილებელ ძიძგილს. ხიფათის სიღრმე მაშინდა

შიშვლდებოდა, როცა მოწინააღმდეგის მფარველი დიდუსაზღვრომგლურმადიანი მეზობელი თავის ქვეშევდრომს გალიისბინადარი მხეცივით გულიანად შეუჩხიკინებდა, გესლისფრქვევისათვის შეამზადებდა და თვითონ მოთვალთვალედ განზე გადგებოდა. მსროლელს დიდი გველეშაპის ეპითეტიც აღიზიანებდა, თვითმარქვია: Миротворческие силы!— ირონიულად ეცინებოდა — როგორ შეიძლებოდა, ერთმანეთს შეთავსებოდა: мир+творчество+силы... ეპითეტის ადრესატის ბუნებაში არასოდეს შეთავსებია და არც შეუთავსდებოდა. ეპითეტს კი მუდამ იჩემებდა და მუდამ დაიჩემებდა კიდეც. თავისი რაოდენობრიობა უკვირდა. ეხმარებოდა დიდ მადასა და სიგლუვეში. აარხეინებდა სხვათა ღირსებისადმი...

მსროლელმა ახლა საბრძოლო ჭოგრიტით მოათვალიერა არემარე. დიდხანს შეაჩერა მზერა კიპარისებზე, რომლებიც სადღაც, მაგრამ არც ისე შორს, ირხეოდნენ და ზღვისა და ცის მხრებგადაჭდობილი სილურჯის ახშირებული სუნთქვა მოჰქონდათ მსროლელამდე. ყურთან თითქოს ნიჟარა უშხუოდა. ნიჟარაში თავისივე, თითქმის მიამიტური ფრაზები ესმოდა: „თქვენ შეგიძლიათ, არ დამეთანხმოთ, მაგრამ ეს საკითხები იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი მგონია“. აღიდგინა კოლეგების სახეებიც, რომლებიც მისი სადისერტაციო თემის თეზისებს წინასწარ გაეცნენ. ნიჟარა არეული მრავალხმიანობით შხუოდა. უსასურველესი ქალის სიტყვები რეფრენივით მეორდებოდა...

დაიღალა. წამოდგა. გიმნასტურა გაისწორა. საათს დახედა. დრო იყო, სათვალთვალო ადგილი დაეტოვებინა. მანამდე: შემცვლელი უნდა შეემოწმებინა თუ ადგილზე იყო, შემცვლელს საპაროლო ნიშანი უნდა მოეცა. ჭოგრიტით ჩაიცქვდა შემცვლელის საფარად მონიშნულ ადგილს. საპაროლო ნიშანი ადგილზე იყო.

მსროლელმა ფრთხილად იწყო უკანდახევა. ზორბა სხეულის მიუხედავად მოქნილად მოძრაობდა. ზედმეტი ტოტიც არ გაუნძრევია...

სამხედრო პატაკის მერე ცოტა დრო ძილისთვის მოიტოვა. გვერდი რამდენიმეჯერ მოინაცვლა. ნიჟარა კვლავ შხუოდა. თავისი სხვა ფრაზებიც წამოუტივტივა, ხან, კოლეგის გასვენებაზე თქმული:

— ამ ომის დამთავრება არავის აწყობს და არც როდისმე დამთავრდება...

ხან, ახლობლებთან დამშვიდობების სცენას დაუბრუნა. რამდენიმე დღით შვებულებაში მყოფმა გული იჯერა ნაცნობი თბილისური პეიზაჟებით, რომლებიც, თვითონაც ჩამუქებულნი, საიმედოს ჯერჯერობით არაფერს შეპირებიან...

გამომგზავრებისას მანქანის მინა დასწია. ხელი დაუქნია გულაჩუყებულ-გამცილებლებს და უკვე შორიდან დაუძახა:

— ბოლო ფსოუსთან იქნება, ფსოუსთან...

მბორგავმა თვლემამ ქუთუთოებს მაინც გამოაცალა სიფხიზლის საყრდენი. მთვლემარის არათანაბარი სუნთქვა ძალიან ჰგავდა ნიჟარის ასეთსავე მრავალხმოვან შხუილს...

აჩიკთ

აჩიკოს ერთ საათში გაასვენებენ. გოგომ თითქმის არაფერი იცის მასზე. დანამდვილებით ცნობილია ერთი: ძალიან რთული ცნების — სამშობლოს — დღევანდელ აწეწილ ყოფნას აჩიკოც ემსხვერპლა, ერთი კვირაა. ქვეყანა, კარგახანია, სისხლისგან იწრიტება. ხან თბილისი... ხან ზუგდიდი... ხან ფოთი... ხან ხონი... ხან სამტრედია... სისხლი... სისხლი... სისხლი... ბიჭები... ქალები... ბავშვები... კაცები... მოხუცები... ბევრნი... ყოველდღე... ესეც: ა-ჩ-ი-კ-ო... გოგომ თითქმის არაფერი იცის მასზე...

დაიქცა სოხუმი, წაიქცა, წავაქციეთ, გავიხარეთ,ვიზეიმეთ, შევძრწუნდით — ვინ როგორ შეეგებეთ, მოდური გამოთქმის — ინტერესთა სფეროს მიხედვით... დავთმეთ ქვეყნის ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი. ჩამოგვასხიპეს. ჩამოვისხიპეთ. ჩვენ კი შევძრძუნდით. ჩვენ კი გავიხარეთ. ვინ როგორ-ინტერესთა სფეროს მიხედვით: ზოგს საკუთარი აღზევებისთვის გვაქვს სული გაყიდული... ზოგს საკუთარი დამდაბლებისაგან გვაქვს სული გაყიდული... ზოგს საკუთარი დამდაბლებისაგან გვაქვს სული შეძრწუნებული...

ლტოლვილები — საკუთარ ქვეყანაში დევნილები... უღელტეხილის ზიგზაგები ნთქავენ სიცოცხლეს: ეცემიან მისავათებული ქალები... ბავშვები... მოხუცები... სვანეთი პირქუშობს: ამინდი პირქუშობს... ადამიანები პირქუშობენ... ბიბლიური აპოკალიფსის სცენები გვიახლოვდება... მოვიახლოვეთ... ვძრწუნდებით... აქა-იქღა ელავს სიკეთე... ზოგნი მაინც სიხარულით ვხარხარებთ, აღტაცებით, გაშმაგებით, კმაყოფილნი, ბედნიერნი: „ესეც ასე, ხომ დამარცხდა მთავრობა!..“

სამშობლო კი არასოდეს არაა მთავრობა... სამშობლო კი არასოდეს არაა ხელისუფლება... სამშობლო ყოველთვის სხვა რამ უფლებაა: სამშობლო ეს ლტოლვილებია... სამშობლო ამ სამშობლოში სამშობლოს მონატრების ტრაგიკული განცდაა.. სამშობლო ეს უღელტეხილია... სამშობლო სხვა რამ უღელია: ლაჩრობა — ვაჟკაცობის არჩევანია... ერთგულება — ღალატის არჩევანია... „მე“ თუ „ჩვენ“ არჩევანია... ჯერჯერობით უმთავრესად გაისმის: მე! მეე! მე... მე... მაგრამ: არსებობს „ჩვენ“ — დიდი და დაუშლელი მთლიანობა, სულიერად დაუშლელი შეგრძნება ღირსებისა, ისევ ადამიანებში განფენილი: კაცებში... ქალებში... ბავშვებში... მოხუცებში... ახლა თითქმის ყველა თანაბრად დაბერებულია...

აჩიკოს ერთ საათში გაეცინებინ: გოგომ თითქმის არაფერი თქვა. მასზე დანამდვილებით ცნობილია ერთი: ძალიან რთული ცნების — სამშობლოს — დღევანდელ აწეწილ ყოფნას აჩიკოც ემსხვერპლა ერთი კვირაა...

რამდენიმე წლის წინათ ერთად იმგზავრეს. ცხრა აპრილის მომდევნო უახლოესი დღეები ბობოქრობდა. აჩიკო დედულეთში მიდიოდა. გოგოსთვის ის ქალაქი მშობლიური ქალაქი იყო, იქ დაიბადა და იქ ცხოვრობდა. მაშინ უკვე ხმამაღლა საუბრობდნენ რთულ რამეებზე: იმპერია დაინგრევა... თავს დავიხსნით... ეროვნული მოძრაობა ზენიტშია... ყველაფერი გონიერებაზეა დამოკიდებული ავტობუსშიც ეს იყო საუბრის ძირითადი თემა. მაშინ ჯერაც საუბრობდა ყველა. კამათი მერე დაიწყო, გამძაფრდა, გამწვავდა, ურთიერთშეუწყნარებელი გახდა სხვადასხვა აზრი-ქედმაღლობამ იმძლავრა, აღზევდა, კატეგორიულ მოთხოვნანა-მოთხოვნილებად იქცა და... და-იქცა ქვეყანა... ეს მერე. იმდროინდელ საუბრებში ჯერაც მხოლოდ მსჯელობები იყო: ყველაფერი კანონზომიერია... შეუქცევადი პროცესებია... ამდენი ხნის დამონებული ხალხები გათავისუფლდებიან... იმპერია დაინგრევა ავტობუსშიც ეს იყო საუბრის ძირითადი თემა...

აჩიკო გახლდათ მაღალი. გამხდარი. ყმაწვილურულვაშებიანი. იჯდა ავტობუსის წინა რიგში. მარჯვენა მხარეს. დროდადრო ადგილს უთმობდა ფეხზემდგომებს. საუბარს გულისყურით უსმენდა და დინჯად მონაწილეობდა:

— იმპერია დაინგრევა, მაგრამ მთავარია, ჩვენ არ მოვყვეთ იმ ნაგრევებში, — უკვე მაშინ იყო ეს სიბრძნე ფრაზად ფორმულირებული... ფრაზად დარჩა. დავტოვეთ... მოვიყოლეთ ნანგრევებში თავი...

სავარძლების რიგრიგობით დათმობების შედეგად აჩიკო გოგოს გვერდით აღმოჩნდა. დაინტერესდნენ ერთმანეთით. აჩიკომ გოგოს შემოქმედებითი ინტერესები რომ გაიგო, გაიკვირვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერედა, რა გინდა პროვინციაში?

— რატომ, ყველგან შეიძლება ჯანსაღი ყოფიერებით ცხოვრება.

— კი, მაგრამ, გარკვეულ დრომდე ადამიანს განსაკუთრებული გარემო სჭირდება. მერე შეიძლება, ბევრი რამ შეძლოს. მე ჯერჯერობით არ ვიცი, მერე კი, შეიძლება იურისტი გავხდე...

— იურისტობაზე განსაკუთრებით მაშინ ოცნებობენ შენხელა ბიჭები, როცა უსამართლობის ნიაღვარს შეასკდებიან.

— ასეც იყო, ცხრა აპრილის დღეებში თავს ძალიან უმწეოდ ვგრძნობდი. ჩემს თვალწინ ადამიანებს ჩეხავდნენ, მე კი არაფერი შემეძლო. თუმცა, დუბინკას იქაც ვერ გამოვიყენებდი. მე გონების სამართალი მირჩევნია.

გზა არ ილეოდა და სხვადასხვა რამეებზე საუბრობდნენ. საკმაო ხანს — ლიტერატურაზე. აჩიკომ ცნობილი მწერალი დაუსახელა — თუ იცნობო. გოგოს გაეცინა:

— ვიცნობ, მაგრამ არ მიყვარს.

— მამაჩემია, — ღიმილით შეხედა აჩიკომ.

— ვაიმე, უკაცრავად, — უთხრა გოგომ და ყმაწვილი შეათვალიერა:

— ნაწარმოებებს არაფერს ვერჩი, თვითონ პიროვნებას ვერ ვეგუები.

— არა უშავს, განა ყველას ყველა ეყვარება, — აჩიკომ შეიწყნარა გოგო.

— ყველას ყველა არასოდეს ეყვარება, მაგრამ სიძულვილი ცუდია. დათმენა ყველასი შეიძლება, — გოგო ზოგად მსჯელობაზე გადავიდა, — ბევრი ვინმე არ მომწონს, მაგრამ სიძულვილი არ შემიძლია.

აჩიკო დაეთანხმა:

— სიძულვილი ყოველთვის ანგრევს კარგს. დანგრევის მიდრეკილება უკვე ჩანს ჩვენს მისწრაფებებში: მიტინგებზე ცუდთან ერთად კარგის დაგმობაც ხშირია... და საერთოდაც...

დედაქალაქიდან გამომგზავრებული ავტობუსი ცხენისწყალს გადადიოდა. ზაფხულის ცხელი დღე იდგა. მდინარეზე პირას ბავშვები გრილდებოდნენ. ბოლოფული კაცები თევზაობდნენ. ზოგი მუხლებამდე წყალში იდგა და საკუთარ მანქანას გულმოდგინედ რეცხავდა... მშვიდი და წყნარი, იდილიური სცენები უხვად იყო გზადაგზა,, დედაქალაქიდან ერთ-ერთი პროვინციის ერთ-ერთ ქალაქამდე. ის ქალაქი აჩიკოს დედულეთი იყო. გოგო კი იქ დაიბადა და იქ ცხოვრობდა.

მგზავრების ნაწილი საზურგეს მიყრდნობია და თვლემს. ნაწილმა უკვე მოასწრო თვალის მოხუჭვა და საკმაოდ მხნედ ათვალიერებს შემხვედრ არემარეს. აჩიკოსაც მოერია თვლემა. გოგოც საზურგეს მიყრდნობია. თან, გრძნობს ყმაწვილური თვალების ცნობისმოყვარეობას და მათ ავლა-ჩავლას მოღიავებულ მხრებსა და გულისპირზე. კონწიალა საყურეებზე თითს გაკვრა იგრძნო:

— გიხდება.

გოგომ გაიცინა და ყმაწვილს ლამაზად დავარცხნილი ქოჩორი ჩამოუშალა.

აჩიკომ ავტობუსის სარკმელი გადასწია და ნიავს შეუშვირა სახე. ავტობუსი ვრცელ ტრასაზე მსუბუქად მიირწევა. მგზავრები უკვე აღარ საუბრობენ. გახშირდა გაჩერებები და ჩამსვლელებიც მომრავლდნენ.

აჩიკო და გოგო ისევ გვერდიგვერდ სხედან:

—მოუხერხებელი საზურგეა, არ შეიძლება, მხრებზე ჩამოგადო თავი?

გოგო მშვიდად შეხვდა აჩიკოს მორიგ შეუპოვრობას:

— შეიძლება მოხერხებულად მოკალათება, — უთხრა და საზურგეს გადასაწევ ღილაკს თითი მონდომებით დააჭირა.

— გმადლობ, — უპასუხა აჩიკომ. კოხტად მორგებული პიჯაკის კალთები გაისწორა და საზურგეზე გადაწვა.

ავტობუსი ნელნელა უახლოვდება მარშრუტის ბოლო პუნქტს. უფრო გახშირდა გაჩერებები. შევიდნენ ქალაქის

გარეუბანში. შესასვლელში ჯერაც ძველი პლაკატი ჰკიდია:

Добро пожаловать в Зугдиди!

ეს ქალაქი აჩიკოს დედულეთია. გოგო კი აქ დაიბადა და აქ ცხოვრობს. მოახლოვდა გოგოს გაჩერება. ავტობუსი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე შეჩერდა. გოგომ ბარგი აკრიფა. აჩიკო შეეშველა. ბოლოს ყვითელი ჩალის ქუდი მიაწოდა — თავზე ჩამოაფხატა და ლოყაზე აკოცა-შეუპოვრობის მცირე შედეგი მაინც მოიმკო:

— მე მომდევნო გაჩერებაზე ჩავდივარ, — ყმაწვილურ ულვაშებზე გადაისვა თხელი ბიჭური თითები და გაღიმებული თავისი სავარძლისაკენ გაბრუნდა.

გოგო ჩავიდა...

ასე შემთხვევითი გაცნობის მერე აჩიკოსი არაფერი სმენია. ორი დღის წინ კი ტელეეკრანზე მოჰკრა თვალი ნაცნობ სილუეტს — დიქტორი ნეკროლოგს კითხულობდა: ხონის მისადგომებთან სამთავრობო ჯარებზე ექსპრეზიდენტის მომხრე უკანონო სამხედრო ფორმირების თავდასხმისას დაიღუპა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი არჩილ...

გოგოს აჩიკოსი სხვა არაფერი სმენია. აჩიკოს ერთ საათში გაასვენებენ. ჭირისუფლების გახევებულ სახეებსა და სამძიმარზე მოსულთა ჭრელი ნაკადის ფონზე გოგო შემაძრწუნებლად გრძნობს საკუთარ უმწეობას თავისი ქვეყნის აწეწილი ყოფნის გამო... ხელში მინდვრის ყვავილები უჭირავს, დაბნეული უმზერს სარქველდახურულ კუბოს და ცდილობს წარმოიდგინოს უკვე დავაჟკაცებული აჩიკო... ყვავილებს თავთით ულაგებს და სწრაფად გადის — კიდევ ერთი ყმაწვილის გასვენებას უნდა მიუსწროს თბილისის სხვა უბანში...

იქ: ლტოლვილთა მაშველი ვერტმფრენის აფეთქებისას დაღუპულ ალპინისტს დასტირიან... გოგოს ნაცნობ-მეგობრები თვითონ ირჩევენ ურთიერთსაპირისპირო ნაპირებს... გოგო კი: ყველას თანაბრად გლოვობს — ყველა-მის ურთიერთობებსა და სიცოცხლეს აკლდება...

ალილო

— შტაბს უტევენ, უკან დავიხიოთ!— თანამებრძოლებს გასძახა სხვებზე გამოცდილმა მებრძოლმა და ავტომატს ახალი მჭიდე მოარგო.

— მაგათი დედა ვატირე... წუხელ იმდენი ტყვია-წამალი დაგვახარჯინეს! — აბუზღუნდა ხელყუმბარის ამარაღა დარჩენილი მეომარი და სხვებთან ერთად უკუიქცა. თვითონაც არ იცოდა, ვისი დედის ტირებას უფრო ნატრობდა — მტრისა თუ იმ ბრძანების გამცემისა, ღამის ათ საათზე ყველა სახის იარაღიდან ათწუთიანი გაბმული სროლა რომ მოითხოვა მტრის განლაგებისაკენ. დილის ოთხი საათისათვის ალყაში მოქცეული ბატალიონი კი ჯერაც არ იყო ტყვია-წამლით ბოლომდე უზრუნველყოფილი.

შტაბისკენ დახეულებს მტრის ტყვია ფეხდაფეხ მოსდევდათ.

— ბიჭებო, აქ გავმაგრდეთ, მეტი უკანდახევა საშიშია! — სხვებზე გამოცდილმა მებრძოლმა ტოტებგაფარჩხულ კუნძთან ჩაიმუხლა.

დეკემბრის უთოვლო სუსხი სახეში სცემდათ ცივი ჰაერის სიმძიმეს დენთის სუნი შეზავებოდა და ადამიანთა ავბედითი ჟინის მოწმე ზამთრის პეიზაჟი არიტმიულად სუნთქავდა.

მებრძოლები ადგილმდებარეობისა და საბრძოლო წესების შესაბამისად განლაგდნენ — უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ, ოცი-ოცდაორი წლისანი, ამ კუთხის მკვიდრნი და მტრისაგან შემოდავებული მიწა-წყლის რიგითი შვილები. ისინი, ვისაც დაჟინებით სწყუროდათ ძალაუფლება, ხელისუფლება, ხალხისა და ქვეყნის ბედის წარმართვის უფლება, იერარქიულ კიბეზე იდგნენ და ერთმა-

ნეთს ეცილებოდნენ ალმატებულ საფეხურებზე აღწევაში.

ამასობაში, რიგითი შვილები ეწირებოდნენ ეთავბოლო ომის არათანმიმდევრულ საომარ მოქმედებებს. რიგითი შვილები უფრო ახლოს იყვნენ ცნებასთან: ს ა მ შ ო ბ ლ ო. ქვეყნის ბედ-იღბლის უკულმა ტრიალს ისინი უფრო ხელშესახებად გრძნობდნენ და ასეულ ათასობით რიგითი შვილის აწეწილი ცხოვრება ცას შეჰღაღადებდა სიმშვიდის ამაო მოლოდინში.

— ერთი, ალილოზე ჩამოგვატარა ახალ წელს! — ხელყუმბარის ამარაღა დარჩენილი მეომარი სხვებზე გამოცდილი მებრძოლის შორიახლოს მიწაზე გაწოლილიყო და დროებით ჩამოვარდნილ სიჩუმეში გარემოს აკვირდებოდა.

დეკემბრის უთოვლო სუსხი მებრძოლებს სახეში სცემდათ და ზამთრის ჰაერს შეზავებული დენთის სუნი სადღაც სიყმაწვილისკენ აბრუნებდა ამ მეომრებადქცეულ ბიჭებს...

სოფლის ოდა-სახლების საკვამურებიდან აჭრილი კვამლი სათოვლოდ ჩამობურულ ცას იდუმალ რიტუალში ითრევდა — წინასაახალწლო სამზადისით გართული ადამიანების ხმები ზამთრის ხეების ხიზანი ბელურების ჟივჟივს, სარიტუალოდ გამეტებული ქათმების კრიახს, გოჭების ჭყვიტინსა და ინდაურების გურგურს ერთვოდა და ყველაფერი ერთი დიდი ქოროს საზეიმო მრავალხმიანობას ქმნიდა. ყმაწვილკაცები საბძლებში ძველმანებს ეძებდნენ და საალილოე ნიღბებს ამზადებდნენ — ახალწლის ღამეს იუმორი უხდებოდა...

შორიახლოს მტრის ტყვიამფრქვევმა მოცხრილა ადგილი და წარმოსახული იდილია დაუნდობლად გააქრო:

— გვიახლოვდებიან, შობელძაღლები! — ხელყუმბარის ამარაღა დარჩენილი მეომარი რამდენიმე მეტრით უკან გახოხდა და მჭიდედაცლილი ავტომატი უგულოდ შეისწორა ზურგზე.

თენდებოდა. დეკემბრის ბურუსიანი ღამე თანდათან მკრთალ ალიონად იქცა. ქართველთა მეორე ფლანგზე ტყვიამფრქვევები ახმიანდნენ — ეტყობა, ტყვიაწამლის შევსება მოუვიდათ.

— ახლა კი გეტირებათ ყოფა! — შვებით ამოისუნთქა სხვებზე გამოცდილმა მებრძოლმა და ავტომატის ჯერი დაუნანებლად მიუშვა მტრისაკენ.

დეკემბრის უთოვლო სუსხი სახეში სცემდათ, მაგრამ ბრძოლის აზარტში ჩაბმულებს მთელი სხეული უხურდათ და სამხედრო გიმნასტურების საკინძეები გაეღეღათ.

ნაშუადღევისთვის მოწინააღმდეგე მოიგერიეს. შტაბი გადარჩა.

თანამებრძოლები ერთმანეთს ულოცავდნენ საბრძოლო წარმატებას და კოჭში დაჭრილ ერთერთ მეომარს, მტრის ათამდე ცხედართან, შედარებით, უვნებლებში მიითვლიდნენ.

ოცდათერთმეტი დეკემბერი ღამდებოდა.

მეკვლეობისათვის დაბადებული ბიჭები ახალწლის ღამეს იარაღჩაბღუჯულები ეგებებოდნენ აფხაზეთში, რუსეთ-საქართველოს ომის ერთერთ საბრძოლო მონაკვეთზე.

დარჩელი

ზუგდიდის რ-ნის სოფელი დ ა რ ჩ ე ლ ი ავაზაკურად ააწიოკეს სამთავრობო ჯარების „მხედრებმა...“

მშობლიურ სოფელში ტრაგედიის მერე მობრუნდა. რამდენიმე თვით იყო წასული. როცა მობრუნდა, სოფელი უკვე აღარ ჰგავდა სოფელს... სანამ წავიდოდა, აქაურები ჯერაცშესაძლებელი სიმშვიდით ცხოვრობდნენ. ჯერაცგასაძლები მოთმინებით ითმენდნენ. ქვეყანა გახლდათ დანარცხებული და ყოველდღიური ყოფნა გაძლება იყო, ყოველდღიური ყოფნა მოთმინება იყო...

ქვეყანა კი ჯგუფებისა და დაჯგუფებების დაუშოშმინებელი პატივმოყვარეობების ასპარეზად იქცა. არ ცხრებოდა

მათი დამანგრეველი ვნებები. ქვეყანა აღარავის ახსოვდა. ქვეყანა მხოლოდ ძალმომრეობის ასპარეზად იქცა, ამ ასპარეზობის ადგილადღა.

ამასობაში: ქვეყნის საზღვარი საგრძნობლად შევიწროვდა. სინონიმებად იქცნენ: ცრემლი სისხლი) სამაჩაბლო (აფხაზეთი) სამშობლო...

ავაზაკური ვნებები კი არ ცხრებოდნენ: ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ... ქვეყნის შიგნიდან, ქვეყნის გარედან...

უანგარონი რომც გეძებნა, დარწმუნებით ვერავის დაადებდი ხელს. განსაკუთრებით შემზარავი სანახავი ის მოასპარეზენი იყვნენ, რომელთაც აქტიურად შეეძლოთ ქვეყნის ბედის წაღმაუკუღმა დატრიალება. მხოლოდ უკუღმა ატრიალებდნენ... ასპარეზი გაუტკბათ... ასპარეზი არ ეთმობოდათ...

მცირერიცხოვანი უანგარონი სასოწარკვეთილნი იყვნენ — ვერაფერს ცვლიდნენ... მაინც მათი ოდნავი უანგარო მცდელობაც კი იმედი იყო. მცირერიცხოვანი უანგარონი იმედოვნებდნენ... მაინც: მათი ოდნავ უანგარო მცდელობა თუ შეცვლიდა რამეს... მცირერიცხოვანი უანგარონი თუ შეცვლიდნენ მრავალრიცხოვან პატივმოყვარეთა ავ ვნებებს — ქვეყანა გადარჩებოდა...

ჯერჯერობით: მხოლოდ პატივმოყვარენი ჩუბინობდნენ...

მშობლიურ სოფელში ტრაგედიის მერე მობრუნდა. რამდენიმე თვით იყო წასული. სოფელი სოფელს აღარ ჰგავდა უკვე. მთელი უბანი დანგრეულ-გადამწვარი დახვდა:

— პირდაპირ ბეტეერები მოგვაყენეს სქუას[1] — უზუსტებდა მოხუცი ქალი...

რამდენიმე ათეული სახლი ნასახლარად ექციათ — ყველა მათგანი ახსოვდა: აივნების უბრალო ჩუქურთმებიდან ოლაჭვათრეს[2] ნესტიან კედლებამდე მათი ყველაფერი ახსოვდა. ყველა ეზოსა და ყველა სახლს თავისი სურნელი ჰქონდა: ბავშვობის სურნელი... ბავშვური ოინარობისას გადათელილი ბოსტნისა და კოინდრის სურნელი... ჩითის თავსაფრით თავწაკრული ბიცოლა-ქალების სურნელი... ყანიდან დაბრუნებული ჩექმებტალახიანი ბიძია-კაცების სურნელი... მუხის ძირას გადგმული აკვნის სურნელი... ოწინარის ჭრიალის სურნელი... იქაურ კილოზე გადაძახილ-გადმოძახილის სურნელი...

ახლა კი: ნაგინები მშობლიური სახლი შემაძრწუნებლად უმზერდა:

— კი მაგრამ, ასე უმოწყალობის რა საბაბი მიეცით? — იკითხა დაღონებულმა.

— ეეჰ, სქუა, მიზეზი ყოველთვის მოიძებნება. ჯერ თქვეს, თქვენთან ექსპრეზიდენტის მომხრეები იქნებიან თავშეფარებული და უნდა მოვძებნოთო... მერე: რაც კი რამ თვალში მოუვიდათ, ყველაფერს ხელი დაავლეს... ნივთებს ვინ ჩივის, ჩვენს ქალებსაც დაადგეს თვალი, — გამხდარი, გაუპარსავი შუახნის კაცი გაზეთის ნაგლეჯში ახვევს თამბაქოს — ქაღალდისა და თამბაქოს გამოზოგვით, ნიკოტინისგან გაიოდისფრებულ თითებს ნერვიულად ამოძრავებს, — ერთი ალქაჯი ქალი ჰყავდათ მეთაურად, დოდო ერქვა, მგონი, — დარდიანად დაარტყა ნაფაზი შუახნის კაცმა.

კუდბუთქუნა ყურშა მოისაკლისა — შინმობრუნებულს ყურშა ყოველთვის მხიარული ყეფითა და სიხარულის გამომხატველი ნავარდით ეგებებოდა ხოლმე... ახლა: რკინის მუხლუხებისგან გადაჯიჯგნულ ეზოს ყურშას ბედნიერებაც აკლდა...

—სქუა, შენი ყურშას სათვალავში ჩაგდება, ვის მოაფიქრდებოდა — აგერ, ცოცხალი ადამიანები არ ჩავუთვლივართ ძაღლადაც, — ბებიამ წინსაფრის კალთა შეისწორა და აჩქარებით გაეშურა ჯარგვლისაკენ, საიდანაც უყურადღებოდ მიტოვებულ კეცზე მიმწვარი მჭადის სუნი გამოდიოდა და მშობლიური სითბოთი აზავებდა დილის ჰაერს.

1 შვილო.

2 ლაფარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბოლოსდაბოლოს, ჩვენც აგვასხა სისხლმა ტვინში, — გამხდარი, გაუპარსავი შუახნის კაცი პაპიროსის ნამწვავს ველარ ელეოდა:

— იარაღი, კი იცი, სოფელშიც ბევრსა აქვს... აქაც: ზოგი „ამის“ მომხრეა, ზოგი „იმის“, მაგრამ მაშინ აქ მაგნაირი არავინ იყო... ჯანდაბას ნივთი და ქონება, მაგრამ ვიღაცამ რატომ უნდა წაგართვას — შეძენაში გეხმარებოდა თუ რა?.. სამთავრობო წესრიგი... ჰმჰ! —მაგათი სამთავრობო წესრიგი აქაურობის გადაწვა იყო, აა!— მოსაუბრემ ხელი გაიშვირა მთელი უბნის მისამართით:

— რომ აღარ გაძღნენ დაცინვით, ჩვენც დავცხეთ იარაღით... რამდენიმე დავჭერით... მგონი, ერთი ადგილზევე მოუკვდათ... უარესი მერე იყო: გადარჩენილები თავიანთ სამხედრო ნაწილში გაიქცნენ, აქვე იყვნენ სადღაც, ქალაქის სიახლოვეს — მაგ ქალაქიც კარგა გემოზე გაძარცვეს — ამბობენ, ჩამოგდებული პრეზიდენტის მხარდაჭერისთვის გადაუხადეს სამაგიეროო... ჩვენებურებმაც ხომ განსაკუთრებულად ინავარდეს — საძარცვავად უმეგზურეს ჩამოსულებს... აბა, მაგათ ბაბუის ანდერძიდან კი არ გაუგიათ, ვის რა აბადია ამ კუთხეში... ჰოდა, მოგვაყენეს ტექნიკა — იმ ვიღაც ,ალქაჯ დოდოს ებრძანებინა.. მოსაზღვრე სოფლებშიც შიშის ზაფრამ დაუარა ხალხს — აფხაზთა ბოევიკები ეგონათ გადმოსული — ისინი აგერ, ენგურის გაღმა სოფელში იდგნენ უკვე... ჩვენთან რომ სამთავრობო წესრიგს გვიმყარებდნენ, იმ წიოკობაში რამდენი ვინმე ენგურში გადაეშვა და გადავიდა იმ ნაპირზე... მწვანეთასმიანებს სიცილით ამოჰყავდათ ჩვენი ხალხი მდინარიდან და ეუბნებოდნენ:

— ჩვენ იმაზე უარესი არაფერი გვიქნია, ვიდრე თქვენმა ქართველებმა დაგმართეს, — გამხდარ — გაუპარსავმა შუახნის კაცმა ნამწვავი გადააგდო.

— მაშინ სოფელი უკვე სავსე იყო ლტოლვილებით... რა ვიცი... ესაა სიცოცხლე?.. ამასობაში: მე და ჩემისთანა უბრალოები კი ვართ აგერ, ა, გაჭყლეტილები...

გამხდარი, გაუპარსავი შუახნის კაცი შებრუნდა დაბამბული ქურთუკის საყელო აიწია. გაცრეცილი შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და რეზინის ჩექმებით პირდაპირ გააბოტა მუხლუხებისაგან გადაჯიჯგნილი ეზოს ტალახიანი ჭიშკრისაკენ...

მშობლიური სოფელი შემაძრწუნებლად იმზირებოდა...

გული გასკდომამდე დაექანცა... ვრცელი ეზოს მფარველად მდგარ უძველეს მუხას შეხედა: ნატყვიარებით მერქანგადასერილი ხე მდუმარედ დაჰყურებდა იქაურობას... ბავშვობიდან ახსოვდა და სულ ,ახლახან, დიდობაშიც: საღამოსპირზე მეზობლები თავს იყრიდნენ ამ მუხის ძირას. ნახირ ჩავლილ-დაბინავებული, ვახშამმოთავებული სოფელი მთელი საქართველოს სიმღერებს ამ მუხის ძირას მღეროდა... თავშეყრას ყოველთვის ამ კუთხის ყველაზე სევდიანი სიმღერით ამთავრებდნენ: „სოულ ჩელა...“

ახლა კი: გასკდომამდე დაქანცული გული ქვითინს ითხოვდა... ხმამაღლა ღრიალს... ჯარგვლიდან ბებიას უკმაყოფილო ბუტბუტი ისმოდა... დილის ჰაერს კეცზე მიმწვარი მჭადის სუნი აზავებდა...

ანგარიშმიუცემლად მივარდა ნატყვიარებით მერქანგადასერილ მუხას... ხელის შემოწვდენა ამაოდ სცადა-მუხის ტანიც უზარმაზარი იყო და უმწეობისგან დაუძლურებული მკლავებიც ველარ ასწია შემოსაწვდენად... რკინის მუხლუხებისგან გადაჯიჯგნილი მიწაზე დაემხო და მთელი ხმით აქვითინდა:

ა ხ ა ვ ა ი, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო... ოო...
ა ხ ა ვ ა ი, ქ ა რ თ ვ ე ლ ო...ოო...

ტოტია

ჩემს სოფელში ერთი საწყალი კაცი ცხოვრობდა. ტ ო ტ ი ა ერქვა. ისე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერებული შარვალი ეცვა დღემუდამ, რომ იმ შარვლით აითვლიდნენ ქონებას: „ე, ბიჭო, რავა ტოტიას შარვალივით გაგცვეთია ყველაფერი...“ ორმოცდაორში, ტოტიამ თავისი ხელით დახია შვილის ფრონტზე დაღუპვის ცნობა-დაუმალა ცოლს, რომელსაც ერთადერთ შვილზე ამოსდიოდა ყველა მნათობი. თვითონ? — თვითონ წავიდოდა ტყეში. რომელიმე კუნძზე ჩამოჯდებოდა. ხელებს თავში იშენდა და ქვითინებდა. გულს რომ იჯერებდა, დაბრუნდებოდა შინ და ცოლს ამხნევებდა, არწმუნებდა, რომ შვილი უვნებლად ჩამოუვიდოდათ. დედა ისე გარდაიცვალა, რომ სიკვდილამდე ვაჟიშვილის მოლოდინში იყო. ცოლის სიკვდილის შემდეგ ტოტიასაც დიდხანს არ უცოცხლია.

კარგახანია: მათ საფლავებზე ბალახმა გადაიბიბინა და წარმავლობის ქარმა ძვლებიც გამოაშრო.

ახლა: ჩემს სოფელში მწვანეთასმიანები ნავარდობენ...

მე: ჩემი სოფლის საფლავები აღარა მაქვს მოსაფერებლად...

აფხაზეთის ომში დამარცხებულ ქვეყანას კი: ბევრი ტოტია, ბევრი იმისი ცოლი, ბევრი იმათი შვილი, ბევრი დაღუპვის ცნობა, ბევრი დაკერებული შარვალი, ბევრი დაუმარხავი ცხედარი, ბევრი საფლავის ბორცვი, ცოტა პატიოსნება, ბევრი ამაზრზენობა, ბევრი სისასტიკე და: ცო..ოტა ი მ ე დ ი გააჩნია...

წარმავლობის ქარი კი: ი ს ე ვ ფ ხ ი ზ ლ ო ბ ს...

ძალიან ლამაზი ბიჭი

— მესხი...

ყოველთვის უხაროდა ამ ბიჭის დანახვა. ძალიან ლამაზი ბიჭი იყო და მისი გულიანი სიცილი — ყოველთვის გადამდები.

ხანდახან შეივლიდა რედაქციაში. იქ: რამდენიმე ადამიანის ნახვა მართლა იყო დაღლილობა — დაღლილობა გამფანტავ-დამავიწყებელი.

ძალიან ლამაზი ბიჭი ყოველთვის საფუძვლიანად მოიკითხავდა:

— გაუმარჯოს ნანას!.. როგორა ხარ?.. რას აკეთებ?..

ესეც გულთბილად შეესიტყვებოდა და: სულ ეს იყო...

დღეში თუნდაც ერთი სასიამოვნო ნაცნობი რომ შეხვდებოდა, მთელი იმ დღის მანძილზე ჩვეული სასოწარკვეთა უნელდებოდა... დროებითმაინც ავიწყდებოდა...

ახლაც: შორიდანვე შენიშნა ძალიან ლამაზი ბიჭი — თეთრი ლაბადის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი რუსთაველზე მოაბიჯებდა.

— მესხი...

ძველებური გულითადობით პირველი თვითონ შეეხმიანა. ისიც გულთბილად შეესიტყვა:

— გაუმარჯოს ნანას!.. როგორა ხარ? რას აკეთებ?..

უთხრა რასაც აკეთებდა:

— სტუდენტობის დროინდელი მეგობარი მაფინანსებს და მოთხრობების კრებულს ვამზადებ გამოსაცემად...

— ო... ოო. შენ კიდევაც წერ, კიდევაც გაფინანსებენ, კიდევაც ბეჭდავ?.. აი, შოთაც წერს, მაგრამ არ აფინანსებენ მე კი: არც ვწერ და არც მაფინანსებენ...

ძალიან ლამაზი ბიჭი ძველებური იერით ცდილობდა ხუმრობას, მაგრამ იგი უჩვეულოდ ფერმკრთალი იყო. შესამჩნევად გამხდარიყო. დააკვირდა: თმებიც კი შეთხელებოდა. თვალებიც აღარ ულიმოდა.

ძალიან ლამაზი ბიჭის ასე შესამჩნევი გარეგნული ცვლილებებით შეშფოთებულმა და დაბნეულმა ვერაფერი თანაგრძნობა მოიფიქრა და, უნებლიედ, ძალზე უადგილო რამ იკითხა:

— რატომ ხარ ასე ფერმკრთალი და გამხდარი?

ძალიან ლამაზმა ბიჭმა გაიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცივის, შიმშილის, სტრესების ულმობელობისაგან შესამჩნევად შეცვლილ გამვლელებს შეხედა. თეატრალურად აღმართა მარჯვენა და ხმამაღლა:

— რატომ გაუშრათ ჩვენს ქალებს ძუძუ... უუ... რატომ გაუქრათ ჩვენს კაცებს ღიპი... იი..

ძალიან ლამაზი ბიჭი იცინოდა, მაგრამ თვალები აღარ უღიმოდა.

— ომში დამარცხებული ქვეყნის დედაქალაქის მთავარ გამზირზე:

სიცივის, შიმშილის, სტრესების ულმობელობისაგან შესამჩნევად შეცვლილი გამვლელები პირქუშად მიმოდიოდნენ...

ბატალიონის მეთაური

დეკემბრის სუსხმა მთელი დღე ძვალრბილში უტრიალა. შინ შებინდებისას დაბრუნდა. თუნუქის ღუმელში მოგუზგუზე ცეცხლმა და თბილად გადანახულმა ვახშამმა მშვიდი და თბილი გრძნობები მოჰგვარა. მაგიდასთან მჯდარს ასაკოვანი დედა თავს დასტრიალებდა. საძინებლის კარი ღია იყო — ახალშობილ ტყუპ ქალ-ვაჟს ამჯერად მშვიდად ეძინა. ჩაეღიმა — პატარები ღამღამობით ხშირად ისე გაბმით ტიროდნენ, რომ თავბედს იწყევლიდა და უძინარს ხანდახან სამსახურში, სამუშაო მაგიდასთან წამოეწოდა თვლემა. თავისთავად სამუშაო არ იყო რთული, საკმაოდ გამოცდილი ინჟინერ-მშენებელი ადვილად აუდიოდა საქმეს-ლტოლვილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით დაკავებული საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები არ ემდუროდნენ.

დეკემბრის სუსხიანი ქარი ფანჯრის მინებს აზრიალებდა. მაგიდასთან მჯდარი მადიანად ილუკმებოდა — სითბო და ოჯახური სიმყუდროვე ჯადოსნურად ზემოქმედებდა სამსახურიდან დაბრუნებული ახალგაზრდა კაცის განწყობაზე.

შეორთქლილი ფანჯრიდან ეზო ჩანდა. შორეული ნათესავის მიერ ლტოლვილი ოჯახისათვის ნათხოვებ კარ-მიდამოს გლეხკაცის გამრჯე ხელი ეტყობოდა — ასაკოვანი მამა აქაც ვერ ჩერდებოდა უსაქმოდ: მთელი ზაფხული სხვადასხვა ბოსტნეული და მწვანილი უხვად ჰქონდათ; პროვინციული ქალაქის სინამდვილისთვისაც კი იშვიათი იყო ქათმების კრიახი და გოჭების ჭყვიტინი, მათი ეზოდან რომ ისმოდა დილაობით...

თუნუქის ღუმელში შეშამ გაიტკაცუნა. ახალგაზრდა კაცმა საძინებლისკენ გაიხედა — საფენებში სათესლე პრასივით გამოკვანძული ჩვილი ტყუპები მშვიდად განაგრძობდნენ ძილს. იქვე, საწოლის კიდეზე მოწყვეტით ეძინა მათ ულამაზეს დედას, რომელიც დაღლილობისგან ისეთ ღრმა ძილს დაეჩვია, რომ ატირებული შვილების ხმაც კი ვერ აღვიძებდა ხანდახან. უძილობით გაბეზრებული ქმარი მუჯლუგუნს რომ ჰკრავდა, ქალი ბუნდოვნად გამოერკვეოდა და მტირალ ჩვილს გადასწვდებოდა...

ეზოში საქმემოთავებული ასაკოვანი მამა ოთახში შემოვიდა და ღუმელს მიეფიცხა. რეზინის ჩექმები შორიახლოს მიაწყო და წვივსახვევებიც ზედ მიაყოლა:

— ამაღამ ნამდვილად მოთოვს! — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა და თუნუქის ღუმელს შეშა შეუკეთა. მერე, მაგიდასთან მჯდარ ვაჟიშვილს გახედა. შემთბარმა ღუმელის სიახლოვეს ძირმოცვეთილი ტუფლები მოიძია და შიშველ ფეხებზე მოირგო. ადგა. ფეხსაცმლის ფრატუნით გავიდა საკუჭნაოდ მიჩენილ ოთახში. ის ოთახი მარნის მოვალეობასაც ასრულებდა. ასაკოვანი მამა მალევე მობრუნდა. ხელში წითელი ადესით სავსე მინის გრაფინი ეჭირა და ულვაშებში ეღიმებოდა. შემეჩხერებული კბილები და ნაოჭებიანი გამხდარი სახე რაღაცით საბრალობელ იერს აძლევდა. მაგიდასთან მჯდარ ვაჟიშვილს კარგად ახსოვდა მამის ახალგაზრდობა და გულში სევდამოჭარბებულმა სითბომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუარა. ჭამას შეეშვა და ფიქრით წარსულში გადაინაცვლა: ოჩამჩირე... ულურჯესი ზღვა... მშობლიური ქუჩა... უბანი... სიყმაწვილე... ბავშვობის უერთგულესი მეგობარი, რომელიც ყველას მისი ძმა ეგონა — სოხუმის ალყის დროს ახალშერთული ცოლითა და ჩვილი ვაჟით ქალაქში ჩარჩენილი, ტყვეობიდან წვალებით თავდახსნილი და ახლა სადღაც რუსეთში გადაკარგული... ვინ იცის, როდის ნახავს. მეგობრის სიყვარულით ტყუპისცალ ბიჭს მისი სახელი დაარქვა, მასვე უნდა მოანათლინოს და ჯერ ხმაც კი ვერ მიაწვდინა...

— საახალწლოდ მაქვს გადანახული და გასინჯე ერთი! — ასაკოვანი მამის ხმამ ფიქრებიდან გამოარკვია. მაღალი, გამხდარი მოხუცი ეშმაკურად გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა ვაჟიშვილს:

— ღობის გასწვრივ ადესას რომ ბარაქიანად ესხა, ცალკე დავაყენე ორფუთიანში... შეხედე, შეხედე, მარტო ფერი დაგათრობს! — ასაკოვანმა მამამ გრაფინს ნათურის შუქზე გახედა და მერე თლილ ჭიქებში ჩამოასხა. ერთერთს თვითონ დასწვდა:

— ღმერთმა ბედნიერი ახალი წელი გაგვითენოს... ბევრი უბედურება გამოვიარეთ, მაგრამ განგებამ მთლად არ გაგვწირა — აგერ, ვარსკვლავებივით ქალ-ვაჟი გვაჩუქა ჩემმა რძალმა... თქვენი თავი მიმყოფოს გამჩენმა ჯანმრთელი და უმწუხარო, თორემ მე ჩემი სავალი გავლილ უკვე... გაიხარეთ, შვილებო! — ნელა მიიყუდა ჭიქა და ბოლომდე გამოსცალა.

— რა გული გაგტეხია, მამაჩემო, რა დროს შენი გზის გალევაა, — ვაჟიშვილმა ღიმილით შეხედა ასაკოვან მამას და შორეული ბავშვობა — სიყმაწვილის ნათელმა შეგრძნებამ ისევ სითბოდ დაუარა სხეულში. დაუბრუნებელი წარსული უმტკივნეულო და საუღელვებელი ჩანდა, როგორც შავი ზღვის ულურჯესი სივრცე მაშინ, როცა გამჭვირვალე ტალღები მშვიდად ეალერსებოდნენ მშობლიურ ნაპირებს. ეს წარსული თითქმის უხსოვარ დროდ ქცეულიყო — მას მერე იმ ულურჯეს ზღვასაც და მშობლიურ სანაპიროსაც სისხლი, თავწაკვეთილი გვამები, დაუმარხავი ჩონჩხები და ადამიანური უკეთურების სხვა მრავალი დამღა დამჩნეოდა მოურჩენელ ჭრილობად...

— გაგიმარჯოს, მამაჩემო, კიდევ ბევრჯერ დაგეწუროს ადესა, ოღონდ იქ, ჩვენს ეზოში დაკრეფილი... ეს ახალი წელი კი წინაზე ბევრად უკეთესი ყოფილიყოს! — ვაჟიშვილმაც გამოსცალა ჭიქა და მოწონების ნიშნად თავი გაიქნია:

— მართლა კაია!

თუნუქის ღუმელში შეშა კვლავ გატკაცუნდა. ოთახში დაცხა.

საძინებლიდან ჩვილის ტირილი მოისმა.

— ეგ რომელია, ნეტა? — იკითხა ბაბუამ.

— ბიჭია, მაგას ხმაზე ვცნობ და თანაც, უფრო ხშირად ტირის! — ვახშამმოთავებული მამა ადგა და ტახტზე გვერდულად გადაწვა — ადამიანური სიხარულებით სავსეს ძილის ბურანი ეპარებოდა.

დედამთილმა ძილქუშდადებული რძალი გააღვიძა. ახალგაზრდა ქალი ნახევრადმთვლემარე შეუდგა საბავშვო ფაფის გამზადებას — მხოლოდ დედის რძე ვერ აკმაყოფილებდა ორ პატარა ღორმუცელას.

ახალგაზრდა მამამ ტახტზე გვერდი იცვალა და სიგარეტი მოიძია — „ელემის“ ცარიელი კოლოფიღა შერჩა. ღუმელთან მჯდარმა ასაკოვანმა მამამ „ასტრის“ ღერი გამოუწოდა. ვაჟიშვილი გამოსართმევად ადგა.

საძინებელში გოგონაც ატირდა — ჩვეულებისამებრ, ტყუპები ერთდროულად ჭირვეულობდნენ.

— მორჩა, დაიწყეს! — ახალგაზრდა მამამ იმედი გადაიწურა და ტელევიზორი ჩართო. შავ-თეთრ ტელევიზორს დენის დაბალი სიმძლავრის გამო გამოსახულება დაჰკარგოდა. ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი უგულისყუროდ უსმენდა. ასაკოვანი მამა-გაფაციცებით:

— ახალი პარლამენტი, ნეტა, რა ვადებს გვეტყვის აფხაზეთში დასაბრუნებლად? — ასაკოვანი მამის შეკითხვა პასუხს არ ექვემდებარებოდა და ვაჟიშვილმაც მხრები აიჩეჩა.

უჩინარი დიქტორი განაგრძობდა ინფორმაციის მოწოდებას.

— ჩუმად! — მოულოდნელად შესძახა ახალგაზრდა კაცმა და გამოსახულება დაკარგულ ეკრანს დაჟინებით მიაჩერდა. ფრაზაგაწყვეტილი ასაკოვანი მამა შვილის გაფითრებულ სახეს უმზერდა, დიქტორი ქალი კი იუწყებოდა, რომ აფხაზებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ერთერთი ქართული ბატალიონის მეთაურს, რომელიც, კარგახანია, ტყვედ ჰყავდათ მათ.

დიქტორმა ბატალიონის მეთაურის, გვარ-სახელი რამდენჯერმე გაიმეორა.

—მაინც თავისი ქნეს, შობელძაღლებმა! — კბილებში გამოსცრა ახალგაზრდა კაცმა და აღელვებული ტახტზე მოწყვეტით დაეშვა. ასაკოვან მამას „ასტრის“ მეორე ღერიც გამოართვა და რაღაც გაგულისებით დაარტყა რამდენიმე ნაფაზი. სიმწრისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. ამწუთას სულს უხუთავდა და აღიზიანებდა ყველაფერი, რაც სულ ახლახან ადამიანური სიხარულებით ავსებდა — ასაკოვანი მამის კეთილი სახე, დედის ტკბილხმოვანი საუბარი, ტყუპი ქალ-ვაჟის ძილგამკრთობი, მაგრამ უტკბილესი ხმა, უმშვენიერესი ახალგაზრდა ცოლის საოცრად ქალური სინაზე... სული ეხუთებოდა და ყელში გაჩხერილ არამ ლუკმასავით აწვალებდა წუთიერად შენაგრძნობი საკუთარი ბედნიერება. უფრო სწორად, სრული ბედნიერება არც მის მოუწყობელ ყოფას ეთქმოდა და ქანცგაწყვეტამდეც მიჰყავდა უახლოესი ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობას, მაგრამ უფრო განწირული ადამიანების არსებობის ფონზე მისი შედარებით მშვიდი ყოველდღიურობა უფრო ახლოს იყო სიცოცხლის ღვთიურ უფლებასთან...

ეზოში გაჭრილს, მღელვარებისაგან გახურებული შუბლი დეკემბრის სუსხმა ოდნავ დაუამა. ფიქრებით ომს დაუბრუნდა: ბატალიონის მეთაური თავისი ღირსებების გამო ყველასაგან პატივდებული იყო, მაგრამ ამ ახალგაზრდა კაცისთვის განსაკუთრებულად ფასობდა მასთან ურთიერთობა. ამ უცნაური ომის ერთი საოცარი თვისება ის იყო, რომ ჩინით მეთაურისა და ხელქვეითის ურთიერთმიმართება სამხედრო წესდებაზე უფრო პიროვნულ თვისებებს ექვემდებარებოდა და ამიტომაც, ამ ახალგაზრდა კაცის ბატალიონის მეთაურთან მეგობრობას არაფრით ცვლიდა ის, რომ თვითონ, მაიორის ჩინით, იმავე ბატალიონის შტაბის უფროსი გახლდათ. ამ ომში საბრძოლო დისციპლინა რომ ძალზე უსუსური იყო, შედეგებმაც ცხადჰყვეს. სწორედ ამის გამო, პიროვნული თანადგომის მექანიზმი გაცილებით ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე მთელი ქართული შეიარაღება...

ყველაფერი დაწვრილებით ახსენდებოდა: ომამდელი ურთიერთობა — მაშინ, ორივენი ჩვეულებრივი სამოქალაქო ცხოვრებით ცხოვრობდნენ... ომის დაწყება და ბატალიონის ჩამოყალიბება... პირველი საბრძოლო ნათლობა და შემდგომი საბრძოლო მოქმედებები...

„მოლაპარაკებაზე მისული კაცი აიყვანეს ტყვედ, მოლაპარაკებაზე მისული.. ლაჩრები!.. გამარჯვებული კიდევ მაგათ ეთქმის?!“

სიმართლე გულს ვერ უოხებდა.

„გაქცევის შესაძლებლობა მოვუწყვეთ რამდენიმეჯერ — შუამავალს ვერ ენდო და არ გაიქცა... რამ უნდა დამიმშვიდოს სინდისი?.. ტყვეთა გაცვლის კატეგორიაში ვერ მოვახვედრეთ — ქართულ მხარეს ისეთი არავინ აღმოჩნდა დაკავებული, რომ აფხაზებს ჩვენი ბატალიონის მეთაურის სანაცვლოდ ენდომებინათ... ერთხელ მორიგი პარტიზანული ოპერაციის შედეგად, ძლივს მოვიხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლთეთ გასაცვლელად შესაძლო ტყვე და იმანაც საკანში ჩამოიხრჩო თავი, სრულიად საეჭვო ვითარებაში — ვინ იცის, ვისი ხელი ერია მის სიკვდილში... რამდენს ვეცადეთ... სამთავრობო ინსტანციებს დროზე რომ ეღიარებინათ ტყვეთა პრობლემის ორმხრივი არსებობა და მხარში ამოგვდგომოდნენ, იქნებ... ახლა რაღა დროს ვარაუდებია...“

ბატალიონის შტაბის ყოფილი უფროსი იმ საომარი ტერიტორიიდან შორს, ენგურსგამოღმა, სასაზღვროდ ქცეულ ქალაქში, შორეული ნათესავის მიერ ნათხოვებ სახლ-კარში დაბინავებული და ადამიანური სიხარულების ჩვეულებრივ რიტმში ასე თუ ისე ჩართული, ამწუთას ყველაზე უბედურ ადამიანად გრძნობდა თავს — ომში გაუკაწრავად გადარჩენილი ახლა მარჯვენამოკვეთილივით იტანჯებოდა და სიცოცხლის უფლებაწართმეულად მიიჩნევდა საკუთარ არსებობას...

დეკემბრის სუსხმა თანდათან თავი შეახსენა. მიმოიხედა. მისი მიწოლის სიმძიმეს ადესის ჭიგო გადაეზნიქა და მოერყია. სახლს გახედა. ყველა ახლობელი შეორთქლილი მინებიდანაც კი გაარჩია.

გათოშილიყო. სიცივისაგან მობუზულმა მხრები შეარხია და სითბოს მონატრებისაგან აკანკალდა.

ლამფის შუქზე ახლობელი ადამიანები ჩანდნენ. მათთან თბილოდა. თვითონაც იმ სითბოს ნაწილი იყო და ის სითბო ეძახოდა.

ცას ახედა — სათოვლოდ მობურული დაჰყურებდა.

ძალიან მოუნდა: უბეში ჰყოლოდა ბელურა ჩიტი. ხელისგულზე დაესვა, ნისკარტზე პირჯვარი გადაეწერა და პაწაწინა ფრთების დაუღალავი ფათქუნით ენგურსგაღმა გაეგზავნა მოამბედ, თანამგრძნობად, გამამხნევებლად იმ ადამიანთან, რომელიც მოჭრილ მარჯვენასავით სტკიოდათ ენგურსგამოღმა მყოფ მის მეგობრებსა და ნათესავებს და მან კი არაფერი უწყოდა ამის შესახებ. ან იქნებ, მძიმე ვარაუდებს ეფარებოდა ულო წუთებში...

ბატალიონის შტაბის ყოფილი უფროსი გათოშილი იდგა და ნაბიჯი ვერ გადაედგა იმ სითბოსაკენ, რომელიც მას ეკუთვნოდა და აქვე, ხელის გაწვდენაზე იყო —ლამფით განათებული, შეორთქლილი ფანჯრების მიღმა.

აღარსად იყო ბელურა ჩიტი, ხელისგულზე რომ დაესვა და ნისკარტზე პირჯვარი გადაეწერა.

ენგურის ხიდის მიმართულებით ცა დროდადრო ნათდებოდა — „სამშვიდობო ძალების“ საპატრულო პროჟექტორები საზღვარს აკონტროლებდნენ...

მუნი

გასაყიდად შესაძლო ყველა ნივთი შეკრიბა. მთელი ბაზარი რამდენიმეჯერ დაიარა — მყიდველზე მეტი გამყიდველი ირეოდა. ყიდიდნენ ყველაფერს, ოღონდ მუშტარი გამოჩენილიყო. ერთ ბერიკაცს პლასტმასის თეფშზე ეწყო ძველი ღილები, რამდენიმე ლურსმანი და ძველი ორდენი წარწერით: „კომუნისტური შრომის დამკვრელი.“ გამწარებულმა ქალმა ბერიკაცის გასაცოდავებულ პოზასა და მზერას თვალი აარიდა და კიდევ ერთხელ შემოუარა მჭიდრო და უწესრიგო დახლებს — ხალხმრავლობისგან გავლა ჭირდა. ქალს რაღაც სამხედრო მარშის რიტმში აეკვიატა: „კო-მუნი-სტური!.. კო-მუნი-სტური!.. კო-მუნი-სტური!..“ იგრძნო, რომ ნაბიჯებსაც კი ამ რიტმში დგამდა და აღშფოთებულმა შეჩერებით სცადა რიტმის დაშლა-გაზეთის ჯიხურს მიეყრდნო. გაზაფხულის მზე ბაზრის ტალახში აზელილ ნაგავს მყრალ ოხშივარს ადენდა. ქალმა უნებლიე მზერა ააყოლა ჯიხურვიტრინა — უმთავრესად საღეჭი რეზინები და ჭრელსახვევიანი კანფეტები იყიდებოდა. გაზეთები კანტიკუნტად იბეჭდებოდა უშუქო, უქაღალდო, უძლურ ქვეყანაში. დაბეჭდილებშიც: მხოლოდ ქიშპი და ურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერთ ღვარძლი ინთხეოდა და დამაიმედებელ ვერაფერს იპოვნიდი ანდა: ვის ჰქონდა თუნდაც შედევრების კითხვის თავი. ვით ყიდვა-გაყიდვის ფეთიანი სახეებით მხოლოდ კალკულატორებს დასჩერებოდა დიდ-პატარა. საკუთარი ქვეყნის ფული, ფარატინა კუპონს თუ ფული ეთქმოდა, საზოგადოებრივ საპირფარეშოშიც ვერ შეგიყვანდა (საზოგადოება არ არსებობდა და საპირფარეშოები კი — მომრავლდა) —იქაც მეზობელი Держава-ს ვალუტით მუშაობდა მეტარიფე. თანაც, ვალუტის ზრდადი კურსით.

პიჯაკჩამოფხრეწილი ლოთი ხრინწიანად ღრიალებდა:

— თქვენი დედა... თქვე არამზადებო...

ქალმა ლოთს თვალი აარიდა და ისევ ჯიხურის ვიტრინას დაუბრუნდა. თავიდან ძლივს მოშორებული რიტმი გაცოცხლდა — ვიტრინაში აღდგენილი გაზეთის ახალი ნომერი გამოეფინათ: „კომუნისტი“ — სასათაურო შავი შრიფტი ისევ ძველებური რიხის შენარჩუნებას ცდილობდა.

„თქვენი დედა ვატირე!“ — გულში შეიგინა ქალმა და გაწითლდა: უწმაწური სიტყვები სძულდა.

ამჯერად სიფაქიზისთვის არ ეცალა-სამი წლის გოგონა ავად ჰყავდა...

შინ მთელი წელი ირეოდნენ გაუბედურებული ლტოლვილები: ზოგი ნათესავი იყო, ზოგი ნათესავის ნათესავი, ზოგი სრულიად უცხო. ზამთარი ძლივს გადაატარეს.

ქმარი უკვალოდ დაიკარგა სოხუმის ალყის დროს — დისშვილებისა და სიძის გამოსაყვანად წასულს ამაოდ ელოდნენ ჯერაც. დისშვილებმა და სიძემ სვანეთის გზით შესძლეს ენგურს გამოღმა გადმოსვლა-ძლივს შეელივნენ ახალგარდაცვლილი დედისა და ცოლის საფლავს და გზაშიც უთვალავ ხიფათს გადაურჩნენ...

ვინც გეოგრაფიაში გავლითღა იყო, ტენდენციურ საინფორმაციო ბრალდებებს იჯერებდა: „ზუგდიდის შემოსასვლელი ექსპრეზიდენტის მუმბრეებს აქვთ გადაკეტილი და ქალაქში ლტოლვილებს არ ღებულობენ. „სხვა მრავალ უცოდინრობასთან ერთად, ქართველთა დიდმა ნაწილმა მართლა ცუდად იცოდა საკუთარი ქვეყნის გეოგრაფია: კოდორის გადმოსასვლელი უკვე აფხაზთა ბოევიკებს ჰქონდათ დაკავებული და კოდორს იქითა ლტოლვილები თავისთავად იყვნენ იძულებული, სვანეთის გზით ეძებნათ ხსნა..

შინ მთელი წელი ირეოდნენ შემოკედლებული ლტოლვილები. ყოველმხრივ მომქანცველ ყოველდღიურობას განუწყვეტლივ ამძიმებდა ხიზანთა ჭირვარამის ცრემლიანი თანხლება.

ქალი შეძლებისდაგვარად დიასახლისობდა, მაგრამ თანდათან საკუთარი ოჯახის დანაზოგიც ამოიწურა და ხიზანთა ჰუმანიტარულ ულუფასაც მწირად იძლეოდნენ ათასების უბედურებაზე ხელისმომთბობი ჩინოვნიკები. უკვე სასაზღვროდქცეულ ქალაქში საერთაშორისო ორგანიზაციათა სიმრავლეც იყო მეზობელი Держава-დან ჩამოგზავნილი „სამშვიდობო ჩაფხუტებიც“ ბლომად ირეოდნენ, მაგრამ უმთავრესად მათი ხელშეწყობით ხდებოდა ლტოლვილთათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთის აფხაზთა მხარეს მომგებიანად გადაზიდვა (ჩეჩნეთის კრიზისში ჩეჩენთა მხარეს მყოფი ორპირი ქვეშევრდომისთვის Держава-ს ფსოუზე გასასვლელი ჰქონდა გადაკეტილი — საქართველოს წინააღმდეგ აფხაზთა შემგულიანებელი დრაკონი ეკონომიკური ბლოკადის მეშვეობით თავისსავე გაწრთვნილს შეექცეოდა).

ძლივს მოშორებული რიტმი უფრო აკივლდა:

„კო-მუნი-სტური!.. კო-მუნი-სტური!.. კო-მუნი-სტური!..“

„თქვენი დედა ვატირე!“ — გულში კვლავ შეიგინა ქალმა და ამჯერად: არ გაწითლებულა.

„თქვენი ურჩხულური იდეოლოგია რომ არ ყოფილიყო, ეს ქაოსური ეპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაც აღარ იქნებოდა...“ იდეოლოგიის განქიქება არ გაუგრძელებია. ადრე საინტერესო ინტელექტუალს ახლა ამისთვის არ ეცალა: სამი წლის გოგონა ავად ჰყავდა. უსაპნო, უსარეცხო, უცეცხლო, უშუქო ყოფამ თავისი გაიტანა — სიფრთხილის მიუხედავად, პატარას მუნი შეეყარა...

როგორც იქნა, ვერცხლის კოვზები გამოართვა ვიღაც სქელმა და ბოხხმიანმა ქალმა.

მუნიანი შვილის დედამ შვებით ამოისუნთქა: წამალსაც იყიდდა, ერთ საპონსაც და კილოგრამ ვაშლსაც.

გაზაფხულის მზე ბაზრის ტალახში აზელილ ნაგავს მყრალ ოხშივარს ადენდა.

პიჯაკშემოფხრეწილი ლოთი ერთერთ ცარიელ ჯიხურთან მიწოლილიყო და არათანაბრად ფშვინავდა. მის შეხსნილ ხვანჯარს ზოგიერთი გამვლელ-გამომვლელი ამრეზით არიდებდა თვალს. უმრავლესობა კი ვერც ამჩნევდა ბაზრის ჭუჭყში ჩაფლულ არსებას — საკუთარი ძნელი სატკივრები მიმოჰქონდათ მწუხარებით დამძიმებული გულებითა და უიმედობით სავსე გონებით...

ქალმა ძლივს დაიმარტოხელა მუნიანი შვილი. წამალი წაუსვა. წამალს ყროლი სუნი უდიოდა. აქოთებული და შეცბუნებული გოგონა დარდით დამდუღრულმა დედამ გულში ჩაიკრა. ბანაობის მერე ორი ვაშლი გაუთალა, დაუჭრა და ლამბაქით მაგიდაზე დაუდგა.

გამხდარი სამი წლის გოგონა ბეღურასავით ციცქნიდა გათლილი ვაშლის ნოყიერ ნაჭრებს.

ქალი იჯდა სამზარეულოს მაგიდასთან, შვილის პირდაპირ და ვაშლის ნაფცქვენს შეექცეოდა.

— დედიკო, კანს ლატო ჭა...ამ? — გოგონას ხმამ ფიქრებიდან გამოარკვია. შვილს დამნაშავესავით გაუღიმა და კუჭის რეფლექსური სურვილებით დამარცხებულმა აბაზანას შეაფარა თავი. ონკანი მოუშვა. მიტყუპებული ორი თითი ხახაში ჩაიყო და გულისრევას, ლამის, კუჭის წვენიც ამოაყოლა.

ცრემლიანი სახე ჩამოიბანა. სარკეში საკუთარ გაცრეცილ მზერას მოჰკრა თვალი. არეული გრაფიკით მოწოდებული წყალი ხმაურით იღვრებოდა პირსაბან ნიჟარაში. ქალის ქვითინი წყლის არათანაბარ რიტმს აჰყვა:

— ღმერთო...ოო... ამ მუნიან ქვეყანას თუ აქვს მომავალი?.. ღმერთო... ოო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოდო ხანთაძე-იაშვილი

გადაშლილი გვარები

უბის გაცრეცილი წიგნაკი ვიპოვნე,
მწუხარედ დავხარე თავი,
რამდენი ვაჟკაცი წასულა იმ ქვეყნად,
რამდენი გადაშლილა გვარი.

თითქოსდა ვფურცლავდი,
წლებსა და თარიღებს,
თვალწინ მიდგებოდა ჟამი,
როცა ტელეფონში მათი ხმა ისმოდა,
ვინც უკვე იმ ქვეყნად არი.

ნომრებზე ჯვარედინად, ხაზია გასმული,
აღრიცხვა ნამდვილად მიჭირს,
რა სევდაც თან ახლდა ხაზების
გადასმას,
ეს მხოლოდ პატრონმა იცის.

ლამაზი ქართული გვარების რიგი,
ეს ხომ ისტორია არი,
მაინც რამდენი ნაცნობი ყოფილა,
რამდენი კაცი თუ ქალი.

გვართან და ნომრებთან, თითქოს
სიცოცხლე დგას,
ვისი ხმაც ისმოდა ხშირად,
ზოგი დაივიწყეს, აღარც ახსენებენ,
ზოგს კი იგონებენ ტკბილად.

მაინც რამდენი ნომერი გაუქმდა,
კალმისტრითა თუ ფანქრით,
რა ხალხი წასულა ამ უბის წიგნაკში,
თავისი სევდით თუ დარდით...

ალბათ რაოდენ ტანჯვას განიცდიდა,
ვინც შლიდა მეგობრის გვარებს,
სხვის უბის წიგნაკში,
ისიც წაიშლება
მისი ხმაც გაქრება მალე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფაუსტი

მიძღვნა

ლანდ-სახებანი მკრთოლვარენო, კვლავ მეცხადებით,
ოდესღაც ნათლივ დანახულნო ზმანების თვალით.
მომდევსღა გზნება. გავიმსჭვალო თქვენი ხატებით,
სიტყვად გარდაგთქვათ? მეყოფაღა სიშმაგის ძალი?
იყავნ გმორჩილებთ! ოდინდელი გადგათ ნათელი,
თუმცა კვამლი ხართ, მოვანება ნისლისა მკრთალი.
კვლავ იძრა გული, ჭაბუკური ჩქროლვა მოსურდა
წყებათა თქვენთა რიალთაგან ხმაჯადოსნურთა.

მოგაქვთ წარსულის ათინათი, ციაგ-მზირველი,
და საყვარელი აჩრდილები დგებიან მკვდრეთით.
ეჰა, პირველი მეგობრობა, ტრფობა პირველი,
ზღაპარი, ჯერაც არმიმწყდარი, და ფეთქავს წვეთი,
და მოთქმა ნელა მიუყვება, ხმაშეჭირვებით,
ხსოვნის ლაბირინთს, სადაც ახლა ნავლია მეტი,
მიითვლის ძვირფას მათ სახელებს, წინას და წინას,
ვინც იმ წარსულში სამუდამო დაიდო ბინა.

აწ არღა ალხენთ სიმღერები ჩემი გვიანი,
პირველჟამინდელ საგალობლებს ვისთვისაც ვმღერდი,
მიწყდა პირველი მოძახილიც ხალისიანი,
შფოთიც, ზრიალიც, და ძველთაგან — არავინ გვერდით,
გარს — უცხო ხალხი, წლიდან წლამდე — უცხო ხმიანი,
მათ ყოველ ტაშზე ცივი შიშით მიზრზინავს მკერდი.
ხოლო ისინი, ვინც გულგახსნით მისმენდა ძველად,
თუ კვლავ არიან, შორს არიან, განმებნა ყველა.

და მომენატრა ის საუფლო, ის ხმანი ძველნი
გადაჩვეული მონატრებით, ნაღველზე მწარით.
კვლავ ცოცხალია, რაც ოდითგან მიყვარს და მელმის,
თრთის ჰანგი, თითქოს ეოლოსის ჩქროლავდეს ქნარი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფაუსტი

მიძღვნა

ლანდ-სახებანი მკრთოლვარენო, კვლავ მეცხადებით,
ოდესღაც ნათლივ დანახულნო ზმანების თვალით.
მომდევსღა გზნება. გავიმსჭვალო თქვენი ხატებით,
სიტყვად გარდაგთქვათ? მეყოფაღა სიშმაგის ძალი?
იყავნ გმორჩილებთ! ოდინდელი გადგათ ნათელი,
თუმცა კვამლი ხართ, მოვანება ნისლისა მკრთალი.
კვლავ იძრა გული, ჭაბუკური ჩქროლვა მოსურდა
წყებათა თქვენთა რიალთაგან ხმაჯადოსნურთა.

მოგაქვთ წარსულის ათინათი, ციაგ-მზირველი,
და საყვარელი აჩრდილები დგებიან მკვდრეთით.
ეჰა, პირველი მეგობრობა, ტრფობა პირველი,
ზღაპარი, ჯერაც არმიმწყდარი, და ფეთქავს წვეთი,
და მოთქმა ნელა მიუყვება, ხმაშეჭირვებით,
ხსოვნის ლაბირინთს, სადაც ახლა ნავლია მეტი,
მიითვლის ძვირფას მათ სახელებს, წინას და წინას,
ვინც იმ წარსულში სამუდამო დაიდო ბინა.

აწ არღა ალხენთ სიმღერები ჩემი გვიანი,
პირველჟამინდელ საგალობლებს ვისთვისაც ვმღერდი,
მიწყდა პირველი მოძახილიც ხალისიანი,
შფოთიც, ზრიალიც, და ძველთაგან — არავინ გვერდით,
გარს — უცხო ხალხი, წლიდან წლამდე — უცხო ხმიანი,
მათ ყოველ ტაშზე ცივი შიშით მიზრზინავს მკერდი.
ხოლო ისინი, ვინც გულგახსნით მისმენდა ძველად,
თუ კვლავ არიან, შორს არიან, განმებნა ყველა.

და მომენატრა ის საუფლო, ის ხმანი ძველნი
გადაჩვეული მონატრებით, ნაღველზე მწარით.
კვლავ ცოცხალია, რაც ოდითგან მიყვარს და მელმის,
თრთის ჰანგი, თითქოს ეოლოსის ჩქროლავდეს ქნარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჰყვავის გულში სიყვარული ზეციურ ვარდად,
ვარდად, რომელიც უფლის ხელმა დარგო და ზარდა.

სიტყვას, გულიდან რომ დაიძვრის და ჩვენს უნებლივ
შემკრთალ ბგერებად ბაგეებზე რომ იწყებს ფართქალს,
თუ სადღეისომ გადაგვძალა ზრუნვა-ცთუნებით,
წამი უძღები არ დაინდობს, ხელადვე დანთქავს.
მწამს მხოლოდ საქმე ჟამთასვლისგან გაუხუნები,
ზიზილ-პიპილით რა ფასი აქვს სახელის განთქმას.
საბრჭყვიალოთი ვერ შეაცდენ დიდი ხნით ვერვის,
რაც ნამდვილია, მხოლოდ იგი შერჩება მერმისს.

კომიკოსი

გული გაწყალდა მაგ მერმისით, წამელო სმენა!
ერთიც ვნახოთ და მეც მერმისზე ამქავდა ენა.
ვინღა გაართოს დღე დღევანდელი?
თუ სანახავებს სამერმისო ჟამთათვის ვაწყობთ?
ამ ალალ ბიჭებს შემოხედეთ, აგერ და აწმყოფთ,
ჰა, ვითომ რაო? რას ემადლებით?
ვინც მაგათ გულით მიენდობა, მოინდობს კიდეც,
ვერ უმტყუნებს და არც მაგათგან შეხვდება ღალატს;
წრე რაც ფართოა, რაც მეტი იდენს,
მით მეტი ჭრა აქვს ნიჭსა და ძალას.
მოდით, მაგათთვის იხელოვნეთ, შევეშვათ მყოფადს,
აგვავსეთ თქვენი ფანტაზიის ზღვა-მდინარით;
კი, კი, ცხადია, გონებაც და გულიც და გრძნობაც,
მაგრამ გაფრთხილდით! არ გამოგრჩეთ გასაცინარი.

დირექტორი

და ყოველ სათქმელს საქმნელიცვე მუდამ თან-ახლდეს!
აქ მაყურებლად მოდის ხალხი, ეძებს სანახველს.
თუ თვალში მრავლად შეაფეთეთ ეგ სანახველი,
თუ გაცეცდა და ბოლოს პირიც თუ დარჩა დიად,
შორით შორამდე გაჰქუხს უკვე თქვენი სახელი,
კაცი ხართ ხალხის სათაყვანო, სხვა მადლი გცხიათ.
სიმრავლე უნდა სიმრავლითვე იქნას ძლეული,
ფანტეთ და ყველა თავის არჩივს მოხელავს თავად.
თუ ბევრს მიმოყრით, რამეს ირგებს იქ თვითეული,
ტაშს დაგიკრავთ და კმაყოფილი გუნებით წავა.
დგამთ წარმოდგენას? დადგით გროვად წვრილი ნაჭრები,
ადვილ-საჯრელი და თვალებში ადვილ-საჩრელი,
მენდეთ, ძვირფასად დაანაყრებთ ეგეთი რაგუც.
მთლიანობისთვის თუ დაშვრებით, ფუჭად დაშვრებით,
მაინც ხელდახელ დაგიფლეთენ ნაკუწ და ნაკუწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ო ე ტ ი

ნუთუ ვერ ხვდებით, რა მდარეა მსგავსი ხელობა,
ხელოვნებისთვის რამოდენა სიავეს თესავთ!
ჯილდო-მილღოთა ეგ მთითხნელობა,
ჩანს, დაგიდვიათ ცხოვრების წესად.

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი

ნუ ფიქრობთ, გული გამიგმიროთ მაგ საყვედურით!
საქმეს რომ იწყებს კაცი ოდნავ წინდახედული,
მიდის და საქმის შესაფერსვე ირჩევს იარაღს.
მანდ ჩეხვა უნდა, კაი ჩეხვა, რანდვა კი არა!
ვისთვის წერთ, ნახეთ და ნურაფერს მე ნუ მემდურით.
ეს აქ მოწყენამ მოიყვანა, ზის და მჭმუნვარებს,
ეს სუფრას უჯდა, ქელავს მუცელ-გამოტენილი,
ეს, კიდევ უფრო უარესი, უჯდა ჟურნალებს,
აზრი აქვს უკვე ყველაფერზე გამოტანილი.
იმ მავანისთვის თეატრონი მასკარადია,
ამ მავანისთვის — ჭორიკნული ცნობისწადილი,
ქალთათვის ღიმილ-სამკაულთა ჩენის ადგილი,
ისე იღვწიან, გეგონება, წილში გადიან.
ამათთან გნებავთ მოიხადოთ ზეგარდმო ვალი?
ამათ გამოა პოეტური თქვენი ბორგნები?
მაგ დამფასებლებს მიმოავლეთ ახლოდან თვალი,
ვინ გულგრილია, ვინ ბლაგვი თუ გაუჩორკნელი.
წავლენ და კარტზე გადავლენ უცებ,
ან ჩაცეცხლავენ, მოყრიან მეძავთ.
ამათთვის ტანჯავთ საბრალო მუზებს,
სათქმელს ებრძვით და რანდავთ და ხვეწავთ?
არ ასცდეთ მიზანს, თუ ნამდვილი ოსტატი გქვიათ,
ყარეთ მეტი და სულ მეტი და სულ უფრო მეტი.
უნდა ეცადოთ, დაასხათ რეტი,
დაკმაყოფილდნენ — ძნელია ფრიად...
რა? გეწვით რამე? თუ გეწვით ზეშთაგონება?

პ ო ე ტ ი

წა, სხვა მონახე, სხვები დასხი ამგვარ მონებად!
რა გაბედვინებს, უბადრუკო, მოსთხოვო მგოსანს,
შენთვის დამარხოს, ბუნებითი რაც მადლი მოსავს!
რა ცოდვა გინდა ატვირთვინო, ვერც გაგიგია!
რითი ძრავს იგი გულს და გონებას?
რითი კრავს იგი ყველა სტიქიას?
არ ოდენ იმით, იმ თანწყობით, ბგერს რითაც გული
და რითაც გულშივ უკუიწვნის სამყარო სრული?
ოდეს ბუნება თავის უწყვეტ, განუზღვრელ სართავს
ართავს გულგრილი და ივსება ნართით მასრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდეს ყოველი ხმობს, ზრიალებს, ღრიანცელს მართავს
და დგას ხმაური უთავბოლო, ყურთამაზრზენი,
ვინ აქცევს ამას დასაზღვრულ და მწყობრ ხმოვანებად,
სიცოცხლით ავსებს, რითმულ რხევად განასხეულებს?
ცალკერძს ყოვლადში ვინ ათავსებს, ვისი ბრძანება?
ვინ კინძავს მათგან აკორდების ხმატკბილ ხვეულებს?
ვინ ძალდებს გრიგალს, იმქუხაროს დიად ვნებებად?
ვინ თხზავს მიმკრთალი დაისებით უქრობელ ნათელს?
სატრფოს, ვინ არი, ნიავ-ჟრჟოლვად რომ ეგებება
და მის ბილიკზე გაზაფხულის ყვავილებს აფენს?
ვინ წნავს უჩინო რტოებისგან დიდების გვირგვინს,
იპყრობს ოლიმპოს და ღმერთებთან უყრია წილი?
ვინ არი მადლით შემოსილი სავსება იგი?
ძალი კაცისა, დიახ, მგოსნად სახიერ-ქმნილი!

კომიკოსი

ჰოდა, მაგ ძალით, მაგ მადლმოსხმულით,
ქმენით, აგვარეთ საქმე მგოსნური,
სასიყვარულო როგორც გვარდება:
შემთხვევით ნახვა, მილაქარდება,
შეკურკურება, აგურგურება,
კვლავ შერიგება, ისევ მდურება,
ვნება-შვებანი, გულთა სკდომანი,
და გამოისკვნა სრული რომანი.
დრამაც ეგეთი გამოლექსეთ, ეგ უფრო უყვართ!
ხაპეთ პირდაპირ ცხოვრებიდან! ახვრიპეთ უხვად!
ცხოვრობს კაცი და ვერ იაზრებს საკუთარ ღურღირს,
თავისი ყოფის აქ დანახვა ერთ რამედ უღირს.
სინათლე ცოტა, სიჭრელე დიდი,
წყალ-წყალა ჩმახში სიმართლის კვნიტი —
ყველაზე ნაღდი გახლავთ სასმელი
მაგ ჯარობებზე ჩამოსასხმელი.
მოაწყდებიან თქვენს ღაღადისს ახალუხლები.
გარწმუნებთ, მეტიც არ სჭირდება მათ გაბრუებას,
ნაზი სულები ფრფენა-ფრფენით მოვლენ უკლებლივ,
მელანქოლიურს გამოწოვენ ნექტარს უებარს.
იმას გამოკრებს თვითეული, მისი რაც არი.
სხვა კიდევ რაღა? ბრჭყვიალი და თვალში ნაცარი.
საქვითინოდაც მზად არიან, სახვიხვინოდაც,
მგზნებარებისთვის ორი-სამი ტირადაც კმარა.
დაგრჩეთ გულგრილი, ვისიც უკვე წახდა ღვინობა,
ვინც ჯერ ღვინდება, მადლიერი დაგრჩებათ მარად.

პოეტი

მაშ, მომეც ჩემი ღვინობის ჟამიც,
გზნებათა გზნება, ძალთა მძლეობა!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჰანგს აღვიძებდა ყოველი ჩქამი,
ჩქეფდა წყარო და არ ილეოდა.
სამყაროს ნისლის ეფინა რიდე,
სასწაულს შობდა კვირტი ყოველი,
დიდი მინდორი — მზედაქსოვილი,
და შიგ ყვავილთა საკრეფად ვიდექ.
ვიყავ ბევრის და არც რის მქონები,
ცხადს ვიკონავდი, ლანდს ვიკონებდი!
მომმადლე კვალად იგი სურვილი,
ის ტკბილი წყლული, ის მძაფრი ძალა
იმ სიყვარულის, იმ სიძულვილის,
იმ სიჭაბუკით გამნათლე კვალად!

ᲙᲝᲛᲘᲙᲝᲡᲘ

კაცს სიჭაბუკე იმისთვის გინდა,
ომში შეხვიდე თამაშ-თამაშით
და გამარჯვების ჯილდოდ თუ წინდად
ყელს შემოგესკვნას ქალი ლამაზი,
ხშირ-ხშირად წყვიტო ყაბახზე ტაში,
ძნელმისაწვდომელს მიაწყდე მიჯნას,
ცეკვა-როკვაში, ავარდნილ სმაში
სიშმაგის ღამე ღამეზე მიჯრა.
მაგრამ თუ გაბმით ჟღერენ ლარები,
თუ თმენაც უნდა სიტყვასთან ჭიდილს,
თუ გზა მიმოვლით, კვალის არევით,
ზუსტად მონიშნულ მიზანთან მიდის,
მაგ ხლართებს უკეთ ჭარმაგნი ხლართავთ
და არც ნაკლებით გიტყვიან ქებით.
სიბერე განა გვაბავშვებს მართლა,
სიბერეს კაცი ბავშვადვე ხვდები.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

სიტყვები უკვე საკმაოდ ვხარჯეთ,
საქმეც მანახეთ, ჩემო კარგებო!
სანამ ერთმანეთს ვამკობდით მარჯვედ,
ჯობდა ქმნილიყო რამ სასარგებლო.
გზნება ყოყმანში არ იბადება,
უცებ ჩაქრება, თუ არ უჩქარო.
მანდ პოეზიით მალ-მალ ქადებას
დასძარით მისი ლაშქარ-უშქარი!
იცით, რისასაც ვითხოვ თადარიგს:
უნდა მოდუღდეს წვენი მაგარი
და სასმისები დროზე შეივსოს.
თუ არ გაკეთდა დღეს სადღეისო,
ხვალისგან სარგებს ნუღარას ველით.
ქმენ გადაწყვეტით, რასაცა ზრახავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეჩოში სტაცე შემთხვევას ხელი,
და მერე საქმე, რაგინდ-რა ძნელი,
წაგიღებს, ერთხელ ივალე რახან.
ჩვენებურ სცენას ვინ ჰყავს პატრონი,
რასაც მოხელავ, გამოდებ დგამზე;
მიდით, არ ზოგოთ ამწე თუ დამწე,
ხედნი, ხიდურში სათეატრონი!
ჰა, ვარსკვლავეთი, ფლანგეთ, გეყოფათ,
ჰა, ცეცხლი, წყალი, ღრე და პიტალო,
რომელი ერთი ჩამოგითვალოთ,
რა ფრინველები, რა ოთხფეხობა!
მთელი სამყარო აქ ამ ათიოდ
ფიცრის წრეგანში უნდა ჩატიოთ.
ციდან დაჰყევით სიზმრით თუ ცხადით
და მიწის ჩავლით ჯოჯოხეთს ჩადით!

პროლოგი ცაში

უფალი — ზეციერი მხედრობა — შემდეგ მეფისტოფელი — წინ წამოდგება სამი მთავარანგელოზი

რ ა ფ ა ე ლ ი

მზე ისევ მობგერს მჭეხი და ფიცხი,
სფეროთა შორის ძმებრივ დაძრული,
კელა მოიგრგვინოს, ვითარცა მიწყივ,
გზა იგი თვისი, წრედ მოსაზღვრული.
ოდენ ხილვაცა ძალით და რწმენით
ავსებს ყოველთა ცისა ბინადართ.
ბწყინავს დიადი ქმნილება შენი,
ღღესა მას ერთსა ვითა ბრწყინავდა.

გ ა ბ რ ი ე ლ ი

და თანაბგერით კვლადით და კვლადით
ბრუნავს და ბრუნავს კვლა დედამიწა,
ხან ცისმიერი ციაგი მნათი,
ხან ყიამეთი მოსავს ღამისა.
ზღვა ბრკიალებს და ბორგავს და ხმელთა
ბურჯებს კლდოვანებს ემსხვრევა ბროლად,
და კლდეთაც, წყალთაც მიასრბევს ერთბამ
მბრუნავ სფეროთა მარადი სრბოლა.

მ ი ქ ა ე ლ ი

და ქრიან ქარნი და ქარიშხალნი
ზღვით ხმელეთამდე, ხმელეთით ზღვამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზებს მიგრაგნიან ძალით მრისხანით
ღრმა ცვალებათა ბალავრის დამდებს.
იავარ ხდება, რასაც ტაროსი
ელვის ბილიკით დაეგრგვინება.
მაგრამ სხვა გვიკვირს უნეტარესი —
დღეთა მათ შენთა წყნარი დინება.

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ

და ხილვა მისი ძალით და რწმენით
გვავსებს ყოველთა ცისა ბინადართ,
ბრწყინავს დიადი ქმნილება შენი.
დღესა მას ერთსა ვითა ბრწყინავდა.

ᲛᲔᲤᲘᲡᲢᲝᲤᲔᲚᲘ

მოხვალ, უფალო, რომ წესის და რიგის თანახმად
გაუწყოთ ჩვენი საქმეები, ჩვენი ზრახვები,
და რაკი ვიცი, გეამება ჩემი დანახვა,
საყმოსთან ერთად მეც ბარემლა დაგენახვები,
გთხოვ, მაპატიო, ამაღლებულს ვერაფერს ვიტყვი,
ამ ძვირფას წრეში არ ღირს თავის გამოჭენება;
ჩემს რახარუხზე შენ თვითონვე ატეხდი ჩითხითს,
სიცილისაგან გადაჩვევა რომ არ გენება.
ვერ გეტყვი, ცაში მნათობები სად რას გალობენ,
კაცისა ვიცი, სულ არ ულხინს მაგ საწყალობელს.
პატარა ღმერთი, მიწიერი ეგ ღმერთუკანა,
რაც მაშინ იყო, იგივეა იმ დღის უკანაც.
ხალვათად მაინც იცხოვრებდა, თუ არ ნეტარად,
მის თავში ნათლის ათინათი არ შეგეტანა.
რიხით გონება დაარქვა და ერთადერთ საქნარს,
პირუტყვზე უფრო გაპირუტყვდეს, ბეჯითად ახმარს.
სხვაფრივ კი იგი, თქვენი რისხვა ნუ მიწერია,
ზედგამოჭრილი გრძელფეხება ერთი მწერია,
აი, რომელიც ბალახ-ბალახ სკუპ-სკუპით დაფრენს,
ჩაჯდება შიგ და, ჭრიი, ჭრიი, აუშვებს აფრებს;
მართლა ბალახში რომ დატევდეს ცხოვრების ნირი,
ზნედ არა სჭირდეს, ყველა შმორში ჩაჩაროს ცხვირი!

ᲣᲤᲐᲚᲘ

ეგ არი მთელი შენი სათქმელი?
არსად რამ — ცოტა სულმოსათქმელი?
ცუდია ქვეყნად ყველაფერი? ცუდი და მრუდი?

ᲛᲔᲤᲘᲡᲢᲝᲤᲔᲚᲘ

დასტურ, უფალო! თანაც როგორ გულისად ცუდი!
კაცი, რა ვქნა და, გახლავთ ისე შესაბრალისი,
ცოდვით ველარც კი გამიტანჯავს, წახდა ხალისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი
ფაუსტი იცი?

მეფისტოფელი
ვინ, დოქტორი?

უფალი
ჩემი მსახური!

მეფისტოფელი

უცნაურ წესზე კი გმსახურებს, მადლი ჰფენია!
მიწიერ საზრდოს არ სჯერდება ტვინგანახური,
სადღაც შორეთში მიაბორგებს ჩქროლვა ჩმახური,
თან სანახევროდ ბარემ ატყობს, რაც რეგვენია.
ზეცისგან ყველა უნათლესი ვარსკვლავი ნებავს,
მიწისგან ყველა უმაღლესი სიამე სოფლის,
ვერ დადო გული, წამით ეგრძნო ცოტა რამ შვება,
ახლო თუ შორი არაფერი არაფრად ჰყოფნის.

უფალი

მაგ ბორგვაშიაც მსახურების არ სცდება საზღვარს.
გეტყვი, ნათლამდე გამოაღწევს თავის დროისთვის.
იცის მებაღემ, თუ ხასხასებს, რა ნერგიც დასხა,
გაის-გარდამის იმ ნერგიდან ნაყოფს მოისთვლის.

მეფისტოფელი

ნაძლევი, წაგგვრი, მე მივიტაცებ,
თუ ნებას დამრთავ, რომ ეგ ობროდი
ვატარო ჩემი ოღრო-ჩოღროთი.

უფალი

ნება გაქვს, სანამ ცხოვრობს მიწაზე.
ძლევა გერგება, თუ შენსკენ მიდრეკ.
წრიალებს კაცი, გზას ეძებს ვიდრე.

მეფისტოფელი

გმადლობ, რაკიღა ჩემი არსებით
მკვდრებს, თავად უწყი, ვერ ვეთავსები,
ღაწვნი მიყვარან ფეროვნები, ხორცით სავსენი.
შინად ვერა ვარ ცხედრებს შორის ბნელ აკლდამაში,
მეც კატისა მჭირს, ცოცხალ თაგვთან მიყვარს თამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უ ფ ა ლ ი

კეთილი, დრომდე შენ გებარება,
სინჯე, მოსწყვიტე წიაღს პირვანდელს,
შენს გზამრუდებზე სცადე ტარება,
ჩაღმა და ჩაღმა, ბნელს ჩაძირვამდე.
სირცხვილეული რა მომიხვალ, გაყუჩდი წამით,
თქვი: კაცი ვარგი არ დაჰყვება ავსულთა ზაკვას,
ბნელი ბორგვითაც ნათლისაკენ გაიგნებს გზა-კვალს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

კარგი! ეს საქმე გარიგდეს ამით,
არ ვგონებ, დიდიც დამჭირდეს ჟამი,
და როცა სრულად აცხადდება, მე რასაც ველი,
ნება მიბოძე გამარჯვების ყიჟინა დავცე.
მიწას დაღრღნის და თან ისეთი სიამით სავსე,
ძალუაჩემიც უკან დარჩეს, განთქმული გველი.

უ ფ ა ლ ი

აქ გამოჩენა თუ მოგინდეს, თამამად მოდი,
არ ვემტერები შენისთანებს, მეტიც რაღა-რა.
უარმყოფელი სულებიდან ოდით და ოდით
ყველაზე უკეთ ჭკუამახვილს ვგუობ მაღვალაკს.
კაცი იმწამსვე მცონარდება, თუ მოისვენა,
დაყუნცდება და უსაქმობის ხავსით იმკობა,
ამიტომ არი, თანამგზავრთა მიყვარს მიჩენა,
დროდადრო ცოტა შეაფხიზლოს მათმა ჭინკობამ. —
თქვენ კი, ღვთისშვილნო ჭეშმარიტნო, განიმსჭვალენით
მშვენიერების, ფერუცველის, მიწყივ ცვალებით!
მარად ცოცხალმა, მარად ქმედმა მიგინდოთ გზამა,
გარეგავლებდეთ სიყვარულის უნაზეს სამანს,
და, რაც წამიერ მჩინარდება, ის რჯითა თქვენით,
ღრმა ფიქრთა თქვენთა დაუნჯებით, წარუვალ-ქმენით!

(ცა იხურება, მთავარანგელოზები სათითაოდ გადიან).

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი, მარტო

მიყვარს შემოვლა ბერიკაცთან და საუბარი,
გულს შემაკლდება, მუდამ ასე თუ არ გასტანა.
ჰა, როგორია, ეს ამხელა მამაუფალი
ზის და კაცურად ლაპარაკობს თვით ეშმასთანაც.

ღ ა მ ე

მაღალთაღიანი ვიწრო გოტიკური ოთახი. ფ ა უ ს ტ ი საშუშაო მაგიდასთან სავარძელში წრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

ფილოსოფია მოვიბრძნე ვებით,
ვევნე სამრათლით და მედიცინით,
თეოლოგიის თეოზეც ვები,
ვდგავარ ახლა და სიმწრით ვიცინი.
რა ბრიყვიც ვიყავ, დავრჩი იმადვე,
მისხალი ჭკუა ვერ შევიმატე!
მაგისტრიც მქვია, დოქტორიც მქვია
და მოწაფენი წყვდიად და წყვდიად
დამყავს ათწლობით წინა და უკმო,
ვაგლახ, უგზოზე ხეტებავ უქმო!
არ შეძლებულა ცოდნა რისიმე,
ეგ არი, ბოღმით გულს რაც მისივებს.
კი, სწავლით ვჯობვარ გამორეკილთა —
დოქტორ-მაგისტრთა, ხუცეს-ვექილთა.
არ მემართება ვაი და ვიში
ჯოჯოხეთის და ეშმაკის შიშით.
სამაგიეროდ შვებაც წამერთვა,
გულუკვნესარი თუ ვარ, წამერთ ვარ,
არც რის მქონები, არც რის მცოდნელი,
სახელ-დიდების არ მომლოდნელი,
საწაღმართოსი ვერას მზიდველი,
კაცთათვის ვერად ვერ შემხიდველი.
ძაღლი ვერ უძლებს საყმუარს ამდენს
და, აჰა, თავი მაგიას ვანდე,
რომ სულთა ძალით და შემწეობით
დაფარულს რასმე ცოდნას ვწეოდი, —
ამაო სიბრძნით, ყოვლად ნაკლულით,
სხვას არ ვმოძღვრავდე ღაწვშეფაკლული,
ვწვლილავდე პირველ, უხილავ დვრიტას,
შინაგან იკვრის სამყარო რითაც,
მივკვლევდე ყოველს ბოლო ხვანჯამდე
და მხოლოდ სიტყვებს არა ვხარჯავდე.

ნეტავ, მთვარეო, ვინძლო და ნეტავ,
აღარ გენახო, რა ჭირშიც მხედავ!
უწინაც ასე, ზღვა ვაჰთა მტევარს,
ამ ეტრატებთან ღამეთა მთევარს,
წამომსწრებიხარ, როსამ გვიანობ,
მოყვასო ჩემო თვალსევდიანო.
ნეტავ შენეულ — ეჰა, რად არა! —
ნათელ ბინდბუნდში მთებზე მატარა,
სად სულნი ქრიან ეხთა და ტევრთა,
მავლო, მარბია მეც მათთან ერთად,
მომრეცხა შენი ცინცხალი ჩქერით
სწავლულებათა მჭვარტლი და მტვერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ, გლახ, ისევ საკანს ვყუდივარ,
ამ მძიმე კედლებს დავუხუთივარ,
სად ცის ნათელიც ბუნდადღა მინათს,
ძლივს გამომცდარი მოხატულ მინას!
გარს — დაჩრჩილული, გადამტვერილი
წიგნების გროვა სართულ-სართული,
ალაგ ფურცლები შიგ ჩაჩხერილი,
ჭრაქ-პატრუქებით გადამჭვარტლული,
ლუსკუმ-შუშები, ხელსაწყოები,
პაპისპაპათა ხარახურანი —
ეს ჯურღმულია და ეს ბურანი
შენი არსობის აზრი ცხოველი!

ჰოდა, რა გიკვირს, დამფრთხალი გული
თუ გეწურება და სევდა გთრგუნავს?
თუ ჩუმად გართმევს უჩინო წყლული
საძრაობას და სიცოცხლის უნარს?
ლაღი, ცხოველი ბუნების ნაცვლად,
სადაც დაგვიდო ღმერთმა ალაგი,
სენაკი გაკრავს, ქცეული საძვლედ,
ჩონჩხ-ფიტულების სადგამ-სალაგი.
წა, განეშორე ყოფას საზარელს,
ბნელი სოროდან დროზე გაძვერი,
ეს ეტრატიღა ითანამგზავრე,
ნოსტრადამუსის ხელით ნაწერი.
იგზნე, შეიცან ხომლთა დინება,
დედაბუნების ეწრფე საუფლოს
და განცდის მადლი მოგეფინება,
რომლითაც სული სულთან საუბრობს.
ამ წმინდა ნიშნებს, ენიგმურ მიჯრილთ,
ვერ ახსნი მშრალი გონების გვემით!
აქვე ხართ, სულნო, უჩუმრივ იძვრით,
ხმა გამაგონეთ, თუ გესმით ჩემი!

(წიგნს გადაშლის და მაკროკოსმოსის ნიშანს დაინახავს).

ჰა, თვალი დავკარ და სიამის რა ჟრუანტელმა
შემძრა ერთიან! ყველა გრძნობა მოიცვა უმალ!
უქმ-ულიმღამო გულწუხობა უმალ განდევნა
ძარღვში დავლილმა ნეტარებამ, მძაფრმა და სრულმა!
ვინც ეს ნიშანი გამოსახა, ვინ იყო, ღმერთი?
მთელდება წყლული გზნებათაგან, ჭაბუკურ ლაღთა,
ახალგაზრდული სიხალისით მევსება მკერდი,
და ჩემს გარშემო, მიღმიერთან იდუმალ შერთვით,
[illegible]
ნუთუ ღმერთი ვარ? მთელი არსით გავნათებულვარ!
მხედველი სულით ვჭვრეტ ბუნების ყოველ ქმედებას,
ამ წმინდა ნიშნის ნაკვთებიდან რომ იკვეთება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენკაცის ნათქვამს ახლა ჩავხვდი განმარტებულად:
„სულთა საუფლო არა დევს ხშული,
გადაგეხსნებათ, გულს თუ გაიხსნით.
ადექ, შეგირდო, განიფრთხე რული
და განიბანე მკერდი აისით!“

(დასცქერის ნიშანს).

როგორ რუდუნებს ყოველი და ერთარსად ისთვის,
ერთმანეთს როგორ თანაუხმობს მარადი რჯისთვის!
ადი-ჩადიან ცათა ძალნი, როკვენ და როკვენ,
ერთიმეორეს ოქროს სათლებს აწვდიან ზე-ქვე,
რომ ახლად შობდეს დამლევი დამდეგს,
რომ მადლსურნელში მიწიდან ცამდე
ჰარმონიული ჩქამები ჩქამდეს!

რა ხილვა იყო! მაგრამ, ვაგლახ, მარტოდენ ხილვა!
მისხლტის, მიმისხლტის ყველაფერი! უღონო ვქმნილვარ!
უკიდეგანო ბუნებაო, რა ვისაშველო,
სად ხართ, სიცოცხლის წყაროსთვალნო, ცურნო სავსენო?
თქვენით სულდგმულობს ცა და მიწა, რწყულდება უხვად!
დიხართ, იღვრებით! მე კი ნუთუ ამაოდ მწყურხართ?

(უკმაყოფილოდ გადაშლის სხვა ფურცელს და მიწის სულის ნიშანს დაინახავს).

როგორ მიზიდავს ეგ ნიშანი, რაგვარი ჟინით!
სულო მიწისავ, გამორჩევით ხარ ახლობელი!
კვლავ აპირთავდა ძალა მხმობელი,
შმაგი რამ ძალა მბორგავი ღვინის.
მიწვევს, გავბედო, ქვეყნის გულში შევბედო ცხადლივ,
სრულად ვიტვირთო მიწის ცოდვა და მიწის მადლი,
ბებერი მკერდი შევაგებო ტალღების ხლდომას,
არაფერია, თუ გრიგალი დამიმსხვრევს ხომალდს.
ჯანღი მეხვევა —
სხივები აკრიფა მთვარემ —
ქრება ლამპარი —
იკვამლა! — წითლად მოცახცახე
შუქი მოკრთის — გარს მერკალება —
ძრწოლა მობერავს თაღებიდან
გამჭოლველი, ბურძგლის ამშლელი!
აქ სადღაც ახლოს დარიალებ, სულო ხმობილო!
უნდა გამოხდე!
უნდა გამოხდე, ყველა გრძნობით შემეგრძნობინო!
არა მგამა რა! შევპყრობილვარ ავი ცხელებით!
გასკდომაზეა უკვე გული, ცემს გახელებით!
ერთად შეიკრა ყველა ურვა, შეკრა კამარა!
გამომეცხადე! და გინდ მოვკვდე, არა მგამა რა!

(ისევ დასწვდება წიგნს და იდუმალი სახით სულთა შელოცვას წარმოთქვამს. უეცრად ალი იფეთქებს და ალს შიგნიდან სული ამოჩნდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული

ვინ მიხმობს?

ფაუსტი, პირს მიიბრუნებს

განვედ! ხარ ზარდამცემი!

სული

მძლავრი ღაღადით შემომღაღადე,
შემოაღწიე ჩემს წიაღამდე,
და ჰა —

ფაუსტი

ვაგლახმე! ვერ გადავრჩები!

სული

შემომვედრებდი გრძნობით მქშინარი,
ხმა გაგეგონა, სახე გენახა,
აჰა, მოველ და ეს აქ ვინ არი,
შიშით რომ ხვეის? ნუთუ შენა ხარ?
ძალთამხმეველი! ზეკაცი ლამის!
რა იქნა შენი სულის ღაღადი,
ის სიხარულით ცახცახის წამი,
თავს როცა ზესთა სწორად სახავდი?
სადა ხარ, ფაუსტ, ხმითა ვისითაც
მნუსხავმა ძალამ აქ მომიზიდა?
ვერ გაგიბედავს თვალის გახელა,
ძრწი, იკლაკნები ვით ჭიაყელა!
მკერდქვეშ სამყაროს დამტევნელი, მღილიღა დარჩი!

ფაუსტი

ცეცხლსახოვანო, ვერ დამთრგუნავ, რაც გინდა ქმენი!
დიახ, ეს მე ვარ, ფაუსტი ვარ! სწორი ვარ შენი!

სული

ყოფნის გრიგალში, ქმნადობის ღვარში,
შობა-გარდასვლათა,
დასთა და დასთა,
ზღვამარადს ვასთავ და
მივფენ და ვასთავ,
საწყის და სასრულ
მიმოვსრბი მასრულ
დგიმსა მოზუზუნეს ჟამისა მყოვარის
ღმერთისთვის ცოცხალი სამოსის მქსოვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

ო, არ შევმცდარვარ, ქმედო სულო, გეშით, უმალვე
მსგავსად და თვისად შეუცნობლივ რომ გიგუმანე!

სული

ვინც შეგიცვნია, ხარ იმ სულთა მსგავსი და თვისი,
ჩემი არასგზით!

ფაუსტი, (ჩამქრალი ხმით)

შენი — არა?
ვისღა? ვისი?
მე, ხატი ღვთისა,
შენც ვერ გედრები?

(კაკუნი კარზე).

დასწყევლოს! ჩემი ფამულუსი! რა დროს ეს არი!
ბოლო მოელო უზენაეს ჩემს ნეტარებას!
შემოშავდება, ყველა ხილვას უმალ გარეკავს
გულგამომშრალი მუზმუზელა, ეგ აბეზარი!

(შემოდის ვაგნერი, ტანზე შლაფროკი, თავზე ღამის ჩაჩი, ხელში სანათი. ფაუსტი უკმაყოფილოდ მიაჩერდება).

ვაგნერი

გეჭრებით, მაგრამ შემომესმა დეკლამაცია;
უთუოდ ბერძნულ ტრაგედიას დეკლამირებდით?
ღღეს კაცი, კარგად ვერმეტყველი, ცოტა კაცია,
მინდა მაგ დარგშიც დავიგროვო ცოდნა მცირედი.
კომედიანტი ვითომ რა და მოძღვარს რიგიანს
რიგიანადვე დამოძღვრავსო, თქმად გამიგია.

ფაუსტი

კი, თუ მოძღვარი თვითონ იქცა კომედიანტად.
წარმოიდგინეთ, ხდება ხოლმე ჟამიდან ჟამზე.

ვაგნერი

ახ, ვინც მუზების სამყოფელში ზის ღღენიადაგ,
ქვეყანას მხოლოდ დიდუქმობით ჭოგრიდან გამზერს,
მან, აბა, თუ არ რიტორული სწავლის შედეგად,
სხვით რითი უმდა მოახდინოს ზემოქმედება?

ფაუსტი

უგულ-უგრძნობოდ, ჩემო კარგო, სიტყვა ფუჭია,
თქვენი სულიდან პირველქმნილი ძალუმი ძალით
თუ არ დაიძრა და მსმენელის გულს არ უწია,
რისი შემძლეა? ვისზე გნებავთ დატოვოს კვალი?
ან რა საქმეა, ნამუსრევი სხვათა და სხვათა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯდეთ, აკოწიწოთ უშნოდ და უფხოდ,
სული უბეროთ ჩანაცრულ ღადარს,
ნასუფრალისგან კერძები ლუფხოთ!
ვთქვათ, გააოცეთ ბალღები და მატაოცები,
რა ყელი გინდათ მოიღეროთ მაგ გაოცებით?
ყურთან გარჩება თქვენი სიტყვა, სადღაც გარეგან,
გულს თუ არ ჩადებთ, გულზე არვის გაეკარება.

ვაგნერი

მაგრამ რიტორი მეტყველებით ფასდება მჭევრით,
მე ჯერ მანდამდე, ვგრძნობ, მაკლია ძალიან ბევრი.

ფაუსტი

ნუ ლამობთ, ფუჭად ამღვრიოთ წყალი,
ეჟვნიან შლეგად იქცეთ ნებითედ!
აზრი და განცდა საჭირო ყალიბს
იპოვის მცირე ხელოვნებითაც.
თუკი სათქმელი გაწუხებთ მართლა,
რა საჭიროა სიტყვების ჩხლართვა.
ის რიტორსიტყვა, მოკაზმული და ნასხვისარი,
კაცობრიობის დარწყულება რითაც გწყურიათ,
აი, გვიანი შემოდგომით, სველი ნისლქარის
ხმელ ფოთლებს შორის ზუზუნივით უამურია.

ვაგნერი

ღმერთო, გრძელია ხელოვნება, ცხოვრება მოკლე!
პერგამენტებთან გაბმით ჯდომისას
დავფიქრდები და შიში მომიცავს, —
ვიდრე მოსალევს მოილევდე, თავადვე მოგლევს!
პირველწყაროთა სიღრმეებში ცდილობ შეღწევას
ძნელ და უძნელეს ხერხთა მხმევარი,
არადა, ჯერეთ გზის ნახევარიც
არ გაქვს გავლილი და სიკვდილი წამოგეწევა.

ფაუსტი

ეჰ, პერგამენტი რა მკურნალი ჯადო-წყალია,
ყველა წყურვილი დაუამდეს, ვინც ეგ დალია!
არ გვეღირსება დაამება, ცდაც ამაოა,
ის პირველწყარო სულიდანვე თუ არ ამოვა.

ვაგნერი

მომიტევეთ და მაინც დიდი სიამე გახლავთ,
დროის სულს ჩასწვდე, მოიხილო წარსული ახლად,
ჩახვდე ძველების ნააზრევით და ნასწავლებით,
რანი ყოფილან და მას უკან რა შორს წავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

შორს, ნულარ იტყვით! ვარსკვლავებს შევწვდით!
წარსული, ჩემო მეგობარო, შვიდმაგი ბეჭდით
დაბეჭდილია, ამოქოლილ კარებს ვეხლებით!
ხოლო სწავლულებს დროის სული რასაც უქვიათ,
მათივ სულია, მათი აზრის მონაშუქია,
გარდასულ ჟამთა უსიცოცხლო ანარეკლებით!
გამოლეჭილი, მკვდრადშობილი ფოლიანტები,
ნაგვის ნაყარი, რეკვიზიტი, ობი და ხავსი,
ან, დიდი-დიდი, დრამატული კორიანტელი,
მეფე-მთავრებზე პომპეზური დადგმების მსგავსი,
შიგ პრაგმატული მაქსიმები სწავლული ბრძენის,
ზუსტად, როგორიც ბალაგანში თოჯინებს შვენის!

ვაგნერი

მაგრამ სამყარო! მაგრამ კაცის გული და გონი!
მანდ ყოველივეს ნაბიჯ-ნაბიჯ შეცნობა უნდა.

ფაუსტი

ვიცით კი რაა ეგ შეცნობა? ძალიან ბუნდად.
სახელებს ვარგებთ! შერქმეული სიტყვებით ვწონით!
იმ მცირედთაგან, ვინც შეიცნო რამე მანდედან
და ბრბოს გაანდო გულუბრყვილოდ ხილვა თუ განცდა,
ფიქრობთ, განდიდდა რომელიმე? ნუ გელანდებათ!
გვემეს, კოცონზე აიყვანეს, ჯვარს აცვეს კაცთა...
გთხოვთ, მეგობარო, სადაცაა თორმეტს გადავა,
ეგ სჯა-ბაასი გადაგვედო იქნებ ხვალისთვის.

ვაგნერი

თქვენთან ამ სწავლულ საუბარში მე ჩემდათავად
გათენებამდეც ვიფხიზლებდი დიდის ხალისით.
ხვალ აღდგომაა, ცოტა ხანი ხვალაც დამითმეთ,
კვლავ შეგაწუხებთ ორი-სამი კითხვით რამითვე.
დღედაღამ ვლამობ, მოვიწვლილო, რაც სწავლადია,
კი, ბევრი ვიცი, მაგრამ ყოვლის ცოდნა მწადია.

(გადის)

ფაუსტი, (მარტო)

რა იმედებით ანთებული მიღელ-მოღელავს,
ეს ფუყე საზრდო კი არ აცლის, უხელებს მადას,
ხელები ლაფში ჩაუთხრია, დაეძებს მადანს
და ლხინად ჰყოფნის, ჭიაყელა თუ გამოხელა.
მაგის ხმა უნდა გაისმოდეს, უგბილი ცეტის,
აქ, სადაც სულთა ლაშქარია მომდგარი კართან?
თუმცა ამჯერად რას გემდური, რა მეთქმის მეტი,
მიწის შვილთაგან უსაწყლესო, მადლობის გარდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოწარკვეთას გამომტაცე მკვდარი ნახევრად,
აზრს ვერ ვიკრებდი, ვბაბანებდი გონგამოცლილი.
მაინც რა იყო ის იმხელა საზარ-სახება!
ჯუჯად ვიქეცი დამდგომოდა თავზე ბორცვივით!

მე, უფლის ხატი, ვინც წარუვალ ჭეშმარიტებას
მივეახლე და შევემსჭვალე — ასე ვგონებდი —
ვინც ზედროულში ვრონინებდი თავმოწონებით
და მიწიერი არსებობა ზღვარს ვერ მიდებდა,
მე, ქერუბინზე უფრო მეტი, მე, ვისი ძალაც
ბუნების ძარღვებს ეღვრებოდა, ცხოვლივ განტოტვილს,
ვინც ვცისკროვნებდი, ღვთაებრივი ნათლით ვნათობდი,
მგრგვინავმა სიტყვამ მომისროლა როგორც ნაფოტი
და განწირული მიწა-მტვერში ვსხმარტალებ კვალად.

როგორ მეგონა მე კადნიერს თავი შენდარი!
კი, ძალა მეყო, გამომეხმე ყალყზე შემდგარი,
მაგრამ ვერ შეგკარ, სამაგისოდ არ მეყო ძალა!
რა თავისუფლად ვსუნთქავდი იმწამს,
დიდიც და მცირეც ვიყავ თანაბარ,
როცა მაგ ზარხმამ უღრანსვე მიმცა,
ისევ კაცობრივ ხვედრთან დამაბა.
აწ რა ვყო? განვდგე? დავხშო კარები?
თუ მივყვე ლტოლვას? ვინ მეტყვის მაგას?
ჩვენი ჯახირით და მშფოთვარებით
თავად ვიბურდავთ ცხოვრების გზა-კვალს.

სულში მაღალი თუ რამ იძრა, არაყოვლადი,
ყველა ღურღუმი ჩასაძირად მიეტანება;
ცოტა სახელიც თუ ვიშოვეთ, ცოტა დოვლათიც,
იმ მაღალს უკვე ცთომა ჰქვია, ფუჭი ზმანება.
ჰოდა, ცხოვრებას რაც გვანიჭებს, განცდა ზეული,
ხელში გვაზრება სოფლის ბრუნვით ბრუდახვეული.

ზეაიძრება წარმოსახვა ფრთების სწორებით,
მარადისისკენ ლაღად შეკრავს კამარას უვრცესს,
მაგრამ წამშივე უკუგვითრევს დროის მორევი,
შიგ ცვივა ყველა სიხარული ფურცელ და ფურცელ.
ზრუნვა ზის, ზრუნვა გულისგულში და ჩუმად ღვივის,
ქსოვს განუწყვეტლივ ყოვლწამიერ იდუმალ ტკივილს,
მოუსვენრობით, დარდით ავსებს, გარს რასაც ნახავს,
სახელებს იცვლის, ნიღბებს ირგებს ახალს და ახალს,
ხან სახლ-კარია, ჯალაბია, შვილი და ძირი,
ხან ცეცხლი, წყალი, საწამლავი თუ ზურგში დანა,
სანამ განსაცდელს დავლანდავდეთ, ვცახცახებთ მანამ
და დღეისმარე დაუკარგავ დანაკარგს ვტირით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვარ ზესთა შესაგვანი, მეუწყა ცხადლივ!
ღმერთი კი არა, ძირს მღოღავი მატლი ვარ, მატლი,
მტვერს რომ მიიჭამს, და თუ მოხდა, გაღოღდა გზაზე,
გამვლელის ფეხი დაედგმის და მტვერშივე ჩაზელს.

მართლაცდა რაა, სხვა რაღაა, თუ არა მტვერი,
მთელ ამ კედლებზე თარო-წალო რითაც მივსია?
ეს ჩიხიმახო, დაფხავებულ ეტრატთა ჯერი,
ამ საჩრჩილეთში თავს დაყრილი, რის მაქნისია?
აქ უნდა ვპოვო, რაც მაკლია? ვიწყვიტო ქანცი,
ათასი წიგნი გამოვლოღნო იმის დასტურად,
თურმე ნუ იტყვით, ყველა დროში წვალობდა კაცი
და უმდურველი ძნელად ვინმე თუ გარდასულა?
რაო, ფუტურო თავისქალავ, რას შემომღიმი?
იმას, რომ ჩემი საგვემელი შენც გაქვს ნაგემი?
რომ წუთისოფლის მძიმე ბინდში ფოლხვა-ფორხილით,
ჰე-ჰე, დღემსუბუქს ეძებდი და ვერ მიაგენი?
თქვენც, თქვენც დამცინით, ცდათა ჩემთა იარაღებო,
მაგ ჭახრაკებით, ციბრუტებით, სახრახნისებით:
კარის წინ ვიდექ, ჯიქურ მსურდა მისი გაღება
და გასაღების მაგივრობას თქვენ გაკისრებდით!
მაგრამ ბუნება რასაც რაზავს, გულდაგულ რაზავს,
გარე-უვლია უხილავი მკვიდრი კედელი
და ჩვენი სულის სიღრმიდანვე არ გვამცნობს რასაც,
ვერ გამოსძალავ დგუშებით და ქანჩ-ბერკეტებით.
ხელსაწყოვ ძველო, არასოდეს ხელთ არ მჭერიხარ,
მამისგან მერგე, აქ ამიტომ აგდიხარ მარტივ;
ძველო გრაგნილო, ერთიანად მჭვარტლისფერი ხარ,
ჭრაქ-ბაზმებისგან დაგდებია იმდენი მჭვარტლი.
შემომფლანგოდა, რაც მებადა, მიჯობდა ასწილ,
ვინემ ეგ ცოტაც საბელივით ყელზე მხვეოდა!
მამა-პაპისგან რაც მოგეცა მემკვიდრეობად,
მოიეც, ხოლო ნუ ეყმობი, შენი გზით გასწი!
ტვირთია განძიც, დადებული მოუხმარისად,
წამი შობს ყოველს, ხვალემ უწყის ოდენ ხვალისა.

მაგრამ მანდ საით მეზიდება უნებურ თვალი,
რა ძალა ახლავს მაგ ლუსკუმას, რა ანდამატთა?
ან სული ჩემი მოლოდინით რატომ განათდა,
როგორც უეცრად ღამეული ღრანი — მთვარით?

ეჰა, საწდეო ერთადერთო, სალამი შენდა,
ნახვეწო ბროლო, საწყაულო იდუმალ წვენთა,
ხელობის მადლი დაგატვიფრა ხელმა მხვეწელმა!
თაროდან კრძალვით გადმოგიღებ, აწ დადგა ჟამი!
პირთამდე სავსევ სასიკვდილო კამკამა შხამით,
პატრონსა შენსა დღეს სჭირდება შენი შეწევნა!
გიცქერ და წყლული მიამდება, ტკივილი დაცხრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში გიღებ და იწმინდება. ბორგავდა რაც-რა,
ნელდება ღელვა, ფუჭ ღამეთა ვტოვებ ლაბირინთს.
წინ, ღია ზღვაში აფრა ჩემი თამამად ივლის,
დამიფენს ფერხთით სარკოვანი ზვირთების ლივლივს,
აისი მიხმობს და ახალი მიხმობს ნაპირი.

ფრთაცეცხლოვანი მომეახლა ეტლი ციერი,
ამქვეყნიური განმაშორა ყველა სახმილი,
მზად ვარ მივენდო, გადავლახო თვალსაწიერი,
წმინდა ქმედების საუფლოსკენ კართგანსახმელი.
ო, ნეტარებავ ღვთაებრივო! ზეაჭრავ კვლადო!
რამ ღირსგყო, მღილო წეღანდელო, ბნელს მიმამულო?
მაშ, მზეს მიწიერს, მოღადღადე ხვავრიელ მნათობს,
ზურგი აქციე უსიტყვოდ და უსინანულოდ!
გადაიარე ზღურბლი იგი, განახვენ ბჭენი,
რომლის წინაშეც ყველა არსი ძრწოლით ივსება!
ჟამი გეწვია, დაამტკიცო საქმითა შენით,
ზესთა სიმაღლის თანადია კაცის ღირსება!
ნურამც შეგზარავს სალმობათა ბნელი ქვაბული,
ნაზღაპრევებმა რომ დახუნძლეს ზაფრიანებმა,
იმ შესასვლელის მოიხილე კვნესა გაბმული,
მის ვიწრო ყელში ჯოჯოხეთის აბრიალება.
მიიქეც გულით მხიარულით! წარვედ უბრკმელი!
არარად ქცევაც რომ გელოდეს, ნუ შეუდრკები!

ბროლის ჭურჭელო, მაშ დატოვე ლუსკუმა ძველი,
მივიწყებული დგახარ შენთვის რამდენი წელი,
არც ჩემი ხელი შეგხებია, არც ჩემი ფიქრი.
როგორ ბრწყინავდი მამაჩემის სუფრაზე წინათ,
როცა მეგობრებს უახლოესს დასხამდა ლხინად!
პირთამდე სავსე დაუვლიდი თვითეულს რიგ-რიგ,
და როგორც ყოვლად შეუვალი წესი უდგენდათ,
ეს სურათები, შენს ფერცხლებზე გამოხატული,
უნდა აეხსნათ სალაღობო ლექსით სხარტულით,
მერე ბოლომდე დაეცალეთ სულმოუთქმელად.
ახლა ვერც ვეღარ სალაღობო ზმას გეტყვი რასმე,
ვერც ვეღარავის გადაგაწვდი პირთამდე სავსეს,
დღეს ამ ჟანგისფერ, ჩემი ხელით დაწურულ სასმელს
მარტოდ გამოვცლი, უცებ ათრობს ეგე სასმელი,
უცებ გამიყვანს დროისა და სივრცის კიდეგან.
მაშ, სავსე გულით ამ ახალი დღის სადიდებლად
შევსვათ ბოლომდე სადღეგრძელო უკანასკნელი!

(სასმისი პირთან მიაქვს).

ზართა რეკვა და გუნდის გალობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგელოზების გუნდი

ქრისტე აღდგა!
ძლეულ არს წამისად
ცოდვა ადამისა,
ზესკნელი განიხსნა!
ვინ ეძებთ, იპოვით ცადღა!

ფაუსტი

რა დუდუნია, რა წკრიალი, რა ხმები ზენა,
მოულოდნელი მოვანებით რომ ავსებს სენაკს,
ჩემს უნებურად რომ მაშორებს ბაგიდან სასმისს?
ჰა, მოწეულა, სააღდგომო რეკვაა ზართა,
საგალობლებში ჩაკინძულა, წკრიალში ქნართა,
სიტყვა-ნუგეში, დასტურყოფა ახალი აღთქმის,
ანგელოზისგან წარმოთქმული აკლდამის კართან.

ქალების გუნდი

ცრემლით დავასველეთ,
ვცხეთ ზეთი რჩეული,
სამარხს დავასვენეთ
სურნელით კმეული.
აწ დავცქერთ ვებულნი
ცარიელ სამარხს,
არღა ძეს ცხებული
სამარხსა ამას.

ანგელოზების გუნდი

ქრისტე აღდგა!
ნეტარ ხართ, რომელნიც
გულით უკრთომელნი,
უბრკოლ-უცთომელნი
მისმიერს ესავდით აღთქმას!

ფაუსტი

ხმანო ციერნო, რას მენუკვით ლბილნი და მძლენი,
რისთვის დამეძებს მიწა-მტვერში ქორალი თქვენი?
იქ მიდით, ვისშიც სასოება ჯერ არ ჩაკლულა;
ვისმენ ხარებას, მაგრამ უნდოდ, რწმენანაკლულად,
სასწაული კი სხვა რა არის, პირმშოა რწმენის.
დღეს ვერ გავბედავ, ძველებურად დავიდო წილი,
სადაც ხარებას გალობენ და უფლის დიდებას,
მაგრამ ეს ხმები ჩემი სიყრმის ხმებია ტკბილი
და უკუმიხმობს, სიცოცხლისკენ მიმეზიდება.
მახსოვს, აღდგომის კვირაძალზე რა მთრთოლვარებით
ვსვამდი ზეგარდმო ტრფიალების ცეცხლოვან კოცნას,
მკაცრ სიჩუმეში ცათა განხმას რეკდნენ ზარები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მწველ-ნეტარი ჟრუანტელი მივლიდა მლოცვარს.
მიმაჩქარებდა ლტოლვა იგი შეუცნობელი,
ტყესა და ველად გავსულიყავ, დამეგდო სახლი,
მხურვალე ცრემლებს ვიწურავდი მარტოდ მყოფელი
და ვგრძნობდი, როგორ იქმნებოდა სამყარო ახლივ.
ეს ხმები ჩემი სიყმაწვილის თამაშებს მღერის,
ბედნიერ დილებს, გაზაფხულის დღესასწაულებს.
იდინე, ცრემლო, გაცოცხლებულ იმ დღეთა ჯერი
სიკვდილს წელანდელ სადღეგრძელოს ვეღარ დაულევს.
იდინე, ჰანგო სანატრელო, ნაჟურო ცისავ!
იდინე, ცრემლო! დედამიწავ, შენი ვარ ისევ!

მოწაფეთა გუნდი

ძლევით არნახულით
აღდგა საფლავიდან,
ჩვენგნივ დამარხული
ცხოვლივ ცად ავიდა.
ჩვენ, გლახ, უთენონი,
ვივლითღა ვებით,
ვრჩებით, უშენონი,
ტანჯვისად ვშთებით.
ლხენისა ხადილით
ნაღველსა შევსვამთ,
ცადაღსვლას დავტირით,
მოძღვარო, შენსა!

ანგელოზების გუნდი

ქრისტე აღდგა!
აწ შვება-ხალისით
განერეთ სულთქმათა მათგან,
ძაძანი განისხით!
რჯით შემამკობთათვის,
სიყვარულ-მყოფთათვის,
ძმებრივ მპურობთათვის,
ხარებად მგზობთათვის,
ნუგეშინ-მხმობთათვის
აქავ არს მოძღვარი მარად,
ახლოით გფარავთ!

გერმანულიდან თარგმნა **დავით წერედიანმა.**

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მანანა კვაჭანტირაძე

ოთარ ჭილაძის მხატვრული საძიებო

70-80-იანი წლების ისტორიულ-პოლიტიკურმა ვითარებამ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე მთელი სიმწვავით დააყენა გადარჩენის პრობლემა. ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სფეროში განუწყვეტლივ იგრძნობოდა მოუთმენლობა, მზადება და ცვლილებები იმ იდეოლოგიური და ზნეობრივი ვითარების მიმართ, რომელიც იმპერიული ზეწოლის შედეგად ჩამოყალიბდა. მწერლობამ დაიწყო იმ საორიენტაციო ნიშანსვეტების მოძიება, რომლებიც მორღვეულ ეროვნულ მენტალიტეტს გააძლიერებდა და წინააღმდეგობის ძალას შესძენდა. სწორედ ამ სახით გაცხადდა ეროვნული შემოქმედებითი ცნობიერების მოძრაობა გადარჩენისაკენ.

ოთარ ჭილაძემ მკითხველს შესთავაზა ამოცნობის პოეტიკა — სიმბოლო, პარაბოლა, იგავი, მეტაფორა. უფრო ზუსტად კი ამოცანა-ამოხსნის ურთიერთოპოზიციის, როგორც კითხვა-პასუხის დიხოტომიის გადაწყვეტა. კითხვები საზოგადოებრივი ცნობიერების მომწიფებულ პრობლემებს ეხებოდა, პასუხები კი — გზის ძიებას ამ პრობლემათა გადასაწყვეტად. სტრუქტურალური სოციოლოგიის ცნობილი ფრანგი წარმომადგენლის, ლუსიენ ჰოლდმანის აზრით, მხატვრული ნაწარმოების ღირსების კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ მისი კოჰერენტულობა მომწიფებულ საზოგადოებრივ პრობლემებთან (კოჰერენტულობა გულისხმობს ისეთ კავშირსა და შესაბამისობას სტრუქტურათა შორის, რომელთაც საერთო წყარო გააჩნიათ და რომლებიც ურთიერთგაძლიერების ეფექტს იწვევენ).

ოთარ ჭილაძის მკითხველისათვის საეჭვო არ უნდა იყოს, თუ რამდენად ღრმად არის გააზრებული მის მიერ მწერლური პასუხისმგებლობა გადარჩენის იდეის მიმართ და ზოგადად მწერლობის ფუნქცია ამ მიმართულებით: „სხვებმაც მისი იმედით დაივიწყეს, რაც დაივიწყეს, ველუმს დამახსოვრება ევალება სწორედ“ („ველუმი“).

ახლა, ამ ზოგადი განცხადების შემდეგ შევეცდებით უფრო მწყობრად და არგუმენტირებულად გაგაცნოთ ჩვენი მოსაზრებები ო. ჭილაძის რომანებზე, ან უფრო ზუსტად, მის მხატვრულ სისტემაზე. სისტემის ცნება აქ შემთხვევითი არ გახლავთ. კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა პროზის მასშტაბების განსაზღვრას ჩვეულებრივ უკავშირებს მის გააზრებას ფილოსოფიურ, ზნეობრივ-კულტურულ და ესთეტიკურ შეხედულებათა ერთიან, მოწესრიგებულ, მწყობრ სისტემად, სადაც არსებობს ფუნქციური შესაბამისობა ძირითად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურათა შორის როგორც შინაარსის, ისე ასახვის დონეზე. სიუჟეტურ-კომპოზიციური და დრო-სივრცის ორგანიზაციით, თხრობითი შესაძლებლობების ლოგიკითა და დისკურსში ასახული ხედვით კუთხეების სიმწყობრით ოთარ ჭილაძის რომანები ქმნიან ერთიან ენობრივ და მსოფლმხედველობრივ სისტემას, სადაც დაცულია სისტემისათვის დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშანი და დაკმაყოფილებულია მისადმი წაყენებული ყველა ძირითადი მოთხოვნა.

ოთარ ჭილაძის მხატვრული ტექსტი წარმოადგენს ნიშანთა სისტემას, სადაც ნიშნები მოძრაობენ მნიშვნელობებისაკენ თავისუფალ ასოციაციურ ენობრივ სივრცეში და ხელს უწყობენ მკითხველის წარმოსახვის უჩვეულო გააქტიურებას. „ისი რომანები შეკითხვებია მითის, ისტორიის, ეროვნული და ინდივიდუალური ცნობიერების უღრმესი შრეების, სიცოცხლის, ბედისწერის, წარსულისა და მომავლის მიმართ. ისინი პასუხს ეძებენ ვეებერთელა ტევადობის ლამის უსასრულო სემანტიკურ სივრცეში.

მწერალი ისტორიის ტრაგედიის მეტაფიზიკურ დასაბამს, მის პირველსაფუძველს ჭვრეტს ემპირიულ და ყოფით დონეზე. სწორედ აქ გამოხატავს ბედისწერა თავის შორეულ მიზანს და იძლევა ნიშნებს, რომლებიც უნდა ამოვიცნოთ. ოთარ ჭილაძე ხატავს არა პოლიტიკურ პანორამას, არამედ ფსიქოლოგიურ სიტუაციას. რეალურ ისტორიულ პროცესს, მაგალითად, იმპერიის ნგრევას იგი ხედავს ყოფით სიმბოლოებში და განუწყვეტლივ გვითრევს მათ მნიშვნელობათა დადგენის პროცესში.

ოთარ ჭილაძის მსოფლმხედველობის განსაზღვრისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ფილოსოფიურ ცნებას, როგორიცაა გაგება, ჰერმენევტიკისათვის, სახელდობრ, ჰადამერისათვის გაგება არის პიროვნული ყოფიერების არსებითი ეგზისტენციალისტური სტრუქტურა, მთლიანობის საფუძველი როგორც ინდივიდუალურ, ისე ნაციონალურ და ადამიანკაცობრიო დონეზე. კულტურულ-ისტორიული დიციისა და დროთა კავშირის იდეის ჩამოყალიბებაში გაგება ასრულებს გადამწყვეტ როლს. სხვა ექსისტენციები: სიყვარული, ერთგულება, შიშიც კი— გაგების სემანტიკურ არეალში შემოდიან და გადაჰკვეთენ მას.

როგორც თანამედროვე ფილოსოფია თვლის, გაგებაში აისახება ის, თუ როგორ ფუნქციონირებს კულტურა. ოთარ ჭილაძე ააქტიურებს მნიშვნელობათა ისტორიულ-კულტურულ შრეებს, რათა შექმნას სამყაროს აღქმის, ახსნის, მიღების, ერთი სიტყვით, გაგების ისეთი მოდელი, რომელშიც აისახება კულტურის ფუნქციონირების როგორც პიროვნული, ისე ეროვნული დონეები. მისი მოდელი ძალზე ტევადია და ღრმა ნულიერების განმასახიერებელი.

გაგების აქტი მხატვრულ სამყაროში ხორციელდება ენის მეშვეობით, ანუ ესთეტიკურად დატვირთული სიტყვების, წინადადებების, ფრაზების მეშვეობით, რომლებიც გაგების აქტში მონაწილეობენ გარკვეული სისტემების სახით. ოთარ ჭილაძესთან გაგების აქტი უპირველესად სიყვარულის აქტია — ყოველისმომცველი ისტორიული სიღრმეებისა და დრო-სივრცეთა გადამლახველი. „ცხოვრებისაგან დაკნინებული, მაგრამ სიყვარულით ამაღლებული ნებისმიერ ცხოვრებაზე, იმ ზღაპრული მღვიმისაკენ მიისწრაფის, რომელიც მის ოცნებაში არსებობს მხოლოდ და რომელშიც მთელი კაცობრიობისათვის საკმარისი სიყვარულის მარაგი აქვს გადამალული ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, იმ ბედნიერი დღისათვის, როცა გაპირუტყვებული, საკუთარი ხორცის მჭამელი ადამიანი მოულოდნელად გამოფხიზლდება და კიდევ ერთხელ მიხვდება, ისე ცხოვრება რომ აღარ შეიძლება, უსიყვარულოდ აზრი რომ არა აქვს არაფერს — არც დაბადებას, არც სიკვდილს“ („ველუმი). გაგების აქტი მოითხოვს უმაღლეს პასუხისმგებლობას ყველაფრის მიმართ. ეს პასუხისმგებლობა, უფრო ზუსტად

კი შემკრები ცნობიერება აახლოვებს ისტორიულ დროსა და სივრცეში, წარმოსახვასა და რეალობაში დაფანტულ რეალურ ადამიანებსა და ლიტერატურულ გმირებს, ერთი სიტყვით, ყველა გზაზე დამდგარ მარტოკაცს ფარნაოზიდან — აველუმამდე.

ოთარ ჭილაძის სამყაროს იერარქიაში გამოიყოფა გარეკოსმოსი და შიდაკოსმოსი. მათი მნიშვნელობები და ფუნქციები განუწყვეტლივ გადადიან ერთმანეთში. გარეკოსმოსის რღვევა ბუნებაში მომხდარი ცვლილებებით იწყება, სახელმწიფოს დონეზე გრძელდება. ოჯახზე ვრცელდება და პიროვნების შინაგანი გახლეჩით, ანუ შიდაკოსმოსის ნგრევით სრულდება. გავიხსენოთ ვანის დაღუპვის ნიშნები, ვანის დაქცევა და ფარნაოზის შინაგანი გახლეჩა განუწყვეტელი რეფლექსიით; ან თუნდაც იმპერიის ნგრევისა და აველუმის შინაგანი დრამის კავშირი.

ის, თუ რა მასშტაბებში წარმოადგენს ოთარ ჭილაძე შიდა და გარეკოსმოსის ურთიერთშეჭრას, ადამიანის შინაგან პასუხისმგებლობას გარეკოსმოსის ბედზე და ამ ურთიერთმიმართებათა ღრმა მორალურ არსს, კარგად ჩანს „აველუმის“ იმ ფრაგმენტში, როცა მას იმორჩილებს ცის უსაზღვრო და უკიდეგანო სივრცეებში დაჩოქების სურვილი: „შეუჩერებლად ლოცულობდა, განუწყვეტლივ იმეორებდა ერთსა და იმავეს, აღელვებული აღგზნებული, დიდი სინათლისა თუ რაღაც სხვა ზებუნებრივი ძალის სიახლოვით, მაგრამ მაინც ადამიანურად დაძაბული, ადამიანურად მიყურადებული ნებისმიერ ჩქამს“...

ოთარ ჭილაძის კოსმოსი ეთიკურად მოწესრიგებულია. ხე არსებობს იმისათვის, რომ ადამიანს კვლავ მოსვლის, სიცოცხლის მარადიულობის რწმენა ჩაუნერგოს და გააძლიეროს. აქ მკვდარი წინაპარი ცოცხალ შთამომავალს სასიცოცხლო სივრცეს ანუ მიწაზე ადგილს უთავისუფლებს. ფრიქსე და ქაიხოსრო უწარსულონი არიან და ამდენად, უადგილო და უმომავლონიც, რადგან მათ გენეტიკურად არ ეკუთვნიან ის ადგილი, სადაც ცხოვრობენ. ეს [illegible] სიცოცხლო წესრიგი, როგორც მნიშვნელობათა ერთი ბლოკი უკავშირდება მნიშვნელობათა სხვა ბლოკებს, უპირველესად კი დროთა კავშირისა და მამაშვილობის იდეებს. უმამო ნიშნავს უგვაროს, უწარსულოს, უადგილოს — დროიდან და სივრციდან ამოგდებულს. ფრიქსე, ქაიხოსრო, კუსა, ოყაჯადო (გარკვეულად, სონიაც) მამისაგან უარნაოქვამები, ანუ მიტოვებულები არიან (ნებსით თუ უნებლიედ). ისინი უწინაპროთა სახე-ნიშნებს, ანუ მეხსიერებადაკარგულთა და მიმთვისებელთა ცალკე ჯგუფს ქმნიან. მათ უკავშირდება უბედურების ყველა ნიშანი ოთარ ჭილაძის სამყაროში, რადგან წარსულთან კავშირის წყვეტა ძირფესვიანად ცვლის სამყაროს ბუნებრივ წესრიგს. სამყარო, სიცოცხლე ბუნებრივად ინახავს კულტურისა და ეთიკის თესლს. ინახავს სწორედ წესრიგისა და სისტემურობის სახით და არა ფასეულობათა სახით, რომელიც მასში ადამიანის ცნობიერებას შეაქვს. ბუნება, როგორც ნაწილებისაგან შემდგარი მთლიანობა, განუწყვეტლივ იცავს თავის ერთიანობას. ადამიანური მოთხოვნილება ეკუთვნოდეს გენეტიკურ-ეთნიკურ და სოციალურ-ისტორიულ და კულტურულ მთლიანობას სხვა არაფერია, თუ არა ბუნების კანონი — ნაწილის ერთგულება მთელისადმი. ამ ბუნებრივი მოთხოვნილების ფონზე უნდა გავიაზროთ სწორედ ადამიანის შინაგანი დახლეჩის ტრაგიზმი იმპერიული პოლიტიკის პირობებში და მისი განუწყვეტელი სწრაფვა დაშლილი მთლიანობის აღდგენისაკენ. ამასვე უკავშირდება იდენტიფიკაციის პრობლემა „მარტის მამალში“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმანში“ და ა. შ.

შიდა და გარე კოსმოსი ძირფესვიანად მსჭვალავს და უკავშირდება ერთმანეთს სიღრმისეულ მნიშვნელობათა დონეზე. მათი ასოციაციური ფენის გააქტიურებით ცდილობს ოთარ ჭილაძე საგანთა ბუნებრივი წესრიგის, კავშირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და შესაბამისობების, მათი სიღრმისეული ფუნქციებისა და უხილავი ძირების ამოწევას, რათა მიუახლოვდეს ადამიანის მნიშვნელობას, ანუ უპასუხოს კითხვას: „რა სჭირს ადამიანს, რა შეაყოლა ღმერთმა მიწას ამისთანა მოურჩენელი?“ („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“). შემოქმედის ეს ოდინდელი კითხვა სამყაროსადმი, ამავე დროს, ადამიანის მიმართ სამყაროს შეკითხვასაც გულისხმობს და რადგან სამყარო ჩვენს ენაზე ვერ საუბრობს, ამიტომ უნდა მოვიძიოთ მისი ენის ნიშნები და მათი მეშვეობით ამოვიცნოთ არა მარტო ადამიანის გამოცანა, არამედ სამყაროს გამოცანაც. ანუ მივიღოთ პასუხი კითხვაზე: „რატომ უნდა მო"ხდარიყო მაინცდა მაინც ისე, მოხდა და არა ისე, როგორც არ მოხდა? რატომ? რატომ? („აველუმი“).

პასუხის რეზერვუარი კი ისევ და ისევ ადამიანია — სამყაროს ყველაზე სრულ ყოფილი ქმნილება და ნიშანი, რადგან „კოსმომორფული სხვა არანაირი გზით არ გვეძლევა, თუ არა ანტროპომორფულით“ (მ. ტრუბნიკოვი). ამიტომ ამ კითხვას ისევ ადამიანმა უნდა უპასუხოს: სიტყვით, ქცევით, აზრით, წარმოსახვით, წარსულით, აწმყოთი და მომავალზე ოცნებით, ყველაფრით, რაც აშკარა თუ ფარული სახით შეადგენს ადამიანურობის არსს. ამდენად ეს კითხვა არის ერთ-ერთი ძირითადი კონცეპტი, რომლის გასწვრივაც მოძრაობენ ო. ჭილაძის რომანები. ერთ-ერთი შესაძლო პასუხი კი ასეთია: „სიბნელეში მჯდომი და მაინც სინათლისაკენ მიმსწრაფი, ცხოვრებისაგან დაკნინებული, მაგრამ მისგანვე მინიჭებული სიყვარულით ამაღლებული... ტანჯვით გაამაყებული „მარადიული მგზავრი, მიიჩქარის ვიღაცის გადასარჩენად, რომელიც ელოდება — ყველასკენ, ვინც ნებსით თუ უნებლიედ, ბედით თუ უბედობით მასთან დაუკავშირებია ცხოვრებას“ („აველუმი“).

მხატვრული და მსოფლმხედველობრივი ამოცანის შესაბამისად ძირითადად უპირატესობა ენიჭება ციკლურ დროს. მოდელს. იგი ნიშნული დრო და დროის ფსიქოლოგიური არქეტიპია. ჟამის ციკლური სვლა მოვლენათა შექცევადობის, დაკარგულის დაბრუნების, გარდაცვალებისა და არა კვდომის, ბუნებრივი და სამართლიანი ცვალებადობის რწმენას უკავშირდება და გადარჩენის იმპულსს ატარებს. ოთარ ჭილაძესთან დრო მისი მხატვრული ქსოვილის იმანენტური მოვლენაა. მისი სიტყვა განუწყვეტლივ მოძრაობს მნიშვნელობისაკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ენის ინტენცია მიმართულია გადარჩენისაკენ. ასეთივე ინტენცია ახასიათებს მის მსოფლმხედველობრივ-მხატვრულ ცნობიერებასაც. ამდენად, მხატვრული დრო, როგორც გადარჩენის იდეის აღმნიშვნელი მაორგანიზებელი პრინციპი — შექცევადი და ციკლური უნდა იყოს და ასეც არის.

ოთარ ჭილაძის დრო-სივრცული მოდელი ყველა რომანში გადასვლის, ცვლილების მომენტს ასახავს. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ძველი ვანის დაღუპვით მარადისობა გადადის დროში, მითი — ისტორიაში, მთავრდება ვანის ბავშვობის ხანა, მისი განვითარების ერთი ციკლი და იწყება მეორე. ფეოდალური საქართველოს უკანასკნელი დღეებისა და ახალი ისტორიულ-პოლიტიკური ეპოქის დადგომას ასახავს „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. რევოლუციის წინა პერიოდის, მზადების, გადასვლის დაძაბული რიტმი იგრძნობა „რკინის თეატრში“. რეფრენი „ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა“ სწორედ დროსივრცის თვისებას აღბეჭდავს. ახალი თაობის ცნობიერების გამოღვიძებას შეესიტყვება „მარტის მამლის“ დრო-სივრცული მოდელი. უნდა მოხდეს ეროვნული პასუხისმგებლობის გაძლიერება დაკარგულის მიმართ. ეს ის თაობაა, რომელმაც 56 წლის გამოსვლებით ბიძგი მისცა „ერთად ყოფნის ძალისხმევის“ (მერაბ მამარდაშვილი) კიდევ ერთ იმპულსურ ამოფრქვევას. და ბოლოს, „აველუმი“ — 9 აპრილთან დაკავშირებული მოვლენები. იმპერიის ფერის-

ცვალების, ეროვნული ცნობიერების კიდევ ერთი გამოფხიზლების, კიდევ ერთი „მოუთმენლობისა“ და კიდევ ერთი კრიზისის ეტაპი, კიდევ ერთი ისტორიული პარადიგმა, უფრო ზუსტად კი ერთი და იგივე პარადიგმის მარადიული გადაუჭრელობა.

პლატონი დროს მარადისობის თვითგამოცხადების ფორმად მიიჩნევს. თუკი ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ გადასვლის ეტაპები წარმავლისა და წარუვალის ერთიანობის მაუწყებელი ნიშნებია და დროის საიდუმლოს გვამცნობენ. მამლის ყივილი გაუთენებელ ღამეში, ახალდაბადებული კუს ჩხავილი დარაჩანგის ბაღში, მაკაბელების საათის გუგუნი, კაკუნის ხმა „აველუმში“ დროის დადგომის, მისი ცვლილების ნიშნებია.

დრო ძირითადად სივრცული ხატებით აისახება. მაგალითად, ზღვის უკანდახევით იწყება ძველი ვანის გადასვლა წარსულში. ეს სივრცული ცვლილებები განუწყვეტლივ მატულობს, ჩნდება სიკვდილის ნიშნები — ჭაობის არშია ზღვისაგან მიტოვებულ ნაპირზე. ძველ ვანში, სადაც დრო არსად არ ფიქსირდება სიტყვაში, პირველად გაისმის სიტყვა დროზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მარადისობაში ერთვება წარმავალი, ერთმხრივ მიმართული დრო. მიზეზშედეგობრივი კავშირები უკვე იწყებენ დროის სვლის დაფიქსირებას მხოლოდ ერთი მიმართულებით — მომავლისაკენ.

ჩვეულებრივ, ადამიანის ცნობიერება დროს შეიგრძნობს იმ ცვლილებებით, რომლებიც სივრცეში ხდება და რომელთაც სწორი ან წრიული ხაზების სახით წარმოიდგენს იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის მხატვრული მოდელის შექმნა დაისახავს მიზნად მწერალს. ოთარ ჭილაძის მოდელი წრიულია, ციკლურია და როგორც ვთქვით, მისი მსოფლმხედველობრივი, და შესაბამისად, ენობრივი ინტენციის გამოხატულებაა.

„აველუმში“ ოთარ ჭილაძის დისკურსი ქმნის ცნობიერებათა მიმართულებებისა და სოციალურ განწყობილებათა კალეიდოსკოპს. და ამ ფონზე ... საკუთარ დისკურს. ამ ... დისკურსის ფუნქცია ღრმად გაცნობიერებული თვით ავტორის მიერ. „რკინის თეატრის“ შესავალშიც დისკურსი ისტორიული და დროის ნიშნებითაა სავსე. დროის ნიშნების შემოტანა ენობრივ დონეზე (დისკურსში) მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების ფასეულობითი ორიენტაციების ჩვენებას ეპოქის ჭრილში.

დროის კონცეპტს ოთარ ჭილაძე გამოხატავს არა მარტო სივრცული ხატებით, არამედ შეგრძნებების მეშვეობითაც. ესთეტიკურ სამყაროში ნივთისაგან აღძრული ემოცია არის არა მარტო ამ ნივთის, არამედ იმავდროულად სუბიექტის ნიშანიც. მაგალითად, ჟასმინის სუნით მწერალი ახდენს ნიკოს ბავშვობის მოგონებების რეპრეზენტაციას; დარიაჩანგის ბაღის სურნელში ძველი ვანის გრძნობადი აბსტრაქციაა მოქცეული. საერთოდ, სუნი არის დროსთან კავშირის ყველაზე სუფთა და დახვეწილი ფორმა, სადაც სივრცულ-ვიზუალური ხატები გადაშლილია და არაცნობიერშია კოდირებული. სწორედ სუნის გზით აკავშირებს ოთარ ჭილაძე აწმყოს არაცნობიერის უღრმეს სტრუქტურებთან. მაგალითად, ნიკოს ბუდის სუნი ახსოვს, უცნობსაც, უფრო ზუსტად კი მის მნიშვნელობასაც სუნით შეიცნობს: „მამას სუნი ჰქონდა, მამა ეგონა უცებ“ („მარტის მამალი“).

ცნობილია, რომ დროის იდეაში ხდება დახარჯული ძალების შეგრძნების განივთება, ანუ გარეგანი გამოცდილების, ძალისხმევის კრისტალიზაცია შინაგან გამოცდილებად. ამიტომაა წარსული სუბსტანციური, საფუძვლიანი, ფასეული. ამიტომ უცნობთან, როგორც არქეტიპთან (ამირანთან, ზღაპრის გმირთან, ზოგადად წინაპართან) ნიკოს გრძნობადი კავშირი ზუსტადაა მოტივირებული ფსიქოლოგიურად.

შეგრძნებაში ხდება დროის ყველაზე ღრმა, არაცნობიერი სტრუქტურების აქტივაცია. არა მარტო ხსოვნის ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ღრმადდაძირული ფენების გაცოცხლება, არამედ მომავლის წინათგრძნობისაც. ანუ არა მხოლოდ რეალობიდან უკვე გასული, არამედ ჯერარდამდგარი დროის ფანტომების თავმოყრა. „პირში სისხლის გემო იგრძნო“, ან „ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფეხი დასაკლავ პირუტყვზე ედგა“ („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“). იასონის ეს უცებმოვარდნილი შეგრძნებები აიეტის სასახლეში მედეას დანახვისას წარმოადგენენ ნიშნებს მომავლიდან, მინიშნებებს მედეას ჯერ კიდევ ჩაუდენელ „სრულყოფილ“ დანაშაულზე. დროის განსახიერების ასეთი გზა სიცოცხლეს წარმოვიდგენს როგორც მოვლენათა მარადიულ წრებრუნვას, სადაც ყოველი სასიცოცხლო ციკლი იმთავითვეა მოცემული და წინასწარ დეტერმინირებული. ოთარ ჭილაძე ახდენს არა მარტო დროის, არამედ შეგრძნებათა სრულიად განსხვავებული ნაკადების ინტერვენციას თავისეულ ესთეტიკურ სივრცეში, შეგრძნებათა „განსივრცებას“: „თითქოს დაინახა კიდეც ის ხმა“ („აველუმი“).

დროთა კავშირის იდეა უკავშირდება ხსოვნას და ამ გზით — გადარჩენას. სწორედ ამ აზრით არის წარსული ჭილაძისათვის მარადიულობის რეზერვუარი, მეხსიერება კი — მასში შეღწევის მექანიზმი: „აწყმომ ჯერ წარსული უნდა გაიაროს, რომ გადავიდეს“. აზრის მოძრაობა წარსულისაკენ ცნობიერად და არაცნობიერად მიმართულია საკუთარი თავის გაძლიერებისაკენ, რადგან როგორც პლატონიც გვასწავლის, შემეცნება გახსენებასაც გულისხმობს. გახსენება კი იგივე გამეორებაა და როგორც ქართველი კაცი ამბობს — ცოდნის დედაა, ანუ, ოთარ ჭილაძის სამყაროს კონტექსტში — მნიშვნელობათა დედა. ამიტომ მის რომანებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ნიშანთა რიტმულ-კომპოზიციური გამეორება.

ფლობდე ცოდნას დროზე ნიშნავს ფლობდე წარსულზე ცოდნას. ამ ცოდნას ფლობენ მამები. ამიტომ დროისა და ხსოვნის კონცეპტი მნიშვნელობათა დონეზე თითქმის ყველგან უკავშირდება მამა-შვილობის კონცეპტს და ამ გზით წინაპრისა და წარსულის მიმართ ცნობიერების პასუხისმგებლობის გაძლიერებას. სწორედ ეს პროცესია ასახული „მარტის მამალში“. სინანული, პასუხისმგებლობა, მოვალეობა, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა დროსთან დაკავშირებული შეგრძნებები და დროსთან დამოკიდებულების ემოციური და მორალური ფორმები. „აველუმში“ ამ შესაბამისობათა კიდევ უფრო ღრმა დონეებია გადახსნილი. აქ წარსულისადმი პასუხისმგებლობა მთლიანად მსჭვალავს პიროვნების ცნობიერების ყველაზე უფრო სტიქიურ, ღრმად ინტიმურ ფენებს.

ოთარ ჭილაძის სივრცე ისევე ნიშნობრივია, როგორც დრო. მისი სივრცული ხატები (ბახას სარდაფი, ვანი, დარიაჩანგი, გიორგას გომური, ზამთრის ქოხი, ტრიანონის სასახლე, მზის ამოსვლის ნაპირი და ა. შ.) მნიშვნელობათა სათავსოებია, რომლებიც შეესაბამებიან გარკვეულ შეხედულებებსა და წარმოდგენებს სამყაროს ამა თუ იმ ტიპის მოდელებზე.

საფლავი, საწოლი, ვენახი, გამოქვაბული ინიციაციის სივრცეებია. სიკეთისა და სისუფთავის სადგომებია გიორგას გომური, სადაც რიტუალური სიზუსტით ხდება სიკეთისა და სიყვარულის განაწილება ბუნებასა და ადამიანს, დედასა და შვილს შორის. მაკაბელების გალავნიანი სახლი კაცთმოძულე ადამიანის თავშესაფარია, კიდობანი, რომლის მეშვეობითაც ქაიხოსრო გადარჩენას ცდილობს, თუმცა ამაოდ — მტერი სწორედ შიგნით, სულში ყავს ჩასაფრებული. ოყაჯადოს სასახლის ბნელი, ყინულოვანი ტალღები ძალაუფლების ცივი სათავსოა. ზამთრის ქოხი „რკინის თეატრში“ სიკვდილის, უზნეობის, სიბილწის თავშესაფარია. დარიაჩანგი — სივრცე-სასწაულია ისევე, როგორც ვანი — თავისუფლებისა და ბედნიერების სივრცე. ინიციაციის სივრცეებია საფლავი, გამოქვაბული, მღვიმე, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭილაძის გმირები გარბიან გადასარჩენად, ძალების მოსაკრებად, წარსულთან კავშირის შესაგრძნობად, სიცოცხლესთან მოსაბრუნებლად.

სივრცული წესრიგი უპირველესად სიკვდილ-სიცოცხლის სამართლიან ურთიერთგაცვლას ემსახურება: მკვდარი ცოცხალს უთავისუფლებს ადგილს, სამაგიეროდ გადადის ხსოვნაში, ანუ წარმოსახვით სივრცეში, სადაც ყველასთვის გამოინახება ადგილი. უხეიროს დაუმარხავი მკვდრები აფრისხელა ტილოზე იმარხებ ·ან. აფრისხელა ტილო — შესაძლო, განუხორციელებელი ცხოვრების ეს ბრწყინვალე ხატი ოთარ ჭილაძის ფაქტურაზე მიგვითითებს. ესაა სულის ტექსტის ვირტუალური სივრცე — სინანულის ცრემლით დანამული ფერადი მინდორი. ფარნაოზი ინოს თავს მარხავს, ანუ წარმოსახვაში ცდილობს მის გადარჩენას და შენახვას. ასე იწყება მეორე სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ამ გზით გადაილახება სიკვდილ-სიცოცხლის ოპოზიცია. მათი ურთიერთგადავლა წრის გრაფიკულ ხაზს იმეორებს.

გავიხსენოთ სივრცე, სადაც ნიკო უცნობს ხვდება. გუმბათჩამოქცეული ეკლესია და, ცეცხლი, რომელსაც ისინი უსხედან. როგორც კლოდ ლევი-სტროსი ამბობს, არქაულ ფოლკლორში ჭერი, ერდო ცის თაღის ხატია. გუმბათი, როგორც ზეციური ერთიანობის სახე-ნიშანი გულისხმობს ქვემოთა, მიწიერი ნახევარწრის არსებობასაც, როგორც მიწიერისა და ზეციურის წრიულ ერთიანობას. გუმბათჩამოქცეული ეკლესია კოსმიური უწესრიგობის ნიშანია. ის, რაც ქვემოთ ხდება, ზემოთა კომუნიკაციების მოშლის შესატყვისია. სრულყოფილად ვერ ხორციელდება გაგების აქტი ორს შორის, რომელთაგანაც ერთი წინაპარია, მეორე — შთამომავალი. უენერგიო ცეცხლი (კოსმიური ენერგიის სიმბოლო) ქვემო სივრცეში და ჩამოქცეული გუმბათი ზემოთ — კომუნიკაციათა რღვევებზე, ზემოთა და ქვემოთა დონეების კავშირის შეუძლებლობაზე ანუ გაგების აქტის განხორციელებლობაზე მიგვითითებს. ცეცხლი უკავშირდება სინათლესაც, სითბოსაც. ამჟამად უცნობის მიერ ნიკოს ცეცხლთან მიპატიჟების რიტუალი არა მხოლოდ ადამიანური სითბოს განაწილების, არამედ ცოდნისა და სიბრძნის, გამოცდილების გაზიარების, კულტურული ენერგიის გადაცემის რიტუალია. ამიტომ ესაა ვერშემდგარი წრე. წრე კი არის უნივერსალური მოდელი ყველა იმ სტრუქტურისათვის, რომელსაც ფუნქციონირებს როგორც კულტურა და ღია კომუნიკაციური მიზნით ასეც ხდება: ნიკო ვერ გადაარჩენს უცნობს, ვერ ასწრებს გაფრთხილებას. ეს წრე, რომლის შეკვრაც აუცილებელია გადასარჩენად, მოგვიანებით იკვრება უკვე მას შემდეგ, რაც ნიკოს მორალური ცნობიერება იღვიძებს და უცნობს აღიქვამს, როგორც წარსულის ნიშანს. წარსული — ტრადიცია და კულტურა კი წარმოადგენს ენას, რომელიც უნდა გავიგოთ, მივხვდეთ, ვიცნოთ და შევიმეცნოთ.

წრე არის ოთარ ჭილაძის სამყაროს გლობალური მოდელი. დროთა ციკლური სვლა, თაობათა მონაცვლეობა, შინაგანისა და გარეგანის, ცნობიერისა და არაცნობიერის, ყოფიერებისა და ცნობიერების, ბუნებისა და კულტურის, რაციოსა და ემოციოს, სიკვდილ-სიცოცხლის ოპოზიციები წრის მოდელს ეფუძნებიან. წრე ჰერმენევტიკის გაგებით ყოფიერების ეკზისტენციალისტური პრასტრუქტურაა. იგი წარმოადგენს დაუსრულებელი ბრუნვის, ურთიერთგადასვლის, უსაწყისობისა და უსასრულობის მოდელს, ანუ გაგებისა და ყოფიერების მექანიზმის იზომორფულ „სქემას“. ამ ცნობიერ თუ გაუცნობიერებელ მიზანდასახულებას ატარებს მითების აღორძინება გვიანდელ კულტურულ ეპოქებში ისეთ ისტორიულ გზაჯვარედინებზე, როცა თაობათა კავშირს, კულტურულ ფასეულობათა მიმღეობის უწყვეტ ჯაჭვს გაწყვეტა ემუქრება ისტორიული ვითარების გამო.

წრე კომუნიკაციის ყველაზე გამძლე სიმბოლოა, რომლის გააზრებისას ურთიერთკავშირში ექცევიან ხილული და უხილავი კოსმოსის ყველაზე არსებითი მნიშვნელობები — სამყაროს მთელი დრო-სივრცული კონტინიუმი. ამიტომ გასაგებია, რომ გუმბათჩამოქცეული ეკლესიის სივრცეში არც ცეცხლს ექნებოდა ძალა და ვერც ნიკო გადაარჩენდა უცნობს. მაგრამ იგივე წრიული პრინციპის თანახმად კვლავ აღდგება დარღვეული კომუნიკაციები შთამომავალსა და წინაპარს, ანუ მომავალსა და წარსულს შორის.

ცა და მიწა მითოიდებია, ანუ სივრცის არქეტიპული სიმბოლოები. მათთან დაკავშირებული ხატები და დისკურსი ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს ოთარ ჭილაძის დრო-სივრცულ კონცეფციაზე. შიდა და გარე კოსმოსის შესაბამისობაზე, დროთა კავშირსა და ამ კავშირთა მეტაფორული და ნიშნობრივ ბუნებაზე. ცაში იჭრება ვანო მასწავლებლის ლიმონის ხე; ცისკენ მიფრინავენ, იკარუსივით, პატარა უხეირო და ის ბავშვებიც, თავისუფლების წყურვილმა რომ უბიძგა; აველუმის შვილი სიზმარში პაწაწინა ფრთებით იბადება; ცის სიმაღლიდან გადმოსცქერის მიწაზე დაცემულ ნიკოს უცნობი და ციდანვე უჩვენებს სამომავლო გზას, ცაში მიფრინავენ სიყვარულით ატანილი სოსო და ნიკოს დეიდა.

ამავე დროს: მიწაში იმარხება ინოს თავი, საფლავში (ქვემოთ) წვება და იძინებს ვილმოხდილი გიჟკოლა. მიწაში ჩაჭრილ ორმოცსაფეხურიან კიბეს ჩაჰყავს ადამიანი ბახას ფანტასტიურ სამეფოში — ინტუიციისა და არაცნობიერის მიწისქვეშა ტაძარში. მიწაში იჭრება ის სანგარი, რომელიც არ უნდა მივატოვოთ, „თუკი მასში განგება ჩაგვსვამს" („მარტის მამალი"). ცისა და მიწის დაპირისპირება არარადიკალურია (არააქსიომატურია), რადგან მიწა დედაა, დამბადებელი, მკვდართა მიმღები, მაგრამ სიცოცხლის მიმნიჭებელიც. მიწაშივე აქვს ფესვები იმ ხესაც, რომელთანაც აველუმი საკუთარ თავს ებრძვის — „უნებლიედ დაკარგულ ... ნზრახ დამარხული ცოდნის საიდუმლო საფლავზე (ალბათ, ადგილის დასამახსოვრებლად) და ეს მიაჩნია ერთადერთ დანიშნულებად მოწოდებად, მისი ამქვეყნიური — როგორც ხორციელი, ისე სულიერი ცხოვრების გამართლებად" („აველუმი") ასე წარმოუდგენია ოთარ ჭილაძეს მწერლის დანიშნულება — საიდუმლოს საფლავზე დგომა დაკარგული მნიშვნელობის ნიშნად. გაშლილ სივრცეში დარაჯად მდგომი ხე — თავისი ფესვებით და კენწეროთი ცისადა მიწის გამაერთიანებელი, სიმშვიდის, სიბრძნისა და დაუშრეტელი სიცოცხლისუნარიანობის მაგალითი, ადამიანისათვის მარადიული სიცოცხლის რწმენის ჩამნერგავი. მატერიალურ საგანთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ მის დანიშნულებასა და არა მნიშვნელობაზე. ოთარ ჭილაძე ახდენს საგნის დანიშნულებისა და მნიშვნელობის სინთეზს ენობრივ სივრცეში ნიშნობრივ დონეზე გადასვლის გზით. ამ ხერხით იგი გადალახავს ზღვარს, გრძნობადსა და ცნებითს, საგანსა და აზრს შორის და უახლოვდება მნიშვნელობებს. ამ შემთხვევაში ხის სივრცულ მეტაფორაში, როგორც ნიშანში თავმოყრილია ჭეშმარიტი მწერლის დანიშნულების ყველა — აშკარა თუ ფარული მნიშვნელობა.

დრო-სივრცის მხატვრული მოდელები იმითაცაა საინტერესო, რომ მათი მეშვეობით ხერხდება ნაციონალური ცნობიერების ტიპის განსაზღვრა. ამ შემთხვევაში დრო-სივრცული მოდელი გვევლინება კულტურის ზოგადი სტრუქტურის იმ ტიპოლოგიურ ელემენტად, რომელიც თავისთავადი და ინდივიდუალურია ცალკეული კულტურების ყოველ „ენაში". კულტურის ენა უპირველესად დგინდება მხატვრული ენის მეშვეობით, რამდენადაც მასში შენახულია კულტურის ტიპის მეხსიერება და სამყაროსთან მიმართების იმ სპექტრის თავისებურება, რომელიც ყოველ ასეთ ნაციონალურ-კულტურულ „ენას" უნიკალურად

აქცევს. მხატვრული ენის მეშვეობით ხდება კულტურის მკვდარი ზონების გაცოცხლება, უფრო ზუსტად, მნიშვნელობათა გადაფარული ზონების გასუფთავება, ამოწევა. ამ გზით ფასეულობები გადაინაცვლებენ ეპოქებიდან ეპოქაში და უკავშირდებიან თანამედროვე კულტურულ მოდელებს.

ჟაკ დერიდას აზრით ევროპული ცნობიერება, როგორც კულტურის ტიპი — ცენტრისტულია, ანუ ოპოზიციის წევრებიდან წინდაწინვე ანიჭებს უპირატესობას ერთ-ერთ მათგანს. მაგალითად: მომავალს — წარსულთან შედარებით, ზემო-ს ქვემო-სთან შედარებით; გონებას — ინტუიციასთან; აღსანიშნს — აღმნიშვნელთან, ევროპელს — ყველა სხვა ცნობიერებასთან შედარებით. ევროპულ ცნობიერებაში დერიდა ვერ პოულობს ისეთ სემიოლოგიურ პრაქტიკას, — სადაც ეს პრინციპი დარღვეული იქნებოდა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოთარ ჭილაძის მხატვრული ენა ანტიცენტრისტული სემიოლოგიური პრაქტიკის მაგალითია. უპირველესად ეს დასტურდება დროის მოდელით: წარსულს უპირატესობა ენიჭება აწმყოს შედარებით. მომავალი წარსულის გავლით იბადება. არ დასტურდება არც „რაციო"-ს უპირატესობა „ემოციო"-სთან შედარებით, პირიქით, მისი არგუმენტები უფრო ემოციურ შესაბამისობას ეყრდნობა, ვიდრე ლოგიკურს. ვკითხულობთ ბუნების უპირატესობის ნიშნებს კულტურის გარკვეულ ფორმებთან შედარებით: გამოქვაბულში მიბრუნება, მითოსი, ციკლური დრო და ა. შ. — ამის პირდაპირი და არაპირდაპირი არგუმენტებია.

სინათლე-სიბნელის ოპოზიცია ხშირად სიბნელის სასარგებლოდ წყდება: „წყვდიადი ფეხმოუცვლელი მარადისობაა, სინათლე კი წასულ-მოსული ქერქეტა ქალია" („ველუმი"). სიბნელე არის ნიშანთა სათავსო, საიდუმლო სივრცე, საიდანაც ხმა, ბგერა, ნიშანი — ანუ საიდუმლოს უმაღლესი აბსტრაქცია გამოაღწევს ხოლმე. ოთარ ჭილაძის ინტუიცია დაუინებით აკავშირებს გადარჩენის კონცეპტს (ანუ მომავალს) ხსოვნასთან (ანუ წარსულთან) „თუნდაც იმიტომ, მხოლოდ იქ რომ არის შესაძლებელი რწმენისა და ოცნების არსებობა, მხოლოდ იქა აქვს ადგილი წართმეულსაც, დაკარგულსაც" („ველუმი"). ტექსტის მომდევნო ფრაგმენტში ასახულია მთელი წინააღმდეგობა ამ პროცესისა, ანუ დროის მეშვეობით 0 დროის გადალახვისა: „წარსულის ქვიშა და ღორღი ვერაგულად, უხმაუროდ ეცლება ფეხქვეშ... აფხიზლებენ, ახსენებენ დროის დინებას, აჩვენებენ დროის მიმართულებას", ის კი ჯიუტად მაინც მათკენ იშვერს ხელებს. მაინც წარსულის ტოტებს ებღაუჭება, რადგან მაღლა უნდა ასვლა. არც წინ, არც უკან, მხოლოდ მაღლა. რაც მაღლაა, რაც სინამდვილეში არ არსებობს, ან აღარ არსებობს" („ველუმი"). მაღლა, ანუ წარსულში. რადგან „ცაში იმარხება ოცნება, იმედი, სიყვარული... და ცაშია მისი ოცნების, იმედის, სიყვარულის საფლავიც, იგივე საგანძური, განძთსაცავი..."

„ცაში იმარხება" არის მაღლა-დაბლა, ცისა და მიწის ოპოზიციათა გადალახვა სიტყვაში, განცდაში და ამავე დროს წარმოსახვითი რეალობის უპირატესობის აღიარება ობიექტურ რეალობასთან შედარებით. „ცაში იმარხება" და „წარსულის ტოტებს ებღაუჭება" ქმნის წრის მოდელს ცასა და მიწას, წარსულსა და მომავალს, არსებულსა (ცოცხალს) და გამქრალს (გარდაცვლილს) შორის, შიდა და გარე კოსმოსს შორის. ოცნებით, იმედით, სიყვარულით, შეიძლება მამის დაკარგული საფლავისაგან გაჩენილი სიცარიელის შევსება. „ველუმში" ამას აბელის საფლავისა და პავშვობაში გაჩუქებული დისაგან დანატოვარი სიცარიელეც ემატება. სიცარიელის კონცეპტი უკავშირდება კონცეპტს, ამ გზით კი ინოს, დედას, ცუგას, პატარა უხეიროს, გიორგის, ციმბირის მიწაში ჩამარხულ ნიკოს, უცნობს, თბილისელ მსახიობსა თუ მელანიას, ანუ სიყვარულს, მეგობარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილს, წინაპარს და სამშობლოს, და ყველაზე უფრო კი უკვე სამუდამოდ დაკარგულ დროს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რის გადარჩენაც ადამიანმა ვერ შესძლო, მაგრამ რაც მაინც გადარჩა — სადღაც, შეგრძნებათა ნარჩენებში, სუნში, ფერში, ხმაში, — ერთი სიტყვით, ხსოვნაში...

ფასეულობისაკენ გზა მნიშვნელობებზე გადის. მნიშვნელობათა ძიებაში ხორციელდება კულტურული ცნობიერებისათვის ზოგადად დამახასიათებელი სულიერი ინტენსია ფასეულობათა გადარჩენისა. სწორედ ამ ინტენსიის შედეგია XXI-ის მწერლობის გამახვილებული ინტერესი მითოსისადმი. არსებითად ესაა მოძრაობა წარსულის სიღრმეებისაკენ, რათა ფორმის მეხსიერების გზით ენამ სამყაროსადმი ადამიანის მიმართების პირველად სასიცოცხლო ფენამდე ჩააღწიოს და გადარჩენის ბუნებრივი იმპულსები მოიძიოს: „იმისათვის, რომ გაეგო, ის ცხოვრება უნდა გაევლო, რაც აველუმმა გავლო, და ის წინაპრებიანად, უხსოვარი დროიდან დღემდე. სწორედ ამ ცხოვრების კვალს დაეძებდა აველუმიც მთელი სიცოცხლე. მან მიიყვანა კრეტას აქოთებულ ლაბირინთშიც, რასაც კოპწია ლიტერატორები მითოლოგიით გატაცებად უთვლიდნენ". აქ იმდენად ზუსტადაა გამოხატული მწერლის დამოკიდებულება მითოსის ფუნქციისადმი მხატვრულ სისტემაში, რომ კომენტარი, ვფიქრობთ, ნამდვილად ზედმეტია. ვიტყვით მხოლოდ, რომ მითი ოთარ ჭილაძესთან გვევლინება როგორც ნიშანთა სისტემა, როგორც ენა, რომლის მეშვეობითაც მის სამყაროში შემოდის ისტორიული, კულტურული, სულიერი ფსიქოლოგიური ნიშნები ეროვნული მენტალიტეტისა. ეროვნული ცნობიერების ინტენსიას იგი ეძებს უპირველესად ენაში, მითში, ისტორიაში, ეძებს მათ სახეცვლილ მნიშვნელობებს, ანუ, როგორც თავადვე ამბობს „ცხოვრების კვალს". ეს მეტაფორა სწორ წარმოდგენას გვიქმნის მისი მსოფლაღქმისა და მხატვრული ენის თავისებურებაზე. სწორედ კვალის, ანაბეჭდის, ნიშნის დონეზე გადალახავს იგი აზრის აბსტრაქციას, აშიშვლებს მნიშვნელობის გრძნობად საფუძვლებს.

ეს მიღწევა, თავის მხრივ უკავშირდება მისი მსოფლმხედველობისა და პოეტური ენის არსებით თვისებას — მეტაფორულობას. მეტაფორული პრინციპი ფორმადწარმომქმნელი პრინციპია. მეტაფორა ნიშანია, სადაც მნიშვნელობა არსებობს უსასრულო შესაძლებლობათა სახით. ამაშია მითის ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნების საიდუმლოც.

მეტაფორა წარმოადგენს ოთარ ჭილაძის სამყაროს არსებით სტრუქტურას. იგი გვევლინება, როგორც 1. მსოფლმხედველობრივი პრინციპი; 2. ფსიქოლოგიური განწყობა; 3. მხატვრული მეტყველების ნიშანი; და ბოლოს 4. რომანის სიუჟეტის მაორგანიზებელი პრინციპი. აივორ რიჩარდსი თვლის, რომ „ფლობდე მეტაფორას ნიშნავს ფლობდე სიცოცხლეს". სწორედ მეტაფორულობიდან იღებს სათავეს სიცოცხლის ის ამოუწურავი ძალა, რომელიც ოთარ ჭილაძის რომანებიდან მოდის. ისინი წარმოადგენენ ვრცელ მეტაფორებს, ანუ მნიშვნელობათა კომპლექსების პოლისემიურ ნიშნებს. ტექსტში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ნიშანთა დაკავშირება და მათი მნიშვნელობებისაკენ მოძრაობა. გლობალურ მნიშვნელობათა ჩამოყალიბება სრულდება არა ერთი რომანის ფარგლებში, არამედ მთელი სისტემის, ხუთივე რომანის სივრცეში. ნიშნები ექცევიან ახალ-ახალ სემანტიკურ კავშირებში, იჭრებიან სხვა მნიშვნელობათა ველში და ქმნიან მნიშვნელობათა ვეებერთელა ბადეს (სხვათა შორის, ტექსტი ლათინურად ნიშნავს კიდეც ბადეს, ქსოვილს).

განუწყვეტლივ მიმდინარეობს ნიშანთა რიტმულ-კომპოზიციური გამეორება. გამეორებისას ნიშანი ცვლილებას განიცდის და ასოციაციურად უკავშირდება მნიშვნელობათა ახალ ზონებს. გამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორება ცოდნის დედაა სწორედ იმით, რომ იგი მნიშვნელობათა დედაა, თუმცა პირიქითაც ხდება — მნიშვნელობის დაკარგვამდეც მიჰყავს ხოლმე ნიშანი. სასაუბროსაგან განსხვავებით, მხატვრული ენა მნიშვნელობას პირდაპირ არ ასახელებს. ამით ენა თითქოს გამუდმებით უბრუნდება თავის არაცნობიერ შრეებს, თავის პირველად გრძნობად იმპულსს საგნის დასახელებისა. გადამერი თვლის, რომ „ღმერთის შეცნობა შეუძლებელია, თუ არა გრძნობადად". სწორედ გრძნობად შემეცნებას ახლავს ნამდვილობის, ჭეშმარიტების, უტყუარობის, სიზუსტის განცდა. სწორედ გრძნობადი და არა ლოგიკური აზრის მეშვეობით გაიჟღერებს ხოლმე საგნის ან მოვლენის უღრმესი მეტაფიზიკური ძირი. მეტაფორა კი სხვა არაფერია თუ არ შეგრძნების გასაგნების, გან-სახიერების, სახიერ სიტყვაში მოქცევის იმპულსი, ემოციური (და არა ლოგიკური) შესაბამისობის დადგენა საგნებს შორის. ამიტომ ოთარ ჭილაძის დისკურსში განუწყვეტლივ იჭრება ხატი. იგი აზროვნებს ხატებით და აზრისა და განსჯის სამყაროსაც ხილული სამყაროს გრძნობად ფორმას ანიჭებს. სწორედ ხატი არის ის ესთეტიკური ნიშანი, რომელშიც გადაილახება ოპოზიცია გრძნობადსა და ცნებითს შორის. იგი წარმოადგენს მნიშვნელობათა ხილული და უხილავი, ზედაპირული და სიღრმისეული, აშკარა და ფარული ველების გადაკვეთის წერტილს. ხატის მეშვეობით ოთარ ჭილაძე ახერხებს ისე გამოიყვანოს აზრი, მნიშვნელობა (ანუ ჩამოაყალიბოს ცოდნა) თვით ამ საგნის, მოვლენის შინაგანი ბუნებიდან, როგორც ფერი, სუნი ან გემო.

ხატის ღირსება „წარმოსახვის ზონის" სიფართოვით განისაზღვრება, რამდენადაც სწორედ ზონის სიფართოვე აღმოაცენებს კონოტაციათა, ანუ სიღრმისეულ, ასოციაციურ მნიშვნელობათა ფართო სპექტრს. ამ გზით ოთარ ჭილაძის დისკურსი აფართოვებს ჩვენი აზროვნების საზღვრებს, ათავისუფლებს მას სასაუბრო ენისათვის ჩვეული ხატოვან ყვათშეთანხმებისაგან, გადაჰყავს ახალ სემანტიკურ სივრცეებში და ღრმა კონტექსტში. ერთი სიტყვით, წარმოგვიდგენს სიტყვის განუწყვეტელ ბრძოლას მნიშვნელობებისათვის. ამ აზრით ოთარ ჭილაძის მხატვრული ენა მისი მსოფლმხედველობის იზომორფულია.

მის დამოკიდებულებაში ენასთან მჟღავნდება მისი სიცოცხლესთან მიმართება. თომას მანი თვლის, რომ „ენა — თვით სიცოცხლეა". ოთარ ჭილაძის ენა სიცოცხლეს გავს იმით, რომ ისევე, როგორც სიცოცხლე, ყოფიერება, სამყარო, დრო — თავისი უწყვეტი დენადობით, ურთიერთკავშირებით, ცვალებადობით — მოწოდებულია დაუსრულებლად შექმნას მნიშვნელობები. ენა, როგორც უწყვეტი პროცესი, მნიშვნელობებში ყოვნდება ხოლმე. ოთარ ჭილაძის ენა დამუხტულია მნიშვნელობათა დაკავშირების, რაღაც თავდაპირველ ერთიანობაში მოყვანის იმპულსით. ამ გზაზე იგი ქმნის დიდ ენობრივ ნაკადებს, რომლებიც ერთიანდებიან მნიშვნელობათა ვეებერთელა რეზერვუარებში და განუწყვეტლივ გადაედინება ერთმანეთში. ეს განუწყვეტელი მოძრაობა აჩენს დიდი ენობრივი ენერგიის მოზღვავების შეგრძნებას და ბუნებრივად ატარებს სიცოცხლისაკენ სწრაფვის, გადარჩენის განწყობას. ოთარ ჭილაძესთან ქართული ენა წარმოადგენს ვეებერთელა სასიცოცხლო და ენერგიის შემცვლელ სიმბოლურ ფორმას, რომელშიც ჩალექილია საერთო-ნაციონალური კულტურული გამოცდილება და რომელშიც ვლინდება შემოქმედის ინდივილუალური ცნობიერების თავისუფლების მასშტაბები.

მისი სიტყვა ამბივალენტურია, იგი გადალახავს ყველაზე რადიკალურ ოპოზიციებს სიტყვაში და მიდის ერთიანობამდე, რომლის შეგრძნება არის კიდეც სამყაროსთან პოეტური დამოკიდებულების გამოხატულება, რიგ შემთხვევაში ხატი წარმოადგენს არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგრძნების ნაყოფს, არამედ დისკურსის ველების გადაკვეთის წერტილს. კონოტაციები ამოდიან დეტონაციურ დონეზე და მნიშვნელობა დასახურად ემზადება. მაგრამ მაინც რჩება ნაპრალი, საიდანაც მნიშვნელობა ხელიდან გვისხლტება და ხელახლა იწყებს კონოტაციურ დონეზე ჩასვლას. „აველუმში" მხატვრული ენა მკაფიოდ ამჟღავნებს თამაშის განწყობას. „აველუმს" ფორმა არსებითად სხვა არაფერია თუ არა ვრცელი წერილი, ანუ ტექსტის არქაული ფორმა. შინაგანი დიალოგის, თავისუფლების განსაკუთრებული ენა. ოთარ ჭილაძე ხელახლა აცოცხლებს ამ ფორმას, სიყვარულის იმპერიების ძველთაძველ ატრიბუტს.

ოთარ ჭილაძის პერსონაჟებს წარმოადგენენ ცნობიერების მიმართულებათა, სულიერ მდგომარეობათა, იდეათა რთულ კომპლექსურ ნიშნებს. ფარნაოზი, კუსა, ინო, ანა, გიორგი, უხეირო, ქაიხოსრო, ალექსანდრე, ნიკო, გიჟკოლა, თბილისელი მსახიობი, ელენე, გელა, პატარა უხეირო, აველუმი, მელანია, ფრანსუაზა და სონია თავიანთ დამოუკიდებელ კონკრეტულ სახიობრიობასთან ქმნიან ძალაუფლების, გადარჩენის, თავისუფლების, სიკეთის, ბრძოლის, ბოროტების, სიკეთის, სიძულვილის, მონანიების, მოთმინების, სიყვარულის, ღალატისა და ერთგულების იდეათა სიმბოლოებს. ისინი ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ ბიბლიური და მითოსური მოდელების ტრანსფორმირებულ სახეებს. დროისა და სივრცის გლობალურ ნიშნებთან ერთად სწორედ ისინი ქმნიან ფუნდამენტურ მნიშვნელობებს ოთარ ჭილაძის მხატვრულ სისტემაში.

ფარნაოზი შემნახველიცაა და დამკარგველიც. იგი მამის შემოქმედებითი სულის გამგრძელებელიცაა და მისი მხედრული შეცდომების უარმყოფელიც. სასიცოცხლო ძალის ნაკლებობასაც განიცდის (რადგან უნებლიედ დედის სიკვდილის მიზეზი) და ამავე დროს გადამრჩენიცაა — ბრძოლის ველის საკუთარ სულში გადამტანი და თავის უფლების იდეის შემნახველი. „რაც მამამ ვერ აკეთა, შვილმა შესძლო" — იტყვიან ფარნაოზზე, როცა პატარა უხეირო დაიღუპება, მაგრამ პატარა უხეირო მისი ოცნებითაა გაზრდილი და მისი ნაბიჯი მამასაც ეკუთვნის. მამა-შვილის მისტიური ერთიანობის მნიშვნელობა იხსნება ჯერ რომანის ბოლო სცენაში, შემდეგ კი „აველუმში"' „ვინც მამას იხილავს, შვილსაც იხილავს. ერთნი არიან და ვერავითარი კანონი და უკანონობა ვერ შეეხება მათ ერთიანობას".

უცნობი პოლისემიური სახეა. მამის არქეტიპი. დაკარგულის, გამოუცნობის, წარსულის, მსხვერპლის მეტაფორა ერთდროულად. „თვისთა თანა მივიდა და თვისთა იგი არა შეიწყალეს" (იოანე I, II) ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ უცნობი, როგორც მხატვრული სახე სიმბოლოცა და მეტაფორაც ერთდროულად თავისი ღრმა კონოტაციებისა და არაკინვენციონალურობის გამო.

ნიკო ამირანულის მატარებელიცაა („ყველა შვილი ამირანია" — „მარტის მამალი") და უარმყოფელი ერთსა და იმავე დროს. („მე თუ მკითხავ, არაფერია მაგაში სატრაბახო"). „ამირანულის" კრიტიკული გაცნობიერებით მზადდება ნიკოს იდენტიფიკაცია გენეტიკურ-კულტურულ ერთიანობასთან. ამირანის მოდგმისანი ყველანი, მამებიცა და შვილებიც მიჯაჭვულნი არიან: შიშს, დედის მონატრებას, ბავშვობას, უძლურობას, სიყვარულსა ან მეგობრობას. ხთონური ძალების სიჭარბეს, გენეტიკური ერთიანობის შეუფასებლობას, სიძულვილს, ცოდვას და ა. შ. შვილმა უნდა გადაჭრას თავისუფლების პრობლემა წარსულის გაცნობიერებით. უცნობი, როგორც წარსულის ხატი, გზისმკვლევის, წინამავალის უაღრესად ღრმა ნიშანია. ნიკო მხოლოდ მასთან შეხვედრის შემდეგ ხვდება, რომ შინაგანი თავისუფლება სხვა არაფერია თუ არა ბრძოლის უფლება და მორალური პასუხისმგებლობა ყველაფერი იმის მიმართ, რითაც სიცოცხლე აზრს იძენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აველუმში ერთგვარად აქცენტირებულია პერსონაჟების მნიშვნელობათა ის რკალი, რომელიც ყველაზე ფასეულია ოთარ ჭილაძისათვის. აველუმის შინაგანი ბრძოლა და მცდელობა იმისათვის, რომ „სწორედ თავისუფალი, სწორედ სრულუფლებიანი მოქალაქე იყოს თუნდაც მის წარმოდგენაში არსებული ქვეყნისა“ უკავშირდება სიყვარულისა და გადარჩენის კონცეპტებს, ანუ ოთარ ჭილაძის მთელ დანარჩენ სისტემას უღრმეს სტრუქტურულ დონეზე. აველუმის აზრის განუწყვეტელი წრიული მოძრაობა სიყვარულის, თავისუფლებისა და გადარჩენის იდეების გარშემო იმეორებს ამირანის მოდელს, მხოლოდ არა ხთონური ძალების აღკვეთის, არამედ კულტურულ-სულიერ ღირებულებებზე მიჯაჭვულობის აზრით. სწორედ ესენია რომანის ძირითადი აღსანიშნები და მათ უკავშირდება არსებით მნიშვნელობათა მთელი სპექტრიც.

მითოსი და ბიბლია წარმოადგენს საერთო ტიპოლოგიურ სააზროვნო-ფასეულობით სივრცეებს კაცობრიობის ისტორაში. მათი მეშვეობით უკავშირდება ოთარ ჭილაძე როგორც ეროვნული ცნობიერების უღრმეს ფენებს, ისე ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. რომანების ტექსტი სავსეა მითოსური, ბიბლიური ისტორიული ეპოქათა ნიშნებით, ანუ ისტორიისა და კულტურის სიტყვითა და დროის ნიშნებით. ისინი გვევლინებიან კულტურის ადეპტებად, აწმყოს, წარსულსა და მომავალს შორის კავშირის ნიშნებად და მოგვიწოდებენ ვიცნოთ.

ამირანი და მედეა ჰომოლოგიური, ანუ ფუნქციურად ანალოგიური სტრუქტურებია. („მედეასა და ამირანის ქალიშვილი“ — ამბობს მწერალი ერთგან თანამედროვე ქართველ ქალზე). ორივე შემთხვევაში სახეთა საერთო ნიშანია ნათესაურ-გენეტიკურ კავშირთა შეუფასებლობა. ამირანი ნათლია ღმერთზე („მამაზე“) ხელის აღმართველი. მედეა — ნებსით თუ უნებლიედ მამის უარმყოფელი და ძმის მკვლელობის თანამონაწილე. ის, რასაც ეროვნული თაობანი და პირიხპირების არქაულ მოდელებში მამრობითი სქესის შთამომავალი შეასრულებს (მამის დამხობა), შეასრულა მედეამ — ქალმა. ამირანის მზვაობრობის, მოუთოკავი ვიტალური ენერგიის ნიშნები ეპოსში ერთგვარად გაზავებულია რელიგიურ-მორალური ნიშნებით (უპატრონო მკვდრის დამარხვა, მორალური სენტენცია „სისხლიან პურსა ვჭამთ ყველანი“) როცა ოთარ ჭილაძე შეგვახსენებს რომ „ყველა შვილი ამირანია“, ან ჩვენ ყველანი ამირანის შვილები“ ვართ — ამით იგი ამირანულს ქართული ფსიქიკური ფენომენის ძირითად სტრუქტურად აღიარებს.

კაენ-აბელის ოპოზიციური მოდელი საფუძვლად უდევს ალექსანდრეს სახის გააზრებას რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. ანას რეპლიკა „თუ გინდა რომ მოისვენო, ძმას ჩააკითხე“ — და ალექსანდრეს ძნელი ნაბიჯი ამ პრობლემის გადაწყვეტაა სიკეთის. სიყვარულისა და მომავლის სასარგებლოდ. ქაიხოსროს შინაგანი კავშირი ნოეს არქეტიპთან პირდაპირაა გაცხადებული თვით პერსონაჟის მიერ და გადარჩენის ინსტინქტის მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით გამოვლინებებს უკავშირდება. მოძმის სიძულვილს, მითვისებას, უმადურობას, სიმხდალეს და ა. შ. ნოეს მოდელი „აველუმშიც“ მეორდება ერთგვარი რეფრენის სახით — „ყველა თავისას ჭედავს კიდობანს“ და გადარჩენის მდაბალი ინსტინქტის საყოველთაო გავრცელების ნიშანს წარმოადგენს.

ოთარ ჭილაძის რომანებში მნიშვნელობათა უღრმეს დონეს ქმნიან რადიკალურ ოპოზიციათა არქეტიპული და კლასიკური მოდელები: „სიკვდილ-სიცოცხლე, სიკეთე-ბოროტება, მამა-შვილი, სიყვარული-სიძულვილი, თავისუფლება-მონობა, წარსული-მომავალი, ზემოთ-ქვემოთ და ა. შ. მწერალი ახდენს მათ ტრანსფორმაციას თანამედროვე იდეათა და შეხედულებათა სისტემაში. ისე, რომ ამავე დროს ითვალისწინებს მათი ზემოქმედების როგორც ინდივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუალურ, ისე ეროვნულ და საკაცობრიო დონეებს.

მამა-შვილის არქაული ოპოზიცია ოთარ ჭილაძესთან განუწყვეტლივ გადაილახება. იგი მხოლოდ ცნობიერების პრიმიტიულ და პრაგმატულ დონეებზე რჩება ოპოზიციად (ქაიხოსრო-პეტრე, კუსა-ფილამონე, ოყაჯადო-მეჯინიბე, გოგიას ბიძა — ილია, გოგია-უცნობი). ყველა დანარჩენ შემთხვევაში ესაა ერთიანობა: „სამი უდრის ერთს" („აველუმი"). ფარნაოზი და უხეირო, პატარა უხეირო და ფარნაოზი, ნიკო და მამამისი, ნიკო და უცნობი, გიჟკოლა და მამის საფლავი, გიჟკოლა და უცნობი, გელა და თბილისელი მსახიობი, გიორგა და მამამისი, აველუმი და ეკაეკატერინეკატო. მესამის მნიშვნელობა კონიტაციურ დონეზე ამ ერთიანობის მისტიკურ სულს და ამ გზით „წმინდა სამებას" უკავშირდება.

თათრისა და გიორგას შეხვედრის ბოლო სცენაში მამა-შვილის ზოგადი არსის ფარული მეტაფიზიკური შრეები ცნაურდება და განუზომლად ფართოვდება ამ ერთიანობის და კავშირის საიდუმლო მნიშვნელობათა არეალი, ამ საიდუმლოს რაღაც გრძნობად-მატერიალური ათინათი. გავიხსენოთ, როგორ აღიარებს თათარი გიორგასადმი სიყვარულს ანასთან სტუმრობების პირველმიზეზად. როგორ ეხვევა გიორგა მოკლულს და როგორ გრძნობს ბავშვობის ნაცნობ, მონატრებულ სუნს. თითქოს სრულიად მოულოდნელ ადგილას — თათრში დედის საყვარელში (ანტი-მამა) შეგრძნების დონეზე იჭრება მამაში უცნობის არსის ფანტომი. გავიხსენოთ გიორგას ძამის მეტაფორა, მისი ცოცხალი შეგრძნება შვილის სხეულში, სიკვდილის და სიცოცხლის შეუღლების ბრწყინვალე ხატი და ნათელი გახდება, რა სიღრმეებიდან ამოსწევს ჭილაძე კაცურ საწყისთა ურთიერთკავშირის უღრმეს მნიშვნელობებს.

განუწყვეტელი უთქმელობა მამასა და შვილს შორის ნიშნობრივია. საიდუმლოს ამოხსნის სურვილი შვილებს ორივ ძრიდან და მამების დუმილი ერთადერთ გენს ერთდროულად მათი იდუმალი უთქმელი ერთიანობისა და წინააღმდეგების ნიშანს, საიდუმლოს გაზიარების რაღაც უცნაური შეუძლებლობის გამოხატულებას. ასეთია უხეიროს დუმილი. მაგრამ პასუხს მაინც ვკითხულობთ მის აფრისხელა ტილოზე, და იმ შუბში, რომელზედაც პატარა უხეიროს ჩვრებს კიდებენ. მისმა შთამომავალმა ამ საგნებში სამომავლო გზის ნიშნები უნდა შეიცნოს, ანუ როგორც საიდუმლოს მნიშვნელობა, ისე მისი შენახვის აუცილებლობაც მომავლისათვის. კატლეტის გადაცემის სცენა „მარტის მამალში" და მამის სიტყვები „მხოლოდ დაიმახსოვრე, მერე მიხვდები", გელას განუწყვეტელი მიბრუნება მამისაკენ წარმოსახვაში, გიორგას უპასუხო შეკითხვა მამისადმი თავის დანიშნულებაზე და აველუმის სიკვდილისწინა სცენა, როცა იგი ვერ აგებინებს ეკაეკატინეკატოს იმას, რისი თქმაც უნდა — წარმოადგენენ ნიშნობრივ სიტუაციებს, როცა ხდება აღბეჭდვა, კოდირება, მნიშვნელობათა შენახვა ცნობიერებაში. ეს კოდი მომავალში უნდა გაიხსნას და იხსნება კიდეც: ვხვდებით, რას შეიძლება ნიშნავდეს მამის ჩოხა გიორგას გომურის კედელზე და ახალ კედელში უსახელოდ ჩაკარგული ძველი სახლის ქვები. ვხვდებით, რატომ ეუბნება უცნობი ნიკოს „ხანდახან მაინც მომიგონე ხოლმე"-ო. ოთარ ჭილაძის სამყარო ამ ძველი ქვებით, მღვიმეებით, შუბის ნამტვრევებით მეტყველებს, ანუ დაკურგული დროის, წარსულის, ხსოვნის ნიშნებით. მამები თავისუფლებასა და გადარჩენის კოდის შემნახველნი არიან, მაგრამ — ვერშემსრულებელნი, უძლურნი. შეფიცულები, მაგრამ უმწეოები. ოპოზიცია ჩნდება იმიტომ, რომ შვილებმა არ იციან კოდი და ვერც მამებისაგან გებულობენ გადარჩენის საიდუმლოს, სწორედ ამის გამო ყოველ მამაში არის ის, რაც მას დამნაშავის მდგომარეობაში აყენებს შვილის წინაშე და ყველა შვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ის, რაც სინანულს აღძრავს მამის წინაშე. შვილებმა უნდა იტანჯონ, სანამ მიხვდებიან, განუწყვეტლივ უნდა იარონ, როგორც მწერალი ამბობს. სიბნელიდან სიბნელეში, ერთი ციხიდან მეორეში, იმპერიის ერთი ქალაქიდან მეორეში, რადგან არანაირი ფასი არა აქვს ცოდნას, თუკი იგი შენი ტანჯვით არ არის მოპოვებული; — შენივ მარტოობით, სიყვარულით, თავისუფლების ჯერ დათმობითა და მერე მისკენ განუწყვეტელი სწრაფვით, სიძულვილის დაძლევითა და სიკეთის გამრავლებით, მკვდრის დამარხვით ანუ პასუხისმგებლობით, სიყვარულით, ერთგულებით ძველის მიმართ და ყველაფერი იმის მიმართაც, რაც ადამიანის ცნობიერებაში შემოაღწევს. ამიტომ არის აველუმი აველუმიც, 56-ში დახოცილი მისი თაობაც და 9 აპრილს დაღუპული შთამომავალიც. სხვისი შვილების, სხვისი გვამის, სხვისი წარსულისა და მომავლის მომპატრონებელი, გადარჩენისა და თავისუფლების მარადიული მძებნელი. მისი ცნობიერება შემკრები ცნობიერებაა ფარნაოზივით, ალექსანდრესავით, ნიკოსავით. მხოლოდ ასეთს შეუძლია გადარჩენაც და განთავისუფლებაც — თავისი კულტურული წარსულის მატარებელს, გადამცემს, გამომზოგავსა .და განმანაწილებელს. თუ გადამრჩენს ვერა, შემნახველს მაინც — ფარნაოზივით, მფრინავი ბავშვის მშობელი აველუმივით; შიშით შეჭმულს, მაგრამ ამ შიშის დამთრგუნველსაც ერთდროულად — ნიკოსავით; მარად თავისუფლების მძებნელს — გელასავით. და ადამიანობაც ხომ მხოლოდ ესაა— „ბრძოლის უფლება“...

„აველუმში“ წარმოდგენილია თავისუფლების იდეის ყველაზე ღრმა ასოციაციური მნიშვნელობები. იგი თითქოს ღიავდება ყველა შესაძლო ინტერპრეტაციისათვის ცნაურდება თავისუფლება — ტყვეობის ოპოზიციის თითქმის ყველა ასპექტი, მთელი მისი შინაგანი წინააღმდეგობები — ცენტრალური და პერიფერიული ზედაპირული და სიღრმისეული, უხილავი, ასოციაციური და აშკარა, ხელშესახები. დგინდება თავისუფლების იდეის კავშირი სხვადასხვა ეგსისტენციებთან, ფსიქოლოგიურ მდგომარეობებით ცნობიერების მიმართულებებთან — სიყვარულთან, მოვალეობასთან, ოჯახთან, შვილთან, წარსულთან და მომავალთან, პიროვნული და როვნული ღირსების გრძნობასთან, სიკვდილთან და სიცოცხლესთან, მარტოობასთან, გადარჩენასთან, ცნობიერ და არაცნობიერ იმპულსებთან.

თავისუფლების ნება წარმოდგენილია როგორც ადამიანური ყოფიერებისა და ცნობიერების უღრმესი სტრუქტურა. ადამიანის ძირითადი სასიცოცხლო ნება და სწრაფვა. ნებასა და უფლებას შორის განფენილ თავისუფალ სივრცეში შემოდის სწორედ კაცობის, ადამიანობის, კონცეპტი, როგორც ამ უფლებისაკენ განუწყვეტელი სვლა ნებისა, როგორც ნების ლტოლვა, განხორციელდეს უფლებებში, და მთელი ტრაგიზმი ამ ლტოლვისა: „თავზარდამცემი სისასტიკითა და დაუნდობლობით იგრძნო, თუ რა მძიმე ტვირთია კაცობა, რა ძნელი სატარებელი“ („აველუმი“). ადამიანი არ არის თავისუფალი. მისი მარადიული მონობა სიყვარულში გადაილახება მხოლოდ ოპოზიციურ საწყისთა წამიერი გაერთიანებით. ამიტომ: განუწყვეტელი გაქცევები სიყვარულისკენ და უკან. „ძაფის თავშესაფარში“, დაბრუნებები, რადგან „სიყვარულიც ჯაჭვია, თანაც გრძნობათა გავარვარებული ჯაჭვი, რომელსაც შენი ნებით იხვევ კისერზე, რადგან აღარ შეგიძლია უიმჯაჭვოდ გაძლება“ („აველუმი“). აი, რას ნიშნავს ოთარ ჭილაძის „თავისუფლების ტყვეობაში“ — სულიერ მიდრეკილებას ტანჯვისაკენ, ტყვეობისაკენ, მაგრამ სიყვარულისაკენ, ოცნებისაკენ, ცისკენ გაფრენის მარადიულ სურვილსაც იმავდროულად. ცისა და ოცნების, სიყვარულისა და მხურვალე გრძნობათა ტყვეობას. გაფრენა. თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ეჭვგარეშე, არჩევანისგარეშე ყოფიერება. ყოფიერება, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომა გამორიცხულია, ანუ მეტა-ყოფიერების ემანაცია ყოფიერებაში. ტყვეობა კი ისაა, რითაც მთელ მატერიალურ სამყაროს ვუკავშირდებით და ვეჯაჭვებით, და რაც არასგზით არ დაითმობა, რადგან სწორედ იგია ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე უტყუარი რეალობა.

თავისუფლების ის ხატი, რომელიც „ველუმში" ჩნდება, ძალზე მოგვაგონებს ამირანის მოდელს: კავკასიონის მაღალ მწვერვალზე, უკიდეგანოდ გაშლილ სივრცეში, ღმერთისა და ადამიანის მოდგმის თვალწინ, მთელი სამყაროს დასანახად პალოზე (რომელიც თავად არის სტიქიური ძალის სიმბოლო) ჯაჭვით მიბმული კაცის ხატი. ასე, მარადიული ბრძოლის უფლებად გაიაზრებს თავისუფლებას ოთარ ჭილაძე. ამ გზით ერთვება ამირანის სახე თანამედროვე კულტურულ-ფასეულობით სისტემაში. ასე რომ, ძნელია, არ გაიზიარო ჰაიდეგერის მოსაზრება, რომ მითი არის ერის ბედისწერა. მაგრამ თავისუფლების იდეის ჭილაძისეული კონტექსტის გათვალისწინება შეუძლებელი იქნება კიდევ ერთი მოდელის გარეშე, რაც ჩვენთვის, როგორც ქრისტიანი ერისათვის, არანაკლებ ნაცნობია: ეს გახლავთ ჯვარცმული კაცის ხატი, რომლითაც ოთარ ჭილაძე თავის პირველ რომანს ასრულებს. ისიც ღია სივრცეში, მთაზე, ქვეყნის დასანახად და დასამახსოვრებლად აღმართული მარადიული ნიშანი სიყვარულსა, ხსნილობისა, თავგანწირვისა — მაგრამ უარნათქვამი და განწირული. ხელებგაშლილი კაცის ხატი მოყვასის გულში ჩასაკვრელად და მილურსმული ამ სურვილისა და სწარვისათვის. თავისუფლებისა და სიყვარულისათვის დასჯილი კაც-ღმერთებს ეს ორი ხატი-ნიშანი, ორი მოდელი მათ შორის არსებული მთელი განსხვავების მიუხედავად ასოციაციურად უკავშირდება ერთმანეთს ოთარ ჭილაძის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ სისტემაში. ამ გზით სინთეზირდება ადამიანში ბუნება (პრა-მითი) და კულტურა (რელიგია, მორალი), გადაილახება ბინარული დევ ერთი ოპოზიცია, ესოდენ მტკივნეული და კარგად ნაცნობი ორად გახლეჩილი თანამედროვე ადამიანისა და მთელი XXI-ის ლიტერატურისათვის.

ცნობილი ფრანგი ლიტერატურათმცოდნე, სემიოლოგი და კულტუროლოგი როლან ბარტი ერთგან დანანებით შენიშნავს: ჩვენ დღეს არც აღარაფრისა გვეშინია, აღარც გვიყვარს და აღარც არაფერს ვუამბობთ ერთმანეთსო. ახლა ისიც გავიხსენოთ, რას ეუბნება უცნობი ნიკოს: „თუ დედა არ გენეტრება და არც არაფრისა გეშინია, სიცოცხლეს ფასი არ ქონია შენთვისო. ანუ' თუ მიჯაჭვული არა ხარ სიყვარულს, მონატრებას, შიშს — სიცოცხლე არ გყვარებია და ესაო. ჩვენი წერილის დასასრული ამ სიტყვებს მინდა დავუკავშირო. ოთარ ჭილაძის ადამიანს კიდეც ეშინია, კიდეც უყვარს და ყვება კიდეც — განუწყვეტლივ, სულმოუთქმელად, თითქმის უპაუზოდ. ვეებერთელა შინაგანი ნდობითა და ენერგიით, რომ გაიგებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ავადმყოფურ დროში ისეთი მწერალი გვყავს, რომელსაც ადამიანის გადარჩენის იმედი და რწმენა არ დაუკარგავს და გვყავს, საბედნიეროდ, „მოცლილი მკითხველიც", რომელმაც ამ სიტყვისა და ასეთი ლიტერატურის მადლი იცის. ეს კი, დამეთანხმებით, ყველაზე უფრო მეტია, რაც კი დღეს მწერლობამ და მკითხველმა ერთმანეთს შეუძლია შესთავაზონ.

ოთარ ჭილაძის ენას შევყავართ ცოდნისა და გამოცდილების ვეებერთელა კორპუსში, რადგან ცოდნა ნიშნავს მნიშვნელობათა ცოდნას, მათი ცვალებადობის მთელი სპექტრის შემოსვლას შეგრძნებაში, აზრში, განცდაში. თავისუფლების ცნება ძველი შუმერის გაგებიდან, ან სულაც, ამირანიდან დაწყებული დღემდე, თანამედროვე გაგებამდე მოიცავს მნიშვნელობათა ძალზე ფართო სპექტრს: სტიქიური თავისუფლებიდან (რომლის აღკვეთის ფორმა არის კიდეც ძალისმიერი ქმედება — ჯაჭვით პალოზე მიბმა) — სულიერ თავისუფლებამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის აკრძალვა ნიშნავს სიყვარულის აკრძალვას და სამწუხაროდ, გარეგნულად არაფერში ვლინდება თუ არა კვდომის — და არა სიკვდილის — ხანგრძლივ პროცესში, მხოლოდ საშინელ, უჩუმარ და შემტევ ზეწოლაში ყველაფერზე, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს აქაც, შიშისა და ბოროტების იმპერიაში და დასავლეთშიც, სადაც თავისუფლების პარადიგა ნუდისტური პლაჟის გაშიშვლებულ სხეულთა შორის თამაშდება. ის, რის გადარჩენასაც მწერალი ცდილობს ამ გადაგვარებულ, შიშითა და სიძულვილით, ანგარებითა და გულგრილობით, სიბრიყვითა და უვიცობით შეპყრობილ სამყაროში — სიყვარულია. თავისუფლებაც სხვა არაფერია თუ არა სიყვარულის, სიკეთისა და ადამიანობის გადარჩენისათვის ბრძოლის უფლება. ბრძოლა იმისთვის, რომ არასოდეს აღმოჩნდე მათგან თავისუფალი. და თავისუფლება, ისევ და ისევ, სხვა არაფერია, თუ არა მიჯაჭვულობა წინაპარზე, სამშობლოზე, დედაზე, ქალზე, ოჯახზე, შვილზე, ენაზე — ურიცხვი ჯაჭვი, რომელიც აზრსაძლევს სიტკბოებას და მარტოობისაგან იფარავს ადამიანს. ამ ჯაჭვის წამიერი ახსნა—ტყვეობის მთელ ხანიერებასთან შეფარდებით, — თავისუფლების რაღაც უღრმესი სტრუქტურის შემოჭრაა, მაგრამ აუცილებელი საიმისოდ, რომ კიდევ ერთხელ გაგვახსენოს თავისუფლების თავდაპირველი, მხოლოდ სიყვარულში შემორჩენილი მნიშვნელობა: „ტკივილამდე ნაცნობი, მარად თითქოს მისი მარად სანატრელი, მარად საძებარი სიშიშვლისა. სიმკვრივისა, სიმხურვალისა, რომელსაც ნებისმიერი ურდულის, ბორკილის, კედლისა თუ ჯებირის გალხობა ძალუძს („აველუმი“). ამირანის განუწყვეტელი წრიალი ჯაჭვის გარშემო მის არაცნობიერზე მიჯაჭვულობაზეც მიგვანიშნებს (პალო) და იმ საოცარ პარადოქსზეც [პარა (დოქსა — მიღმა, იქით) ბუნება], რაც ადამიანს მიაჩეჩა კულტურამ და ისტორიამ, ანუ ჩვენს ტრაგიკულ მდგომარეობაზე თავისუფლების ტყვეობის პირობებშიც და მისგან განთავისუფლების შემთხვევაშიც ერთდროულად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია ბერიძე

ნოდარ დუმბაძის მოთხრობათა მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი

ნოდარ დუმბაძის მოთხრობები თემატიკის მრავალფეროვნებით, პერსონაჟთა რაოდენობის განსაზღვრებით, სიუჟეტური რიგით და თხრობის მანერით ასუხბს მოთხრობის, როგორც ჟანრის დაკანონებული წესები.

ნოდარ დუმბაძისთვის, როგორც მწერლისთვის დამახასიათებელია „ობიექტივისტური" თხრობის მანერა, გაღრმავებული რეალიზმი, ფსიქოლოგიური დეტალებისა და ღრმა ქვეტექსტების სიუხვე, ცხოვრებისეული სიმართლე. მის მოთხრობებში თვალში საცემია ის მოთხოვნილებები, რაც ახასიათებს მცირე ჟანრის ნაწარმოებებს: 1) გაგრძელებული, გაჭიანურებული წინადადებების უარყოფა, თხრობის ლაკონიურობა და სისხარტე. 2) მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურობა 3) მოქმედ გმირთა და საგანთა მინიმალურობა და სამართლით ხატვა, რითაც მკითხველში წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. 4) გამბედაობა და ორიგინალობა. 5) ჰუმანურობა. ბუნების აღწერას სხვა მწერალთა დარად დიდი ადგილი არ უჭირავს, სამაგიეროდ ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული ურთიერთობა იპყრობს მკითხველის ყურადღებას 7) ენის ხალხურობა და სიმსუბუქე, რომ სიმდიდრე და მოქნილობა, ყოველივე ამას განაპირობებს დიალექტებისა და ჟარგონების, მხატვრული ხერხების ოსტატურად გამოყენება, რაც თხრობას მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. იუმორი რომელიც ნოდარ დუმბაძის შემოქმედების იმდენად ძვირფასი სამკაული და განუყოფელი თანამგზავრია, რომ მისი გვერდის ავლა უბრალოდ, შეუძლებელია. ჩამოთვლილი კომპონენტებით ნოდარ დუმბაძე გამოჩენილ ადგილს იკავებს ეროვნულ მწერლობაში და სულიერად დავით კლდიაშვილს ენათესავება. საქმე ეხება ტრაგიკულსა და კომიკურის ურთიერთმონაცვლეობას, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობათა სიუჟეტი არ გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით. იგი არ არის დატოტვილი, თხრობა ძირითადად სწორხაზოვანია, თუმცა ზოგჯერ ეს პრინციპი უკუგდებულია. ასეა მოთხრობაში „კუკარაჩა", სადაც ორი სიუჟეტური ხაზი ვითარდება. სწორედ ამ ხაზთა შერწყმა ბადებს მოთხრობას. ამბავთა თანმიმდევრობა ხშირად დარღვეულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გმირი ხშირად მოგონებებში იძირება და ბავშვობაში გადაინაცვლებს („ნუ გააღვიძებ", „თალიკო"). ხშირად ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგას ამა თუ იმ პერსონაჟის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებები ან მონათხრობი ქსოვს. დასახელებული მოთხრობების გარდა ასეთი შემთხვევები გვაქვს შემდეგ ნაწარმოებებში „ხაზროელა“, „კორიდა“. „ჭინკები“, „Helad“ „ძაღლი“ „ასტავან, ინჩე ჰამარ!“ სავსებით გასაზიარებელია კრიტიკოს სოსო სიგუას აზრი, რომელიც თვლის, რომ „ნ. დუმბაძის მოთხრობები, რომანთა დარად ასოციაციებითაა ნაგები. აქ ასოციაცია არა საგნების, არამედ შთაბეჭდილებათა მსგავსებას გვამცნობს. იგი ემოციურია იმიტომ, რომ აზრის მოძრაობა მოულოდნელი განცდის გამჟღავნებაა“[1]

მწერლის სტილისთვის დამახასიათებელია თხრობას პირველი პირით წარმართვა, ეს ხერხი გვხდება მწერლის ხუთივე რომანში და თითქმის ყველა მოთხრობაში. გამონაკლისია მხოლოდ „მზე“, „ჩიტი,“ „ყანწი“ და „უმადური“. გამონაკლისია „ძაღლი“, სადაც ნაწარმოების ფინალში მთხრობელი და ავტორი შემოდის. ეს ხერხი საკმაოდ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების ლირიკულ „მეს“ ხან თამაზი ჰქვია, ხან — ჯემალი ხანაც — გოგიტა და ა.შ. მაგრამ მთავარი და არსებითი ის არის, რომ მთხრობელი და ავტორი ფაქტიურად ერთი და იგივე პირობაა, რადგანაც მათი მსოფლმხედველობა და დამოკიდებულება გარე სამყაროს საგნებისა მოვლენების მიმართ ერთმანეთს ემთხვევა.

ნაწარმოებებს ნ. დუმბაძე მოკლე ფრაზებზე და მეტყველ დიალოგებზე აგებს. მსოფლმხედველობა სწორედ დიალოგებსა და გმირთა მოქმედებებში ვლინდება. ამიტომ დიალოგი ნოდარ დუმბაძის სტილის განსაზღვრის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. დიალოგის მონაწილე პირთა რაოდენობა ყოველთვის მინიმალურია და ის არასდროს აღემატება ორ-სამ ადამიანს. ზოგჯერ გვხვდება მონოლოგიც (მაგ. ლოთის მონოლოგი მოთხრობაში „დედა“,) დიდროს სიკვდილისწინა აღსარება („დიდრო“), ქიშვარდის ბაბუას მძიმე ფიქრები („სისხლი“) და სხვ.

საინტერესო და განუმეორებელია პერსონაჟთა ხატვის ნოდარ დუმბაძისეული მანერა. მართალია, აქ იგი საკმაოდ ძუნწად იყენებს მხატვრულ საშუალებებს, მაგრამ ძალუმს სულ რაღაც ორიოდე მტრიხით მიმზიდველი სახის შექმნა, მოკლე და შთამბეჭდავი გამოხატვა პერსონაჟებისა, როდესაც საჭიროდ მიაჩნია. მაგ მოთხრობა „კუკარაჩა“ იწყება დეიდა მართას ეზოს სცენით. იქვე იხსნება კუკარაჩას პიროვნება:

„— კუკარაჩა, ეგ არის უბნის რწმუნებული ვარო, ქურდების ხორიალა ვარო, შავი ჭირი ვარო, ახალგაზრდობის აღმზრდელი ვარო, შენ ვისი გამზრდელი ხარ, შენ თვითონ პრიუტში გაზრდილო, შენა“! ბუნებრივია, აქ ჩნდება ინტერესი, თუ ვინ არის ხსენებული პიროვნება და მწერალი პერსონაჟის მოკლე დახასიათებით იქვე აკმაყოფილებს მკითხველის ინტერესს. შემდეგ ამას მოჰყვება კუკარაჩას გმირობის ამბავი ფინეთის ომში, რაც ისევ ამ პერსონაჟის აღქმაში გვეხმარება. ანალოგიური სიტუაციაა მოთხრობაში „HELAOS“ იგი იწყება ორ მოზარდს შორის დიალოგით, რაც მათ შორის უკვე არსებულ კონფლიქტზე მიუთითებს და რასაც მისდევს იანგულის დახასიათება და თხრობის დასაწყისი. ამრიგად, უმეტეს შემთხვევაში, მწერალი ნაწარმოების დასაწყისიდანვე გარკვეულ განწყობილებას გვიქმნის ამა თუ იმ გმირზე. იგი უფრო მეტად პერსონაჟთა შინაგან პორტრეტს გვთავაზობს. გმირის გარეგნობის ხატვაშიც ნოდარ დუმბაძე საკმაოდ ძუნწია და ის სუბიექტურად უნდა აღიქვას მკითხველმა. მაგ. მოთხრობაში „კუკარაჩა“ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მილიციის ლეიტენანტი გოგი თუშურაშვილი ლამაზი, შავგვრემანი და მაღალი ახალგაზრდაა. სიშავის გამო მისთვის კუკარაჩა დაურქმევიათ.

„— კარგად შეურქმევიათ, — გაეცინა დედას, გოგიას მუგუზალივით შავ სი-

ფათს რომ შეხედა“. მურტალო გარეგნულად ასეთია: „მიუხედავად ულვაშისა, ზედა ტუჩზე ღრმა ნაჭრილობევი ემჩნეოდა, საშუალო ტანის იყო, ჩასკვნილი, მაგრამ ფერი ჰქონდა რაღაც უცნაური ერთად შეზავებული მიწისა და ბიისფერი“, თუმცაღა ეს გარეგნული პორტრეტი გმირის ხასიათს ერწყმის და ზოგჯერ ამა თუ იმ თვისებას უსვამს ხაზს. მაგალითად, მურტალოს გარეგნობის აღწერის შემდეგ მწერალი გვეუბნება: „უშიშარი, თავხედი და დამცინავი გამოხედვა ჰქონდა, რაც ანტიპატიურობის გარდა, რაღაც ვაჟკაცურ იერს აძლევდა“. 14 წლის იანგული უბნის ყოჩია. ამ ტიტულს განსაკუთრებული თვისებებისა და ფიზიკური ძალის მოზარდი მოიპოვებს მხოლოდ თავის თანატოლებში. იანგულის გარეგნობა კი მიანიშნებს ამ თვისებაზე: „ნაფოტივით თხელსა და ბეჭებგანიერს სწორი, ლამაზი ცხვირი და მაიმუნივით გრძელი ხელები ჰქონდა. რომ იდგა მუხლებამდე წვდებოდა უზარმაზარი ტორები დიდროს გარეგნობის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ „თმა ჰქონდა ზღარბივით აბურძგნული“, ხოლო ბოროტი მებუფეტე („ძაღლი“) „ცხვირგარუმბული“ და ჭუჭყიან ხალათსა და წინსაფარს ატარებს, მაგრამ ეს ძუნწი შტრიხი სრულიად საკმარისია იმისათვის რომ მოქმედების მსვლელობისას უარყოფით პერსონაჟად აღვიქვათ. წიფნაგვარელი კუკურა („ნუ გააღვიძებ“) და მისი და ერთიმეორეზე ულამაზესები არიან. მწერალი დეტალურად არ აგვიწერს მათ სილამაზეს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ კუკურა მშვენიერი სქესის წარმომადგენელია არაჩვეულებრივ სიმპათიას იმსახურებს, ხოლო ნათელაზე ავტორი მხოლოდ ამასღა გვეუბნება: „თავის ძმა კუკურასავით ლამაზი იყო ნათელა და ახლა ფრთამოყინული ანგელოზივით იდგა კლასის კარებში“. შესანიშნავად მიგნებული მხატვრული შედარება სავსებით საკმარისია ნათელას გარეგნული პორტრეტის აღსაქმელად. ცოცხლად და შთამბეჭდავად გვიხატავს ნოდარ დუმბაძე ორეხარისხოვან პერსონაჟებსაც — „ოქროს კბილგამოტენილი“ თათარი ალი („კუკარაჩა“) და მისი თანაშემწე იბრაჰიმი, რომლის გარეგნობაზე ერთობ ძუნწი ცნობა გვაქვს. ის ელამია. სულ რამდენიმე შტრიხით, მაგრამ შესანიშნავად არის წარმოდგენილი პარიკმახერი ექვთიმე, („დიდრო“) რომელსაც ყვაპუტას მორჩილი ტანისა და სიმსუქნის გამო ეძახიან. მთელ სოფელში ის ერთადერთი კაცია, რომელიც დიდროს ელაპარაკება. დიდროც ძალიან აფასებს მას. ექვთიმეს კეთილი ხასიათი ჩანს იმ ფაქტში, რომ ის მუდამ უფასოდ პარსავს პირს დიდროს, ვითომ წაგებული სანაძლეოს გამო.

ეს ყველაფერი შეეხებოდა იმ გმირებს, რომელთა პირით ნაწარმოებში არ მიმდინარეობს თხრობა. გმირ-მთხრობელის გარეგნობაზე კი მწერალი არაფერს გვეუბნება. მისი გარეგნობის აღება მათი ხასიათიდან გამომდინარე მკითხველის ფანტაზიაზეა დამოკიდებული ცნობილია, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ყველაზე ურთულესი და ამასთან, უმნიშვნელოვანესი ელემენტია მოქმედი პირი-გმირი, პერსონაჟი. იგი ნაწარმოების ღერძია, რომლის გარშემო ძირითადად და ბუნებრივად იხვეწება ნაწარმოების იდეაცა და მისი მიზანდასახულებაც. აღსანიშნავია, რომ ნოდარ დუმბაძე წარმატებით ართმევს ამ ამოცანას თავს. მისი პერსონაჟები — მთავარნი თუ მეორეხარისხოვანნი, გაქვავებული თუ სქემატური სახეები კი არ არის, არამედ, მოქმედი, დინამიური რომელიც თავის ხასიათს ხან ერთი, ხან მეორე მხრით გვიჩვენებს და თანდათანობით, ნაწარმოების სხვა კომპონენტის დახმარებით დამაჯერებლად მივდევთ მოთხრობის იდეისა და მიზან დასახულობის შეცნობამდე.

ზოგჯერ პერსონაჟისათვის შერქმეული ზედმეტსახელი და მისი გარემოსათვის დამახასიათებელი მეტყველება უფრო მეტს გვეუბნება გმირის ხასიათზე, ვიდრე ვრცელი უნაპირო თხრობა, მაგ. ზედ-

მეტსახელი მურტალო უკვე გარკვეულწილად მიგვანიშნებს მის ხასიათზე, ზოგიერთ თვისებებზე. იგი დაუნდობელი და ვერაგია, ხოლო მისი მეტყველება დამახასიათებელია შავი სამყაროსათვის. ნოდარ დუმბაძე ხშირად პერსონაჟთა სახელებით ასათაურებს თავის მოთხრობებს. მაგ „კუკარაჩა“ „ჭინკები“, „ბოშები“, „მზე“, „ხაზარულა“, „თემურლენგი“, „დიდრო“, ხშირად ისინი მთავარი გმირები არიან. მისი მოთხრობის გმირის მეტყველება სისხარტითა და ლაკონურობით, ამავე დროს, საოცარი ენამოსწრებულობით და იუმორით გამოირჩევა. მწერალმა თავისი მშობლიური კუთხისათვის დამახასიათებელ ხალხურ იუმორზე დაყრდნობით შექმნა ზოგადქართული, ამასთანავე ყველასათვის გასათავისებელი ჰუმორული, ტიპი. ხალხის ყოველდღიურ ყოფაში დამკვიდრებული გონებამახვილობის ნიმუშები მის ნაწარმოებებში ისეა გადამუშავებული მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვით, რომ ასეთი გონებამახვილური პასაჟისათვის ძნელი ხდება, ნ. დუმბაძის კომიზმი ახლოს დგას ხალხურთან და ხასიათით კლდიაშვილის იუმორს ენათესავება.

იუმორი მწერლისათვის თვითმიზანი არ არის. იგი არასდროს წერს მარტოოდენ სიცილისათვის და მიზნად არ ისახავს მხოლოდ აცინოს მკითხველი, ან შეურაცხყოფა მიაყენოს ვინმეს. მისი ალალი და ლაღი ღიმილი ადამიანთა სულიერი ტკივილების გამაყუჩებელი უებარი საშუალებაა, მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ დუმბაძის გმირებს რთულ პირობებში, ომისა და შიმშილის დროს უხდებოდათ ცხოვრება, ისინი არასდროს არ კარგავენ იუმორის გრძნობას და სიცილის უნარს. ყოველივე ადამიანთა სულიერ მხნეობას: და მათ გაუტეხელობაზე მიუთითებს: „როცა მწერლის პერსონაჟები დაძაბულ ვითარებაში აღმოჩნდებიან, როცა ხსნა თითქოს არსაიდან მოჩანს, მწერალი მზესავით გამოასხივებს თავის შუქს, მიმართავს იუმორს და დაძაბულობაც ქრება, შვება მოდის. ეს არის წამალი განსაკუთრებული, ეს არის ნოეტური წვდიადის განმდევნი, ეს არის ჰაერი მაცოცხლებელი, რომელიც სუნთქვაშეკრულ კაცს ჟანგბადით უვსებს ფილტვებს. ასე დიდია ფუნქცია, რომელიც ნ. დუმბაძის შემოქმედებაში იუმორს აკისრია“ (ტარიელ კვანჭილაშვილი). ამიტომაც მწერლის პერსონაჟებისათვის იუმორი წყალი და ჰაერია. მათ არ შეუძლიათ იუმორად ცხოვრება და თვით უმძიმეს წუთებშიც კი არ კარგავენ მას:

„— შეიძლება დავჯდე? — ჰკითხა მწარე ღიმილით მურტალომ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ იმდენ ხანს მოგიწევს ჯდომა, რომ შენს ადგილზე მე ფეხზე დგომას ვირჩევდი, — გაეღიმა კუკარაჩას.

— ხუმრობ. კარგია, როდესაც მილიცია ხუმრობს, — თქვა მურტალომ და დაჯდა“.

ნოდარ დუმბაძის იუმორს დავით კლდიაშვილის დარად ახასიათებს ტრაგიკულისა და კომიკურის მონაცვლება. ამის გამო ხშირად იუმორს მწარე ელფერიც დაჰკრავს; (ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კუკარაჩა).

მოთხრობა „კორიდა“ ნახევრადინტელიგენტური ლაყბობით იწყება, მაგრამ იუმორისტული სიტუაცია მალე თვალსა და ხელს შორის გადაიზრდება მძაფრ დრამატულ კოლიზიაში, რომელიც ღრმად ჩაგვაფიქრებს. აქაც მწერალი ოსტატურად იყენებს იუმორისტულსა და ტრაგიკულის შერწყმა-მონაცვლეობას, რაც მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. იუმორი და ცრემლნარევი ღიმილი ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ამიტომაც ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მიღებულია აზრი, რომ ნ. დუმბაძის იუმორი არაა ნელი, შემპარავი, ფარულად არსებული, იგი პირდაპირია, თამამი და უეცარი, დამთრგუნველი როგორც ცხოვრების ანასხლეტი არამედ ჭვრე-

ტით მიღებული და იმპროვიზაციაზე აგებულია (ს. სიგუა).

იუმორს გარკვეული მნიშვნელობა აქვს გმირის ხასიათის ჩვენებისას და სიუჟეტის აგების დროს. მაგრამ ნ. დუმბაძის მოთხრობებში კომიკური სიტუაციები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე კომიკური ხასიათები: „გულახდილად, რომ ვთქვათ, მე პრიორიტეტს მაინც სიტუაციას ვანიჭებ, მახვილსიტყვაობა და მახვილგონიერება კომიკური სიტუაციის ძვირფასი სამკაულებია — ეს არის და ეს, — ამბობს მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში. მართლაც, ძალზედ ხშირად გვხვდება ნ. დუმბაძის შემოქმედებაში სასაცილო სიტუაციები, სადაც ღიმილის მომგვრელია ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა,:

„ქალბატონო დარეჯან, დასაყოლებელი ხომ არ გაქვთ რამე? — იკითხა სხვათა შორის ანანიამ. — სარი მაქვს დასაყოლებელი, ბატონო ანანია, უთხრა ბებიამ. ანანია უხმოდ გადავიდა ეზოდან და გზას ზევით აუყვა.

ამ ზევით სად მიდიხარ, ანანია ბატონო, ქვევით არ მიდიოდი? — შეახსენა ბებიამ.

— ქვევით საქმე მქონდა, ქალბატონო დარეჯან და მე რომ აწი საქმეს გავაკეთებ, ისე გეიხარა ჩვენი თავმჯდომარის ვენახმა! — ხელი ჩაიქნია ანანიამ.

— მაშინ მეცი პატივი, ანანია ბატონო და შაქროიეს ღობეს გაყევი, ჩემსას ისედაც ძლივს უდგას სული, — სთხოვა ბებიამ.“

იუმორი მწერლისათვის ნიშნავს არა მხოლოდ ღიმილს, არამედ, იმედს, მხნეობას, საშუალებას დარდთან შესაჭიდებლად; იმიტომ არ არის იგი თვითმიზნური ლაღობა, ხუმრობა, ოხუნჯობა, იუმორი არაიშვიათად იმოსება ირონიით. ღიმილს იწვევს გაკილვა გურულების გატაცებისა, უცხოური და ეგზოტიკური სახელები დაარქვან შვილებს: „დიდრო და დიდროსნაირი სახელები ვის გაჰკვირვებია გურიაში. მარტო გუთურში სამამულო ომამდე 4 ოტელო, 8 ჰამლეტი, 7 შექსპირი, 5 დეზდემონა და ოფელია ცხოვრობდა. მაგრამ ეს ირონია მაშინაც კი, არასდროს არ არის ღვარძლიანი. სასაცილო სიტუაციები უმთავრესად ყოფითი ხასიათისაა, პერსონაჟები სოციალურად სასაცილონი კი არ არიან, არამედ იუმორისტულ სიტუაციებში იმყოფებიან. სინამდვილის ჰუმორული აღქმა საგნებისა და მოვლენებისა იმდენად ორგანულია მათთვის, რომ ისინი სასაცილოს და სალაღობოს პოულობენ ყოველთვის და ყველაფერში. ამრიგად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მწერლისთვის კომიზმი მთავარი იარაღია მხატვრული გამოსახვის საშუალებათა არსენალში. მათთვის კომიკური ტერმინები მოთხრობებში ხშირია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი არასდროს ღალატობს რეალიზმის პრინციპებს. სასაცილოს უმეტესად სარჩულად უდევს სინამდვილის ოპტიმისტური აღქმა, სიმხნევე და იმედიანობა. ადამიანებს ცხოვრებაში ხვდებათ ვერაგობა, ავადმყოფობა. დაპატიმრება, ომი, გაჭირვება, შიმშილი, ფრონტზე დაღუპვა, სიკვდილი, ბოროტება. ამიტომ რთულია მათი ცხოვრების გზა. ისინი დარდობენ, წუხან, გლოვობენ, საკუთარი მხრებით ეზიდებიან ცხოვრების ჭირვარამს. მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ცვივდებიან, ფარ-ხმალს არ ყრიან და უიმედო გოდებას არ ეძლევიან. მწუხარებასთან, დარდთან და ვარამთან ბრძოლაში მათი ერთ-ერთი ბასრი იარაღი ღიმილია და იუმორით და სიცილით იმსუბუქებენ სევდას. ამიტომაც მათი მწუხარება არასდროს არ არის ხანგრძლივი და ცრემლი ადამიანებს ღიმილით უშრებათ.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობათა მხატვრულ-სტილისტური მხარე მარტოოდენ იუმორზე ლაპარაკით როდი ამოიწურება. აქ აუცილებლად უნდა ითქვას იმ ენობრივ-სინტაქსურ თავისებურებაზე, რომელიც მას ახასიათებს. ენა მოქნილი და მდიდარი. ახლოს დგას ხალხურ სასაუბრო ენასთან. მწერლო-

სთვის არ არის დამახასიათებელი ფილოსოფიური მსჯელობების წინა პლანზე წამოწევა, გაჭიანურებული თხრობა იგი უბრალოდ გვესაუბრება და ამ ამაღლებულ უბრალოებაში ხატავს წმინდა სულიერ ფასეულობებს.

ნ. დუმბაძის ენობრივ სიმდიდრეს განაპირობებს დიალექტების ზომიერი ხმარება, ჟარგონები და ოსტატურად მიგნებული მხატვრული ხერხები. გურული დიალექტი და ბუნება მწერლის შემოქმედებისათვის გარკვეულ წილად ცოცხალი წყაროა, სადაც იგი დიდი დაკვირვებით, შერჩევით, გემოვნებით ჰკრეფს სიტყვებს, გამოთქმებს და ნიჭიერად აქსოვს ნაწარმოების ქარგას მაგ:

„— რას იტყვი ახლა, თვალებდასაფსებო მანაველა ცინცაძე?

— რა გაცინებს, დედაკაცო, არ იფიქრებს ბაღანა, ტყუილა ჩივა ბაბუაჩემიო“.

„— ნენა, მომიყვანე ერთი კაი მარჩიელი ჩაჩანი ქალი და მე ვიცი შენი პატივისცემა, მინდა ჩემს ვინაობაზე ვარჩევიო, რაცხა წერილს შეაგვიანდა“

„კუკურა დაგეფსო თვალები მაგ შენი ცხენივით“...

ზოგჯერ ხვდება საკუთარ სახელთა გურული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმები: დიდროია, ნოდარა, ცენზორია კუკურა. ხშირია გაბატონებული „მაგი“, „ნენა“ და სხვ. დიალექტების ხმარება მოთხრობებს განუმეორებელ კოლორიტს ანიჭებს.

ნოდარ დუმბაძე ხშირად იყენებს ჟარგონებსაც. ისინი გვხვდება მოთხრობებში „კუკარაჩა“, „HFLALOS“, „დედა“, მართალია, ქუჩური სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება მხატვრულ ენაში მკაცრად რეგლამენტირებულია, მაგრამ მწერალი მათ გარკვეული მხატვრული მიზნით ხმარობს: სოციალური გარემოს საჩვენებლად და პერსონაჟის დახასიათებისათვის. განსაკუთრებით მდიდარია ამნაირი ლექსიკით მოთხრობა „კუკარაჩა“:

„გვრცხვენია, მაგრამ საქმის საჭიროების გამო ვასახელებთ იმ უშვაკურ სიტყვებსა და სიმდიდრეებს, რომლებიც გვესმის ამ გარყვნილების ბუდიდან.

სიტყვები — ბოზი, ჩათლახი, ნაბიჭვარი, ვირიშვილი, ყომარი, დურა, ატანდა, პლუტი, ხიში, ბითური და სხვ.

სიმღერები:

„პარახოდმა ბათუმისკენ გასწია,
სვოი ბიჭმა ჩემოდანი ასწია,
შე ვირიშვილო, სუდა,
რა დაგიშავე“

მურტალოს სახის გახსნისათვის დიდი როლი ენიჭება მის მეტყველებას, რაც ამ სოციალური წრისთვისაა დამახასიათებელი, რომლის პირმშოცაა. ხშირად გვხვდება ვულგარიზმებიც.

„იმიტომ, რომ ქალამნიშვილი ძველი ნაბოზარია, დაბერდა, ახლა არავის აღარ უნდა, არავინ აღარ ეკარება და შურს ჩემი.

შენ რა გაქვს შესაშური, ერთი ნაძირალა ქურდი, ყომარბაზი და მორფინისტი გყვარობს, — შეაწყვეტინა კუკარაჩამ“.

„რემიკა, ოჯახის დამაქცეველო, ღორის გაგდებულო და ჯიგარში დანაგასაყრელო.

ვირისთავო!

— „ვირის მწყემსო“

— მაშ რას დაათრევ, მუქთა ვირი ხარ“.

— ლაწირაკო!

— წკვინტლიანო!

— ვირის მწყემსო!

— ჩოჩორო!“

„ბებიაშენისამ, პირველადა სვამ ამ ორ ჭიქას ზედიზედ“, „მაშინ მოვა ეგ ჩათლახი, გახურებულ ქეიფში, რომ ვარ და სულს ამიტირებს ხოლმე. გეყო რა, შე დამპალო, გეყო რა, კაცი არა ხარ?!“ „მიდი, სიმონ, წაიღო, ოღონდ წადი და ნულარ მოხვალ! შე ჩემის დანგრეულო“, „მაგ ნაბიჭვარს ჯიბგირობა ადვილი გონია“, „ნელა, შე უდღეურო“, ცოტაც ქალაბიჭავ და პირველი ხარ“, „ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით თქვენი დოყლაპია დედა კი ვატირე, ამ უნიფხვო გოგომ ყველას როგორ უნდა გაჯობოთ“....

გვხვდება ბარბარიზმებიც მაგ: „პაპიკ, დედას ხელი არ ახლო თორემ.“ „გიზიკ. ბიჭო თქვი, რომ მატყვილებ და მაროუნს გიყიდი“, „თხუთმეტი სუტკა გაუპვახტიც შენ“, „გოგოების მაჩალკა, სკრიპკის ხმა გაგიგიათ როდესმე?“; „მეჟდუნაროდნით წადი, ჟოსტკით კოზლა არ გეტკინოს!“ „ჩემს ქუჩაზე მოვა პრაზნიკი და გადაგიხდი, „შენც ნახე რა პრავაკაჩატის ადგილი“. ზოგჯერ ამა თუ იმ პერსონაჟის მეტყველება ენობრივი ნორმებიდან გადახრას წარმოადგენს, მაგრამ იგი არაჩვეულებრივად კოლორიტულია, მაგალითად, თათარ ალის (მოთხრობიდან „კუკარაჩა“) სუფთა ქართულით რომ ელაპარაკა, ხელოვნური და სქემატური სახე გამოვიდოდა, და არა ისეთი ცოცხალი და შთამბეჭდავი, როგორიც ნაწარმოებში გვაქვს.

„— შე ქორია მამაზაღლო, სუკინ სინო, ქოფოიოღლი, იმეთი ბებუთი დაქარგოს? ახლა მე ჰარფუზი ნარაზრეს, როგორ გაყიდოს? ერთი ზაღლი არ ჯობია მყავდეს, დაიყეფოს მაინც „მილიცია სადა ხარ, ქასი ალიონზე გაქურდოს“; „უთხარი, ვინ მოიპაროს, ყურები სულ ამ ბებუთით დააჩრას“. „შენ ვიღაცა ხარ, ზალიან ყურუმსაღო ხარ!“. „ზაიღე, ფული არ გინდა?“;!

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში ყოველთვის გარკვეული ადგილი უჭირავს ფსიქოლოგიურ ანალიზს, რადგანაც გვხვდება ადამიანის ტიპის პერსონაჟის ხასიათის — სულიერი სამყაროს გახსნა.

პიროვნების ფსიქიკის ღრმა წვდომა კი ის აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომლის გარეშეც არ არსებობს ჭეშმარიტი ნაწარმოები, სრულფასოვანი მხატვრული სახე. მწერლისთვის ფსიქოლოგიური წვდომა იმ ხერხთა საშუალებითაა, რომლითაც იგი ახდენს პერსონაჟის, გმირის ინდივიდუალიზებას, მისი კონკრეტული სახის გახსნას და, ამავე დროს, განზოგადების ხარისხს ანიჭებს მას.

ნოდარ დუმბაძე რომ ადამიანის ფსიქიკის შესანიშნავი მცოდნეა, ამაზე მეტყველებენ მისი მოთხრობები, სადაც ფსიქოლოგიურ-მხატვრულ ანალიზს ავტორი აშენებს საზოგადოებრივ — სოციალური ცხოვრების მოვლენებზე და ამ მოვლენათა ანარეკლს ადამიანთა სულში ხედავს. მწერალს პერსონაჟის სულიერი სამყარო შემეცნებული აქვს არა როგორც საერთო ცხოვრებას მოწყვეტილი, გარემოსაგან აბსტრაჰირებული რამ, არამედ როგორც ამ ცხოვრების გავლენით შექმნილი ინდივიდუალური გამოვლენა სულისა. გმირის შინაგანი სულიერი მდგომარეობა ხშირად პერსონაჟის სახეზე აირეკლება: „ინგას სახეზე ცეცხლი წაეკიდა, „შესტირა რემა ჩიქვანს მიტკალივით გაფითრებულმა ზელიმხან ღვამიჩავამ“; „მურტალოს სახეზე სევდა გამოეხატა იმ დღეს ჩემი თვალით დავინახე როგორ გათეთრდა შავი კუკარაჩა“...

ადამიანთა რთული სულიერი კრიზისის ჩვენებას ნ. დუმბაძე ზოგჯერ ორიოდე შტრიხითაც ახერხებს: „თმაგაკრეჭილი, თავჩაღუნული ბიჭი იდგა ცაცხვის ძირში, სევდიანი თვალებით დასცქეროდა ტალახში ამოსვრილ საკუთარ ფეხებს“; „ინგა გაშრა“.

მწერალი ოსტატურად იყენებს მხატვრულ ხერხებს. უფრო ხშირად შედარებები გვხვდება და ისიც გმირის სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის ჩვენებას ემსახურება. მაგ: „მოსემ ჯერ ამოიკვნესა, მერე ქუთუთოებიც შეარხია პრანჭია პატარძალივით“; „კუკარაჩა გალახული ძაღლივით გაძვრა მილიციის უფროსის კაბინეტის კარში“. „ბიჭო, გაჭყლეტილი ბაყაყივით, რომ გადმოგცვენია ეგ თვალები“, „ჩვენ ჭუკებივით უკან მივყევით“. „ინგა და კუკარაჩა მთაწმინდაზე შეჩერებული ფუნიკულიორის ვაგონებივით ზანტად და უხალისოდ დასცილდნენ ერთმანეთს“. „დავითი კი გალიაში გამომწყვდეული აფთარივით აწყდებოდა ოთახის კედ-

ლებს“. „წელან ვოქვი-ბოშები სოფელს კალიასავით მოედვნენ მეთქი“; „ყველა ერთნაირად ოქროცურვილ შანდალივით იწვოდა ნაპირზე“. „ბიჭი ყელში ბაწარ-ჩაბმულ ბოჩოლასავით ყურების პარტყუნით მიყვებოდა თაკარა გზით გავარვარებულ და ამტვერებულ ხონის გზაზე მიმავალ დაზაფრულ და თავჩაქონდრულ ბაბუამისს“, „უდაბნოში გზააბნეული ბედენივით დაეწაფა ზედ სათუთა“.

ნოდარ დუმბაძის სტილისთვის ხშირად დამახასიათებელია მეტაფორული მეტყველება. მწერალი იყენებს გაპიროვნების ხერხს, რაც ბუნების უსულო თუ სულიერ საგნებს აცოცხლებს: „თევზები თავდავიწყებით ტრიალებდნენ და ცეკვავდნენ“. „ ღია ვარდისფერ პერანგში გამოწყობილი, ნაჯაფარი და სათნო ბერიკაცივით მკერდგაღეღილი გაღიმებული ხაზარულა. ამაყად იდგა მარანზე და ნიშნისმოგებით გვიცქეროდა“; „ხაზარულას სიცივისაგან შეაჟრჟოლა და თვალი გაახილა“.; „მზე რომ თავს წამოადგა ზღვა თვლემდა და თეთრ წამწამებს შრიალით აფახულებდა ქვიშაზე, „მზემ ოქროს მკლავი გადმოზიდა დასავლეთიდან ვიდრე აღმოსავლეთამდე, ნაპირზე დაგდებულ შავ კუნძს შეახო და ზღვას ჰკითხა“. „ზღვის ნისლში გახვეული ყველა ერთნაირად ბოლავდა“. „სუფრა ღრიალით ასკდებოდა კლდიან ნაპირს“, „იმ წუთში ძაღლი იცინოდა“.

ზოგჯერ შეგვხვდება მეტონომიური გამოთქმები: მაგ: „შენი ორი ტანკის ამბავი მთელმა თბილისმა იცის“; „ახლა, ჩემო კუკარაჩა, მთელი მსოფლიო შენზე, ინგაზე და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებაზე ლაპარაკობს“; „მთელმა ბირჟამ იცოდა უკვე ჩემი ცემის ამბავი“.

ემოციური ეფექტის გასაძლიერებლად ამა თუ იმ სურათის ხატვისას მწერალი იყენებს განმეორების ხერხს. უმეტეს შემთხვევაში მეორდება ზმნა, როგორც მოქმედების გამოხატვის საშუალება.

„აყვავილდა ხაზარულა, მაგრამ რა აყვავილდა, დაისია ფუტკარი, მაგრამ რა დაისია, გამოისხა ხაზარულამ, მაგრამ რა გამოისხა, დამწიფდა, მაგრამ რა დამწიფდა, დახვავდა, მაგრამ რა დახვავდა,“; „ნუში აყვავილდა, ტყემალი აყვავილდა, ალუჩის ხეც კი აყვავილდა“; „დამელაპარაკა, მაგრამ რა დამელაპარაკა, ათასი პირწაქცეული დოქიდან ადესა რომ გადმორაკრაკდება ერთად, მოგისმენია? არ მოგისმენია, ბაბუა! გაზაფხულზე შელამებისას, რაც გურიაში შაშვი ჩხავის და იადონი ერთად რომ აგალობდება მოგისმენია? არ მოგისმენია ბაბუა?“ „ბახმაროს მთაზე მზის ამოსვლა გინახავს ბაბუა? არ გინახავს ღამეში ღრუბლის იქიდან სავსე მთვარე რომ გამოიხედავს მინახავს ბაბუა, ბაბუა? არ გინახავს! მინდორში უთვალავი ვარდის კოკორი რომ ერთად გაიშლება და გაიცინებს გინახავს. ბაბუა; არ გინახავს!“

ამრიგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნოდარ დუმბაძე დახვეწილი სტილისა და ორიგინალური ბუნების მწერალია. მხატვრული ხერხების ოსტატებად და გემოვნებით გამოყენება განაპირობებს მისი სამწერლო ენის სიმდიდრესა და მოქნილობას. იგი ახლოსაა ხალხურ ენასთან: დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მან ახალ საფეხურზე აიყვანა იუმორი მისი მოთხრობები ნოვატორული მოვლენაა, რომელიც თემატურად და შინაარსობრივად გააფართოვა ქართული მოთხრობის თვალსაწიერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კვერენჩხილაძე

საკნებსა და ბანაკებში გამოცდილი მეგობრობა

წინამდებარე წერილში გვსურს ვისაუბროთ ორ პატიმარყოფილზე: ერთი საბჭოური ციხეებისა და ბანაკების სისასტიკემ დააყრუა, მეორე ისე ჩავიდა საფლავში, იმ მტანჯველ დღეებზე ორიოდე სიტყვა თუ დაცდებოდა, ისიც სანდოზე სანდო კაცთან.

ამ ორმა ქართველმა მწერალმა მრავალწლიან გადასახლებას გაუძლო, დაბრუნდა და მათი მწერლური მოღვაწეობა ძირითადად დაბრუნების შემდეგ შედგა.

ისინი ჭაბუკურ ლექსებს ადრეც წერდნენ და მათ დაბეჭვდაზე ოცნებობდნენ. მაგრამ საოცარი ისაა, ამდენმა წვალებამ მათში ვერ ჩაკლა პოეტური სული და ლექსის წერის სურვილი.

1918 წელს დაბადებული ოთარ დავითის ძე კანდელაკი 1938 წლიდან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როცა 1941 წლის თებერვალში დააპატიმრეს და გაასამართლეს სტუდენტთა ჯგუფთან ერთად.

ამ ჯგუფში შედიოდნენ: გრიშა გიორგის ძე ჭოჭუა, შოთა ლოლუა, შოთა გოგიშვილი.

გ. ჭოჭუა თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის მეხუთე კურსზე სწავლობდა, თანაც რუსთაველის თეატრში მოკარნახედ მუშაობდა, აგრეთვე მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა.

შ. ლოლუა გ. ჭოჭუას ამხანაგი იყო. ერთხანს თეთრიწყაროს კომკავშირის რაიკომის მდივნის თანამდებობა ეკავა. დაპატიმრებისას არსად არ მუშაობდა.

შ. გოგიშვილიც გ. ჭოჭუას სკოლის ამხანაგი იყო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა.

საქმეში ჯგუფის მეოთხე წევრად გაყვანილ ო. კანდელაკს უკვე იცნობთ.

მაგრამ იყო კიდევ ერთი კაცი, რომელსაც ძალზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ამ ჯგუფთან, კაცი, რომელმაც საბედისწერო როლი შეასრულა ჯგუფის წევრთა ცხოვრებაში. და ეს კაცი იყო რევაზ ჭავჭანიძე.

რ. ჭავჭანიძე 1937 წელს დაუპატიმრებიათ. ოთხკლასდამთავრებულ და სამშპალიან ჩეკისტ მიხეილ შავგულიძეს ფარულ აგენტობაზე დაუყოლიებია.

რ. ჭავჭანიძე ანტისაბჭოურად მსჯელობდა — ყველაფერზე ტერორი უნდა მოვაწყოთო და ა. შ. გ. ჭოჭუა და შ. ლოლუა წამოეგენ ამ ანკესზე და თუმცა საუბარი ჰქონდათ მხოლოდ სახელმწიფო და არა სტალინის წინააღმდეგ მიმართულ ტერორზე, შინსახკომის შინაგან ციხეში ცემით აიძულეს ესეც ელიარებინათ.

როცა ჭოჭუა და შ. ლოლუა დააპატიმრეს, ო. კანდელაკი შეხვდა რ. ჭავჭანიძეს და ცოტა ეჭვის თვალით შეხედა ამ კაცს, რომელსაც გ. ჭოჭუა აქებდა — 1937-ში დანაპატიმრებია, სან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოაო. ეტყობა ოთარს სახეზე შეეტყო დაეჭვება: ეს კაცი ყველაზე მეტად აქტიურობდა, იძახოდა მარქსიზმი ზღაპარიაო, ხალხს აბამდა ანტისაბჭოთა მუშაობაში... ამ დროს სხვები დააპატიმრეს, ეს კი გარეთააო...

რ. ჭავჭანიძემაც შეამჩნია, რომ ოთარი რაღაცას ხვდებოდა. იფიქრა — ეს რომ გარეთ დარჩეს, ჩემზე აუცილებლად რამეს იტყვისო და მესამე დღეს ოთარიც დააჭერინა. ბრალდების გამონახვა არ გასჭირვებიათ: თქვენს დრამწრეს არალეგალური მუშაობისთვის იყენებდითო...

მაგრამ ეს არაა ყველაფერი, ერთი მოულოდნელობა კიდევ წინ იყო. ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა, ამ წრეს შირმად ვიყენებდითო? გამოძიებისას ჯგუფის წევრად დაპატიმრებული შ. გოგიშვილი პირზე დაადგა ოთარს: კანდელაკი ამბობდა ჩემთანაც მოდით, იქ შევიკრიბოთო.

ეს მაშინ, როცა შ. გოგიშვილი სულ ერთხელ ენახეთ გ. ჭოჭუას ოთახშიო — ამბობს ო. კანდელაკი.

თურმე შ. გოგიშვილს შეპირებიან არაფერს არ მოგისჯით, საკანშიც არ შეგიყვანთ თუ ჩვენთან ითანამშრომლებო. მართლაც დივანზე აძინეს, კატლეტები აჭამეს. ამ ჯგუფის საქმე გააკეთებინეს, უფრო სწორად — დააღუპვინეს და მერე სხვა ჯგუფის ოთხი კაციც ჩაყარა. თურმე იქაც ჰქონდა საქმე და როცა ჩაიჭირეს, ორივე გასწირა. იმ ჯგუფიდან პაოლო იაშვილის ძმისშვილს ნოდარ მიხეილის ძე იაშვილს და გიორგი (ჟორა) დუმბაძეს 10-10 წელი მიუსაჯეს, გივი აბრამიშვილს — 8.

სამივე გადასახლებიდან დაბრუნდა: გ. დუმბაძე რუსეთში ცხოვრობდა, კარგი ქირურგი-სტომატოლოგი იყო, დღეს ცოცხალი აღარაა, გ. აბრამიშვილი და ნ. იაშვილი კი თბილისში ცხოვრობენ.

შ. გოგიშვილს არ დაუფასეს ამდენი დამსახურება, მოატყუეს და მასაც დააღეს სასჯელი. თანაც ორთაჭალის I-ლ ციხეში იმ საკანში შეაგდეს, სადაც პირველი ჯგუფის წევრები იყვნენ. ყველაფერი უამბნია მათთვის, მოატყუეს და თავის თავს განაჩენი თვითონ გამოუტანა: მომკალით, მხოლოდ როცა დავიძინებო...

თავისი საძრახისი საქციელის გამხელით შ. გოგიშვილმა დაამტკიცა, რომ მთლად სინდისგარეცხილი არ ყოფილა. არსებითად მან თავის თავს საკადრისი განაჩენი გამოუტანა და ამით ერთგვარად გამოისყიდა დანაშაული.

ამან უდაოდ იმოქმედა ბიჭების რეაგირებაზე: მათ სცემეს გოგიშვილს, მაგრამ მოსაკლავად მაინც ვერ გაიმეტეს.

ო. კანდელაკი' ასე ბევრისთვის შეუთავაზებიათ თანამშრომლობა, მეც შემევაჭრენ, მაგრამ უარი ვთქვი, არ „მოვტყუვდი"...

თავად განსაჯეთ, რა ფასად დაუჯდა ბატონ ოთარს ასეთი პრინციპულობა! ცემითა და წამებით გახურებული ბევრჯერ შეუგდიათ ცივ საკანში...

მერე ქალაქის ციხეში საკარანტინო საერთო საკანში შეტენეს. დიახ, იქ ისეთი საშინელი სივიწროვე იყო, ზედამხედველები ფეხით სტენიდნენ პატიმრებს. ოთარი ძალიან ცუდად გახდა, უგონოდ ეგდო. მაგრამ საავადმყოფოში არ წაიყვანეს. როცა გამოფხიზლდა, დაიყვირა, მაგრამ საკუთარი ყვირილი ვერ გაიგონა — თურმე მენინგიტი გადაუტანია...

გამოძიებისას ასე მკაცრად იმიტომ მოექცნენ, რომ ხალხის მტრად გამოცხადებული საქართველოს განათლების სახალხო კომისარი დავით კანდელაკი მისი ბიძაშვილი იყო.

ჯგუფს ბრალდებად წაუყენეს არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შექმნა, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფა, ბურჟუაზიული სახელწიფოს შექმნა, ტერორი ბელადის წინააღმდეგ.

ეს იყო შინსახკომის აზრი. მაგრამ რა იყო სინამდვილეში?

გ. ჭოჭუასა და შ. ლოლუას ო. კანდელაკისთვის არაფერი უთქვამთ ორგანიზაციის შესახებ. ისე კი მასთან საუბარში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო რუსეთმა ძალით შეიერთაო და ა. შ.

სამამართლოზე (საქართველოს უმაღლესი სასამართლოს შენობაში) ბიჭებს სიტყვა არ ათქმევინეს. ოთარისთან ვიღაც ახალგაზრდა ლეიტენანტი მისულა (არ ვიცი ვინ მოგზავნაო) — საბრალდებო დასკვნას გაეცანიო. ოთარს უარ-ს ნიშნად თავი გაუქნევია.

— რაო, არაა მართალი?

— აბა მართალია?

— შენ ნუ გეშინია; იმათ დახვრეტას მიუსჯიან, მაგრამ შეუცვლიანო.

ასეც მოხდა. 1941 წ. 30 ივნისს ტრიბუნალმა გ. ჭოჭუასა და შ. ლოლუას დახვრეტის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ 10-10 წლით შეუცვალა, ო. კანდელაკს კი თავიდანვე 10 წელი არგუნეს.

შ. გოგიშვილი და შ. ლოლუა 3 თვეში დაიღუპნენ: პირველი ეტაპით რომ მიჰყავდათ, გერმანელებმა ვაგონი დაბომბეს და მაშინ მოკვდა. მეორეს, ბანაკში მისულს, კუჭის აშლილობამ მოუღო ბოლო.

გ. ჭოჭუამ სასჯელი ნორილსკში მოიხადა. მაგრამ როგორც უკანონო საბჭოთა კანონი ითვალისწინებდა, მიზეზით თუ უმიზეზოდ, სასჯელის ვადა რომ დაუმთავრდა, ისევ დაუმატეს. მერე ცოლი შეირთო, შვილები შეეძინა. სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა და ხანდახან საქართველოშიც ჩამოდიოდა. ამ 15 წლის წინ გარდაიცვალა.

ახლა დავუბრუნდეთ ო. კანდელაკს. მისი მონათხრობის მიხედვით კიდევ ორიოდე შტრიხს დავუმატებთ ციხეში სხვა სიკეთესთან ერთად არსებული სივიწროვის დახასიათებას.

საკანში ხალხის სიმრავლის გამო გადაბრუნება ჭირდა, ამიტომ ერთი რომ დაიძახებდა — მარჯვნივ ვბრუნდებიო, ყველა უნდა გადაბრუნებულიყო.

1943 წელს ხალხი კოლონიებში გაიყვანეს და საკნებში ცოტა სიხალვათე იგრძნეს.

და, აი, — ყვება ბატონი ოთარი — გაიღო კარი და შემოდის ტყავის პალტოიანი, ყავარჯნიანი პირმომღიმარე კაცი. ერთი კი შევხედე და სეირნობა გავაგრძელე. იმ კაცს ჩემთვის რაღაც უკითხავს, ვერ გავიგე და ჩავიარე. რა დავუშავე, ხმას რომ არ მცემსო. უთხრეს, რაც მჭირდა. სინანულით თავი გადაქნია.

ეს იყო ლადო ბალიაური...

გონებაში დაწერილი რომანი მქონდა, ვუამბობდი პატიმრებს. ბევრჯერ მომაყოლეს ერთხელ ლადოც დაესწრო. მითხრა: ძალიან მომეწონა, ქალალდზე გადაიტანეო. მაგრამ იქ ამის პირობები არ იყო...

ლადომ მითხრა მეც მწერალი ვარო, ცოლს წიგნი მოატანინა, წავიკითხე და ასე დავმეგობრდით, პურს ერთად ვჭამდით...

1943 წლიდან ავჭალის კოლონიაშიც ერთად იყვნენ, შამპანური ღვინოების ქარხნის მშენებლობაზე.

ერთი წლის მერე ლ. ბალიაური ინვალიდთა კოლონიაში გადაიყვანეს.

ავჭალაში ო. კანდელაკი რკინა-ბეტონისა და სხვა მასალების მანქანიდან გადმოტვირთვაზე მუშაობდა. შემდეგ როცა ავადმყოფები მომრავლდნენ, აფთიაქი მოაწყვეს და გამგედ ოთარი დანიშნეს როგორც ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტი.

ავჭალის კოლონიაში ო. კანდელაკი 1944-45 წლებში ჭ. ამირეჯიბსაც შეხვედრია.

ო. კანდელაკი: ჭაბუას კარგი მეგობრები ჰყავდა — რევაზ ტყავაძე, ლუკა ტყემალაძე — ამათთან თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს გარეთ ვიყავი. გული გაიხსნა... ახლაც ვმეგობრობთ.

ჭაბუა როგორც ქართველური ქცევით, ისე გარეგნობით თითით საჩვენებელი იყო, ამხანაგური, მეგობრული, დარდიმანდი, მომხიბლავი... პირველი მტერი იყო დამბეზღებლებისა, იმდენი ქნა, დამბეზღებელთა სია ხელში ჩაიგდო და კედელზე გამოაკრა, ყველამ გაიგო ვინ იყო ფარული დამსმენი;

1945-ში რომ გაიქცა, მის ამხანაგებს ხომ ძალიან გაგვეხარდა, წარმოიდგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთ, დამბეზღებლებსაც გაეხარდათ — ჭირი მოვიშორეთო!

როცა 1961 წელს ჭაბუა გადასახლებიდან ჩამოვიდა, „ზემელზე“ აფთიაქში ინახულა ოთარი, რომელიც იქ გამგის მოადგილედ მუშაობდა. გადაეხვია, გადაკოცნა. ოთარმა მხოლოდ გაცინების შემდეგ იცნო ჭაბუა — ადრინდელის აჩრდილი იყო განატანჯიო.

ბატონი ოთარი დღემდე პატიმრობაში გამოცდილი კიდევ ერთი ადამიანის მეგობრობას უფრთხილდება. ესაა მწერალი კ. ბუაჩიძე. მას 1944 წელს შეხვდა თბილისის გამანაწილებელ ციხეში. თურმე კიტა პაწაწკინტელა ბლოკნოტებს აკეთებდა. საკანში 200 კაცი იჯდა. მათ საუბარს ისმენდა და მოსწრებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, საინტერესო ამბებს იწერდა. კიტას დები აკითხავდნენ და ჩანაწერებს იმათ ატანდა.

ერთხანს მეორე კოლონიაშიც ერთად იყვნენ, მერე ორივე ავჭალის კოლონიაში გადაიყვანეს და იქ პურს ერთად ჭამდნენ. იქაური მეგობრობა ათეული წლებია გრძელდება. როგორც ბატონმა ოთარმა გვითხრა, გადასახლებიდან დაბრუნებულს კიტა რუსთაველის გამზირზე შეხვედრია. გულითადი მისალმების შემდეგ საუბრით გულნაჯერები ოთარი რომ მეგობარს გამოეთხოვა, აღმოაჩინა რომ კიტას მისთვის ჯიბეში ჩუმად ფული ჩაედო...

თავად ბატონმა კიტამ კი ასე დამიხასიათა ო. კანდელაკი: დიდად წესიერი კაციაო.

ავჭალის კოლონიიდან კიდევ ერთ მწერალთან შეხვედრას იხსენებს ო. კანდელაკი. მასზე ბატონ ოთარის აზრს ალ. ბეგაშვილზე საუბრისას მოგახსენებთ.

პატიმრობაში ო. კანდელაკი ლ. ბალიაურისა და კ. ბუაჩიძის გარდა კიდევ ერთ კაცთან ერთად ჭამდა პურს. ეს იყო სამსონ სულაკაური, მამა არჩილ სულაკაურისა. ოთარი და სამსონი ერთად იყვნენ გამანაწილებელ ციხეში, მეორე კოლონიაში (ციხის გვერდით) და ბოლოს ავჭალის კოლონიაში. ეს ჯერ სამსონი 1948 წელს არ გადაასახლეს.

ვეცოდებოდი, თუშეთის ამბებს მიყვებოდაო. გადასახლებიდან დაბრუნებული პირველად ვაჟას ცოლის დასაფლავებაზე შეხვედრიან ერთმანეთს.

ორიოდე სიტყვა გადასახლების თაობაზე. ამ კატეგორიის მსჯავრდებულები სასჯელს აქ ომის გამო იხდიდნენ, თორემ ისე ვინ გააჩერებდა საქართველოში.

ომის შემდეგ ნელ-ნელა გზები გაიხსნა და პატიმრები შორეულ გზებს გაუყენეს.

მაგრამ სანამ ოთარს ამ გზაზე გავყვებით, ერთი აქაური ამბავი კიდევ დაგვრჩა მოსაყოლი.

ოთარს ჰყოლია მეგობარი ქალიშვილი, რომლითაც ძალიან გატაცებული ყოფილა. მაგრამ იმან დაპატიმრების შემდეგ ზურგი შეაქცია და გათხოვდა.

სამაგიეროდ იყო მეორე გოგონა, რომელთანაც მანამდე არაფერი აკავშირებდა, ის კი თურმე ოთარს აღმერთებდა.

როცა ოთარმა დედ-მამა დაკარგა, ამ გოგონამ მიაკითხა და ამანათი მიუტანა. ოთარმა არ მიიღო. მიუხედავად ამისა ის გოგონა ყოველთვის აკითხავდა, შაბათსა თუ კვირას, დარსა თუ ავდარში, სულ თვალებში შესციცინებდა...

ბოლოს ყველაფერი ქორწინებით დამთავრდა და იმ ქალიშვილმა (შემდეგში ცნობილი არქიტექტორი) მარიამ იოსების ასული ჩიტიაშვილი ოთარს ერთგული მეგობრობა გაუწია...

ახლა გავაგრძელოთ გადასახლებაში გაგზავნის ამბავი.

1949 წლის ბოლოს, ი. სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის ამნისტიას ელოდებოდნენ. მაგრამ ამაო გამოდგა ეს მოლოდინი. პირიქით, მთელ ქვეყანაში და რა თქმა უნდა, საპატიმროებსა და კოლონიებში, რეჟიმი უფრო გაამკაცრეს და ისინიც კი, ვისაც მოსახდელი სასჯელის 2-3 წელი ჰქონდა დარჩენილი, შუა აზიასა და ციმბირში გადაასახლეს.

ამის გამო 1948 წელს გამანაწილებელ ციხეში გადაყვანილი ო. კანდელაკი ისევ შეხვდა ლ. ბალიაურს. 3 თვე ერთად იყვნენ, გადასახლებაში გაგზავნას ელოდებოდნენ, მაგრამ როგორც ინვალიდები, აღარ გაგზავნეს, ოთარი ამჯერად ღრმაღელის კოლონიაში გაუშვეს, იქ აფთიაქში მუშაობდა.

მაგრამ ცოტა ხანს გაგრძელდა ხელისუფალთა ეს „გულკეთილობა". მალე ინვალიდებსაც მოუსვეს ხელი და 1949 წელს ლადოც და ოთარიც ჩრდილოეთ ყაზახეთში გადაასახლეს და ახლა იქ, სტალსკის განსაკუთრებული რეჟიმის დახურულ საკავშირო ბანაკში შეხვდნენ ერთმანეთს.

1950 წელს, როცა ოთარს 10 თვე ჰქონდა დარჩენილი, ფარმაცევტობამ უშველა და ეკიბასტუზის ბანაკში გადაიყვანეს (იქ იმ დროს ა. სოლჟენიცინი იყო). გულდაწყვეტილმა გააცილა ლადომ. მას ჯერ კიდევ 3 წელი პატიმრობა ედო წინ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გამომშვიდობებისას ოთარისათვის უთქვამს: გული მეუბნება ერთმანეთს ველარ შევხვდებითო...

სამწუხაროდ, გამართლდა ლადოს ეს წინათგრძნობა.

10 წლიანი სასჯელი რომ მოიხადა (1956), გათავისუფლების ნაცვლად ოთარს სამუდამოდ ციმბირში, კრასნოიარსკის მხარეში, სოფ. სტრელკაში ცხოვრება გადაუწყვიტეს.

ცოლმა ჩააკითხა, 5 წელიწადს მასთან იყო და 1956 წელს ერთად ჩამოვიდნენ საქართველოში.

ოთარი 1957 წელს სამედიცინო ინსტიტუტში აღადგინეს, რომლის დამთავრების შემდეგ (1961) პროვიზორად იმუშავა 80-იანი წლების ბოლომდე. თანაც მშვენიერ ლექსებს წერდა და 1958 წლიდან სისტემატურად ბეჭდავდა. ამ ლექსებმა შეადგინა მისი პოეტური კრებულები: „იმედი" (1975), „ჩემი სალამური" (1980), „თეთრი აკაცია" (1985), „ბროწეულის ცა" (1987) და „ცისფერი ვარდები" (1989).

იმათ შორის, ვინც ო. კანდელაკს ჯალონიებიდან დაამახსოვრდა, ჩვენთან საუბარში ალ. ბეგაშვილიც მოიხსენია.

ალექსანდრე ივანეს ძე ბეგაშვილმა (1923-1988) 1940 წელს დაიწყო ლექსების ბეჭდვა. ამავე წელს შევიდა ქუთაისის პედინსტიტუტში, მაგრამ მხოლოდ ორი სასწავლო წელი დააცალეს, 1942 წ. 31 აგვისტოს დააპატიმრეს დაუსმენლობისათვის. როგორც თვითონ ალექსანდრემ მიამბო, წინ დაუდეს ყველაფერი, რაც კი ვიწრო, მისი აზრით, სანდო წრეში ელაპარაკნა, მათ შორის ერთ-ერთ „მეგობართან" რომ ეთქვა: სტალინი ჯალათიაო. მაგრამ უკვირდა — რატომღაც მისჯით სწორედ დაუსმენლობისათვის მომისაჯესო 8 წელი.

პატიმრობაში იყო 1950 წ. 13 სექტემბრამდე. სასჯელს ავჭალის კოლონიაში იხდიდა, ამუშავებდნენ კონიაკის ქარხნის მშენებლობაზე. ავჭალის კოლონიაში ყოფნისას ალ. ბეგაშვილი შეხვედრია კიტა ბუაჩიძეს და ჭაბუა ამირეჯიბს, ოთარ კანდელაკსა და შალვა მჭედლიშვილს.

სწორედ ახლა მოგახსენებთ ო. კანდელაკის შეპირებულ აზრს ალ. ბეგაშვილზე. მან ასე დაახასიათა ალექსანდრე: 1942-48 წლებში ერთად ვიყავით კოლონიაში. ამდენ ხანში კაცი, მითუმეტეს პატიმარი, იცნობა. მე ასე ვიცი — დაუსმენლობისათვის დააპატიმრეს. დამლაგებლად ვამუშავებდი (აფთიაქში) და თავისუფალ დროს იქაც ლექსებს წერდა. საწყალი, წესიერი კაცი იყო, დამბეზღებლების მტერი. იქ ისეთ პირობებში ვიყავით, ბევრი გალანძღული გამოვიდა. ალექსანდრე კი სუფთად მოვიდა და სუფთადვე წავიდა.

შ. მჭედლიშვილმა ასე იცის: ქუთაისის პედინსტიტუტში ვინმე ბასკანჩილაძეს ორგანიზაცია ჰქონია და ალ. ბეგაშვილს პროკლამაცია წააკითხეს. ალექსანდრეს მათთვის უთქვამს:: ვის ებრძვით, სტალინსო? არა, სისტემას ებრძვითო. რას დააკლებთ ჩვენ სისტემასო — კვლავ უთქვამს ალექსანდრეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასკანჩილაძე რომ დააპატიმრეს, მან თუ ვიღაც სხვამ ყველაფერი თქვა, ისიც, რომ ბეგაშვილს წავაკითხეთო.

შ. მჭედლიშვილი თვლის, ალექსანდრე იმისთვის დააპატიმრეს, რომ არ გაამხილა.

თბილისიდან ალექსანდრე ქ. რუსთავის კოლონიაში გადაიყვანეს...

ა. ბეგაშვილმა შეწყვეტილი სწავლა მოგვიანებით განაგრძო და 1970 წელს დაასრულა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისმა ლექსებმა მრავალი კრებული შეადგინა, რომელთაგან უმთავრესია: „ჩემი სიყვარული“ (1956), „სახსოვარი“ (1973), „ლექსები“ (1980) და „აქა მშვიდობა“ (1986).

30 წელიწადი გრძელდებოდა ჩვენი ნაცნობობა-მეგობრობა, ხშირად ვსაუბრობდით, სანდო კაცად მთვლიდა ალექსანდრე. მაგრამ მაინც ვაშენებდი ეჭვებს. მისის დაღი ჰქონდა დასმული საშუალოდ (იმათაც ასეთი შთაბეჭდილება დარჩათ, ვინც სასჯელს მასთან ერთად იხდიდა). ამის გამო ვერც მოგონებებს წერდა, არც ლექსში მიუნიშნებია სადმე იმ წლებზე. იქნებ ვცდები?.. დღევანდელ დღეს რომ მოსწრებოდა, ალბათ, ხმას ამოიღებდა, თავისი კარგი ქართულით იტყოდა, რა გადაიტანა პატიმრობის რვა თუ შემდეგ წლებში (ცნობილი იყო როგორც კარგი სტილისტი, ბეჭდავდა წერილებს ქართული ენის სიწმინდის დასაცავად).

სამაგიეროდ დღეს ალ. ბეგაშვილისა თუ მასავით რეპრესირებულთა სათქმელს, განცდილ-გადატანილს სხვები, მათ შორის, ოთარ კანდელაკი მოგვითხრობენ მოგონებების სახით თუ პოეტური სიტყვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ქავთარაძე

**„აწმყო შობილი წარსულისაგან
არის მშობელი მომავალისა“.**

საქართველო და კავკასიონი

(საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეპციისათვის)

ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ფოლკლორისტის პეტრე უმიკაშვილის მიერ გასულ საუკუნეში ჩაწერილ ხალხურ ლექსში, „მეფე ერეკლეს გლოვა“, ვკითხულობთ:

**„ვერ გაგიგიათ ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარია,
მეფე აღარ გყავსთ, ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია,
აღარ გაქვსთ ბაირახები, აღარ სჭექს
ზარბაზანია,**

**ერთმანერთს ნუ უღალატებთ,
მტერმა არ გთხაროსთ თვალია“.**

ლექსში ყურადღებას იპყრობს სიტყვები, „ვერ გაგიგიათ ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია“. ერთი შეხედვით, შეხსნილი „რკინის კარი“ ფიგურალური მნიშვნელობითაა აქ ნახსენები და ზოგადად ქვეყნის სიძლიერის დაქვეითების გამომხატველია. მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ „რკინის კარი“ დარიალის გადასასვლელსაც (ზეკარს) ეწოდებოდა, ლექსში მისი მოხსენიება საქართველოს კონკრეტული სახელმწიფოებრივი ამოცანის — ჩრდილოეთის კარიბჭის (დარიალის) დაცვის ფუნქციის დაკარგვის ამსახველი უნდა იყოს. ფუნქციისა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია.

ფიზიკურ სამყაროში ყოველივეს აღმოცენება, ზრდა და დაშლა მკაცრად განსაზღვრულ წესრიგს ავლენს; ამავე სამყაროს ერთი ნაწილი, კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი შემადგენელი კომპონენტები, მათ შორის ისეთი რთული ფორმის მქონე, როგორიც სახელმწიფო ორგანიზმია, ასევე ექვემდებარება წარმოქმნა-განვითარების გარკვეულ კანონზომიერებებს.

ადამიანი, რთული საზოგადოებრივი ცხოვრების დაწყებისთანავე, ცდილობდა ჩასწვდომოდა დროის დინებით მოტანილი ცვლილებების არსს, რათა რამდენადმე მაინც განეჭვრიტა თავისი მომავალი. კაცობრიობის განვითარების გაგრძელება, კლასიკური ხანებიდან მაინც, საზოგადოების მიერ დასახულ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, გან-

საკუთრებით ინტენსიური კვლევა ამ მხრივ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს.

მსოფლიო ისტორიული განვითარების პროცესის გააზრებით, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიკოსი არნოლდ თოინბი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს პროცესი დამოკიდებულია ამა თუ იმ საზოგადოების მიერ „გაცემული პასუხით", რეაქციით, ბუნებრივი თუ სოციალური გარემოს მიერ „დასმულ კითხვებზე", მათ „გამოწვევაზე". მისი აზრით, „გამოწვევისა და პასუხის" (Challenge–and–Response). აღნიშნული მოდელი იმდენად არის განმაპირობებელი ცივილიზაციათა წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა, რამდენადაც გარემო პირობების სირთულე მასტიმულირებელი და პირდაპირპროპორციულია საზოგადოების განვითარებისა (რა თქმა უნდა, გარკვეულ ზღვრამდე).

ჰუმანური (ადამიანური) ზემოქმედებით განპირობებული სტიმული, ა. თოინბის დაკვირვებით, სამგვარია და მიღებულია, 1. უეცარი გარეგანი დარტყმის, 2. განუწყვეტელი ზეწოლის და 3. დასჯის, შედეგად.

დარტყმითი ეფექტის მიყენებით საზოგადოება ან ნადგურდება, — რაც იშვიათია, ანდა, ჩვეულებრივ, უპრეცენდენტო ძლიერ დარტყმას მიზანმიმართული ენერგიის უმაგალითო მოზღვავებით უპასუხებს. ამის მაგალითები საკმარისზე მეტია, როგორც მსოფლიო ისტორიაში, ასევე საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში.

მეორე სახის, ზეწოლითი სტიმული, დამახასიათებელია იმ ერების, ქვეყნებისა და მხარეებისათვის, რომელნიც განლაგებულნი არიან პოლიტიკური გეოგრაფიის ტერმინოლოგიით, ე. წ. სასაზღვრო ზოლში. ამ სახის ზემოქმედების ერთ-ერთ მაგალითად ა. თოინბი მიიჩნევს 1563 წელს რუსეთის მიერ ლიტვისათვის მიწების ჩამორთმევის ფაქტს, რასაც ექვსი წლის შემდეგ, ლიუბლიანის უნიით გაერთიანებული ლიტვურ-პოლონური სახელმწიფოს — რეჩ პოსპოლიტას ჩამოყალიბება მოჰყვა სახელმწიფოსი, რომელსაც შვედეთთან ერთად დაეკისრა ახალი ფუნქცია — დასავლური სამყაროს სასაზღვრო ზოლისა. პოლონეთისა და შვედეთის დიდმა წარმატებებმა (პოლონელებმა რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი აიღეს, შვედებმა — ბალტიის ზღვის მახლობლად მდებარე რუსეთის მიწები) ღრმა ფსიქოლოგიური დაღი დაასვეს რუსეთს და მისთვისაც სტიმულის როლი შეასრულეს; ქვეყნის შუაგულისაკენ მიმართული სულიერი შოკი, გამოიხატა შიგნიდან გარეთ მიმართული ისეთივე ძალის პრაქტიკული მოქმედებით — პეტრე დიდის მიერ რუსეთის ნებაყოფლობითი „გადასავლურებით", რის შედეგადაც შვედებსა და პოლონელებს ნიადაგი გამოეცალათ — დასავლურ სამყაროს საზღვარმა შვედეთისა და პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრებიდან, დასავლური ცივილიზაციის რუსი პროზელიტების წინსვლასთან ერთად, ევრაზიის სტეპების მიღმა, ჩინეთამდე გადაიწია. ფუნქციის დაკარგვა ძვირი დაუჯდათ შვედეთსა და პოლონეთს, პირველს, ბალტიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებთან ერთად, ძველი სამფლობელოს, ფინეთის, დათმობაც მოუხდა, ხოლო მეორე კარგახნით საერთოდ გაქრა პოლიტიკური რუკიდან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რუსების წინააღმდეგ მიმართული 1832 წლის საქართველოს შეთქმულების მონაწილენი პოლონეთის აჯანყების წარმატებას ელოდებოდნენ ამბოხების დასაწყებად.

ამრიგად, პოლონეთიცა და შვედეთიც აღმავლობის გზაზე იდგნენ, ვიდრე დასავლური ცივილიზაციის ანტირუსული ზოლის დანიშნულებას ასრულებდნენ და განადგურების პირას მივიდნენ მას შემდეგ, რაც პეტრე დიდმა tour de force-ით მიისაკუთრა მათი ფუნქცია და თავისი ქვეყნის „გადასავლურებისათვის" დაუკავშირდა მათზე უფრო მოწინავე და „უფრო დასავლურ" გერმანიას, ჰოლანდიას და ინგლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. თოინბის განმარტებით, მსგავსად იმისა, როგორც XVII ს. პირველი ათწლეულის დასასრულს პოლონეთის კონტრშეტევა რუსეთის წინააღმდეგ აჩქარებდა მართლმადიდებლური რუსეთის „გადასავლურებას“ და ამით პოლონეთის raison d'être-ს (არსებობის აზრის) დასავლური საზოგადოების ანტირუსული სასაზღვრო ზოლის მნიშვნელობით — უსარგებლოს ხდიდა, ასევე, იმავე საუკუნის ორ უკანასკნელ ათწლეულში ავსტრია-უნგრეთის კონტრშეტევა ოსმალეთის წინააღმდეგ, აჩქარებდა რა მართლმადიდებლური ბალკანეთის ნახევარკუნძულის „გადასავლურებას“, იწვევდა ჰამბსჰურგული ავსტრიის მიერ საკუთარი „არსებობის აზრის“ დაკარგვას, რაც არცთუ უკანასკნელ რიგში განპირობებული იყო ოსმალეთის ორიენტაციით ავსტრიის უმნიშვნელოვანეს მოწინააღმდეგეზე და შესაბამისად, მის ბუნებრივ მოკავშირეზე — საფრანგეთზე.

ჰუმანური გარემოს ზემოქმედების მესამე სახეობად ა. თოინბი მიიჩნევს „დასჯის სტიმულს“, რომლის განმარტებისათვის მოჰყავს არსებული ანალოგიები ფიზიკურ და სოციალურ მოვლენებს შორის; კერძოდ, თუ ცოცხალი ორგანიზმი კარგავს რომელიმე ორგანოს ან რომელიმე ორგანოს ფუნქციის შესაძლებლობას, მას უძლიერდება სანაცვლოდ სხვა ორგანო და თვისება. მაგალითად, სიბრმავის საკომპენსაციოდ უმაღლეს დონეზე ვითარდება ორგანიზმის სხვა შესაძლებლობები. ასევე სოციალური სხეულის რომელიმე ნაწილის დასჯისა თუ საზოგადოებრივი მოქმედების გარკვეული სფეროებიდან ჩამოშორებისას, იგი თავისი სოციალური ენერგიის კონცენტრირებას აზდენს სხვა სფეროებზე და იქ მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს. მაგალითად, ქრისტიანობა რომის კატაკომბებში გაძევებამ ამ ქალაქის შვიდსავე ბორცვზე გააბატონა, ხოლო ოსმანთა იმპერიაში რელიგიური დისკრიმინაციის შედეგად ქრისტიანები ვაჭრობასა და სხვა სპეციალურ საქმიანობაში დაწინაურდნენ.

უკანასკნელი წლების საქართველოს ხინამდვილეში „სასჯელის სტიმულის“ არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, თუმცა, ზოგიერთი გამოწვევის „პასუხი“ ჯერჯერობით „კონსერვირებულია“; არარეალიზებული „სტიმული“ კი „სასჯელს“ გაუსაძლისს, და დამანგრეველს ხდის. როგორც უნდა განვითარდეს მოვლენათა მსვლელობა, იმედია, ნაწილს, თუნდაც უმთავრესს, მთელი არ შეეწირება.

აღნიშნულ მოდელთან დაკავშირებით საყურადღებოა ძველი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როდესაც, IX ს. დასაწყისში, აშოტ I დიდი, არაბებისათვის ქართლის დათმობის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შავშეთ-კლარჯეთში გადავიდა და თანდათანობით საქართველოს პოლიტიკურმა ცენტრმა ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა. ამ დროიდან, მიუხედავად ისტორიული ცენტრალური ნაწილის დაკარგვისა, იწყება ქვეყნის მანამდე არნახული კულტურულ-საგანმანათლებლო აღმშენებლობა, რომელმაც გარკვეულად იმპულსის როლი შეასრულა შემდეგდროინდელი საქართველოს აღორძინება-აღმავლობისათვის. საფიქრალია, რომ აშოტ კუროპალატის მიერ არაბებთან „საერთო ენის გამონახვისას“, ქვეყანას გადაგვარება-მოსპობა არ ასცდებოდა. ამრიგად, ქართველი ერის ჯანსაღმა „საზოგადოებრივმა სხეულმა“ ძლიერ „გამოწვევას“ ანალოგიური სიძლიერის „პასუხი“ გასცა, რომლის ინერციაც მას მონღოლების ხანამდე გაჰყვა და საქართველოს „ოქროს ხანა“ მოუტანა.

საქართველოს ისტორიისათვის ხვარაზმელთა, მონღოლთა და თემურ-ლენგის თათრული ურდოების შემოსევა, ჰუმანური გარემოს ზემოქმედების პირველი მოდელის — უეცარი დარტყმითი სტიმულის — მაგალითებს წარმოადგენენ; ამასთანავე ამ შემოსევების სისტემატურმა ხასიათმა, თითქოს, უფრო მეორე მოდელის — განუწყვეტელი დაწოლის სტიმულის — ხასიათი მიიღო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, აშკარაა, რომ მეორე მოდელისათვის დამახასიათებელი სასაზღვრო ზოლის დანიშნულება მოცემულ შემთხვევაში არ არის რამდენადმე გამოკვეთილად წარმოდგენილი.

საქართველოსა და მთლიანად კავკასიისათვის სასაზღვრო ფუნქცია, სრულიად საპირისპირო, ჩრდილოეთის მიმართულებით, თვით ფიზიკური გარემოს მიერ იყო ინსპირირებული. ამის „გამომწვევი" მიზეზი უძველესი ხანებიდანვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემა — კავკასიონის მთავარი ქედი წარმოადგენდა, მომხდურთათვის გადაულახავი ბუნებრივი ბარიერი, რომელიც ევრაზიის ნომადებს ახლო აღმოსავლეთის ცივილიზებული მხარეებისაგან გამოყოფდა.

ნიშანდობლივია, რომ ცნობილ თანამედროვე ისტორიკოსს, დენის სინორს, ევრაზიის კონტინენტზე გამავალი ძირითადი საზღვარი კავკასიაზე აქვს გაყვანილი, რითაც იგი უგულვებელყოფს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საზღვარს (ნაშრომი 1987 წ. არის გამოქვეყნებული). მისი აზრით, ტერიტორიულ არეალთა განსაზღვისას ხელოვნურია განმასხვავებელ კრიტერიუმებად პოლიტიკური მოწყობილობის მიჩნევა, რომელსაც უპირატესობა არ უნდა ენიჭებოდეს უფრო ხანგრძლივად არსებულ მყარ და ღრმად ფესვგამდგარ ეროვნულ და კულტურულ ნიშნებთან შედარებით.

დ. სინორი ევრაზიას ერთობლიობაში განიხილავს და ეს მასში გამოყოფს ორ შემადგენელ ნაწილს, კულტურული ევოლუციის დაბალი ტემპის მქონე ცენტრალურ ნაწილს, შიდა აზიას (იგივე ცენტრალურ ევრაზიას), მომთაბარე ხალხების კერას და პერიფერიას, რომლის გაყოლებაზეც მსოფლიოს ძირითადი ბინადარი ცივილიზაციები ჩამოყალიბდნენ და განვითარდნენ. პირველი ზონა, ცენტრალური ევრაზია, მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას პოლონეთისა და ფინეთის დასავლეთის საზღვრებიდან წყნარ ოკეანემდე — დასავლეთიდან აღმოსავლეთით, და ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანიდან კავკასიამდე და სამხრეთ ჩინეთამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთით, — ირანელი, სლავი, ურალელი, ალთაელი და ჩინელ-ტიბეტელი ხალხების ისტორიულ სამშობლოს. მეორე ზონისათვის, ევრაზიის პერიფერიისათვის, რომელიც მოიცავს ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ინდოეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ, და აღმოსავლეთ აზიას, დამახასიათებელია კულტურული ნიშან-თვისებების უნიკალური კომბინაცია. XX საუკუნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაყოფის თვალსაზრისით, პირველი ზონა ძირითადად ემთხვევა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ტერიტორიას, ხოლო მეორე ზონა მოიცავს მათ გარემომცველ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს, სამხრეთ ჩინეთისა და ამიერკავკასიის დამატებით.

საინტერესოა, თუ რით უნდა იყოს განპირობებული ამიერკავკასიის მოთავსება ევრაზიის განაპირა ზონაში, მითუმეტეს რომ ამიერკავკასიის კავშირი შიდა აზიასთან (ცენტრალურ ევრაზიასთან) თანამედროვე ეპოქაში, რომლის მონაცემებიც ზემოთ წარმოდგენილ დაყოფაში გათვალისწინებულია, ყველასთვის ნათელია.

დ. სინორის შენიშვნით ევრაზიის საზღვრები არ არის სტაბილური და დროთა განმავლობაში იცვლება ძალთა ბალანსის მიხედვით, მის საკუთარ მოსახლეობასა და გარემომცველ ცივილიზაციათა შორის; კერძოდ როდესაც რომაული პროვინცია პანონია V ს. ჰუნებმა, ხოლო ბიზანტიური მცირე აზია XI ს. თურქ-სელჯუკებმა დაიპყრეს, ორივე ეს რეგიონი „შიდა აზიის" კუთვნილი გახდა, ამავე დროს, დღევანდელ ისრაელს აზიურ სახელმწიფოდ არავინ მიიჩნევს. დ. სინორის აზრით, „ევროპა" და „აზია" ერთმანეთთან კორელაციურ კავშირში მყოფი კონცეპტუალური ცნებებია, რომელთა ერთმანეთისაგან მოწყვეტით აღქმა არ ხერხდება; თანდათანობითმა ჩამოყალიბებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნებისა „ევროპა“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასოცირებული იყო ქრისტიანობასთან, თავის მხრივ მოახდინა თანდათანობითი კრისტალიზაცია ცნებისა „აზია“. ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ამიერკავკასია არ განიხილება შიდა აზიის ანუ ცენტრალური ევრაზიის ნაწილად (ეს ორი ცნება, დ. სინორით სინონიმურია, თუმცა, მეორე მათგანს იგი უფრო მართებულად მიიჩნევს), იმ მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციების გამო, რომლებმაც, ისტორიული ინერციის წყალობით, მას, ცენტრალური ევრაზიის და განაპირა ზოლის მოსახლეობას შორის არსებულ ენდემურ კონფლიქტში (რომელშიაც პირველი ჩვეულებრივ აგრესორის როლში გამოდიოდა), სავსებით გარკვეული ადგილი მიანიჭა განაპირა ზოლის წიაღში.

კავკასია და საქართველო, ორი ზონის, ცენტრალური ევრაზიისა და ევრაზიის პერიფერიის შეხების წერტილში განლაგებულნი, გარემოს ზემოქმედების თოინბისეული მეორე მოდელის — მუდმივი დაწოლის სასაზღვრო ზოლში თავსდება. კავკასიის ადგილმდებარეობის საკვანძო მნიშვნელობა კარგად არის ასახული I საუკუნის რომაელი მოღვაწისა და მწერლის, პლინიუს უფროსის სიტყვაში, რომ კავკასიის კარიბჭე სამყაროს ორ ნაწილად ყოფს. შეხედულება ორ ნაწილად სამყაროს გაყოფის შესახებ ყოველთვის იყო ძირითადი განმსაზღვრელი. XVI–XVII სს. ინგლისელი ფილოსოფოსის, ფრანსის ბექონის მიხედვითაც, სამყარო ორ ნაწილად იყოფა: ბარბაროსების მხარედ და „კეთილგონიერი ადამიანების“ მხარედ (Opus majus, 1, 301). ინგლისელი ისტორიკოსის უილიამ ედუარდ დეივიდ ალენის შეხედულებით, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, ჰიპერბორეელებისა თუ გოგისა და მაგოგის ქვეყანა, იყო ინერტული (პასივისტური) აზრების, მონებისა და დამპყრობლების სამშობლო, ხოლო ქედის სამხრეთით, ადამიანმა ადრევე შეიძინა ცოდნის წადილით სავსე ინტელექტი, მრავალფეროვანი ცხოვრების, ქმნისა და არქმნის, აღმავლობისა და დაცემის, მბრწყინავი სიბრძნისა და ნანგრევებად ქცეული ქვეყანა. უ. ე. დ. ალენი თვლიდა, რომ აღმოსავლეთისა და ძველი ცივილიზებული სამყაროს დაპირისპირებისას, ერთი მხრივ იდგა, ინერტულად მოაზროვნე საჯარისკაცე მასალა — თურქები, თათრები, თურქმენები და სხვ. — სტეპების ჩასკვნილი ნაშიერნი, მკაცრი სტიქიის ზემოქმედებით კლდესავით გაკაჟებულნი, უხეში და მარტივი იუმორის მქონენი, არაცნობისმოყვარენი, ძნელადმიმხვედრნი, მაგრამ მუდამ შემართულნი სხვათა ავლადიდების ხელში ჩასაგდებად, ხოლო მეორე მხრივ, ცინცხალი ინტერესით ანთებულ ადამიანთა ერთობლიობა, მცდელი, მოუსვენარი, ცნობისმოყვარე, შემოქმედებითი, ელვარე და ამაღლებული ძველი გონების მქონე — ბერძნები, ქართველები, ნამდვილი სპარსელები, არაბები; ეს უკანასკნელნი შემუსვრილნი და გადათელილნი იყვნენ პირველთაგან.

დ. სინორის შეხედულებით, მიზეზი, რომელიც განაპირობებდა ცენტრალური ევრაზიის არსებობას განცალკევებულ კულტურულ ერთობად და რომელიც გარდაუვალს ხდიდა კონფლიქტს მასა და მის გარემომცველ რეგიონებს შორის, გამოწვეული იყო არა იმდენად ამ ორი ზონისათვის დამახასიათებელი მეურნეობის ძირითადი სახეობების განსხვავებით, ანუ მუდმივი დაპირისპირებით მომთაბარეებსა და მიწათმოქმედებს შორის, რამდენადაც წინააღმდეგობით უქონელსა და მქონებელს შორის, მტაცებელ „გარეულებსა“ და დამცველ „შინაურებს“ შორის, ანუ ძირეული განსხვავებით ჩამორჩენილ ცენტრალურ ევრაზიასა და დაწინაურებულ ევრაზიის პერიფერიის ცივილიზაციათა შორის. მისი აზრით, ცენტრალური ევრაზიის ისტორია უნდა დაწყებულიყო იმ განუსაზღვრელ დროში, როდესაც განსხვავება დოვლათში მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის გახდა საკმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ შესამჩნევი, რათა გამოეწვია უფრო შეძლებულთა დაცვისათვის ფიზიკური და მორალური ბარიერების აგება. დ. სინორის განცხადებით, ზოგიერთი ასპექტით ეს კონფლიქტი დღესაც გრძელდება.

კულტურული ევოლუციის დაბალი ტემპის გამო უკიდურესად სკეპტიკური დამოკიდებულება ცენტრალური ევრაზიის მოსახლეობისადმი ფართოდ იყო გავრცელებული სრულიად განსხვავებულ ცივილიზებულ საზოგადოებებში. X ს. ბიზანტიელი იმპერატორი, კონსტანტინე VII პორფიროგენეტი თხზულებაში „იმპერიის მმართველობის შესახებ", განმარტავდა, რომ ჩრდილოეთის ყველა ტომს თვით ბუნებისაგან აქვს ბოძებული ყოველივეს გამჩანაგებელი სიხარბე, ისინი დიდი მგზნებარეებით ითხოვენ ყველაფერს და მათ სურვილებს არა აქვთ ზღვარი ან ზღუდე. IV საუკუნის რომაელი ისტორიკოსის, ამიანე მარცელინუსის სიტყვებით, ჰუნები იწვიან ოქროს უსაზღვრო წყურვილით. ჯერ კიდევ ქრისტეს შობის წინა ხანის ჩინელი მემატიანეების წარმოდგენით, დასავლეთისა და ჩრდილოეთის ბარბაროსები, მტაცებელი მგლები არიან, რომელთა დანაყრებაც შეუძლებელია, ისინი ხარბები და მომხვეჭელები არიან და არაფერზე ფიქრობენ გარდა საკუთარი სარგებლისა. დ. სინორის დაკვირვებით ზედსართავი „გაუმაძღარი" ხშირად გამოიყენება ბარბაროსთა დახასიათებისათვის; ამის განმაპირობებელი მათი სიღარიბეა, რაც, თავის მხრივ, ცენტრალური ევრაზიის ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების ერთობლიობის შედეგი უნდა ყოფილიყო, პირველ ყოვლისა კი, ჩრდილოური კლიმატისა, რომელიც სიცივისა და სიმშრალის გამო გამოუსადეგარი იყო მიწათმოქმედებისათვის.

ცივილიზებული სამყაროს მიერ ბარბაროსთათვის საკვების მიწოდებით, რიგ შემთხვევებში, შეიძლებოდა თავის დაღწევა მათი შემოტევებისაგან. დ. სინორის აზრით, თანამედროვე მსოფლიოში „უცხოური (ე. წ. ჰუმანიტარული — გ. ქ.) დახმარება", ყველა თავისი ნაკლითა და ღირსებით, მოვლენაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გაგებითა და შემწყნარებლობით შევაფასოთ ადრე გარდასულ თაობათა მიერ გადადგმული მსგავსი ნაბიჯები, გამიზნული ამ გადაუჭრელი პრობლემების გადასაწყვეტად. ცენტრალური ევრაზიის მოსახლეობისადმი ამგვარი დამოკიდებულების ძირითადი წარმმართველი ძალა, როგორც ჩანს, იყო გარემომცველი ცივილიზებული მოსახლეობის მიერ მისი მონაგარი სიმდიდრის მომხიბვლელობის შეგნება და შიში ბარბაროსთა მიერ ამ სიმდიდრის ძალისმიერი მითვისების შესაძლებლობისა. ეს მიზეზი იყო განმაპირობებელი ჩინეთის დიდი კედლის (ძვ. წ. IV—III სს.) და რომის იმპერატორის ადრიანეს (117—138 წწ.) მიერ რომის იმპერიის სასაზღვრო ხაზის თავდაცვითი სისტემის (Limes Romanus) აგებისა, აგრეთვე კავკასიონის გადასასვლელების გამაგრებისა. დ. სინორი მართებულად შენიშნავს, რომ ჩინეთის დიდი კედლისა და რომაული ლიმესების მაგვარი ნაგებობები შეიძლება იყოს აღებული და დანგრეული. მაგრამ ჯებირებს აგებულს ადამიანთა გულებში დროც კი ვერ დაანგრევს და, ვინაიდან, წინასწარშექმნილი აზრი გადაულახავი წინააღმდეგობაა, მათ თვით საღი გონების იერიშიც კი ვერ მოერევა; მუდმივი მტრობა „გარეულთა" მიმართ ადუღაბებდა უფრო ცივილიზებული საზოგადოების „შინაურთა" ერთობას და მას უფრო ლოიალურს ხდიდა ხელისუფლების მიმართ, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ „საყოველთაო მტრებთან" (Sui generis) — ბარბაროსებთან — ბრძოლა ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა იყო და ამასთანავე წარმოადგენდა საფუძველს. გამართლებას მისი ძალაუფლებისა საკუთარ ხალხზე. ცივილიზებული სამყაროს ძირითადი მიზანი ხომ სწორედ ბარბაროსთა განდევნა იყო ოიკოუმენეს საზღვრებს იქით, მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი შემოსევების აღსაკვეთად. მიჩნეულია, რომ ამ მგზნებარებით არის შეგულიანებული ლეგენდარული სახე ალექსანდრე მაკედონელისა, როდესაც იგი „გოგისა და მაგოგის უწმინდურ ხალხებს“ — კვინტესენციური ბარბაროსის მითიურ განსახიერებებს — ერეკება გაუვალ მთებში, „რკინის კარის“ გაღმა მდებარე მხარეში; კავკასიონის ქედს იქით იყო სემიტთა „გოგისა და მაგოგის“ და ბერძენთა „ჰიპერბორეელთა“ საუფლო.

ბარბაროსთა დამთრგუნავი ალექსანდრე დიდის სახელი, ძველეგვიპტური სფინქსის მსგავსად, ეფექტური საშუალება ჩანდა ველურ ტომთა შესაშინებლად და ამიტომ მათი შემოსევის ხიფათის გაჩენისას ისევ გაცოცხლდა ძველი ლეგენდა მის მიერ მომთაბარეთა წინააღმდეგ მოწყობილ „რკინის კარის“ შესახებ, რომლის სახელწოდება, „კასპიური კარის“ სხვადასხვა დროს ხან დასავლეთ ირანში მდებარე სიდარის (ფირუზ-კუხის) ხეობას უკავშირდებოდა, ხან დარიალისას (I საუკუნიდან), უფრო გვიან კი — დერბენტისას.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. VI—V სს. ბერძენი დრამატურგი ესქილე იუწყებოდა სკვითების გზის არსებობის შესახებ, რომელიც ეტყობა კავკასიაზე გადმოდიოდა. პლინიუს უფროსის ზემომოყვანილ ფრაგმენტშიც ხომ აღინიშნებოდა, რომ სამყაროს ორად გამყოფი კავკასიის კარის (თუმცა კი მისთვის „კასპიის კარი“ ირანში მდებარეობდა) კოჭებზე რკინა იყო გადაკრული, და რომ ეს კარი და მის მახლობლად აგებული ციხე-სიმაგრე კუმანია (დაკავშირებულია ქართულ კომლის — ციხესთან.) გზას უღობავენ კავკასიის იქით მხარეს მყოფ უთვალავ ტომებს. პლინიუსი იქვე დასძენს, რომ ამ კარის პირდაპირ (ქვეყნის შიგნით) მდებარეობს იბერიის ქალაქი ჰერმასტუსი (გაიგივებულია არმაზთან). ეს უკანასკნელი გარემოება ააშკარავებს იბერიის ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქის, არმაზის, ისევე როგორც მცხეთის დანიშნულებას, არაგვის ხეობით ჩამომავალი გზის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში ჩაკეტა ჩრდილოეთიდან კავკასიის კარით (ანუ დარიალით) გარდმომავალი გზა ჩრდილოეთის უთვალავი ტომებისათვის. ხშირად აღნიშნავენ, რომ გზის ჩრდილოეთ კიდეში, დარიალის ხეობის გაყოლებაზე, ოსების გვერდიგვერდ მცხოვრები და შუასაუკუნეების ქართულ ენაზე მეტყველი მთიელები, ქართველ მეფეთა ძველი გარნიზონების მემკვიდრეები არიან. თბილისი კიდევ უფრო სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა, კეტავდა რა მტკვრის დინების ვიწრობებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ირანის ხელისუფალთათვის.

არმაზციხე გაშენებულია ძნელად მისადგომ ადგილას, არმაზის ქედის უმაღლეს წერტილთან, საიდანაც შესანიშნავად მოჩანს ჩრდილოეთიდან — არაგვის ხეობით, ხოლო სამხრეთიდან და დასავლეთიდან მტკვრის ხეობით მომავალი გზები. ამავე ადგილიდან კარგად ჩანს მცხეთა, წიწამური, საპიტიახშო, ავჭალის კარი, მუხათგვერდის ზეგანი, ქართლი, ზადენ-ზედაზნის სანახები და თვით სარკინე — შიო მღვიმეს მიდამო. ჩრდილოეთის მიმართულება მიუდგომელი ზღუდე-გალავნით იყო ჩაკეტილი, რომელიც ამასთანავე ამ მხარის სიმაგრეთა სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, სპეციალისტთა დაკვირვებით, არმაზციხის მშენებელ ქართლის სამეფოს მესვეურებსა და ხუროთმოძღვრებს წინააზიური (ურარტულ-აქემენიდური) ტრადიციები მოსდგამდათ. ეგებ, მცხეთის ბებრის-ციხის ძველ სახელწოდებაში „ბელტის ციხე“, ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი არამეული birta ან მისგან ნაწარმოები მსგავსი შინაარსის შემცველი სხვაენოვანი სიტყვა იყოს შემონახული.

ახლო აღმოსავლეთის წინა-ელინისტური და ელინისტური ხანის სახელმწიფოების დაინტერესება აღმოსავლეთ საქართველოთი, ცენტრალური ამიერკავკასიით, გარდაუვალი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, ამიერკავკასია, ბარბაროსული და ცივილიზებული სამყაროს მიჯნაზე მდებარეობის გამო, ასპარეზს წარმოადგენდა ისტორიული განვითარების ორი საპირისპირო მოდელის ზემოქმედებისათვის და, შესაბამისად, სხვადასხვა ეპოქაში მისი ადგილი ცვალებადი იყო ზემოაღნიშნულ ორ სამყაროს შორის, თუმცა, კავკასიონის მთავარი ქედის ბუნებრივი ფაქტორი მას უფრო მაღალგანვითარებული ევრაზიის პერიფერიის ბასტიონის ფუნქციას აკისრებდა განვითარების შენელებული ტემპის მქონე ცენტრალური ევრაზიის (იგივე შიდა აზიის) მიმართ, ანუ ცივილიზებული სამხრეთისა და დასავლეთის ფორპოსტის როლს ანიჭებდა ბარბაროსული ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

მუდმივი დაპირისპირება ბარბაროსსა და ცივილიზებულს, მიმთვისებელსა და მეურნეს, ყაჩაღსა და შემოქმედს შორის იყო ის კვესი და აბედი, რომლის საშუალებითაც დაინთო სახელმწიფოებრიობის ცეცხლი კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის გადმოღმა მდებარე ქართლში.

ქართლის ბედის ცვალებადობა ხატოვნად არის აღწერილი ძველ ქართულ და სომხურ მატიანეებში.

„ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ XI საუკუნის ავტორის, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში ლაშქრობისას „პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათუის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველს სულიერსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს... იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა — იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით...“. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ X ს. შატბერდული ხელნაწერით, „პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეხადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად... დაუკუირდა ალექსანდრე და ცნა, რამეთუ დებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ხორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შაშჭამდეს...“ ალექსანდრეს მიერ ქართლში დალაშქრულად მიჩნეულ „ბუნ-თურქებში“, რომ ჩრდილოური, იმიერკავკასიური მოსახლეობა უნდა იგულისხმებოდეს, სხვა ნიშნებთან ერთად, ალბათ ლეონტი მროველის ის ცნობაც მოწმობს, რომ ისინი, ალექსანდრესაგან ქალაქ სარკინეში ალყაშემორტყმულნი და შემდეგ კლდეში გაყვანილი ხვრელით გაპარულნი, „შეივლტოდეს კავკასიად“. დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვრის, „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორის, არენ ბერის განმარტებით, ალექსანდრე დიდმა „...პირველად უცხოთესლნი იგი ბოროტნი წარმოიქცინა დასავლით და კერძსა მას ჩრდილოჲსასა დასხნა. და ვითარცა უკუ-მოიქცა მუნით და შემოვიდა საზღუართა ქართლისათა იხილნა ნათესავნი იგი სასტიკნი წარმართნი, რომელთა ჩუენ აწ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკურისასა მიხუევით... ქალაქნი და სიმაგრენი ყოველნი უცხოთესლთა მათ გამოუხუნა, რომელნიმე მოსრნა და სხუაჲ სიმრავლე მათი ურიცხვ წარავლინა კედარსა მას, სადა იგი პირველნი მოიყვანნა, გარეგან ოვსეთისა. და არს ქუეყანაჲ იგი მაღალ და ვრცელ და სიმრავლე წყალთაჲ, სადა იგი მიერითგან მკვიდრობენ დიდნი იგი ნათესავნი ყივჩაყთანი“. აშკარაა, რომ აქ ნაგულისხმევია სამხრეთ რუსეთის სტეპები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიერკავკასიიდან გადმოსული მოსახლეობის შესახებ ცნობა შემონახული V ს. ავტორის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“: „არშაკის დროს საშინელი არეულობა მოხდა დიდი მთის, კავკასიის მიდამოებში, ბულღართა მხარეში. ბევრი მათგანი აიყარა და ჩვენს ქვეყანას მოაშურა. ისინი დიდხანს მკვიდრობდნენ კოლის ქვემოთ ნოყიერ მიწებზე, პურით მდიდარ ადგილებში“. როგორც ჩანს, „სომხეთის ისტორიის“ „ბულღარებსა“ და ქართული მატიანეების „ბუნ-თურქებში“ ერთიდაიგივე ტომი იგულისხმება. მათი ერთმანეთთან გაიგივების შესაძლებლობა იძლევა თხრობა „ველური, მოსული ტომის“ შესახებ, რომელიც მოვსეს ხორენაცის ტექსტში, „ლტოლვივლ ბულღარზე“ ადრე, იმავე თავში არის მოხსენიებული და რომლის დახასიათებაც ემსგავსება „ბუნ-თურქებისას“, ხოლო მისი ბინადრობის მხარისა, თითქოს, შიდა-ქართლს.

იბერიის (ქართლის) სამეფო ხელისუფლება, გარდა იმისა, რომ ზრუნავდა „კავკასიის კარის“ თავდაცვისუნარიანობაზე, არცთუ იშვიათად ეფექტურად იყენებდა ამ კარის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას და საჭიროების მიხედვით, მისი საშუალებით, ჩრდილოეთიდან გადმოყავდა ხოლმე დამხმარე სამხედრო ძალა მომხდურებთან ბრძოლის მიზნით თუ საკუთარი მტრების დასალაშქრავად. ვინაიდან „კავკასიის კარი“ ფაქტიურად, იბერთა ხელში იყო, გასაგები ხდება მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ სომეხი მეფეები „ჩრდილოეთის მთების“ გამგებლობას ავალებენ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დადგენილ იბერთა ხელისუფლის მიჰრდატის შთამომავლებს. ამავე დროს, ეს ცნობა მიგვანიშნებს, რომ გარკვეული ურთიერთკავშირი არსებობდა იბერიაში სამეფო ძალაუფლების ჩამოყალიბებასა და „კავკასიის კარის“ დაცვის საჭიროებას შორის.

ქართული და სომხური მატიანეების ცნობები ალექსანდრე მაკედონელის კავშირის შესახებ ქართლთან [illegible] ასთან, სადაც მას როგორც ცნობილია, არ ულაშქრია, დაკავშირებული ჩანს ძველ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ შეხედულებებთან, რომელიც მას მიაწერეს კავკასიის (კასპიის) კარიბჭის გამაგრებას და რომელსაც ალექსანდრეს სვეტებისა თუ საკეტის სახელით იხსენებენ (Cl. Ptol., V, VIII, 16; Euseb. Hier., Epist., 77, 8). ახლო აღმოსავლეთის დაწინაურებულ საზოგადოებებში ჩრდილოელი მომთაბარეების, გოგისა და მაგოგის „უწმინდური ტომების“ (Ezek., 38:2-6, 14-16; 39:1-6, 11; Apoc., 20, 7-9). შემოსევის მოლოდინი რომის იმპერიის დაცემისა და მომთაბარეების (პირველ რიგში, ჰუნების) გააქტიურების ხანაში სულ უფრო აქტუალური ხდება და ალექსანდრე დიდსაც სულ უფრო უმკვიდრდება მათთან მებრძოლის სახელი.

საყურადღებოა, „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნული ფაქტი, რომ ალექსანდრემ ქართლში „მოსრნა და დაატყუევნა“ უცხოტომელები, ხოლო „დაუტევნა ნათესავი ქართლისანნი და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისი“. იმავე მატიანეს მიხედვით ალექსანდრე მაკედონელის ზრუნვა ქართველთა მიმართ ამით არ იფარგლება, და იგი ნებისმიერი სახელმწიფოს აღმოცენებისათვის აუცილებელი, იდეოლოგიური საფუძვლის ჩამოყალიბებასაც ითვალისწინებს: „და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივსცემდნენ მზესა და მთვარეს და ვარსკვლავთა ხუთთა და ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა დამბადებელსა ყოვლისასა“.

შემთხვევითი არ არის, რომ დღესაც საქართველოს რესპუბლიკის ღერბზე თეთრი გიორგის თავთან, მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავია გამოსახული, ხოლო მისი ცხენის ფეხქვეშ, ურჩხულის ნაცვლად, კავკასიონის ქედი, სიმბოლო ქვეყნის წინაშე დასმული ბუნებრივი „გამოწვევისა“, მისი ბედის კავშირისა მსოფლიო გეოგრაფიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, შესაბამისად, პოლიტიკური დაყოფის ერთ-ერთ ნიშანსვეტთან.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ მოიძებნება ამიერკავკასიაში ალექსანდრე დიდის ლაშქრობის ან საერთოდ მაკედონელთა ყოფნის დამამტკიცებელი საბუთები, აშკარაა, რომ ქართული და სომხური მატიანეების მიერ ქართლში სახელმწიფოს აღმოცენების მის სახელთან დაკავშირება, მიგვანიშნებს ქართული სახელმწიფოს raison d'être-ზე, — ყოფილიყო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი ბარბაროსებთან მიმართებაში. ალექსანდრე მაკედონელის ზემოხსენებულ ლეგენდარულ ხვედრთან ქართლის სახელმწიფოებრივი ფუნქციის მსგავსება, ეგებ, იმ გარემოებაშიც იყოს ასახული, რომ ყველაზე დიდ ქართველ მეფეს — დავით IV აღმაშენებელს — მეორე და ახალ ალექსანდრეს უწოდებდნენ ქართველი მემატიანეები.

ალექსანდრე დიდის ძლევამოსილმა ლაშქრობამ მაკედონიიდან ინდოეთამდე და აქემენიდური ირანის განადგურებამ მნიშვნელოვნად შეცვალეს მსოფლიო ისტორიის მსვლელობა. მოხდა ძველი აღმოსავლეთისა და ევროპის შეუღლება, აღმოსავლური წიაღის დასავლური საწყისით განაყოფიერება. ალექსანდრე დიდის სიკვდილისთანავე, მისი იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეებზე აღმოცენდნენ მრავალრიცხოვანი, ე. წ. ელინისტური სახელმწიფოები, ახლოაღმოსავლური და ეგეოსური ცივილიზაციების შეჯვარების ნაყოფი; პტოლემიური ეგვიპტე სელევკიდური სირია ,ანატოლიის, ირანისა და შუა აზიის ახალი სახელმწიფოები და თვით საბერძნეთიც კი თვალნათლივ წარმოადგენდნენ აღნიშნული შეუღლების შედეგად ჩამოყალიბებული სინკრეტული კულტურების მატარებელ სიმბიოზური ტიპის საზოგადოებებს, რომელთაგანაც სათავეს იღებს კაცობრიობის შემდგომი განვითარების ძირითადი მაგისტრალური ხაზი.

უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, ჩრდილოეთის ნომადი ტომებისათვის გზის ჩამკეტი, კავკასიის კარიბჭის (იგივე არაგვის, იბერიის,სარმატთა თუ ოვსთა კარი, „დარიალა") ეფექტური კონტროლისათვის ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ახალ სახელმწიფოთა ხელისუფალთათვის სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენდა, ცენტრალურ ამიერკავკასიაში, ქართლში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საჭირო სიძლიერის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა. როგორც ჩანს, ამ ფაქტორით მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული საქართველოსა და საზოგადოდ ამიერკავკასიის, როგორც აღნიშნული, ისე წინამორბედი, განსაკუთრებით კი მომდევნო ხანების ისტორიული განვითარება.

გარდა ცენტრალური ევრაზიის მომთაბარე მოსახლეობისაგან თავის დაცვის საჭიროებისა, ევრაზიის პერიფერიის პოლიტიკური წარმონაქმნებისათვის, მათი ურთიერთბრძოლის პირობებში აუცილებელი ხდებოდა კავკასიონის მთავარი ქედის გადასასვლელები, მათ მიმართ ლოიალურად განწყობილ თუ არა, ნეიტრალურ ხელისუფლებას მაინც ჰქონოდა ხელში, სხვა შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგე მხარეს ჩრდილოეთიდან გადმოყვანილი ველური ძალის მეოხებით ისინი წაელეკა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა დაპირისპირებული მხარისათვის აუცილებელი ხდებოდა, კავკასიონის ზეკარებზე კონტროლი; თუ მათთვის სასურველი ძალის ხელში არ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, მოწინააღმდეგის ხელში მაინც არ გადასულიყო ამა თუ იმ საზით და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ცენტრალური ამიერკავკასიის ხელისუფლება მაქსიმალურად დამოუკიდებელი ყოფილიყო მეორე მხარისაგან. აღნიშნული გარემოება მეტად ხელსაყრელ შესაძლებლობას აძლევდა საქართველოს ხელისუფალთ გაეწონას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორებინათ ერთმანეთის მოქიშპე ძალების დაწოლა საქართველოზე და ამით მათთვის სასურველი ბალანსი შეექმნათ საკუთარი უსაფრთხოებისა თუ არა, არსებობის შესანარჩუნებლად მაინც.

არსებობდა წონასწორობის შენარჩუნების სხვა საშუალებაც — თუ სამხრეთიდან მომავალი მტრის ზეწოლას სამხრეთშივე მოქიშპე ვერ მოეძებნებოდა, საქართველოს ხელისუფალნი ჩრდილოეთიდან გადმოყვანილ ძალას, როგორც ზემოთ ითქვა, თავისი ინტერესების შესაბამისად ხშირად და დიდი წარმატებითაც იყენებდნენ.

კავკასიის კარის კონტროლის შესაძლებლობა საქართველოს ხელისუფლებას სასურველ პარტნიორად ხდიდა, როგორც სამხრეთისაკენ მუდმივი სწრაფვის მქონე ჩრდილოეთის ტომებისათვის, ასევე „გოგისა და მაგოგის უწმინდური ტომების“ შემოსევისა და მეორედ მოსვლის მოლოდინში მყოფ სამხრეთის ქვეყნებისათვის. საქართველოს ხელისუფალნი ქმედითად იყენებდნენ ქვეყნის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით ბოძებულ უპირატესობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთიდან ძალთა გადმოყვანა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, რათა ქვეყნის უსაფრთხოებას ზიანი არ მისცემოდა და არც არასოდეს, თითქმის XIX ს-მდე საქართველოს ხელისუფალთ არ გადაუცია კავკასიის ზეკარისა და შემოსასვლელი გზების კონტროლის უფლება ჩრდილოეთის მხარისათვის, რაც, თავისთავად ცხადია, საკუთარი ქვეყნისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იქნებოდა, ვინაიდან სახელმწიფო დაკარგავდა თავის ერთ-ერთ ძირითად საარსებო ფუნქციას.

ამიერკავკასიისა და, კერძოდ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის ხელსაყრელი სტრატეგიული მნიშვნელობა კარგად ჰქონდა გააზრებული XIX ს. ადრეული ხანების ქართულ საზოგადოებრიობას; ალექსანდრე ორბელიანის 1832 წლის 18 დეკემბრის ჩვენებით, თვით 1832 წლის შეთქმულების გამცემსა და პროვოკატორს, ასე უღიარებია, რომ „ამ რუსებს (საქართველოში მყოფთ — გ. ქ.) რაკი გავიყვანთ ველარასდროს ველარ შემოგვივლენო. აქ სამი ადგილი არის შესაკვრელიო, ერთი შავი ზღვაო, მეორე არაგვის მთაო, და მესამე დერბენტის ზღვაო. ესენი რომ შეიკვრის ველარ შემოგვივლენო“.

კანონზომიერი ჩანს, რომ კავკასიონის სამივე ზეკარის გადმოლმა აღმოცენდა ამიერკავკასიის, ანუ კავკასიონის უშუალოდ სამხრეთით მდებარე, სამივე სახელმწიფო: დასავლეთით-კოლხეთი, აღმოსავლეთით-ალბანეთი, ხოლო ცენტრალურ ნაწილში — იბერია (ქართლი). რუსი ისტორიკოსის თ. უსპენსკის განცხადებით, ლაზები და იბერები იყვნენ ბუნებრივი დარაჯები კავკასიონის ზეკარებისა და, ამ თვალსაზრისით, საიმედო მოკავშირეები იმ იმპერიისა, რომლის პოლიტიკურ გავლენასაც ჰქონდა უპირატესობა მოცემულ მომენტში. იბერიის მიერ ლიხსიქით მდებარე არგვეთის ფლობა, რომელზედაც მამისონის უღელტეხილით კავკასიაზე გადმომავალი გზა გადიოდა, იბერიის მიერ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილზე კონტროლის დაწესების მანიშნებელი უნდა იყოს.

ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობის გამო იბერიის-ქართლის მიზანსწრაფვას წარმოადგენდა ზემოდასახელებული სამივე სახელმწიფოს — კოლხეთის, ალბანეთისა და საკუთრივ იბერიის — ფუნქციათა გაერთიანება, ვინაიდან ამ სახელმწიფოთა განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის პირობებში ვერ ხერხდებოდა ერთიანი დამოკიდებულების შემუშავება გარესამყაროს მიმართ, რითაც აზრი ეკარგებოდა თვით ამ სახელმწიფოთა განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის პირობებში ვერ ხერხდებოდა

ერთიანი დამოკიდებულების შემუშავება გარესამყაროს მიმართ, რითაც აზრი ეკარგებოდა თვით ამ სახელმწიფოთა ფუნქციურ დანიშნულებას — შეექმნათ ერთიანი სასაზღვრო ზოლი კავკასიონის ქედის გაყოლებაზე. კოლხეთი და იბერია უპირატესად დასავლური, ბერძნულ-რომაულ-ანატოლიური სამყاროსკენ იხრებოდნენ, ხოლო ალბანეთი და მისგან სამხრეთით მდებარე არმენია უფრო აღმოსავლეთისაკენ — ირანულ-მესოპოტამიურისაკენ.

ამასთანავე, დამოკიდებულება ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართ არ იყო ყოველთვის სწორხაზოვანი, როდესაც ბარბაროსულმა ცენტრალურმა ევრაზიამ ცივილიზებულ პერიფერიას (დ. სინორის ნომენკლატურით) აღმოსავლეთიდან შემოუტია და ამიერკავკასიას სამხრეთიდან გაუმეზობლდა, საქართველოს მეფემ დავით IV აღმაშენებელმა მათთან დასაპირისპირებლად იმავე ცენტრალური ევრაზიიდან, ოღონდ ჩრდილოეთიდან, დარიალის ზეკარით ყივჩაღები გადმოიყვანა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ამ მიზნისათვის დავით მეფემ „აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი“. ივანე ჯავახიშვილის კომენტარით, ის რომ ჩრდილოეთის ყველა კართა ციხენი საქართველოს ხელმწიფის ხელში მოექცა დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო. სწორედ დავით აღმაშენებელმა შეძლო ამიერკავკასიისათვის ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება. ამის ამსახველია თუნდაც 1125 წლის შემდეგ დავით მეფის სახელით შეთხზული ანდერძი, რომელშიც საქართველო დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე განისაზღვრება „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურამდე“, ანუ კავკასიონის მთავარი ქედის მთელ გაყოლებაზე, კოლხეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთიდან ალბანეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთამდე. ამით რეალობად იქცა არა მხოლოდ იბერიის, არამედ ძველი ცივილიზებული სამყაროს მიზანი — წრაფვა, შეექმნა კავკასიონის გასწვრივ, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ადგილობრივი, ამიერკავკასიური, ძალების საშუალებით, კავკასიონის საუღელტეხილო გადასასვლელების სამეთვალყურეო ერთიანი თავდაცვითი სისტემა. ფორმულა „ნიკოფსით დარუბანდამდის“, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახით, როგორც საქართველოს გეოგრაფიული პარამეტრებისა და იმავდროულად პოლიტიკური ფუნქციის განმსაზღვრელი, ასახულია XIII ს. თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. გარდა სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობისა, კავკასიონის ზეკარებს სრულიად გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდათ და ცხადია ამ კუთხითაც საქართველოს გაძლიერება-გამდიდრების წყაროს წარმოადგენდნენ.

კავკასიონის ქედის ზეკარების, და ამდენად ჩრდილოეთის მომთაბარეთა სამხრეთისაკენ მოძრაობის, ერთპიროვნული კონტროლის გამო საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ დომინანტურ ძალად იქცა. ანტიოქიის სამთავროს კანცელერის, 1119-1126 წწ. ანტიოქიის ქრონიკის ავტორის გოტიეს (Galterius) წარმოდგენით საქართველო იყო ის დიდი ზღუდე, რომელიც ეღობებოდა წინ თურქ-სელჯუკებს ქრისტიანი ხალხებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო იერუსალიმელი ბერის ანსელიუსის თვალსაზრისით, საქართველო იყო ევროპელთა ავანპოსტი მიდიელებისა და სპარსელების წინააღმდეგი. მაგრამ აღმოსავლეთიდან ჯერ ხვარაზმელებისა და მონღოლების, ხოლო შემდეგ თემურ-ლენგის თათარ-თურქმანთა, თურქთა და ყიზილბაშთა ურდოების შემოსევებმა რომლებიც ისევე როგორც ჩრდილოელი მომთაბარეები ერთიდაიმავე ცენტრალურევრაზიული კერიდან იღებდნენ სათავეს, ძირფესვიანად შეცვალეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა. ნიკო ბერძენიშვილის სიტყვებით, „საფრთხე დაუდგა ახლო **აღმოსავლეთის ცივილიზაციას.** ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის შეფერხება, რეაქცია, უკანდახევა... ეს იყო ველურთა დიდი გადმოსახლება (არა ველურს არც შეუძლია გადმოსახლება), ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციის წალეკვა. საქართველო „ველურთა“ ზღვაში მოქცეულ კუნძულსა ჰგავს, ისიც პოლიტიკურად დაიფლითა...“

ცენტრალური ევრაზიიდან გადმოსახლებული მეჯოგე ტომების საქართველოში სამხრეთიდან შემოსევამ, ჩვენს ქვეყანას საორიენტაციო კრიტერიუმები შეუცვალა. სამხრეთ-დასავლეთით ერთმორწმუნე ბიზანტიის ადგილას აგრესიული, მუსლიმური, ოსმალეთი აღმოცენდა. როგორც ყოველთვის, სამხრეთის მოძალებისას საქართველომ ხსნისათვის თვალი ჩრდილოეთს მიაპყრო, სადაც მეჯოგე ტომთა გაერთიანების ნაცვლად სწრაფი ტემპით რუსეთის მართლმადიდებლური იმპერია ყალიბდებოდა.

მიჩნეულია, რომ მოსკოვის რუსეთი იყო სინთეზი ორი სამყაროსი, — მართლმადიდებლურ-ბიზანტიურისა და თათრულ -მონღოლურისა. უ. ე. დ. ალენის შეფასებით, „ჰიპერბორეელების ქვეყანა“ — რუსეთი, პეტრე დიდის რეფორმების შემდგომ წარმოადგენდა თანამედროვე ტანსაცმელში გამოწყობილ უცნაურ შუასაუკუნეობრივ სხეულს, რომელსაც გერმანული ტვინი, ბიზანტიური გონება, თათრული ხელები და სლავური სული ჰქონდა.

საქართველოში რუსული ორიენტაცია, ლ. ტუხაშვილის აზრით, შეამზადა ორმა იდეოლოგიურმა ფაქტორმა, ხსნის მესიანისტურმა იდეამ და ქრისტიანულმა სარწმუნოებამ; მხოლოდ ეს ორი ფაქტორი საკმარისი აღმოჩნდა საქართველოში რუსეთის, როგორც აუცილებელი მოკავშირის საყოველთაო აღიარებისათვის. მიუხედავად ამისა, იმავე ავტორის დაკვირვებით, თუ ბიზანტია საქართველოს ურთიერთობისას ადგილი ჰქონდა საქართველოს განუხრელ აღმავლობას და ბიზანტიის ნელ დეგრადაციას, რუსეთთან ურთიერთობაში გვაქვს საპირისპირო მოვლენა, რუსეთი ინტენსიურად ძლიერდებოდა, ქართული სახელმწიფო კი ინტენსიურად კნინდებოდა. ამის ძირითად მიზეზად მიჩნეულია ის გარემოება, რომ პოლიტიკური ხსნის მესიანისტური იდეა, XVIIIს-ში საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის იდეოლოგიური საფუძველი, წინ უსწრებდა რუსეთიდან მომდინარე კულტურულ ნაკადს და რომ თვით ეს ნაკადიც შესუსტებული იყო რუსეთის მკვეთრი ჩამორჩენის გამო, სწორედ კულტურულ სფეროში.

საქართველოს დაცემის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, ატარებდა არა იდეოლოგიურ თუ კულტურულ ხასიათს, არამედ პოლიტიკურს, რომელიც გამოიხატებოდა ქვეყნის ძირითად ფუნქციაზე — ჩრდილოეთიდან სამხრეთზე გადმომავალი კავკასიის კარის დაცვის მოვალეობაზე — უარის თქმასა და კარის მეორე მხარეს მდებარე (ანუ იმისათვის, ვის წინააღმდეგაც იყო მოწყობილი ეს კარი), მძლავრი და აღმავალი ჩრდილოური ძალისათვის აღნიშნული ფუნქციის ჩაბარებაში. ამ გარემოებას ლ. ტუხაშვილიც უნდა გრძნობდეს, როდესაც შენიშნავს, რომ ქართლის კატასტროფა ირანის ნგრევას მოჰყვა და რომ სამანევრო ირანული ორიენტაციის საფარველის ჩამოშორებამ განაპირობა საქართველოს ახალი კატასტროფა. საყურადღებოა, რომ 1792 წელს, თბილისის აღებამდე სამი წლით ადრე, აღა-მაჰმად-ხანმა შესთავაზა ერეკლეს, ირანთან 1783 წლამდე არსებული ურთიერთობების აღდგენის სანაცვლოდ, ელიარებინა მისი სიუზერენობა განჯა, ერევნის, ყარაბაღის, შაქისა და შირვანის მხარეებზე და გადაეცა მისთვის თავრიზის აზერბაიჯანის მართველობის უფლება.

საქართველოს კატასტროფა შეეძლო განეპირობებინა მხოლოდ თვით ამ ქვეყნის ხელისუფალთა მიერ საკუთარ raison d etre-ზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. რუსეთისათვის კავკასიის კარის გასაღების გადაცემით საქართველომ თავის სახელმწიფოებრიობას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, კავკასიონის ზეკარის „მეციხოვნემ“ თავისი არსებობის აზრი, ფუნქცია დაკარგა, ფუნქციის გარეშე კი ბუნებაში ვერაფერი იარსებებს, ვერც ცოცხალი ორგანიზმი და ვერც სახელმწიფო. საკუთარი არსებობის აზრზე **ნებაყოფლობით** უარის თქმას განსაკუთრებით იმ მიზეზის გამო აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ ამ დროს ქვეყანას აღარავითარი ნება აღარ რჩება რათა „გამოწვევას (Ghallenqe) გასცეს „პასუხი“ (Response) და შესაბამისად ამისა იგი, ყოველგვარ სტიმულსა და ენერგიას მოკლებული, ჩიხში ემწყვდევა. სახელმწიფოებრივად ფუნქციადაკარგული ქვეყნის მოსპობა მტრისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს; ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას არც შემწედ, არც მოსარჩლედ და არც მოკავშირედ არავინ გამოუჩნდება. რუსეთის მიზანი საქართველოსთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, ყოველთვის იყო უკანასკნელისათვის „არსებობის აზრის“ (raison d etre) დაკარგვა, რუსეთისათვის ეს პრაქტიკული გეოპოლიტიკური ამოცანებით ნაკარნახევი. შემთხვევითი არ არის ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული აზრი, რომ „თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსათვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა...“

შუა საუკუნეების საქართველოს მესვეურთა პოლიტიკური ორიენტაციის ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმი რელიგიური აღმსარებლობა ყოფილ. ძლიერი, ერთმორწმუნე და გარეგნულად დასავლური რეგალიების მქონე ქვეყნის-რუსეთის დაინტერესება კავკასიით, აქ „ახალი რომის“, ბიზანტიის მემკვიდრე ქვეყნის გამოჩენის ილუზიას ქმნიდა. მაგრამ ქართველ პოლიტიკოსებს მხედველობიდან გამორჩათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: რომი და ბიზანტია, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და გეოპოლიტიკური მიზნებით დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი სამფლობელოების აღმოსავლეთის განაპირას კოლხეთისა (ლაზეთის) და იბერიის სახით ჰყოლოდათ საკმაო ძალის მქონე, „ერთმორწმუნე“ მოკავშირეები, რომლებიც ამ იმპერიების აღმოსავლური საზღვრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ კავკასიის გადაღმა მობინადრე ნომადი ტომების შემოსევებისაგან, მათთვის კავკასიონის ზეკარების გადაკეტვით. შემთხვევითი არ იყო, რომ რომის იმპერატორმა ვესპასიანემ ახ. წ. 75 წ. არმაზი გაუმაგრა მითრიდატე II-ს და მას კეისრის მეგობარი და რომაელთამოყვარე იბერთა მეფე უწოდა, იმპერატორმა ადრიანემ ფარსმან II ქველს სპილო გამოუგზავნა საჩუქრად, ხოლო იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა რომში მიპატიჟებულს პატივი დასდო რათა კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, და ცხენზე ამხედრებული იბერთა მეფის ძეგლი ბელონის ტაძარში დაადგმევინა; მანვე ფარსმანის სამეფო გააფართოვა“, ანუ იბერიის ფართოდ გაწეული საზღვრები სცნო. VI ს. ბიზანტიელი იმპერატორის იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით კი, კავკასიაში მოსახლე ბარბაროსებისათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი“, ამიტომ ბიზანტიელებისათვის სასარგებლო იყო ლაზთა მიერ საკუთარი ადგილსაცხოვრისის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიების დაპყრობა (მეგრელების, აფშილების, სვანების, აბაზგების და სხვათა მიწების). რომისა და ბიზანტიის იმპერატორები არც წო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებებსა და ტიტულებს აკლებდნენ ქართველ მეფე-მთავრებს.

თუ რომის იმპერიისა და პართიის, ბიზანტიისა და ირანის, ოსმალეთისა და სპარსეთის ურთიერთბრძოლისას კავკასიონის ზეკარებზე ადგილობრივი ამიერკავკასიელი მოსახლეობის კონტროლი ძირითადად მისაღები იყო ორივე დაპირისპირებული მხარისათვის, სრულიად სხვა მდგომარეობა იქმნება რუსეთის იმპერიის კავკასიაში ექსპანსიის დროს. რუსეთს, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სულაც არ ესაჭიროებოდა კავკასიონის გადასასვლელების დამცველი ძალა. ჩრდილოეთიდან მომდგარი რუსეთის სულ უფრო მზარდი გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიონის მთავარი ქედის გადალახვას ისახავდნენ მიზნად; ამ ქვეყანას ესაჭიროებოდა კავკასიონის ზეკარებზე არა „ტიხრებისა“ თუ „რკინის კარების“ აგება — მოწყობა, არამედ მათი „მოშლა“ და „შემტვრევა“. ცხადია ეს საქართველოს საკუთარი ისტორიული ფუნქციის, „არსებობის აზრის“ დაკარგვით ემუქრებოდა.

რუსეთისათვის დაუშვებელი იყო კავკასიონის ქედის გადაღმა დამოუკიდებელი და, მით უფრო, ძლიერი სახელმწიფოს არსებობა, თუნდაც იგი მისი ერთმორწმუნე და მოკავშირე ყოფილიყო. ეს უნდა იყოს ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ყოველგვარი „მოკავშირეობა“ თუ „მეგობრობა“ რუსეთსა და საქართველოს შორის, უკანასკნელის ოკუპაციითა და ანექსიით,თუ ინკორპორაციით, მთავრდებოდა. საქართველოს მოსახლეობის ერთმორწმუნეობა და სიმპატიები რუსეთისათვის ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა საქართველოს „ათვისებისათვის“ და შემდგომი ექსპანსიისათვის პლაცდარმად გადასაქცევად. რუსეთს კავკასიის კარის გასაღების ხელში ჩაგდება სჭირდებოდა საიმისოდ, რომ ფათოდ გაეღო ეს კარი თავისი დამპყრობლურ ზრახვათა განსახორციელებლად. არა მხოლოდ კავკასიის მასშტაბით, ამიერ, საზოგადოდ, ახლო აღმოსავლეთისა და პერსპექტივაში ინდოეთის მიმართულებით. თვით რუსი მოღვაწეების აღიარებით, შავ და კასპიის ზღვებზე ბატონობა რუსეთის „სასიცოცხლო“ ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა, ამიტომ კავკასიის დაკავება წარმოადგენდა ამ ქვეყნის პირველად სახელმწიფოებრივ საჭიროებას. კავკასიის ყელიდან რუსეთისათვის ადვილად მისაღწევი ხდებოდა მისთვის სასურველი ნებისმიერი რეგიონი ახლო და შუა აღმოსავლეთში: კავკასია იყო ის საყრდენი რუსეთისათვის, საიდანაც მის სამხედრო შენაერთებს შეეძლოთ დასავლეთის მიმართულებით, ანატოლიის გავლით, ხმელთაშუაზღვისპირეთში, სამხრეთის მიმართულებით, სპარსეთის გავლით, ინდოეთის ოკეანის სანაპიროებზე, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით, კასპიის ზღვის გადალახვით, შუაგულ აზიაში შეეღწიათ.

რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თან დაახლოებული, ცნობილი საზოგადო მოღვაწის პლატონ ზუბოვის მიხედვით, საქართველოს შემოერთება ნაწილი იყო პეტრე I-ის დიადი იდეის ხორცშესასხმელად, დაეფუძნებინა უხიფათო, სახმელეთო გზა, რომელიც ხელს შეუწყობდა სავაჭრო კავშირებს რუსეთსა და ინდოეთს შორის. თუმცა, რუსეთის ინტერესები კავკასიაში მხოლოდ ვაჭრობის საჭიროებით არ შემოიფარგლებოდა და XVIII ს. სამოცდაათიან წლებში თურქები უკვე ყოველნაირი ზომების მიღებით ცდილობდნენ შეესუსტებინათ რუსების გაბატონებული მდგომარეობა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილში არსებულ გადასასვლელებზე, მათ წინააღმდეგ ყაბარდოელების, ჩერქეზებისა დაა ჩეჩნების ამხედრებით, მაგრამ უშედეგოდ. უ. ე. დ. ალენისა და პ. მურატოვის აზრით, რუსეთის იმპერიის ექსპანსია აზიაში წარმოადგენდა კონფლიქტს მსოფლიო

სახელმწიფოებს შორის; შავი და კასპიის ზღვების აუზების კლასიკური ტიპის აღმოსავლურ სახელმწიფოებს, ოსმანთა იმპერიასა და სპარსეთს, ერთი მხრივ, და ახალ, ევრაზიის ტრამალებში აღმოცენებულ, ნახევრადევროპულ რომანოვების რუსეთს შორის, მეორე მხრივ. თურქეთიცა და სპარსეთიც, საფრანგეთისა და ინგლისის მიერ წაქეზებულნი, ცდას არ აკლებდნენ ამიერკავკასიის დასამორჩილებლად, რათა კავკასიონის ქედი შეენარჩუნებინათ მძლავრ ბარიერად რუსეთის შეტევის საწინააღმდეგოდ.

ევროპული სახელმწიფოებიდან რუსეთის გაბატონება კავკასიაში თავდაპირველად განსაკუთრებით მტკივნეულად საფრანგეთმა განიცადა. 1786 წელს ფრანგი დესპანი სეგური სანკტ-პეტერბურგში შეხვდა თავად გრ. პოტიომკინს და პროტესტი განუცხადა რუსული სამხედრო ნაწილების კავკასიის ქედის გადაღმა გაგზავნის გამო. სეგურმა განაცხადა, რომ ორი იმპერიის (რუსეთისა და თურქეთის—გ. ქ.) ერთმანეთისაგან გამყოფი, თვით ბუნებისაგან ბოძებული ბარიერის გადალახვამ რუსეთის მიერ, ძალზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა სტამბულში და აღუთქვა, რომ მოსალოდნელი კავკასიური ომი რუსეთს ყოველწლიურად 12 ათასი კაცის სიცოცხლეს წაართმევდა. გრ. პოტიომკინის პასუხის მიხედვით. რუსეთის ერთადერთ ამოცანას კავკასიაში, მისი ვასალის, საქართველოს ქრისტიანი მეფის დაცვა წარმოადგენდა თათრებისა და ლეკებისაგან.

საქართველოს რუსული ორიენტაციის გამო დასავლეთის სახელმწიფოებს აწყობდათ ამიერკავკასიაში თურქეთისა და სპარსეთის გაბატონება და ამ მიზნით ამარაგებდნენ მათ სამხედრო აღჭურვილობითა და ინსტრუქტორებით. ამრიგად, ჩრდილოეთზე საქართველოს პოლიტიკურმა ორიენტაციამ განაპირობა მის წინააღმდეგ მთელი გარესამყაროს დაპირისპირება, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის, ხოლო ჩრდილოეთი (რუსეთი) [illegible] ბული იყო ქართული სახელმწიფოების გაუქმებით, რათა თავად დაეკავებინა ამიხერკავკასიაში მისი ადგილი. საქართველოს ბედი, მის ხელისუფალთა არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის წყალობით, განწირული იყო.

რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ სულაც არ იყო არათანმიმდევრული. ი. ცინცაძის დაკვირვებით, რუსეთი თანმიმდევრულად და მისთვის ჩვეული ხერხებით ისწრაფოდა თავისი პოზიციების განმტკიცებას კავკასიაში. ამა თუ იმ პოლიტიკური ერთეულის ვასალურ დამოკიდებულებაში მოქცევის შემდეგ მოსკოვის მეფის შორეული მიზანი ამ ქვეყნის შემოერთებაც იყო ხოლმე (მაგ. რუსეთთან „მეგობრობამ" იმსხვერპლა ასტრახანისა და ყაზანის სახანოები). რაკი რომელიმე პოლიტიკური ერთეულის უმწეო მდგომარეობა ნათელი იყო, ხოლო ეს ქვეყანა რუსეთის სახელმწიფოებრივი გეგმების რეალიზაციისათვის გამოსადეგი ჩანდა, იწყებოდა მასთან მოლაპარაკება „ფიცის წიგნზე" ხელის მოსაწერად. თუმცა, მიუხედავად ალექსანდრე კახთა მეფესთან XVI ს. დამლევს „ფიცის წიგნის" დადებისა, ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, რუსეთმა კახეთის სამეფო ირანს შეატოვა და შაჰ აბას I-მაც „ორგულობისათვის" კახეთი ააოხრა და გაანადგურა, ხოლო მოსახლეობა ირანს, ფერეიდანში და სხვა რაიონებში გადაასახლა.

XVIII ს. ოციან წლებში პეტრე I-მა ირანის წინააღმდეგ ქართველთა ომში ჩათრევით, ხოლო შედეგ მათი მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებით და მტრისათვის გაცემით, ვახტანგ VI-ს და მის მომხრეებს საქართველოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დაუტოვა. არ არის გამორიცხული, რომ ამ აქტით იმპერია შორს მომავალ გეგმებს ისახავდა; ამით რუსეთი ფაქტობრივად ვახტანგ მეფის მემკვიდრეობას ეუფლებოდა და ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის შესაძლებლობის ხელსაყრელი პერსპექტივა ესახებოდა. მითუმეტეს, რომ პეტრე I-ს რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთება ჰქონდა გამიზნული. ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებით რუსეთი არა მხოლოდ იმტკიცებდა საკუთარ პოზიციებს სამხრეთით და აფართოებდა ვაჭრობის არეალს ინდოეთამდე, არამედ გამორიცხავდა თურქეთის მიერ ამიერკავკასიისა და კასპიისპირა ოლქების დაკავების შესაძლებლობას.

თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის წარმატებებმა საფუძველი გამოაცალეს ვახტანგ VI-ის რუსულად ალბრწილ ნემკვიდრეებს, ებრძოლათ ქართლის ტახტის დასაბრუნებლად. მათი მცდელობის შესახებ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი წერდა:"... სხუა რაღა უნდოდათ იმ მეფის ირაკლის წინააღმდეგებსა? გონების მიხედვით უნდა დამორჩილებოდნენ არა მეფე ირაკლის, არამედ მამულს მამულის სიყვარულისათვის, მაგრამ არა, მამულის სიყვარულსა მეფის ირაკლის მტრობა ირჩიეს, სადაც შაიკა გაკეთდა საქართველოს დაღუპვისა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევსები კესარიელი

საზეიმო სიტყვა ეკლესიების აღმშენებლობის შესახებ თქმული ტვიროსელთა ეპისკოპოსის პავლინოსის მიმართ

ღვთისმოყვარენო და სამღვდელონო, დიდების ციური გვირგვინით, ღვთიური ზეთით და სულიწმინდის სამღვდელო სამოსით შემოსილნო, შენ კი, ღვთის წმინდა ტაძრის ახალო სიქადულო, მოხუცის სიბრძნით ღვთივ პატივდებულო, — ახალმა და სიქველით აყვავებულმა ბრწყინვალე საქმეებმა გამოგაჩინეს შენ, რომელსაც თავად მთელი სამყაროს მომცველმა ღმერთმა განსაკუთრებული პატივი გარგუნა, მიწაზე სახლი აუგო და განუახლო მის მხოლოდშობილსა და პირველქმნილ სიტყვას — ქრისტესა და ღვთის საკადრის სძალს. ვინ არ მოისურვებდა შენთვის დაერქვა ახალი ბესელიელი, ღვთაებრივი კარვის მშენებელი, ან სოლომონი, ახალი და ბევრად უკეთესი იერუსალიმის მეფე, ანდა ახალი ზორობაბელი, რომელმაც უწინარესზე ბევრად უკეთესი სახელით შემოსა ღვთის ტაძარი. ხოლო თქვენ, ქრისტეს წმინდა სამწყსოს შვილებო, კეთილ სიტყვათა კერავ, გონიერების სკოლავ, ღვთისმოშიშობის სიდიადევ, ღვთისმოყვარულო საკრებულოვ. უწინ, როცა ჩვენ არაჩვეულებრივი ღვთიური ნიშნებისა და უფლის სასწაულთა მიერ ადამიანებისათვის მინიჭებული სიკეთის შესახებ ღვთაებრივი საკითხავების მოსმენით ვიგებდით, ამ ცოდნით განსწავლულებს შეგვეძლო ღვთის მიმართ ჰიმნებისა და ოდების აღვლენა და თქმა: „ღმერთო, ჩვენი ყურით მოვისმინეთ, ჩვენი მამები გვიამბობენ, თუ რა საქმე მოიმოქმედე მათ დღეებში, უძველეს დროში“ (ფსალმუნი 43,1). ახლა კი, როცა არც მოსმენითა და არც სიტყვიერი გადმოცემით ჩვენი ყოვლადკეთილი და ყოვლისმპყრობელი ღვთის მაღალი მკლავი და ზეციური მარჯვენა არ გვეცხადება, საქმით, როგორც იტყვიან, და საკუთარი თვალით ვრწმუნდებით იმაში, რომ სარწმუნოა და ჭეშმარიტს, რაც უწინ მეხსიერებით გადმოგვეცა. ამიტომ შეგვიძლია უკვე მეორე გამარჯვების ჰიმნი ვიგალობოთ და ცხადად წარმოვთქვათ ამ სიტყვებით: „როგორც ვისმინეთ, ისე ვიხილეთ ძალთა უფლის ქალაქში, ჩვენი ღვთის ქალაქში“ (ფს.47,8). — რომელ ქალაქში, თუ არა ამ ახლადდამყარებულსა და ღვთივნაგებში, რომელიც არის ეკლესია ცოცხალი ღვთისა, სვეტი და სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცე ჭეშმარიტებისა? რომლის შესახებაც სხვა ღვთაებრივი სიტყვა როგორღაც ასე იუწყება: „ქება-დიდებას ამბობენ შენზე, ღვთის ქალაქო“ (ფს. 86,3). რომელშიც მისი მხოლოდშობილი მადლით ყოვლადკეთილმა ღმერთმა შეგვადუღაბა ჩვენ. მოწოდებულთაგან ყოველმა უნდა უგალობოს არა მხოლოდ ხმით, არამედ ამ სიტყვებით: „გავიხარე, როცა მითხრეს: „უფლის სახლში წავიდეთ (ფს. 122,1) და „უფალო, შევიყვარე სავანე შენი სახლისა და კარავი შენი დიდებისა“ (ფს. 26,8), და არა განცალკევებულად, არამედ ყველამ ერთად, ერთი სულითა და ერთი სამშვინველით ვადიდოთ და აღმოვთქვათ: „დიდია უფალი“ — და განვაგრძოთ — „და ქებულია მეტად ჩვენი ღმერთის ქალაქში წმინდა მთაზე“ (ფს.47,1). (...)

მეფეთაგან ვინ განაგებს ეგზომი ძალაუფლებით? ვინ წინამძღოლობს სიკვდილის შემდეგ? ვინ აღმართავს მტრებზე გამარჯვების ამღენ ნიშებს და მრავალ ადგილს — სოფელსა თუ ქალაქს, ელადასა თუ ბარბაროსთა ქვეყნებს თავისი მეფური სახლებით ავსებს და ღვთაებრივი ტაძრებით განასპეტაკებს — სწორედ ისეთებით, როგორც ამ შესანიშნავი ტაძრის მორთულობა და მოკაზმულობაა? ეს ტაძრები თვით ჭეშმარიტად ბრწყინვალენი და დიდნი, გაოცებისა და გაოგნების ღირსნი არიან და ასეთი ცხადი დასტურნი ჩვენი მხსნელის მეუფებისა. რადგან თუნდაც ახლა თქვა მან და წარმოიქმნენ, ბრძანა და აშენდნენ. (რა უსურვებია ყოვლადძლიერსა და ყოვლისმპყრობელ თავად ღვთის სიტყვას, რომ წინ აღდგომოდა მის ერთ მინიშნებას?). ყოველივე ამაზე საგულდაგულო დაკვირვებასა და ახსნას შესაფერისი ჟამი და სიტყვები ესაჭიროება. მაგრამ ამდენი დრო და ასეთი სიტყვები არ ესაჭიროება იმას, რომ დანახულ იქნეს მშრომელთა ღვაწლი იმის მიერ, ვინც ჩვენი თეოლოგიური ჭვრეტის საგანია. იგი უმზერს ყოველი თქვენთაგანისაგან შემდგარ ტაძარს და ცოცხალ ქვათაგან შედუღაბებულ სახლს თვალყურს ადევნებს. ეს სახლი კარგად და შეურყევლად არის დამყარებული მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირკველზე, რომლის ქვაკუთხედი თავად იესო ქრისტეა. ცუდ საქმეთა ცუდმა მშენებლებმა უარყვეს არა მხოლოდ ძველი, უკვე აღარ არსებული ტაძრის ეს ქვაკუთხედი, არამედ ამჟამად არსებული მრავალ კაცთაგან შემდგარი შენობისაც. ხოლო მამამ მოიღო იგი მაშინაც და ახლაც და ამ ჩვენი საერთო ეკლესიის კვაკუთხედად აქცია. და ეს თავად თქვენგან შემდგარი ცოცხალი ტაძარი ცოცხალი ღვთისა, რომელშიც ვგულისხმობ უდიდეს და მართლაც ღვთის შესაფერ წმინდა ადგილს, რომლის შუაგულში არსებული საწმინდარი მრავალთათვის უხილავია და წმინდაა იგი წმინდათა წმინდა. განა ვინმე მისი მნახველი გაბედავს მის აღწერას? ანდა ვინმე შეძლებს შეიხედოს შემოზღუდული საწმინდარის შიგნით, გარდა მხოლოდ ქვეყნიერების დიდი მღვდელმთავრისა, რომელსაც ერთადერთს აქვს უფლება ყოველი გონიერი არსების საიდუმლოს გამოძიებისა? შესაძლოა, მის მერე სხვასაც ძალუძს მეორე ადგილი დაიკავოს, სწორთა შორის მხოლოდ ერთს, სწორედ მას, ვინც წინასწარ განწესებულია ამ მხედრობის წინამძღოლად. რომელსაც თვით პირველმა და დიდმა მღვდელმთავარმა უბოძა ეს მეორე ადგილი სამღვდელოთა შორის. ეს არის თქვენი ღვთივშთაგონებული სამწყსოს მწყემსი, რომელსაც მამისაგან წილად ხვდა თქვენი ხალხი და მისგან დაინიშნა როგორც ამ ხალხის მსახური და მასთან შუამავალი, როგორც ახალი აარონი ან მელქისედეკი, ძეს ღვთისას მიმსგავსებული და ასეთად დარჩენილი მის წინაშე აღსრულებული ყველა თქვენგანის საერთო მარადიული ლოცვით. ამიტომ მხოლოდ მას უნდა ჰქონდეს უფლება პირველი და უდიდესი მღვდელმთავრის მერე, პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც დაიჭიროს, რომ უყუროს და თვალყური ადევნოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი სულების წიაღში არსებულ ფიქრებს, რადგან, შრომა და გამოცდილება ხანგრძლივი დროის მანძილზე დიდი აქვს დახარჯული თითოეულზე. ამ გამოცდილებითა და ზრუნვით თქვენ ყველანი ერთად დაგრაზმათ, ხოლო სიტყვით კი უმეტესობას ღვთისმოსაობა დააწყებინა. ყველაზე უფრო მეტად კი ძლიერია იმაში, რომ რასაც ღვთის შეწევნით მოაწესრიგებს, შესაფერისი სიტყვებით გადმოსცემს.

პირველი და დიდი ჩვენი მღვდელმთავარი ამბობს, რომ რასაც აკეთებს მამა, მსგავსადვე იმას აკეთებს ძეც და თავად ისიც იმისათვის უყურებს გონების სუფთა თვალებით მის პირველ მასწავლებელს, რომ გააკეთოს ის, რასაც ხედავს, და იმისათვის ესაჭიროება პირველსახეობრივი ნიმუშები, რომ შეძლებისამებრ შექმნას შემოქმედის მიერ შექმნილის მსგავსი ხატები. არაფერი გამორჩენია ამ ბესელიელს, რომელიც თავად ღმერთმა აღავსო ბრძნული სულითა და განსჯით და კიდევ სხვადასხვა ხელოვნებისა და მეცნიერების ცოდნით და მანვე მოუწოდა, რომ სიმბოლოების მეშვეობით ზეციურის მსგავსი ტაძარი აეშენებინა. და მანაც, სწორედ ასე შეიმკო თავისი სული მთლიანად ქრისტეთი ანუ სიტყვით, სიბრძნითა და ნათლით... შეუძლებელია იმის აღწერა, თუ რაოდენ კეთილშობილური სიუხვით და ამოუწურავი გონებით, ყოველი თქვენგანის მეტოქეობითა და შეწირულობათა ბრწყინვალებით შეიქმნა იგი ისე, რომ კეთილშობილურ საქმეებში ეჯიბრებოდით ერთმანეთს, რათა არაფერში ჩამორჩენოდით მას, ვინც უკეთესი ნიმუშის მიხედვით და ბუნებით მისი მსგავსი, უზენაესი ღმერთის პირველი ტაძარი ააგო, ვითარცა სილული სახე უხილავი ნიმუშისა. (...)

წინასწარ თქმულა: უნდა იხაროს იმან, ვინც ღვთისგან უდაბნოდ ქცეულა მისი მძიმე ტყვეობისა და გატიალების სიბილწის შემდეგ, და აი, ამ ჩვენმა ახალმა და მშვენიერმა ზორობაბელმა, თავისი გონების მახვილი ყურადღებით, ამ მგონემ გვერდი არ აუარა მკვდრადქცეულ ცხედარს. ყოველი თქვენგანის საერთო თანხმობით დანიშნულმა, უპირველეს ყოვლისა, მრავალი თხოვნითა და ვედრებით მამას გული მოულბო, თანამებრძოლად და თანამშრომლად აიყვანა ის, ვინც მკვდართა ერთადერთი მაცოცხლებელია, ბოროტისაგან განწმინდა, განკურნა და დაცემული ხელახლა აღადგინა და შემოსილი ჰყავს სამოსით, რომელიც არა წარსულიდან მომდინარე და ძველია, არამედ ისეთი, როგორიც შემდგომ ღვთის წინასწარმეტყველების მიხედვით ისწავლა, რადგან ცხადად თქმულა „და იქნება დიდება ამ უკანასკნელი სახლისა უმეტეს უწინდელზე“.

მთელი ტერიტორია, რომელსაც ის იკავებს, ბევრად დიდია უწინარესზე, მას გარს უვლის მთლიანად ნაშენი გალავანი, იმისათვის, რომ ეზო ყველასათვის უსაფრთხო იყოს. დიდი და მაღლა ატყორცნილი შესასვლელი ამომავალი მზის სხივებისაკენ პირით არის მიმართული, ისე რომ ისინი, ვინც კარგა მოშორებით დგანან ტაძრის შემოზღუდული ტერიტორიის გარეთ, მის შიგნით სრულ სანახაობას აღმოაჩენენ. არა მხოლოდ მათ, არამედ ურწმუნოთა ყურადღებასაც იპყრობს პირველი შესასვლელი, რომ ვინმემ გვერდი არ აუაროს, ისე, რომ ჯერ სული არ შეეძრას იმის გახსენებით, რაც უწინ უდაბურება იყო და ახლა კი საოცარ საკვირველებას წარმოადგენს. იგი იმედოვნებდა, რომ ამის შედეგად მაშინვე მიიზიდავდა ამ სანახაობით შეძრულთა ყურადღებას, და ამის შემდეგ მათ ტაძრის შიგნით შესვლას მოანდომებდა. უწმინდური და განუბანელი ფეხებით ჭიშკარში შემსვლელს შიგნით, წმინდა ადგილებში პირდაპირ არ უშვებდა. რაც შეიძლება დიდი ადგილი შემოზღუდა პირველ შესასვლელსა და ტაძარს შორის, გარშემო ოთხი ურთიერთგადამკვეთი სტოა მოაწყო, ისე, რომ ოთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხედის ფორმის ადგილი შემოფარგლა ყოველი მხრიდან აღმართული სვეტებით. სვეტებშორისი ადგილები ხის ცხაურისებრი გამყოფებით იყო ჩაკეტილი, რომლებიც შესაფერის სიმაღლეს აღეწვდნენ. შუა ატრიუმი ცას უყურებდა და ბრწყინვალე, მზის სხივებით გაჯერებული ჰაერით იყო აღსავსე. აქ დადგა წმინდა განბანის სიმბოლოები: ტაძრის წინ მოაწყო წყაროები. ამ წყლის უხვი ნაკადით ტაძრის გალავნიდან შიგნით შემოსულებს განბანის შესაძლებლობა ეძლევათ. შემსვლელთა ეს პირველი ადგილსამყოფელი თავის წესრიგითა და, ამავე დროს სიმდიდრით შესაფერის თავშესაფარს უქმნის მრავალთ, ვისაც კი პირველი სწავლება ესაჭიროება.

ხოლო როცა ამ სანახაობასაც გაცდებით სიღრმეში, ტაძრის შესასვლელი იღება წინკარით, რომლის ერთ გვერდზე, მზის სხივების მხარეს ისევ სამი კარია გაჭრილი, რომელთა შორის ორ დანარჩენს ბევრად აღემატება სიმაღლითა და სიგანით ის, რომელიც შუაში მყოფობის გამო განსაკუთრებით მორთულია რკინით მოპირკეთებული ბრინჯაოსა და ორნამენტული ბარელიეფების ჩანაჭდევებით, ისე, თითქოს დედოფალს მცველები გარსშემოუდგნენო. ამგვარადვე მოაწყო ყველა წინკარი მთელი ტაძრის ორივე გვერდის გაყოლებით განლაგებული სტოებით, რომელთა ზევით, კიდევ უფრო მეტი შუქისათვის ტაძარს განსხვავებული სარკმელები გაუკეთა და გარშემო მწყობრად განლაგებული ხის ნაკეთობებით მორთო.

სამეუფო სახლისათვის კი გამოიყენა უფრო მდიდრული და დიდი ოდენობის მასალა, რომლისთვისაც განუზომელი სიუხვით გაიღო სახსრები. აქ, ვფიქრობ ზედმეტია, რომ ამ შენობის სიდიდე და სიფართე, ეს ბრწყინვალე სილამაზე და ენით გამოუთქმელი სიდიადე აღვწერო, რომ სიტყვით მიმოვუარო საქმეთა მანათობელ შესახედაობას, მის სიმაღლეს, ცამდე აღწევნულობას და მასზე მდებარე ლიბანის კედართა სიძვირფასეს, რომელთა ხსენებას არც ღვთიური სიტყვა ივიწყებს: „გაიხარებენ“ — თქვა მან — „ხენი უფლისანი და კედრები ლიბანისა, მან რომ დანერგა“ (ფს.104,16).

დაწვრილებით რისთვის უნდა ვილაპარაკო და მივუთითო ტაძრის მოწყობის სიბრძნესა და ხელოვნებაზე და ყოველი მისი მშვენიერი ნაწილის აღმატებულებაზე, როცა საკუთარი თვალით დამოწმება წინ ელობება ყურით გაგონილ სწავლას? და აი, ამგვარად, როდესაც ყოველივე დაასრულა, უმაღლეს ადგილას დადგა ტახტები, რომლებიც თავმჯდომარეების საპატიო ადგილისათვის იყო განკუთვნილი. გარდა ამისა, მთლიანად მწყობრად განალაგა დასაჯდომები. მას მერე, რაც ყველაფერი შესაფერისად მოაწყო, შუაში დადგა წმინდათა წმინდა საკურთხეველი. შემდეგ კი, იმისათვის, რომ მრავალთათვის შეუღწეველი ყოფილიყო, შემოღობა უმშვენიერესი ნაკეთობით მოპირკეთებული ხის ცხაურით, რომელიც მნახველებს საოცარ სანახაობას წარუდგენს. (...)

უდიდესი საოცრებაა ეს და ყოველივე გასაოცარზე უმეტესი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მხოლოდ გარეგნული სანახაობის სურვილით ცხოვრობს. საოცრებათა საოცრება კი არის არქეტიპები, მათი აზრობრივი პროტოტიპები და ღვთისდარი პარადიგმები, რომლებიც, მე ვთვლი, არის განახლება ღვთაებრივი და სულიერი შენობისა ჩვენს სულებში. რომელიც თავად ძემ ღვთისამ შექმნა მსგავსად თვისა, ყოვლით და ყოვლად ღვთის ხატებით შემკული; შექმნა, როგორც ბუნებით უკვდავი, უხორცო, გონიერი, ყოველი მიწიერი ბუნებისათვის უცხო, თვითცნობიერი არსება, პირველად არყოფნიდან ერთგზის ყოფნაში აღდგენილი, წმინდა სძალი და ყოვლადწმინდა ტაძარი საკუთარი თავისა და მამისათვის. (...)

მართლაც სამართლით ამშენებელმა მთელი ხალხის შესაძლებლობები ღირსების მიხედვით განაცალკევა. გარეთ მყოფნი ერთი ღობით შემოზღუდა — მტკიცე რწმენა გარეშემოავლო. (მრავალია ამგვარი და ერი ფრიადი, ვინც ვერ აიტანს უფრო ძლიერი შენობის ზიდვას.) მათ, ვისაც სახლის წინ შესასვლელი მიანდო, ღია ცის ქვეშ დგომა და შემსვლელთა ხელმძღვანელობა განუწესა. ისინი სამართლიანად შენობის კარიბჭედ ითვლებიან. სხვებით შეამაგრა სვეტები, რომლებიც გარეთ პირველები დგას და ოთხკუთხა ეზოს გარემოიცავს. ამ პირველებს ოთხი სახარების წერილის წიაღში შეჰყავთ ადამიანები. სამეფო სახლს ორივე მხრიდან დაუყენა ისინი, ვინც ჯერ კიდევ კათაკმევლები არიან და ზრდასა და წინსვლაში იმყოფებიან. ისინი არც ძალიან დააცილა და არც დიდად განაცალკევა მორწმუნეთა უშინაგანესი ღვთაებრივი ხილვისაგან. ამათგან ღვთაებრივი განბანით ოქროსავით განწმენდილ უბიწო სულებს იღებს და მათ იმაზე უკეთესი ბოძებით (ვიდრე ისინი, რომლებიც გარეთ არიან) წერილის უშინაგანესი საიდუმლო სწავლიდან გამომდინარე განამტკიცებს. სხვებს კი, სინათლისაკენ გაჭრილი ღიობებით ანათებს. მთელი ტაძარი ერთი დიდი წინკარით შეამკო ერთი ყოვლადმეუფის და ერთი ღვთის სადიდებლად, და თანაც ისე, რომ მამის ყოვლისმპყრობელობას ორივე მხრიდან ქრისტესა და სულიწმინდის სადიდებლად სხვა სინათლის სხივები მიეწოდებოდა. საბოლოოდ, ჭეშმარიტების სინათლე და ბრწყინვალება მთელს სახლში, მის ცალკეულ ნაწილებში, უხვად და მრავალფეროვნად გამოჩინა, ყველგან და ყოველი მხრიდან ადამიანთა სულების ცოცხალი, მაგარი და კარგად გათლილი ქვები გამოარჩია და მათგან ყველასგან დიდი და მეფური სახლი მოაწყო, როგორც შიგნიდან, ისე გარედან ბრწყინვალებითა და სინათლით აღსავსე. რადგან არა მხოლოდ სული განუბრწყინა მათ სიწმინდისა და კეთილგონიერების მრავალყოვლისმფლობელობით, არამედ ფიზიკურ მორთულობით, არამედ ფიზიკურ და სხეულიც.

ამ ტაძარში არის ტახტები, უამრავი სკამი და დასაჯდომი, იმდენი, რამდენ კაცზეც წმინდა სულმა დაავანა თავისი მადლი. ისე, როგორც უწინ წმინდა მოციქულთა გარშემო მყოფებს გამოუჩნდათ ის, როცა გაყოფილი ენები მოევლინათ, თითქოს თვითოეული მათგანის თავზე თვითო ცეცხლი დაანთესო. მაგრამ ისე, როგორც ყოველთა უფალში თავად მთელი ქრისტე მყოფობს, იმგვარადვე მათში, ვინც მის მერე მეორე ადგილს იკავებს, ქრისტეს ძალისა და სულიწმინდის მადლი არის იმის შესაბამისად, თუ რა ზომით იტევს მათ თვითოეული მათგანი. ტახტები კი, შესაძლოა, იყვნენ ანგელოზთა და იმათი სულები, რომლებიც ყოველ ადამიანს სწავლისა და სიფხიზლისათვის გადაეცემა. ხოლო როგორია მაღალი, დიდი და ერთადერთი საკურთხეველი, თუ არა ყველასთვის საერთო მღვდლის სულივით უბიწო და წმინდათა წმინდა? რომლის მარჯვენა მხარეს დგას თავად იესო — ყოველთა დიდი მღვდელმთავარი, მხოლოდშობილი ძე ღვთისა. იღებს რა ყველასაგან სურნელოვან საკმეველს, ლოცვის მეშვეობით, უსისხლოსა და უნივთო მსხვერპლს, გაცისკროვნებული მზერითა და ზეაღმართული ხელებით (ზემოთ მიმართული ხელისგულებით) უგზავნის ზეცაში მამას — ყოველთა ღმერთს; პირველად თვითონ თაყვანს სცემს მამას და მარტო სათანადო პატივს მიაგებს მას, შემდეგ კი ევედრება, რომ მუდამ დარჩეს მოწყალე და ლმობიერი ყოველი ჩვენგანის მიმართ.

ასეთია ის დიდი ტაძარი, რომელიც დიდმა, ყოვლის შემოქმედმა სიტყვამ აღმართა ცისქვეშეთში, მთელს მსოფლიოში.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა

ლელა პატარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთარგმნელისაგან

„საზეიმო სიტყვა ეკლესიების აღმშენებლობის შესახებ თქმული ტვიროსელთა ეპისკოპოსის პავლინოსის მიმართ“ ეკუთვნის ეკლესიის ისტორიის პირველაღმწერს — ევსები კესარიელს და შესულია მისი „საეკლესიო ისტორიის“ მაეთე წიგნში. პავლინოსი — ევსების ადრესატი მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, ფინიკიის ტვიროსის ეპისკოპოსი ევსები კესარიელის მეგობარი და ამავე დროს მისი „საეკლესიო ისტორიის“ დამკვეთია. ტვიროსის საკათედრო ეკლესია, რომელიც პავლინოსს აუგია, ევსების თქმით, იყო „ბრწყინვალე ტაძარი, ფინიკიის ქვეყანაში არსებულ ყველა ტაძარზე უმჯობესი“ (ევს. საეკლ. ისტ. X-IV). სწორედ ამ ეკლესიის კურთხევის ცერემონიალზე (315 წ.) წარმოუთქვამს ევსები კესარიელს პავლინოსის პანეგირიკი (ქება). შემდგომ კი ეს „სიტყვა“ შეუტანია თავის „ისტორიაში“.

ევსები კესარიელის ეს „სიტყვა“ ღირსშესანიშნავია იმით, რომ მასში ფართოდ იშლება ეკლესიის აგების საღვთისმეტყველო საფუძვლები და აგრეთვე, იმითაც, რომ ის წარმოადგენს ქრისტიანული ეკლესიის აღწერის პირველ დადასტურებას.

ეკლესიის კურთხევის ცერემონიალზე წარმოთქმული ეს „სიტყვა“ მართლაც გამსჭვალულია ქრისტიანული ეკლესიის გამარჯვების პათოსით. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ისინი იმ დროში ცხოვრობენ და მომსწრენი არიან იმ მოვლენებისა, რომელშიც ბიბლიური წინასწარმეტყველების აღსრულება და ღვთის მომასწავებელ ნიშანთა გამჟღავნება ხდება. იგი ამბობს: „ახლა კი, როცა არც მოსმენითა და არც სიტყვიერი გადმოცემით, ჩვენი ყოვლადკეთილი და ყოვლისმპყრობელი ღვთის მაღალი მკლავი და ზეციური მარჯვენა არ გვეცხადება, საქმით კი, როგორც იტყვიან და საკუთარი თვალით ვრწმუნდებით იმაში, რომ სარწმუნოა და ჭეშმარიტი ის, რაც უწინ მეხსიერებით გადმოგვეცა. ამიტომ შეგვიძლია უკვე მეორე, გამარჯვების ჰიმნი ვიგალობოთ და ცხადად წარმოვთქვათ ამ სიტყვებით: „როგორც ვისმინეთ, ისე ვიხილეთ ძალთა უფლის ქალაქში, ჩვენი ღმერთის ქალაქში“. ღვთის ქალაქი — ახალი იერუსალიმი არის ახლადდამყარებული ეკლესია — ასე განაგრძობს ევსები კესარიელი და ამბობს: „რომელ ქალაქში, თუ არა ამ ახლადდამყარებულსა და ღვთივნაგებ ქალაქში, რომელიც არის ეკლესია ცოცხალი ღვთისა, სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა?“

ავტორი თავის „საზეიმო სიტყვაში“ ერთმანეთის მონაცვლეობით საუბრობს ეკლესიაზე — როგორც თვალით ხილულ შენობაზე და ეკლესიაზე — როგორც ადამიანთა სულებისგან შემდგარ ღვთის ნაგებ სხეულზე: „მისი სახლი მტკიცედ არის დაშენებული მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირკველზე, სადაც თვითონ ქრისტე იესოა ქვაკუთხედი (ეფეს 2.26.). იესო უარყვეს ბოროტის მზრახველთა, ხოლო ღმერთმა გამოარჩია იგი და „ჩვენი ეკლესიის“ ქვაკუთხედად აქცია. „ჩვენი ეკლესია“ — განმარტავს ავტორი, არის ცოცხალი, თავად თქვენგან შემდგარი ცოცხალი ტაძარი ცოცხალი ღვთისა, რომელშიც ვგულისხმობ მართლაც ღვთის შესაფერ წმინდა ადგილს, რომლის შუაგულში არსებული საწმინდარი მრავალთათვის უხილავია და წმინდაა იგი და წმინდათა წმინდა. განა მისი მნახველი გაბედავს მის აღწერას, ანდა ვინმე შეძლებს შეიხედოს შემოზღუდული ტაძრის შიგნით, გარდა მხოლოდ ქვეყნის დიდი მღვდელმთავრისა? მას ერთადერთს აქვს უფლება ყოველი გონიერი არსებობის საიდუმლოს გამოძიებისა“. პირველი და დიდი მღვდელმთავარი არის იესო ქრისტე. მხოლოდ მას ეძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევა უფლება ადამიანთა სულის საიდუმლოს ხილვისა.

ავტორი თვლის, რომ იესოს შემდეგ იერარქიულად მომდევნო ქვედა საფეხურზე მდგომი მღვდელმთავარი მაცხოვრის დარად უფლებამოსილია წარმართოს მისი მრევლის სულიერი ცხოვრება. რადგან, თუ პირველი და დიდი მღვდელმთავარი — იესო „რასაც მამა აკეთებს,... ძეც იმასვე აკეთებს" (ი.5,19), ასევე ეს მღვდელმთავარი შეძლებისდაგვარად სწავლობს და ბაძავს მის მასწავლებელს — იესოს. ამით ის ემსგავსება ბესელიელს, რომელიც აღვსილია ღვთისგან ცოდნითა და სიბრძნით და მისი შთაგონებით ქმნის ზეციური პირველსახის ხატს დედამიწაზე — ტაძარს. სწორედ ამგვარად ესახება ევსები კესარიელს ტვიროსის ეკლესიის აღმშენებლის — პავლინოსის მოღვაწეობა. იგი წერს: „და მანაც სწორედ ასე შეამკო თავისი სული მთლიანად ქრისტეთი ანუ სიტყვით, სიბრძნითა და ნათლით... და უკეთესი ნიმუშის მიხედვით, და ბუნებით მისი მსგავსი, უზენაესი ღვთის ბრწყინვალე ტაძარი ააგო, ვითარცა ხილული სახე უხილავი ნიმუშისა'. ამგვარად, ავტორი ხაზს უსვამს, რომ ტაძარი — ეკლესია არის ხილული — ცხადი სახე უხილავი, უჩინო, ღვთის ზეციური სახლისა.

ევსები კესარიელი დაწვრილებით აღწერს ტაძრის ხილულ სახეს: ტაძრის ფართობი, მის გარშემო კედლით შემოზღუდული ვრცელი ტერიტორიითურთ, ძალზე დიდი ყოფილა. შესასვლელი ტაძრისა მდებარეობდა ზუსტად ამომავალი მზის პირდაპირ, ისე, რომ შორს მდგარ ადამიანსაც შეეძლო ტაძრის შიგნითა სივრცის აღქმა. ამიტომ ის არაქრისტიანთა ყურადღებასაც იპყრობდა და იზიდავდა მათ. თვით ტაძრის შენობასა და გალავნის შესასვლელს შორის სტოათი ყოველი მხრიდან შემოფარგლული იყო ოთხკუთხა სივრცე. ტაძრის ამ წინა სივრცეში — ატრიუმში განლაგებული იყო განწმენდის სიმბოლოები, გაჭრილი იყო წყაროები, სადაც ხელი ბანდებოდა. თვით ტაძარს წინ ჰქონდა პროპილეუმი — სვეტებიანი შესასვლელი სამი კარით, რომელთაგან შუა უდიდესი იყო. ტაძრის პროპილეუმი და სარკმელები გარედან შემკული იყო ბარელიეფური მოკაზმულობით. ტაძრის შუაგულში დადგუმული იყო წმინდათა წმინდა — საკურთხეველი. და იმისათვის, რომ ეს ადგილი ყველასთვის მისაწვდომი არ ყოფილიყო, შემოფარგლული იყო ხის ზღუდით. ამ ბრწყინვალე შენობის საშენი მასალის შესახებ განსაკუთრებით აღნიშნავს ევსები კესარიელი, რომ მისთვის გამოუყენებიათ უძვირფასესი ხე — ლიბანის კედარი. ამ გარემოებასაც ავტორი ბიბლიური წინასწარმეტყველების სამზერიდან უჭვრეტს და აღიქვამს როგორც მის ცხად დადასტურებას: „განძღენ ხენი უფლისანი და კედრები ლიბანისა, მან რომ დანერგა" (ფს.103,16) იხსენებს იგი ფსალმუნის სიტყვებს.

ტაძრის ხილული სახის აღწერის შემდეგ, სულიერი, თვალით უხილავი ტაძრის რაობაზე საუბრობს „საზეიმო სიტყვის" ავტორი. იგი მას შენობის არქიტექტორული დეტალების მოშველიებით აღწერს. მაგალითად, მტკიცე რწმენა არის ის კედელი, რომელიც ეპისკოპოსმა მორწმუნეებს გარსშემოავლო. ტაძრის სვეტები არიან ის პირნი, ვისაც ეკლესიის შენობა ეყრდნობა და ვისაც ქრისტიანული სწავლების სიღრმეებში შეჰყავთ მორწმუნეები. როგორც სულიერი ეკლესია, ისე მისი ნივთიერი გამოხატულება აგებულია ისე, რომ სიწმინდე და საკრალიზმი (დაფარულობა) ტაძრის სიღრმისკენ მიახლოებისას მატულობს და თავის კულმინაციას საკურთხეველში „წმინდათა წმინდათაში" აღწევს. საკურთხეველში არავის ძალუძს არა თუ შესვლა, შიგნით შეხედვაც კი. გარდა დიდი მღვდელმთავრისა, რომელიც არის იესო ქრისტე, და რომლის ადგილსაც ხილულ ტაძარში მღვდელი იკავებს. საეკლესიო ღვთისმსახურებაც ევსები კესარიელის წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახვაში არის სწორედ იმ მსხვერპლ-შეწირვის განმეორება, რომელიც იესომ მისი სულის საკურთხეველზე აღ-სრულა კაცობრიობის ხსნისათვის. ევ-სები ასე ამბობს: „ხოლო როგორია მა-ღალი, დიდი და ერთადერთი საკურთ-ხეველი, თუ არა ყველასთვის საერთო მღვდელის სულივით უბიწო და წმინ-დათა წმინდა? რომლის მარჯვენა მხარ-ეს დგას თავად იესო — ყოველთა დიდი მღვდელმთავარი, მხოლოდშობილი ძე ღვთისა. იღებს რა ყველასგან სურნ-ელოვან საკმეველს, ლოცვის მეშვეო-ბით, უსისხლოსა და უნივთო ესხვერპლს, გაცისკროვნებრული ზზე-რითა და ზეაღმართული ხელებით (ზემოთ მიმართული ხელის გულებით) უგზავნის ზეცაში მამას — ყოველთა ღმერთს. პირველად თვითონ თაყვანს სცემს მამას და მარტო სათანადო პა-ტივს მიაგებს მას, შემდეგ კი ევედრება, რომ მუდამ დარჩეს მოწყალე და ლმო-ბიერი ყოველი ჩვენგანის მიმართ. ასე-თია ის დიდი ტაძარი, რომელიც დიდმა, ყოვლის შემოქმედმა სიტყვამ აღმართა ცისქვეშეთში, მთელს მსოფლიოში“...

ტვიროსის ეპისკოპოსის პავლინოსის მიმართ თქმული „საზეიმო სიტყვა“ არ-ის ცოცხალი დოკუმენტი იმ დროისა, როცა ქრისტიანობა დევნილებისა და გავერანების შემდეგ ზეიმობდა საბო-ლოო გამარჯვებას. ხელახლა შენდებო-და დანგრეული ეკლესიები, თანაც უწი-ნარესზე უფრო დიდი და ბრწყინვალე, რომ, როგორც ევსები კესარიელი ამ-ბობს, ეკლესია სრულად დამტკბარიყო ხსნის აღმშენებლობით. ეკლესიათა კურთხევის, იგივე განახლების, საზეი-მო ცერემონიალებიც სწორედ ამ სუ-ლისკვეთებით იყო გამსჭვალული. „სა-ზეიმო სიტყვიდან“ კარგად ჩანს, თუ რა საღვთისმეტყველო შინაარსი იყო, რო-გორც ტაძრის არქიტექტურულ აღნა-გობაში, ისე თვით მისი აღმართვის ფაქტში. ეს, რა თქმა უნდა, ზოგად-ქრისტიანული მოვლენაა, ამიტომ სა-ფიქრებელია, რომ გაქრისტიანებისა და ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნების პროცესს იგივე იდეოლოგიური საფუ-ძველი დაედებოდა საქართველოშიც. მართლაც, მეოთხე საუკუნის ჰაგიოგრა-ფიულ ძეგლში „ცხოვრება წმიდისა ნი-ნოჲსი“, რომელიც ქართლის გაქრის-ტიანების ამბავს მოგვითხრობს, მრავა-ლი აზრი, მინიშნება თუ მითითება მო-იძებნება ისეთი, რომერლსაც ბევრი აქვს საერთო ევსები კესარიელის მიერ გად-მოცემულ საეკლესიო აღმშენებლობის ღვთისმეტყველებასთან. უნდა აღინიშ-ნოს ისიც, რომ ქართული წყაროსათვის ნიშანდობლივია ერთგვარი სიტყვაძუნ-წობა. იგი მხოლოდ მინიშნებებითა და სიმბოლოებით გამოხატავს იმას, რასაც ბიზანტიელი ისტორიკოსი ვრცელ თე-ოლოგიურ ექსკურსებს უძღვნის.

მცხეთაში პირველი ეკლესიის აგების ამბავი „ნინოს ცხოვრებაში“ მთელი რიგი „სასწაულებით“ — ღვთის მომას-წავებელი ნიშნებით არის შემაგრებუ-ლი: იმ ადგილას, სადაც ტაძარი უნდა აიგოს, დაფლულია უფლის კვართი; იმ-ავე ადგილას წმ. ნინო ხედავს ჩვენებას, რომელიც ზეციური სამოთხის სიმბო-ლური გამოხატულებაა. ამ ჩვენებას ახ-ლავს განმანათლებლის მოწაფე-ქალის— სიდონიას ინტერპრეტაცია, რომელიც ასეთი სიტყვებით სრულდება: „იერუსა-ლემ, იერუსალემ, ვითარ განგიმარტვან შვილნი შენნი და შეიკრებ ყოველთა ცის კიდისა ნათესავსა ფრთეთა ქუეშე შენთა (შეად ლ. 13,34, მ. 23.37)... ჩუენ-ება შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სამოთხისაჲ შენ მიერ იქმნეს სამოთხეჲ სადიდებლად ღმრთისა“ — წმ. ნინოს ჩვენება და მისი სიდონიასეული ინტერ-პრეტაცია მცხეთაში მეფის „სამოთხე-ში“ (ბაღში) — ახალი იერუსალიმის, ამქვეყნიური სამოთხის — ეკლესიის დამყარებას მოასწავებს. (შეად. „საზეი-მო სიტყვა“).

ეკლესია — ახალი იერუსალიმი, ღვთის ქალაქი, რომელიც აქამდე, ევ-სების სიტყვებით რომ ვთქვათ, მძიმე ტყვეობასა და გატიალების სიბილწეს განიცდიდა, ხოლო მას მერე, რაც ქრის-ტიანობის გამარჯვების ჟამი მოიწია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინვალე, „სამეფო სახლად“ იქცა. განა იგივეს გამომხატველი არა რის მირიან მეფის სიტყვები, როცა განმათლებლის შესახებ ამბობს: „ხოლო ოდეს მოიწია ჟამი და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი, მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისაჲ, წმიდაჲ ნინო, პირველ ვივთარცა ტყუე, ვითარცა უცხო და ვითარცა მწირი... რომელიც აწ მექნა ჩუენ ტყუე იგი დოდოფალ, უცხოჲ იგი — დედა“ — მაშასადამე, ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ ტყვე იქცა დოდოფლად, უცხო — დედად და ა.შ. ეკლესიის გზა: ტყვეობიდან სამეფო სახლამდე — ევსები კესარიელთან და განმანათლებლის გზა: (რომელიც იგივე ეკლესიის გზის გამომხატველია) ტყვე — ქალიდან დედოფლამდე — „ნინოს ცხოვრებაში“ თანაბარი შინარსისა და ძაქის სახეებია.

ეკლესია, როგორც ტაძარი — არქიტექტურული ნაგებობა არის ცხადი — ხილული ხატი უხილავი ღვთის სახლისა — ასე თვლის ევსები კესარიელი. თითქოს იმასვე უნდა მიუთითებდეს მირიან მეფის სიტყვები: „და აღვაშენე ეკლესია მაყულოვანსა მას შინა ნინოჲსსა, და ვქმენ მას შინა საქმეჲ, ქმნული უჩინოჲ და ცხადი, დიდებაჲ მაყულოვანთა მათ...“ ეს სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: მეფისთვის ეკლესიის აგება, არის ღვთის მიერ „ქმნული უჩინოს“ ცხადად ქცევა ეკლესიის აგებით. მაშასადამე, ღვთისგან ქმნული უჩინო, ცხადი საქმეა ეკლესიის აგება — ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხილული ტაძარი უხილავი, ღვთის ნაგები სახლის ხატია, ცხადი გამოსახულებაა.

როგორც ევსები კესარიელის „საზეიმო სიტყვიდან“ დავინახეთ, ქრისტიანული ტაძრის სიწმინდე და საკრალიზმი თავის კულმინაციას საკურთხეველში პოვებს, რომელიც არის „წმინდათა წმინდა“, რომელიც მრავალთათვის უხილავია და რომელშიც შესვლის უფლება აქვს მხოლოდ მღვდელმთავარს, როგორც დიდი მღვდელმთავრის — იესოს ადგილის მპყრობელს. თავად საკურთხეველი ევსებისთან ასიმბოლოებს სულს ღმრთისას, რომელზედაც უხორცო და უსისხლო მსხვერპლი იწირება პირველი მღვდელმთავრის — იესოს მიერ.

„წმიდაჲ წმიდათაჲ“ — ასე ერქვა მცხეთის პირველაგებულ ეკლესიას, რომელშიც ვერავინ ბედავდა შესვლას „თვინიერი მღვდელთასა“. მირიან მეფე ამბობს: „რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა ერქუა „წმიდაჲ წმიდათაჲ“. და ყოლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად, თვინიერ ხოლო დღესა კვირიაკესა, არცა შესლვად ვინ იკადრებდა თვინიერ მღვდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა“... ამ ეკლესიის საძირკველში დასვენებული უფლის კვართისა და მის თავზე სასწაულებრივად ზეაღმართული სვეტის სიწმინდის შესახებ კი ასეა თქმული: „და ახედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა და მიხედვადცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თვით ვხედავ“. ტვიროსის საკათედრო ეკლესიის საკურთხევლისა და მცხეთის საკათედრო ტაძრის სახელწოდებათა და რიტუალთა მსგავსება აქ საერთო თეოლოგიური საფუძვლების არსებობას გვაფიქრებინებს. იმ განსხვავებით, რომ მცხეთაში მთელ ტაძარს ჰქონდა, როგორც ჩანს, საკურთხევლის სტატუსი.

ევსების „საზეიმო სიტყვისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ რიგი პასაჟების პარალელები მიუთითებენ, რომ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დადასტურებული ეკლესიის აღმართვის ღვთისმეტყველება სავსებით ეხმიანება კესარიის ეპისკოპოსის მიერ 315 წ. წარმოთქმულ სიტყვას. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ ეს ორი თხზულება ერთი ეპოქის და ერთის სულისკვეთების ნაყოფია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია ნინიძე

მართლის გზა—„ორი დანაკი“

ილია ჭავჭავაძის თხზულებები განსაკუთრებით ღირებული იმითაა, რომ მაღალი მხატვრული ოსტატობის გარდა ზნეობრივად მწვრთნელი და სულიერად განმწმენდელია. ძალზედ საგულისხმოა ამ მხრივ დაკვირვება ილიას შემოქმედებითი მოღვაწეობის შუა პერიოდში შექმნილ პატარა მოთხრობაზე — „სარჩობელაზედ“. ნაწარმოების სიუჟეტი საკმაოდ მძაფრია, მაგრამ, ისევე როგორც მწერლის სხვა თხზულებებში, ავტორის ყურადღება აქაც ძირითადად გმირთა სახეების გამოქანდაკებაზეა გადატანილი. როგორები არიან ისინი?

ერთერთ გმირს — ბეჟანს ასე გვაცნობს ავტორი: „იმისი სხარტი და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული“. გმირის სულისა და ხორცის ეს ურთიერთშერწყმული სურათი სავსებით ნათლად წარმოგვიდგენს მის არაკეთილშობილურ ბუნებას, მაგრამ, ამას გარდა, მწერალი იქვე ამახვილებს ყურადღებას არანაკლები მნიშვნელობის ერთ ფაქტორზე, — რომელმაც განაპირობა ამ კაცის „თვითრჯული“ და „უჯიათი“ ხასიათის საბოლოოდ გაუკულმართება და განსაზღვრა მისი შემდგომი ბედი: „იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ დადგებოდა, — შესამჩნევი არა იქნებოდა რა, ავის კაცის კვალზედ დადგებოდა, — ქურდ-ბაცაციობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა“. როგორც ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ამ გმირს თავიდანვე არ ჰქონია კეთილშობილური ზნე და ხასიათი, ცხოვრებაში გზის გამკვალავიც არ ჰყოლია ღირსეული და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში სწორედ ამას უთამაშია გადამწყვეტი როლი.

ბეჟანიც იმავ უკეთურ კანონებს დაემორჩილა, რაც მის გარშემო იყო გამეფებული. მან ისე შეისისხლხორცა მლიქვნელობა და გაიძვერობა, ისე აღივსო ბოროტებითა და სიძულვილით, იმდენად დაუნდობელი გახდა, რომ ბოლოს კაცის კვლამდეც კი მივიდა, — მამინაცვალს ცემით ამოხადა სული. მიუხედავად ამისა, სარჩობელასთან მდგომი, გაფითრებული, შეშინებული, სრულიად დაუცველი უთანაგრძნო და განწირული იგი თავადაც სხვების მსხვერპლია და ამიტომ მკითხველში მაინც სიბრალულს იწვევს. სახრჩობელის ირგვლივ შეკრებილი ხალხი სეირს უყურებს და არც კი ფიქრობს, რომ მათ თვალწინ, მათივე უხმო დასტურით იღუპება ერთი მათთაგანი, მათივე სისხლი და ხორცი, რომელიც შესაძლოა ზოგ მათგანზე უფრო ცოდვილი არც კი იყოს.

ნაწარმოების სიუჟეტში ბეჟანი ცენტრალური ფიგურაა, მაგრამ მწერალი ნაკლებად ცდილობს მისი ხასიათის გაშლას. ეს „გულნამცეცა“ ადამიანი ასეთივე გულნამცეცა საზოგადოების გარემოცვაში ფერმკრთალად გამოიყურება და მიუხედავად თავისი მდგომარეობის უკიდურესი ტრაგიზმისა, პიროვ-

ნულად განსაკუთრებით არ გამოირჩევა.

რაც უფრო ვუღრმავდებით მოთხრობის ძირითად სათქმელს, მით უფრო მკვეთრად იკვეთება სხვა ორი გმირის სახე. ესენია ბეჟანის უმცროსი ძმა და მეურმე პეტრე.

ბეჟანის დატყვევებამდე ძმების ცხოვრება ერთნაირად მიედინებოდა: ისინი ერთ ოჯახში დაიბადნენ, ერთად გაატარეს ბავშვობა და სიყმაწვილე და მთელი ამ ხნის მანძილზე არავისაგან, თვით დედისა და ახლობლებისაგანაც კი, არც სითბო უგრძვნიათ და არც მზრუნველობა. ისინი ქურდობისა და ძარცვის გზასაც ერთად დაადგნენ და ადამიანიც ერთად შემოაკვდათ, მაგრამ მწერალი მაინც ახერხებს მათ ხასიათებში მკვეთრი განსხვავების ჩვენებას. უმცროსი ძმა ბუნებით არ არის უკეთური. მას „სხვა ნიშანწყალი" ჰქონდაო, — წერს ავტორი. იგი შინაგანად ეწინააღმდეგება ბოროტებას, არ უნდა, რომ იცრუოს, არ უნდა, რომ იქურდოს, მაგრამ იმდენად არის ჩათრეული გარემომცველ წუმპეში და ისეა მინებებული უფროსი ძმის ბოროტ ნებას, რომ ძალაუნებურად თავადაც ყოველგვარ ავკაცობას ჩადის მასთან ერთად.

მოთხრობის ამ ეპიზოდის ადრეული ესკიზის ერთ ადგილას ნათქვამი იყო უმცროსი ძმის შესახებ: „ისე სულგანაბული იყო, ისეთი დაშინებული, თითქო სული უფროსის ხელში არისო". რა თქმა უნდა, ძველი ჩანახატების მიხედვით მოთხრობის გმირზე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ უფროსი ძმის უარყოფითი გავლენა უმცროსზე, რომელიც ზემოთ მოხმობილ ციტატაში ასე ცხადად იყო წარმოჩენილი, მოთხრობის შინაარსზე დაკვირვებიდანაც საკმაოდ გარკვევით ჩანს. აქაც ბეჟანია ყოველგვარი ავკაცობის მოთავე. მეურმეებიც მან მოატყუა და ჯიბეებიც მან დააჭრა პეტრეს, უმცროსი ძმა კი შორიდან უყურებდა ყოველივე ამას. იგი ჯერ ტუქსავდა და აფრთხილებდა ბეჟანს, შემდეგ, მოხუცის გაძარცვისას — მართალია, ხმა ვერ ამოიღო და ხელი ვერ შეუშალა, მაგრამ გული მაინც ეტკინაღრღნებოდა და წუხდა. ბოლოს ისიც დამორჩილდა ბოროტის ნებას, „გაწყდეს საცა წვრილიაო", თქვა და შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა — უხმოდ მიჰყვა დინებას. ის ფაქტი, რომ ცხოვრების ლექმა არა მარტო ბეჟანის, არამედ უმცროსი ძმის ჩათრევაც შესძლო, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძმების გზიდან აცდენაში სწორედ გარემომ და არა მათმა ადამიანურმა ბუნებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

კეთილბუნებოვანი გმირის გაუკეღმართებული ცხოვრება ილიას სხვა ნაწარმოებებშიც აქვს ასახული, მაგრამ გაბრიელიც, კაკოც და ზაქროც, ისევე, როგორც უმცროსი ძმა, ბოროტებითვე შეეცადნენ ბოროტების აღმოფხვრას. გმირთა ამ სახეებს აერთიანებს ისიც, რომ მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი სასიკვდინე ცოდვებისა, არცერთს არ აწუხებს სინანული და ოდესღაც სიკეთით გამთბარ გულებში ბოროტება დაბუდებიათ. სხვა გმირებივით არც უმცროსი ძმა ნანობს იმას, რომ კაცი შემოაკვდათ. როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს ადამიანის სიკვდილმა მათ თავზარი კი არ დასცა, კი არ დააფიქრა, ეს რა ჩავიდინეთო, პირიქით, კიდევ იქაურობის აკლებას აპირებდნენ პოლიციას რომ არ მიესწრო.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ" ილიას სხვა თხზულებების მსგავსად, მწვავედ დგას ადამიანთა შორის ხიდჩატეხილობის პრობლემა (პირველად „ხიდჩატეხილობაზე" საუბარი „გლახის ნაამბობში" გვხვდება), მაგრამ ამ მხატვრული სახის ქვეშ იგულისხმება არა სოციალურ ფენათა შორის დაპირისპირებულობა, როგორც ამას ხშირად განმარტავენ, არამედ ზოგადადამიანური პრობლემა ობლად დარჩენილი გულისა. ხიდი ჩატეხილია საერთოდ ადამიანთა გულებს შორის და არა მხოლოდ განსხვავებულ წოდებებსა და საზოგადოებრივ ფენებს შორის. ეს რომ ასეა, ამაზე აშკარად მიუთითებს უმცროსი ძმის სიტყვები: „ძძულს ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანა და ადამიანი უფრო, ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი. მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ, მრავალნი, იქით...“ იგი გაუცხოებას და სიშორეს გრძნობს არა საზოგადოების რომელიმე ფენასთან, არამედ მთელ საზოგადოებასთან, საერთოდ ადამიანთან.

ერთადერთი რამ, რაც ბეჟანის ძმას ჯერ კიდევ ასულდგმულებს, არის მის გულში შერჩენილი ის სითბო, რომელიც პეტრეს მიერ გამოჩენილმა გულკეთილობამ ჩაუსახა და, მიუხედავად იმედის გაცრუებისა, ჯერ კიდევ ულვივის, „როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი“. მაგრამ იგი გრძნობს, რომ „ისიც მალე გაქრება“ და სწორედ ეს არის ამ გმირის ტრაგედია. ეს მინავლებული ცეცხლი სიცოცხლის ძალაა. ვიდრე იგი ოდნავ მაინც ბჟუტავს კაცის გულში, იგი საბოლოოდ განწირული არ არის და მისი მობრუნება ჯერ კიდევ შეიძლება. თუ ჩავუკვირდებით, აქ ჩანს მწერლის ჩანაფიქრი — მკითხველს „თვალი გულისა“ აუხილოს და დაანახოს ასეთ განწირულ, მიტოვებულ და დაცემულ ადამიანთა გასაჭირი, მკითხველის გულებში გამოწვეული თანაგრძნობით ნუგეშისმცემლები გაუჩინოს მათ, კვლავ გააღვივოს იმათ გულებში მიმქრალი ნაპერწკალი და ერთ დიდ ცეცხლად შეკრიბოს „ჩვენის ქვეყნის გაცივებულის გულის გასათბობლად“.

პეტრეს ისეთი თვისებები, როგორიცაა სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა, ენაწყლიანობა თითქოს გენეტიკურად დევს ქართველ კაცში და ამიტომ ძალზე ტიპიურია როგორც ილიას, ისე სხვა ქართველი მწერლების მიერ შექმნილი სახეებისათვის, მაგრამ აქ არაჩვეულებრივად არის გახსნილი გმირის ხასიათისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი სხვა თვისება და მისი წინააღმდეგობრივი ბუნებაც.

თუ დასაწყისში პეტრე ერთგვარ თავმდაბლობას ამჟღავნებს იმით, რომ ყმაწვილებს უკეთესი ვახშმით უმასპინძლდება და თავის ნაბადსაც უთმობს, მოთხრობის მეორე ნაწილში იგი ამპარტავნებისაგან გაფუყულია. მოდიოდა ქალაქში, მაგრამ როგორ მოდიოდაო, გვეუბნება ავტორი და აღგვიწერს: „იმავე თავმოწონებით, როგორც უწინ, ხოლო ეხლა სხვა მიზეზი ჰქონდა თავმოწონებისა... ეხლა ამის ღვინის ურემზედ მისი უფროსი შვილი ეჯდა და ხარკამეჩს ისა ჰხმარობდა. თითონ კი გადაებოტნა უშველებელ სავსე რუმბზედ და ყეინსავით გამოჭიმული იჯდაო“. თუ დასაწყისში იგი შემწეობას აღმოუჩენს უცნობ ყმაწვილებს, მოთხრობის ბოლოს საერთოდ არ ერევა იმ განუკითხავობაში, რაც მის თვალწინ ხდება. მართალია, თავად არ მონაწილეობს, მაგრამ არც ეწინააღმდეგება.

საერთოდ პეტრე ამ მოთხრობის ყველაზე საინტერესო სახეა. მოთხრობის პროლოგშიც და ეპილოგშიც ყურადღება მასზეა აქცენტირებული და მოთხრობის უკანასკნელი სიტყვებიც მას უკავშირდება. ჩამოხრჩობილის ძმა პეტრეს ადანაშაულებს თავისი ძმის სიკვდილში. პეტრე ამბობს, მე რა შუაში ვარო და მწერალი სვამს რიტორულ შეკითხვას: „მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“ აი ამ შეკითხვაშია სწორედ ჩადებული მწერლის ძირითადი სათქმელი. ილია თავისი თხზულებების ბოლოს ხშირად უთმობს ასპარეზს მკითხველს — რიტორული შეკითხვით ან მრავალწერტილით გადააბარებს ხოლმე მას მოთხრობაში წამოჭრილ საკითხებს ფიქრის გასაგრძელებლად და დასკვნის გამოსატანად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწერალს ამ რიტორულ შეკითხვებზე თავისი კონკრეტული პასუხი არ გააჩნია. მოთხრობის შინაარსზე დაკვირვებიდან და მხატვრული სახეების ანალიზიდან ჩანს, რომ ავტორს ეს ყველაფერი სტილისტურ ხერხებსა და მხატვრულ სახეებში შეფარული ნაწარმოებშივე აქვს მოცემული.

დავაკვირდეთ, რაზე უნდა მიგვანიშნებდეს მოთხრობის ბოლოში დასმული რიტორული შეკითხვა. იგი გამოძახი-

ლია უმცროსი ძმის ბრალდებაზე და მწერალი მასში რომ იმას გულისხმობდეს, — პეტრე ნამდვილად არ არის დამნაშავეო, მაშინ იგი უნდა ეწინააღმდეგებოდეს უმცროსი ძმის ბრალდებას. ვნახოთ რამდენად ლოგიკურია ეს.

პეტრე სიკვდილით დასჯის ცერემონიალზე შემთხვევით არ მომხდარა. მან გაიგო, რომ როცა ზარბაზანი გავარდებოდა, მახათაზე კაცს ჩამოახრჩობდნენ და შეეხებულად წავიდა იქ: ბევრი ვაივაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეში... მოდი, ერთი ესეცა ვნახოო. თავისი ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით მანვე ასე შეაფასა: „კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით კი გამომიწია და!.. ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებსო“.

პეტრე ჩამოხრჩობასაც და ჯამბაზობასაც სანახაობად თვლის და მათ შორის დიდ სხვაობას არ ხედავს. როცა იფიქრებს. ქალაქელები მატყუილებენ და ნამდვილი ჩამოხრჩობა კი არა, ჯამბაზობა გათამაშდებაო: „არც ეგ არის ურიგოო, იტყვის“, „ეგ უფრო კარგიც იქნება, თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავია. კატა ხომ არ არის. აიღო და ჩამოჰკიდო: რაც უნდა იყოს, ღვთის სული, ადამიანია“. მაგრამ ამასთან ერბად დასძენს: „ღვთის წინაშე კი იქავ რომ მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ. იქნება არ წამოვსულიყავიო“. ესე იგი, მას კი ეცოდება „ღვთისკერძო ადამიანი“, როგორც თავად ამბობს, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც სანახაობა ნამდვილი ჩამოხრჩობა ურჩევნია, რადგან ჯამბაზობაში მას ატყუილებენ, ჩამოხრჩობისას კი სინამდვილეს უჩვენებენ. ეს რომ ასეა, ამას აღასტურებს სხვა ეპიზოდიც. მას შემდეგ, რაც ყმაწვილი ჩამოახრჩვეს, პეტრე კვლავ გაურკვევლობაში იყო, მაგრამ დაცინვის შიშით არც მაშინ კითხულობდა ამბავს. როგორც მწერალი ამბობს: „ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო რაში ტყუვდება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა. სწორედ გითხრათ, პირველში მოტყუებას უფრო ჰთაკილობდა მისი გული: აბა თვალთმაქცობამ ტყუილი მართლად როგორ უნდა მაჩვენოს ამ დროულ კაცსაო. და მართალი კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი; მაგას როგორღაც უფრო ადვილად ჰყაბულობდა ჩვენი პეტრე...“ ამრიგად პეტრემ თავის შეცდომაში შეყვანას და ბიჭის ჩამოხრჩობას შორის ფაქტიურად უკანასკნელი აირჩია. მართალია მას ის ყმაწვილი არც დაუჭერია, არც დაუსმენია და ეცოდებოდა კიდეც, მაგრამ თავი იმდენად უფრო მეტად უყვარდა, რომ თავისი დაცინვა ბიჭის სიცოცხლეზე ძვირად ულირდა, დაცინვის შიში უფრო ჰქონდა, ვიდრე გაფითრებული უსუსური ყმაწვილის სიკვდილისა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ მონაწილეობდა ამ ყმაწვილის მოკვლაში, ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით, თავის გულში მაინც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მას.

ილია აქტიურად იბრძოდა სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებისათვის. ამ საკითხით იგი გამოვიდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში და სიკვდილით დასჯის განაჩენის უარყოფით მხარეთა შორის ცალკე მუხლად გამოყო ის ფაქტი, რომ ასეთი სანახაობისადმი შეჩვევით ხდება ხალხის გრძნობათა დაჩლუნგება და გადაგვარება. ამასთანავე მას ქრისტიანული ზნეობა სისხლხორცში ჰქონდა გამჯდარი. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ ავტორი ამ რიტორული შეკითხვით, პეტრეს საქციელის გამართლებას ცდილობდეს.

პეტრე განიკითხავს იმ ხალხს, რომელიც სარჩობელასთან გასართობად მივიდა და ამ სასტიკი სანახაობიდან სულ რაღაც წუთის შემდეგ მხიარული ყაყანით გაემართა შინისაკენ: „ქვები ხომ არ არიან ოჯახდაქცეულები, ერთს ცვარს ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენო“ ფიქრობს. იგი განსაკუთრებით განიკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხავს ქალებს: „ამ დედაკაცებს რაღა ღმერთი გასწყრომიათო“. პეტრე იმასაც ხედავს, რომ თავადაც ცოდვას ჩადის — ჩამოხრჩობის სანახავად „გამოუქნელ მოზვერსავით გამომიწია გულმაო“ ფიქრობს, მაგრამ თავის თავს მაინც ისე არ კიცხავს, როგორც სხვებს. გული უნანელი აქვს — მე რა შუაში ვარო, მაინც იმას ამბობს... მაგრამ მწარე სიმართლე ზარივით რეკს უმცროსი ძმის სიტყვებიდან: „იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი და ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდება“. ამას ეუბნება უმცროსი ძმა პეტრეს და რაკიღა ავტორმა მას ეს ათქმევინა და ამასთანავე თავად პეტრეს გულის უნანელობა და სიგრილეც გვაჩვენა, ჩანს, რომ ეს მარტო ჩამოხრჩობილის ძმის კი არა, მისი ბრალდებაც უნდა იყოს ამ გმირის მიმართ.

სახრჩობელასთან ეს ხალხი შემთხვევით არ მდგარა. ეს მასა თავისი გულგრილობით თანამონაწილე იყო სასტიკი განაჩენისა. პეტრეს არ სჯერა, რომ ეშაფოტზე აყვანილი კაცი მართლა ჩამოახრჩვეს: „ე ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად, ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო“ ასე როგორ მოიქცეოდნენო ფიქრობს იგი და როდესაც სიმართლეს გაიგებს, განცვიფრებისაგან აღმოხდება: „მაშ ხალხი რაღას ჰხარხარებდაო“. მაგრამ მოთხრობაში ამ მასის შეფასება ჩანს პირადად ავტორის სიტყვებშიც: „ყველამ თავის სახლისაკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზენი თამაშა ჰნახა“.

ესკიზებს, რომლებშიც მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ერთი ეპიზოდის ადრეული ვარიანტია წარმოდგენილი სათაურად აქვს „მარგალიტი ლექში“. ლექის და გუბის მხატვრული სახე ილიას სხვა თხზულებებშიც არაერთგან აქვს გამოყენებული და მასში ჩადებული მხატვრული შინაარსი ჩვენთვის ცნობილია. იგი სულიერად და ზნეობრივად დაცემულ ცხოვრებას განასახიერებს, რომელიც შხამავს და ახრჩობს მასში მოხვედრილ ყოველ სიცოცხლეს. სარჩობელასთან გამართული „თამაშაც“ და მასში მონაწილე ხალხის მასაც იგივე ლექი, იგივე სახრჩობელაა. იგი უფროს ძმას ფიზიკურად კლავს, უმცროსს სულიერად და ამასთანავე თავადაც გულგრილობაში ახრჩობს საკუთარ სულს. სახრჩობელასთან მისვლით და სისასტიკის უხმო თანდასწრებით მოხუცი პეტრეც ამ მასას შეუერთდა.

პირველი შეხვედრისას პეტრეს სტუმართმოყვარეობით, მისი სითბოთი და ყურადღებით მონადირებული გული უმცროს ძმას კვლავ გაუცივა მისმა დანახვამ სარჩობელასთან მდგომი ხალხის მასაში. იგი წერს: „თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი. მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით, განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი“. აქ იგი ერთხელ კიდევ უმეორებს პეტრეს: „ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანსო“. ამრიგად უმცროსი ძმის ეს დაჟინებული ბრალდება და თვით ფაქტები მიგვანიშნებს, რომ მიუხედავად გარეგანი კაცთმოყვარეობისა პეტრეს გული არ ჰქონდა წმინდა. დავაკვირდეთ მოთხრობას და ვნახოთ, რა ვნება იყო ამ გულში დაბუდებული.

პეტრეს კეთილი საქციელი — მისი ხელგაშლილობა მოთხრობის დასაწყისში იმდენად ხიბლავს მკითხველს (და ალბათ ასევე მოხიბლავდა მსგავსი საქციელი გარშემო მყოფთაც), რომ ერთბაშად გიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს სანდომიანი მოხუცი ასე შორს არის

ტულის სიწმინდისაგან, რომ ქალაქისაკენ მიმავალი მოხუცი გლეხი და სარჩობელასთან მდგომი ერთი და იგივეა. მაგრამ როცა პეტრეს მიერ ბეჟანისა და მისი ძმისადმი გაწეულ სიკეთეზე ვლაპარაკობთ, ერთი რამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში — მოხუცმა მეურმემ, თავისი აზრით, დახმარება აღმოუჩინა არა უსახლკარო, ყველასაგან მიტოვებულ და დაჩაგრულ ობლებს, არამედ დროებით გასაჭირში მყოფ მდიდარ თავადიშვილებს. ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცეოდა პეტრე, ბიჭების ნამდვილი ამბავი რომ სცოდნოდა. ერთი კი ფაქტია, ბეჟანი თავადიშვილობას არ მოიგონებდა, რომ არ სცოდნოდა სიმართლის თქმის შემთხვევაში გლეხებისაგან დახმარებას ვერ მივიღებო. ამას გარდა პეტრე უნებლიედ თავადაც აღიარებს, რომ ბიჭებს მათი თავადიშვილობის გამო ექცევა გამორჩეული პატივისცემით. „თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზედ გდებას ვერ აიტანთო“, ეუბნება მათ და თავის ნაბადს უშლის დასაძინებლად; თითონ ხმელა პურს ჭამს, მათ მწვადებს აჭმევს და თან ბოდიშობს პურადძვირობაში არ ჩამომართვათო. ორივეს ურემზე ისვამს და შეჰპირდება: „ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთო“. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთივე ყურადღებით მოქცეოდა იგი უსახლკარო ძმებს, ბეჟანს რომ ტყუილების ნაცვლად სიმართლე ელაპარაკა. პეტრე ხომ ასე აფასებდა სხვების აზრს და ალბათ იფიქრებდა, საკუთარ დედას მიუტოვებია, არავის მათთვის თავი არ შეუწუხებია და მე რომ შევიკედლო ხალხი რას იტყვის — ბრიყვად ჩამთვლისო. „ბევრს უცხოს მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყოო, წერს უმცროსი ძმა პეტრესადმი გადაცემულ ბარათში და არ არის გამორიცხული, რომ პეტრეც სწორედ იმ უცხოებივით მოქცეულიყო. მოთხრობის დასაწყისში, როდესაც ბეჟანი და მისი ძმა მეურმეებს ხვდებიან და უფროსი თავს აცოდებს. „ბა ახლა ეს უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაშიო“, პეტრე წამოიძახებს: „ვაი ჩემს გამჩენს!.. უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია სათათრეთში იყვნეთ! ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა...“ იგი იქადის ქართველობით და ქრისტიანობით, კიცხავს ვიღაც ავ კაცს, რომელსაც ბიჭების ცოდვა აუღია, გაუძარცვავს და გზაზე მიუტოვებია და თავად ისე იქცევა, როგორც კეთილ კაცს შეეფერება, მაგრამ ეს სიკეთე, როგორც ზედაპირული, არასიღრმისეული, საპნის ბუშტივით ქრება პირველივე წაფორხილებისას. რაკიღა ბიჭებმა სიკეთეზე ბოროტებით უპასუხეს და მშვიდად მიძინებული მასპინძელი გაძარცვეს, პეტრემ ინანა თავისი კეთილი საქციელი და ხელი აიღო მასზე. მოხუცმა არა მარტო მეურმეობას დაანება თავი „ვხედავ, აღარ ვარგივარო“, არამედ უცნობის ტკივილის გაზიარებას და მის დახმარებასაც. პეტრეს ეს გადაწყვეტილება რომ არა მარტო მეურმეობაზე, არამედ მისი ხასიათის რაღაც თვისებაზე, სიკეთის კეთებაზე ხელის აღებასაც ნიშნავს, ეს მწერალს მისთვის ჩვეული მაღალმხატვრული ალეგორიით აქვს შეფარული გმირის სიტყვებში: „არა, შვილო, ეხლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავდოო“. ეს „მშვილდი“, ილიას თხზულებებში ალეგორიულად სულიერი და ზნეობრივი ღირსებაა კაცისა. ამიტომაც მასზე უარის მთქმელ, მის ძირს დამდებ პეტრეს ოთხი წლის შემდეგ სახრჩობელასთან სულიერად განიარაღებულს ვხედავთ.

მაინც რამ უბიძგა პეტრეს ასეთი გარდატეხისკენ, რამ ჩაკლა, რამ დათრგუნა მასში სიკეთის კეთების სურვილი — სიკეთისა, რომლითაც მან კინაღამ მოინადირა განსაცდელში ჩავარდნილი ერთი ქრისტიანის სული?

ზემოთ ვახსენეთ პეტრეს სიამაყე და სიქადული ქართველობით და ქრისტიანობით. ავტორი ოთხი წლის შემდგომი პერიოდის ამსახველ ეპიზოდში გვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტურებს „იმავე თავმოწონებით მოდიოდა, როგორც უწინო“, ესე იგი, ეს თავმოწონება პეტრეს თავიდანვე ჰქონდაო. ამან კი გამოიწვია ის, რომ გაძარცვის შემდეგ იგი საშინელ განცდებში ჩავარდა, ხალხი დამცინებს. შენ იმათ სიკეთე უყავი, იმათმა კი როგორ გაგაბრიყვესო. ეს დაცინვის შიში იმდენად ძლიერი ფაქტორია, რომ პეტრე სწორედ მის გამო ამბობს უარს თავის „მშვილდზე“. ეს მოთხრობის შესაბამის ეპიზოდში მკვეთრად ჩანს დაცინვის შიშის მრავალგზის და მრავალნაირად ხაზგასმით: „სირცხვილით შინ როგორღა მივიდე“, „ეს სირცხვილი როგორა ვჭამო“, „ვისაც ვეტყვი დამცინებს“, „ჯალაბსაც სიცილად არ ვეყოფი“, „მეზობლები ჯავრით გამხეთქენ“, „სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც“. რისი რცხვენოდა პეტრეს? ამის, რომ ბიჭებს ენდო და შეიკედლა? გამოდის, რომ ამის. რა დასკვნა გამოიტანა მან აქედან? – რომ სხვა დროს თავისი თავისთვის მიეხედა და სხვისთვის თავი არ გამოედო. ესე იგი მან ფაქტიურად უარყო მის მიერვე ჩადენილი სიკეთე. მაცხოვარმა პეტრესაგან განსხვავებით წინასწარვე იცოდა, რომ იუდა გასცემდა, მაგრამ ისიც არ განუგდია თავისგან, მასაც სიყვარული აჩვენა და თავის პატიოსან სისხლსა და ხორცსაც კი აზიარა. მაცხოვარსაც ამცირებდა და დასცინოდა გარშემოკრებილი ბრბო, მაგრამ მან ეს ყოველივე დაითმინა და თავის მიმდევრებსაც ამისკენ მოუწოდა და თუ პეტრე ასე ხმამაღლა იქადის ქრისტიანობას, რატომ თმობს ასე იოლად სიკეთეს.

ურთიერთსაწინააღმდეგო განცდები: უცხოსადმი თანაგრძნობა და დაცინვის შიში კიდევ უფრო მძაფრად შეეჯახა ერთმანეთს სარჩობელასთან და გამარჯვება კვლავ ამ უკანასკნელმა მოიპოვა. სიამაყემ და სურვილმა, რომ ეს, თანასოფლელებში გამორჩეული კაცი ქალაქელებსაც არაფერში ჩამორჩენოდა, მიიყვანა პეტრე სახრჩობელასთან. მისი შიში, რაიმეში ჩემი სოფლელობა არ გავამჟღავნოო, იმდენად ძლიერი მოჩნდა, რომ ვერც ცერემონიალის მზადებისას და ვერც ჩამოხრჩობის შემდეგ მან ვერ გაბედა ვინმესთვის ეკითხა, მართლა ახრჩობდნენ კაცს თუ ჯამბაზობა იყო ეს ყოველივე. ეს შიში დაცინვისა კვლავ მრავალგზის არის ხაზგასმული: „აქაოდა სოფლელიაო, მალე მოტყუვდებაო...“ „ჰა, პეტრეკ!.. არიგებდა პეტრე თავისთავს, – არ გაბრიყვდე, ეშმაკმა არ გაცდინოს, მართალი არ გეგონოს!.. ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფლელია და მოტყუვდაო“. (არადა სწორედ ამ ფიქრებით აცდუნა იგი ეშმაკმა და მოუდუნა სიფხიზლე). „არა, შვილოს, ვერ მომატყუებთ...“ „იქნება ამათ ჩემი გაბრიყვება უნდათ, სოფლელიაო. ჰა, პეტრეკ!.. თავს გაუფრთხილდი, არ გაბრიყვდე!.. არ შერცხვე ეს დროული კაცი; ამოდენა ჯარ-ჯამაათის სასაცილოდ არ გაიხადო თავი...“ „არა, აქაოდა სოფლელი ვარ, არ გამაბრიყვო კი, თუ ღმერთი გწამს...“ „ერთი გული ეუბნებოდა, მოდი ვკითხავ, რა ამბავია, მეორე კი ეუბნებოდა, სირცხვილია, დამცინებენო“. „კარგია, არა ვკითხე, აბა კიჟინას დამცემდნენ, აი! ჰა, პეტრეკ, გაფრთხილდი, არ გაგაბრიყვონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი“. პეტრეს ამ ფიქრებზე ამ გულის ჭიდილზე ავტორი გვეუბნება: „ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწევ ცხენსავით დაღოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწევსო“. ჩამოხრჩობის შემდეგაც ორი აზრი უტრიალებს პეტრეს თავში: „ნეტავი მეკითხნა“ და „ეჰ, დამცინებენ“. უმცროს ძმასთან შეხვედრისასაც მას ეს შიში დაძლეული არა აქვს. ნაბდიანმა რომ წერილი მიაწოდა, პეტრეს კვლავ ეეჭვებოდა „იქნება მატყუებს კიდეცო“, მაგრამ იმის იმედით გამოართვა, მერე რა, „თითონ წავიდა, ხომ ვერ დამცინებსო“. ეს შიში უფრო ძლიერი აღმოჩნდა პეტრეში, ვიდრე კაცთმოყვარეობა, ვიდრე მოყვასის სიყვარული და ამიტომ შემთხვევითი არ

არის, რომ ამ შიშმა ჯერ მიიყვანა და შემდეგ ბოლომდე უხმოდ გააჩერა იგი სახრჩობელასთან. როგორც ზემოთაც ვთქვით ამით მან სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და სიკეთის რწმენა საბოლოოდ დაუკარგა ბეჟანის უმცროს ძმას. სარჩობელასთან მდგომ პეტრეს, როგორც გვიან მოაგონდება, ნაბადში გახვეული და თვალებზე ქუდჩამოფხატული უმცროსი ძმა „სულ გვერდით აეტუზებოდა ხოლმე, საითაც კი წავიდოდა“, როგორც კრუხი წიწილას, „ისე გარს დასტრიალებდა“. ალბათ ელოდა ან ეხლა გამოხატავს რაიმეს სინანულის მაგვარს, ან ეხლაო. პეტრე ხომ ის კაცი იყო, რომელმაც ასე ომახიანად შესძახა: „ასე გონია, სათათრეთში იყვნეთ! ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოაო“. გავდა კი სახრჩობელასთან სასეიროდ შეყრილი ხალხი ქრისტიან ქართველებს? ამ გულგრილ მასას, რომელიც ჩამოხრჩობის „სანახაობიდან“ წამოსული „მხიარულად ჰყაყანებდა და ჰლაზღანდარობდა“, მწერალი ფარულად ნახირს ადარებს. „დაირღვა ხალხის გროვა. დაიშალა და გაიშალა მინდორზედო“ წერს, ზუსტად ისევე, როგორც ორიოდე ფურცლით ადრე საქონლის შესახებ: „მინდორზედ საძოვნელად გაიშალაო“. ასეთია ეს ხალხის მასა და პეტრე, რომელსაც ასე ეშინოდა მათგან ჩამორჩენის და მათი დაცინვისა, მართლაც არ ჩამორჩა და მათ გვერდით აღმოჩნდა. ილიას მეორე მოთხრობის — „ოთარაანთ ქვრივის“ გმირი დედაკაცი იმგვარ დაცინვებზე, როგორის შიშმაც პეტრე აცდუნა ასე იტყოდა: „თავ-საცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავაო?“ ამიტომ პეტრესაგან განსხვავებით ის მათ გვერდით არ აღმოჩნდებოდა. თავად ეს მასა კი იქაც ამ ქვრივის გარემომცველ სოფელშიც ისევე გულგრილი და ზედაპირულია. იქაც მსგავსად ახასიათებს მას ავტორი: ოთარაანთ ქვრივის ცხედართან „შეიქმნა ჟღივილ-ყაყანი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას.., მითქმა-მოთქმაში დაავიწყდათ, რომ შეკვდომა-ტრონობა რამ უნდა. ყველაზ ის უხარბებოდა, — ერთი გავიგო, ვინ რას ამბობს, — და საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მიეშურებოდა... ბევრს ეცოდებოდა ეგრედ გათავებული ოთარაანთ ქვრივი, დამტირებელი კი არავინ იყო“.

დავუბრუნდეთ პეტრეს სახეს და კვლავ გავიხსენოთ, როგორ მიდიოდა ოთხი წლის შემდეგ იგი ქალაქში და რა იყო ამჯერად მისი ამპარტავნების მიზეზი. „გადაებოტნა უშველებელ სავსე რუმბზედ და ყეინსავით გამოჭიმული იჯდაო“, წერს ავტორი. პეტრე იჯდა ღვინის რუმბზე — ღვინისაზე, რომელსაც ქრისტიანი კაცი სიწმინდედ რაცხს და კრძალვით ეკიდება. პეტრე კი ზემოდან აჯდა. — თავი ყველაზე და ყველაფერზე, თვით სიწმინდეზედაც კი მაღლა ყავდა დაყენებული. ამიტომაც მას მოყვასის სიცოცხლე საკუთარ შეურაცხყოფასთან, რა თქმა უნდა, არაფრად მიაჩნდა.

ავტორი გვეუბნება მისი თავმოწონების მიზეზი ამჯერად ის იყო, რომ „გზის მამალი ამის შვილის ურემზედ დაესვათ, პირველობაც ურმის ქარავანში ამის შვილისათვის მიეცათ. პეტრეს ეს ამისთანა პატივი შვილისა და ტოლებში თავგამოსაჩენი ამბავი ძალიან უხაროდა და თავი მოსწონდა. უხაროდა და ჰფიქრობდა: შინ რომ მივალ, ჩემს ბებრუცუნა ჯალაბსაც ვახარებო ჩვენის შვილის გაპატიოსნებასაო“. შემთხვევითი არ უნდა იყოს აქ მამლის ხსენებაც, რომელსაც სქოლიოში ავტორის საკმაოდ ვრცელი კომენტარი ახლავს: „ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყივილმა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. მეურმეების საათი გზაზედ მამალია. უფრო ხშირად, ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უზის ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი წინაურმის მეურმეობა, გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას“. მამლის ყივილი ილიას თხზულებებში სულიერად მომაფხიზლებელი, გულის გამთენებელი, მასში სინანულის აღმძვრელია, პეტრემ კი – „მე რა შუაში ვარო“, მარტო ესა თქვა. მეორეს მხრივ მამალი როგორც ვთქვით, ქარავანში პირველობასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს პეტრეს სახეს ჩვენი აზრით შემთხვევით არ უნდა ესადაგებოდეს.

ილია, როგორც ვნახეთ ხშირად აკავშირებს მოთხრობის ცალკეულ სახეებს თუ მოვლენებს ბიბლიასთან. ერთ-ერთი მოციქული უფლისა – სავლე, რომელიც თავისი სარწმუნოების გამო მან კლდეს შეადარა და „პეტრე“ უწოდა, სწორედ მისი სიქადულის გამო, სხვა ყველა რომ დაბრკოლდეს შენს მიმართ, მე არ დავბრკოლდებიო, უფლის უარმყოფელი გახდა. და უხმო თანამონაწილე მისი სამარცხვინო გასამართლებისა. აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები: „ვიდრე ქათმისა ჴმობამდე სამ გზის უარ-მყო მე“. (მ. 26. 34).

მოთხრობაში, მართალია, უფლის კი არა, ერთი ცოდვილი ყმაწვილის სამსჯავროა ნაჩვენები, მაგრამ მაცხოვრის თქმით, ქრისტიანი კაცი ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ყოველ ადამიანში, რომელსაც რაიმე უჭირს, თვით უფალს უნდა ხედავდეს და შეეწეოდეს. ვინც ასე არ იზამს, მათ ვეტყვიო: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთა. რამეთუ მშიოდა და არა მეცით ჭამადი, მწყუროდა და არა მასუთ მე, უცხო ვიყავ და არა შემიწყალეთ მე, შიშველ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე, უძლურ ვიყავ და საპყრობილესა და არა მოხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი ანუ უცხოებასა, ანუ შიშლოებასა, ანუ ულურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ? მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამინ გეტყვი თქუენ, რავდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ“ (მ. 25. 43). მოთხრობის გმირმა პეტრემ თავდაპირველად დააპურა, შემოსა და შეიფარა უცხო ყმაწვილები და მათი სახით უფალი ჩვენი, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, სულიერ მადლს მოკლებულმა, უფლის ხატების – ადამიანის სიკვდილით დასჯის სანახავად გართობის მიზნით წასვლით თვით უფლის უსიყვარულობა გამოამჟღავნა.

მოციქულთა თავი პეტრე თავისი ცოდვის გამო ისეთ სინანულში ჩავარდა, რომ მას შემდეგ მამლის ყივილზე მუდამ სინანულის ცრემლი სდიოდა. მოთხრობის გმირის სინანული კი არ ჩანს. ჩამოხრჩობის ცერემონიალის გახსენებაზე ის იმას ამბობს: ეს ამოდენა ხალხი რამ მიიყვანა იქო, თორემ მეც რომ მათსავით მივედი კაცისკვლის სანახავად ესე იგი თავადაც დიდად არ განვსხვავდები მათგან და რაღა მაქვს სასიქადულო, რითდა ვარ მეტი ან იმათზე და ან ურჯულო თათარზეო, ამას არ ფიქრობს. ამიტომ იყო, რომ პეტრე, რომელიც იქადდა, ქრისტიანი ვარ, თათარი კი არაო, ავტორმა ღვინის სავსე რუმბზე წამომჯდარი უბრალო თათარს კი არა, თვით ყველაზე სისხლისმსმელ – ყეინს შეადარა.

ჩამოხრჩობილის ძმის მიერ ერთი ათად დაბრუნებული „სამი და ათი შაურიც“ იუდას ოცდაათი ვერცხლივით მიწაზე დაიფანტა. პეტრე თითქოს გრძნობს, რომ ეს მისი სამხილია და მისი არც დათვლა აინტერესებს და როგორც ჩანს არც არავითარი ინტერესი აქვს ამ ფულისადმი.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ დეტალზე. მწერალმა, რომელმაც ლუარსაბის და დარეჯანის სახლ-კარის აღწერისას გვიჩვენა, რომელი „ცულით“ მოიკვეთებოდა ეს ცოლ-ქმარი მ[illegible] უნაყოფობის გამო –

„მყრალა ბალახი“ და თევზი, რომელმაც ვიდრე თივის ზვინზე აიყვანდა, ოთარაანთ ქვრივის გიორგის წისქვილი მოამზადებინა ხორბლის მისაღებად, აქაც მსგავს ხერხს მიმართა. ვიდრე ჩამოხრჩობის საყურებლად წავიდოდა და იქ დასწრებით სიკეთისაკენ მისწრაფების სურვილს და საერთოდ სიკეთის არსებობის იმედს გადაუწყვეტდა ახალგაზრდა ყმაწვილს, პეტრეს წისქვილის ქვები აყიდინა და გაამზადებინა. როგორც ნათქვამია იგი ამ ქვების საყიდლად იყო ამჯერად ქალაქს ჩამოსული, რაში დასჭირდა მწერალს ამ დეტალის ხაზგასმა? როგორც ვნახეთ ამ ეპიზოდში ავტორს ნაჩვენები აქვს გმირის მისწრაფება პირველობისკენ და მისი ამპარტავნება.

სახარების ერთ ეპიზოდში უფალმა თავის მოწაფეებს, რომლებიც ბჭობდნენ, ვინ იყო მათ შორის უპირატესი, უთხრა: „ვის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფაი, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ“. შემდეგ კი იმის გამო, რომ მოციქულები მასთან „ყრმებს“ არ უშვებდნენ, დასძინა: რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთაი ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა გამო-თუმცა-იბა ქედსა მისსა წისქვილის ქვაჲ ვირით საფქველი და შთავარდა ზღუასა“ (მრ. 9. 42). ეს ეპიზოდი პირდაპირ ეხება პეტრესნაირ გმირსაც, რომელიც აბრკოლებს ყრმას სიკეთის მიმართ. ამიტომ მასაც ასეთივე განსაცდელი ელის. ალბათ ამაზე მიანიშნებს ეს წისქვილის ქვებიც“.

„ამიერითგან კაცთა იყო მონადირე“ — უთხრა უფალმა პეტრე მოციქულს. ამაში ხაზგასმული იყო ის, რომ იგი არა თუ დააბრკოლებდა, მოაქცევდა ხალხს ჭეშმარიტი რწმენისაკენ. ამიტომ მოთხრობის გმირის სამხილია, რომ პეტრე მოციქულის სახელის მატარებელმა მან „კინაღამ მოინადირა“ ერთი ყმაწვილის გული, მაგრამ შემდეგ პირიქით — დააბრკოლა.

პეტრეს სახეს ზოგიერთ „[illegible] სიურ, არამებრძოლ სიკეთეს უწოდებს“, მაგრამ ამ ეპიზოდების და მხატვრული სახეების ანალიზიდან გამომდინარე, მას არ შეიძლება ეწოდოს სიკეთე — არც პასიური და არც აქტიური, რადგან მის არსებაში მთლიანად საკუთარი თავის სიყვარულია გაბატონებული.

„ჩვენი პეტრე“ — ასე მოიხსენიება რამდენჯერმე ეს გმირი მოთხრობაში. ამ სიტყვებში ჩანს ავტორისეული მწარე სარკაზმიც და მისი გულისტკივილიც, გამოწვეული იმ უტყუარი ფაქტით, რომ ეს კაცი მართლაც ჩვენია, ჩვენი სისხლი და ხორცი და თან, გარეგანად მაინც, სხვებზე უკეთესი თუ არა, უარესი მაინც არ არის.

ილიას ეს მოთხრობა საოცრად შემზარავია. იგი თავისი უკანასკნელი რიტორული შეკითხვით „მართლა და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს“... ცდილობს დააფიქროს გარეგანი კეთილი საქმეებით გამორჩეული, საზოგადოებაში კარგ კაცად ცნობილი, შინაგანად კი ამპარტავანი და მოყვასისადმი გულგრილი ყველა პეტრე. მწერალი მოუწოდებს მათ ფარისეველივით ნუ იქადიან, რომ სხვებზე უკეთესნი არიან, ან სხვებზე მეტად უყვართ მოყვასი, ჩაიხედონ თავიანთ გულებში, მკერდზე ხელი მიირტყან და თქვან, რომ თავადაც ცოდვილნი არიან.

მოთხრობისეული ძირითადი სატკივარი ადამიანებში სინანულის არქონაა. არც უმცროს ძმას მიაჩნია თავი დამნაშავედ. ისიც იმასვე ამბობს: „მე ჩემი გზა მართლის გზა მგონიაო“ და იმედი აქვს, რომ ღვთის სამსჯავროზე, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი ცოდვების სიმძიმისა, მაინც გამართლდება. მაგრამ იქნება კი ასე? სახარებაში წერია: ჩუენდა მართლ ღირსად საქმეთა ჩუენთაებ მომეგების ჩუენ“ (ლ. 23, 41).

ამრიგად ილიამ მოთხრობაში წარმოგვიდგინა ორი სხვადასხვა გმირი, რომელთაგან ერთი კეთილ საქმეებსაა მოკლებული, მეორე კი გულის სიწმინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, მაგრამ არცერთს არა აქვს სინანული. მაცხოვარმა ამ ორ მადლს, რომელიც არსებითად იგივეა, რაც „რწმენა ჭეშმარიტი“ და „სარწმუნოებრივი საქმეები“, ალეგორიულად „ორი დანაკი“ უწოდა. და თქვა, რომ ისინი ყოველი მისი მიმდევარისთვის აუცილებელია. იგივე აზრია ჩადებული ათი ქალწულის ივავშიც, სადაც „ლამპარი“ რწმენას განასახიერებს, „ზეთი“ კი რწმენისმიერ საქმეებს. ამდენად, ვერც მარტო კეთილი საქმეებით — გულის სიწმინდის, მასში ჭეშმარიტი რწმენის გაბატონების გარეშე და ვერც მარტო ასეთი გულით კეთილი ნაყოფის, შესაბამისი საქმეების გარეშე, ადამიანი ვერ გამართლდება: გული წმინდა უნდა ჰქონდეს კაცს და ნაყოფი კეთილი. ამის მისაღწევად კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, ყველამ თავისი ნაკლი დაინახოს, მისი შევსების სურვილი გაუჩნდეს და ჭეშმარიტების გზას დაადგეს. არსებითად სწორედ ამ ქრისტიანული სწავლების ცოცხალი და შთამბეჭდავი სურათია ეს მოთხრობა.

ის ფაქტი, რომ მოთხრობის ფინალში თავის უკანასკნელ სიტყვებს პეტრე ძველებური რიხითა და თვითდაჯერებულობით კი არა, „კვნესითა“ და „თრთოლვით“ წარმოთქვამს, უმცროს ძმას კი გულისნადების სხვისთვის გამხელის, ერთგვარი აღსარების და ნაქურდალის უკან დაბრუნების სურვილი უჩნდება, შესაძლოა მათ ხასიათში მომხდარი მცირე, მაგრამ სასიკეთო ძვრის ნიშანი იყოს. იქნებ დილით თავის ურემზე შემოსკუპული იმ მამლის ყივილმა, რომელიც მანამდე პატივმოყვარეობას აღძრავდა მასში, მოხუც პეტრეს პეტრე მოციქულივით სინანულის ცრემლები გადმოადინოს და გული განუწმინდოს. მაშინ შესაძლოა მან კვლავ იტვირთოს გულგატეხილი, იმედგაცრუებული ყმაწვილის გულის მონადირება. შეიძლება ასეც მოხდეს, შეიძლება სხვაგვარადაც, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ მწერალი აღარაფერს არ გვეუბნება. ბედნიერად დამთავრებულ ერთ შემთხვევას აღწერდა თუ უბედურად დასრულებულ მეორეს, ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა, როგორც თვით ამ მომენტზე მოთხრობის შეწყვეტას — ამ ცხოვრებისეული გზის გასაყარის ჩვენებას. ერთი შემთხვევაც და მეორეც ცალკცალკე ნაწილობრივი ასახვა იქნებოდა რეალობისა, მან კი ყურადღება გადაიტანა იმ არჩევანზე, რომელიც ფაქტიურად ყველა ადამიანის წინაშე დგას: ან კვლავ გააგრძელოს თავის მართლება ან კი გაუღოს გული სინანულს და თქვას: „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე“.

მოთხრობა ამ გადამწყვეტ, არსებით ნაბიჯზე წყდება, მაგრამ თვითმიზანი ხომ მოთხრობა არ არის. იგი ხომ იგივ ცხოვრებაა; ცხოვრების მთავარი გმირი კი მკითხველია, მთავარი მიზანი — მისი სულიერი განწმენდა. ჩვენ თუ სისრულით დავინახავთ და გავითავისებთ ილიას სათქმელს, იქნებ ასეთმა ცრემლებმა ჩვენც განგვიწმინდოს გაუხეშებული, ჩირქიან-ბიწიანი გულები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც განასხვავებს მოთხრობას „სარჩობელაზედ“ ილიას ადრეული ნაწარმოებებისაგან: „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, არის ის, რომ იქ გმირები — გაბრიელი, კაკო და ზაქრო ძირითადად კონკრეტული პიროვნებების ბოროტების მსხვერპლნი არიან, აქ კი ობოლი ძმების ცოდვა მთელ ამ ბრბოდ ქცეულ, გულგრილ საზოგადოებას აწევს კისერზე. ამბობს კიდევაც ბეჟანის ძმა: „ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრადო“.

კიდევ ერთი რამით განსხვავდება ეს მოთხრობა სხვებისაგან. ზოგან სიუჟეტში ასახული პრობლემები სოციალურ ხასიათს ატარებდა. გაბრიელის, კაკოს თუ ზაქროს გაუბედურების მიზეზი მათი, როგორც ყმების, სოციალური უუფლებობა იყო, ჩვენს მიერ განხილული მოთხრობის გმირები კი შედარებით მაღალ წოდებრივ საფე-

ხურზე დგანან. მიუხედავად ამისა, ნაწარმოებში გარკვევით ჩანს, რომ ამ აზნაურიშვილებს სხვებთან ერთად შინამოსამსახურე ბიჭებიც კი სცემენ და უდიერად ექცევიან. სამხედრო სკოლიდან გამოქცეულ ძმებს საკუთარ სახლში ისინი ღამესაც კი არ გაათევინებენ — გარეთ გაყრიან. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ნაჩვენები გლეხები არც ისე ღარიბები ჩანან. როგორც ვხედავთ, პეტრეს კარგი თბილი ნაბადიც აქვს, შოთის პურებიც, ღვინოც, ცხვრის მწვადებიც და ჯიბეში ფულიც. როცა მოშივდება დუქანში შესვლაც შეუძლია. არც ის ჩანს, რომ ისინი არაადამიანურად შრომობდნენ — სიცხეში ისვენებენ, ღამით ტკბილად სძინავთ, მოშივდებათ — ჭამენ. ყოველივე ამის გამო ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს აქ ნაჩვენები იყოს „ტვირთმძიმეთა“ და „მაშვრალთა“ მონური ულელი და ეს მოთხრობა „სოციალური უსამართლობის მამხილებელი“ ნაწარმოები იყოს. (იხ. გ. ჯიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე“, თბ., 1978 წ., გვ. 45). ეს პრობლემა ბევრ სხვა ნაწარმოებში აქვს ილიას ასახული, მაგრამ არა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. პირიქით, მისი სიუჟეტიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ წარჩინებული წოდების ქონა თავისთავად სულაც არ არის ადამიანის ბედნიერების და უზრუნველი ცხოვრების გარანტია. აზნაურიშვილიც ისევე შეიძლება დაიჩაგროს და გაუბედურდეს, როგორც ყოფილი ყმა-გლეხი, ხოლო გლეხიც თავის მხრივ, შეიძლება გახდეს ისეთივე სასტიკი, როგორიც იყო ზოგიერთი ბატონი. ძმების ტრაგედიას სოციალური მდგომარეობა არ უდევს საფუძვლად. იგი ზოგადადამიანური, მორალურ-ზნეობრივი პრობლემებით არის განპირობებული და არა წოდებრივი უსამართლობით.

მოთხრობაში წარმოჩენილი ამბავი რომელიმე მხატვრული გმირის პირით არ არის გადმოცემული. მასში მთხრობელი თავად ავტორია. იგი, რა თქმა უნდა, გადმოსცემს გმირთა საუბარსაც, მათ მონათხრობებსაც, მაგრამ ამასაც ველივეს თავად უყრის თავს და ანალიზ კომენტარსაც უკეთებს. მოთხრობის სიუჟეტში ერთ-ერთი შემაძრწუნებელი ფაქტია ბეჟანისა და მისი ძმისადმი მათი დედის დამოკიდებულება. „დედა მალე გაგვითხოვდა... მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფელში ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა...“ ვკითხულობთ უმცროსი ძმის წერილში. დედის მხრივ არსებობდა ალბათ ამის საწინააღმდეგო გზაც. „ოთარაანთ ქვრივში“ სულ სხვაგვარად იქცევა დაქვრივებული არა თუ „დედულ-მამულების“ მქონე, ბევრად უფრო მოკრძალებულად მცხოვრები დედაკაცი: „თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყვანდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შემოსვლას, მაგრამ... არ გათხოვდა და არა. აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა... აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა“. დაქვრივებულ ქალს რჯულის მიხედვით აკრძალული არა აქვს მეორედ გათხოვება, მაგრამ ქორწინებისადმი ერთგულების შენარჩუნება მეტ სიწმინდედ ითვლება. ალბათ ამიტომაც შედეგი ამგვარი ნაბიჯისა ილიასთან შემაძრწუნებელია. მიუხედავად ამისა, მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ არსად პირდაპირ ან ავტორისეული ან სხვა რომელიმე გმირისეული შეფასება დედის საქციელისა ნაჩვენები არ არის. ამას მწერალი ახორციელებს ერთი საოცრად დახვეწილი მხატვრული ხერხით. სახრჩობელასთან მდგომი ხალხი წამდაუწუმ ახსენებს სიკვდილმისჯილის დედას: „ვუი, ვუი შენს დედას!“ — იძახის ერთი, „ვაი შენს დედასა, შე საცოდავის შვილო!“ — მოთქვამს მეორე; „ეგ ხომ მოკვდება და წავა, ვაი მაგის მშობლების ბრალი, რა ცეცხლში ჩაცვივიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს მესამე“; „რა ახალგაზრდაა ეგ უბედურის შვილი!“ ამბობს მეოთხე; „რა თონეში უნდა იწოდეს ახლა ამისი დედის გული“, – მოთქვამს კიდევ სხვა, ამ დედას კი, როგორც შემდეგ ვიგებთ, თავად მიუძღვის წვლილი შვილების გაუბედურებაში. ამიტომ ეს გადაჭარბებული ხაზგასმა მისი განცდებისა უარყოფით ელფერს იძლევა.

„პატარა ამბავი“ – ასეთია ქვესაური აქვს ამ მოთხრობას და, ჩვენი აზრით, ქვესათაურშიც ისეთივე შემაძრწუნებელი სარკაზმია გატარებული, როგორიც სიტყვების „საქრისტიანო საქართველო“ და სარჩობელასთან მდგარი ხალხის ურთიერთ შეუფერებლობაში. მწერალი მიგვანიშნებს, რომ ეს ამბავი, ჩვენ რომ პატარა გვგონია, საყოველთაო ტრაგედიაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ჯავახიშვილი

1054 წლის საეკლესიო განხეთქილება

1054 წელს ეკლესიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა; ქრისტიანობა ოფიციალურად 2 ძირითად მიმართულებად გაიყო: კათოლიკებად და მართლმადიდებლობად. მეცნიერთა აზრით, განხეთქილების უპირველესი მიზეზი 395 წელს რომის იმპერიის 2 ნაწილად: აღმოსავლეთ და დასავლეთად —გაყოფა იყო,[1] ამ ფაქტმა მნიშვნელოვანწილად დააშორა ერთმანეთს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანო.

მაგრამ, ჩანს პირველი სერიოზული კონფლიქტი რომის ეკლესიასა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შორის IX საუკუნეში მოხდა.

როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქრისტიანოს ცენტრს ბიზანტია, კერძოდ, კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა. აქ სასულიერო წოდება აშკარად იმპერატორის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა.[2] 2 სხვაგვარად გამოიყურებოდა სიტუაცია დასავლეთ საქრისტიანოში. პაპს შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა, იგი ხშირად პოლიტიკაში ერეოდა და საქმეს ეკლესიის სასარგებლოდ წარმართავდა ხოლმე. პაპის ამბიციები სცდებოდა სასულიერო სფეროს, მას სურდა მთელს მსოფლიოზე ბატონობა, დიდი პოლიტიკური თამაში. სწორედ ასეთმა ვითარებამ განაპირობა IX საუკუნეში აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფლიქტი.

857 წელს ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ III-მ (842-867) კონსტანტინოპოლის პატრიარქი ეგნატე (846-857) ფოტიოსით (857-867) შეცვალა. ამ ფაქტს რომის ეკლესიის მხრიდან უპასუხოდ არ ჩაუვლია. პაპმა ნიკოლოზ I-მა (858-867) ეგნატეს ტახტზე აღდგენა მოითხოვა. ამ პერიოდში რომს სამხრეთ იტალიაში პოზიციების გამყარება სურდა, რის დათმობასაც ბიზანტია სრულიადაც არ აპირებდა. ალბათ, სწორედ ეს იყო უთანხმოების მთავარი მიზეზი.

861 წელს პაპმა საეკლესიო კრება მოიწვია, სადაც ფოტიოსი მოძალადედ გამოაცხადეს, ხოლო 863 წელს, შემდგომ საეკლესიო კრებაზე, ჭეშმარიტ პატრიარქად ეგნატე აღიარეს.

ამას დაერთო ბიზანტიისა და რომის ინტერესების შეჯახება ბულგარეთში. რომის ეკლესიას თავისი გავლენის სფეროში აღმოსავლეთ საქრისტიანოს ამ ნაწილის მოქცევა სურდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქმაც არ დააყოვნა და 867 წელს კონსტატინოპოლში საეკლესიო კრებაზე რომის პაპი — ნიკოლოზ I მისი მიმდევრებითურთ ანათემას გადასცა. მათ ბრალი ედებოდათ შემდეგში: ბულგარეთში მწვალებლობის გავრცელებაში „filique"-ს (ლათ. „ძე", — სულიწმინდის მოფენა ხდება არა მარტო მამა — ღმერთისაგან, არამედ ძისგანაც), შაბათ დღეს მარხვაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ა. შ. ამრიგად, 867 წელი მიჩნეულია პირველი სერიოზული განხეთქილების თარიღად.

ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა ბასილ I-მა (867-886) პატრიარქად კვლავ ეგნატე (867-878) აკურთხებინა, 869 წელს ეს ფაქტი ოფიციალურად გაფორმეს, ხოლო ფოტიოსი ანათემას გადასცემს.

რომის ეკლესიის პრეტენზიები ბულგარეთის მიმართ კვლავ ძალაში რჩებოდა, თუმცა პატრიარქი ეგნატე არ ფიქრობდა ამ საკითხში დათმობაზე წასვლაზე. მაშინ იოანე VIII-მ (872-882) კონსტანტინოპოლის ეკლესიას ულტიმატუმი წაუყენა: 30 დღეში ბულგარეთიდან გაეყვანათ ყველა ბერძენი ეროვნების სასულიერო პირი, არ დარჩენილიყო არცერთი იმათგანი, ვინც კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა. შეუსრულებლობის შემთხვევაში პაპი პატრიარქს ტახტიდან ჩამოგდებით, მღვდლობის უფლების აყრით და სხვით ემუქრებოდა. მალე ეგნატე გარდაიცვალა და პატრიარქად კვლავ ფოტიოსი (878-886) აკურთხეს.

პაპმა იოანე VIII-მ მხარი დაუჭირა ამ უკანასკნელის კანდიდატურას, რაც მძიმე პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული, კერძოდ, დასავლეთ ევროპაზე არაბების მოწოლით. ბულგარეთის დათმობას აღმოსავლეთი არ აპირებდა. ამის საპასუხოდ 881 წელს პაპმა იოანე VIII-მ ფოტიოსი ანათემას გადასცა.

ამრიგად გამოიყურებოდა ვითარება IX საუკუნეში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოს ურთიერთობაში. აშკარა იყო რომის ეკლესიის სურვილი აქტიურად ჩარეულიყო კონსტანტინოპოლის ეკლესიის საქმეებში, გაეფართოებინა თავისი გავლენის სფერო აღმოსავლეთ საქრისტიანოზე და თეოკრატიული მიზნების განსახორციელებლად ებრძოლა. თუმცა პოზიციებს არც ბიზანტია თმობდა. აშკარაა, რომ საეკლესიო სფეროში მომხდარი უთანხმოება საერთოდ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ხალხებს შორის პოლიტიკური უპირატესობისათვის ბრძოლის გამოვლინება იყო. რამდენადაც, ქრისტიანობა, როგორც შუა საუკუნეების იდეოლოგია, უდიდეს როლს თამაშობდა იმდროინდელი მსოფლიო ისტორიის არენაზე, საეკლესიო ხასიათის განხეთქილებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

რომის ეკლესიასა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა XI საუკუნეში განსაკუთრებულად დაიძაბა, კერძოდ, იმ პერიოდში, როდესაც რომის პრეტენზიებს ძლიერი პიროვნება, კონსტანტინოპოლის პატრიარქი — მიხაილ კერულარიუსი (1043-1058), აღუდგა წინ. მისი უდრეკი ნებისყოფა, პრინციპულობა, წინააღმდეგობის უნარი, სიბრძნე, გამჭრიახობა, და წინდახედულობა ჭეშმარიტად იმპერატორს უფრო შეშვენოდა, ვიდრე პატრიარქს. ნ. სკაბალანოვიჩი ცხადად წარმოგვიდგენს მის პიროვნებას: „კერულარიუსის სახით ტახტზე ავიდა პატრიარქი, რომელიც ზოგიერთი სულიერი თვისებით იმპერატორის ტახტს უფრო მოერგებოდა, ვიდრე საპატრიარქოს... მისი მორალური სახის განმასხვავებელი თავისებურება იყო აზრის უპირატესობა გრძნობაზე. ყველაფერი მასში გონებიდან და არა გულიდან იღებდა სათავეს, გონი ყველაფერზე ბატონობდა“[3]. მიხეილ კერულარიუსმა მიზნად დაისახა რომის ეკლესიის მზარდ პრეტენზიებს დაპირისპირებოდა. იგი საქმის კაცი იყო და მალე კონსტანტინოპოლში რომაული მონასტრები დახურა. რა ვითარება იყო მიხეილის პატრიარქობამდე? 1024 წელს პაპ იოანე XIX-ს ბასილ II-მ (976-1028) და ბიზანტიის პატრიარქმა ევსტაფიმ (1019-1025) შესთავაზეს შემდეგი: ტიტული „მსოფლიო“ ეტარებინა როგორც რომის პაპს, ასევე კონსტანტინოპოლის პატრიარქს. პაპი ამ წინადადებას დათანხმდა, მაგრამ ამას იტალიისა და საფრანგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის სასულიერო წოდების აღშფოთება მოჰყვა. წმ. ბენიგნგის აბატმა — ვილჰელმმა პროტესტით მიმართა პაპს. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ შემოთავაზებაზე. ამრიგად, შერიგების მცდელობა ჩაიშალა.

მიხეილ კერულარიუსი მხოლოდ მონასტრების დაბურვით არ დაკმაყოფილებულა. 1053 წელს ბულგარელთა პატრიარქ-ლეოსთან ერთად იტალიაში მცხოვრებ იოანეს, ტრანინის ეპისკოპოსს, წერილი მისწერა, რომელშიც დასავლეთის ეკლესიის მწვალებლური გადახრები სააშკაროზე გამოიტანა. პატრიარქი წერდა: „უდიდესმა სიყვარულმა და გულწრფელმა კეთილგანწყობამ მაიძულა მომეწერა შენი უწმინდესობისათვის, და თქვენი მეშვეობით, სასულიერო წოდების ყველა მესვეურისთვის, ფრანგი მღვდლებისათვის, ბერებისთვის, ხალხისთვის და თვით პატივცემული პაპისთვის"[4]. წერილში პატრიარქმა ხაზი გაუსვა ზიარების დროს პურის საკითხს. იგი ბრალს სდებდა დასავლეთის ხმიადის ხმარებაში (როცა მართლმადიდებლები მჟავე პურს იყენებენ), შაბათ დღეს მარხვაში და სხვ. პატრიარქმა წერილი 1053 წელს დაწერა და მისი შინაარსი პაპისთვის მალე გახდა ცნობილი. მიხეილს მან წერილითვე უპასუხა. პაპი, მიხეილისგან განსხვავებით, არ ეხება რელიგიურ დოგმებს, იგი რომის ეკლესიის პრიორიტეტს უაპელაციო ტონით ამტკიცებს: „შენ, ჩემო საყვარელო და აგრეთვე, ქრისტეს ძმავ და კონსტანტინოპოლის მთავარო, არნახული თავხედობით და გაუგონარი სითამამით გაბედე გაგეკიცხა მოციქულებრივი ლათინური ეკლესია, — რატომ?"[5]

ქრისტიანულ ეკლესიაზე რომის ბატონობის უფლებას პაპი იმით ხსნის, რომ პეტრე მოციქული იყო რომის საეპისკოპოსოს დამაარსებელი, უცოდველი ბიროვნება, რომლის მემკვიდრეა პაპი. პაპი, რომელიც, როგორც მისი წერილიდან ჩანს, მღვდელმთავრის გარდა მეფეცაა. პაპს თითქმის ერთ-ერთ მოჰყავს კონსტანტინეს ნაბოძვარი (Donafio Constantini): „პეტრეს კათედრა უფროსობს ოთხ კათედრაზე — ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის და კონსტანტინოპოლის, აგრეთვე მსოფლიოში ყველა ეკლესიაზე; რომის კათედრის მთავარი ყოველთვის უნდა ითვლებოდეს მსოფლიო მღვდლობაზე მაღლამდგომად და ღვთისმსახურების და რწმენის სფეროში მისმა გადაწყვეტილებამ უნდა გაიმარჯვოს[6]. პაპი აღწერს, თუ როგორ დაასაჩუქრა იმპერატორმა კონსტანტინემ პაპი სილვესტრი: სამეფო რეგალებით შეამკო, სასულიერო წოდება საეროს გაუთანაბრა. შემდეგ პაპს მოჰყავს მრავალი ფაქტი ბიზანტიის ეკლესიის დასამცირებლად: პავლე მოციქული თავის მიმართვებში ბერძნებისადმი მათ რწმენისა და ცხოვრების სტილს გმობდა. მრავალი პატრიარქი ერეტიკოსი იყო. პაპი აღნიშნავს, რომ ბიზანტიისაგან განსხვავებით, ბერძნებს რომში თავისი წესების დაცვა თავისუფლად შეეძლოთ. რომის ეკლესია მუდამ ეხმარებოდა კონსტანტინოპოლის ეკლესიას ჭეშმარიტების გზის ძიებაში. ამრიგად. თავის წერილში პაპი აღმოსავლეთ საქრისტიანოს ლაფში სვრის.

ამ წერილის დაწერამდე პაპსა და კონსტანტინე მონომახს (1042-1054) შორის პოლიტიკური კავშირი შეიკრა, რაც ნელ-ნელა საეკლესიო ხასიათს იღებდა. იტალიაში ბერძნული ოლქები ნორმანებმა შეავიწროვეს, მათი შემოსევები აუტანელი ხდებოდა. ბიზანტიის იმპერატორს პაპის დახმარებით ნორმანების წინააღმდეგ ჰენრიხ III-ის გადმობირება სურდა. ამგვარად ცდილობდა კონსტანტინე მონამახი ბერძნული ოლქების იტალიაში დაცვას. იმპერატორმა პაპს წერილი მისწერა, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია .საპასუხოდ კონსტანტინოპოლში პაპის ელჩობა ჩამოვიდა, რომელმაც 2 წერილი ჩამოიტანა: იმპერატორისა და პატრიარქისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიარქისადმი მიწერილ წერილში პაპი ლეო IX არ მალავს თავის პრეტენზიებს: „რომის ეკლესია იმგვარია, რომ თუ რომელიმე ეკლესია დედამიწაზე ამპარტავნობის გამო მას რაიმეში არ ექვემდებარება, მაშინ ამგვარი ეკლესია ეკლესიად აღარ იწოდება, — ის არარაობაა. ეს იქნება მწვალებლების თავყრილობა, სხიზმატიკოსების კრება, ეშმაკის სინაგოგა[7]".

იმპერატორისადმი მიწერილ წერილში პაპი ლეო IX აღნიშნავს, რომ სწორედ რომის ეკლესიამ დაადგა გვირგვინი აღმოსავლეთის იმპერატორს („Non ingratur (imperator) illi, quae (Romana ecclesia) tuum verticem diademate terreni principatus decenter insignivit)[8]. პაპი ჯონსტანტინე მონომახს მეორე კონსტანტინე დიდს უწოდებს და სურს, იგი პატრიარქის წინააღმდეგ აამხედროს.

1054 წელს ლეო IX-მ კონსტანტინოპოლში თავის ელჩები გამოგზავნა: კარდინალი ჰუმბერტი, ფრიდრიხ ლორენელი, რომის ეკლესიის კანცლერი, და პეტრე, ამალფიის არქიეპისკოპოსი. ელჩობას კარდინალი ჰუმბერტი მეთაურობდა: „ეს იყო ვნებიანი, კონფლიქტისმოყვარული და იმავდროულად, რომის კათედრის უპირატესობის მხურვალე დამცველი."[9]

ელჩობამ წერილი ჩამოიტანა კონსტანტინე მონომახთან, სადაც ლეო IX იმპერატორს ნორმანების წინააღმდეგ კავშირს სთავაზობდა. პაპმა პატრიარქსაც გამოუგზავნა პასუხი, სადაც იგი ეთანხმებოდა ჭორს, რომლის მიხედვითაც, მიხეილ კერულარიუსი პატრიარქი უკანონო გზით გახდა და პრეტენზიას აცხადებდა ალექსანდრიისა და ანტიოქიის ტახტზე.

კონსტანტინე მონომახმა ელჩები კარგად მიიღო. რაც შეეხება პატრიარქს, მან უარი განაცხადა მათ მიღებაზე. კონფლიქტი უფრო და უფრო ღრმავდებოდა. 1054 წლის 16 ივლისს კონსტანტინოპოლში, სოფიის ტაძარში ღვთისმსახურების დროს ელჩობამ საკურთხეველზე განკვეთის დოკუმენტი დადო. მასში მრავალი უსამართლო ბრალდება იყო: „წმ. რომის პირველმა სამოციქულო კათედრამ, რომელსაც, როგორც მეთაურს, ზრუნვა ევალება ყველა ეკლესიაზე, საეკლესიო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, დაგვლოცა გამოსამგზავრებლად ჩვენ, თავისი ელჩობა, ამ სამეფო ქალაქში, რათა ჩვენ ჩამოვსულიყავით და შეგვეტყო მართალია თუ არა ის, რაც ჩვენს ყურამდე მოდის ამ ქალაქიდან... რაც შეეხება მიხეილს, უმართებულოდ წოდებულს პატრიარქად, და მისი უგუნურების თანამოაზრეებს, ყოველდღიურად მის გარშემო იბადება მრავალი მწვალებლობა, კერძოდ, სიმონიელების მსგავსად ყიდიან ღვთის ზიარებას, ველეზიანების მსგავსად, ასაჭურისებენ უცხოელთ და აქცევენ მათ არა მხოლოდ სასულიერო პირებად, არამედ — ეპისკოპოსებად. არიანელების მსგავსად, ხელახლა ნათლავენ მონათლული წმ. სამების სახელით, განსაკუთრებით ლათინებს. დონატიასტების მსგავსად, ამტკიცებენ, რომ მთელ ქვეყანაზე, ბერძნული ეკლესიის გარდა, ქრისტეს ეკლესია და ჭეშმარიტი ევქარისტია, ნათლობა დაიღუპა. სეევერიანელების მსგავსად, მოსეს რჯულს აგინებენ. დუხობორების მსგავსად, რწმენის სიმბოლოდან ამოაქვთ ძისგან სულიწმინდის გამოსვლა. მანიქეველების მსგავსად, სხვათაშორის, ხორციელ განწმენდას იუდეურად თვლიან, — ახალშობილს 8 წლამდე არ ნათლავენ, დედებს არ აზიარებენ, თუ ისინი წარმართები არიან, ნათლობაზე უარს ეუბნებიან: ამ და სხვა მრავალი შეცდომის გამო, თავად მიხეილი, პაპი ლეოს წერილების მიუხედავად, გონს არ მოეგო. ამიტომ ჩვენ, ელჩები, ვერ ვითმენთ უსამართლობას და შეურაცხოფას, რომელიც პირველ სამოციქულო კათედრას მიაყენეს. წმინდა და განუყოფელი სამების ძალით, ყველა წმინდა მამის სახელით, რომლებიც 7 მსოფლიო კრებას ესწრებოდნენ, ვაცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებთ ანათემას მიხეილსა და მის თანამოაზრეებზე."[10] ამის საპასუხოდ მიხეილ კერულარიუსმა 20 ივლისს მოიწვია საეკლესიო კრება, სადაც შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „დასავლეთის წყვდიადიდან რამდენიმე უწმინდური ადამიანი მოვიდა კეთილდღეობის სამეფოში და ამ ღვთის მიერ დაცულ ქალაქში, რომლიდანაც, როგორც წყაროდან მოედინება სუფთა სწავლების წყლები ქვეყნის დასალიერამდე. ამ ქალაქში ისინი ჩამოვიდნენ, როგორც ქუხილი, ან ქარიშხალი, ან სეტყვა, ან უფრო ზუსტად, ველური ტახებივით, რომ ჭეშმარიტება დაეემხოთ"[11]. რომის ელჩები ანათემას გადასცეს.

როგორი შეფასება მიეცა 1054 წლის საეკლესიო განხეთქილებას ისტორიოგრაფიაში?

ნ. სკაბალანოვიჩი ბრალს ბიზანტიის იმპერატორს — კონსტანტინე მონომახს სდებს, რომელმაც უპრინციპო დამოკიდებულება გამოამჟღავნა, შეკრა რა კავშირი პაპ ლეო IX-თან.[12]

მ. სიუზიუმოვის აზრით, ბიზანტიის ეკლესია თავის პოზიციას იცავდა, ისტორიულად მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეკლესიის მოწყობის მონარქიული პრინციპი აღმოსავლეთში არ გავრცელდა, კლუნიურ მოძრაობას, ლეო IX-ის მეთაურობით, საერო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება სურდა. ბიზანტიაში კი ეკლესია საერო ძალაუფლებას ექვემდებარებოდა. ევროპაში, პირიქით, პაპს და მაღალ სასულიერო პირებს საკუთარი შეიარაღებული ძალებიც კი ჰყავდათ.

მ. სიუზიუმოვი არ იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ ეკლესიების გათიშვა კულტურულ გათიშვას უდრიდა, თუმცა ადგილი ჰქონდა ურთიერთობების შეფერხებას. საბოლოოდ, 1054 წლის მოვლენებს მეცნიერი კანონზომიერად მიიჩნევს, თვლის რა მას ფეოდალური ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა გზების გამოვლენად, რაც ეკლესიაშიც აისახა: თავისებურად დასავლეთსა და აღმოსავლეთში.[13]

მ. ზაბოროვის აზრით, პაპის თეოკრატიული პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი სწორედ მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა იყო.[14]

ვ. ბენეშევიჩის აზრით, განხეთქილების მიზეზები დოგმატურ საკითხებში არ უნდა ვეძიოთ. მიზეზი უფრო ღრმად ძევს. ეს არის ის ზიზღი თუ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რომელიც ბერძნებსა და ლათინებს შორის არსებობდა. იგი პატრიარქ ფოტიოსს ელინური ნაციონალობის ფუძემდებლად გვისახავს, რომელიც რომის ეკლესიას დაუპირისპირდა.[15]

ა. ლებედევის აზრით II და IV მსოფლიო კრებების მიხედვით, რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები თანასწორნი იყვნენ. IX ს-დან რომის პაპის პრეტენზიები იზრდება. პატრიარქმა ფოტიოსმა პაპის ამპარტავნობა მოთოკა და ამიტომ მისგან ანათემა დაიმსახურა. პაპს თავისი გეგმების განხორციელება ნიკოლოზ მისტიკოსის (906-925) დროსაც უნდოდა, მაგრამ კონფლიქტი მშვიდობიანად დასრულდა. მიხეილ კერულარიუსის დროს ანათემას გადაეცა მთელი კონსტანტინოპოლის ეკლესია. მეცნიერის აზრით, განხეთქილების სულისჩამდგმელი რომის ეკლესიაა.[16]

მ. შეიმანი განხეთქილების მიზეზად რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფას თვლის. ფეოდალური ურთიერთობების თავისებურმა განვითარებამ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოში რელიგიური განსხვავებები და შესაბამისად, კონფლიქტიც გამოიწვია.[17]

ამრიგად, XI საუკუნეში ქრისტიანული სამყარო 2 ნაწილად გაიყო და აღარც გაერთიანებულა. 1965 წელს პავლე VI-მ და აფინაგორ I-მა ანათემა ორივე ეკლესიაზე მოხსნეს, მაგრამ ეკლესიათა გაერთიანება არ მომხდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1054 წლის საკლესიო განხეთქილებას არაერთი მიზეზი ჰქონდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო რომის ეკლესიისა და პაპის მზარდი პრეტენზია ქრისტიანულ სამყაროში ბატონობისა. რა მიზეზით იყო გაპირობებული თავად პაპის ამბიციები? რამ აიძულა იგი აქტიურად ჩაბმულიყო საერო ცხოვრებაში, პოლიტიკაში? დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ურთიერთობები, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, სხვაგვარად წარიმართა. დასავლეთში მიმდინარეობდა ბრძოლა ახალი მიწების შემოერთებისათვის, დიდი სახსრები სჭირდებოდა ჯარის შენახვასაც. ჯვაროსნული ლაშქრობები სამხედრო-კოლონიური მოძრაობის გამოვლინება იყო. ამ ფაქტს რელიგიური საფუძველი მიეცა. ბიზანტია იმ პერიოდში ძლიერი იმპერია იყო და ახალი ტერიტორიების დაპყრობა მის ინტერესებში ნაკლებად შედიოდა. დაიწყო პოლიტიკური ბრძოლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. კონფლიქტის გაღმავებამ საეკლესიო განხეთქილებაც გამოიწვია. კამათი დოგმატური საკითხების გარშემო ამ მოვლენის მხოლოდ ზედაპირული მხარეა. მიზეზი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოს შორის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებათა დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ.

შენიშვნები:

1. **БСЕ, С. Сказкин, М. Мчедлов, Каталицизм, т. XI, 1973, стр. 533.**
2. **В. Н. Бенешевич, Очерки по истории Византии, СПБ., 1912, стр. 20.**
3. **Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, М., 1884, стр. 377.**
4. Migne, Patrologiae cursus, latin, ser. Tomus 143, p., 1841, col. 929.
5. იქვე, გვ. 747.
6. Migne, დასახ. ნაშრ., გვ. 753.
7. Migne, დასახ. ნაშრ., გვ. 776.
8. იქვე, გვ. 778.
9. Handbuch der Kirchengeschichte von Kurtz-2-te ausg., 2 Abtheil, 3. 48.
10. Migne, დასახ. ნაშრ., გვ. 1002—4.
11. Migne, დასახ. ნაშრ., გვ. 1002—4.
12. **Н. Скабаланович, стр. 330.**
13. **М. Сюзюмов, Разделение церквей в 1054 г. Вопросы истории, № 8, М., 1956, стр. 44—57.**
14. **М. Заборов, Папство и крестонне походы, М., 1960, стр. 25.**
15. **В. Н. Бенешевич, Очерки по истории Византии, СПБ., 1912, стр. 76.**
16. **А. Лебедев, История разделения церквей IX-ом, X и XI вв., М., 1900, стр. 343—344.**
17. **М. М. Шейман, Папство, М., 1961, стр. 26.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

თბილისი რუსთაველის ქ. № 23

●

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61. მთ. რედაქტორის მოადგილის 99-91-00, პ/მგ. მდივნის 99-91-00, და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 2. 04. 97 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03. 97 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 13,8. ტირაჟი 700. შეკვეთა 0422. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო", კოსტავას ქ. № 14.